საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ვალერიან ითონიშვილი

ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა

I

ნახეგისა და ოსეგის საოჯახო ყოფა

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი — 1969

902.7(c4)
902.7+39](47.92)
ᲒᲐ374

ეს ნაშრომი წარმოადგენს ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფის შესწავლისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის პირველ ნაკვეთს, რომელიც შედგება შესავალისა და სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში განხილულია ნახების (ინგუშებისა და ჩაჩნების) საოჯახო ყოფა, მეორე ნაწილში იგივე საკითხი გაშუქებულია ნახური მოდგმის ქისტების (პანკისის ხეობა) მაგალითზე, ხოლო მესამე ნაწილი დათმო ოსების საოჯახო ყოფის შესწავლას.

ნაშრომი გვაცნობს როგორც გადმონაშთური ფორმით შემორჩენილ საოჯახო თემს ანუ დიდ ოჯახს, ისე მისი რღვევის პროცესსა და შედეგებს. ნაშრომის მიზანია გამოავლინოს კავკასიელი მთიელების საოჯახო ყოფის ძირითადი ნიშნები ქართველ მთიელებთან ურთიერთობის კრილში.

მონოგრაფიის მეორე ნაკვეთი მიეძღვნება ქართველი მთიელების საოჯახო ყოფის შესწავლას.

1—6—2
160—69

შესავალი

ოჯახის წარმოშობისა და მისი განვითარების ისტორიის მეცნიერულ კვლევას, ისევე როგორც სხვა სოციალური ინსტიტუტების სერიოზულ შესწავლას, საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისა და კოლონიალიზმის გაფართოების პირობებში, გაიზარდა ბურჟუაზიული ქვეყნების მორჩილებაში მყოფი ხალხების ყოფა-ცხოვრებაზე დაკვირვების შესაძლებლობა. განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ხალხების ინტენსიური შესწავლის შედეგად დაგროვილი დიდძალი ფაქტობრივი მასალის სისტემატური დამუშავებით მყარი ნიადაგი შემზადდა ეთნოგრაფიის სამეცნიერო დისციპლინად ფორმირებისათვის. ეთნოგრაფიის ესოდენ დიდი აღმავლობა უშუალოდ იყო დაკავშირებული უმთავრესად ისეთი სოციალური ინსტიტუტების კვლევასთან, როგორიცაა ქორწინება, ნათესაობის სისტემა, გვარის სტრუქტურა, ჩვეულებითი სამართალი და სხვა. აღნიშნული პრობლემატიკის სფეროში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს საოჯახო ყოფას, რომლის საფუძვლიან შესწავლაზე ბევრად იყო დამოკიდებული საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების კანონზომიერების დადგენა.

ოჯახის ფორმების გენეზისის სათანადო მეცნიერული სისრულით გაშუქებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ე. წ. „პატრიარქალური თეორიის" აღმოსაფხვრელად, „თეორიისა", რომელიც, ფ. ენგელსის სამართლიანი განმარტებით, XIX საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისამდე უდავო ჭეშმარიტების უფლებით ბატონობდა[1] და რომელიც დღეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ინტერესებს ემსახურება. ამ ყალბი შეხედულების უსაფუძვლობის დამტკიცება, რომლის თანახმად, კაცობრიობა თავისი არსებობის მანძილზე თითქოს მხოლოდ მონოგამიურ ოჯახსა და პატრიარქალურ წყობი-

---

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბილისი, 1953, გვ. 8.

ლებას იცნობდა, შესაძლებელი გახდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მეცნიერული ანალიზის მეოხებით.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების შესახებ არსებული რეაქციული ბურჟუაზიული თვალსაზრისის მხილებაში სათანადო როლი შეასრულა კავკასიის ეთნოგრაფიულმა მასალამ. მხედველობაში გვაქვს კავკასიელ ხალხებში XIX საუკუნემდე გადმონაშთური ფორმით შემონახული საოჯახო თემის მ. კოვალევსკისეული აღწერილობა, რაც ფ. ენგელსმა შემოქმედებითად გამოიყენა იმის დასამტკიცებლად, რომ ინდივიდუალურ ოჯახზე ადრე არსებობდა „პატრიარქალური სახლისეული თემი", რომელიც თავისი ძირითადი ნიშნებით (მრავალი თაობისა და საქორწინო წყვილის ერთად ცხოვრება, კოლექტიური მეურნეობა და მოხმარება, მმართველობის შესაბამისი სისტემა), მაგრამ „შეცვლილი ფორმით" XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ფ. ენგელსი თავის ნაშრომს ქმნიდა, კიდევ ინარჩუნებდა არსებობას[2].

სათანადო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ფ. ენგელსის მიერ იმის აღიარებამ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ე. ი. საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების კაპიტალისტურ სტადიაზე, „სამხრეთ-სლავური ზადრუგა", როგორც „ოჯახური თემის საუკეთესო ნიმუში... ჯერ კიდევ არსებობს"[3], რომ „ასეთი დიდი ოჯახური თემები რუსეთშიც განაგრძობენ არსებობას"[4], რომ „საფრანგეთში ასეთმა თემებმა ნივერნეში საფრანგეთის რევოლუციამდე გაძლეს parconneries სახელწოდებით, ხოლო ფრანშ-კონტეში ისინი დღესაც ჯერ კიდევ არ გამქრალან მთლად"[5], მეთოდოლოგიური საფუძველი მოუმზადა საბჭოთა ეთნოგრაფიაში შემუშავებულსა და მტკიცედ დამკვიდრებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ XIX საუკუნემდე შემონახული დიდი ოჯახი წარმოადგენდა საოჯახო თემის ადრინდელი ფორმის გადმონაშთს.

ოჯახის ფორმათა კვლევის თანამედროვე ეტაპზე ასევე ცხოველმყოფელი მნიშვნელობის მქონეა ფ. ენგელსის შეხედულება დიდი ოჯახის გავრცელების არეალის შესახებ. XIX საუკუნის გამოკვლევებიდან მის მიერ მრავალი ფაქტის დამოწმებით იმის დადასტურება, რომ ამ ტიპის ოჯახი არსებობდა არა მარტო განვითარების დაბალ .საფეხურ-

---

[2] ფ. ენ გ ე ლ ს ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77—80.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 77.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 78.
[5] ი ქ ვ ე. გვ. 79.

ზე მყოფი ხალხების ყოფაში, არამედ ის ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი XIX საუკუნემდე იყო შემონახული, იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ საოჯახო თემი წარმოადგენდა ყველა იმ ხალხისათვის დამახასიათებელ უნივერსალურ ისტორიულ მოვლენას, რომელთაც განვლეს საზოგადოებრივი ურთიერთობის შესაბამისი სტადია.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნეში საოჯახო ურთიერთობის შესწავლის მიზნით არც თუ ისე ცოტა იწერებოდა, საკითხის კვლევის დონე საგრძნობლად ჩამორჩებოდა პრობლემის მნიშვნელობას. მ. კოსვენის მართებული განმარტებით, დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის განსაკუთრებით დიდი ნაკლი იყო საოჯახო თემის სოციალური ბუნების არასწორი გაგება და მცდარი შეხედულება მისი წარმოშობის შესახებ. XIX საუკუნის ზოგიერთი მკვლევარი დიდი ოჯახის გადმონაშთურ ფორმაში თუ საოჯახო თემის თავდაპირველ სახეს ხედავდა და მას სტატიკურ ერთეულად სახავდა, მკვლევართა მეორე ჯგუფი საოჯახო თემს მიიჩნევდა არა პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის გადმონაშთად, არამედ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის პირმშოდ. მაგალითად, ი. პეისკერი სამხრეთ სლავების „ზადრუგა"-ს თვლიდა არა ადრინდელ საზოგადოებრივ წარმონაქმნად, არამედ გვიანდელ მოვლენად, რომლის წარმოშობას ის უკავშირებდა ბიზანტიური სავადასახადო სისტემის შემოღებას[6]. არანაკლები დაბნეულობა სუფევდა რუსულ ეთნოგრაფიაშიც, როდესაც მკვლევართა ერთი ნაწილი ამტკიცებდა, თითქოს დიდი ოჯახი ისტორიულად არსებული და ნათესაურ კავშირზე დამყარებული საზოგადოებრივი ერთეული კი არ იყო, არამედ არტელის მსგავსი სამეურნეო ასოციაცია[7].

ფ. ენგელსის ნაშრომის გამოქვეყნებიდან დღემდე მეცნიერების მიერ ამ საკითხზე დაგროვილმა ცოდნამ, განსაკუთრებით კი საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერების მიღწევებმა საოჯახო თემის თავდაპირველობის, საყოველთაოდ გავრცელებისა და არსებობის გვიანდელ საფეხურზე მისი გადმონაშთური ბუნების შესახებ, სავსებით დაადასტურა ფ. ენგელსის ნაშრომში მოცემული მარქსისტული ფორმულირების სიმართლე, რომელიც შეეხება სოციალური ინსტიტუტების განვითარების ადრინდელი პროცესის ერთიანობას, საერთოდ ისტორიული პროცესის ერთიანობას მის ადრინდელ საფეხურზე. რამდენადაც ყველა ხალხმა, რომელმაც კი კლასობრივი საზოგადოება შექმნა, ამ საზოგადოების შექმნამდე განვლო გვაროვნული წყობილების საფეხური.

---

[6] М. Косвен, Семейная община и патронимия, Москва, 1963, стр. 10.
[7] იქვე, გვ. 32—34.

საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების მარქსისტულ კონ-ცეფციას, რომლის შემუშავებაში სხვა სოციალური ინსტიტუტების ბუნების შეცნობასთან ერთად ოჯახის წარმოშობისა და ევოლუციის სა-თანადო შესწავლასაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ყოველ-თვის უპირისპირდებოდა და დღესაც უპირისპირდება ბურჟუაზიული მეცნიერების თვალსაზრისი, რომლის მთავარ ამოცანას შეადგენს დაამ-ტკიცოს ისტორიული პროცესის ერთიანობის უსაფუძვლობა როგორც გვაროვნული წყობილების, ისე საზოგადოებრივი ურთიერთობის გან-ვითარების შემდგომ საფეხურებზე. საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების კანონზომიერების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად გამო-ყენებული ეს თვალსაზრისი მკვეთრადაა გამოხატული მათ მიერვე შე-მუშავებულ თეორიებში („კულტურული წრეების თეორია", „კულტუ-რის მოდელების თეორია", „მრავალხაზოვანი ევოლუციის თეორია" და ა. შ.), რომლებიც ემსახურებიან რა კაპიტალიზმის ინტერესებს, შეიცავენ რმის მტკიცებას, თითქოს ამ სისტემისათვის დამახასიათე-ბელი ისეთი ნიშნების არსებობა, როგორიცაა მონოგამიური ოჯახი, კერძო საკუთრება, ურთიერთმორჩილება (ე. ი. კლასობრივი ჩაგვრა) და სხვა, ადამიანთა საზოგადოებაში იმთავითვე მოქმედ კომპონენტებს წარმოადგენდნენ.

ამგვარმა მიმართულებამ განსაკუთრებით მკვეთრად იჩინა თავი კულტურულ-ისტორიული სკოლის წარმომადგენელთა გამოკვლევებ-ში. თუ, მაგალითად, ფ. გრებნერი და ვ. შმიდტი ჩრდილოეთის ხალ-ხებს აკუთვნებდნენ ე. წ. „პატრიარქალურ წრეს" და ცდილობდნენ იმის დამტკიცებას, რომ ამ ხალხებისათვის არასოდეს არ ყოფილა ცნო-ბილი მატრიარქალური გვარი, იგივე ვ. შმიდტი პ. შებესტასთან ერ-თად „ასაბუთებდა", თითქოს აფრიკისა და აზიის რიგი საზოგადოებები ოდითგანვე მისდევდნენ ერთლმერთიანობას, კერძო საკუთრებას და პატარა ოჯახებად ცხოვრების წესს[8].

ვ. შმიდტმა შემდეგ ვ.კოპერსთან ერთად კვლავ განავითარა აზრი იმის შესახებ, თითქოს ოჯახის თავდაპირველ ფორმას წარმოადგენდა კერძო საკუთრებაზე დამყარებული ინდივიდუალური ოჯახი. რაც შეე-ხება საოჯახო თემს, რომელსაც ზემოხსენებულმა ავტორებმა უწოდეს მხოლოდ ეკონომიური უჯრედი და მისი ერთიანობა-სიმტკიცის საფუძ-ველად ნათესაური კავშირის ნაცვლად რელიგიური საწყისი მიიჩნიეს,

---

[8] F. Graebner, Das Weltbild der Primitiven. München, 1924; W. Schmidt und P. Koppers, Völker und Kulturen, Regensburg, 1924, s. 78; P. Schebesta, Die Negrito Asiens, Wien, 1954, v. I.

მათივე მტკიცებით, წარმოშობილა კლასობრივ საზოგადოებაში პატარა ოჯახის გამრავლების შედეგად[9].

ბურჟუაზიული მეცნიერების მცდარი თვალსაზრისი, რომელიც ინდივიდუალური ოჯახის თავდაპირველობის აღიარებით პატრიარქალური თეორიის შემდგომი გაღრმავების ინტერესებს გამოხატავს, საბჭოთა მეცნიერების მიერ მკაცრადაა გაკრიტიკებული და სათანადო შრომებში[10] ნაჩვენებია მისი უსაფუძვლობა, მაგრამ ვინაიდან ეს თვალსაზრისი მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს ემსახურება, საბჭოთა ეთნოგრაფიაში მიღწეულით დაკმაყოფილება გაუმართლებელი იქნებოდა.

ოჯახის ფორმების წარმოშობა-განვითარების შესახებ ბურჟუაზიული მეცნიერების მცდარი თვალსაზრისის ძხილების ჭეშმარიტ გზად ჩვენსახება დღემდე უცნობი ფაქტობრივი მონაცემების მარქსისტული ანალიზი. ამიტომ ამ საკითხის შემდგომი კვლევა, რომლის ესოდენ დიდი მნიშვნელობა თავისთავად მისი აქტუალობის მაჩვენებელია, კვლავ საბჭოთა ეთნოგრაფიის საპატიო ამოცანად რჩება. ამის რეალურ შესაძლებლობას გვიქმნის, პირველ რიგში, კავკასიის ეთნოგრაფიული მასალა, რომლის უდიდესი როლი, როგორც ამის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ მაშინ გამოჩნდა, როდესაც ის მარქსისტულ ლიტერატურაში ერთ-ერთ წყაროდ იქნა გამოყენებული უაღრესად რთული და პრინციპული თეორიული საკითხების გაშუქებისას.

მ. კოვალევსკისთან ერთად, რომელიც ძირითადად ოსურ ეთნოგრაფიულ მასალას ემყარებოდა, ცენტრალურ კავკასიაში მცხოვრები ნახებისა და ოსების საოჯახო ყოფის შესწავლაში სათანადო წვლილი შეიტანეს XVIII—XIX საუკუნეების მკვლევართაგან ვახუშტი ბაგრატიონმა, ი. რეინეგსმა, ფ. ლეონტოვიჩმა, ნ. დუბროვინმა, ნ. ხარუზინმა, ნ. გრაბოვსკიმ, ჩ. ახრიევმა, ბ. დალგატმა, ს. კოკიევმა,

---

[9] W. Schmidt und W. Koppers, Gesellschaft und Wirtschaft der Völker, Regensburg, 1925, s. 201-205.

[10] М. Косвен, Матриархат (история проблемы), Москва-Ленинград, 1948; მ ი ს ი ვ ე, Очерки истории первобытной культуры, Москва, 1957; მ ი ს ი ვ ე, Этнография и история Кавказа, Москва, 1961; მ ი ს ი ვ ე, Семейная община и патронимия, Москва, 1963; Н. Кисляков, Семья и брак у таджиков, Москва, 1959; რ. ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, 1939; მ ი ს ი ვ ე, Грузинская семейная община, Тбилиси, I, 1960, II, 1961; რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბილისი, 1965; ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, ორი გამოკვლევა სომეხთა სოციალური ყოფის ისტორიიდან (რეცენზია ე. კარაპეტიანის შრომებზე), ჟურნ. „მაცნე", 1967, № 4; Э. Карапетян, Армянская семейная община, Ереван, 1958; Ш. Инал-Ипа, Очерки по истории брака и семьи у абхазов, Сухуми, 1954; ვ. ი ო თ ბ ო შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960 და სხვა.

კ. ხეთაგუროვმა და სხვებმა, ხოლო XX საუკუნის მკვლევართაგან აღსანიშნავია ვ. ხრისტიანოვიჩის, გ. ჩურსინის, მ. კოსვენის, ნ. ტაკოევას, ბ. ტოტროვის, ა. მაგომეტოვის, ბ. კალოევისა და სხვათა ღვაწლი. აქ დასახელებულ ავტორთა უმრავლესობა საოჯახო ყოფას ეხებოდნენ სხვა საკითხების კვლევის პარალელურად. თვით ბ. ტოტროვმაც კი, რომელმაც თავისი საკანდიდატო დისერტაცია სამხრეთელი ოსების საოჯახო ყოფის შესწავლას მიუძღვნა, საოჯახო ყოფა ფაქტიურად ერთ-ერთ საკითხად განიხილა ოსთა მეურნეობის ფორმებისა და მატერიალური კულტურის ძირითადი საკითხების გვერდით.

ამ მხრივ სხვა ვითარება გვაქვს საქართველოში, სადაც საოჯახო თემის შესწავლას ზემოხსენებული ფუძემდებლური შრომები მიუძღვნა რუსუდან ხარაძემ. ამ მონოგრაფიებში ავტორი განიხილავს რა საქართველოს თითქმის ყველა კუთხის შესაბამის ეთნოგრაფიულ მასალასა და წერილობით წყაროებს, ფართოდ გვაცნობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფაში გადმონაშთური ფორმით XIX საუკუნემდე შემორჩენილი საოჯახო თემის ძირითად ნიშნებსაც. მაგრამ არც რ. ხარაძის გამოკვლევების და არც სხვა ავტორთა შრომების წინასწარი მიმოხილვა არ განგვიზრახავს, ვინაიდან თვითოეული მათგანი გამოყენებული და შეფასებული გვაქვს ამ ნაშრომის ცალკეულ საკითხებზე მსჯელობისას. აქ შეიძლება დავჯერდეთ მხოლოდ იმის აღნიშვნას, რომ ცენტრალური კავკასიის მთიელების — ქართველების, ნახებისა და ოსების საოჯახო ყოფის შესწავლის დონით გამოირჩევა საქართველოს მთიანეთი. რაც შეეხება დანარჩენებს, ამ მხრივ ჩაჩნეთ-ინგუშეთი ოსეთთან შედარებით ბევრად უფრო არასახარბიელო მდგომარეობაშია, ხოლო პანკისელი ქისტების საოჯახო ყოფის შესახებ ლიტერატურა საერთოდ არ არსებობს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში და კავკასიის სხვა კუთხეებში საოჯახო თემისა და რიგი სოციალური ინსტიტუტების (ნათესაობის სისტემა, პატრონიმია, სოფლის თემი, ადათობრივი სამართალი) კვლევის შედეგები აისახა თანამედროვე ეთნოგრაფიული მეცნიერების განმაზოგადებელ ნაშრომში — ეთნოგრაფიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში. ამ ნაშრომში აღიარებულია ცნობილი ეთნოგრაფების (მ. კოსვენისა და რ. ხარაძის) მეცნიერეულად დასაბუთებული დებულება საოჯახო თემისა და სხვა სოციალური უჯრედების გადმონაშთური ბუნების შესახებ. სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ XIX საუკუნეში კავკასიის მრავალ კუთხეში გადმონაშთის სახით არსებობდა დიდი პატრიარქალური ოჯახი, რომელიც რამდენიმე ათეულ კაცს ითვლიდა. ასევე პატრიარქალური ყოფის ნიშნებს ინარჩუნებდა XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში პატარა ოჯახი, რომელიც ამ

დროისათვის წარმოადგენდა ოჯახის ძირითად ტიპს[11]. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მთიელთა საოჯახო ყოფას მაღალკვალიფიციური გამოკვლევები მიეძღვნა, ჩრდილო-კავკასიელი მთიელების შესახებაც არა ერთი ნაშრომი დაიწერა და კვლევის შედეგები სახელმძღვანელო დებულების სახით უმაღლეს სასწავლებელთა კურსში შევიდა, აღნიშნული საკითხისადმი ინტერესი არ შენელებულა და რიგი სხვა პრინციპული მნიშვნელობის მქონე სოციალური პრობლემების გაღრმავებული კვლევის პარალელურად დღეს კიდევ უფრო იგრძნობა მისი შემდგომი შესწავლის საჭიროება. ეს იმიტომ, რომ კავკასიის ეთნოგრაფიული მასალა ავლენს საოჯახო ურთიერთობის გადმონაშთური მოვლენების ნაირსახეობას, რასაც აპირობებდა კავკასიის ხალხთა ყოფის ლოკალური თავისებურებანი და საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების სხვადასხვა დონე. ასეთი ვითარების ამსახველი მასალის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავინახოთ საერთო კანონზომიერების ზოგიერთი მომენტი და ცალკეული ეტაპები ოჯახის ფორმათა განვითარების პროცესში. საოჯახო ყოფის კვლევის საჭიროება განსაკუთრებით ნათელი გახდა იმის შემდეგ, რაც დაიპყრო ქართველი და კავკასიელი მთიელების სოციალური ურთიერთობის შესწავლის პერსპექტივა.

* * *

მონოგრაფიის ამ ნაწილში, რომელიც მიეძღვნა ხახებისა და ოსების საოჯახო ყოფის შესწავლას, გათვალისწინებულია სათანადო წერილობითი წყაროები და ლიტერატურული მონაცემები, ხოლო ძირითად საყრდენად ვიყენებთ ჩვენ მიერ შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალებს.

ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა ქორწინების ინსტიტუტი, ნათესაობის სისტემა, საოჯახო ყოფა და საცხოვრებელი ნაგებობანი, მასალების შეგროვებას შევუდექით 1950 წლიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში ხევსა და ხევსურეთში მასალებს ვიწერდით საქორწინო წეს-ჩვეულებების შესახებ. ამავე საკითხის შესწავლის მიზნით ხევში განვაგრძობდით მასალის შეკრებას ასპირანტად ყოფნის დროს (1953—1956 წწ.), რაც საფუძვლად დაედო ჩვენს საკანდიდატო დისერტაციას[12], ხოლო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მუშაობისას (1957—1963 წწ.) ესწავლობ-

---

[11] Основы этнографии, под редакцией С. Токарева, Москва, 1968, стр. 306—307.

[12] ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960.

დით ჯერ ხევისა და თრუსოს ხეობის საცხოვრებელ ნაგებობებს,[13]. ბოლო შემდეგ მოხევეების, გუდამაყრელებისა და მთიულების საოჯახო ყოფას.

1961 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დაარსდა კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება, რაც ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებისა და მის პრობლემათა გაფართოების ლოგიკური შედეგი იყო. ამ „განყოფილების ძირითადი ამოცანაა — კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის შესწავლა პირველ ყოვლისა ქართულ-კავკასიური ეთნიკური და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის თვალსაზრისით"[14]. ასეთი ამოცანის დასახვისას იმთავითვე იყო გათვალისწინებული კავკასიის ეთნოგრაფიული მასალის მნიშვნელობა არა მარტო საკუთრივ კავკასიელთა ყოფისა და კულტურის შესწავლისათვის, არამედ ზოგადი ეთნოგრაფიისათვისაც. „ამდენად, განყოფილების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს კავკასიის ხალხთა კულტურისა და ყოფის წამყვანი ელემენტების — პირველ ყოვლისა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმების გენეზისისა და განვითარების გზების გაშუქება ზოგად-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით"[15]

კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების ამ ძირითადი პრობლემის შემადგენელი ნაწილია კვლევის საგნად აღებული ეს საკითხიც. ამიტომ ცენტრალური კავკასიის მთიელთა საოჯახო ყოფის ზემოხსენებული თვალსაზრისით შესწავლის მიზნით სისტემატურად ვღებულობდით მონაწილეობას ინგუშეთის, ჩაჩნეთის, პანკისის ხეობის, ხევსურეთის, ხევის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობების, ქსნის ხეობისა და ჩრდილო ოსეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში 1963—1968 წლებში[16].

---

[13] ვ. თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხევი ძველად და ახლა (საცხოვრებელი ნაგებობანი ძველსა და ახალ ხევში), თბილისი, 1967; მ ი ს ი ვ ე, სახლის მშენებლობის ხალხური წესები ხევში, ჟურნ. „მაცნე", 1965, № 6; მ ი ს ი ვ ე, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში; კეკ, I, თბილისი, 1964.

[14] რ. ხ ა რ ა ძ ე, რედაქტორისაგან, კეკ, I, თბილისი, 1964, გვ. 3.

[15] ი ქ ვ ე, გვ. 5.

[16] ბ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. გ ე გ ე ჭ კ ო რ ი, ექსპედიცია ინგუშეთში, გაზ. «ბოლშევიკური ალმა», 1963, № 128; ბ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, 1962—1963 წწ. მთიანი ინგუშეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მუშაობის მოკლე ანგარიში, კეკ, I; გ. გ ე გ ე ჭ კ ო რ ი, 1962—1963 წწ. მთიანი ინგუშეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მუშაობის მოკლე ანგარიში, კეკ, I; ბ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ექსპედიცია ჩრდილო ოსეთში, გაზ. «კომუნისტი», 1967, 178; А. Робакидзе, Окно в древности (из дневника экспедиции, газ. „Социалистическая Осетия» 19 августа, 1967.

უნდა აღინიშნოს რომ ექსპედიციას საკმაოდ რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა და მასალის მოპოვება მხოლოდ დიდი დაბრკოლებების დაძლევის შედეგად ხერხდებოდა. თუ ქართველ მთიელებთან მასალის ჩაწერისას რაიმე განსაკუთრებულ სიძნელეს არ შეეხვედრივართ, მდგომარეობას რამდენადმე ართულებდა არა ქართულენოვან მოსახლეობასთან ურთიერთობა. ზოგან ამას ემატებოდა მთხრობლების ნაკლებობა. ეს შეეხება საკუთრივ ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთს, რომლის ზოგ ხეობაში მოსახლეობის მცირე ნაწილიღაა დარჩენილი, ხოლო ხეობათა უმრავლესობა სავსებით მიტოვებულია. ასეთ ვითარებაში ექსპედიცია იძულებული იყო დიდი მარშუტები დაეძლია და დაკავშირებოდა ბარად ჩასახლებულ მთხრობლებს, ხოლო რიგ შემთხვევაში კი ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენდა მთხრობლის შორ მაძიებლზე წაყვანა სამუშაო ობიექტზე მისი გამოყენების მიზნით.

სხვადასხვა ეთნიკურ გარემოში მოპოვებული მასალების დამუშავების საფუძველზე შესაძლებლობა მოგვეცა ეს საკითხი მონოგრაფიულად შეგვესწავლა ცენტრალურ კავკასიაში მცხოვრები ცალკეული ხალხების მიხედვით, ხოლო ყოველივე ამის შედეგად დაგვენახა როგორც თითოეული ხალხის საოჯახო ყოფის სპეციფიკა, ისე ყველა მათგანისათვის დამახასიათებელი ზოგადკავკასიური თავისებურებანი. ამის შესაბამისად სპეციალური გამოკვლევები მიუძღვენით ქართველი მთიელების, ოსების, ჩაჩან-ინგუშებისა და მათივე წარმომავლობის პანკისელი ქისტების საოჯახო ყოფას. ამათვან ინგუშების, ჩაჩნების, პანკისელი ქისტებისა და ოსების საოჯახო ყოფას ვეხებით მონოგრაფიის ამ ნაკვეთში, ხოლო მეორე წიგნი მიეძღვნება ცენტრალური კავკასიის ზოლში მცხოვრები ქართველი მთიელების საოჯახო ყოფას.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ არსებული წყაროებით ხელმისაწვდომ პერიოდში (XVIII—XIX—XX საუკუნეებში) ცენტრალური კავკასიის მთიანეთში ძირითადად გაბატონებული იყო ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრების წესი, მაგრამ ამასთან ერთად გადმონაშთური ფორმით იყო შემორჩენილი საოჯახო თემი. ამ უკანასკნელის შესახებ არსებული მასალის სისრულის მხრივ უპირატესობა აქვს საქართველოს მთიანეთსა და ოსეთს, მაგრამ ჩაჩნეთ-ინგუშეთშიც, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროს ჩაჩნებისა და ინგუშების გადასახლება-გადმოსახლებამ ეთნოგრაფიულ მასალას დიდი ზიანი მიაყენა და ბევრ შემთხვევაში ტრადიციის განვითარების ჯაჭვი უდროოდ გაწყვიტა, დადგინდა რომ ოჯახის თავდაპირველი ფორმა ნახებისთვისაც (ე. ი. ჩაჩნებისა და ინგუშებისათვის) იყო საოჯახო თემი.

ოჯახის ფორმებზე მუშაობისას ჩვენ მხედველობაში გვქონდა სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული განსაზღვრება, რომლის მიხე-

დვით პატარა ანუ ინდივიდუალური ოჯახი ეწოდება ერთი საქორწინო წყვილისა და მათი მემკვიდრეების მომცველ ერთეულს, ხოლო დიდი ოჯახი ანუ საოჯახო თემი წარმოადგენდა პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის დაშლის საფეხურზე წარმოშობილსა და შეცვლილი სახით გასულ საუკუნემდე შემორჩენილ სოციალურ უჯრედს, რომელშიც გაერთიანებული იყო ძმებისა და ბიძაშვილების რამდენიმე თაობა. ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ახლო ნათესავების ამ გაერთიანების სხვა ძირითადი ნიშნები იყო ქონებაზე საერთო საკუთრება, კოლექტიური შრომა და დოვლათის კოლექტიური მოხმარება. ისიც დადგენილია, რომ არსებობდა ორი სახის საოჯახო თემი — დემოკრატიული და დესპოტური. პირველი მათგანისათვის ნიშანდობლივი იყო სოლიდარული მმართველობის სისტემა, რაც განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ოჯახის გაყრისა და მოწილე მამაკაცებზე ქონების თანასწორად განაწილების პრინციპში. სამაგიეროდ ამ თვისებას მოკლებული იყო დესპოტური ბუნების ოჯახი, რამდენადაც ქონებაზე მონოპოლიისა და ოჯახის მმართველობაში განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა ოჯახის უფროსი მამაკაცი.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ნომენკლატურის შესაბამისად[17], ჩვენს ნაშრომში ხმარებული ცნება „დიდი ოჯახი" შესატყვისია ცნებისა „საოჯახო თემი", ისევე, როგორც თანამედროვე ტიპის ოჯახის აღსანიშნავად ხმარებული ცნებებიც „ინდივიდუალური ოჯახი" და „პატარა ოჯახი" ერთიმეორის იდენტურია.

ყოველივე ამის გამოვლინების და ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე იმის ჩვენების მიზნით, რომ ცენტრალური კავკასიის მთიელთა ყოფაში XIX საუკუნის ბოლომდე ადგილი ჰქონდა ორი ტიპის ოჯახის — ინდივიდუალური ანუ პატარა ოჯახის და საოჯახო თემის ანუ დიდი ოჯახის თანაარსებობას, რომელთაგან დიდი ოჯახი საოჯახო თემის გადმონაშთურ სახეს ინარჩუნებდა და რომ ის ინდივიდუალური ოჯახისაგან განსხვავებულ სოციალურ უჯრედს წარმოადგენდა, ნაშრომში ვიხილავთ ოჯახის ისეთ ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს, როგორიცაა ოჯახის შემადგენლობა, ოჯახის ეკონომიური საფუძვლები, შრომის ორგანიზაცია და მმართველობის ხასიათი, ოჯახის გაყრის წესი და ქონების განაწილების პრინციპი.

---

[17] М. Косвен, Семейная община и патронимия, стр. 4; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, გვ. 33.

ნაწილი პირველი

საოჯახო ყოფა ჩაჩნეთ-ინგუშეთში

პირველი თავი

ოჯახის შემადგენლობა

ბარად ჩასახლებამდე ინგუშებისა და ჩაჩნების სოციალური წყობის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მხარეს წარმოადგენდა რამდენიმე თაობის ერთ ოჯახად ცხოვრების წესი. საყურადღებოა, რომ ინდივიდუალური ოჯახის გვერდით გადმონაშთის სახით შემონახული საოჯახო თემი მთიდან ბარში მოსახლეობის მასობრივი გადაადგილების დროსაც კი ინარჩუნებდა არსებობას. ეს კარგად ჩანს როგორც ძუნწი ლიტერატურული მონაცემებიდან, ისე ჩვენ მიერ 1963—1964 წწ. შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებიდან.

ჩაჩნეთ-ინგუშეთში საოჯახო თემის არსებობის შესახებ პირველ ყოვლისა საყურადღებოა ი. რეინეგსის ცნობა, რომელიც შეეხება XVIII საუკუნის მიწურულს. როგორც იგი შენიშნავს, ხსენებული ეპოქის ოჯახი წარმოადგენდა ერთ სახლში მცხოვრებსა და რამდენიმე თაობის მომცველ ერთეულს, რომელსაც მეთაურობდა ხნით უფროსი კაცი. სულ პატარა ოჯახში იმყოფებოდა ხუთიდან — ათამდე სრულწლოვანი მამაკაცი, ხოლო არაიშვიათად მამრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 40—50 სულს აღწევდა. როდესაც ოჯახი მეტისმეტად გაიზრდებოდა, ხდებოდა მისი დანაწილება[1].

გაუყრელად ცხოვრების ცალკეული შემთხვევები ჩაჩნეთ-ინგუშეთში აღწერილია აგრეთვე XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში. ამ მხრივ საინტერესო ცნობებია ასახუ-

---

[1] J. Reineggs, Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus, Bd. I, Gotha und St.-Petersburg, 1796, S. 39.

ლი ნ. ხარუზინის ნაშრომში. როგორც იგი წერს, ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთში ოჯახი წარმოადგენდა საერთო საკუთრების მქონე უახლოესი ნათესავების გაერთიანებას. რიცხობრივი შემადგენლობით ოჯახები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. ნ. ხარუზინის ცნობით, ცოლიანი ვაჟები მამასთან გაუყრელად იმყოფებოდნენ, გაუყოფელი მამულით სარგებლობდნენ, ხოლო სახლებს თავ-თავისთვის იშენებდნენ. ათი სრულწლოვანი მამაკაცის ერთ ოჯახში ცხოვრებას მკვლევარი არაიშვიათ მოვლენად თვლის, ხოლო ინგუშეთის სოფ. კაირახში (მეცხალის საზოგადოებაში) 27-სულიანი ოჯახის არსებობას უკვე გამონაკლისად მიიჩნევს[2]. ყოველივე ეს თავისთავად იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ XIX საუკუნის 80-იან წლებში ჯერ კიდევ იყო საოჯახო თემის გადმონაშთების ყოფაში დამოწმების შესაძლებლობა. მაგრამ ნ. ხარუზინი იმასაც კარგად შენიშნავს, რომ მი'ი იქ ყოფნის დროს დიდი ოჯახების დაყოფის პროცესი თანდათანობით ღრმავდებოდა[3].

ი. რეინეგსისა და ნ. ხარუზინის აღწერილობათა მიხედვით აშკარად განსხვავებული ვითარება წარმოგვიდგება. თუ XVIII საუკუნის ბოლოს ჩაჩნეთ-ინგუშეთში გაუყრელად ცხოვრების წესი საყოველთაოდ გავრცელებულსა და გადმონაშთის სახით ჯერ კიდევ კარგად შემონახულ ყოფით ელემენტს წარმოადგენდა, XIX საუკუნის 80-იან წლებში მდგომარეობა საგრძნობლად შეცვლილა. ი. რეინეგსის ცნობით, ყველაზე პატარა ოჯახში ხუთიდან — ათამდე მამაკაცი ცხოვრობს, მაშინ, როდესაც ათამდე მამაკაცის ყოფნას ნ. ხარუზინი დიდი ოჯახის არსებობის საბუთად იმოწმებს. ი. რეინეგსის დროს 40—50 მამაკაცის გამაერთიანებელი ოჯახები იშვიათი არ ყოფილა, ხოლო ნ. ხარუზინმა 27-სულიანი ოჯახი'ს არსებობა აღნიშნა როგორც გამონაკლისი. დროის აღნიშნულ მონაკვეთში ასეთი მკვეთრი ცვლილებები სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, რამდენადაც საოჯახო თემი უძველესი დროის ინსტიტუტია, რომელიც დროთა ვითარებაში კარგავდა სახეს, ხოლო კაპიტალისტური ურთიერთობის პირობებში ის უკვე თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

ოჯახის შემადგენლობის შესახებ საინტერესო ფაქტობრივი მასალა აქვს დამოწმებული ინგუშთა ეთნოგრაფიის ცნობილ მკვლევარს ბ. დალგატს. როდესაც ის წერს, რომ ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ (და ცხოვრობენო) მშობლები, შვილები, შვილიშვილები და შვილ-

---

[2] Н. Харузин, Заметки о юридическом быте чеченцев и ингушей, СМЭ, Москва, 1888, III, стр. 122—123.

[3] ი ბ ე ვ, გვ. 124.

თაშვილის შვილები, ამით იგი გვაცნობს ოთხ თაობამდე გაუყრელად ყოფნის ფაქტს. ბ. დალგატი არ ქმაყოფილდება ამ ზოგადი ხასიათის ცნობით და აღნიშნულის დასამტკიცებლად ასახელებს მეცხალის საზოგადოების სოფ. კაირახში მცხოვრები ტენკიევების 20-სულიან ოჯახს. ბ. დალგატის აღწერილობის თანახმად, ტენკიევების წინაპარი იყო ტენკი, რომელიც შეცვალა მისმა შვილმა პარჩმა. პარჩის ოთხი ვაჟიდან სულ უფროსი თემირყო ამ ოჯახის უფროსი ყოფილა, ხოლო დასახლისობდა მისი მეუღლე გუბი.

ბ. დალგატს შეუმჩნეველი არ დარჩენია არც ის გარემოება, რომ მთელი ამ ოჯახისათვის საერთო სამზარეულოში საუმელს ამზადებდნენ ხნით უფროსი დედაკაცები, ხოლო კაცები და ქალები სახლის სხვადასხვა განყოფილებებში ცალ-ცალკე იმყოფებოდნენ[4].

როგორც ვხედავთ, ინგუშების ერთსა და იმავე სოფელში ნ. ხარუზინს შემთხვევა ჰქონდა ერთ ჭერქვეშ ეხილა 27 სული, ხოლო ბ. დალგატმა აღწერა ოჯახი, რომელიც ოცი სულისაგან შედგებოდა. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ გაუყრელად ცხოვრების ფაქტი ბ. დალგატს არა მარტო მთაინგუშეთში, არამედ ბარელ ინგუშთა ყოფაშიც კი დაუმოწმებია. იგი ასახელებს მესტოევების 40-სულიან ოჯახს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ხუთი ცოლშვილიანი ვაჟის მამა — მუსა[5].

მართალია, ჩვენი ეპოქის არც ერთ მკვლევარს სპეციალური ნაშრომი არ დაუწერია ჩაჩნებისა და ინგუშების საოჯახო ურთიერთობის შესახებ, მაგრამ სხვა საკითხების ძიების პროცესში ზოგიერთი ავტორი საოჯახო ყოფასაც ეხება და საოჯახო თემს მათი ცხოვრებისათვის ნიშანდობლივ კომპონენტად მიიჩნევს. მაგალითად, ვ. ხრისტიანოვიჩი განიხილავს რა მიწათმფლობელობის ფორმებს ინგუშეთში, სახნავი ნაკვეთის მესაკუთრე ეკონომიურ ერთეულად თვლის დიდ ოჯახს, ანუ „дворовая община“-ს, რომელსაც განასხვავებს თანამედროვე ინდივიდუალური ოჯახისაგან[6].

ვ. ხრისტიანოვიჩი აკრიტიკებს იმ ავტორებს, რომლებიც ინგუშურ საოჯახო გაერთიანებას აიგივებდნენ რუსულ ერთოჯახიან კომლთან. ვ. ხრისტიანოვიჩის დაკვირვებით, ინგუშური კომლი წარმოადგენდა სერბიული ზადრუგას მსგავს ერთეულს, რომელშიც გაერ-

---

[4] Б. Далгат, Материалы по обычному праву ингушей, ИИНИИК, II-III, Владикавказ, 1930, стр. 350.

[5] იქვე, გვ. 351.

[6] В. Христианович, Горная Ингушия, Ростов на Дону, 1928, стр. 34.

თიანებული იყო რამდენიმე ოჯახი (ე. ი. რამდენიმე საქორწინო წყვილი). ვ. ხრისტიანოვიჩი იქვე მიუთითებს, რომ ასეთ გაერთიანებას, რომელიც ცნობილი იყო შუა საუკუნეების ევროპაში, ბიზანტიასა და აღმოსავლეთში, სოციოლოგები უწოდებდნენ სახლისეულ ანუ საოჯახო თემს[7].

იმის დასამტკიცებლად, რომ ინგუშეთისათვის დამახასიათებელი იყო საოჯახო თემებად ცხოვრების წესი, ვ. ხრისტიანოვიჩი ზემოთქმულთან ერთად გვაცნობს საკუთარი დაკვირვებით ყოფაში დადგენილ გვიანდელ ფაქტებს, რომლებიც გვიჩვენებენ საოჯახო თემის გადმონაშთების საბოლოო რღვევის პროცესს. იგი ასახელებს სოფ. ხაიში ნახულ ისეთ სამეურნეო ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებდა სამ ურთიერთმონათესავე ოჯახს. მათ უცხოვრიათ ერთ სახლში. საერთო საკუთრებაში ჰქონიათ კარ-მიდამო, კერა, მუშა საქონელი და სამეურნეო ნაკეთები. ცალკეული ოჯახების კერძო კუთვნილებას წარმოადგენდა მხოლოდ დგამ-ჭურჭელი და ძროხები. 1920—1922 წწ. სოფ. ხაიდან გადასახლებული 4 ასეთი სახლისეული თემის დაყოფის შედეგად ბარად ჩამოყალიბებულა 16 ინდივიდუალური ოჯახი[8].

როგორც ვხედავთ, ვ. ხრისტიანოვიჩი გვაცნობს ისეთ სოციალურ გაერთიანებას, რომელიც შედგებოდა რამდენიმე ინდივიდუალური ოჯახისაგან. ეს გაერთიანება წარმოადგენდა გადმონაშთის სახით შემონახულსა და სრული გადაგვარების სტადიაში მყოფ საოჯახო თემს, რომლის სეგმენტაციის შედეგად იქმნებოდა ინდივიდუალური ოჯახებით დასახლებული პატრონიმიული ერთეული.

მთაინგუშეთში საოჯახო ყოფის შესწავლის მნიშვნელოვან წყაროდ გვესახება გ. მარტიროსიანის ნაშრომში მოთავსებული ერთ-ერთი ცხრილი. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, რვა წლის განმავლობაში — 1899 წლიდან 1907 წლამდე სოფ. მეცხალში 16 ოჯახიდან წარმოიქმნა 36 ოჯახი, სოფ. ცორში ოჯახების რიცხვი 25-დან 60-მდე გაიზარდა, სოფ. ხამხოიში რვა ოჯახიდან მივიღეთ 40 ოჯახი, სოფ. შუა ოძიკში ერთი ოჯახის ბაზაზე ჩამოყალიბდა 24 ოჯახი და ა. შ[9].

ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მთიელი ინგუშები საცხოვრებლად ბარისაკენ მიილტვოდნენ. პირუკუ რომ მომხდარიყო, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ოჯახების ასეთი მატება გამოიწვია ხალხის მოსვლა-დამკვიდრებამ. რაკი ეს აღნიშნული ეპოქისათვის გამორიცხული იყო,

---

[7] В. Христианович, Горная Ингушия. Ростов на Дону, 1928, стр. 73.

[8] ი ქ ვ ე, გვ. 73.

[9] Г. Мартиросиан, Нагорная Ингушия, ИИНИИК, I, Владикавказ, 1928, стр. 112.

ცხადია, ოჯახების მომატება ხდებოდა მკვიდრი მოსახლეობის ბაზაზე, ე. ი. მიმდინარეობდა დიდი ოჯახების სეგმენტაციის პროცესი. სხვავვარად წარმოუდგენელი იქნებოდა რვა წლის განმავლობაში ოჯახთა რაოდენობის ასეთი კოლოსალური ზრდა. მაშასადამე, გ. მარტიროსიანის ნაშრომში მოთავსებული ამ ცხრილის მიხედვითაც XIX — XX საუკუნეების მიჯნაზე მთაინგუშეთში აშკარად დასტურდება ბადმონაშთის სახით შემონახული დიდი ოჯახის არსებობა..

ინგუშეთში სოციალური ურთიერთობის განვითარების პროცესს და საოჯახო ყოფის სპეციფიკას შეეხო აგრეთვე ე. კრუპნოვი, რომელმაც თავისი კონცეფციის წყაროდ გამოიყენა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მონაცემები. მისი შეხედულების თანახმად, ისტორიულ წარსულში ინგუშები ცხოვრობდნენ გვაროვნულ თემებად. დროთა განმავლობაში გვაროვნული თემი იშლება და იქმნება პატრიარქალური საოჯახო თემი ანუ დიდი ოჯახი, რომელიც შედგებოდა ერთ ჭერქვეშ მცხოვრები რამდენიმე თაობისაგან და საერთო საკუთრებაში ფლობდა წარმოების საშუალებებს. ინგუშეთში ამგვარი ოჯახების ვეიანობამდე არსებობის დამამტკიცებელ საბუთად მკვლევარი იმოწმებს ნ. ხარუზინის ზემოხსენებულ ცნობას და იქვე დასძენს: მთის სოფლებში ბოლო დრომდე კიდევ შეიძლება შევხვდეთ ისეთ „დიდ ოჯახებს“, რომელთაც აქვთ საერთო მეურნეობა და რომელთა შემადგენლობაში გაერთიანებულია სამი თაობა — მამების, დაქორწინებული შვილებისა და შვილიშვილების სახით[10].

ლიტერატურაში იმთავითვე დამკვიდრებული შეხედულება, ჩაჩნეთ-ინგუშეთში საოჯახო თემის არსებობის შესახებ, გაზიარებულია უახლოესი დროის გამოკვლევებშიც. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია მ. კოსვენის ერთ-ერთი ნაშრომი, რომელშიც საოჯახო თემის დახასიათება მოცემულია ი. რეინეგსის, ნ. ხარუზინის, ბ. დალგატისა და ჰ. გოლოვინსკის ცნობებზე დაყრდნობით[11]. როგორც ჩანს, ამავე ცნობებს ემყარება ს. ტოკარევი, როდესაც აღნიშნავს, რომ ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთისათვის XIX საუკუნეში დამახასიათებელი იყო 40—50-სულიანი ოჯახების შემონახულობა, მაშინ როდესაც იმდროინდელ ბარში არსებობდა პატარა (ინდივიდუალურ) ოჯახებად ცხოვრების წესი[12]. ბოლოს საყურადღებოა ჩრდილო კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიისადმი მიძღვნილი განმაზოგადებელი ნაშრომი (Народы Кав-

---

[10] Е. Крупнов, К истории Ингушии, ВДИ, Москва, 1939, № 2/7, стр. 83.

[11] М. Косвен, Этнография и история Кавказа, Москва, 1961, стр. 95.

[12] С. Токарев, Этнография народов СССР, Москва, 1958, стр. 244.

каза, I), რომელშიც ინგუშთა ძველი საზოგადოებრივი ყოფის ერთ-ერთ კომპონენტად ბ. კალოევის მიერ დასახელებულია გადმონაშთური ფორმით დიდხანს შემონახული საოჯახო თემი. ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით ამ ნაშრომში აღნიშნულია, რომ საოჯახო თემის გადმონაშთები არსებობდა XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე[13]. იმავე ეპოქის ჩაჩნეთში ოჯახის გაბატონებულ ფორმად მიჩნეულია ინდივიდუალური ოჯახი პატრიარქალური ყოფის მკვეთრი ნიშნებით[14].

ჩაჩნეთ-ინგუშეთში რომ დიდხანს იყო შემონახული გაუყრელად ცხოვრების წესი, ეს აღნიშნული აქვს ა. ფადეევს 1960 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში. იგი იმოწმებს რა XIX საუკუნის ავტორთა ეთნოგრაფიულ ცნობებს გადმონაშთური ფორმით არსებული საოჯახო თემის დაშლის შესახებ, ამის ძირითად მიზეზად მიიჩნევს კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას, მთიელების გასელას საშოვარზე და ოჯახის შიგნით კერძომესაკუთრულ ტენდენციას[15]. მკვლევარი ეხება აგრეთვე ახალი ოჯახების ჩამოყალიბების საკითხს. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე 16 წლის განმავლობაში (1873—1889 წწ.) ჩაჩნეთის ერთ-ერთ ოკრუგში 5993 ახალი ოჯახის გაჩენის მიზეზად ის თვლის ოჯახების გაყრას[16]. მაშასადამე, ისტორიული ჩაჩნეთ-ინგუშეთისათვის ერთ-ერთ დამახასიათებელ კომპონენტად ა. ფადეევი თვლის გაუყრელად ცხოვრების წესს.

ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთში საოჯახო თემის არსებობის შესახებ ეთნოგრაფების შეხედულებას სავსებით ეთანხმება ისტორიკოსი ე. კუშევა. თავის საინტერესო ნაშრომში მას აღნიშნული აქვს, რომ ინგუშეთში არსებობდა საოჯახო თემი და პატრონიმია. მკვლევარი ამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბუთად თვლის მატერიალური კულტურის ძეგლებს — ინგუშურ კოშკსა და ციხე-სახლს, როგორც ხსენებული სოციალური ერთეულების საცხოვრებლად და თავდასაცავად განკუთვნილ ნაგებობებს[17].

XIX საუკუნის 60-იან წლებში ინგუშეთის არა მარტო მთიან ზოლში, არამედ ბარშიც რომ შემონახული იყო გაუყრელად ცხოვრების

---

[13] Народы Кавказа, I, Москва, 1960, стр. 383—384.

[14] ი ქ ვ ე, გვ. 366.

[15] А. Ф а д е е в, О некоторых социально-экономических последствиях присоединения Чечено-Ингушетии к России, ИЧИНИИ, II, вып. I, Грозный, 1960, стр. 6.

[16] ი ქ ვ ე, გვ. 7.

[17] Е. К у ш е в а, Народы Северного Кавказа и их связи с Россией в XVI—XVII вв. Москва, 1963, стр. 78.

წესი, საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით ეს ნაჩვენებია ნ. გრიცენკოს ნაშრომში. როგორც ავტორი წერს, „Дым в то время являлся только податной единицей, часто состоявшей из нескольких семейств, живущих одним домом... Там, где дым в 60-х годах состоял из одной семьи в 5-8 человек, земли приходилось боль, ше, и, наоборот, там, где дым состоял из нескольких семей-земли на него приходилось в 2-3 раза меньше"[18].

აქ მოტანილი ამონაწერიდან აშკარაა, რომ მკვლევარი ერთ შემთხვევაში, საგადასახადო ერთეულად თვლის ხუთ-რვასულიან ინდივიდუალურ ოჯახს, ხოლო მეორე შემთხვევაში, რამდენიმე ასეთი ოჯახის ერთ ჭერქვეშ გამაერთიანებელ კომლს (дым-ს). საყურადღებო აქ ჩვენთვის ისაა, რომ ნ. გრიცენკო ამ ორ დიდ-პატარა ერთეულს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა მარტო სიდიდითა და სტრუქტურით, არამედ სახელწოდებითაც. პატარა ერთეულს ის უწოდებს ოჯახს, ხოლო ოჯახების გამაერთიანებელ უჯრედს — კომლს. აქედან ნათელია, რომ ოჯახად ნ. გრიცენკოს მიაჩნია მხოლოდ ერთი საქორწინო წყვილი, ანუ თანამედროვე ტიპის ინდივიდუალური ოჯახი. ასეთ შემთხვევაში გაუგებარი რჩება, რა სახის სოციალურ ერთეულად აქვს წარმოდგენილი ნ. გრიცენკოს ის გაერთიანება, რომელსაც მან კომლი (дым) უწოდა. მკვლევარს რომ ეთნოგრაფიული მონაცემები გაეთვალისწინებინა, არ გაუძნელდებოდა იმის თქმა, რომ ეს კომლი წარმოადგენდა გადმონაშთის სახით შეჭონახულ საოჯახო თემს, რამდენადაც საოჯახო თემი აერთიანებდა რამდენიმე საქორწინო წყვილს. ხოლო ნ. გრიცენკოს მიერ კომლად სახელდებული გაერთიანება ზუსტად ასეთი სტრუქტურის მქონე ერთეულად წარმოგვიდგება.

* * *

როგორც ზემოთ განხილული ლიტერატურიდან ჩანს, საკვლევი საკითხის შესახებ დღემდე მცირედი, მაგრამ სარწმუნო ცნობები დაგროვდა. მკვლევარნი არ იფარგლებიან ზოგადთეორიული არგუმენტებით და უმეტეს შემთხვევაში თავიანთი დასკვნების წყაროდ იყენებენ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადგენილ ფაქტობრივ მასალას.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურაში აღბეჭდილი ცნობების მიხედვით ჩაჩნეთ-ინგუშეთში საოჯახო თემის არსებობა ეჭვს არ ბადებს, მაგრამ მარტო ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეუძ-

---

[18] Н. Гриценко, К вопросу о социально-экономических отношениях в Чечено-Ингушетии в пореформенный период, ИЧИНИИ, IV, вып. I, Грозный, 1964, стр. 19—20.

ლებელი იქნებოდა ოჯახის ფორმების შესწავლა. აღნიშნული ხარვეზის შევსებას ისახავდა მიზნად ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოწყობა და მასალების შეგროვება ჩაჩნეთ-ინგუშეთში.

ლიტერატურაში გაბნეული ცნობებისა და ადგილზე ჩაწერილი ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით ჩვენთვის ახლა სავსებით ნათელია, რომ ჩაჩნეთ-ინგუშეთში ინდივიდუალური ოჯახის გვერდით არსებობას განაგრძობდა სამ-ოთხ თაობამდე გაუყრელად მყოფი ოჯახი, რომლის შმართველობა სქესისა და ასაკის მიხედვით ხდებოდა, ხოლო შრომის ორგანიზაცია კოლექტიურ პრინციპებს ემყარებოდა.

ასეთი ოჯახების არსებობაზე პირველ რიგში მიგვითითებენ ხალხური გადმოცემები და ცალკეული ოჯახების გენეალოგები. ჩვენ მიერ დამოწმებული ფაქტები ამ მხრივ მეტ-ნაკლები სისრულისაა. ერთ შემთხვევაში მთხრობელი მხოლოდ ოჯახის წევრთა მიახლოებით რიცხვსა და მისი მეთაურის სახელს გვაცნობს. გვაქვს შედარებით ხელსაყრელი მდგომარეობაც, როდესაც მთხრობლის ნაამბობზე დაყრდნობით ხერხდება ოჯახის შემადგენლობის მეტ-ნაკლები სიზუსტის აღდგენა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ხელთ არსებული მასალები ძირითადად გვაცნობს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ვითარებას. ჩავიწერეთ ზოგიერთი ისეთი გადმოცემაც, რომელიც კონკრეტულობის თვალსაზრისით ნაკლულია, მაგრამ საყურადღებოა თავისი სიძველით, რამდენადაც დიდ ოჯახებად ცხოვრების ტრადიციის მაუწყებელია. და ბოლოს, ზოგიერთი ფაქტი იმის მაჩვენებელიცაა, რომ საოჯახო თემის გადმონაშთებმა XX საუკუნის დასაწყისამდეც კი მოაღწიეს.

ისევე როგორც ლიტერატურული მონაცემების, ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვითაც საოჯახო თემის გადმონაშთები ინგუშეთში უფრო ხანგრძლივად და კარგად იყო შემონახული, ვიდრე ჩაჩნეთში. ამიტომ, პირველ რიგში, გავეცნობით ფაქტობრივ მონაცემებს ინგუშური ოჯახის შემადგენლობის შესახებ, როგორც ძირითად წყაროს, ხოლო შემდეგ განვიხილავთ ჩაჩნეთში შეკრებილ მასალებს.

•

• •

ინგუშური ოჯახის შემადგენლობის დასადგენად საყურადღებოა გადმოცემა ჩანიევების შესახებ. ამ გადმოცემის თანახმად, წარმოშობით ისინი ჩაჩნები არიან, რომელთა წინაპარი ჩანი თავისი სამი ვაჟით დიდძალი ცხვარ-ძროხის პატრონი იყო. პირუტყვის მომვლელად მათ დაქირავებული ჰყავდათ რამდენიმე მწყემსი, რომელ-

თა სარქლობა (ხელმძღვანელობა) მინდობილი ჰქონდა ჩანის ერთ-ერთ ვაჟს — ხუჩბარს. როგორც გადმოცემა გვაუწყებს, მეზობელი მეჯოგის მწყემსებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს ხუჩბარს ცხრა კაცი შემოაკვდა. მოსისხლეთაგან მოსალოდნელი შურისძიების შიშით ხუჩბარი ინგუშეთის სოფ. პელინგში გაიხიზნა და კვალის დაფარვის მიზნით მამის სახელი გვარად მიიღო.

მომხდარი ინციდენტიდან დღემდე მთხრობელი თეზბოთ თეპციძე ჩანიევი (დაბად. 1885 წ.) 14 თაობას ვარაუდობს. აქედან მან გაიხსენა მხოლოდ 11 ეპონიმის სახელი შემდეგი თანმიმდევრობით: ჩან→ ხუჩბარ→იტირ → ჩან → იტის→ფილქ → ლარშაკ→ლოთექ→ ქუსარ→თეპც თეზბოთ.

როგორც მთხრობელმა აღნიშნა, ამ გენეალოგიაში ეპონიმთა სახელები გამოტოვებულია ჩანიდან ვიდრე ლოთექამდე. ლოთექის შემდეგ კი თაობათა წინაპრების სახელები ზუსტი თანმიმდევრობითაა დალაგებული. ჩვენთვისაც სწორედ გენეალოგიის ამ ბოლო ნაწილს აქვს არსებითი მნიშვნელობა, რამდენადაც ლოთექი — ხუჩბარიდან მეათე თაობის წარმომადგენელი, იმ გაუყრელი ოჯახის უფროსი იყო, რომელშიც, გარდა ქალებისა და ბავშვებისა, 30 შრომისუნარიანი მამაკაცი ირიცხებოდა.

როდესაც უკვე მეოთხე თაობა შედიოდა სიმწიფის ასაკში, მოხდა მისი გაყრა სამ ნაწილად. მათ სათავეში მოექცნენ ლოთექის შვილები — ქუსარ, ჯმახ და არტახ.

ახალი ოჯახების უფროსებთან ერთად მთხრობელმა ჩამოთვალა მომდევნო თაობების მამაკაცთა სახელებიც, მაგრამ 30-ის ნაცვლად მან გაიხსენა მხოლოდ 17 შრომისუნარიანი მამაკაცის სახელი და საბოლოოდ მივიღეთ ოჯახის გენეალოგიის არასრული სქემა (სქემა I).

გაუყრელად ცხოვრების წესზე ზოგიერთი ცნობაა შემონახული გაგიევების გვარის შესახებ არსებულ ხალხურ გადმოცემაშიც, რომლიდანაც ჩანს, რომ ამ გვარის სახელწოდება წარმოსდგება მისი ეპონიმის — გაგი-ს სახელიდან. კილარ გამიშის ძე საფრალიევის (დაბ. 1882 წ.) ხელით დაწერილი გენეალოგია, რომელსაც ჩვენ მთხრობლის ოჯახში გავეცანით, გაგის ცხოვრებიდან დღემდე 14 თაობას მოიცავს. თვითონ კილარი მე-12 თაობის წარმომადგენელია (სქემა II).

როგორც მთხრობლებმა აღნიშნეს, ამ გვარში ოდითგანვე დიდ ოჯახებად ცხოვრების წესი იყო დამკვიდრებული. გვარის ისტორიის ამა თუ იმ საფეხურზე ასეთი ოჯახების აღწერისათვის კონკრეტული მასალის დადგენა დღეს შეუძლებელია, მაგრამ შთამომავლობისთვის ის კი ცნობილია, რომ მათი წინაპარი გაგი თავისი სამი შვილითა და შვილიშვილებით ცხოვრობდა სოფ. თარგიმის ბოლოში, მდ. ას-

ის მარჯვენა ნაპირზე. გადმოცემა იმასაც გვაუწყებს, რომ გაგის მეთაურობით მცხოვრები ოჯახი 25 სულს მოიცავდა, რომელთა ბინას წარმოადგენდა დღემდე გ ა გ ი ღ ა ლ-ის სახელწოდებით შემონახული ნანგრევი.

გადმოცემის მიხედვით, ერთ-ერთი გაუყრელი ოჯახის მეთაური იყო აგრეთვე არჭყოი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ნასოფლარ გ ა გ ი ღ ა ლ ა შ-ის მოგვიანო სახელი ა რ ჭ ყ ო ი ღ ა ლ ა შ. გაგის მიერ აშენებულ საცხოვრებელს ადრე თუ გაგის სახელით მოიხსენიებდნენ, მომდევნო თაობამ სამოსახლო ადგილის სახელწოდება თავიანთი უშუალო ეპონიმის — არჭყოს სახელს დაუკავშირა.

დიდი ოჯახის არსებობა ამ გვარში დაკავშირებულია გენეალოგიაში ხსენებული მეორე გაგის სახელთანაც, რომელიც სქემაზე აღნიშნულია, როგორც მეხუთე თაობის წარმომადგენელი. გადმოცემამ შემოგვინახა მასთან ერთად მცხოვრები ოთხი შვილის სახელიც. სამეთა შორის, საინტერესოა, რომ მისი უფროსი ვაჟის — ბალხას შვილი იყო საფრალი, გაგიევების გვარიდან გამოყოფილი საფრალიევების ეპონიმი, რომელიც თავის დროზე მეთაურობდა ოთხ თაობამდე გაუყრელად მცხოვრებ ოჯახს. სამწუხაროდ, მთხრობელმა ვერ გაგვაცნო ვერც ამ ოჯახის სრული შემადგენლობა და ვერც მისი ეკონომიური ყოფა. ამიტომ ჩვენ ვჯერდებით არსებული შესაძლებლობის მიხედვით შედგენილ სქემას (სქემა III).

ასევე ნაკლული სქემა შედგა ჯარიახის ხეობის სოფ. ხარპში გაუყრელად მცხოვრები განიზ, ოაზონგ და არაფხან მატიევების შესახებ არსებული გადმოცემის მიხედვითაც. მაგრამ სადულას ძე მატიევის (დაბ. 1910 წ.) ინფორმაციის საფუძველზე ჩვენ აღვადგინეთ მხოლოდ განიზის შთამომავლობის სახელები (სქემა IV), მაგრამ ამის მიუხედავად მაინც ნათლად ჩანს, რომ ოჯახი სამ თაობამდე გაუყრელად ცხოვრობდა და საკმაოდ მრავალრიცხოვანიც იყო.

სამ თაობამდე გაუყრელად უცხოვრია აგრეთვე ციცქიევების ერთ-ერთ ოჯახს ჯარიახის ხეობის სოფელ ებნში. ეს ოჯახი ასევე გაუყრელი იყო, როდესაც „დ ლ ი ნ ა ი ა დ ა ლ ი ნ ა შ ი" ჩამოსახლდა (სქემა V).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ციცქიევების თავდაპირველ სამშობლოდ მიჩნეულია ასის ხეობის სოფ. თარგიმი. გვარის მოთავედ გვევლინება ნერთ, რომლის შთამომავლობა 15 თაობას ითვლის. ნერთიდან მერვე თაობაზეა ციცქიევების ეპონიმი ციცქ, რომელსაც ჰყოლია 4 ძმა — მარზახ. წიეჰაშ, ჰხუქ, ხარსი. ხუთივე ძმას გაუყრელად უცხოვრიათ შვილებითა და შვილიშვილებით.

ასის ხეობის სოფ. თარგიმიდან ჯარიახის ხეობის სოფ. ებნში ჩამოსახლებული ციცქიევების ერთი ნაწილი თუ ბოლო დროს ებნიდან „ლინაია დალინაში" ინაცვლებს, მეორე შტო საცხოვრებლად გადადის სოფ. ბალთაში (სქემა VI).

მთხრობელმა მაგამედ მურთუზას ძე ციცქიევმა (დაბ. 1900 წ.) გადმოცემით იცის, რომ სოფ. ებნში გაუყრელ ოჯახად ცხოვრობდა ჯერ ჰაშის და შემდეგ ილიეზის შთამომავლობა. ჰაშის შვილებიდან მან გაიხსენა მხოლოდ ილიეზი. სხვების სახელები მას არ ახსოვს, მაგრამ წინაპართაგან ის კი გაგონილი აქვს, რომ ჰაშის ოჯახი 27—29 სულისაგან შედგებოდა და სამი თაობა ერთ ჭერქვეშ ბინადრობდა.

ჰაშის სიკვდილის შემდეგ ოჯახი გაიყარა. ერთ-ერთი ახლად გამოყოფილი ოჯახის მეთაურობა წილად ხვდა ილიეზ ჰაშის ძეს. როგორც სქემიდან ჩანს, ილიეზს ჰყავდა ოთხი ვაჟი და სამი ქალი. დები უკვე გათხოვილი იყვნენ, ხოლო ძმები ცოლშვილიანები, როდესაც ილიეზის მეორე ვაჟი — ანზორი გამოეყო საერთო ოჯახს და სოფ. ბალთაში გადმოსახლდა. ანზორის ძმები კვლავ ერთ ჭერქვეშ განაგრძობდნენ ყოფნას სოფ. ებნში 1910 წლამდე. გაყრის მომენტში ეს ოჯახი 37 სულს ითვლიდა. სამწუხაროდ, მთხრობელმა შესძლო მხოლოდ ბ-ბოთის შთამომავლების გახსენება (სქემა VI).

1910 წელს ოჯახი სამ ნაწილად გაიყო. ებნიდან ბალთაში გადმოსახლების გამო სულ მალე მოხდა თითოეული ამ ახალი ოჯახის დანაწილებაც. ბიბოთის უფროსობით გამოყოფილი ოჯახი თავის მხრივ ოთხად გაიყო; აქედან ჰოუდი უძეოდ მოკვდა, ხოლო სამი ძმა სამ დამოუკიდებელ ოჯახად დამკვიდრდა.

დიდ ოჯახებად ცხოვრების ტრადიცია დამახასიათებელია ინგუშთა სხვა გვარების წარსულისთვისაც. მთიელთა ყოფაში დიდხანს შემონახული ამ წესის შესახებ მოგვითხრობს ნაზრანელი იბრაგიმ ძამოის ძე ბარახოვი (დაბ. 1867 წ.). მისი ცნობით, სოფ. მეცხალში, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ ძმები გატალა (უშვილო), არპი (თავისი სამი შვილით — ჯანდარ, თიბი, ჯამბოთ) და მეთუკ (სამი შვილით — ჰადის, ბექბოთ, ჯინალ) ქათიევები. ოჯახის გაყრამდე შვილებიანი ყოფილან ჯანდარი, მისი ძმები და ბიძაშვილები. გაუყრელად ცხოვრება გრძელდებოდა ამ ოჯახის შთამომავალთა შემდგომ თაობებშიც. მთხრობელი ისე წამოვიდა მთიდან, რომ 15-სულიანი ოჯახი ჰაუდის უფროსობით კვლავ ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა.

იმავე მთხრობლის ცნობით, 16 სულისაგან შედგებოდა 1917 წელს სოფ. ფალხანიდან ნაზრანში ჩამოსახლებული ბარახოევების ოჯახი. ერთად ცხოვრობდნენ მთხრობლის მამა ძამოი და ძამოის ბიძაშვილი თემურყო. მთხრობელმა ვერ გაიხსენა თემურყოს შვილები

სახელები. რაც შეეხება ძამოის, მას ჰყავდა ექვსი ვაჟი (ყახარმ, მესლორ. სადალ, ბადალ, იბრაგიმ, მურწალ) და ორი ქალი (ძელბიქ, ფეტიმათ).

ერთად ცხოვრების წესად არსებობის შესახებ საყურადღებო ცნობაა შემონახული ცუროვების თავგადასავალიდან. არცხო ისას ძე ცუროვის ცნობით, თარგიმიდან ჯარიახში საცხოვრებლად გადმოვიდნენ ცუროვების წინაპრები — მამა ხუთი შვილით. ამ ხუთი ძმიდან ოთხი გაერთიანებული იყო „ღერ"-ში (რაზმში, რომელიც მეკობრეობას ეწეოდა). სულ უმცროსი — მეხუთე ძმა ასეთ რაზმში მონაწილეობაზე უარს ამბობს. ნადავლის მოპოვების მიზნით ხევსურებზე ერთ-ერთი თავდასხმის დროს ოთხივე ძმა დაიღუპა. გადარჩენილ მეხუთე ძმაზე მოდიან ცუროვები. ხუთი ძმის ერთად ყოფნის შესახებ დაცული ეს ხალხური გადმოცემაც გაუყრელად ცხოვრების ტრადიციის მაჩვენებელია.

ხუთი ძმისა და მათი შთამომავლების ერთად ცხოვრების პაუწყებელი, მაგრამ ზემოხსენებულთან შედარებით გაცილებით გვიანდელი ვითარების ამსახველი ცნობა დამოწმდა შოუხალოვების გვარშიც. მხედველობაში გვაქვს მაირის, მისი ხუთი შვილის (მარწალ, ამა, ბაისოლდ, ვოქსაკ, საი) და შვილიშვილების ერთად ცხოვრების შესახებ სოფ. ბეინში დადგენილი ფაქტი.

თავისი განვითარების როგორც ადრინდელ ეტაპზე, ისე მოგვიანო პერიოდისათვის დიდ ოჯახებად ცხოვრება ნიშანდობლივ მოვლენას წარმოადგენდა ოზდოევების გვარში. სელმურზა მუსას ძე ოზდოევმა დაგვისახელა ამ გვარის რამდენიმე თაობის ეპონიმი (სქემა VII).

მთხრობლის მიერ დასახელებული პირები (ყორი, მეჭელ, ყირგი, სოლომ, გირი) გვევლინებიან საოჯახო თემების მეთაურებად, მაგრამ მთხრობელი გენეალოგიის ზედა საფეხურებს თუ მხოლოდ ოჯახის მეთაურთა სახელების აღნიშვნით გვაცნობს, შედარებით უკეთ იცის მან ოზდოევების წარსულის შემდგომი ვითარება, როდესაც გირის ნაცვლად ოჯახის უფროსის ადგილს იკავებს მისი შვილი ჰოქოყო (მთხრობლის პაპა). ჰოქოყოს ჰყავდა სამი ცოლშვილიანი ვაჟი, რომლებიც მამის გარდაცვალების შემდეგ კვლავ ერთ ოჯახად განაგრძობდნენ ცხოვრებას უფროსი ძმის მუსას მეთაურობით. ჰოქოყოს გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ისინი სამ ოჯახად გაყრილან მაშინ, როდესაც 100 წლის მთხრობელი 7—8 წლისა ყოფილა. სელმურზამ აქვე გაგვაცნო თავისი ოჯახის შემადგენლობა, რომელსაც ძმებთან გაყრის შემდეგ კვლავ მუსა ხელმძღვანელობდა. როგორც სქემაზეა აღნიშნული, მუსას ჰყავდა ხუთი ვაჟი, ხუთივე ცოლშვილიანი. ეს ოჯახი დიდხანს იყო გაუყოფელი. გაიყარნენ მხოლოდ 1924

წელს, როდესაც მთიდან ბარში ჩამოსახლდნენ. ამ დროს ოჯახს მეთაურობდა სელმურზა (მთხრობელი), ვინაიდან მუსა უკვე გარდაცვლილი იყო.

ძველად მთაინგუშეთში დიდ ოჯახებად ცხოვრების წესი რომ არსებობდა, ეს კარგად ჩანს სოფ. ხულში მცხოვრებ გვართა შესახებ არსებული გადმოცემის მიხედვითაც. როგორც მთხრობელი ჯიბრაილ ყახარმას ძე ილიევი (დაბ. 1890 წ.) გვაუწყებს, აქ ოდითგანვე დამკვიდრებული იყო ოთხი გვარი — ჩახკიევ თეიფა, ბორძუ თეიფა, ხაძიევ თეიფა და ილიევ თეიფა. სხვა მხრიდან მათი მოსულობის შესახებ აქ არავითარი ცნობა არ არის შემონახული. წინაპრების ნაამბობიდან მთხრობელმა მხოლოდ ის იცის, რომ თავისი სოციალური მდგომარეობით ოთხივე გვარი მიეკუთვნებოდა საშუალო წოდებას — ი უ ყ ი ე რ ნ ა ბ-ს. ამასთან ერთად ისიც კარგად იციან ხულელებმა, რომ თითოეული ზემოხსენებული გვარის სახელწოდება უშუალოდ მათ ეპონიმთა სახელებიდანაა გამომდინარე. ამის შესაბამისად წინაპართა ასეთი სახელები დგინდება: ჩახკ, ბორძ, ხაძ და ილი.

ამჟამად ჩახკიევ თეიფა მოიცავს რვა კომლს, ბორძუ თეიფა — სამ კომლს, ხაძიევ თეიფა — ორ კომლს. ხოლო ილიევ თეიფა ყველაზე დიდია და 42 კომლისაგან შედგება. ამ მხრივ სხვა ვითარება დგინდება იასული საუკუნის მიწურულისათვის. მთხრობლის ახალგაზრდობაში პირველი მათგანი შედგებოდა 20 კომლისაგან, მეორე ითვლიდა 10 კომლს, მესამე — 15-ს, ხოლო მეოთხე თეიფა 30 კომლს მოიცავდა. ასეთი მკვეთრი ცვლილების მიზეზი იყო მთიდან ბარში მასობრივი ჩასახლება.

როგორც თანამედროვე მონაცემების მიხედვით, ისე მთხრობლის ახალგაზრდობისდროინდელი მასალების შესაბამისად, სოფ. ხულშ-პატარა ოჯახებად ცხოვრების წესია გაბატონებული. მხოლოდ თითოეროლა შემთხვევა თუ შეიძლება გაიხსენოს იქაურმა მკვიდრმა, რომელიც გადმონაშთური ფორმით დიდი ოჯახის შემონახულობაზე მიგვანიშნებს. სამაგიეროდ წინაპართა გადმოცემით ყველამ კარგად იცის, რომ სოფ. ხულის შორეულ წარსულში სულ ოთხი ციხე-სახლი იდგა და თითოეულ მათგანში თითო ზემოხსენებული თეიფა ცხოვრობდა გაუყრელი ოჯახის სახით. სამწუხაროდ, ადრინდელი ოთხსაოჯახო თემიდან ვერც ერთის აღწერა ვერ ხერხდება. ფაქტობრივი მასალის ცოდნა თაობათა მეხსიერებიდან თანდათანობით გაქრა. ჩვენამდე მხოლოდ გვიანდელი ვითარების ამსახველი მასალა შემოინახა. ამ მხრივ საინტერესო ცნობა მოგვაწოდა მთხრობელმა იმ საოჯახო თემის შესახებ, რომელიც გადმონაშთური ფორმით იყო შემონახული

ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე და რომლის ერთ-ერთი წევრი თითონაც იყო. ჩვენ მიერ შედგენილი სქემის მიხედვით ეს ოჯახი 53 სულს ითვლიდა და სამ თაობას მოიცავდა (სქემა VIII), მაგრამ გაყრის მომენტში 53 სულის ნაცვლად, მთხრობლის ვარაუდით, ირიცხებოდა 40-მდე სული, ვინაიდან ქალების ნაწილი უკვე გათხოვილი იყო, ხოლო ოჯახის ზოგიერთი წევრი გარდაცვლილი. სქემა სავსებით ზუსტ სურათს არ იძლევა იმის გამოც, რომ მთხრობელმა ვერ გაიხსენა ამ ოჯახის რძლების სახელები. მაგრამ ზემოხსენებული მონაცემების მიხედვითაც აშკარაა, რომ ოჯახი სამ თაობას აერთიანებდა და საკმაოდ მრავალრიცხოვანიც იყო.

სოფ. ხულში დამოწმებული ვითარება დიდ ოჯახებად ცხოვრების ტრადიციის გვიანობამდე შემონახულობის დამადასტურებელია. აღნიშნული მოვლენის ადეკვატურია სოფ. ბეინში ჩვენ მიერ ფიქსირებული ფაქტიც. კასირად ჰადისის ასულ მურზაბეკოვას (დაბ. 1903 წ.) ცნობით, ბეინში გაუყრელად ცხოვრობდა ოჯახი, რომლის დიასახლისიც თითონ მთხრობელი იყო, ხოლო ოჯახის უფროსი მისი მეუღლე უედი. ადვილი წარმოსადგენია თუ რამდენად გვიანდელ მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე და როგორ უნდა ყოფილიყო შემონახული საოჯახო თემის გადმონაშთები იქ, სადაც 1903 წელს დაბადებულ ქალს გაუყრელი ოჯახის დიასახლისობა ჰქონდა მინდობილი.

გაყრის წინ ოჯახი შედგებოდა 20 სულისაგან. უედისა და კასირატს ჰყავდათ რვა შვილი: კამბულატ, ბანათი, ლეკმა, სახარ, მაგამეტბაშირ, ახმეტ. დაუდ, ბაშირ. უედისთან ერთად ცხოვრობდა მისი სამი ძმაც: ომარ, ასხაბ და ოსმან, რომელთაგან ცოლშვილიანი იყო მხოლოდ ომარი. ომარსა და მის მეუღლე ფატიმათს ჰყავდათ ექვსი შვილი: ლიდა, იუსუპ, იუნუს, ლუბა, მაგამეტ, ახმეტ.

*

* *

ჩაჩნეთში გადმონაშთური ფორმით არსებული საოჯახო თემის შემადგენლობის შესწავლა კონკრეტული ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე დღეს უკვე შეუძლებელია. გაუყრელად ცხოვრების ტრადიციას შეიძლება გავეცნოთ მხოლოდ გვარების შესახებ არსებული ხალხური გადმოცემების მეშვეობით.

ჩვენ მიერ ჩაწერილი ერთ-ერთი ასეთი გამოცემის[19] მიხედვით, არღუნის ხეობაში მდებარე სოფ. ითუმ-კალის პირველი მკვიდრი და

---

[19] ლიტერატურაში ვხვდებით ამ გადმოცემის სხვადასხვა დროს ჩაწერილ ვარიანტებს (А. Россикова. Путешествие по центральной части Горной Чечни. ЗКОИРГО, XVIII, Тифлис. 1896, стр. 212—213; Н. Иваненков.

დამაარსებელი ყოფილა საქართველოდან მოსული ვინმე ითონი. მას აქ პირველს აუშენებია რა ციხე-სახლი (ღალ), შემდეგში სოფლისთვისაც დაურქმევიათ ითონ-ღალ, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ითონის სიმაგრეს, ითონის ციხე-სახლს, სოფლის სახელი გვხვდება სხვა ფორმითაც (ითონ-ქალა, ითონ-ღალა, ითონ-[illegible] [illegible] შ.)[20]. მაგრამ ყველა არსებული ვარიანტის მიხედვით სოფლის სახელწოდება მაინც მის დამაარსებლად მიჩნეული პიროვნების სახელს უკავშირდება.

ამ გადმოცემის საფუძველზე საშუალება მოგვეცა ადგილზე დაგვემოწმებინა რამდენიმე ვარიანტი ითონის შთამომავლობის გენეალოგიისა, რომლის სხვადასხვა საფეხურზე დასტურდება გაუყრელად ცხოვრების ფაქტები. ამ გენეალოგიის პირველი ვარიანტის მიხედვით, თავდაპირველად ერთ ოჯახად უცხოვრიათ ქელისა და მის ხუთ ვაჟს (სქემა IX). შემდეგში ბაქმადი და ეკი გადასახლებულან ჩანთაში, ჰამადი წასულა ყოქოდოიში, ხოლო მურთაზ და ბორძ ითუმკალში დარჩენილან და მათ შვილებსაც ცოლებითა და შვილებით ჰამადთან ერთად გაუყრელად უცხოვრიათ.

მეორე ვარიანტის მიხედვით (სქემა X), წინაპრად გვეყოლებოდა ქართველი, სახელად ბერი, რომლის მეთაურობით თავდაპირველად საქართველოში გაუყრელად უცხოვრიათ მის შვილს ლუნგისა და სამ ვაჟს, ხოლო შემდეგ ეს სამი ძმა გაუყრელადვე ჩამოსახლებულა ჩაჩნეთის მთიანეთში, როგორც გენეალოგია გვიჩვენებს. შემდეგომ საფეხურებზე თაობათა ცვლა თითო კაცზე მიმდინარეობს. ხოლო მეცხრე თაობის წარმომადგენელს — ბაყას ჰყოლია ხუთი შვილი, რომლებიც თავიანთი ცოლებითა და შვილებით ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ ექვსსართულიან კოშკში. 1898 წელს დაბადებული მთხრობელი აბდულ მიზაევი რვა-ცხრა წლისა ყოფილა მაშინ, როდესაც სულ ზედა სარ-

---

Горные чеченцы. ТС. VII. Владикавказ, 1910, стр. 8—10; შდრ. М. Косвен. Этнография и история Кавказа. Москва. 1961, стр. 29; А. Шавхелишвили, Из истории взаимоотношений между грузинским и чечено-ингушским народами, Грозный, 1963, стр. 41.

[20] ღალ ნიშნავს სიმაგრეს, ქალაქს, კოშკს, სასახლეს (Чечено-русский словарь, М., 1961, სიტყვასთან ღალ; А. Робакидзе, Жилища и поселения горных ингушей, КЭС, II, Тбилиси, 1968, стр. 48). უშუალოდ ამასთან დაკავშირებით განიხილავს ა. შავხელიშვილი დასახლების ისეთ სახელწოდებებსაც, როგორიცაა ითუმ-ქალ და კე-ქალ (А. Шавхелишвили, К вопросу о переселении чечено-ингушских плечен с гор на равнину, ИЧИРКМ, вып. 10, Грозный, 1961, стр. 119. შემდეგ გამოქვეყნებულ ნაშრომში ა. შავხელიშვილმა აღნიშნა, რომ ამ სოფელს ჩაჩნურად ეწოდება ითონ-ქალ (А. Шавхелишвили, Из истории взаимоотношений между грузинским и чечено-ингушским народами, Грозный, 1963, стр. 41).

თულზე თურმე იძინებდნენ ბაყა და მისი ცოლი. სხვა დანარჩენი სარ-თულებიც ასევე ზემოდან ქვემოთ უფროს-უმცროსობით ყოფილა გამო-ყენებული ისე, რომ უმცროს ძმას ყოფნა უწევდა პირველ სართულ-ზე.

ჯინეალოგიის მესამე ვარიანტი (სქემა XI) შედარებით უფრო სრულ წარმოდგენას გვაძლევს ბერისა და ლუნგის შთამომავლობაზე. ლუნგის სამი შვილიდან ორი ძმის შტო მიახლოებით აღვადგინეთ, რომელთაგან ერთის უშუალო წინაპარი იყო ითონი, ხოლო მეორისა ღალა. პირველ შტოს დღეს ეწოდება გუჩიქ თეიფა — ითონის შთა-მომავალის გუჩიქის სახელის მიხედვით, ხოლო ღალას მოდგმის სა-ხელია ფაადალუროი თეიფა. როგორც მთხრობელმა ჯიბრაილ აცაევ-მა (დაბად. 1898 წ.) წინაპართა გადმოცემაზე დაყრდნობით აღნიშნა, ამ თეიფადან ღენჩი, მისი სამი ვაჟი (ჩაბორძ, ჰონერგ, მეთეშ) და მათ-შვილები, რომელთაგან აქ მხოლოდ მეთეშ-ის შვილებია დასახელებუ-ლი, ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ.

გაუყრელად ცხოვრების ტრადიციის მაჩვენებელია აგრეთვე სოფ. შატოიში ვაგაფ შამილიოვის (დაბად. 1894 წ.) ინფორმაციაზე დაყრდნობით შედგენილი გენეალოგია(სქემა XII), რომლიდანაც საყურადღებოა მერვე თაობის წარმომადგენლად დასახელებული ალხასტის შთამომავლობა. ჯერ ერთ ოჯახად უცხოვრიათ ალხასტის, მის ძმასა და ალხასტის ხუთ ვაჟს, ხოლო შემდეგ ყოველი დიდი ოჯა-ხის სათავეში ვხედავთ ალხასტის შვილებს. ბოლოს, როდესაც ეს ოჯახები დანაწევრდა და ამის საფუძველზე წარმოიშვა ახალი ნათესა-ური გაერთიანებანი, თითოეულმა მათგანმა მიიღო თავისი უახლოესი ეპონიმის — ადრე არსებული საოჯახო თემის მეთაურის სახელი. ამიტომ გენეალოგიაში გვხვდება ე ს პ ი ვ ა რ ანუ ე ს პ ი ნ ე ყ ი ე, ისევე, რო-გორც ბ უ ლ ა ჩ ვ ა რ ანუ ბ უ ლ ა ჩ ნ ე ყ ი ე. ამ შემთხვევაში ვ ა რ და ნ ე ყ ი ე—ეს ორი სხვადასხვა სიდიდისა და შინაარსის მქონე სოციალური ერთეულების აღმნიშვნელი ცნებები მთხრობლის მიერ შინაარსობლივად გაიგივებულია, ვინაიდან თანამედროვე ჩაჩნეთში ამ ტერმინების თავდაპირველ მნიშვნელობაში ყოველთვის ვ ე ლ ა რ ერკვევიან[21]. სინამდვილეში ნ ე ყ ი ე-ზე უფრო დიდი ერთეულია

---

[21] მ. შამაკაევის ინტერპრეტაციით, ნათესაობის ყველაზე დიდ გაერთიანებას ჩაჩნეთში შეადგენდა თ უ ხ უ მ ი (туххум), რომელშიც შედიოდა რამდენიმე თ ე ი ფ ა (тайп || тайф), ანუ ვ ა რ (ваьр). ამ ორ ტერმინს შორის აუტორი განსხვა-ვებას მხოლოდ იმ მხრივ ხედავს, რომ თეიფა არაბულიდანაა შემოსული, ხოლო ვარ ჩაჩნური სიტყვაა. თეიფაში ანუ ვარში გაერთიანებული ყოფილა რამდენიმე მასზე პატარა სოციალური ერთეული—ე. წ. გ ა რ (гар). თავის მხრივ გარ იყოფოდა რამ-

ვ ა რ, ისევე, როგორც ხევსურული გ ვ ა რ ი უფრო დიდია, ვიდრე მ ა-მ ა ნ ი[22]. .ეს პატრონიმიული ერთეულები შედიოდნენ თეიფის შემადგენლობაში. ამიტომაა, რომ წარმოდგენილ სქემაზე დატანილი ამ ერთეულების საერთო სახელწოდებაა ა ლ ხ ა ს ტ თ ე ი ფ ა, რამდენადაც ალხასტი იყო მათი საერთო წინაპარი.

ჩაჩნეთის ისტორიულ წარსულში რამდენიმე თაობის გაუყოფელად ცხოვრების ტრადიცია კარგად ჩანს აგრეთვე საცხოვრებელი ნაგებობების მიხედვითაც. მთიელი ჩაჩნები ცხოვრობდნენ ერთვალსართულიან ციხე-სახლებში, რომლის, პირველი სართული გამოიყენებოდა საქონლის სადგომად, ხოლო ზედა სართულები ოჯახის სამყოფად და თავდასაცავად. ჩვეულებისამებრ საცხოვრებელი სახლი იდგა საბრძოლო კოშკის გვერდით. „თავდაცვის დროს კოშკებში იხიზნებიან ქალები და ბავშვები. ზედა სართულიდან იცვენ მათ შეიარაღებული მამაკაცები"[23]. საცხოვრებლად გამოყენებული კოშკური ტიპის სამსართულიანი სახლები უმთავრესად გავრცელებული იყო ჩაჩნეთის მთიანეთის ღასავლეთ რაიონებში. მთიანი ჩაჩნეთისათვის ძირითადად დაბახასიათებელი ყოფილა ქვის ორსართულიანი ნაგებობა[24]. მაგრამ ორსართულიანი საცხოვრებელი, რომლის ქვედა სართული ბოსელს წარმოადგენდა, ხოლო ორი ოთახისაგან შედგენილი ზედა სართული საცხოვრებლად გამოიყენებოდა, ძირითადად მაინც ინდივიდუალური ოჯახის არსებობას შეესაბამებოდა და მის მოთხოვნილებას პასუხობ-

---

ღენიმე ნ ე ყ ი ე-დ (некьи), ნეყიე-ში შედიოდა რამდენიმე წ ა (ц | а,), რომელსაც მ. მამაკაევი უწოდებს ფამილიას, ხოლო წა-ში გაერთიანებული ყოფილა რამდენიმე ოჯახი—დ ი ე ზ ა ლ (дьзал) (М. М а м а к а е в, Чеченский тайп (род) и процесс его разложения, Грозный, 1962, стр. 10);

ბ. კალოევი გარსა და ნეყიე-ს აიგივებს, როდესაც წერს: «Тайпы делились на более мелкие близкородственные группы, так называемые н е к ь е или г а р, объединявшие от 10 до 50 родственных дворов» (Народы Кавказа, I, стр. 366).

გარსა და ნეყიე-ს შორის იგივეობის ნიშნის დასმა აშკარა შეცდომაა. მით უფრო დაკარგული ჩანს სოციალური ტერმინების შინაარსი ხალხში, როდესაც ისინი ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობენ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული სოციალური გაერთიანებების აღმნიშვნელ ისეთ ცნებებს, როგორიცაა ვარ და ნეყიე. მ. მამაკაევის მიერ წარმოდგენილი სქემაც არ უნდა იყოს ზუსტი, მაგრამ ის მაინც უფრო დამაჯერებელი ჩანს, ვიდრე მთხრობლის ცნობა ან ბ. კალოევის განმარტება.

ბოლო დროს ამ საკითხს ახალი ინტერპრეტაცია მიეცა (Р. Х а р а д з е, Некоторые стороны сельско-общинного быта горных ингушей, КЭС, II, стр. 173—179).

[22] შდრ. რ. ხ ა რ ა ძ ე, ხევსურული ძირი და გვარი, მიმომხილველი, I, თბილისი, 1949.

[23] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, თბილისი, 1964, გვ. 71 (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გ ე ლ ა შ ვ ი ლ მ ა).

[24] Народы Кавказа, I, стр. 359.

და· გადმონაშთური ფორმით შემონახული საოჯახო თემის საცხოვრებლად განკუთვნილი იყო მრავალსართულიანი ნაგებობა, ·რომლის შიგნით შემდეგაც განაგრძობდნენ ცხოვრებას საოჯახო თემის სეგმენტაციის საფუძველზე წარმოქმნილი ინდივიდუალური ოჯახები. ამის შესაბამისად ხდებოდა საცხოვრებელი ფართობის დანაწილებაც, რაც მრავალსართულიან ნაგებობაში, უმთავრეს შემთხვევაში, სართულების მიხედვით ხორციელდებოდა.

ფართობის განაწილების ამ პრინციპს ქვემოთ შევეხებით, ხოლო აქ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ საოჯახო თემის სეგმენტაციის საფუძველზე იქმნებოდა პატრონიმიული ხასიათის დასახლება. პატრონიმიის ჩამოყალიბების პროცესი ჯერ მიმდინარეობდა ერთი საოჯახო თემისათვის განკუთვნილი ნაგებობის შიგნით, ხოლო ოჯახების შემდგომი გამრავლების შედეგად იქმნებოდა მჭიდროდ დასახლებული პატრონიმიული უბანიც· ერთ სახლში რამდენიმე ოჯახის იზოლირებულად ცხოვრების, ე. ი. პატრონიმიის საწყისი მდგომარეობის შესახებ ცნობები გვხვდება ლიტერატურაშიც[25].

:ესათუოდ ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ ჩაჩნეთში დიდი ოჯახის ცხოვრება ყოველთვის არ არის დაკავშირებული დიდი საცხოვრებელი ნაგებობის არსებობასთან. არის შემთხვევა, როდესაც საოჯახო თემი ცხოვრობს მცირე ზომის სახლში. ამ მხრივ საგულისხმოა კ· განის დაკვირვება. როგორც ის წერს, ბევრ ადგილას მთიელი ჩაჩნები სიღარიბეს განიცდიდნენ და ვიწრო ბინებში ცხოვრობდნენ. სამაგალითოდ კ. განი ასახელებს შარო-არღუნის ხეობის სოფ. შიყაროის ერთ-ერთ სამსართულიან კოშკს, რომლის ქვედა სართულის ფართობი მოიცავდა 40—50 კვარდატულ ფუტს და გამოიყენებოდა 12 ოჯახის საცხოვრებლად[26].

ეს ფაქტი ჩვენთვის ორმხრივაა საინტერესო: ერთი იმიტომ, რომ იგი გვიჩვენებს საოჯახო თემის სეგმენტაციის პროცესს. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ერთ სამსართულიან სახლში (რომლის ფართობი სულ 120—150 კვადრატულ ფუტს აღწევდა) 12 ოჯახის თავმოყრა, თუ არა დიდი ოჯახის გაყრის ნიადაგზე. საყურადღებოა ეს ფაქტი იმიტომაც, რომ დიდი ოჯახის საცხოვრებლად დიდი სახლის გამოყენება ყოველთვის არ წარმოადგენდა გარდაუვალ მოვლენას.

---

[25] К. Г а н, Экскурсия в Нагорную Чечню и Западный Дагестан летом 1901 года, ИКОИРГО, XV, Тифлис, 1902, стр. 218; Г. В е р т е п о в, В горах Кавказа, ТС, вып. VI, Владикавказ, 1903, стр. 105.

[26] К. Г а н, დასახ. ნაშრომი, გვ. 218.

დიდი ოჯახის, როგორც იშვიათი ეთნოგრაფიული გადმონაშთის არსებობა დამოწმებულია ჩაჩნეთის ბარშიც XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში. ამის შესახებ საინტერესო ცნობებია ასახული გადასახადების გაწერის მიზნით 1886 წელს შედგენილ საკომლო დავთრებში. ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ სახელმწიფო არქივში დაცულ 100-ზე მეტი დავთრიდან 24 დავთარს სპეციალური მიმოხილვა მიუძღვნა ნ. გრიცენკომ[27], რომლის სამართლიანი შეხედულებით, ეს მასალა წარმოადგენს მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს ჩაჩნეთის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესწავლისათვის.

დავთრების სათანადო პუნქტებში ნაჩვენებია ოჯახის სულადობა, ოჯახის წევრ მამაკაცთა სახელები, გვარები, ასაკი, სარწმუნოება, განათლება და საქმიანობა, ხოლო ქალებისა მხოლოდ რაოდენობა. ამასთან ერთად აღწერილია ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა.

ნ. გრიცენკოს მიერ განხილულ ყველა დავთარში აღწერილია ჩაჩნეთის ბარის 24 სოფელი, სადაც კაპიტალისტური ურთიერთობის ნორმები იოლად იკაფავდნენ გზას. ამ მხრივ სრულიად განსხვავებული ვითარება სუფევდა იმავე დროის მთის სოფლებში, სადაც ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისათვის სათანადო პირობები არ არსებობდა. ამიტომ ნ. გრიცენკო აშკარა წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც ზემოაღნიშნულ დავთრებზე დაყრდნობით თავს უფლებას აძლევს იმსჯელოს მთიელი გლეხის საოჯახო ყოფაზე, მათს მეურნეობასა და საქმიანობაზე. შესაძლებელია ნ. გრიცენკო ამ შეხთხვევაში გულისხმობდეს მთიდან ჩამოსულსა და ბარად დამკვიდრებულ მოსახლეობას, მაგრამ ასეთი მიდგომა მაინც გაუმართლებელი იქნებოდა, რამდენადაც მოსახლეობის აღწერის მომენტში ყველა ოჯახი უკვე ბარელად ითვლებოდა და მათი ცხოვრება ბარულ ყაიდაზე იყო მოწყობილი. საოჯახო ყოფის შესწავლისას ამ გარემოებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ჩაჩნეთის მთა და ბარი, ისევე როგორც საქართველოს მთა და ბარი[28], სოციალური ურთიერთობის განვითარების მხრივ სხვადასხვა დონეზე იმყოფებოდნენ.

ხსენებულ ეპოქაში ოჯახის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა ინდივიდუალური ოჯახი. ისეთი ოჯახების რიცხვი, რომელთაგან თითოეული ხუთ სულს არ აღემატებოდა, შეადგენდა აღწერილი 24 სოფლის მოსახლეობის 58,2%, ექვს-ათსულიანი ოჯახებისა — 39,6%,

---

[27] Н. Гриценко, Посемейные списки селений—важнейший источник истории Чечено-Ингушетии последней четверти XIX века, ИЧИННИ, III, вып. I, Грозный, 1963.

[28] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბილისი, 1964; მ ა თ ი ვ ე, მთიულეთის სოფელი ძველად, 1965 და სხვა.

ოჯახებისა, რომელთაგან თითოეული 11—15 სულს ითვლიდა — 3%, ხოლო ისეთი ოჯახების რიცხვი, რომელთაგან თითოეულში 16 სულზე მეტი ირიცხებოდა, მოსახლეობის მხოლოდ 0,5% შეადგენდა[29].

24 საკომლო დავთარში სულ 30 ოჯახია დასახელებული, რომელთა სულადობა 16-დან 27-მდე მერყეობდა. ოჯახის ეკონომიური საფუძვლების გაცნობისას ქვემოთ დავინახავთ, რომ ზოგიერთ მათგანს რამდენიმე სახლი ჰქონდა. ის გარემოება, რომ ნ. გრიცენკოს მიერ დიდ ოჯახად სახელდებული ერთეული ორ, სამ, ოთხ და მითუმეტეს ექვს სახლში ცხოვრობდა, მანიშნებელია დიდი ოჯახის სეგმენტაციის საფუძველზე პატრონიმიული ერთეულის წარმოქმნისა, მაგრამ ვინაიდან ყველა ასეთი ერთეული ჯერ კიდევ გაუყოფელ ქონებაზე იჯდა და კოლექტიურად შრომობდა, საფიქრებელია, საქმე გვქონდეს არა ჩამოყალიბებულ პატრონიმიასთან, არამედ მისი შექმნის მოსამზადებელ საფეხურთან. აღწერილი ვითარება ნიშანდობლივ მიგვითითებს გარდამავალ საფეხურზე, როდესაც საერთო საკუთრების მფლობელი ოჯახი რამდენიმე სახლს აშენებს და მოსალოდნელი ინდივიდუალიზაციისათვის რეალურ ბაზას ქმნის.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, XIX საუკუნის მიწურულში გაუყრელად ცხოვრების ტრადიცია ბარადაც ცოცხლობდა. საკომლო დავთრებში აისახა გადმონაშთის სახით უმნიშვნელო რაოდენობით შემონახული დიდი ოჯახების ინდივიდუალურ ოჯახებად დანაწილებისა და პატრონიმიული უბნების შექმნის პროცესი.

*

* *

ოჯახის შემადგენლობის შესახებ ლიტერატურიდან მოტანილი ცნობები და ჩვენ მიერ ადგილზე შეკრებილი მასალა იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის მთელ სიგრძეზე ჩაჩნეთ-ინგუშეთში ჯერ კიდევ იყო შემონახული რამდენიმე თაობისა და მრავალი სულის ერთ ოჯახად ცხოვრების წესი. ამ ისტორიულად არსებულ ჩვეულებას ხალხი მისი მოსპობის საფეხურზედაც კი თაყვანს სცემდა. გაუყრელად ცხოვრების ტრადიციისადმი ასეთ დამოკიდებულებაზე უნდა მიგვითითებდეს ის გარემოება, რომ მრავალრიცხოვანი ოჯახის წარმომადგენელი თავისი ოჯახის სიდიდითა და მამაკაცთა სიმრავლით ამაყობდა და საზოგადოებაში ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა[30].

---

[29] Н. Гриценко, დასახ. ნაშრომი, გვ. 119—120.

[30] А. Россикова, Путешествие по центральной части Горной Чечни, ЗКОИРГО, XVIII, Тифлис, 1896, стр. 171.

ყოველივე ეს ჩაჩნეთ-ინგუშეთში გაუყრელად ცხოვრების წესის მაჩვენებელია, ხოლო ეს წესი საოჯახო თემის ერთ-ერთ დამახასიათებელ კომპონენტს წარმოადგენდა. მკვლევართა უმრავლესობაც ამ თვალსაზრისზე დგას. მაგრამ ზოგიერთ ნაშრომში უფლებელყოფილი ან ხელაღებით უარყოფილია აქ ოჯახის ამგვარი ფორმის არსებობა. მაგალითად, ნ. გრაბოვსკიმ 1874 წელს ინგუშური სახლის აღწერისას სხვათა შორის აღნიშნა, რომ აქ ზოგჯერ რვასულიანი ოჯახიც ბინადრობსო[31]. ნ. გრაბოვსკის შრომის ამ ადგილიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ამაზე უფრო მრავალრიცხოვანი ოჯახი უცაბედ იყოს ინგუშთა ძველი ყოფიერათვის.

ოჯახის სულადი შემადგენლობის ჩვენების სრულიად გაუმართლებელ ხერხს მიმართავს გ. ვერტეპოვი[32], როდესაც ის 1865, 1882 და 1889 წლების სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გვაცნობს ოჯახის საშუალო სიდიდეს. მისი გამოანგარიშებით ბარელი ინგუშის ოჯახი საშუალოდ ითვლიდა 4,7 სულს, ხოლო მთიელის 6.9 სულს.

მართალია, აქ წარმოდგენილი ციფრობრივი მაჩვენებლების მიხედვით მთიელი ინგუშის ოჯახი ბარელისაზე უფრო მრავალსულიანი ჩანს. მაგრამ მარტო ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლებელია ოჯახის შემადგენლობაზე მსჯელობა. ისევე, როგორც მეცხოველეობის განვითარების საშუალო რიცხობრივი მაჩვენებლები სრულ წარმოდგენას არ გვაძლევენ ცალკეული ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

გ. ვერტეპოვის ნაშრომში სრულებით არ არის გათვალისწინებული კონკრეტული ფაქტების გადმოცემის საჭიროება. კიდევ უფრო დიდ ხარვეზად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მკვლევარის მიერ ფაქტობრივი მასალის შეუფასებლობა. მაგალითად, იგი ეხება რა ინგუშის სახლსა და მის შიდაშეწყობილობას, აღნიშნავს: „Живут горные ингуши обыкновенно по несколько семей в одном жилище. Каждая семья имеет особое помещение отделенное от помещений остальных семей толстыми каменными стенами и выходящее в один общий корридор“[33].

როგორც ვხედავთ, გ. ვერტეპოვი აქ მოკლედ აღწერს ისეთ საცხოვრებელ ნაგებობას და ოჯახების განსახლების ისეთ წესს, რაც და-

---

[31] Н. Грабовский. Ингуши. ССКГ. IX. Тифлис. 1876. стр. 37.

[32] Г. Вертепов. Ингуши. ТС. II. Владикавказ. 1892. стр. 100—101; შდრ. Е. Максимов и Г. Вертепов. Туземцы Северного Кавказа. вып. I. Владикавказ, 1892. стр. 100—101.

[33] Г. Вертепов. დასახ. ნაშრომი. გვ. 95—96; Е. Максимов и Г. Вертепов. დასახ. ნაშრომი. გვ. 95—96.

მახასიათებელი იყო საოჯახო თემის დაშლისა და პატრონიმიული უბნის შექმნის პროცესისათვის.

ვ. ვერტეპოვმა ამ აღწერილობის ესოდენ დიდი მნიშვნელობა ვერ გაითვალისწინა და ძირითად წყაროდ სტატისტიკა გამოიყენა. მკვლევარი რომ მიმხვდარიყო, თუ საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების რომელი საფეხურია ასახული მის მიერვე აღწერილი ცხრილების ფორმაში, არ გაუჭირდებოდა იმის აღნიშვნა, რომ XIX საუკუნის მთაინგუშეთში ინდივიდუალური ოჯახის გვერდით შემონახული იყო საოჯახო თემის გადმონაშთები. აღნიშნული ვითარების საფუძველზე მისთვის ასევე ნათელი იქნებოდა, რომ მთაში დიდი ოჯახების შემონახულობამ განაპირობა ის სხვაობა მთისა და ბარის ოჯახებს შორის, რაც საშუალო ციფრობრივი მონაცემების მიხედვით დადგინდა.

ვინაიდან გ. ვერტეპოვმა ვერ მოგვცა ფაქტობრივი მასალის ანალიზი და ვერ გამოავლინა ინდივიდუალური ოჯახის გვერდით გადმონაშთის სახით შემონახული საოჯახო თემის თავისებურება, მიუხედავად შრომის მიხედვით ძალაუნებურად იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს XIX საუკუნის მთაინგუშეთისათვის უცხო ყოფილიყოს დიდი და პატარა ოჯახების თანაარსებობა.

ზოგიერთმა მკვლევარმა კიდევ უფრო გააღრმავა ეს მიუტევებელი შეცდომა და ძველი საზოგადოებრივი ყოფის გადმონაშთების გაუთვალისწინებლად საკითხის უკიდურესად ცალმხრივი ახსნა მოგვცა. მხედველობაში გვყავს ნ. იაკოვლევი, რომლის მტკიცებით, ინგუშები არ მისდევდნენ გაუყრელად ცხოვრების წესს. როგორც წესი, აღნიშნავს ნ. იაკოვლევი, ახალშეუღლებულნი ნათესავების დახმარებით იშენებენ სახლს, ღებულობენ მიწის ნაკვეთს და ქმნიან დამოუკიდებელ მეურნეობას. ავტორის ცნობით, ინგუშის ოჯახი საშუალოდ ხუთი-ექვსი სულისაგან შედგებოდა[34].

ნ. იაკოვლევი ამ შემთხვევაში ეყრდნობა ბარელი ინგუშების ყოფის ამსახველ მასალებს. 1925 წელს გამოქვეყნებული წიგნის ავტორის ეს ცნობები სავსებით შეესაბამება იმ ეპოქის სინამდვილეს, რომელზედაც მას უხდებოდა დაკვირვება. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში არა მარტო ბარში, არამედ მთაშიც ზემოხსენებული ტიპის ოჯახთან გვაქვს საქმე. ძველი საოჯახო ტრადიციები და მრავალსულიანი ოჯახები მხოლოდ მცირედი გამონაკლისის სახით გვხვდება წარსულის სხვა რიგის გადმონაშთებთან ერთად, მაგრამ იყო თუ არა ასეთი ვითარება ერთნაირად დამახასიათებელი გასული საუკუნის ინ-

---

[34] Н. Яковлев. Ингуши. Москва-Ленинград, 1925, стр. 57.

გუშეთის მთისა და ბარისათვის? ამ კითხვაზე მხოლოდ უარყოფითად შეიძლება ვუპასუხოთ. მკვლევარი ანგარიშს არ უწევს იმ ფაქტს. რომ ინგუშების ბარად ჩასახლებას თან სდევდა დიდი ოჯახების დაყოფა ინდივიდუალურ ოჯახებად. სრულიად სამართლიანად შენიშნავს ამის შესახებ ე. ხრისტიანოვიჩი, რომ მთიდან ბარში მოსახლეობის მასობრივი გადასვლის შედეგად საოჯახო თემები თითქმის მთლიანად მოისპო და მთიელის ოჯახის სულადი შემადგენლობა ბარელის ოჯახს გაუთანაბრდა[35].

ნ. იაკოვლევმა არ გაითვალისწინა არც მთისა და ბარის სოციალურ-ეკონომიური თავისებურებანი, არც მოსახლეობის მოძრაობის შედეგად მომხდარი ცვლილებები საოჯახო ყოფაში და, რაც მთავარია ახალი ეპოქისათვის დამახასიათებელი მასალის საფუძველზე ხელაღებით უარჰყო საოჯახო თემის არსებობა ინგუშეთში დროის ფაქტორის მხედველობაში მიუღებლად. ამიტომ, ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი მონაცემების ფონზე მისი ეს არგუმენტი ასევე ხელაღებით უარყოფას იმსახურებს.

ასევე მოკლებულია ყოველგვარ დასაბუთებას ი. საიდოვის მსჯელობა იმის შესახებ, თითქოს ნახთა ყოფაში XIX საუკუნემდე ბევრად ადრე საქონლის, სახნავი მიწის, სათიბისა და ზოგან საძოვრის მესაკუთრე ერთეულს წარმოადგენდა მხოლოდ პატარა ოჯახი. მისივე განცხადებით, XVI—XVIII საუკუნეების ნაგებობანი, კაპიტალური ტიხარებით, განკუთვნილი ყოფილა პატარა ოჯახების საცხოვრებლად[36].

როგორც ჩანს, ი.საიდოვი არ ფლობს საველე მასალებს ნახების საოჯახო ყოფის შესახებ და ლიტერატურაში არსებულ ცნობებსაც საკუთარი უგულებელყოფს. ის რომ ანგარიშს ლიტერატურას მაინც უწევდეს, თავს უფლებას არ მისცემდა XVI-XVIII საუკუნეების ნაგებობანი მარტოოდენ პატარა ოჯახების საცხოვრებლად ეცნო. მარტო ის ფაქტიც კი, რომ XVIII საუკუნის მიწურულში ი. რეინეგსმა ნახებში საოჯახო თემის არსებობა დაადასტურა, საკმარისი საბუთია იმისა, თუ რაოდენ უპასუხისმგებლო და ზერელეა ი. საიდოვის მსჯელობა ნახური ოჯახის შემადგენლობის, საკუთრების ხასიათისა და XVI-XVIII საუკუნეების ნაგებობათა სოციალური ბუნების შესახებ.

ამგვარად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ავტორებს, რომელთაც დაამახინჯეს არსებული სინამდვილე ან განზრახ უგულე-

---

[35] В. Христианович, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

[36] ი. საიდოვის ეს თვალსაზრისი ასახულია ჩაჩნეთ-ინგუშეთის ისტორიის ნარკვევებში, რომლის ერთ-ერთი პარაგრაფი მის მიერაა დაწერილი (იხ. Очерки истории Чечено-Ингушской АССР, I, Грозный, 1967, стр. 281).

ბელყეს ფაქტობრივი მასალა. ფაქტებზე დამყარებული ძირითადი ლიტერატურისა და ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ჩაჩნეთ-ინგუშეთში გვიანობამდე ინახავდა ოვს არაერთი მრავალრიცხოვანი ოჯახი, რომელიც რამდენიმე თაობისა და რამდენიმე საქორწინო წყვილისაგან შედგებოდა.

ზემოთქმულის დამადასტურებელ მეტყველ საბუთად მიგვაჩნია ოჯახის აღმნიშვნელი სახელწოდებები. ოჯახს, რომელშიც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობდა, ინგუშურად ეწოდება: ბ ო ჭ ე ნ დ ი ე ძ ა ლ (დიდი ოჯახი), ც ჰ ა ა ნ დ ა ა ხ ა რ (ერთად ცხოვრება) ან ც ჰ ა ე ნ ბ ე ე ხ ა ვ ე ე ე ر ი (განუყოფელი ძმები). ამის შესატყვისია ჩაჩნური ბ ო ჭ ე ნ დ ი ე ზ ა ლ (დიდი ოჯახი), ც ჰ ა ე ნ დ ა ა ხ ა რ (ერთად ცხოვრება) და ც ჰ ა ე ნ ბ ე ე ხ ა ვ ე ე ე ر ი, ანდა ბ უ ი ბ ა ა ლ ა ნ ძ ვ ე ე ე ر ი (გაუყოფელი ძმები). დიდი ოჯახის აღმნიშვნელი ამ აღწერილობითი ხასიათის საველწოდებისაგან განსხვავებით ინდივიდუალურ ოჯახს ინგუშურად ეწოდება დ ი ე ძ ა ლ, ხოლო ჩაჩნურად დ ი ე ზ ა ლ. ჩაჩნურსა და ინგუშურში გვაქვს აგრეთვე ინდივიდუალური ოჯახის აღსანიშნავად აღწერილობითი ხასიათის ისეთი ტერმინები, როგორიცაა ინგუშური ძ ა მ ი გ დ ი ე ძ ა ლ (პატარა ოჯახი) და ბ უ ი ბ ე ნ ნ ვ ე ე ე ر ი (გაყრილი ძმები), ხოლო ჩაჩნური ე ი მ დ ი ე ზ ა ლ (პატარა ოჯახი) და ყ ე ს თ ი ნ ნ ე შ ბ ო ლ უ ვ ე ე ე ر ი (გაყრილი ძმები).

თავისთავად ცხადია, რომ ერთმანეთისაგან განსხვავებული ტერმინების ხმარება დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის ოჯახების არსებობასთან, ხოლო რამდენადაც ერთი წინაპრის სახელის მატარებელი და სიახლით ნათესაობის მიხედვით გაერთიანებული რამდენიმე თაობის ერთ ჭერქვეშ ცხოვრება საოჯახო თემის ნიშანდობლივ მხარეს წარმოადგენდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოთ წარმოდგენილი მასალები სწორედ ამგვარი ტიპის ოჯახის გადმონაშთური ფორმით შემონახულობის მაჩვენებელია.

მ ე ო თ ხ ე თ ა ვ ი

ოჯახის ეკონომიური საფუძვლები

ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთში მოსახლეობის ძირითად საარსებო საშუალებას წარმოადგენდა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება. ჩაჩნებმა და ინგუშებმა, როგორც კავკასიელთა დიდი ოჯახის უძველესმა წარმომადგენლებმა, თავიანთი წელილი შეიტანეს მეურნეობის ამ

დარგების დაწინაურებაში. ისევე, როგორც კავკასიის სხვა კუთხეებში, ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთშიც არსებობდა მიწათმოქმედების დიდი კულტურა და მაღალგანვითარებული მესაქონლეობა. ყოველივე ამის მიუხედავად მეურნეობის ეს ორივე დარგი, აქ არსებული გეოგრაფიული პირობების გამო, შეზღუდული იყო და ფართო მასშტაბებით არ ხასიათდებოდა. მაგრამ როდესაც საკითხი დგება მათ შორის უპირატეს როლზე, ეკონომიკაში ხვედრითი წონით წამყვან ადგილს მაინც მესაქონლეობა ჩემულობს. ჩვენს დაკვირვებებს საკვლევი უბნის მსარს ყველა დღემდე არსებული გამოკვლევა. სადაც კი ჩაჩნეთ-ინგუშეთის ეკონომიური დახასიათებაა მოცემული. მაგრამ ვიდრე ლიტერატურულ მონაცემებს შევეხებოდეთ და საშეფურნეო ყოფის საერთო სურათს გავეცნობოდეთ. საჭიროდ მიგვაჩნია გადავიხედოთ ის მასალებს, რომლებიც მეტ-ნაკლები სისრულით გვაძლევენ წარმოდგენას ცალკეული ოჯახების ეკონომიურ მდგომარეობაზე. მეურნეობის განვითარების მასშტაბებზე.

ზემოთ არაერთგზის ხსენებული ინგუში ჩანიევების ოჯახი ვიდრამდე ცხოვრობდა დიდი მოცულობის ცოხე-სახლში (ღ ა ლ-ში). რომლის ქვედა სართული გამოიყენებოდა საქონლის სადგომად. ხოლო ზედა სართული ადამიანის საცხოვრებლად. მარაგის შესანახად და თავდასაცავად. ამავე ოჯახის საკუთრებას შეადგენდა ღ ა ლ-ის იმავეზე აშენებული რამდენიმე ბანიანი სახლი — ე. წ. წ ა. ხოლო ნაგებობათა[1] მთელი ეს კომპლექსი მოქცეული იყო ქვის გალავნის შიგნით.

ჩანიევების ოჯახი სხვა ოჯახებთან ერთად თანაბარი უფლებით სარგებლობდა სასოფლო საძოვრებით. არც ამ ოჯახის და არც ჩანიევების გვარის (პატრონიმიის) საკუთრებაში საძოვრები არ შედიოდა. სამაგიეროდ ჩანიევებს პატრონიმიულ საკუთრებაში ჰქონდათ სათიბები. რომლებსაც ღიბვის დაწყებამდე წლის ყრით ინაწილებდნენ იმდენ თანაბარ ნაწილად, რამდენი ოჯახიც პატრონიმიაში შედიოდა. სათიბების განაწილებისას მხედველობაში იყო მიღებული სათიბი ადგილების მოცულობა, მდებარეობა და მოსავლიანობა.

ჩანიევების პატრონიმიულ საკუთრებაში შედიოდა აგრეთვე სახნავი მიწებიც, თუ სათიბები ოჯახების რიცხვზე თანაბრად იყოფოდა, სახნავი ნაკვეთების განაწილებას საფუძვლად ედო ოჯახის სულადი შემადგენლობა. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ სახნავი ნაკვეთების განაწილების ეს პრინციპი, რაც ჩანიევების მაგალითზე აქ-

[1] ნაგებობათა შესახებ იხ. Л. Робакидзе. Жилища и поселения горных ингушей. КЭС. II. Очерки этнографии Горной Ингушетии. Тбилиси. 1968; Г. Гегечкори. Жилища типа «ц|а» в ущелье реки Армхи и ее притоков. КЭС. II.

ნა დამოწმებული. სხვა შემთხვევაში არ გვხვდება და ამდენად ვამონაკლისი ფაქტის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჩანიევების ოჯახის საქონლის რიცხვის დადგენა ადგილზე ვერ მოხერხდა. მთხრობლები დაჯერდნენ იმის აღნიშვნას, რომ ჩანიევები დიდძალი საქონლის მეპატრონენი იყვნენ. ეწეოდნენ მომთაბარეობას და ზამთრობით ბაგურ კვებაზე მხოლოდ საქონლის მცირედ ნაწილს აჩერებდნენ.

მესაქონლეობა ყოფილა ძირითადი საარსებო საშუალება ინგუშეთის სოფ. ხამხიდან სოფ. ტარსკაიაში გადმოსახლებამდე კაციევების ოჯახისათვისაც. ხუთ დამოუკიდებელ ოჯახად მათი გაყრისას განაწილდა ექვსი ცხენი, ექვსი ძროხა თავისი ხბოებითა და მოზვერებით, 200-მდე სული ცხვარი, ექვს დღიურამდე სახნავი მიწა და ოჯახის საკუთრებაში მყოფი საქონლის გამოსაკვებად საკმარისი სათიბები.

მსგავსი სურათი მეორდება ოზდოევების ოჯახის მაგალითსედაც. ოლონდ კაციევებთან შედარებით მათ უფრო შეძლებულად უცხოვრიათ. ხუთ ოჯახად გაყრისას ოზდოევებმა განაწილეს ერთი აღრე აშენებული ციხე-სახლი (ღალ), ხუთი მოწილისთვის გაყრამდეე აშენებული ხუთი ბანიანი სახლი (წა), უღელი ხარით ათი დღის სახნავი მიწა, ორი ცხენი, ორი ვირი, 18 ხარი, 45 ძროხა, ამ პირუტყვის ბაგური კვებისათვის საკმარისი სათიბები და 500 სული ცხვარი.

მიწათმოქმედებასთან შედარებით მესაქონლეობის უპირატესობა შეიმჩნევა ჩაჩნეთში შეკრებილი მასალების მიხედვითაც. სრულიად აშკარაა ის გარემოებაც, რომ ოჯახები ქონებრივად ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ დადაევებისა და მიზაევების ოჯახები. გაუყრელად ცხოვრების დროს პირველი მათგანის დოვლათს შეადგენდა ოროთასიანი სახლი, ხის გუთნითა და ორი უღელი ხარით ხუთი დღის სახნავი მიწა. ერთი უღელი ხარი (ხვნაში ერთ უღელს მეზობლისას იყენებდნენ). ერთი ცხენი და ოთხი ძროხა. რაც შეეხება მიზაევების ოჯახს, გაყრის მომენტში მათ ექვს ნაწილად გაიყვეს ერთი ექვსსართულიანი კოშკი (ციხე-სახლი), ორი დღიური სახნავი მიწა, სათიბი, რომლის ფათიბვას ექვსი კაცი ორ კვირას უნდებოდა, ცხრა ცხენი, ოცი ხარი, 35-40 მსხვილფეხა რქოსანი და 3000-მდე ცხვარი და თხა. ცხვარს ბაგურ კვებაზე ამყოფებდნენ დაახლოებით ერთ თვემდე. დანარჩენ დროს აბალახებდნენ ჩაჩნეთის თბილსა და ნაყოფიერ ხეობათა საძოვრებზე.

დადაევებისა და მიზაევების ოჯახები სხვებთან ერთად სარგებლობდნენ სასოფლო ტყითა და საძოვრით.

ეკონომიური მდგომარეობით ამ ოჯახებს შორის მკვეთრ განსხვავებასთან ერთად ორივე მათგანის მაგალითზე აშკარად შესაჩნევია სანნავ-სათესი ნაკვეთების ნაკლებობა. ადგილობრივი მოსავალი არც ერთ მათგანს არ ყოფნიდათ. მდიდარი მიზაევებისათვის ეს არც წარმოადგენდა მტკივნეულ საკითხს, რამდენადაც საქონლის ნამატის. საფასურით პურის შეძენა მათთვის ძალზე მსუბუქი საქმე იყო, მაგრამ ასეთი ოჯახების რიცხვი ჩაჩნეთში მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდა. საქონლის ნამატის თუ პროდუქტების ბაზარზე გატანა პურის შეძენის მიზნით დადაევების დონეზე მყოფი ოჯახისათვის გამოწვეული იყო მხოლოდ უკიდურესი გაჭირვებით. მაგრამ ასე იყო თუ ისე. მთიელის მეურნეობაში წამყვანი ადგილი მესაქონლეობას ეჭირა და მისგან ძალებულ შემოსავალი წარმოადგენდა პურეულით უზრუნველყოფის წყაროს.

ეკონომიური უთანასწორობა ასევე ნიშანდობლივი იყო ბარელი ჩაჩნებისთვისაც. რაც კარგად ჩანს ნ. ერიცენკოს მიერ გამოქვეყნებული საარქივო მასალიდან. როგორც ამ ნაშრომის პირველ თავში აღვნიშნავდა აღნიშნული. ეს წყარო გვაცნობს არა მარტო აღწერის მონაცემში გადმონაშთის სახით შეგონახული დიდი ოჯახების შემადგენლობასა და მათი დანაწილების პროცესს, არამედ მათ ეკონომიურ მდგომარეობასაც. რამდენიმე ოჯახის ამ თვალსაზრისით ურთიერთშედარება აშკარად გვიჩვენებს ქონებრივ უთანასწორობას. შეძლებულ ოჯახთაგან, პირველ რიგში, აღსანიშნავია სოფ. კეხი-იურთში მცხოვრები 23-სულიანი ოჯახი შ. მუსტაფაევისა, რომლის ქონებას შეადგენდა ორი სახლი, ერთი დუქანი, ათი აქლემი, 300 ცხენი, 60 ხარი, ოთხი კამეჩი, 435 სული ძროხა, დეკეული და ხბო, 2000 ცხვარი და თხა. სოფ. ალი-იურთში მცხოვრები 21-სულიანი ოჯახი ფლობდა ოთხ სახლს, ოც ხარს, 180 ძროხას, 13 კამეჩს, ორ ცხენს და 2500 სულ ცხვარსა და თხას. ამავე სოფელში ერთ სახლში მცხოვრებ 16-სულიან ოჯახს ჰყავდა რვა ხარი, ხუთი ძროხა, ორი ცხენი, ხუთი ცხვარი და თხა. სოფ. ადუ-იურთში ასევე ერთ სახლში მყოფ 19-სულიან ოჯახს ჰყავდა ორი ხარი, ერთი ძროხა, 30 ცხენი, ხუთი ცხვარი და თხა. სოფ. ბენო-იურთში 16-სულიანი ოჯახის დოვლათს შეადგენდა ერთი სახლი, ოთხი წისქვილი, ხუთი ხარი, რვა ძროხა, ოთხი კამეჩი, სამი ცხენი, 500 ცხვარი და თხა. სოფ. ზემო ნაურში 18-სულიანი ოჯახის ქონებას წარმოადგენდა ერთი სახლი, ექვსი ხარი, 13 ძროხა, ხუთი კამეჩი, ხუთი ცხენი, 700 ცხვარი და თხა. ამავე სოფელში 27 სული ცხოვრობდა ექვს სახლში და მათ გაუყოფლად ჰყავდათ ათი ხარი, 24 ძროხა, ერთი კამეჩი, ორი ცხენი, 500 ცხვარი

და თია. სოფ. ქვემო ნაურში 17-სულიანი ოჯახის ქონებას შეადგენ-და სამი სახლი, რვა ხარი, რვა ძროხა და ორი ცხენი[2].

როგორც ვხედავთ, ამ ოჯახების ეკონომიურ აღწერილობაში უკეულებელყოფილია მიწა და მით სარგებლობის ფორმები. არც ზემოთ წარმოდგენილი მაჩვენებლები უნდა იყოს ზუსტი. როდესაც გადასახადების გაწერის მიზნით მოსახლეობის აღწერა ხდებოდა, შეძლებული ოჯახები მეფის მოხელეებს ქრთამავდნენ და არსებულზე ნაკლებ ქონებას უჩვენებდნენ[3]. აღნიშნული ხარვეზების მიუხედავად საკომლო დავთრები სათანადო წარმოდგენას გვაძლევენ ბარელი ჩაჩნების საოჯახო მეურნეობის ხასიათზე. აქედან კარგად ჩანს, რომ ოჯახის ეკონომიურ საფუძველს მიწათმოქმედებასთან ერთად, რომლის შესახებ აქ არაფერია ნათქვამი, წარმოადგენდა მეცხოველეობა. ზემოთ ხსენებული ოჯახების მიხედვით ძნელია იმის თქმა თუ მეცხოველეობიდან რომელი დარგი უფრო წინ იდგა. ერთი ოჯახი თუ საქონლის ჯოგისა და ცხერის ფარის პატრონია, მეორე ოჯახს ხუთიოდე ცხენი ჰყავს. ყველა აქ დასახელებული ოჯახის მიხედვით კი საფიქრებელია, რომ მსხვილფეხა მესაქონლეობა და მეცხვარეობა ერთ დონეზე ყოფილიყო წარმოდგენილი. დიდ მეცხვარეებად ძირითადად მაინც დიდი ოჯახები გვევლინებიან, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ მთიელებთან საზაფხულო საძოვრების გამოყენების მიზნით. საამისოდ მათ ხელს უწყობდა ოჯახის წევრთა სიმრავლეც, ურომლისოდაც დიდი მასშტაბის მეცხვარეობა და მეჯოგეობა გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მართალია, ისინი ამ დიდ მეურნეობაში დაქირავებულ მწყემსთა და მწველავთა შრომასაც იყენებდნენ, მაგრამ შრომის ორგანიზაცია და ბაზართან კავშირი მაინც უსათუოდ ოჯახის წევრთა მუდმივ მზრუნველობას საჭიროებდა. რაც შეეხება ინდივიდუალურ ოჯახებს, ბარად ის ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა, ხოლო მეცხოველეობიდან უმთავრესად მსხვილფეხა მესაქონლეობას. ლიტერატურაშიც აღნიშნულია, რომ მეცხოველეობიდან ჩაჩნეთის ბარში ჭარბობდა მსხვილფეხა რქოსანი, ხოლო მთაში პირველ ადგილზე იდგა მეცხვარეობა[4].

იმის საილუსტრაციოდ, რომ ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთში მესაქონლეობას წამყვანი ადგილი ეჭირა, ჩვენ კიდევ შეგვეძლო ანალოგიური ფაქტების დამოწმება, მაგრამ საქმე გვაქვს ისეთ

---

[2] Н. Гриценко. Посемейные списки селений.... ИЧИННИИ, III, вып. I. Грозный. 1963. стр. 120.

[3] იქვე. გვ. 118.

[4] Народы Кавказа. I. стр. 349.

ვითარებასთანაც, როდესაც ოჯახის მეურნეობაში მესაქონლეობასთან შედარებით უფრო დიდი ადგილი უკავია მიწათმოქმედებას. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი სარგებლობს ბარად არსებული სახნავ-ადგილებით. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც ილიევების ზემოხსენებული ოჯახი, რომლის დოვლათს შეადგენდა მთაში უღელი ხარით სახნავი ათი დღიური მიწა, ექვსი ცხენი, უღელი ხარი, ხუთი-ექვსი ძროხა და 100 სული ცხვარი, ხოლო მალგობეკში (ბარად) ისინი ამუშავებდნენ ხუთ-ექვს ჰექტარ სახნავ მიწას.

აქ დასახელებული ცალკეული ფაქტები მიგვითითებენ XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის ნიშანდობლივ ვითარებაზე. შესაძლებელია ეს არ იყოს ყველა ოჯახისათვის ერთნაირად დამახასიათებელი. რამდენადაც ისინი ეკონომიური დონით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. მაგრამ საერთო ჯაჭში ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთი ძირითადად მეცხოველეობის რაიონად წარმოგვიდგება. დადგენილად შეიძლება ითვალოს ის გარემოებაც, რომ საძოვრები და ტყე გვიანობამდე საერთოსასოფლო საკუთრებაში იყო და ის ცალკეული ოჯახები ხელთ არ მოქცეულა. კოლმეურნეობის ჩამოყალიბებამდე აქ სათიბებიც პატრონიმიის კუთვნილებას წარმოადგენდა და პატრონიმიაში შეკავშირებული ოჯახები მას ყოველ წელს თანაბრად ინაწილებდნენ. რაც შეეხება სახნავ ადგილებს, ძველად ასეთივე პრინციპით ხდებოდა მისი გამოყენებაც. მაგრამ არა ერთი ისეთი შემთხვევაც მოწმდება, როდესაც სახნავი ნაკვეთის მფლობელია ოჯახი, რომლის გაყრასთან დაკავშირებით მიწაც მოწილეების რიცხვის შესაბამისად თანაბრად იყოფა და მათ მუდმივ საკუთრებად იქცევა.

სახნავი ადგილების საკუთრების საკითხში შესაძლებელია დაბნეულობა გამოიწვიოს მაღლად სოციალური ტერმინების აღრევამ. ლიტერატურაში არაიშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევა, როდესაც ლაპარაკია გვარის საკუთრებაში არსებულ სახნავ ნაკვეთებზე. მაგრამ ვინაიდან ზოგიერთი მკვლევარი გვარსა და საოჯახო თემს ერთმანეთისაგან ვერ არჩევს, შეცდომით გვარის საკუთრებად სახელდებული მიწის ნაკვეთი სინამდვილეში უნდა მივიჩნიოთ საოჯახო თემის საკუთრებად.

ლიტერატურაში თუ ასეთ კურიოზებს შეიძლება წავაწყდეთ, სამაგიეროდ სწორად არის გაშუქებული საკითხი თვით მეურნეობის განვითარების შესახებ.

მართალია, მთიდან ბარში მოსახლეობის მასობრივი გადაადგილების შედეგად მკვეთრად იცვლებოდა ეკონომიური მდგომარეობაც და ამ მხრივ ყოველთვის ვერ ხერხდება მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარების ზუსტი სურათის დადგენა, მაგრამ მიუხედავად ამისა,

უძველი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ყველა მკვლევარი მაინც იმ საერთო დასკვნამდე მივიდა, რომ მთიელთა ცხოვრების წყაროს წარმოადგენდა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება პირველის აშკარა უპირატესობით.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ მესაქონლეობის წამყვანობა სრულებითაც არ ნიშნავდა მიწათმოქმედების დაბალ კულტურას. პირიქით, მიწის დამუშავების ცოდნა აქ, ისევე, როგორც საქართველოს მთიანეთში, საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. მაგრამ სახნავი ადგილების სიმწირე და სიმცირე ერთი მხრივ, ხოლო მესაქონლეობისთვის შედარებით ხელსაყრელი პირობები, მეორე მხრივ, ძალაუნებურად პრიორიტეტს მესაქონლეობას ანიჭებდა და გლეხი მისკენ უფრო მეტ დროვლათს იღებდა. ეს დროვლათი არ წარმოადგენდა ფუფუნების წყაროს. ამ მხრივაც მთიელი ვიწრო პირობებში იმყოფებოდა, მაგრამ იმას მაინც ახერხებდა, რომ მესაქონლეობიდან მიღებული პროდუქცია მოეჭარბებინა, ბაზარზე გაეტანა და მისი საფასურით პური შეეძინა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სულ მალე უპეროდ დარჩებოდა, ვინაიდან ადგილობრივი მოსავალი ოჯახს მხოლოდ ექვს თვემდე ჰყოფნიდა.

აღნიშნული გარემოება დადასტურებულია ინგუშეთის ეკონომიკური ყოფის მრავალი მკვლევრის მიერ. მაგალითად, 1865 წლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ნ. გრაბოვსკი ერთ-ერთ გამოკვლევაში მიმოიხილავს არმხისა და ასის ხეობის მოსახლეობის სამეურნეო ყოფას. ის იძლევა მოსახლეობის, პირუტყვისა და მოსავლიანობის ციფრობრივ მაჩვენებლებს მთაინგუშეთში შემავალი სხვადასხვა საზოგადოების მაგალითზე. მართალია, ამ მხრივ ცალკეულ საზოგადოებებს შორის მცირედი სხვაობა იგრძნობა, მაგრამ ნ. გრაბოვსკი აქვე გვაცნობს მთაინგუშეთის მეურნეობის დონის ზოგად სურათს და დაასკვნის, რომ საშუალოდ ერთ ოჯახზე მოდის 0.5 ცხენი, 0.4 ვირი, ერთი ხარი, 2,8 ძროხა და ხბო, 20, 9 ცხვარი, 1,7 ჩეტვერტი პური[5].

ნ. გრაბოვსკი აქვე მიუთითებს ზოგიერთი შეძლებული ოჯახის არსებობაზე რომელიც ფლობდა ორ-სამ ცხენს, ორ ვირს, ორ უღელ ხარს, 10-12 ძროხას და ხბოს და 200 სულ ცხვარს. მაგრამ მკვლევარა მხედველობიდან არ გამორჩენია ის გარემოება, რომ ასეთი ოჯახები XIX საუკუნის მეორე ნახევარში აქ იშვიათი გამონაკლისის სახით არსებობდნენ[6]. ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ზოგიერთი ოჯახიც ასევე

---

[5] Н. Грабовский, Экономический и домашний быт жителей Горского участка Ингушетского округа, ССКГ, III. Тифлис, 1870, стр. 9.

[6] იქვე, გვ. 9.

შეძლებული ოჯახების ამ უმცირესობის სფეროს უნდა მივაკუთნოთ, ვინაიდან სსენებულ ეპოქაში ოჯახების უმრავლესობა სიღარიბეს განიცდიდა. ნ. გრაბოვსკიმ ანგარიში გაუწია რა ასეთ უთანაბრო მდგომარეობას, სტატისტიკაში საშუალო მაჩვენებლები შეიტანა და სიღარიბის მიზეზად მიიჩნია მთაინგუშეთის მკაცრი კლიმატურ-ბუნებრივი პირობები.

ზემოაღნიშნული მონაცემების მიხედვით განსაკუთრებით უმწეოდ კამოიყურება მიწათმოქმედება. არც მაინცდამაინც მესაქონლეობის დონეა მაღალი, მაგრამ მიწათმოქმედებასთან შედარებით მისი უპირატესობა საეჭვო არ უნდა იყოს. ამის უტყუარ საბუთად შეგვიძლია დავიმოწმოთ ნ. გრაბოვსკის ნაშრომში წარმოდგენილი ცხრილი, რომლის მიხედვით ყოველ ხუთ სულზე მოდის ზემოხსენებული პირუტყვისა და მარცვლეულის რაოდენობა, რაც მათი ღირებულების თვალსაზრისით მეცხოველეობის ხვედრითი წონის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ანგარიშგასაწევია ნ. გრაბოვსკის ცნობა იმის შესახებაც, რომ ჯარიახელებს მესაქონლეობის განვითარების გაცილებით უკეთესი შესაძლებლობა ჰქონდათ მაშინ, როდესაც მათ სარგებლობაში იყო ტარსეიის ხეობის საზამთრო საძოვრები. მაგრამ იმის შემდეგ, რაც ეს ადგილი მეფის ხელისუფლებამ კაზაკებს გადასცა, ჯარიახელთა სამეურნეო პირობებიც საგრძნობლად შეეიწროვდა[7] და სტატისტიკაშიც ფიქსირებული მესაქონლეობის ციფრობრივი მაჩვენებლები აისახა.

ინგუშების ვიწრო სამეურნეო პირობებს აგვიწერს ნ. გრაბოვსკი 1873 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვითაც. მას აქაც ნაჩვენები აქვს როგორც მაშინდელი მოსახლეობის რიცხვი, ისე პირუტყვის რაოდენობა და მიწათმოქმედებიდან მიღებული წლიური შემოსავალი. დაანგარიშებამ მკვლევარს უჩვენა, რომ ექვს სულ მოსახლეზე მოდიოდა საშუალოდ ერთი ცხენი. ერთ ადამიანზე ერთზე ნაკლები ძრობა და დაახლოებით სამი ცხვარი. ნ. გრაბოვსკის კიდევ უფრო საეჭვოდ მიაჩნია პურის ნაკლებობა, რამდენადაც ერთ სულზე მოდიოდა წელიწადში 2,5 ჩეტვერტი სიმინდი, 0,5-ზე ცოტა მეტი ხორბალი, ხოლო ფეტვის, ქერისა და კარტოფილის მოსავალი იმდენად უმნიშვნელო ყოფილა, რომ მკვლევარს მისი აღნიშვნაც კი ზედმეტად მიუჩნევია[8].

აღწერილი ვითარების ლოგიკური შედეგი იყო მოსახლეობის ძალზე ღარიბად კვება. ნ. გრაბოვსკის მოწმობით ინგუშის ყოველ-

---

[7] Н. Грабовский, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

[8] Н. Грабовский, Ингуши, ССКГ, IX, Тифлис, 1876, стр. 35.

დღიურ საკმელს წარმოადგენდა მკადი და დო, ხოლო იშვიათად ყველი. კვერცხი ან ერბოში შემწვარი ხაკო. ხორბლის პური იშვიათად ჰქონდათ შეძლებულ ოჯახებს. ისინი ზამთრისთვის ბოლში გამოყვანილ ხორცსაც ინახავდნენ. ხოლო ფრინველის ხორცი და მწვადი მხოლოდ სტუმრისთვის იყო განკუთვნილი[9].

მთაინგუშეთის სამეურნეო პირობებს გაკვრით შეეხო ი. პანტიუხოვი. როგორც იგი აღნიშნავს, აქაური მთიელები ბარელებთან შედარებით განიცდიდნენ მიწების ნაკლებობას. სამაგიეროდ მთიელთა ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მესაქონლეობა[10].

გ. ვერტეპოვის დაკვირვებითაც, მთაინგუშეთში ყველაზე შეძლებულ ოჯახს თავისი პურეული ხუთ-ექვს თვემდე ჰყოფნიდა, ხოლო ღარიბ ოჯახი ადგილზე მოწეული ჭირნახულით თავს ინახავდა მხოლოდ ორ თვემდე. ამიტომ მთიელი ინგუშები იძულებული იყვნენ ოჯახიდან მოეხნათ მიწა ბარად, ანდა იქ წასულიყვნენ სამუშაოდ და მიღებული ჯამაგირით პური შეეძინათ[11].

მთაინგუშეთის სამეურნეო მდგომარეობის საინტერესო დახასიათებას იძლევა ვ. ხრისტიანოვიჩი. მთაინგუშეთთან ერთად მან თავის მიმოხილვაში მოაქცია აგრეთვე „ადლინაია დალინა", რომელიც ნაწილად ჩამოსული ინგუშებით გვიან დასახლებულ სამიწათმოქმედო რაიონს წარმოადგენს. ამ ახალი რაიონის ჩათვლითაც კი ინგუშეთის მთელი ტერიტორიის ერთი მესამედი ეჭირა ტყეს, დაახლოებით ერთი მესამედი სამეურნეოდ გამოიყენებოდა. ხოლო 28.2 პროცენტი სრულიად გამოუსადეგარი იყო. სამეურნეოდ ვარგისი ერთი მესამედი წარმოადგენდა სათიბ-საძოვარს, ხოლო სახნავ-სათესად იყენებდნენ მთაინგუშეთის ტერიტორიის ერთ პროცენტზე ნაკლებს.

სახნავად ვარგისი ეს პატარა ნაკვეთებიც დიდ სიმაღლეებზე მდებარეობდა, ირეცხებოდა და მალე იფიტებოდა. გლეხი იძულებული იყო გაეწმინდა ეს ნაკვეთები ქვებისაგან. კედლების ამოშენებით შეექმნა ხელოვნური ტერასები და ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ნაკელით კაენოყიერებინა, მაგრამ ფერდობებზე ნაკელის გატანაც არ იძლეოდა შედეგს და ნაკვეთი ზოგჯერ ისე ირეცხებოდა, რომ ის სხვა ადგილიდან მოტანილი მიწის დაყრასაც კი საჭიროებდა, ხოლო ქვე-

---

[9] Н. Грабовский. Ингуши. ССКГ. IX. стр. 39.

[10] И. Пантюхов. Ингуши, ИКОИРГО. XIII. №6. Тифлис. 1900. стр. 129.

[11] Г. Вертепов. დასახ. ნაშრომი. გვ. 107; Е. Максимов и Г. Вертепов. დასახ. ნაშრომი. გვ. 107.

ანი ადგილი როდესაც მოსავალს აღარ იძლეოდა. დროთა განმავლობაში სათიბად იქცეოდა[12].

სახნავი ადგილების სიმცირესა და სიმწირესთან ერთად მიწათმოქმედების განვითარების ხელის შემშლელ მიზეზად ვ. ხრისტიანოვიჩი თვლიდა უგზოობას. იგი ფიქრობდა, რომ გზების გაყვანა და ნაკელის ჭარბად ტატანა ხელს შეუწყობდა ხვნა-თესვის დაწინაურებას. მაგრამ მკვლევარს ასეთ ვითარებაშიც არ ჰქონდა იმედი, რომ მეურნეობის ამ დარგს მასზე დახარჯული შრომა აანაზღაურებინა. თავისი შეხედულების დასაბუთების მიზნით იგი მიმართავს სპეციალურ ცხრილებს და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდის, რომ სახნავი ადგილები სათიბებად იქნეს გამოყენებული.

საკითხის ამ ჭრილში დასმა იმის მაჩვენებელია, რომ ვ. ხრისტიანოვიჩი მთაინგუშეთს თვლიდა მესაქონლეობის რაიონად. მკვლევარს არც შეუძლია სხვა ღასკვნის გამოტანა იმ კუთხის შესახებ. სადაც სახნავ-სათესად ვარგოდა მხოლოდ ერთი პროცენტის ნახევარი. ხოლო საქონლის საკვები ბაზა სათიბ-საძოვრების სახით მოიცავდა მთელი ტერიტორიის ერთ მესამედს.

ვ. ხრისტიანოვიჩის თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს ფაქტიც, რომ 1926 წლის მონაცემების მიხედვით მესაქონლეობა იძლეოდა შემოსავლის 96.3 პროცენტს. ხოლო მემინდვრეობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენდა მარტოოდენ 1.7 პროცენტს[13].

ვ. ხრისტიანოვიჩი ეყრდნობა აგრეთვე აბრამოვის კომისიის შედეგებს. საიდანაც ჩანს, რომ ჯარიანის საზოგადოება ადგილზე მოწეული მარცვლეულით ცხოვრობდა 128 დღე, ცორის საზოგადოება — 74 დღე, მეცხალისა — 66.5 დღე, ხოლო ხამხის საზოგადოებას თავისი მოსავალი მხოლოდ 60 დღემდე ჰყოფნიდა[14].

ყოველივე ამის საფუძველზე ვ. ხრისტიანოვიჩი საესებით სამართლიანად დაასკვნის, რომ მთაინგუშეთის მეურნეობაში წამყვანი ადგილი ეჭირა მესაქონლეობას. აქედან მიღებული პროდუქციის საფასურით ინგუში იძენდა პურეულს. ამავე მიზნით ის ბარად სეზონურ მუშაობასაც ეწეოდა[15]. ხოლო ზოგიერთი ოჯახი მიწას იქ იჯარითაც ამუშავებდა[16].

მიწათმოქმედების უპერსპექტივო მდგომარეობას გვიხატავს გ. მარტიროსიანი, რომელიც თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს თავის

---

[12] В. Христианович. დასახ. ნაშრომი. გვ. 26.
[13] იქვე. გვ. 90.
[14] იქვე. გვ. 182.
[15] იქვე, გვ. 90. 182.
[16] იქვე. გვ. 41. 182.

წინამორბედ მკვლევართა შეხედულებებს[17]. იმაში ღრმად დარწმუნებული მკვლევარი, რომ ინგუშეთში შედარებით ხელსაყრელი პირობები არსებობდა მესაქონლეობის შემდგომი განვითარებისათვის, საჭირო საქმედ სახავდა გზების გაყვანას, რათა გაადვილებულიყო მესაქონლეობის პროდუქციის ბაზარზე გატანა და მისი საფასურით შეძენილი პურეულის შემოტანა[18].

გ. მარტიროსიანი როდესაც მესაქონლეობის შემდგომი დაწინაურების საკითხს სვამდა, მას მხედველობაში ჰქონდა აუთვისებელი საძოვრების გამოყენება. როგორც მისი გამოანგარიშებიდან ჩანს, ინგუშეთის მთებში შეიძლება გამოიკვებოს 60000 სული დედა ცხვარი თავისი ნამატით, მაშინ, როდესაც 1926 წელს იქ სულ ბალახობდა 28000 სული[19].

ზემოთ წარმოდგენილი ლიტერატურული მონაცემებისა და ადგილზე ჩვენი დაკვირვების შემდეგ ძალზე ცალმხრივად გვეჩვენება აბრამოვის კომისიის ზოგიერთი დასკვნა ადგილობრივი ბუნებრივი რესურსებისა და მესაქონლეობის პერსპექტივების შესახებ. მაგალითად, გ. მარტიროსიანი იმოწმებს ამ კომისიის ერთ-ერთ ცნობას იმის შესახებ, თითქოს ჯარიახის საზოგადოებაში მოთიბული თივა საქონელს ყოფნიდა მხოლოდ 15-20 დღემდე. თითქმის ასეთსავე ვითარებას ხატავს კომისია ხამხის, მეცხალისა და ცორის საზოგადოებებშიც[20].

მართალია, ინგუშეთის მთები ძალზე ვრცელი და უხვმოსავლიანი სათიბებით არაა ცნობილი, მაგრამ აქ არც ასეთი სავალალო მდგომარეობა ყოფილა. მოუსავლიანობა ინგუშს ზოგჯერ აიძულებდა საქონლის სხვაგან გამოკვებაზეც ეფიქრა. ამ მიზნით ის თავის საქონელს მთიდან ბარში მიერეკებოდა. ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევასაც, როდესაც მუშახელის უყოლობის გამო ოჯახი თივით ვერ მომარაგდებოდა და იძულებული ხდებოდა საქონელი ეისთვისმე მიებარებინა. ამ წესს ინგუშურად ეწოდა „ფოატ“, რაც ეკონომიური ხასიათის ურიერეგას გულისხმობდა საქონლის პატრონსა და საქონლის ამყვანს შორის[21]. საქონლის გაბარების პრაქტიკა არ წარმოადგენდა საყოველთაო მოვლენას და, ზემოხსენებული მიზეზების გამო, ის ეპიზოდური ხასიათის მატარებელი იყო. მაგრამ მოუსავლიანობის შემ-

---

[17] Г. Мартиросян, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

[18] იქვე, გვ. 107, 108, 112.

[19] იქვე, გვ. 118.

[20] იქვე, გვ. 108—109.

[21] В. Христианович, დასახ. ნაშრომი, გვ. 94—95; М. Шубин, Молочное хозяйство Джераховского общества Горной Ингушии, ИИНИИК, II—III, Владикавказ, 1930, стр. 184.

თხეევაშიც კი ძნელად წარმოსადგენია კომისიის ამ ჩვენების რეალობა. სათიბების ასეთი სიმცირისა და საქონლის გამოკვების ამგვარი სიღუტჩარის პირობებში უადგილო იქნებოდა მკვლევართა მიერ მთაინგუშეთის მეურნეობის სფეროში წამყვან ღარგად მესაქონლეობის აღიარება და მის მომავალ პერსპექტივებზე ლაპარაკი.

მიუხედავად ზოგიერთი ამგვარი გაუთვალისწინებელი დასკვნისა, აბრამოვის კომისიის მასალების მიხედვითაც მესაქონლეობა მიწათმოქმედებაზე უფრო დაწინაურებული დარგის სახით წარმოგვიდგება. სხვებთან ერთად ამ კომისიის შედეგებს იყენებს მ. შუბინი და რიგ გამოკვლევებთან შეჯერების შედეგად ისიც იმ დასკვნამდე მიდის, რომ მთაინგუშეთში მესაქონლეობა ბევრად წინ იდგა მიწათმოქმედებაზე, რომლისთვისაც ვარგისად ითელებოდა მთელი ტერიტორიის მხოლოდ ერთი პროცენტი. მ. შუბინის ვარაუდით, აქაურმა მოსახლეობამ საკუთარი პურეულით შეიძლება ისაზრდოოს სულ ბევრი 100 დღე[22]. მკვლევარს აქვე მოჰყავს მესაქონლეობის მაჩვენებელი ცხრილები და ადგენს, რომ სხვადასხვა წელს მეურნეობის ეს დარგი მკვეთრად განსხვავებულ დონეზე იმყოფებოდა[23]. მ. შუბინი ამის მიზეზად თვლის ერთი მხრივ, გადაუსახადებით დამონებული მოსახლეობის მიერ საქონლის გადამალვის შემთხვევებს, ხოლო მეორე მხრივ, მთიდან მასობრივად ჩასახლების პროცესს და ბოლოს, მას შეუნიშნავს ის გარემოებაც, რომ 1928 წლის მონაცემების მიხედვით, ყოველ 100 სულ მცხოვრებზე საქონელზე მოდიოდა 257 სული ცხვარი, რაც მცხოვრებლებზე საქონლის შედარებით დიდი ხვედრითი წონის მაჩვენებელია[24]. მეცხოველეობაში ასეთი შეფარდება მეცხვარეობის ბანეითარების დაბალ დონეზე მიგვითითებს. ასეთი მაჩვენებლებით ინგუშეთი ხევსურეთს უფრო ჰგავს, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მაღალმთიან კუთხეებს (თუშეთს, ხევ-მთიულეთს).

ე. კრუპნოვის დაკვირვებით, ინგუშეთის მეურნეობა იყო ნატურალური სასიათის. პროდუქტების გატანასა და გაცვლას ხელს უშლიდა წარმოების დაბალი დონე, უგზოობა და ძლიერი მეზობლებისაგან მათი შევიწროება. მეურნეობის ორი ძირითადი დარგიდან — მიწათმოქმედებიდან და მესაქონლეობიდან წამყვან ადგილზე იდგა მესაქონლეობა. ბარში ჩასახლებამდე ადგილობრივი მოსავალი მოსახლეობას ორიდან ექვს თვემდე ჰყოფნიდა. ბარში დამკვიდრების შედეგად მიწათმოქმედება ხდება მათი მთავარი დარგი. მაგრამ მეზობელ კავკასიელ ხალხებს ინგუშები მაინც ჩამორჩებოდნენ. თუ ერთ ინგუშ მამაკაცზე ბარად მოდიოდა 4,5 დესეტინა მიწა, ერთი ოსი ფლობ-

---

[22] М. Шубин, დასახ. ნაშრომი, გვ. 153—154.
[23] იქვე, გვ. 155.
[24] იქვე, გვ. 162.

და 5.3 დესეტინას. ხოლო ერთ ყაბარდოელზე მოდიოდა 9.37 დესეტინა სახნავი ადგილი.

ე. კრუპნოვის დაკვირვებით, ინგუშები ხვეულს ჩამორჩებოდნენ მატყლის დამუშავებაშიც, რაც ქალის ხელობად ითვლებოდა. კავკასიელ მთიელთა შორის ინგუშები ამ მხრივ მერვე ადგილზე იდგნენ. აქ ხელოსნობა არ გამოყოფილა დამოუკიდებელ დარგად, იმის მიუხედავად, რომ ინგუშები საუკეთესო მშენებლებად ითვლებოდნენ. ხელოსნობა სეზონური ხასიათისა იყო და მეურნეობის ძირითად დარგებთან — მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებასთან თანაარსებობას განაგრძობდა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის ე. კრუპნოვის შეხედულება მეცხოველეობის განვითარების საკითხზე. მას მიაჩნია, რომ ამ დარგიდან ინგუშეთში ოდითგანვე მეტად იყო დაწინაურებული მეცხვარეობა მისთვის ხელსაყრელი პირობების გამო. ნ. გრაბოვსკის ადრე გამოქვეყნებულ 1865 წლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით (რომელსაც ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით) ასეთ ვითარებას ხედავს მკვლევარი თვით XIX საუკუნეშიც. მსხვილფეხა მესაქონლეობასთან შედარებით მეცხვარეობის დაწინაურების საბუთად ე. კრუპნოვი თვლის იმ გარემოებას, რომ ერთ კომლს საშუალოდ ჰყავდა 21 ცხვარი, სამი ძროხა თავისი ხბოებით, ერთი ხარი, 0,5 ცხენი და 0.4 ვერძი[25].

ამგვარი შეფარდება ჩვენ არ მიგვაჩნია მეცხვარეობის უპირატესობის მაჩვენებლად, რამდენადაც ერთი ძროხა საშუალოდ ექვსშვიდ ცხვრად ფასობდა, ხოლო ამის გამო 21 ცხვარი თავისთავად სამ ძროხას უთანაბრდებოდა. ამასთან ერთად თუ იმასაც ვავითვალისწინებთ, რომ სამი ძროხის გარდა ოჯახს ჰყავდა ხბოები და ხარიც, მეცხვარეობის უპირატესობაზე ლაპარაკი არ იქნებოდა მართებული. ხელაღებით ამის მტკიცება ძნელია იმიტომაც, რომ ლიტერატურაში ასახულია საპირისპირო ხასიათის მაჩვენებლებიც. მოცემულ შემთხვევაში მაგალითისათვის საკმარისია თუნდაც მ. შუბინის ზემოხსენებული დაკვირვება, რომლის მიხედვით ერთ ძროხაზე საშუალოდ მოდის 2.5 სული ცხვარი.

ჩაჩნეთ-ინგუშეთის სამეურნეო ყოფის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად XIX საუკუნის დამკვირვებელთა მიერ მიჩნეულია ბარად ხელსაყრელი ეკონომიური პირობების არსებობა, ხოლო მთაში მიწების ნაკლებობა. მ. ოლშევსკის ცნობით, ჩაჩნეთი მდიდარია საძოვრებითა და ტყით. ი. ივანოვის ყურადღება მიუქცევია ჩაჩნეთის ბარს, როგორც მებაღეობა-მებოსტნეობისათვის ხელსაყრელ რაიონს. საიდანაც, მი-

---

[25] Е. Крупнов. დასახ. ნაშრომი. გვ. 86.

ს

ელი. ამიტომ ეს უკანასკნელი იძულებული იყო ჩამოსახლებულიყო ბარად დაუსახლებელ ადგილებში, ანდა მოეპოვებინა სარჩო მეზობლების ძარცვით თუ გაცვლითი ვაჭრობით[28].

მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარების დონეს ბ. დალგატი არც ინგუშეთისადმი მიძღვნილ ნაშრომში გვიჩვენებს. მას მხოლოდ ინგუშეთის ერთი სოფლის — ბეინის შესახებ აქვს ნათქვამი, რომ მისი მკვიდრნი მისდევდნენ მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. მკვლევარი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ ამათგან მეურნეობის რომელი დარგი იყო წამყვანი, მაგრამ იქვე იმის აღნიშვნა, რომ მოსახლეობა აწარმოებს ნაბადს და მაუდს, ხოლო ვლადიკავკაზში მიაქვთ მარტო რძის პროდუქტები[29], ეს თავისთავად მესაქონლეობის წამყვანობის მანიშნებელია.

ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთა-ბარში მეურნეობის აღნიშნულ სახეობათა ასეთსავე შეფარდებაზე მიუთითებს ს. ტოკარევი[30], ხოლო მთაში სახნავი ადგილების ნაკლებობის მწვავე სურათს გვიხატავს ა. ფადეევი. სათანადო წყაროებზე დაყრდნობით იგი აღნიშნავს, რომ მთიელი ინგუშის შეძლებულ ოჯახს თავისი მოსავალი ჰყოფნიდა ხუთ-ექვს თვემდე, ხოლო ღარიბს მხოლოდ ორ თვემდე[31].

ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით ბ. კალოევიც იმ აზრისაა, რომ ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთაში მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა მესაქონლეობა, ხოლო ბარში — მიწათმოქმედება. ჩაჩნეთის ბარი იმდენად მნიშვნელოვან სამიწათმოქმედო რაიონად ითელებოდა, რომ კავკასიის ომების დროს მას შეარქვეს შამილის ბეღელი. აქ ყიდულობდნენ პურეულს მარცვლეულის ნაკლებობით შეწუხებული მთიელებიც[32].

ჩაჩნეთ-ინგუშეთის სამეურნეო ყოფის მოკლე დახასიათებას იძლევა თავის გამოკვლევაში ე. კუშევა. XVIII საუკუნის ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მას აღნიშნული აქვს, რომ ჩაჩნები და ინგუშები ღარიბად ცხოვრობდნენ. ისინი განიცდიდნენ როგორც სახნავი მიწის, ისე საქონლის ნაკლებობას, მაგრამ განვითარების დონე

---

[28] Б. Далгат, Первобытная религия чеченцев, ТС. вып. III. кн. II, отд. II. Владикавказ, 1893, стр. 56.

[29] Б. Далгат, Материалы по обычному праву ингушей. ИИНИИК. II—III, Владикавказ. 1930, стр. 305.

[30] С. Токарев, დასახ. ნაშრომი, გვ. 243.

[31] А. Фадеев. დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

[32] Народы Кавказа, I, стр. 348. 376; შდრ. Н. Гриценко. Современники середины XIX века о чечне и чеченцах, «Археолого-этнографический сборник». II, Грозный, 1908, стр. 293.

მეურნეობის ამ ორი დარგისა მთასა და ბარში მკვეთრად განსხვავებული იყო. ე. კუშევას დაკვირვებით, ბარად მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა მიწათმოქმედება, ხოლო მთაში მესაქონლეობა მეცხვარეობის უპირატესობით. აღნიშნულის დამამტკიცებელ არგუმენტად მკვლევარს მიაჩნია ის გარემოება, რომ პურის ნაკლებობით შეწუხებული ქისტები ბარად უაბარდოელთა მიწებს ამუშავებდნენ, ხოლო XVIII საუკუნის ერთ-ერთი წყარო იმის შესახებ მოგვითხრობს, თუ როგორ დაეცნენ უაბარდოელები ქისტებს და როგორ წაართვეს მათ ერთჯერ 1200, ხოლო მეორეჯერ 700 სული ცხვარი[33].

ე. კუშევას მიერ დამოწმებული წყარო თავისთავად საინტერესო ცნობებს შეიცავს ჩრდილო კავკასიელ ხალხთა შორის არსებული მეკობრეობის შესახებ, მაგრამ ეს საბუთი არ მიგვაჩნია იმის საფუძვლად, რომ მეცხოველეობაში მსხვილფეხა მესაქონლეობაზე უფრო დიდი როლი მეცხვარეობას მივაკუთვნოთ. 1200 თუ 700 სული ცხვრის ერთად გარეკვის შესახებ შემონახული ცნობა ისეთ სრულფასოვან წყაროდ მისალები არ უნდა იყოს, რომ მასზედ დაყრდნობით მეცხვარეობის განვითარების დონე განვსაზღვროთ, რამდენადაც წყაროდან არ ჩანს ეს ცხვარი ვის ეკუთვნოდა—ერთ ოჯახს, გვარს, სოფელს თუ მთელ ხეობას. აღნიშნული ცნობა მაშინ იქნებოდა მეცხვარეობის განვითარების ღონის მაჩვენებელი, როდესაც ცხვრის ზემოაღნიშნულ რაოდენობასთან ერთად გვეცოდინებოდა მისი მფლობელი ადამიანების რიცხვიც. ადამიანებისა და მათ საკუთრებაში მყოფი პირუტყვის რიცხობრივი შეფარდების შედეგად შესაძლებელი ხდება საშუალო მაჩვენებლების გამოყვანა და ამ გზით მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონლის ხვედრითი წონის განსაზღვრა. როდესაც ამ თვალსაზრისით ვაკვირდებით თუნდაც ნ. გრაბოვსკისა და მ. შუბინის მიერ დადგენილ ციფრობრივ შეფარდებას, სასწორი იხრება მსხვილფეხა მესაქონლეობის მხარეზე (შუბინით), ანდა მისი და მეცხვარეობის განვითარების მასშტაბები თითქმის ერთ დონეზე წარმოგვიდგება (გრაბოვსკით).

საარქივო მასალებსა და ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთში მიწით სიღარიბის მწვავე სურათს გვიხატავს 1964 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ნ. გრიცენკო. იგი ეხება მეფის მთავრობის მიერ მთაინგუშეთის ოთხივე საზოგადოებაზე (ჯაირახის, მეცხალის, ხამხის, ცორის) გაწერილ მძიმე გა-

---

[33] Е. Кушева, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

დასახადებს[34] და იქვე დაასკვნის, რომ უნაყოფო და მცირე ზომის მიწის ნაკვეთებიდან მიღებული მოსავალი სამჯერ ნაკლებია იმაზე, რაც აქაურ მკვიდრთათვის არის საჭირო[35].

ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა და რაც დამახასიათებელი იყო ჩაჩნეთ-ინგუშეთის ძველი ყოფისათვის, დადასტურდა ახალი ყოფის ამსახველი მასალების მიხედვითაც. ირკვევა, რომ მთაში ახალი ცხოვრობრივი მაჩვენებლებითაც წამყვანია მესაქონლეობა. ვ. ფილკინს აღნიშნული აქვს, რომ ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედიოდა ცხრა მთაგორიანი რაიონი, რომელიც შოიკავდა რესპუბლიკის ტერიტორიის 42 პროცენტს და ითვლიდა 160 000 კაცს. ამავე ავტორს დადგენილი აქვს, რომ რესპუბლიკის ეკონომიკაში ამ რაიონების ხვედრითი წონა მემინდვრეობაში შეადგენდა 12 პროცენტს, ხოლო მეცხოველეობაში — 62,2 პროცენტს[36].

იმის გამო, რომ მთიელები სახნავი მიწების მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ, ოჯახის გაყრის დროს როგორც ქვემოთ დავინახავთ, განსაკუთრებით მტკივნეულ საკითხს წარმოადგენდა მიწების დანაწილება და ახლად გამოყოფილი ოჯახების უზრუნველყოფა. ვინაიდან საოჯახო თემის მფლობელობაში არსებული მიწის ისედაც მცირედი ნაკვეთი რამდენიმე ნაწილად ოჯახის გაყოფის შედეგად კიდევ უფრო პატარა ნაკვრებად ქუცმაცდებოდა, მთიელი იძულებული იყო სახნავი მიწების გაზრდის სხვა გზები გამოენახა. ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენდა საზოგადო საკუთრებაში შემავალი ქვიანი ადგილის გაწმენდა ან ახოს აღება (ტყის გაჩეხვა). საკუთარი შრომით სახნავად მოპოვებულ ნაკვეთს რაკი პატრონი გაანაყოფიერებდა და მოუვლიდა, ის მის ხელშეუხებელ საკუთრებად იქცეოდა. მისი ზუსტი საზღვრები ოჯახის ყველა წევრმა იცოდა და მას ცოცხალი თავით არავის დაანებებდა. ამ გზით მოპოვებული მამულის გაყიდვა თუ გასაჩუქრება მის პატრონს შეეძლო. არსებობდა ადგილ-მამულებით სარგებლობის მეორე წესიც. ცალკეული ოჯახები, როგორც თემის ან სოფლის საზოგადოების წევრები, თანაბარი უფლებით სარგებლობდნენ საზოგადო მფლობელობაში არსებული ადგილებით. ყველა ოჯახი მას ფლობდა, როგორც კოლექტივის წევრი, სარგებლობდა ამავე

---

[34] Н. Гриценко. К вопросу о социально-экономических отношениях в Чечено-Ингушетии в пореформенный период, ИЧИНИИ, т. IV, вып. 1, стр. 27.

[35] ი ქ ე ვ ე, გვ. 28—29.

[36] В. Филькин. Некоторые особенности и трудности в развитии колхозного строя в Чечено-Ингушской АССР в предвоенные годы и борьба партийной организации за их преодоление, ИЧИНИИ, т. IV, вып. I, стр. 208.

უფლებით, მაგრამ არც საზოგადოებას და არც ამ საზოგადოებაში შემავალ რომელიმე ოჯახს ამ ადგილების გასხვისების ნება არ ჰქონდა.

ამგვარად, ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთში ოჯახის ძირითად საარსებო წყაროს წარმოადგენდა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება. ზემოთ განხილული ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით პირველის უპირატესობა ეჭვს არ ბადებს.

*

* *

ჩაჩნების სამეურნეო ყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აგრეთვე მეცხენეობა. ცხენზე მოთხოვნილება განსაკუთრებით გაიზარდა კავკასიის ომიანობის ხანაში. ომის დამთავრებისა და ცხენზე, როგორც საომარ ძალაზე, მოთხოვნილების შემცირების შემდეგ კი მეცხენეობის დონე საგრძნობლად დაქვეითდა. XX საუკუნის დასაწყისში ორი მთიელი ჩაჩნის ოჯახზე საშუალოდ ერთი ცხენიღა მოდიოდა[37]. თუ მთიანეთში ასეთი შეფარდება მაინც დასტურდება, მთელი ჩაჩნეთის (ე. ი. მისი მთისა და ბარის) მაგალითზე მეცხენეობა კიდევ უფრო შემცირებული მაჩვენებლებით ხასიათდება. 1893 წლის მონაცემებით 100 ჩეჩენს საშუალოდ ჰყავდა სულ 9.2 სული ცხენი, ე. ი. თითქმის ორჯერ ნაკლები ოსებთან შედარებით და ხუთჯერ ნაკლები ყაბარდოელებთან შედარებით. ამ დროისათვის ჩაჩნეთში უცხენოდ ყოფილა მოსახლეობის 60 პროცენტი[38].

როგორც ბ. კალოევმა მიუთითა. ზოგიერთი ბურჟუაზიული მკვლევარი მეცხენეობის ასეთი დაქვეითების მიზეზად თვლიდა მეურნეობაში ცხენის ნაკლებად გამოყენების საჭიროებას. ეს შეხედულება ბ. კალოევმა გააკრიტიკა და მეცხენეობის დაბალი მაჩვენებლების მიზეზად მან მიიჩნია ჩაჩნების გაღარიბება[39].

ჩვენი შეხედულებით, ეს კრიტიკა არ არის დასაბუთებული. თუ ჩაჩნები XIX საუკუნის ბოლოს გაღარიბდნენ და ამან მეცხენეობის რეგრესიც გამოიწვია, გამოდის, რომ შამილის ხანაში ცხენების მომრავლება განაპირობა მოსახლეობის მდიდრად ცხოვრებამ. თუ ეს ასე იყო, კრიტიკოსს მართებდა აღენიშნა ჩაჩნების „გაღარიბების" მიზეზიც. უფრო მართებული კი ის იქნებოდა, რომ ამ დებულების ავტორს ანგარიში გაეწია საომარ პირობებში ცხენზე დიდი მოთხოვნილების

---

[37] Н. Иванченков. Горные чеченцы, ТС. VII. Владикавказ, 1910, стр. 107,

[38] Е. Максимов, Чеченцы, ТС. III. кн. 2, Владикавказ, 1893, стр. 18.

[39] Народы Кавказа, I. стр. 350.

ფაქტორისათვის, რომლის შესახებ ჯერ კიდევ 1910 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ნ. ივანენკოს ჰქონდა აღნიშნული.

*

* *

მეურნეობის ძირითად დარგებთან ერთად ინგუშები და ჩაჩნები მიმართავდნენ შედარებით უმნიშვნელო საარსებო წყაროებსაც. ასეთთა წყებას განეკუთვნებოდა მეფუტკრეობა, მონადირეობა, მდინარეში თევზის ჭერა თუ შეგროვებითი მეურნეობა. მთიელებს ძველთაგანვე მოჰყავდათ ზოგიერთი ბოსტნეული (ხახვი, ნიორი), ხოლო შედარებით ინტენსიურად მოკიდეს ხელი მებაღეობა-მებოსტნეობას ბარისა და ტყიანი ზოლის მცხოვრებლებმა. ყოველივე ამასთან ერთად, ისტორიულ წარსულში მთიელთა შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა მეკობრეობაც, რაც ადამიანთა დატყვევებასა და საქონლის მოტაცებაში პოულობდა გამოხატულებას. „როგორც სხვა ყველა კავკასიელი, წერს გიულდენშტედტი, ისინიც მესაქონლეობას და მეშინდვრეობას მისდევდნენ; დამხმარე ხელობა კი, რომელიც ბევრისათვის მთავარი საქმიანობაა, არის თავდასხმა მეზობლებზე საქონლისა და ადამიანების გატაცების მიზნით“[40].

გიულდენშტედტი მართალი იყო, როდესაც მეზობლებზე თავდასხმას მიიჩნევდა შემოსავლის დამხმარე წყაროდ და მხოლოდ ზოგისთვის თვლიდა მას მთავარ საქმიანობად. მთიელთა ცხოვრებაში ასევე დამხმარე საქმიანობათა სფეროს მიეკუთვნებოდა მეფუტკრეობა, მონადირეობა, შემგროვებლობა და მეთევზეობა. მეთევზეობა აქ არც შეიძლება მივაკუთვნოთ რაიმე სახის მეურნეობას, რამდენადაც ის შემოიფარგლებოდა მდინარეში კალმახობის გამონაკლისი შემთხვევებით. თევზის ჭერა ცალკეულ პირთა თავის შექცევა უფრო იყო, ვიდრე ოჯახის დოვლათის წყარო. მაინცდამაინც არც მონადირეობა წარმოადგენდა ყველას საქმიანობას, მაგრამ მეთევზეობასთან შედარებით მას მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. განსაკუთრებით სარფიან საქმედ ითვლებოდა ჯიხვზე ნადირობა, რამდენადაც ოჯახი მთელი ზამთრის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყო დამარილებული ხორცით, ჯიხვის ტყავს იყენებდნენ კედელზე გასაკრავად, საფენად და ტანსაცმლის მასალად, ხოლო რქას სასმისების, საპირისწამლეების, ქარქაშების და დანებისა თუ ხანჯლების სახელურების დასამზადებლად. რაც შეეხება შემგროვებლობას, ეს თითქმის ყველა ოჯახის სისხლხორცეული საქმე იყო. ზაფხულსა და შემოდგომაზე ქალები და ბავშვები ოჯახს ამარაგებდნენ რიგი გარეული მცენარეებით, სანელებლებით, პანტით,

[40] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, გვ. 71.

მაქალოთი და სხვა სახის ველური ხილით. ამ საქმიანობაში მამაკაცები არ ერეოდნენ. ეს ტრადიცია დღესაც კი არ არის მივიწყებული.

•

• •

იმის მიუხედავად, რომ მთიელთა საოჯახო ყოფაში მეფუტკრეობა, მონადირეობა, მეთევზეობა და შემგროვებლობა მეურნეობის ძირითად დარგებს არ მიეკუთვნებოდნენ, ოჯახის ეკონომიკაში მათი როლის უგულებელყოფა არ იქნებოდა მართებული. კიდევ უფრო გაუმართლებელი იქნებოდა ამ თვალსაზრისით შინამრეწველობის უგულებელყოფა, რაც ჩაჩნებისა და ინგუშების საოჯახო მეურნეობაში რამდენადმე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მონაცემებზე დაყრდნობით ო. მარგგრაფმა დაადგინა, რომ ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად ჩაჩნები და ინგუშები მისდევდნენ მატყლის, ტყავის, ხისა და ლითონის დამუშავებას უმთავრესად შინამრეწველობის დონეზე. ცალკეული დარგების მიხედვით ერთ შემთხვევაში წინ მიდიოდა მთიელთა რომელიმე რაიონი, მეორე შემთხვევაში პირველობას ბარის მოსახლეობა ჩემულობდა. მაგრამ მთლიანობაში პრიორიტეტს მთიელები ინარჩუნებდნენ. მიუხედავად იმისა, აღნიშნავს ო. მარგგრაფი, რომ საკითხის შესწავლის პერიოდში ჩრდილო კავკასიის ბარის მოსახლეობა მთისას ოთხჯერ ჭარბობდა, ბარელებთან შედარებით მთიელები ორჯერ მეტ პროდუქციას ქმნიდნენ[41]. რაც შეეხება ცალკეულ ხალხებს, ამ მხრივ ყველა ერთად აღებული დარგის განვითარების დონითა და პროდუქციის სიუხვე-ნაირსახეობით პირველ ადგილზე იდგა დაღესტანი, მეორეზე იმყოფებოდნენ გროზნოს ოლქის ჩაჩნები, მესამეზე ოსები, მეოთხეზე ყაბარდოელები, მეხუთეზე მთიელი ებრაელები, მეექვსეზე კავკასიელი რუსები. მეშვიდეზე მომთაბარე ტომები (ნოღაელები, ყალმუხები, თურქმენები), მერვეზე ვედენოსა და არღუნის ოკრუგის ჩაჩნები, ხოლო ბოლო მეცხრე ადგილი ეჭირათ ინგუშებს[42].

თუ შინამრეწველობის განვითარების საერთო სურათი ასეთია, მდგომარეობა რამდენადმე შეცვლილი სახით წარმოგვიდგება ცალკეული დარგების მიხედვით. ამ მხრივ, პირველ რიგში, საყურადღებოა მატყლის დამუშავების საქმე, რაც თავისი ნაირსახეობითა და მნიშვნელობით კავკასიაში ყველა სხვა დარგზე მაღლა იდგა.

წარმოების ტექნიკისა და მასშტაბის მიხედვით პირველობას ამ საქმეშიაც დაღესტნელები ინარჩუნებდნენ. მათ შემდეგ თანმიმდევ-

---

[41] О. Маргграф. Очерк кустарных промыслов Северного Кавказа, Москва, 1882, стр. 56.

[42] იქვე, გვ. XXV—XXVI.

რობით მოყვებოდნენ ოსები, ყაბარდოელები, ყუმუხები, ჩაჩნები, კაზაკები (სტავროპოლის გუბერნიის რუსი გლეხები), ინგუშები, ყარანოღაელები, ყალმუხები, თურქმენები და სხვა მომთაბარენი[43].

როგორც ვხედავთ, შინამრეწველობის საერთო მაჩვენებლების მიხედვით ჩაჩნების ერთი ნაწილი მეორე ადგილზე იდგა, ნაწილიც მერვეზე, ხოლო მატყლის დამუშავების სფეროში ისინი მეხუთე ადგილზე იმყოფებოდნენ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მატყლის დამუშავებას უფრო ინტენსიური ხასიათი ჰქონდა კავკასიის მთიანეთში, ვიდრე ბარად, რაც აიხსნება შედარებით განვითარებული მეცხვარეობითა და მისთვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით. საპირისპირო ვითარება მოწმდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. ო. მარგგრაფი საილუსტრაციოდ ასახელებს ინგუშებს, რომლებიც, მეცხვარეობისათვის რამდენადმე ხელსაყრელ პირობებში ყოფნისა და მთაში ცხოვრების მიუხედავად, მერვე ადგილზე იმყოფებოდნენ. ამ მხრივ ისინი ჩამორჩებოდნენ ბარელ ყუმუხებსა და კაზაკებს და წინ უსწრებდნენ მხოლოდ ყარანოღაელებს, ყალმუხებსა და თურქმენებს. ასეთსავე გამონაკლისად მიაჩნდა ო. მარგრაფს ის გარემოებაც, რომ მცირე საჩაჩნოს მთელი ჩაჩნები მატყლის დამუშავებაში ჩამორჩებოდნენ ყუმუხებს[44].

კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად ჩაჩნები (ქალები) მატყლისგან ამზადებდნენ ნაბდებს, რომლისთვისაც შავ მატყლს იყენებდნენ. მტკიცედ ნაქსოვ. ნატიფსა და გრძელ ჩაჩნურ ნაბადს განსაკუთრებით ეტანებოდნენ ცხენოსნები. ჩაჩნეთში მისი წარმოების ძირითადი ცენტრი იყო ბარის სოფელი ძველი იურთი, ხოლო ნედლეულის (შაკი მატყლის) ბაზას წარმოადგენდა ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთი[45]. ჩაჩნური ნაბადი ყაბარდოულსა და დაღისტნურ ნაბადთან ერთად სცილდებოდა შინამოხმარების ფარგლებს და გაჰქონდათ იგი ამიერ და იმიერკავკასიის ბაზრებზე[46].

მხრებზე წამოსასხამი ნაბდების გარდა დიდ ჩაჩნეთში მისდევდნენ საფენ-საგებელი ნაბდების თელვასა და ხალიჩა-ფარდაგების ქსოვას, რაც ასევე ქალის ხელით ხდებოდა. წარმოების დონე არსებითად შინამოთხოვნილების მასშტაბით განისაზღვრებოდა. ოჯახების მხოლოდ 1/8 ნაწილი ამ სახის საქონელს საბაზროდაც ამზადებდა[47]. განსაკუთრე-

---

[43] О. Маргграф, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.
[44] იქვე, გვ. 4.
[45] იქვე, გვ. 21—24.
[46] იქვე, გვ. 36.
[47] იქვე, გვ. 49.

ბით დიდი გასაკვალი ჰქონია საფენ-საგებელ ნაბადს, ხოლო ხალიჩა ჩრდილო კავკასიის ბაზრების ფარგლებს ვერ სცილდებოდა[48]. ხალიჩასა და ფარდაგს თვით ჩაჩნები ოჯახებში იყენებდნენ ძალზე ფართოდ. გეომეტრიული ფიგურებით, მცენარეებისა და ცხოველების ვამოსახულებებით დამშვენებული ხალიჩა-ფარდაგები თანამედროვე ყოფაშიც გვხვდება. ისევე როგორც დღეს, გასულ საუკუნეშიც ხალიჩა და ფარდაგი წარმოადგენდა ჩაჩნის სახლის შიდა მორთულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს. ორნამენტიანი ფარდაგ-ხალიჩებითა და ნაბდებით დაფარული იყო არა მარტო კედლების დიდი ნაწილი. არამედ საყონაღოს იატაკიც კი.

ჩაჩნების საოჯახო მეურნეობაში სათანადო ყურადღება ექცეოდა მაუდის წარმოებას, რომლის მასშტაბი ასევე შინამოთხოვნილების ჩარჩოებით იფარგლებოდა. გასაყიდად ისინი უმთავრესად ამზადებდნენ ჩოხებსა და ყაბალახებს. რომლისთვისაც საჭირო მაუდის მოსაქსოვად იყენებდნენ ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთის მატყლს. ბარელი ჩაჩნები მთიელი ჩაჩნებისა და ინგუშებისაგან ზოგჯერ ყიდულობდნენ მაუდის მზა ნაწარმსაც[49].

ჩაჩნეთში შინამოთხოვნილების დონეს პასუხობდა ფეხსაცმელების დამზადებაც, რაც აგრეთვე ქალის მოვალეობას შეადგენდა. ამ მხრივ ჩაჩნები და ოსები ინგუშებზე წინ იდგნენ, მაგრამ ბევრად ჩამორჩებოდნენ როგორც ამ საქმეშიც პირველ ადგილზე მყოფ ლეკებს, ისე ხასავ-იურთელ უუმუხებსა და ყაბარდოელებს[50].

ბენეეულისა და ტყავის დამუშავებასთან ერთად ჩაჩნის ოჯახში ხდებოდა ხის, ლითონისა და თიხის ნაწარმის დამზადებაც. ლითონის ნაწარმი საბრძოლო იარაღისა და საოჯახო ჭურჭლის სახით XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩაჩნეთის ფარგლებს არ გასცილებია და მთელ ჩრდილო კავკასიაში ამ მხრივ პრიორიტეტს კვლავ დაღესტანი ინარჩუნებდა[51]. ლითონის დამუშავების საქმე განსაკუთრებით დაეცა კავკასიაში ომების შეწყვეტის შემდეგ. იარაღის დამზადების, მისი მოვერცხვლისა და სპილენძის ჭურჭლის კეთების უძველესი ცენტრი ჩაჩნეთში იყო არღუნის ხეობის კარებში მდებარე სოფ. ძველი აგატი. კავკასიის ომების დროს ეს სოფელი სოფ. ვედენოსთან ერთად შამილის ჯარის არსენალს წარმოადგენდა[52].

კერამიკის წარმოების ძირითადი ცენტრები ჩაჩნეთში იყო სოფ. ძველი იურთი, ახალი იურთი, შალი იურთი და სხვ. ჩაჩანი ხელოსნე-

---

[48] О. Маргграф. დასახ. ნაშრომი, გვ. 206.
[49] იქვე. გვ. 69. 78, 104. 109.]
[50] იქვე. გვ. 172.
[51] იქვე, გვ. 206.
[52] Народы Кавказа, I. стр. 352.

ბი მაღალი გემოვნებით ძერწავდნენ ქოთნებს, სასმისებს და სხვა სახის ჭურჭელს. რაც ჩაჩნეთის ფარგლებს გარეთაც ვრცელდებოდა[53]. უუმუხებთან ერთად ჩაჩნებს ეს ხელობა შეუსწავლიათ დაღესტნელთაგან, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში ამ მხრივაც პირველობას არავის უთმობდნენ[54].

რაც შეეხება ხის ნაწარმს, ამაში შედიოდა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, სატრანსპორტო მოწყობილობა და დგამ-ჭურჭელი. ყოველივე ეს ძირითადად მზადდებოდა ტყიანი მთების ზოლში. არც ავეჯის და არც სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის სხვა ქვეყნიდან შემოტანა აქ არ ხდებოდა. მისი წარმოების დონე საშინაო მოთხოვნილებას პასუხობდა[55]. ჩაჩნეთში, ისევე როგორც ყაბარდოში, გასაყიდად მზადდებოდა უმთავრესად ურმები[56].

როგორც ვხედავთ, გარდა საოჯახო მრეწველობისა, ჩაჩნეთში მოწმდება ხელოსნობით ცნობილი ცენტრების არსებობა. რომლებიც ბარადაა განლაგებული. მჭედლები და დურგლები თუმცა ჩაჩნეთის მთიანეთის თითქმის ყოველ დიდ სოფელშიც ეწეოდნენ თავიანთ საქმიანობას, მაგრამ ხელოსნობის სხვადასხვა დარგებისა და ოსტატების სიმრავლით ჩაჩნეთის მთიანეთში განსაკუთრებით გამოირჩეოდა სოფ. შატოი[57].

სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და ავეჯისმკეთებლობის საზით ჩაჩნეთში არ დასტურდება სპეციალიზაციის ფაქტები. საოჯახო საჭიროების საგნებს თითქმის ყველა ოჯახში ამზადებდნენ. ამიტომ ხის ნაწარმისათვის დამახასიათებელი იყო უხეში ნაკეთობა. ასეთივე თვისებით ხასიათდებოდა ხის ნაწარმი ინგუშეთში.

საშინაოდ და ბაზარზე გასატანად ამზადებდნენ ჩაჩნები თოკებს, ღვედებს, საპურე გოდრებს, საფქვილე ყუთებს, კალათებს, საფუტკრეებს, რქის სასმისებს, დანის ტარებს, საპირისწამლეებს და სხვა[58]. აქვე იყენებდნენ რა ორსიმიან საკრავ ინსტრუმენტს, მის დამზადებასაც ფართო ხასიათი ჰქონდა ყაბარდოსთან ერთად. საკრავების დამამზადებლებიც ყოფილან არა სპეციალურად ამ საქმეში დაოსტატებული ხელოსნები, არამედ მუსიკის მოყვარულები, რომლებიც ამ საკრავს ამშვენებდნენ ხეზე კვეთილობის ნიმუშებით. ჩაჩნეთ-ინგუშე-

---

[53] Народы Кавказа. I, стр. 352.
[54] О. Маргграф, დასახ. ნაშრომი, გვ. 275.
[55] იქვე. გვ. 229.
[56] იქვე. გვ. 250.
[57] Народы Кавказа, I, стр. 352.
[58] О. Маргграф, დასახ. ნაშრომი, გვ. 263—273.

ოსა და ჩრდილო კავკასიის სხვა ქვეყნებში ამ საკრავს უმთავრესად იყენებდნენ საყოფაოში სტუმრის გასართობად[59].

ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვა კავკასიელი ხალხების მსგავსად ჩაჩნებიც კუსტარული წესით, ნაცრისა და ქონის ნახარშით, ამზადებდნენ საპონს. აქვე სცოდნიათ ქონის ან ფიჭის სანთლის დაბზადებაც. როგორც ო. მარგგრაფი აღნიშნავს, საპონი ჩაჩნებს ბაზრობებზეც გაჰქონდათ, მაგრამ ბაზრიდან ის განუდევნია ფაბრიკულ ნაწარმს[60].

როგორც ვხედავთ, ამა თუ იმ სახის ნაწარმის შექმნა ჩაჩნეთში, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიაში საერთოდ, განისაზღვრებოდა საოჯახო მრეწველობისა და შინამოთხოვნილების მასშტაბით. ამ მხრივ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნოდნენ დაღესტნელები, რომლებიც თავიანთ ნახელავს სხვაგანაც ავრცელებდნენ და მათი ხელოსნები თავიანთი ქვეყნის გარეთაც საქმიანობდნენ[61]. ჩაჩნების ნაწარმი ძირითადად ჩაჩნეთ-ინგუშეთის ბაზრობებსა და ბაზრებზე გადიოდა და მწარმოებლებიდან პირდაპირ მომხმარებლის ხელში გადადიოდა. უმეტეს შემთხვევაში კი ნაწარმი მის მწარმოებელ ოჯახს რჩებოდა და მის წევრებს ხმარდებოდა.

შინამრეწველობა განსაკუთრებით შეზღუდული სახით იყო წარმოდგენილი ინგუშეთში. ბაზარზე გასატანად აქ თითქმის არაეითარი სახის ნაწარმი არ მზადდებოდა. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ისინი მატყლის დამუშავების დონითაც კი მხოლოდ მერვე ადგილზე იმყოფებოდნენ. ინგუშეთი ამ მხრივაც წარმოადგენდა ნედლეულის რაიონს. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ მატყლს იყენებდნენ მხოლოდ უხეში მაუდის დასამზადებლად. მაუდის წარმოება აქ შინამოთხოვნილებით იყო განსაზღვრული. ბაზარზე გაჰქონდათ უმნიშვნელო რაოდენობით, რომელიც ხარისხით ბევრად ჩამორჩებოდა ჩაჩნურს. რაც შეეხება ნაბდებს და ხალიჩა-ფარდაგებს, ინგუშები მას საშინაო საჭიროებისთვისაც კი არ ამზადებდნენ და ყიდულობდნენ ჩაჩნებისაგან ან ყაბარდოელებისაგან. საოჯახო საჭიროებისთვის ფეხსაცმელს კერავდნენ ქალები, სასოფლო-სამეურნეო იარაღებს კაცები, ხოლო ლითონისა და თიხის დამუშავებას ინგუშეთში საერთოდ არ ჰქონია ადგილი[62].

ო. მარგგრაფის გამოკვლევას უნდა ემყარებოდეს ი. პანტიუხოვი, რომელიც მიუთითებს, რომ ინგუშეთში არც ერთი სახის ხელოსნობა

---

[59] О. Маргграф. დასახ. ნაშრომი. გვ. 262.
[60] იქვე, გვ. 278—280.
[61] იქვე, გვ. XXXIV.
[62] იქვე, გვ. 4. 21, 24, 42, 49, 69, 70, 172.

არ არსებობდა. მისი ცნობით ინგუშები, ნაბდებსა და უნაგირებს ყიდულობდნენ ყაბარდოელებისაგან, ხოლო ხისა და ლითონის ჭურჭელს ლეკებისაგან. სახლში ამზადებდნენ ცოტაოდენ მაუდს. მათი შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა თივისა და შეშის დამზადება ვლადიკავკაზის მიდამოებში. ამ მიზნით ინგუშები იჯარით იღებდნენ კერძო ან სახელმწიფო ადგილებს[63].

ო. მარგგრაფის აზრით, ჩაჩნებთან შედარებით ინგუშების ასეთი ჩამორჩენილობა განაპირობა ჩაჩნეთ-ინგუშეთს შორის სავაჭრო-ეკონომიური კონტაქტის უქონლობამ. ჩაჩნებმა თუ თავიანთ მეზობლებთან საქმიანი ურთიერთობა დაამყარეს, ჩაჩნებისაგან მოწყვეტილმა, მეზობლებთან არასახარბიელო ურთიერთობაში მყოფმა და კონკურენციის მიღმა დარჩენილმა ინგუშებმა კავკასიის ყველა სხვა ხალხზე მეტად შეინარჩუნეს ეკონომიური კარჩაკეტილობა, რამაც თავისი გამოვლინება პოვა შინამრეწველობის ხასიათშიც[64].

ყველა ზემოხსენებული სამუშაო სრულდებოდა ოჯახის წევრთა ხელით. ხის, ლითონისა და თიხის დამუშავება მამაკაცის მოვალეობას შეადგენდა. ხოლო მატყლის ნაწარმის დამზადება. ფეხსაცმელებისა და ჭურჭების კერვა, საპნის ხარშვა და სანთლის ჩამოქნა, მთლიანად ქალებს ევალებოდათ. მსუბუქ საქმიანობაში იყენებდნენ ბავშვის შრომასაც, ხოლო რიგ შემთხვევაში ნათესავები და მეზობლები ერთმანეთს კოლექტიურ დახმარებასაც არ აკლებდნენ, მაგრამ არც ჩვენ დაგვიმოწმებია და არც ლიტერატურაში შეგვხვედრია შინამრეწველობის სფეროში დაქირავებული შრომის გამოყენების ფაქტი. თავის გამოკვლევაში ამ გარემოებაზე მიუთითებს ო. მარგგრაფიც და იმასაც აღნიშნავს, რომ ჩრდილო კავკასიის ხალხთა შინამრეწველობისათვის ნაკლებად იყო დამახასიათებელი შრომის დარგობრივი დანაწილება და ვიწრო სპეციალიზაცია. თუ ეს შეიმჩნევა, აღნიშნავს ო. მარგგრაფი, ისევ დაღესტნელებთან და ისიც მამაკაცთა საქმიანობაში, ე. ი ხის, ლითონისა და თიხის დამუშავების სფეროში[65]. რაც შეეხება ჩაჩნეთს, აქ ნაბდის მთელი ქალი ამავე დროს ქსოვდა მაუდს. კერავდა ფეხსაცმელს, ხარშავდა საპონს და ა. შ. ერთი პროფესიის სფეროში ქალთა შორის შრომის განაწილება, ანდა პროფესიების მიხედვით მათ შორის ფუნქციების განაწილება XIX საუკუნის მეორე ნახევრის ჩაჩნეთ-ინგუშეთისათვის არ წარმოადგენდა საოჯახო ყოფის ნიშანდობლივ მხარეს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ერთი და იგივე პირი ოჯახში მრავალფეროვან საქმიანობას უძღვებოდა.

---

[63] И. Пантюхов, დასახ. ნაშრომი, გვ. 129—130.

[64] О. Маргграф. დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

[65] იქვე, გვ. XXXIV—XXXV.

ოჯახის მმართველობის სისტემა და მასში არსებული შრომის ორგანიზაცია

ნახების საოჯახო ურთიერთობაში, ისევე, როგორც მათი მეზობლების ყოფაში, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ადამიანის სქესსა და ასაკს. ეს ორი ძირითადი ფაქტორი დიდ როლს ასრულებდა ოჯახის მართვის ორგანიზაციისა და ოჯახის წევრებს შორის შრომის განაწილებაში.

ნახის ოჯახში ყველაზე საპატიო და მაღალი უფლებების მქონე პირად ითვლებოდა ხანდაზმული მამაკაცი. მისი პრიორიტეტი აშკარად ჩანდა როგორც საოჯახო, ისე საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ჩვეულებისამებრ ოჯახის, ნათესაური გაერთიანების, თუ ტერიტორიულ-მეზობლურ პრინციპებზე დამყარებული საზოგადოებრივი ერთეულის ხელმძღვანელობა ხნიერი მამაკაცის ფრიად საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობას წარმოადგენდა. ეს ტრადიცია მთაში ისევე დიდხანს შემოინახა, როგორც თემური წყობის გადმონაშთები. შემთხვევითი არ არის, რომ ნათესაურ გაერთიანებაში მაშინაც კი არ იყო შერყეული უხუცესი მამაკაცის ავტორიტეტი, როდესაც გვარი, როგორც სოციალურ-ეკონომიური ერთეული, დიდი ხნის წინათ იყო დარღვეული და მისი ადრინდელი არსებობის მაუწყებელ ზოგიერთ ელემენტსღა შემოენახა თავი ეთნოგრაფიული გადმონაშთის სახით.

ოჯახში ხნით უფროსის პრიორიტეტს აღიარებდნენ ამ საკითხით დაინტერესებული დამკვირვებლები. ი. რეინეგსი როდესაც ოჯახის შემადგენლობას გაეცნო, მხედველობიდან არც ის გამორჩენია, რომ ოჯახის მეთაურობა ჩაჩნეთ-ინგუშეთში მინდობილი ჰქონდა ხნით უფროს მამაკაცს. მას ემორჩილებოდა მთელი ოჯახი და მისი ხელმძღვანელობით უყოყმანოდ სრულდებოდა ყოველგვარი საქმე[1].

XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩაჩნეთ-ინგუშეთში გადმონაშთის სახით დამოწმებული საოჯახო თემის მმართველობის ხასიათს შედარებით ვრცლად გვაცნობს არსებული ვითარების მოწმე ნ. ხარუზინი. როგორც იგი წერს ოჯახს ხელმძღვანელობდა მამა, რომლის გარდაცვალების შემდეგ ძალაუფლება გადადიოდა მისი უფროსი ვაჟის ხელში. შვილი მამას ცვლიდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის სიბერით დაუძლურდებოდა და მეურნეობას ვეღარ უძღვებოდა. ამ მხრივ უფროსი შვილი უფრო დიდი უპირატესობით სარგებლობდა, ვიდრე ოჯახის მეთაურის ძმა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც შვილი არ იყო სრულწლო-

---

[1] J. Reineggs. დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

ვანი. ოჯახის მმართველობა გადადიოდა გარდაცვლილის მეუღლის ხელში.

ოჯახის უფროსი — წ ე ნ დ ა ხელმძღვანელობდა სამამაკაცო საქმეებს, ხოლო დიასახლისი — წ ე ნ ა ნ ა, ჩვეულებისამებრ წენდას მეუღლე, მეთაურობდა საოჯახო საქმიანობას. წენდა განაგებდა რა ოჯახს, მაა სხვების დაუკითხავად შეეძლო ოჯახის ეკონომიური წარმოება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახის უფროსად იდგა მამა. მას შეეძლო ქონების გაყიდვა, იჯარით გაცემა, მაგრამ ფაქტიურად ასეთი ნაბიჯის გადადგმა დასაშვებად ითვლებოდა მხოლოდ ოჯახის სრულწლოვან მამაკაცებთან დათათბირება-შეთანხმების შემდეგ. თუ ოჯახის წევრთაგან ვინმე წინააღმდეგი იქნებოდა ქონების გაყიდვისა, წენდას ან უნდა უარეყო თავისი გადაწყვეტილება, ანდა დაეშვა ოჯახის გაყრა. ოჯახში ყველა სახის შემოსავალი ბარდებოდა წენდას. თვით საშოვარზე კასული წევრიც ვალდებული იყო დამორჩილებოდა ასეთ რეჟიმს. ოჯახის უფროსის გადაყენება ოჯახს არ შეეძლო: უკმაყოფილო პირებს შეეძლოთ მხოლოდ მოეთხოვათ გაყრა.

საოჯახო თათბირში ქალები არ მონაწილეობდნენ და მათ არც არაფერს ეკითხებოდნენ. შესაძლებელია ქმრები ცოლებსაც დათათბირებოდნენ. მაგრამ ქალის უარის საფუძველზე გადაწყვეტილება არ იცვლებოდა. თვით წენანაც კი ამ მხრივ არავითარი უფლებებით არ სარგებლობდა[2].

ნ. ხარუზინის აღწერილობის მიხედვით, ოჯახის მმართველობის წესი ჩაჩნეთ-ინგუშეთში ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის ტრადიციულ სახეს. ამ გარემოებაზე მიგვითითებს ოჯახში ხნიერი კაცის პრიორიტეტი, მამაკაცების ერთად ბჟობის წესი საოჯახო საქმეების გადაწყვეტასთან დაკავშირებით და ამგვარ თათბირში ქალთა როლის უგულებელყოფა. აღწერილობიდან ისიც აშკარად ჩანს, რომ მმართველობის ტრადიციული წესი ოჯახში შერყეული იყო. ამაზე მიგვითითებს თუნდაც ის გარემოება, რომ მამის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახს სათავეში ექცეოდა მისი უფროსი შვილი ან ცოლი, ხოლო ბიძის როლი უგულებელყოფილი ჩანს. ბიძისაგან გვერდის აევლით მისი ძმისწულის გაუფროსების ან ოჯახის უფროსად ქალის დანიშვნის წესი უნდა გაჩენილიყო გადმონაშთური ფორმით შემონახული საოჯახო თემის კვდომის სტადიაზე, რამდენადაც არც ერთი ეს წესი არ წარმოადგენდა პატრიარქალური საოჯახო თემის დამახასიათებელ ნიშანს.

ოჯახის მართვა რომ უპირატესად ხანდაზმულ მამაკაცს ჰქონდა მონდობილი, ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ინგუშური ეთნოგრაფი-

---

[2] Н. Харузин, Заметки..., СМЭ, III, стр. 123—124.

ელი მონაცემების მიხედვით, რამდენადაც საოჯახო თემის გადმონაშთები ინკუშეთში უკეთესად იყო შემონახული, ვიდრე ჩაჩნეთში, ხანდაზმული კაცის პრეროგატივა კარგად ჩანს ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ინგუშური ოჯახების ცხოვრებიდანაც. უმეტეს შემთხვევაში ერთიმეორეს ფარავს ეპონიმია და საოჯახო თემის უფროსის სახელი. მომდევნო თაობებზედაც ეს ტრადიცია გადმოდის და ოჯახის უფროსობა კვლავ ხანდაზმულ კაცს უწევს. მაგალითად, გაგიევების წინაპარი გაგი თავის დროზედ დიდი ოჯახის მეთაურიც იყო. მომდევნო თაობაში ასევე ოჯახის უფროსად გვევლინება ყველაზე ხნიერი კაცი არქყოი. გადმოცემამ შემოგვინახა გაგიევების გვარის მეხუთე თაობის ეხუცესის — ბეორე გაგის სახელიც. როგორც საოჯახო თემის უფროსისა. ოთხ თაობამდე გაუყრელი ოჯახის მეთაური იყო აგრეთვე გაგიევების გვარიდან განშტოებული ახალი გვარის—საფრალიევის ეპონიმი საფრალი.

ანალოგიური ვითარება წარმოგვიდგება სხვა ოჯახებისა და გვარების ცხოვრებიდანაც. მატიევების დიდ ოჯახში გაერთიანებული სამი ძმიდან ოჯახის უფროსობას ეწეოდა ძმებს შორის ყველაზე ხნიერი განიზი. ამ ოჯახის გაყრის შემდეგ კი განიზი თავისი შთამომავლობის გაერთიანებელი ოჯახის მეთაურადვე რჩება, ხოლო მისი ძმები — ოაზონგ და არაფხან ასევე თავ-თავიანთი ოჯახების მეთაურებად იქცევიან.

როგორც პირველ თავში ითქვა, ციცქიევების წინაპარი იყო ნერთ, ხოლო მერვე თაობიდან კი ამ გვარის უშუალო ეპონიმია ციცქ. მას ჰყავდა კიდევ ოთხი ძმა, რომლებიც თავიანთი შთამომავლობით ერთ ჰერქვეშ ცხოვრობდნენ, ხოლო ოჯახს ხელმძღვანელობდა ყველაზე უფროსი ძმა ციცქ.

ხნით უფროსობის მიხედვით ოჯახის მართვის წესს არ ღალატობნდენ არც ციცქიევების ახალი თაობის წარმომადგენლები. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჯარიახის ხეობის სოფელ ებნში ერთ ოჯახში შედიოდა ხუთი საქორწინო წყვილი. სამ თაობამდე ერთად მცხოვრებ ამ ოჯახს მეთაურობდა ხუთი ვაჟის მამა ჰონკი.

მამა გვევლინება ოჯახის მეთაურად შოუხალოევების საოჯახო თემშიც, რომელშიაც გაერთიანებული იყო მაირის (ოჯახის უფროსის) ხუთი შვილი და შვილიშვილები. ასეთივე ვითარება დამოწმდა ილიევების მაგალითზე, სადაც ექვსი ვაჟისა და მათი შვილების გამაერთიანებელ ოჯახს მეთაურობდა იალტი.

ხნით უფროსობის მიხედვით ოჯახის მეთაურობის პრინციპი თითქმის ყველა თაობაზეა დაცული ოზდოევების გვარში. გენეალოგიაში ხსენებული პირები გვევლინებიან დიდ ოჯახთა მეთაურებად. მთხრო-

ბელთა მეხსიერებამ განსაკუთრებით კარგად შემოინახა ის ფაქტი, რომ გაუყრელ ოჯახს ჯერ ხელმძღვანელობდა სამი ეაჟის მამა ჰოეოყო. მისი გარდაცვალების შემდეგ ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ოჯახის უფროსობა დაეკისრა ჰოეოყოს უფროს შვილს მუსას და ბოლოს ოჯახის სამად გაყრის შემდეგ კვლავ მუსა ხელმძღვანელობდა იმ ოჯახსაც, რომელიც თვით მუსას შთამომავლობას მოიცავდა.

ჩვენ აქ აღარ დავასახელებთ ანალოგიურ მაგალითებს, რამდენადაც ხნით უფროსობის მიხედვით ოჯახის ხელმძღვანელობის წესი საყოველთაოდ დამახასიათებელი იყო ინგუშთა საოჯახო ყოფისათვის. ხნით უფროსობის გარდა ყურადღება ექცეოდა სხვა გარემოებასაც. ოჯახის უფროსს ხანდაზმულობასთან ერთად ჩაბარებული საქმის გაძღოლის უნარიც უნდა ჰქონოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ოჯახის მართვას მიანდობდნენ ხნით უმცროს, მაგრამ უფრო გონიერ კაცს. ეს კარგად ჩანს თუნდაც ზემოხსენებული ჩანიევების ოჯახის მაგალითზე, რომელიც აერთიანებდა 30 შრომისუნარიან მამაკაცს. ამ ოჯახს ღრმა სიბერემდე ღოთექი ხელმძღვანელობდა, მაგრამ როდესაც სიბერისაგან მოტეხილმა ღოთექმა თავი ვეღარ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას, ოჯახის ხელმძღვანელობა ჩაბარდა მის საშუალო შვილს — არტახს.

ზემოაღნიშნული ფაქტი ორმხრივაა საყურადღებო. ჯერ ერთი, იმ მხრივ, რომ მოხუცი მამის სიცოცხლეშივე ოჯახის მართვა შვილს დაეკისრა. ეს თავისთავად იმის მაჩვენებელია, რომ ამ მოვალეობის შესრულება მარტო ასაკზე არ იყო დამოკიდებული. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ღოთექის ადგილი დაიკავა არა მისმა უფროსმა ვაჟმა ქუსარმა, არამედ საშუალომ — არტახმა. ძმებს შორისაც ხნით უფროსობა არ გამოდგა გადამწყვეტი პირობა, რამდენადაც ეს საპატიო როლი წილად ხვდა ოჯახის მართვის უნარით დაჯილდოებულ არტახს.

ჩანიევების ოჯახის მაგალითზე, რაც არ წარმოადგენს გამონაკლისს ინგუშთა საოჯახო ყოფისათვის, ნათლად გამოჩნდა, რომ ოჯახის უფროსობა მარტოოდენ ასაკზე არ იყო დამოკიდებული. ოჯახის მმართველობის სისტემაში ასაკთან ერთად უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მინდობილი საქმის ხელმძღვანელობისათვის საჭირო მონაცემებიც. ეს იყო საყოველთაო მოვლენა ინგუშთა საოჯახო ყოფაში, ისევე, როგორც უამპირობოდ არ ხდებოდა არც ქართული საოჯახო თემის მართვა[3]. ასეთივე პრინციპი იყო გაბატონებული ინგუშების ნათესაურ გაერთიანებაშიც. გვარის (პატრონიმიის ხელმძღვანელობის უნარს მოკლებული მოხუცის ნაცვლად ირჩევდნენ შედარებით უხნო, მაგრამ უკეთესი შესაძლებლობის მქონე პირს. ეს კარგად ჩანს როგორც დღე-

[3] Р. Харадзе, Грузинская семейная община. II, 1961.

ვდე შემორჩენილი ზეპირგადმოცემებიდან, ასევე არსებული ლიტერატურული მონაცემებიდანაც[4].

ამგვარად, ოჯახის მართვის თუ პატრონიმიის უფროსობის უფლებით პირველ ყოლისა უხუცესი სარგებლობდა. ამ ტრადიციის დარღვევა მხოლოდ მისი უუნარობის შემთხვევაში იყო შესაძლებელი. სხვადასხვა ასაკის, მაგრამ ერთნაირი გამჭრიახობის მქონე პირთა შორის უფროსობა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ხანდაზმულ კაცს უწევდა. თუ მოხუცის უუნარობა უკვე თვალშისაცემი არ იყო, ნებითნებას მისი ვალაყენება არც ხდებოდა. თვით მისი დაუძლურების შემდეგაც და თუნდაც ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოხუცი საერთოდ არ ეამორჩეოდა გონიერებით, მისდამი პატივისცემა მაინც შესაბამისი სოციალური ერთეულის წევრთა მოვალეობას წარმოადგენდა. ტრადიციის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს ხნით უმცროსი კაცი [illegible]ოდა. ის ვალდებული იყო უხუცესს დათანხმებოდა და ფორმალურად მაინც დაეცვა ხნით უფროსი კაცის პრესტიჟი. თვით [illegible] ოჯახშიც, რომლის ხელმძღვანელობა გაცილებით ი[illegible] [illegible] საოჯახო თემისა, ხანდაზმული კაცის პრიორიტეტი [illegible] [illegible] დაცული. თუ კი ოჯახში მოხუცი იმყოფება, მის [illegible] ფაქტიურად მართავს ოჯახს. თავის მოვალეობად [illegible] [illegible]შენელოვანი საოჯახო საქმის გადაწყვეტა მამასთან შეთანხმოს. [illegible] რჩევის უგულებელყოფა სამარცხვინოდ ითვლება. ასევე ხდება [illegible]ოდებრივი ურთიერთობის სფეროშიც; გადმონაშთის სახით შემონახული ძველი წეს-ჩვეულებების შესრულების მომენტში მოხუცი ყველა სათანადო პრივილეგიებით სარგებლობს.

* * *

[illegible]როგორც ვხედავთ, ოჯახის ან გვარის უფროსად ყოფნა ასაკთან ერთად პიროვნების უნარზეც იყო დამოკიდებული. პიროვნების ამ თვალსაზრისით შეფასება ხდებოდა იმ სოციალურ ერთეულში, რომლის ხელმძღვანელობაც მას ეკისრებოდა. ვინაიდან პიროვნებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას ჰქონდა ადგილი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად ედო ორივე ფაქტორი — ასაკი და უნარი, ცხადია, ეს ფრიად მნიშვნელოვანი საქმე არჩევის გზით წესრიგდებოდა. მარტოოდენ ხანდაზმულობა რომ ყოფილიყო უპირატესობის მაჩვენებელი, ეს მოვალეობა მექანიკურად გადავიდოდა უხუცესიდან უხუცესის ხელში. ხოლო ის გარემოება, რომ ოჯახში უფროსს არჩევით

---

[4] Б. Далгат, Материалы по обычному праву ингушей. ИИНИИК. II—III, стр. 308.

ნიშნავდნენ, ეს სოლიდარული მმართველობის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია.

უნდა აღინიშნოს, რომ უფროსის ამორჩევის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საოჯახო თემში, რამდენადაც მისი მართვა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

თუ გვარის უფროსის ფუნქციები არსებითად საზოგადოებრივი მოღვაწეობით განისაზღვრებოდა (აწესრიგებდა ქორწინებისა და მესისხლეობის საქმეს, საჭირო შემთხვევაში გვარის წევრს შუამდგომლობდა საზოგადოებისა და სასამართლოს წინაშე და ა. შ.)[5], საოჯახო თემის უფროსი ოჯახის ცხოვრების ყველა სფეროს განაგებდა. ეს სავსებით გასაგებიცაა, რამდენადაც ჩვენთვის ხელმისაწვდომი დროისათვის გვარი მხოლოდ საზოგადოებრივი ერთეულის ზოგიერთ თავისებურებას ინარჩუნებდა. ნათესაურ კავშირზე დამყარებულ ეკონომიურ ერთეულს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, გადმონაშთის სახით შენარჩუნებული საოჯახო თემი, ხოლო მეორე მხრივ, საოჯახო თემის სეგმენტაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული ინდივიდუალური ოჯახი.

საოჯახო თემის უფროსი მთელი საოჯახო მეურნეობის სულმძღვანელი და შინაგანი წესრიგის დამცველი იყო. მის დაუკითხავად უმნიშვნელო საკითხიც კი არ გადაწყდებოდა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ის არ ერეოდა მხოლოდ ქალების პირად საქმიანობაში, რამდენადაც მათი მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა უშუალოდ დიასახლისს ჰქონოდა მინდობილი. ოჯახის უფროსის დასტურით ხდებოდა მუშაობის დაწყება თუ დამთავრება, საქონლის გაცვლა-გამოცვლა თუ ყიდვა-გაყიდვა, მეზობლებთან ურთიერთობა, ქორწინება, მოსისხლესთან შერიგება და ა. შ. ერთი სიტყვით, ის იყო ოჯახის ნამდვილი მესაკე. მაგრამ ყველაფერი ეს კეთდებოდა ოჯახის სრულწლოვან წევრებთან შეთანხმებით. ოჯახის უფროსი, როგორც ამორჩეული პირი, თვითნებურად არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამდა. ეს გარემოებაც იმაზე მიგვითითებს, რომ ინგუშური საოჯახო თემისათვის ნიშანდობლივი იყო სოლიდარული მმართველობის პრინციპი.

ოჯახის უფროსი უპირველეს ყოვლისა გამოცდილი და წინდახედული მეურნე უნდა ყოფილიყო, რამდენადაც მეურნეობის სპეციფიკის ცოდნაზე ბევრად იყო დამოკიდებული შრომის სწორი ორგანიზაცია. მაგრამ მისი ფუნქცია მარტოოდენ განკარგულების გაცემით არ ამოიწურებოდა. ის თითონაც ეწეოდა შრომას მეურნეობის იმ სფეროში, რომელსაც უკეთესად იყო დაუფლებული. შეკრებილი ეთნოგრა-

---

[5] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 308.

ფიზიკური მასალების მიხედვით, ერთი ოჯახის უფროსი მბჯენელ-მთესველის როლში გვევლინება, სხვა ოჯახის უფროსი სარქლობას ეწეოდა და ა. შ. მაგალითად, გუთნისდედად ვხედავთ შოუხალოვების, ოზდოევების, ციცქიევებისა და რიგი სხვა ოჯახების უფროსებს. სარქლობას ეწეოდა მატიევების ოჯახის უფროსი, ნაზრანის სასამართლო ორგანოში მოწყობას ახერხებს ჩანიევების ოჯახის უფროსი და ა. შ.

ოჯახის უფროსის ხელმძღვანელობით ხდებოდა ფუნქციების განაწილება ოჯახის შრომისუნარიან მამაკაცთა შორისაც. თუ ოჯახის უფროსი ზოგიერთ მათგანს თავისთან ამუშავებდა, დანარჩენებს სხვადასხვა საქმეს ავალებდა. მაგალითად, ციცქიევების ოჯახში ოჯახის უფროსთან ერთად ხვნა-თესვას მისდევდა მესამე შვილი — მურთუზა. შინასაოჯახო საქმის გაძღოლა და მსხვილფეხა საქონლის მოვლა-პატრონობა ეკისრებოდათ თემურძასა (მეორე შვილი) და ჯინას (მეხუთე შვილი). ცხვარს მწყემსავდა მეოთხე შვილი ღეირი. ხოლო თემის კაცობასა და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა უფროსი ვაჟი ელმურზა.

თითოეულ ძმას გარკვეული მოვალეობა ეკისრებოდა ოზდოევების ოჯახშიც. როდესაც სამი ძმა ერთად ცხოვრობდა და ოჯახს ხელმძღვანელობდა მათ შორის ყველაზე უფროსი—სელმურზა ის გუთანს იყო მოკიდებული. მომდევნო ძმა სხვა შინასაოჯახო მეურნეობას უძღვებოდა, ხოლო სულ უმცროსი ძმა ერთ დაქირავებულ მწყემსთან ერთად ცხვარს პატრონობდა.

სხვა ოჯახების მაგალითზედაც მამაკაცთა შორის შრომა-საქმიანობა მათი შესაძლებლობის შესაბამისად იყო განაწილებული, მაგრამ საჭირო შემთხვევაში შრომის ორგანიზაციის ეს პრინციპი ირღვეოდა. ოჯახში ხომ ბევრი ისეთი საქმეც იყო, რომელიც მთელი კოლექტივის ერთდროულ მონაწილეობას მოითხოვდა. ასეთ ღონისძიებას მიმართავდნენ განსაკუთრებით გადაუდებელი სეზონური სამუშაოების დროს. თიბვასა თუ მკაში ოჯახის ყველა წევრი ღებულობდა მონაწილეობას. ამ მოვალეობის შესრულებაზე ვერც ერთი ვერ იტყოდა უარს და გასამართლებელ საბუთად ვერ წამოაყენებდა იმას, რომ ის გუთნისდედა ან მსხვილფეხა საქონლის მომველელი იყო. ეს გაუმართლებელი იქნებოდა იმიტომაც. რომ ხვნა-თესვა და თიბვა-მკა სხვადასხვა დროს ჰოდიოდა. მხოლოდ მწყემსის მოწყვეტა და ცხვარ-ძროხის უპატრონოდ მიტოვება არ შეიძლებოდა, მაგრამ მთაში ხანგრძლივად ყოფნით თავმობეზრებული მწყემსიც არაიშვიათად ებმებოდა მემინდვრეობაში, ხოლო მინდვრად ნამუშევარი კაცი მის ნაცვლად მწყემსად მიდიოდა.

შრომის ორგანიზაცია ბევრად იყო დამოკიდებული სამეურნეო ბაზის მდებარეობასა და მასშტაბზედაც. სახნავი მიწების მეტისმეტი

ნაკლებობის გამო, გარდა ბარად ჩასახლებულებისა, ბარში მიწების ხელში ჩაგდებას თუ ოჯარით მის დამუშავებას ცდილობდნენ. მთაში საცხოვრებლად დარჩენილი ოჯახებიც. ამის შესაბამისად ხდებოდა ოჯახის წევრთა დასაქმებაც. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ თუნდაც ხარპელი მატიევებისა და ხულელი ილიევების ოჯახები. მატიევების ოჯახის ძირითად საარსებო წყაროდ გვესახება მესაქონლეობა. ამიტომ ოჯახის უფროსის პირად საქმიანობას წარმოადგენდა სარქლობა, ხოლო მისი ძმები და შვილებიც მეცხვარეობასა და მსხვილფეხა მესაქონლეობაში იყვნენ ჩაბმულნი. მაგრამ თუ ამ ოჯახის ეკონომიურ საფუძველს მთელი მეურნეობის წამყვანი დარგი წარმოადგენდა და შრომაც ამის შესაბამისად იყო ორგანიზებული, შედარებით სხვა სურათს ვხედავთ ილიევების ოჯახის მაგალითზე. მათ მოახერხეს რა ბარის სოფელ მალგობეკში სახნავი ადგილების ხელში ჩაგდება, მთელი დატვირთვით მიწათმოქმედებაში ჩაებნენ. სეზონურ სამუშაოებში ოჯახის თითქმის ყველა შრომისუნარიანი წევრი ბარად მიდიოდა და მოსავლის აღების შემდეგ ბრუნდებოდა მთაში. არ მიდიოდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც მთის სახნავების დამუშავება და საქონლის მოვლა ეკისრებოდათ.

როგორც ვხედავთ, ინგუშურ საოჯახო თემში შრომის ორგანიზაცია გაპირობებული იყო სამეურნეო ყოფის სპეციფიკით. თითოეულმა შრომისუნარიანმა მამაკაცმა თავისი ძირითადი მოვალეობა იცოდა. ამ შემთხვევაში უურადღება ექცეოდა როგორც ადამიანის ასაკს, ისე მის გამოცდილებასაც. მაგალითად, არავითარ შემთხვევაში ხანდაზმულ კაცს არ გაიყვანდნენ სათიბში, მაშინ, როდესაც ის ახალგაზრდებთან ერთად მონაწილეობდა შედარებით მსუბუქ საქმიანობაში — ფოცხვასა და თივის ზვინების აგებაში. ამის შესაბამისად ხდებოდა ფუნქციების განაწილება მეცხვარეობაში. იყენებდნენ მცირეწლოვანთა შრომასაც ისეთ საქმეებში, როგორიც იყო ხბოების მწყემსვა, მეხრეობა, ქვანი სახნავ-სათიბი ნაკვეთების გაწმენდა და ა. შ.

* * *

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ოჯახის უფროსობა ხნიერი და გამჭრიახი მამაკაცის ხვედრს წარმოადგენდა. მას ჰქონდა მინდობილი ოჯახის საერთო ხელმძღვანელობა. უშუალოდ ისევ განაგებდა სამამაკაცო საქმეებს და პირადადაც რაიმე სახის მუშაობაში იყო ჩაბმული. მაგრამ ოჯახში რიგი ისეთი ხასიათის სამუშაოებიც სრულდებოდა, რომლის გაძღოლა ქალებს ევალებოდათ და ამ საქმის თანმხლობაც რომელიმე მათგანს უნდა ჰქონოდა დაკისრებული.

როგორც კავკასიის სხვა ხალხთა საოჯახო ყოფაში, ინგუშეთშიაც საქალებო საქმეთა გამგებელი იყო დიასახლისი. ამასთან ერთად, დიასახლისი პირადად საკმაოდ დიდ შრომას ეწეოდა. საერთო საოჯახო სამზარეულოში ის უფროსი რძლების დახმარებით აცხობდა პურს და ხარშავდა საჭმელს. ტენკიევების 20-სულიანი ოჯახის მაგალითზე დიასახლისის ამ ფუნქციების შესახებ ყურადღება გაამახვილა ბ. დალგატმა. ბ. დალგატი იმ გარემოებაზედაც მიუთითებს, რომ ტენკიევების გაუყრელი ოჯახის დიასახლისად გამოყოფილი იყო ამ ოჯახის უფროსის — ყველაზე ხნიერი მამაკაცის ცოლი[6].

ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების მიხედვითაც უმეტეს შემთხვევაში დიასახლისად გვეელინება ოჯახის უფროსის მეუღლე. ხნით უფროსობა დიასახლისის გამოყოფის მომენტშიც ერთ-ერთი დადმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, მაგრამ არც ამ შემთხვევაში ივიწყებდნენ მის პირად შესაძლებლობას.

ვინაიდან დიასახლისად არჩევაც მხოლოდ ასაკზე არ იყო დამოკიდებული და მას სადედაკაცო საქმიანობის სრულყოფილ ცოდნასთან ერთად მისი გაძღოლის უნარიც უნდა ჰქონოდა, ხშირად ოჯახის უფროსობა და დიასახლისის ცოლ-ქმრობა გამორიცხული იყო. ამ საკითხის ნათელსაყოფად საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე კონკრეტული ფაქტის მოშველიება. გავიხსენოთ თუნდაც ჯარიახის ხეობის სოფ. ეგნში გაუყრელად მცხოვრები ცაცქიევების ოჯახი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოჯახის უხუცესი წევრი ჰონკი. ხოლო დიასახლისობდა მისი მეუღლე იოი. მაგრამ როდესაც იოი ღრმა სიბერემ დააუძლურა, დიასახლისობა მისსავე სიცოცხლეში გადაულოცეს იოის უფროსი შვილის — ელმურზას ცოლს გუბის. აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ხნით უფროსობის პრინციპი ერთ შემთხვევაში დაირღვა, მაგრამ მეორე შემთხვევაში დაცულ იქნა. დაირღვა იმდენად, რამდენადაც იოი მის სიცოცხლეშივე შეცვალა სადიასახლისოდ მომზადებულმა და შრომისუნარიანმა რძალმა. ასეთი ცვლილება განაპირობა დიასახლისისთვის პირადი უნარის საჭიროებამ. ამავე დროს მომხდარი ცვლილებისას ხნით უფროსობა არ იქნა უგულებელყოფილი, რამდენადაც დიასახლისის მოვალეობა დედამთილის შემდეგ გადაეცა ყველაზე ხნიერ რძალს.

საყურადღებო ვითარება დგინდება ჩანიევების მაგალითზედაც. როგორც ვიცით, ამ დიდი ოჯახის უფროსი იყო ღოთექი. დიასახლისის მოვალეობას ასრულებდა მისი მეუღლე. სიბერით მოტეხილი ღოთექი შეცვალა მისმა საშუალო შვილმა არტახმა. დიასახლისად ამ

---

[6] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 350.

�oს ყველა არტახის დედაა. ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ დიასახლისობა გადავიდა ქუსარის ცოლის — შექარხას ხელში. მაშასადამე, ჩანიევების ოჯახში ერთხანს ოჯახის უფროსად და დიასახლისად არიან ცოლ-ქმარნი — ღოთექი და მისი მეუღლე. შემდეგში ეს მოვალეობა ეკისრებათ საშუალო შვილსა და მის დედას, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მმართველებად გვევლინებიან არტახი და მისი უფროსი რძალი.

ის რაც ციცქიევებისა და ჩანიევების მაგალითზე დავინახეთ, საყოველთაოდ დამახასიათებელი იყო ინგუშთა საოჯახო ყოფისათვის. რა თქმა უნდა, ხანდაზმულ ქალს ამ დიდი მოვალეობის შესრულების საქმეში უპირატესობა ენიჭებოდა, მაგრამ მარტო ამ პირობით ისევე შეუძლებელი იყო დიასახლისობა, როგორც ოჯახში მამაკაცის უფროსობა. საქალებო საქმეთა ხელმძღვანელი ისეთივე რთული ამოცანის წინაშე იდგა, როგორც ოჯახის უფროსი მამაკაცი თავისი მოღვაწეობის ასპარეზზე. ეს სავსებით გასაგებია, რამდენადაც ქალი მეტისმეტად შრომატევად საქმეს უძღვებოდა. მისი მოვალეობა იყო წყლის მოტანა, წიაქვილში სიარული და ზურგით საფქვავის ზიდვა, სახლის, ეზოსა და სამეურნეო ნაგებობათა დასუფთავება, ბავშვებისა და კაცების მოვლა, პურის ცხობა და საქმელების მომზადება, სასმელების გამოხდა, წველა და პროდუქტების დამზადება, ჭრა-კერვა, რთვა, ქსოვა და მრავალი სხვა თვალუჩინარი შინა საოჯახო საქმე. გარდა ამისა, ქალი მამაკაცთან ერთად ფოცხავდა თივას, ზურგით ეზიდებოდა თივის კონებს, მონაწილეობდა სახნავ-სათიბის გაწმენდასა და თესვაში, მკსა და ლეწვაში, საწვავი მასალის დამზადებაში და ა. შ.

აქედან მრავალი სამუშაო ერთობლივად სრულდებოდა და ასაკის მიხედვით შრომის დიფერენციაციას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ეს შეეხებოდა კერძოდ გადაუდებელ სეზონურ სამუშაოებს. აქ მხოლოდ ფიზიკურად დაკარგნილი მოხუცისა და ავადმყოფის მონაწილეობა იყო გამორიცხული. მაგრამ ოჯახში შრომის განაწილება ქალთა შორის აოსებითად მაინც უფროს-უმცროსობის პრინციპს ემყარებოდა. საუმცროსო საქმიანობათა წყებას განეკუთვნებოდა წყლის ზიდვა და წისქვილში სიარული, სისუფთავის დაცვა და მატყლის დამუშავება, ბავშვების მოვლა-პატრონობა და მინდვრად მუშაობა.

დიასახლისის ხელმძღვანელობითა და მისივე უშუალო მონაწილეობით პურს აცხობდნენ და საქმელს ამზადებდნენ უფროსი რძლები. საშუალო ასაკის რძლების მოვალეობა იყო წველა-დღვება და მემინდვრეობაში მონაწილეობა და სხვ.

განსაკუთრებით მკვეთრად იყო გამოყოფილი საუმცროსო საქმეები. თუ, მაგალითად, საქმელებისა და პროდუქტების დამზადება უფროს

და საშუალო რძლებს შორის მკვეთრად გამიჯნულ საქმიანობათა წყებას არ განეკუთვნებოდნენ და მაინცდამაინც ასაკის მიხედვით ამ საქმიანობაზე მათი გაპიროვნება თვალში საცემი არ იყო. ყოველად შეუძლებელი იყო წყალი მოეტანათ ან წისქვილში ბარგი წაეღოთ უფროს რძლებს. უსათუოდ ეს ევალებოდათ პატარძალსა და ახალ რძლებს. დავალება სრულდებოდა არსებული ტრადიციის შესაბამისად დიასახლისის მკაცრი მეთვალყურეობით. დიასახლისი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პატარძალს, რომელიც ახლად იყო ჩაბმული ქმრის საოჯახო მეურნეობაში. მაგრამ მის მიერ შრომის დაწყებას წინ უსწრებდა სათანადო რიტუალის შესრულება.

მას შემდეგ რაც ქორწილი დამთავრდებოდა და პატარძალს პირბადეს ჩამოხსნიდნენ, ორი კვირის განმავლობაში ის სახლიდან გარეთ არ გამოდიოდა. ამ ხნის მანძილზე მისი მოვალეობა იყო მხოლოდ ლოგინის გაშლა-აკეცვა.

ქორწილიდან ორი კვირის შემდეგ ქალები პატარძალს წყაროზე წაიყვანდნენ. პატარძალი შეავსებდა რა ჭურჭელს, წყაროში ჩაადებდა ნემსსა და კვერცხს, რათა „წყლისა და ბუნების დედის“ გული მოემადლიერებინა. ნემსის ჩაგდებით პატარძალი ამ ღვთაებას შესთხოვდა ხელმარჯვედ კერვას, ხოლო კვერცხი ცხოვრების სისავსე-ბარაქიანობისა და ნაყოფიერების მონიშვების სიმბოლოდ იყო მიჩნეული.

შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ პატარძლის მიერ ამ წესის შესრულებისთანავე იქ დამსწრე ქალები აღნიშნულ ღვთაებას ბედნიერებასა და ნაყოფიერებას შესთხოვდნენ. ამ რიტუალის დამთავრების შემდეგ პატარძალს ზურგზე წამოკიდებდნენ წყლით სავსე თუნგს. დაბრუნდებოდნენ სახლში და სუფრასთან მჯდომი ქალები პატარძალს მიულოცავდნენ ოჯახის ნამდვილ წევრად ზიარებას[7].

---

[7] მსგავსი წესი სრულდებოდა ჩაჩნეთშიც. როგორც ნ. დუბროვინი წერს, ქორწილიდან რამოდენიმე ხნის შემდეგ ქალს წყაროზე გაიყვანდნენ. ის აქ რამდენიმე ბლინს ნემსით ან ქინძისთავით დაჩხვლეტდა და სათითაოდ წყალში ჩაყრიდა. შემდეგ წყლით სავსე ჭურჭელს თავზე დაიდგამდა, გაისროდნენ ოთუებს და ასე გამოაცილებდნენ სახლამდე. აღნიშნული წესის შესრულებიდან ის ებმებოდა საოჯახო საქმიანობაში (Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. т. I, кн. I, СПб., 1871, стр. 435).

გ. იპოლიტოვის აღწერილობის მიხედვითაც, ახალშეუღლებულნი რამდენიმე დღეს სახლიდან გარეთ არ გამოდიოდნენ და არც არავის ეჩვენებოდნენ. ხუთი-ექვსი დღის შემდეგ ქალები პატარძალს სიმღერით გააცილებდნენ წყაროზე და თან ბლინებს წაიღებდნენ. პატარძალი ბლინებს დაჩხვლეტდა და სათითაოდ წყალში ჩაყრიდა. ამის შემდეგ აიღებდა წყალს და სახლში ბრუნდებოდნენ. დღიდან ამ წესის შესრულებისა პატარძალი ითვლებოდა სრულუფლებიან რძლად, რომელიც წყალზე სხვა რძლებთან ერთად დადიოდა (Г. Ипполитов, Этнографические очер-

აღნიშნული წესის შესრულებით იწყებოდა პატარძლის შრომითი ნათლობა ოჯახში და აქედანვე ხდებოდა ის ოჯახის სრულუფლებიანი წევრი; ოჯახის წევრობის იურიდიული უფლება უშუალოდ დაკავშირებული იყო შრომასთან. ინგუშეთში დამოწმებული ეს ჩვეულება იდენტურია ხევში გვიანობამდე შემონახული ჩვეულებისა[8]. მოხეურსა და ინგუშურს შორის განსხვავება მხოლოდ რიტუალის სპეციფიკაში ვლინდებოდა. რიტუალის მიზანი და შედეგები კი ორივე კუთხეში ერთი და იგივე იყო — პატარძლის, როგორც მშრომელი ხელის, ინკორპორაცია ქმრის ოჯახში.

ის გარემოება, რომ ქორწილიდან ორი კვირის თავზე პატარძალი სრული დატვირთვით ებმებოდა საოჯახო შრომის ფერხულში და თვით ოჯახის სრულუფლებიან წევრად ზიარებაც კი შრომაში ჩაბმის შემდეგ ხდებოდა, მეტყველი ფაქტია იმისა, თუ რა დიდ როლს ასრულებდა ქალი საოჯახო მეურნეობაში. შემთხვევითი არ იყო, როდესაც ამ საკითხს ჩ. ახრიევმა საგანგებო ყურადღება მიაქცია და ის სპეციალურად შეეხო ინგუში ქალის მდგომარეობას.

ჩ. ახრიევი დაკვირვებია იმ გარემოებას, რომ ზოგჯერ ერთ ტომთა ეკონომიური ცხოვრების პირობები და რელიგია ერთნაირი იყო მაგრამ ქალის მდგომარეობა სხვადასხვაგვარი. შესაძლებელია ის ერთგან პირად თავისუფლებას საკუთარი მოკლებული ყოფილიყო, მაგრამ მას არ დაკისრებოდა მძიმე ფიზიკური შრომა. მეორეგან კი საწინააღმდეგო ვითარებაც მოწმდება, როდესაც ქალი უკეთესი უფლებრივი მდგომარეობით სარგებლობდა, მაგრამ აუტანელ შრომას ეწეოდა. ჩ. ახრიევის მტკიცებით, ქალის ჩაგვრის სწორედ ეს მეორე ფორმა იყო გაბატონებული ინგუშეთში, სადაც ქალისადმი უმართებულო დამოკიდებულება იმთავითვე აშკარად იჩენდა თავს. როდესაც ქალის დაბადება უბედურებად ითვლებოდა. ქალს არც ბავშვობა ჰქონდა ხანგრძლივი და უზრუნველი; 8— 10 წლიდან ის უკვე ეხმარებოდა დედას: ზიდავდა წყალსა და შეშას. არწევდა უმცროსი და-ძმების აკვანს და ა. შ. 14—15 წლიდან კი მისი ცხოვრების რეჟიმი

кн Аргунского округа. ССКГ. I, 1868. стр. 10—11; შდრ. Н. Харузин. По горам Северного Кавказа. ВЕ, т. V. кн. 9, Октябрь, 1888. стр. 517—518).

ამ ჩვეულებას მოკლედ შეეხო ბ. კალოევიც, რომელმაც მიუთითა თითქოს წყალზე გაყვანის რიტუალი ჩაჩნეთში სრულდებოდა ქორწილის დამთავრების დღეს (Народы Кавказа, I. стр. 369). ეს არ დასტურდება არც ზემოხსენებული ლიტერატურული მონაცემებით და არც ჩვენ შიერ ადგილზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით.

[8] ე. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960, გვ. 294—295.

მკვეთრად იცვლებოდა. უფროსების დაუკითხავად ის ზღურბლსაც ვერ გადააბიჯებდა და სხვა სრულწლოვან ქალებთან ერთად საკმაოდ მძიმე შრომის ჭაპანს ეწეოდა. მისი პასუხისმგებლობა განსაკუთრებით იზრდებოდა გათხოვების დღიდან[9].

ინგუში ქალი რომ ოჯახის დიდი მოჭირნახულე იყო, ეს არც ნ. გრაბოვსკის დარჩენია შეუმჩნეველი. მისი დაკვირვებით, ქალი აქ მამაკაცის მხარდამხარ მუშაობდა მინდვრად, უძღვებოდა შინასაოჯახო საქმიანობას და მაუდის ქსოვასაც ახერხებდა[10].

ნ. გრაბოვსკი ამ საკითხს თავის მეორე ნაშრომშიც შეეხო და სამართლიანად მიუთითა ქალის შრომატევად საქმიანობაზე. სამწუხაროდ, ის უკიდურესობაში გადავარდა, როდესაც მოუდგა იმის მტკიცებას, თითქოს ინგუში მამაკაცი ზარმაცია და დაქორწინება აქ მხოლოდ პრაქტიკული საჭიროებით იყო ნაკარნახევი. ნ. გრაბოვსკის გაგებით, ინგუში მამაკაცი ქალში ხედავდა პირუტყვს, ნივთს, მონას, მუშახელს. ოჯახში დაკერებული ბკვლევარი ირწმუნებოდა, თითქოს ინგუში მამაკაცი თავისზე ბევრად ხნიერი ქალის შერთვაზეც კი არ ამბობდა უარს, თუ კი მას თავისი საცოლის სახით გამრჯე მუშახელი ეგულებოდა[11].

ნ. გრაბოვსკი აქვე ცდილობს დაასაბუთოს ზემოხსენებული შეხედულების წარმოშობის მიზეზი სყიდვითი ქორწინების არსებობით. ნ. გრაბოვსკის აზრით, რაკი ქალი ნივთსა და პირუტყვსავით ყიდვა-

---

[9] Ч. Ахрисв. Об ингушских женщинах, ССТО, I, Владикавказ. 1871. стр. 283—288.

[10] Н. Грабовский. Экономический и домашний быт..., ССКГ, III, стр. 14.

[11] Н. Грабовский, Ингуши. ССКГ. IX. стр. 44, 49.

ქალის ასეთსავე მდგომარეობას ხედავდნენ დამკვირვებლები ჩაჩნეთშიც. ნ. დუბროვინი აღნიშნავს, რომ კაცი აქ თითქმის უსაქმურად ატარებდა დროს. როდესაც ქალი ეზიდებოდა წყალს ან სხვა სახის მძიმე საქმეს ასრულებდა, კაცი ამ დროს იარაღს წმენდდა ან ჩხირს თლიდა. კაცები მთელ დღეს ატარებდნენ საუბარსა და ჯიგიტობაში. ნ. დუბროვინი იქვე ცდილობს ამგვარი ვითარების მიზეზის ახსნას. იგი იმოწმებს ჩაჩან შტაბს-კაპიტან ბატას. რომელსაც უთქვამს, თითქოს შინაანობის დროს კაცები ციმაგრეებში იხიზნებოდნენ. ხოლო ვინაიდან ქალებზე თავდასხმა მთიელისათვის მიუღებელი იყო, ისინი მინდვრად მუშაობასაც თავისუფლად ეწეოდნენო (Н. Дубровин. დასახ. ნაშრომი, გვ. 437—436).

კ. გაბის დაკვირვებითაც, ბარისაგან გახსხვავებით, სადაც კაცები ქალებთან ერთად მუშაობენ მინდვრად, მთაში კაცები ზარმაცობენ. იგი ცდილობს ასეთი მდგომარეობა იმითი ახსნას, რომ ომებში ყოფნის გამო კაცებს მეურნეობისათვის არ ეცალათო, მაგრამ იქვე დასძენს, რომ პროდუქციის მთავარი მწარმოებელი დღესაც ქალია, ხოლო კაცის მოვალეობად რჩებოდა პროდუქტების ბაზარზე გატანა (К. Гай, Экскурсия ИКОИРГО, XV, № 4, стр. 218).

გაყიდვის ობიექტი იყო და მისი ცოლად შერთვა მხოლოდ გარკვეული საფასურის გადახდის შედეგად შეიძლებოდა, ამიტომ განმტკიცდა ზეპირსენებული შეხედულებაც და თითქოს ამანვე განაპირობა ქალისადმი კაცის უსამართლო დამოკიდებულებაც[12].

ნ. გრაბოვსკის ეს არგუმენტაცია მიუღებელია თუნდაც იმის გამო, რომ იგი, ნ. დუბროვინისა და კ. განის მსგავსად, უგულებელყოფს მამაკაცთა შრომას ნახების სამეურნეო ყოფაში და მათ ბრალს დებს სიზარმაცეში. შრომის ორგანიზაციის ფორმებზე დაკვირვებამ კი გვიჩვენა, რომ მთის საკმაოდ რთულ სამეურნეო პირობებში ოჯახის მართვა მამაკაცთა შრომის გარეშე თეორიულადაც კი წარმოუდგენელი იყო. ასევე მიუღებელია იმის მტკიცება, თითქოს შრომატევადი საქმიანობისა და სყიდვითი ქორწინების არსებობის გამო ქალს ისინი მხოლოდ პრაქტიკული საჭიროების საგნად თვლიდნენ. გამოდის, რომ ყველაზე თავმომწონე ვაჟკაცს ცოლად უნდა ჰყოლოდა ფიზიკური ღონით არჩეული გოლიათი.

სყიდვითი ქორწინების ჩვეულება არც ინგუშების მეზობლებისთვის ყოფილა უცხო და იმათი ქალიც არანაკლებად იტვირთებოდა მუშაობით, მაგრამ ასეთ მდგომარეობას ქალის ღირსება ნივთისა და პირუტყვის ღირებულებამდე არ დაუყვანია. შორს რომ არ წავიდეთ, საილუსტრაციოდ ინგუშების ახლო მეზობლად მცხოვრები მოხევეების დასახელებაც კი საკმარისია[13]. ამ კუთხეში თითქმის XX საუკუნემდე გადმონაშთის სახით შემოინახა სყიდვითი ქორწინება. მაგრამ ცოლის შერთვის მომენტში მოხევეს არასოდეს არ დავიწყებია ქალის ისეთი ღირსებები, როგორიცაა მისი გარეგნობა, ასაკი, პირადი თვისებები, ოჯახისშვილობა და ა. შ. რა თქმა უნდა, ყოველივე ამასთან ერთად ყურადღება ექცეოდა ქალის შრომისუნარიანობასაც, მაგრამ ეს იყო მისი ღირსების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანი და არა ერთადერთი ფაქტორი[14].

ნ. გრაბოვსკის თუ დავუჯერებთ, მაშინ ინგუშში ადამიანს ვერც დავინახავთ, რადგან თავისი უხამსი ეპითეტებით მკვლევარი ისეთ მდგომარეობას გვიხატავს, თითქოს ამ ხალხს არც სილამაზის შეგრძნება ჰქონია, არც სიყვარულის განცდა, არც სიბრალული და არც თავმოყვარეობა. თითქოს ინგუში მხოლოდ იქითკენ მიილტვოდა, რომ ქალის სახით როგორმე შრომის იარაღი ეგდო ხელთ და მისი ექსპლოატაციით თავისი არსებობა უზრუნველეყო. ამიტომ იყო, რომ ნ. გრაბოვსკი და ზოგიერთი სხვა მკვლევარიც, მრავალი ასეთი გაუგებრობის

---

12 Н. Грабовский, Ингуши, ССКГ, IX, стр. 44.

13 ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 211—232.

14 იქვე. გვ. 97—100.

საფუძველზე კავკასიელებს ასე იოლად ველურებად ნათლავდნენ და საუკუნეების მანძილზე შემუშავებულსა და მწყობრად ჩამოყალიბებულ ჩვეულებებს პირუტყვულსა და ველურს, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, უცნაურს უწოდებდნენ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ინგუშთა საოჯახო ყოფაში ქალი, როგორც მშრომელი ძალა, ისეთსავე დიდ როლს ასრულებდა, როგორც მეზობელ ქართველ მთიელთა ცხოვრებაში, მაგრამ ოჯახის შექმნა მარტოოდენ მშრომელი ხელის მომატების საჭიროებით როდი იყო გაპირობებული. ინგუშეთში გადმონაშთური ფორმით შემონახულ საოჯახო თემში არსებობდა სრულიად ჩამოყალიბებული მმართველობის სისტემა და შრომის ორგანიზაცია. ოჯახის მმართველობაში ყურადღება ექცეოდა ასაკსაც, უნარსაც და არსებული მეურნეობის შესაბამისად შრომის განაწილებასაც. მასთან ერთად მხედველობაში იყო მიღებული სქესობრივი დიფერენციაცია, რაც გულისხმობდა როგორც შამაკაცების, ისე ქალების დატვირთვას. რასაკვირველია, ქალი ზომაზე მეტს შრომობდა, მაგრამ ეს არ გამოდგებოდა იმის საბუთად, რომ მამაკაცი ზარმაცი იყო და მას სანავარდოდ ეცალა, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ჰქონდა წარმოდგენილი.

ინგუშური საოჯახო თემის მმართველობის ხასიათსა და შრომის ორგანიზაციის ფორმაში ნათლად ვლინდება ოჯახის სოლიდარული ბუნება. ისევე, როგორც ზემოხსენებული წინამძღვრების მიხედვით ასეთივე თვისება იყო დამახასიათებელი გადმონაშთური ფორმით შემონახული ქართული საოჯახო თემისათვის[15].

მმართველობის სოლიდარული ხასიათი, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, და ქონების თანაბრად განაწილების პრინციპი, რომელსაც ქვემოთ შევეხებით, ნიშანდობლივი იყო ადათობრივ ნორმებზე დამყარებული ტრადიციული საოჯახო ურთიერთობისათვის. ამ ნორმებს ინარჩუნებდა XIX საუკუნის ბოლომდე გადმონაშთის სახით შემონახული საოჯახო თემი. ძველი ტრადიციები ცოცხლობდა ინდივიდუალურ ოჯახშიც, მაგრამ მოგვიანო ხანაში ინგუშთა საოჯახო ყოფაში ჩნდება ადათობრივი ნორმებისაგან განსხვავებული ახალი ელემენტებიც. ეს განაპირობა, ერთი მხრივ, შარიათის გავრცელებამ, ხოლო, მეორე მხრივ, ცარიზმის კანონმდებლობის დამკვიდრებამ.

როგორც სპეციალური ლიტერატურიდან კარგად ჩანს, კავკასიის ბევრი სხვა ხალხის მსგავსად, ინგუშთა რელიგიისთვისაც სინკრეტიზმი იყო დამახასიათებელი. ნ. გრაბოვსკის დაკვირვებით, ინგუშების რელიგიაში შერწყმული სახით იყო წარმოდგენილი წარმართობის, ქრის-

---

[15] Р. Харадзе, Грузинская семейная община, I, II.

ტიანობისა და მაჰმადიანობის ელემენტები. მკვლევარის შეხედულებით, ინგუშების სულიერი კულტურის წამყვან ელემენტს წარმართობა წარმოადგენდა, ქრისტიანობა საქართველოს გავლენით XVIII საუკუნემდე ინარჩუნებდა არსებობას, ხოლო მაჰმადიანობა აქ ძირითადად XIX საუკუნეში იკაფავს გზას[16].

ასეთივე ნიშნებით ხასიათდებოდა ჩაჩნების რელიგიაც[17], ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ისლამი აქ უფრო ადრე გავრცელდა, ვიდრე ინგუშეთში. დაღესტნიდან ჩაჩნეთში ეს რელიგია უკვე XVI საუკუნიდან შემოვიდა. თავდაპირველად ისლამის მქადაგებლები იყვნენ ავარელი და ყუმუხი მოლები, რომლებიც ჩაჩნებს მწყემსებად უდგებოდნენ და ამ გზით შეჰქონდათ მოსახლეობაში ახალი მოძღვრება. უფრო გვიან ჩაჩნებს მოევლინენ ადგილობრივი მოლები, რომლებიც წვრთნას ღებულობდნენ დაღესტნის რელიგიურ ცენტრებში. ისლამმა უფრო მყარი ნიადაგი პოვა ბარის მოსახლეობაში, ხოლო მთა შედარებით დიდხანს ინახავდა ადრინდელი რელიგიის (წარმართობისა და ქრისტიანობის) გადმონაშთებს. ისლამის გავლენა და მისი გავრცელების მასშტაბი განსაკუთრებით გაიზარდა შამილის მოღვაწეობის ხანაში. ამავე დროს ჩნდება რიგი სექტებისა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ზიკრისტების სექტა[18].

ისლამის გავრცელების ლოგიკური შედეგი იყო შარიათის გავრცელება, რამაც განსაკუთრებით შამილის დროს უკვე კანონის სახე მიიღო, შეზღუდა ადათობრივი ნორმების მოქმედების ასპარეზი და მკვეთრი ცვლილებები დანერგა საოჯახო ურთიერთობის სფეროში. ეს პირველ ყოვლისა მკვეთრად გამოვლინდა ოჯახის მართვის სისტემაში. შარიათის გავლენით ოჯახში თავი იჩინა რა ერთპიროვნული მმართველობის ტენდენციამ, მამის ხელში განუსაზღვრელი უფლების მოქცევის გამო ოჯახის მმართველობამაც დესპოტური ხასიათი მიიღო.

ჩაჩნეთისათვის გაცილებით უფრო მკვეთრად დამახასიათებელი აქ ახალი ელემენტის შეჭრა მოხდა ინგუშების საოჯახო ურთიერთობის სფეროშიც. თუ წარმართული და ქრისტიანული რელიგიის ბატონობის ხანაში ინგუშის ოჯახისთვის დამახასიათებელი იყო სოლიდარული მმართველობის პრინციპები და ამით ეს ოჯახი დიდ მსგავსებას ამჟღავნებდა ამავე პრინციპების მქონე ქართულ ოჯახთან, შარიათის გავრცელების შედეგად საოჯახო ყოფასაც ცვლილება დაეტყო. რელიგიამ

---

[16] Н. Грабовский, Ингуши. ССКГ, IX, стр. 17, 18. 21.

[17] А. Шамилев, Пути проникновения ислама к чеченцам и ингушам. ИЧИНИИ, III, вып. I. Грозный, 1963, стр. 97—107; Дзиозо. К вопросу о христианстве у чеченцев и ингушей, ИЧИНИИ, III, вып. I, стр. 83—96.

[18] Народы Кавказа, I, стр. 370.

აქაც თქვა თავისი სიტყვა და ადათობრივ ნორმებზე დამყარებული ასეთი ოჯახის ნაცვლად ინგუშეთში ჩნდება ოჯახის ახალი ფორმა, რომელიც დესპოტიზმის ნიშნებს შეიცავდა. ეს ხდება მაშინ, როდესაც გადმონაშთური ფორმით შემონახული საოჯახო თემი თავისი არსებობის უკანასკნელ საუკუნეს ეთხოვებოდა და მთლიანად უთმობდა ასპარეზს ინდივიდუალურ ოჯახს. ვინაიდან ამავე ეპოქას, ე. ი. XIX საუკუნეს ემთხვევა ინგუშების მიერ ისლამის ღრმად შესისხლხორცებაც. ისლამმა ველარ მოასწრო საოჯახო თემის გადაყვანა დესპოტიზმის რელსებზე. სამაგიეროდ ამ რელიგიურმა მოძღვრებამ მწვავე დარტყმა აგვა ინდივიდუალურ ოჯახს — ოჯახის გაბატონებულ ფორმას XIX საუკუნის ინგუშეთში და ადათობრივი ნორმების ნაცვლად მასში ღრმად ჩათესა დესპოტიზმის ელემენტები. ამიერიდან ოჯახის უფროსი მამაკაცი გახდა ოჯახის ერთპიროვნული მმართველი. ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში[19] და მაჰმადიანური სარწმუნოების მქონე კავკასიელ ხალხებში[20]. არსებითი განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ინგუშეთში საოჯახო თემი გადაურჩა ისლამის ზეგავლენას და საბოლოო მოსპობის სტადიაში ის კვლავ ინარჩუნებდა ტრადიციულად მომდინარე ადათობრივ ნორმებს, ხოლო კავკასიის ზოგ ხალხში, მათ შორის ჩაჩნებში, შარიათის გავლენის შედეგად საოჯახო თემიც დესპოტურ ხასიათს იღებს.

ინგუშეთში რომ საოჯახო თემიც დესპოტური მმართველობის ყალაბზე გადასულიყო, მაშინ გაუგებარი იქნებოდა რატომ ყოველთვის დიასახლისად არ ვხედავთ ოჯახის უფროსის მეუღლეს. დესპოტი მმართველი ხომ იმის დესპოტია, რომ თვითნებურად გადაწყვიტოს ყოველი საქმე. ასეთ ვითარებაში წარმოუდგენელია მას ცოლის მაგივრად დიასახლისად რძალი დაესვა. მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ეს ასე არ ხდებოდა და არ ხდებოდა იმიტომ, რომ ოჯახის უფროსისა და დიასახლისის არჩევას ხნიერება და გონიერება ედო საფუძვლად. ხოლო რაკი ამ ნიშნების მიხედვით ოჯახის წევრებს მსჯელობის უფლება ჰქონდათ, ცხადია, ასეთ სოციალურ ერთეულში ბატონობდა სოლიდარობა, რაც გამორიცხავდა დესპოტიზმის დანერგვის შესაძლებლობას.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, კავკასიაში აღწერილია ორი ტიპის საოჯახო თემი. პირველი მათგანი უფრო არ-

---

[19] ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბილისი, 1960, გვ. 092-093; Э. М е н а б д е, Наследственно-правовые отношения в хеттском обществе, აღმოსავლური კრებული. I. თბილისი, 1960. გვ. 30—36; მ ი ს ი ვ ე, Хеттское общество, Тбилиси, 1965. стр. 162—171.

[20] Б. М и л л е р, Из области обычного права карачаевцев, ЭО, 1902, № 1, стр. 24—25.

ქაულია და მას კოლექტიურ საკუთრებასა, წარმოებასა და მოხმარებასთან ერთად ახასიათებდა მმართველობის დემოკრატიული სისტემა. ამგვარი ტიპის საოჯახო თემი აღწერილია ქართველებსა და ოსებში. მეორე ტიპის ოჯახი შედარებით გვიანდელია, რომლისთვისაც კოლექტიური საკუთრების, წარმოებისა და მოხმარების წესთან ერთად ნიშანდობლივი იყო მმართველობის ერთპიროვნული ხასიათი, გამოხატული მამის დესპოტურ უფლებებში (ჩაჩნები, ინგუშები, ყარაჩაელები, სომხები, ყუმუხები, მთიელი ებრაელები)[21]. მაშასადამე, მ. კოსვენი ჩაჩნურ-ინგუშურ საოჯახო თემს მიაკუთვნებს საოჯახო თემის გვიანდელ ტიპს, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო დესპოტური მმართველობის სისტემაც. თუ ეს მომენტი არ იქნება გათვალისწინებული და არ აღინიშნება ის გარემოება, რომ საოჯახო თემს დესპოტიზმის ელემენტები გაუჩნდა მისი განვითარების გვიანდელ საფეხურზე, შესაძლებელია შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ჩაჩნეთ-ინგუშეთში ოდითგანვე არსებობდა დესპოტური ბუნების ოჯახი. ასე დაემართა, მაგალითად, ბ. კალოევს, რომელმაც ცალმხრივად გამოიყენა ნ. ხარუზინის ცნობა, ხაზგასმით არ აღინიშნა, რომ ეს ცნობა შეეხება გვიანდელ ვითარებას და პირდაპირ მიუთითა, თითქოს ინგუშურ დიდ ოჯახში არსებობდა დესპოტური მმართველობის სისტემა[22]. საკითხის ისტორიულ ჭრილში განხილვის გარეშე ამგვარი განცხადება ბევრთველს არასწორ წარმოდგენას აძლევს ოჯახის სტრუქტურაზე.

მეოთხე თავი

ოჯახის წევრთა ქცევისა და ურთიერთდამოკიდებულების ნორმები

როგორც ზემოთ ითქვა, ოჯახის მართვისა და მასში არსებული შრომის ორგანიზაციაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანის სქესს, ასაკს და უნარს. სქესისა და ასაკის მიხედვით იყო მოწესრიგებული ოჯახის წევრთა ქცევისა და ურთიერთდამოკიდებულების ნორმებიც.

ისევე, როგორც კავკასიაში საერთოდ, ჩაჩნეთ-ინგუშეთშიც ყველაზე დიდ პატივისცემას და მოკრძალებას იჩენდნენ ხანდაზმული პირებისადმი, პირველ ყოვლისა ოჯახის უფროსისადმი. ის იჯდა კარებიდან მარჯვნივ მისთვის საგანგებოდ მდგარ ზურგიან სავარძელ-

---

[21] М. Косвен. Этнография и история Кавказа, стр. 102—103.

[22] Народы Кавказа, I. стр. 384.

ში. იქვე მდგარ გრძელ სკამზე უფროს-უმცროსობით ადგილებს იკავებდნენ მამაკაცები ისე, რომ მათ შორის ყველაზე ხნიერი კაცი ოჯახის უფროსის ახლოს დამჯდარიყო. ქალების მათ გვერდზე ჩამოსხდომა მიუღებელი იყო. მამაკაცის სკამზე ქალი მაშინაც კი ვერ გაბედავდა დაჯდომას, როდესაც სახლში მხოლოდ ქალები იმყოფებოდნენ. ქალებისა და ბავშვების ჯდომა მიზანშეწონილად ითვლებოდა კაცების მოპირდაპირე მხარეზე მდგარ დაბალ სკამებზე, კუნძებსა და ბალიშებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კაცებისა და ქალების ერთად ჯდომა ხდებოდა მხოლოდ ზამთარში კერასთან ახლო ყოფნის და გათბობის მიზნით. სხვა დროს ისინი სახლის სხვადასხვა ნაწილში იზოლირებულად იმყოფებოდნენ.

კერის ირგვლივ ოჯახის ყველა წევრის თავშეყრილობას ადგილი ჰქონდა აგრეთვე რაიმე საგანგებო მოვლენასთან დაკავშირებითაც.

ჩვეულებისამებრ კერა მოწყობილი იყო საცხოვრებელი ნაგებობის მთავარ განყოფილებაში. ცეცხლის დასანთები ღრმულით, საკიდელი ჯაჭვით, საკვამურითა და თავისი პრაქტიკული გამოყენებით კერა აქ ისეთივე იყო, როგორიც ნახების მეზობელ ჩრდილო კავკასიელ ხალხებში[1], ქართველებში[2] თუ სამხრეთელ ოსებში[3]. იმასთან ერთად, რომ მას იყენებდნენ საჭმლის მოსამზადებლად და გასათბობად, დიდი იყო მისი მნიშვნელობა საოჯახო რიტუალის სფეროშიც. მკვლევართა ყურადღება განსაკუთრებით კერის კულტმა მიიპყრო.

ნ. დუბროვინის ცნობით, კერა გამართული იყო მთავარ ოთახში. ამ ოთახის ცენტრში მდებარე კერა-საკიდლის ირგვლივ სრულდებოდა საქორწილო რიტუალი: ხელისმომკიდის მიერ მის გარშემო პატარძლის სამჯერ შემოტარება, მის მიერვე საკიდელზე (ჯაჭვზე) ხელის სამჯერ შეხება, ნეფე-დედოფლის დალოცვა და ა. შ.[4]

---

[1] М. Ковалевский. Современный обычай и древный закон. Обычное право осетин в историко-сравнительном освещении, т. I, Москва, 1886, стр. 33, 73, 75, 77, 78, 79, 80, 96; Л. Панек, Жилище лезгин, მსე, IX, თბილისი, 1957; Народы Кавказа, I, стр. 161—166, 202, 222, 233, 282 და ა. შ.

[2] მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1961; ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960, გვ. 246, 251 252; მისივე, ხევი ძველად და ახლა (საცხოვრებელი ნაგებობანი), თბილისი, 1967 და სხვ.

[3] Л. Чибиров, Очаг осетинского жилища, მსე, XII—XIII, თბილისი, 1963; ვ. ითონიშვილი, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში, კკ, I, თბილისი, 1964, გვ. 124—126.

[4] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. I, СПб., 1871, стр. 435.

კერა თავისი ჯაჭვითა და მასზე ჩამოკიდებული ქვაბით ნ. ხარუზინსაც ასევე საცხოვრებელი ნაგებობის იმ განყოფილებაში უნახავს, სადაც ოჯახი ძირითადად იმყოფებოდა. კერის მოწყობილობის ამ მოკლე აღწერილობასთან ერთად ნ. ხარუზინი ხაზს უსვამს კერის საკულტო მნიშვნელობასაც. ამ მხრივ ნ. ხარუზინის ყურადღება მიუქცევია განსაკუთრებით საკიდლის როლს მესისხლეობის სფეროში. როგორც იგი წერს, საკმარისი იყო მკვლელი ვისიმე სახლს შეჰფარებოდა და საკიდელისთვის ხელის ხლება მოესწრო, რომ მდევარი მასზე თავდასხმას ვეღარ გაბედავდა, კერა-საკიდლის მფარველობაში შესული კაცი ამ ოჯახის ნათესავად ითვლებოდა, რის გამო მისი დაცვა ოჯახს ევალებოდა[5].

თუ ნ. ხარუზინმა კერის რიტუალური მნიშვნელობა კერის კულტთან ზიარების ამ ერთი მაგალითით გვიჩვენა, კერის კულტურის მრავალმხრივი მნიშვნელობა აღნიშნა თავის ერთ-ერთ გამოკვლევაში ბ. დალგატმა. მისი დაკვირვებით, კერა წარმოადგენდა ოჯახის გაერთიანებელ ცენტრს, რომელთანაც იყო დაკავშირებული საზოგადოებრივი და რელიგიური წესების შესრულება. კულტის მსახური ქურუმის როლში გვეელინებოდა ოჯახის უფროსი. მკვლევარი კერის კულტს უკავშირებს ისეთ ჩვეულებებსაც, როგორიც იყო გაუყრელად ცხოვრებისადმი პატივისცემა, დანათესავება, სტუმრის ხელშეუხებლობა, ქორწილის დროს კერის ირგვლივ პატარძლის სამჯერ შემოტარებისა და მამის ოჯახთან მისი დამშვიდობების წესი, მესისხლეობასთან დაკავშირებული ჩვეულება და ა. შ.[6].

ნახების საოჯახო ყოფაში კერის კულტის ასეთსავე მნიშვნელობაზე და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების არსებობაზე ჩიუთითა ს. ტოკარევმა[7].

ყოველივე ამის შემდეგ გაუმართლებელია იმის მტკიცება, თითქოს ოსეთისაგან განსხვავებით ჩაჩნეთში კერის კულტი არ არსებობდა[8]. როგორც ზემოთ დავინახეთ, ჩაჩნეთ-ინგუშეთში სწორედ კერა წარმოადგენდა საოჯახო რიტუალის ცენტრს. მასთან ახლოს ხდებოდა აგრეთვე ოჯახის უფროს წევრთა თათბირი და პურის ჭამა, ხოლო სიცივის დროს ოჯახის ყველა წევრი ცეცხლის პირად ჯდებოდა.

---

[5] Н. Харузин, По горам Северного Кавказа, ВЕ, т. V, кн. 9, стр. 502; Мисиеф, Заметки..., СМЭ, III, стр. 121—122.

[6] Б. Далгат, Первобытная религия чеченцев, ТС, III, Владикавказ, 1893, стр. 87—88.

[7] С. Токарев, დასახ. ნაშრომი, გვ. 245.

[8] Народы Кавказа, I, стр. 359.

სქესისა და ასაკის მიხედვით განცალკევების წესი არანაკლები სიმკაცრით იყო დაცული პურის ჭამის დროსაც. ამ შემთხვევაშიც საკალდებულოდ ითვლებოდა. პირველ რიგში, გამასპინძლებოდნენ ხნიერ კაცებს. ახალგაზრდები მათ შემდეგ ან იმავდროულად სხვა ოთახში შეექცეოდნენ საჭმელს. რაც შეეხება ქალებსა და ბავშვებს, ამ დროს ისინი სავსებით იზოლირებულნი იყვნენ. ეს წესი ერთნაირი სიმკაცრით იყო დაცული როგორც დიდი ისე ინდივიდუალური ოჯახის ფარგლებში. თვით ისეთ ოჯახშიც კი, რომელიც შედგებოდა ერთი საქორწინო წყვილისა და მათი შვილებისაგან, ცოლი საჭმელს პირველ რიგში მიართმევდა ქმარს, ხოლო შემდეგ შვილებთან ერთად თვითონ შეექცეოდა. ეს ჩვეულება ჯერ კიდევ სავსებით არ არის აღმოფხვრილი ნახების საოჯახო ყოფაში.

სათანადო წესების შესრულება ევალებოდა ქალს სხვა შემთხვევაშიც. ის როგორცვე დაინიშნებოდა, უკვე თავს არიდებდა თავისი ბვარის უფროსებს, ხოლო საქმროს ნათესავებთან სიახლოვე სავსებით წარმოუდგენელი იყო. მამაკაცებისადმი მოკრძალებისა და განსაკუთრებით კი უფროსებისადმი პატივისცემის ნიშნად სახლში რძლები გაურბოდნენ მათთან დალაპარაკებას. უფროსების დასწრებით ისინი ურთიერთშორის ხმამაღლა ლაპარაკსაც კი ვერ ბედავდნენ. როგორც ნ. დუბროვინი ჩაჩნების შესახებ წერს, საკმარისი იყო მამაკაცს კარი შემოეღო, რომ ქალებს შეეწყვიტათ ლაპარაკი და ფეხზე წამომდგარიყვნენ. ისინი ფეხზე დგომას განაგრძობდნენ მანამდე, ვიდრე კაცი სახლიდან გარეთ არ გავიდოდა, ანდა არ სთხოვდა რომ დამჯდარიყვნენ[9]. ჩაჩნეთ-ინგუშეთში ასეთსავე მოკრძალებას იჩენდა ქალი უცხო მამაკაცისადმი. კაცთან შეხვედრისას ის განზე უნდა გამდგარიყო და ზურგშექცეული მდგარიყო მანამდე, სანამ კაცი იმ ადგილს არ გასცდებოდა. როგორც ბ. დალგატს შეუნიშნავს, ასევე იქცეოდა ქალი მაშინაც, როდესაც ურმით მომავალ კაცს დაინახავდა. თუ ამ დროს ქალი იჯდა, ნაცნობი თუ უცნობი კაცის მოახლოებისთანავე ის ფეხზე უნდა ამდგარიყო და მხოლოდ მაშინ დამჯდარიყო, როდესაც კაცი გადაუხდიდა მადლობას და დაჯდომას სთხოვდა[10].

საოჯახო წესრიგის მიხედვით, უფროს მამაკაცებთან ურთიერთობაში განსაკუთრებით შეზღუდული იყო პატარძალი. მთხრობლების ცნობით, პატარძალი დედამთილს ეძახდა ნანი-ს და მასთან დალაპარაკების ნებაც ჰქონდა, მაგრამ მას არ შეეძლო დალაპარაკებოდა უფროს მამაკაცებს. მხოლოდ ქორწინებიდან ორი-სამი წლის შემდეგ

[9] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 424.

[10] Б. Далгат, Материалы по обычному праву ингушей, ИНИИК, II—III, стр. 317.

შესაძლებელი იყო ამ ტაბუს დარღვევა, როდესაც მამამთილი თუ მაზლი საჩუქარს ყიდულობდა და უმძრახობაზე ხელის აღების მიზნით პატარძალს მიართმევდა. ზოგჯერ მამაკაცები მიზანს აღწევდნენ, მაგრამ ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც რძალი სიკვდილამდე იცავდა მამამთილთან და მაზლებთან უმძრახობის წესს. არაფრით არ განსხვავდება ჩაჩნეთ-ინგუშეთში გვიანობამდე არსებული ეს ჩვეულება ასევე ხანგრძლივად შემონახული მოხეური წესისაგან[11].

თუ პატარძალს ქმრის ნათესავთან ასეთი დამოკიდებულება მარცხებდა და უფროს მამაკაცებთან უშუალო დალაპარაკებას ის გაურბოდა, მისი ქმარი თავის მხრივ ვალდებული იყო სათანადო რეჟიმს დამორჩილებოდა ცოლის ნათესავებთან ურთიერთობაში. ცოლეურებიან ყოფნის დროს უფროსის დანახვისთანავე ის ფეხზე უნდა წამომდგარიყო და მხოლოდ უფროსის ნებართვით დამჯდარიყო. სიძე განსაკუთრებით უნდა მორიდებოდა სიდედრს. ადათის მიხედვით სიძე მას პირადად არც უნდა ჩვენებოდა. შეხვედრისთვის ორივეს თავი უნდა აერიდებინათ. ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში დალაპარაკება ფრიად საჭირო საქმეზეც კი თავისთავად გამორიცხული იყო.

ეს ჩვეულება ნახებს ახლო წარსულამდე შეუნარჩუნებიათ. როგორც ნ. იაკოვლევი 1925 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აღნიშნავს, დღესაც არაიშვიათად შეხვდებით ისეთ ინგუშს, რომელმაც თავისი სიდედრი პირველად ნახა ქორწინებიდან 10—20 წლის შემდეგ[12].

ამგვარი რეჟიმის დაცვა სიძეს შედარებით იოლად შეეძლო, რადგან სიმამრის ოჯახში მას მხოლოდ სტუმრად უწევდა ყოფნა. ამ მხრივ გაცილებით უხერხულ მდგომარეობაში იმყოფებოდა რძალი, რომელიც სამუდამოდ უნდა შეჰგუებოდა ქმრის ოჯახში გაბატონებულ წესრიგს. თუმცა ამაში სიძნელესა და უხერხულობას თანამედროვე ადამიანი ხედავს. იქ კი, სადაც ჩვეულება რჯულზე უმტკიცესი იყო, ასეთი ურთიერთდამოკიდებულება სავსებით ნორმალურად ითვლებოდა. ამიტომ სწორად არ იქცეოდნენ ზოგიერთი მკვლევრები, რომლებიც ყოველ ისეთ ჩვეულებაში, რაც საკუთარი ხალხის ყოფაში არ ეგულებოდათ, ჩამორჩენილობას ხედავდნენ. მაგალითად, ნ. გრაბოვსკიმ ინგუში ქალის მონური მდგომარეობის საბუთად მიიჩნია წესი, რომლის თანახმად მამაკაცთან შეხვედრის დროს ქალს ევალებოდა მისთ-

---

[11] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 298.

[12] Н. Я к о в л е в, Ингуши, стр. 52.

ვის გზის დათმობა, სახეზე მანდილის ჩამოფარება, თავის დაკვრა და ზურგის შექცევა[13].

იგივე მკვლევარი ქალის უუფლებობის მეორე საბუთად იმოწმებს აკვანში ნიშნობის წესს[14], მაგრამ ის რატომღაც ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ აკვანში ნიშნობა არა მარტო ქალის, არამედ ვაჟის უფლებების უგულებელყოფასაც ნიშნავდა, ვინაიდან ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ ითვლებოდა და გათვითცნობიერების შემდეგ მისი შეცვლა არც ერთ მათგანს აღარ შეეძლო.

ქალისა და ვაჟის სურვილებს მაინცდამაინც არც მაშინ ექცეოდა ყურადღება, როდესაც მათი დანიშვნა საქორწინო ასაკში ხდებოდა, ვინაიდან საქმე კვლავ უფროსების გადაწყვეტილებით წესრიგდებოდა, ამიტომ ქალის უუფლებობის დასამტკიცებლად აკვანში ნიშნობის წესი არ წარმოადგენს მყარ საბუთს. მით უფრო უსუსურად გამოიყურება ზემოხსენებული საბუთები უფლებრივი მდგომარეობის გასაცნობად, თუ გავითვალისწინებთ ამავე ავტორის სხვა შეხედულებას იმის შესახებ, რომ მძიმე შრომით დატვირთულობის მიუხედავად ინგუში ქალი დიდი თავისუფლებით სარგებლობდა, რამდენადაც აქ წოდებრივი დაყოფა არ არსებობდაო[15]. ამ დებულების ფონზე ქალის უუფლებობის დასამტკიცებლად არ გამოდგებოდა არც აკვანში ნიშნობა და არც მამაკაცთან შეხვედრის მომენტში ქალის მიერ შესრულებული წესი.

ჩვენ მხოლოდ იმაში შეიძლება დავეთანხმოთ ნ. გრაბოვსკის, რომ ინგუში ქალი შრომატევადი საქმიანობით იყო გაჯახირებული. რაც შეეხება მტკიცებას ქალის უუფლებობისა და მონობის შესახებ, ეს თვით ნ. გრაბოვსკის ზემოხსენებული მსჯელობითვე ძალაუნებურად უკუგდებულია. აღნიშნული ვითარება შესანიშნავად იცოდა ამ კუთხის საუკეთესო მცოდნემ ჩ. ახრიევმა, რომელიც ინგუში ქალის სიდუჰჭირეს ხედავდა მასზე დაკისრებულ მძიმე ფიზიკურ შრომაში და არა პირადი თავისუფლების უქონლობაში. საქმეზე მიჯაჭვული ქალი მისდაუნებურად მოკლებული იყო საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის შესაძლებლობას. ჩ. ახრიევის ცნობით, ქალს მხოლოდ სატირალზე შეეძლო დაუბრკოლებლად წასვლა. ასეთ შემთხვევაში ქალები ჯგუფურად სხვა სოფელშიც კი მიდიოდნენ და გლოვის პროცესში ღებულობდნენ მონაწილეობას[16].

---

[13] Н. Грабовский, Ингуши.... ССКГ, IX. стр. 44.

[14] იქვე, გვ. 44.

[15] Н. Грабовский, Экономический и домашний быт..., ССКГ, III, стр. 14.

[16] Ч. Ахриев, Похороны и поминки у горцев, ССКГ, III.

ჩ. ახრიევის ამ ცნობას ჩვენ დავუმატებდით იმასაც, რომ ქალების თავშესაკრები მიზეზი მარტო მიცვალებულის გლოვა არ იყო. ისინი თავს იყრიდნენ ქორწილსა და ხალხურ დღეობებზედაც, მაგრამ მხედველობიდან არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ ასაკის განურჩეველად რძლების წასვლა მარტოოდენ სატირალზე შეიძლებოდა. დღეობასა და ქორწილში მათი მონაწილეობა კი მხოლოდ ოჯახის დიასახლისის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ასევე ოჯახის უფროსების ნებართვის გარეშე სხვა სოფელში ვერ წავიდოდა გაუთხოვარი ქალი, ხოლო თავისი სოფლის ზეიმში მონაწილეობა მას არ ეკრძალებოდა.

ქალის უფლებრივი მდგომარეობის გასაცნობად საყურადღებო სურათს გვაძლევს ცოლქმრულ ურთიერთობაზე დაკვირვება. ისინი დიდი ოჯახის შიგნით იცხოვრებდნენ თუ საკუთარი ინდივიდუალური ოჯახის პატრონები იქნებოდნენ, სულერთია, ქალის უშუალო მბრძანებლად პირველ ყოლისა მაინც ქმარი ითვლებოდა. ქმრის ეს უფლებები ცოლის მიმართ განსაკუთრებული სიცხადით ვლინდებოდა მორალურ-ზნეობრივი ურთიერთობის სფეროში.

ადათის მიხედვით, ქმრისადმი მორჩილება და ერთგულება ცოლის უწმინდეს მოვალეობად ითვლებოდა. მას არავითარ შემთხვევაში არ ეპატიებოდა ქმრის ღალატი. მთხრობლების გადმოცემით, მოღალატე ცოლის მოკვლა ქმრის უფლება იყო, მაგრამ შურისძიება არც ქალის ნათესავებს ეკრძალებოდათ. როგორც ჩანს, მთხრობლები ამ შემთხვევაში ბოლომდე ზუსტნი არ არიან და თავიანთი სუბიექტური შეხედულებიდან გამოდიან, რამდენადაც დღემდე გამოქვეყნებული ლიტერატურიდან არ ჩანს, რომ მოღალატე ცოლის სიკვდილით დასჯის წესი ჩაჩნეთ-ინგუშეთში დასაშვები ყოფილიყო. პირიქით, 1844 წელს კაპიტან ნორდენსტრენგის მიერ შეკრებილი ადათები იმ გარემოებაზე მიგვითითებენ, რომ ცოლის მკვლელ კაცს საზოგადოებაში თავი არ გამოეყოფოდა. ამასთან ერთად, ის იხდიდა დადგენილ ჯარიმას: შეილებიანი ქალის მოკვლის შემთხვევაში სიმამრს უხდიდა 12 ძროხას, ხოლო თუ ქალი უშვილო იყო ქმრის გადასახადი შეადგენდა 85 ძროხას[17].

ცოლის ცემა ან მოკვლა რომ საუგო საქმედ ითვლებოდა, რომ ამის ჩამდენი კაცი საზოგადოების თვალში მცირდებოდა, ხოლო ქალის ნათესავები მას კლავდნენ ან იმდენსავე ახდეინებდნენ რამდენიც ღირდა მამაკაცის სისხლი, ეს შენიშნული აქვს ხარუზინსაც[18].

---

[17] Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев. II. Одесса, 1883, стр. 115.

[18] Н. Харузин. Заметки..., СМЭ, III, стр. 126.

როგორც ლიტერატურიდან ჩანს, ხალხს ბევრი უფიქრია მკაცრი სასჯელების შერბილებაზე, ვინაიდან მკვლელობას კვლავ მკვლელობა მოსდევდა, რაც საზოგადოებას კატასტროფულ მდგომარეობას უქადდა. ადათობრივი ნორმების სფეროში სათანადო ცვლილებები შეუტანია აგრეთვე შარიათსა და რუსულ კანონმდებლობას. ამ სახით ჩვენამდე მოღწეული ადათები ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ გასული საუკუნის საოჯახო სამართალზე.

ჯარიახის საზოგადოებაში დამოწმებული ვითარების თანახმად, ქმარს შეეძლო ცოლთან მრუშობაში დაჭერილი კაცი მოეკლა, ხოლო ცოლისთვის ცხვირი მოეჭრა და გაეგდო. თუ ცოლთან დაჭერილი კაცის მოკვლას ვერ შეძლებდა, ხოლო ცოლს კი დასახიჩრებულს გააგდებდა, საზოგადოების გადაწყვეტილებით შეურაცყოფილი ქმრისთვის უნდა მიეცა 46 ძროხა. აქედან ნახევარი უნდა გადაეხადა ცოლის საყვარელს, ხოლო ნახევარიც ამ ქალის მამას[19].

ზუსტად ასეთივე წესი არსებობდა ნაზრანის საზოგადოებაში. რამდენადმე განსხვავებული წესი ყოფილა ამ მხრივ ქისტების საზოგადოებაში. აქ, ცოლთან მემრუშე კაცის მოკვლის შემთხვევაში ქმარი მოკლულის ნათესავებს უხდიდა 12 ძროხას, ხოლო თუ მასაც მოკლავდნენ მრუშობაში დაჭერილი კაცის ნათესავები, ისინი თავის მხრივ ვალდებული იყვნენ მოკლულის ნათესავებისთვის მიეტანათ 24 ძროხის ღირებულების საურავი. თუ ქმარი ვერ მოკლავდა ცოლთან მრუშობაში დაჭერილ კაცს, ეს უკანასკნელი შეურაცყოფილ ქმარს უხდიდა 24 ძროხას. თუ ქმარი ცოლს დაუსახიჩრებლად გააგდებდა, სიმამრი ყოფილ სიძეს უგზავნიდა ასევე 24 ძროხას[20].

1843 წელს გოლენიშჩევ-კუტუზოვისა და ლობანოვ-როსტოვსკის მიერ შეკრებილი ადათების მიხედვით, მოღალატე ცოლის მოკვლა არც ჩაჩნებში იყო მიღებული. ადათი ქმარს მხოლოდ იმის უფლებას აძლევდა, რომ ცოლისთვის კბილებით მოეკამა ცხვირი და ასე დასახიჩრებული გაეგდო ის მამის სახლში[21]. 1864 წელს შედგენილ კრებულშიც აღნიშნულია, რომ სხვის ცოლთან მრუშობაში დაჭერილი კაცი ისევე მკაცრად დასჯილიყო, როგორც კაცის მკვლელი, ხოლო შეურაცყოფილი ქმრის პატივისცემის ნიშნად (ე. ი. მისი დაშოშმინების მიზნით — ვ. ი.) მისი ცოლისთვის ქალისავე ნათესავებს ტუჩები და ცხვირი მოეჭრათ[22].

---

[19] Ф. Леонтович, II, стр. 116—117.
[20] იქვე, გვ. 120.
[21] იქვე, გვ. 99.
[22] იქვე, გვ. 139.

ანალოგიურ ვითარებას გვაცნობენ ნ. დუბროვინი, ნ. გრაბოვსკი და ბ. დალგატი, რომელთა შორის ნ. დუბროვინი ეხება ჩაჩნეთს, ხოლო ნ. გრაბოვსკი და ბ. დალგატი ინგუშეთს.

როგორც ნ. დუბროვინი წერს, ჩაჩანს შეეძლო მოღალატე ცოლი დაესახიჩრებინა (ცხვირი ან ყური მოეჭრა) და ისე გაეგდო. მისივე ცნობით, კიდევ უფრო მკაცრად სჯიდნენ ქალის მაცდუნებელ კაცს. იმას, ვინც სხვის ცოლს გააუპატიურებდა, ცხენის ფლოქვებით გასრესდნენ ან ქვების ცემით ამოხდიდნენ სულს. ასევე სიკვდილით დასჯას ვერ აცდებოდა ის, ვინც ქალწულს შეაცდენდა და შემდეგ მის ცოლად შერთვაზე უარს იტყოდა[23].

ნ. გრაბოვსკის დაკვირვებით, თუ ინგუში ცოლს მოასწრებდა საყვარელთან, მას შეეძლო საყვარელი მოეკლა, ხოლო ცოლისთვის ცხვირი მოეჭრა და ისე გაეგდო. ამის შემდეგ მოღალატე ცოლი ვალდებული იყო ნაღალატევი ქმრისთვის გადაეხადა 3 „ბარჩა" (პირველი „ბარჩა" შეადგენდა 10 ძროხას, მეორე — 8 ძროხას, ხოლო მესამე — 6 ძროხას: სულ 24 ძროხას). ასევე სამი „ბარჩას" გადახდა ევალებოდა შეურაცყოფილი სიძისთვის ქალის ნათესავებსაც. სულ ეს გადასახადი შეადგენდა 48 ძროხას, რომლიდანაც ნახევარი უნდა ყოფილიყო მეწველი და ნახევარიც ბერწი[24].

XIX საუკუნის ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, ინგუშებში ასეთსავე მდგომარეობას ხედავს ბ. დალგატი. მასაც აღნიშნული აქვს, რომ ქმარს შეეძლო მოღალატე ცოლისთვის ცხვირის წვერი მოეჭრა და ისე გაეგდო, ხოლო მისი საყვარელი მოეკლა. მკელელს ასეთ შემთხვევაში პასუხი არ ეთხოვებოდა. დასახიჩრებული ცოლი კი თავის მხრივ ვალდებული იყო ქმრის სასარგებლოდ გადაეხადა ჯარიმა 3 ცხენის ან მისი ღირებულების (90 მან.) სახით[25].

ყველა ამ მონაცემის მიხედვით ვეცნობით დასჯის ერთნაირ წესს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბ. დალგატის ცნობაში ნაჩვენებია გაცილებით ნაკლები ჯარიმა. როგორც ჩანს, ბ. დალგატის ცნობა შეეხება გვიანდელ ვითარებას, როდესაც ჯარიმა უკვე საგრძნობლად იყო შემცირებული.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხევსურეთში კაცი ასეთ მკაცრ ზომას (ცხვირის მოკვეთას ან ბერა თითის მოჭრას) მიმართავდა მისგან გაქცეული ცოლის მიმართ, ვინაიდან ცოლისაგან დაწუნება კა-

---

[23] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 435.
[24] Н. Грабовский, Ингуши..., ССКГ, IX. стр. 53—54.
[25] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 332.

ცისთვის უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა[26]. დასახიჩრების ამ სახეობას ხევსურეთში გახაიბრება ერქვა, რასთან დაკავშირებითაც ხევსურულ რჯულში სათანადო ნორმები იყო შემუშავებული[27].

ასეთი ვითარება გვესახება ჩაჩნეთ-ინგუშეთში ადათის მიხედვით. მაგრამ ამ მხრივ მდგომარეობა საგრძნობლად იცვლება შარიათისა და რუსული კანონმდებლობის ზეგავლენით. როგორც ბ. დალგატი აღნიშნავს, შარიათისა და განსაკუთრებით რუსული სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების შემდეგ სამეუღლეო ურთიერთობის ნორმები კვლავ ადათობრივი დარჩა, მაგრამ საგრძნობლად გაიზარდა ქალის თავდაცვის შესაძლებლობა, რამდენადაც ცოლის მკვლელ კაცს პასუხი კიდევ უფრო მკაცრად ეთხოვებოდა[28]

კაცის უფლებრივი უპირატესობა მარტოოდენ ზემოთ აღწერილ ჩვეულებაში კი არ ვლინდებოდა, არამედ ეს საერთოდ დამახასიათებელი იყო ჩაჩანურ-ინგუშური პატრიარქალური ოჯახის ბუნებისათვის, სულ ერთია საქმე ეხებოდა დიდ ოჯახს თუ პატარას. რომელ მთხრობელსაც არ უნდა ჰკითხოთ ამის შესახებ, ყველა უყოყმანოდ გიპასუხებთ, რომ ცოლი ქმარს უნდა ემორჩილებოდეს. ეს შენიშნულია აგრეთვე თითქმის ყველა დამკვირვებლის მიერ[29]. სწორედ ამაშია ოჯახის პატრიარქალურობის ნიშანი. შრომის განაწილების პრინციპი, მმართველობის სისტემა და ქონებაზე საკუთრების წესი კი მისი სოლიდარობის მაჩვენებელია, ხოლო სოლიდალურ პრინციპებზე დამყარებულ პატრიარქალურ ოჯახში აზრადაც არავის მოუვიდოდა ცოლის გაბატონება ქმარზე.

ქმრის უპირატესობა ცოლთან შედარებით თვით სიარულის წესშიც კი ვლინდებოდა ისევე, როგორც ქართველ მთიელებში[30], აქ ცოლს ნება არ ჰქონდა ურემში ქმარს გვერდზე მოსჯდომოდა მისი ადგილი იყო ქმრის ზურგსუკან. ფეხით სიარულის დროსაც ქმარი

---

[26] ს. მ ა ყ ა ლ ა თ ი ა. ხევსურეთი, ტფილისი, 1935, გვ. 183.

ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1940, გვ. 46. 50, 52—54; რ. ხ ა რ ა ძ ე. ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I, თბილისი. 1947.

[27] Б. Д а л г а т, დასახ. ნაშრომი, გვ. 341.

[28] Ф. Л е о н т о в и ч. II. стр. 26: Н. Д у б р о в и н. დასახ. ნაშრომი. გვ. 424; Ч. А х р и е в. Об ингушских женщинах, ССТО, I, Владикавказ, 1878, стр. 285. Н. Х а р у з и н. Заметки..., СМЭ. III, стр. 126; მ ი ს ი ვ ე. По горам Северного Кавказа. ВЕ. т. V, кн. 9. стр. 528; Н. С е м е н о в. Туземцы Северо-Восточного Кавказа. СПб.. 1895. стр. 25—26; А. Р о с с и к о в а. Путешествие..., ЗКОИРГО. XVIII, стр. 183; Б. Д а л г а т, დასახ. ნაშრომი, გვ. 311 და სხვ.

[30] შდრ. ე. ი ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 300.

ცოლს არავითარ შემთხვევაში გვერდზე არ ამოიყენებდა: ადათის მიხედვით ცოლი ქმარს უკან უნდა მიყოლოდა. ნ. ხარუზინის ცნობით, ამ წესს იცავდნენ ისინი მაშინაც, როდესაც ცხენზე შემჯდარი კაცი წინ მიდიოდა, ხოლო ქალი ფეხით უკან მიყვებოდა ზურგზე აკიდებული მძიმე სკივრით[31].

ცოლ-ქმრის მდგომარეობა რომ განსაკუთრებით ხალხში ყოფნის დროს იყო შეზღუდული, ეს თავს იჩენდა ურთიერთშორის მიმართვის წესში. როგორც ნ. დუბროვინი წერს, ჩაჩნეთში ცოლ-ქმარნი ერთიმეორეს სახელს არ ეუბნებოდნენ. ისინი ერთიმეორეს მიმართავდნენ ნაცვალსახელებით. როდესაც ქმარი ცოლს რამეს ეტყოდა, ცოლი მას კისერმოღერილი უსმენდა და პირდაპირ შეხედვას ქმარს ვერ უბედავდა[32] ა. იპოლიტოვის დაკვირვებითაც, ცოლ-ქმარს შორის ლაპარაკი და შეხვედრები მიუღებელი იყო არამც თუ სხვების თანდასწრებით, არამედ ნათესავების იქ ყოფნის შემთხვევაშიც კი. საღამოობითაც ქმარი ისე უნდა შეხვედროდა ცოლს, რომ ეს სხვებს არ დაენახათ[33].

ინგუშეთში ამ წესს ბ. დალგატი დაჰკვირვებია და შეუნიშნავს, რომ ცალკე ყოფნის დროს ცოლ-ქმარნი ერთიმეორეს სახელს ეუბნებოდნენ, მაგრამ თუ მათი ლაპარაკი გარეშე პირების ან მოზრდილი შვილების დასწრებით ხდებოდა, იცავდნენ პერიფრაზებით მიმართვის წესს. ასეთ შემთხვევაში პიროვნების სახელს ენაცვლებოდა ისეთი სიტყვები, როგორიცაა „ჰეი“, „გესმის“ და ა. შ. მაგრამ არა მარტო ურთიერთშორის ლაპარაკის დროს, არამედ სხვასთან საუბრის შემთხვევაშიც ცოლს თუ ქმრის სახელის ხსენება დაჭირდებოდა, სახელის ნაცვლად იტყოდა: „ბავშვების მამა“ (ბ ი ე რ ე ი დ ა), „ქმარი“ (მარ), „ის“ (ა ზ), ხოლო ქმარი ცოლის სახელის მაგივრად ამბობდა — „ბავშვების დედა“ (ბ ი ე რ ე ი ნ ა ნ) და ა. შ.[34] ეს წესი ერთნაირი სიმკაცრით იყო დაცული როგორც საოჯახო თემის, ისე ინდივიდუალური ოჯახის ფარგლებში.

რაკი ცოლ-ქმრის უფლებრივ მდგომარეობას ვეხებით, აქვე საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებას. როგორც ვიცით, საოჯახო თემის ფარგლებში რამდენიმე საქორწინო წყვილი

---

[31] Н. Харузин, По горам Северного Кавказа, ВЕ, т. V, кн. 9, стр. 528.

[32] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 438.

[33] А. Ипполитов, Этнографический очерк Аргунского округа, ССКГ, I, Тифлис, 1868, стр. 10.

[34] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 340.

ირიცხებოდა, რომელთაც ევალებოდათ უფროსების დავალების შესრულება. ამ მხრივ სავსებით განსხვავებული იყო მდგომარეობა ინდივიდუალურ ოჯახში, რომელიც ერთი საქორწინო წყვილისაგან შედგებოდა. ოჯახის ბატონ-პატრონად გვეელინებოდა ქმარი, რომელიც ცოლთან თათბირობდა რიგ საკითხებზე, ზოგჯერ მის რჩევასაც ანგარიშს უწევდა, მაგრამ პრინციპულ საკითხს წყვეტდა მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ.

ქალის უფლებები ქმრის მიერ შეზღუდული იყო პრინციპული საკითხების გადაწყვეტისას, მაგრამ წმინდა საქალებო საქმეებში კაცი არ ერეოდა. ქალს შეეძლო მეზობლისთვის პროდუქტების სესხად მიცემა და საკუთარი შრომით დახმარება. თანახმად ბ. დალგატის დაკვირვებისა, ცოლს შეეძლო აგრეთვე ქმრის ნებართვის გარეშე გაეყიდა იაფფასიანი საგნები. ქმრის ნათესავისთვის საჩუქრად მიეცა რამე ოთხფეხი, სტუმრისთვის დაეკლა საკლავი, მაგრამ ქმრის უნებართვოდ მას უფლება არ ჰქონდა დაესაჩუქრებინა თავისი ნათესავი[35].

ზემოთ ნაჩვენები ვითარების შემდეგ უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ ცოლი ქმარს ექვემდებარებოდა და ამდენად კაცთან შედარებით ქალის უფლებებიც შეზღუდული იყო.

გარკვეული ურთიერთობა არსებობდა მშობლებსა და შვილებს შორისაც. ქალის ბედი ამ მხრივ მხოლოდ მშობლების ნება-სურვილით განისაზღვრებოდა. ის გათხოვებამდეც მშობლების მორჩილი იყო და მისი გათხოვების საკითხიც მამის გადაწყვეტილების შესაბამისად წყდებოდა. მხოლოდ დაობლების შემთხვევაში მამის ეს უფლებები გადადიოდა ქალის უფროსი ძმის ან ბიძის ხელში[36]. მამის უფლებები ასევე დიდი იყო ვაჟების მიმართ. როგორც ადათებშია აღნიშნული, მამას შვილი კიდეც რომ მოეკლა, უცხოს ჩარევა მაშინაც კი არ ითვლებოდა მიზანშეწონილად[37]. იმავე ადათებში მითითებულია იმის შესახებაც, რომ ყოფილა შემთხვევა, როდესაც შვილის მკვლელ მამაზე შურს იძიებდნენ მოკლულის ძმები[38]. მამის განუსაზღვრელი უფლებები შვილის მიმართ იმაშიც პოულობდა გამოხატულებას, რომ გამონაკლის შემთხვევაში, უკიდურესი გაჭირვების ჟამს, შესაძლებელი იყო მამას შვილი გაეყიდა ან გაესაჩუქრებინა. საერთოდ კი ეს მიუღებელი იყო და ადათებშიც ამიტომ არის ამისთანა მოვლენაზე მითითება, როგორც მხოლოდ გამონაკლისზე[39]. მდგომარეობა მამა-შვილის ურთიერთობა-

---

[35] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 342.
[36] Ф. Леонтович, II. გვ. 96—97.
[37] იქვე. გვ. 26.
[38] იქვე, გვ. 96.
[39] იქვე, გვ. 26.

ში საკრძნობლად იცვლებოდა შვილის დავაჟკაცების შემდეგ. რაკი ვაჟი იაოლს აისხამდა, მოსალოდნელ კონფლიქტში მამა-შვილს შორის მოკიკულობდა ძალა[40]. მამას შვილის გაგდებაც შეეძლო, მაგრამ მხოლოდ ქონების წილის გატანების უფლებით[41] (ამის შესახებ ქვემოთ).

მშობლებთან შვილების ურთიერთობის საკითხს ინგუშეთის მაგალითზე შეეხო ბ. დალგატი, რომელმაც გაგვაცნო ინგუშის შეხედულება ამგვარი ურთიერთობისადმი. როგორც მან აღნიშნა, ინგუშები ანგარიშს არ უწევდნენ რა იმ მდგომარეობას, რომ შვილს დედა ყველაზე მეტად უყვარს, ბავშვისთვის უფრო ახლობლად თვლიდნენ მამას. მშობლების შემდეგ ბავშვისთვის უახლოეს პირებად მიიჩნევდნენ და-ძმებს. მაგრამ დასთან შედარებით დიდი უპირატესობით სარგებლობდა ძმა[42].

იმის მიუხედავად, რომ ხალხის წარმოდგენაში მამა უფრო ახლობელია შვილებისათვის, ვიდრე დედა, მშობლების პირადი საქციელით ეს არ ჩანდა. თუ დედა ალერსს ახვევდა შვილებს და ამას დაუფარავად აკეთებდა, მამა იძულებული იყო გულში ჩაეკლა ეს გრძნობა. შვილისადმი სიყვარულის გამოვლენა და ხალხის წინაშე მისადმი ალერსიანი დამოკიდებულება ადათით მიუღებელი იყო. ისევე, როგორც ქართველი მთიელი, ინგუშიც სხვების იქ ყოფნის შემთხვევაში ხელში ვერ აიყვანდა შვილს, ვერ მოუალერსებდა და ვერც სახელს დაუძახებდა.

უფროს-უმცროსობის პრინციპი ვლინდებოდა ძმების დაქორწინების მომენტშიც. როგორც წესი, მიუღებელი იყო უფროს ძმაზე ადრე უმცროსი ძმის დაქორწინება, ისევე, როგორც არასგზით არ შეიძლებოდა უფროს დაზე ადრე გათხოვილიყო უმცროსი. მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც უფროსი გადაჟამდებოდა, უმცროს დას გათხოვება აუგად აღარ ჩაეთვლებოდა. ეს ტრადიცია დღესაც კი ცოცხლობს ჩაჩნების, ინგუშებისა და ქართველი მთიელების ყოფაში. ძველად კი ჩაჩნეთ-ინგუშეთში მომდევნო ძმა მხოლოდ უფროსი ძმის ქორწინებიდან ხუთი-ექვსი წლის შემდეგ შეიძლებოდა დაქორწინებულიყო. შესაძლებელია მთხრობლის ეს ცნობა არ შეეფერებოდეს სინამდვილეს და ხუთი-ექვსი წელი გაბერილი ციფრი იყოს. მაგამ ფაქტი ერთია — ძმებისა და დების ქორწინებაში საეალდებულოდ ითვლებოდა რიგის დაცვა მათი ასაკის შესაბამისად.

---

[40] Ф. Леонтович. II, стр. 96.
[41] იქვე, გვ. 26.
[42] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 317.

* * *

ჩაჩნურ-ინგუშური ოჯახებისათვის დამახასიათებელი სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაცია განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობოდა სტუმრიანობის დროს. ამის გამო, სტუმართმოყვარეობის ტრადიცია და სტუმრობა-მასპინძლობის ხალხური ჩვეულება მათი საოჯახო ყოფის მნიშვნელოვან კომპონენტად გვესახება.

სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა დროს ჩაჩნეთ-ინგუშეთში მყოფი არაერთი დამკვირვებელი ამჩნევდა სტუმართმოყვარეობას, როგორც ნახების მაღალზნეობრივ თვისებას, ხოლო ბევრი მათგანი მეტნაკლები სიზუსტით აღწერდა სტუმრობა-მასპინძლობის ჩვეულებას, როგორც ამ ხალხის უწმინდეს საზოგადოებრივ მოვალეობას.

ჩვენ არ გვეგულება ჩაჩნეთ-ინგუშეთში მყოფი არც ერთი პროფესიის დამკვირვებელი, რომელსაც თავის თავზე არ ჰქონდეს გამოცდილი სტუმრის მდგომარეობა-სტუმრობა-მასპინძლობა არა მარტო აღგილობრივ მოსახლეობასთან მისული პიროვნების საქმიანი კონტაქტის რეალური საშუალება იყო, არამედ XIX საუკუნეებში ცოცხლად მოქმედი მრავალი საინტერესო ჩვეულების უშუალო დაკვირვების გზით აღწერის საუკეთესო წინაპირობაც. რაკი ყველა მოგზაურს უწევდა ნახის ოჯახში სტუმრად ყოფნა და მოქმედ ჩვეულებას თვითონვე ხედავდა, ამიტომ დღემდე შემონახული ყველა აღწერილობა უშუალოდ ნახულისა და განცდილის საფუძველზეა შექმნილი.

არსებულ აღწერილობათა მიხედვით სრულიად აშკარად ჩანს, რომ სტუმრის მიღება ჩაჩნეთ-ინგუშეთში ოჯახის საპატიო მოვალეობას წარმოადგენდა. პირველ ყოვლისა ეს მტკიცდება XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ მოქმედი ადათებიდან, რომლებითაც ვეცნობით როგორც მასპინძლის მოვალეობას სტუმრის წინაშე, ისე სტუმრობა-მასპინძლობის წესის დარღვევის გამო შემუშავებულ სასჯელთა ნორმებს. 1844 წელს კაპიტან ნორდენსტრენგის მიერ ჩაჩნეთსა და ოსეთში შეკრებილ ადათებში აღნიშნულია: თუ ვინმე გაბედავდა სტუმრის შეურაცხყოფას, დამნაშავე ვალდებული იყო მასპინძლისთვის გადაეხადა უნაგირით აკაზმული ცხენი, იარაღი და 18 ძროხა, რომელსაც მასპინძელი აძლევდა შეურაცხყოფილ სტუმარს. სტუმრის მოკვლის შემთხვევაში კი მკვლელი მასპინძელს უხდიდა სრულ სისხლს, რომელსაც მასპინძელი უგზავნიდა მოკლულის ნათესავებს. ამასთან ერთად მკვლელს თავიდან უნდა ჩამოეშორებინა მოკლულს ნათესავები[43].

თუ სტუმრის მკვლელი მოკლულის ოჯახისათვის მასპინძლთან არ მიიტანდა 70 ძროხის ღირებულების საურავს, მასპინძელი მოვალე

[43] Ф. Леонтович, II, стр. 29.

იყო მკვლელზე თვითონვე ეძია შური[44]. თუ მკვლელი საურავს არ გადაიხდიდა და მასპინძელიც მასზე შურს არ იძიებდა, ხალხი ასეთ მასპინძელს ღამით კარებს ქვებით ამოუქოლავდა. ასეთ საშუალებას მიმართავდნენ ყოველ ღამეს, ვიდრე მასპინძელი სათანადო წესს არ შეასრულებდა[45].

მასპინძლობის მაღალი მოვალეობის შესრულება ხდებოდა ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც ოჯახში თავს შეაფარებდა კაცის მკვლელი. როგორც ინგუშური ადათებიდან ჩანს, მკვლელის შემფარებელი მასპინძელი ვალდებული იყო მოკლულის ნათესავებისათვის მიეცა 12 ძროხა ან მისი ღირებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში მდევარი მის სახლს არ მოსცილდებოდა და მასპინძელს დაჟინებით მოსთხოვდნენ მასთან შეხიზნული დამნაშავის გაცემას. მკვლელი შემდეგ ამ საურავს უკან უბრუნებდა თავის მხსნელ მასპინძელს. თუ რამდენიმე მკვლელი შეაფარებდა თავს, ისინი 12 ძროხას მასპინძელს უკან უბრუნებდნენ საერთო ძალით. აღნიშნული წესების დარღვევისა და მასპინძლის სახლში ჩადენილი მკვლელობის შემთხვევაში დამნაშავე ვალდებული იყო ოჯახის შელახვის გამო მასპინძლისათვის მიეცა 12 ძროხა[46].

რაკი სტუმარი ეზოს კარს შემოაღებდა, ის მოსისხლე მტერიც რომ ყოფილიყო, მასპინძელს მისდამი პატივისცემა მართებდა. საჭირო შემთხვევაში მასპინძელს სტუმარი მტრისგანაც უნდა დაეცვა და მსხვერპლის გაღებასაც არ უნდა მორიდებოდა. სტუმრის მკვლელს მიმართ მასპინძელს ეკისრებოდა შურისძიება, ხოლო სტუმრის გაძარცვის შემთხვევაში დანაკლისის ანაზღაურება[47].

სტუმრობა-მასპინძლობის ეს წესი ეთნოგრაფიული სიზუსტით და დიდი მხატვრული ოსტატობით აღწერა ვაჟა-ფშაველამ თავის „სტუმარ-მასპინძელში“ და ამ წესების დარღვევის ფონზე გვიჩვენა თემსა და პიროვნებას შორის მომხდარი კონფლიქტიც.

ჩაჩნეთ-ინგუშეთში სტუმრის მიღება სათანადო წესით სრულდებოდა. სტუმრებს ეზოში ხვდებოდნენ ახალგაზრდა კაცები. ისინი ჩაიბარებდნენ ნაბდებს, ყაბალახებსა და იარაღებს, უპატრონებდნენ გაოფლიანებულ ცხენებს და სტუმრებს საყონაღოში შეიპატიჟებდნენ. მასპინძლებისა და სტუმრების საყონაღოში შესვლის შემდეგ ოჯახის უფროსი იქიდან გადიოდა, რამდენიმე ხნის შემდეგ ბრუნდებოდა და კა-

---

[44] Н. Харузин, Заметки..., СМЭ, III, стр. 135.

[45] А. Берже, Чечня и чеченцы, Тифлис, 1859, стр. 87; Н. Харузин, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

[46] Ф. Леонтович, II, стр. 149—150.

[47] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 417—419; Н. Семенов, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

რებთან ჩერდებოდა. ვიდრე სტუმრები არ სთხოვდნენ, ის სკამზე არ დაჯდებოდა. ოდნაური შეყოყმანების შემდეგ შეასრულებდა სტუმრების თხოვნას, ხოლო მისი შვილები განაგრძობდნენ ფეხზე დგომას. მათთან ზოგჯერ იქვე იმყოფებოდნენ ასევე ფეხზე მდგომი მეზობლები. სტუმრებთან ერთად ახალგაზრდა მასპინძლებს საყონაღოში ჯდომის უფლება არ ჰქონდათ. მასპინძელი საპატიო სტუმარს უკლავდა ცხვარს, ხოლო სტუმრების დიდ ჯგუფს ძროხას. სტუმარი ვალდებული იყო მოეჭრა ხორცი ცხვრის თავიდან, მკერდიდან და დუმიდან. ის სტუმარი, რომელიც ამ წესს არ შეასრულებდა, უზრდელ ადამიანად ითვლებოდა და მასპინძელიც საჭმელს არ გაეკარებოდა. სტუმრების ნარჩენებით უმასპინძლდებოდნენ ოჯახის ახალგაზრდა კაცებს, ქალებს და მათ მეზობლებს[48].

ნ. დუბროვინი და ნ. ხარუზინი სტუმრის მიღების ზემოთ აღწერილ ჩვეულებას იცნობდნენ როგორც უშუალო დამკვირვებლები. საყურადღებოა, რომ ნ. ხარუზინმა, როგორც ჩაჩნების სტუმარმა, ყველაფერი ეს თავის საკუთარ თავზე გამოსცადა. მას გამასპინძლებია შვიდი ვაჟის მამა. ყველა ამ წესის შესრულებისა და ვახშმობის შემდეგ ნ. ხარუზინისა და მისი თანმხლები პირებისთვის მასპინძლის ერთ-ერთ ვაჟს მიუტანია წყალი ხელების დასაბანად, ხოლო სტუმრებისთვის ბიჭებს ფეხსაცმელებიც კი თავისი ხელით გაუხდიათ[49].

ეს ჩვეულება ჩაჩნებში უფრო ადრე აღწერა ნ. დუბროვინმა[50]. ხოლო თავის დროზე ნ. სემიონოვიც გამხდარა იმის მოწმე, როდესაც ჩაის დალევის შემდეგ მასპინძლის ვაჟებმა მოარბენინეს ტაშტი და წყლით სავსე სპილენძის სურა ხელების დასაბანად[51].

ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვითაც, სტუმრების მიღების ანალოგიური ჩვეულება მოწმდება. როგორც ჩაჩნეთში, ისე ინგუშეთში ხალხმრავალი სტუმრიანობის დროს ახალგაზრდებს ევალებოდათ მათთან შეხვედრა და ზემოთ აღწერილი წესების შესრულება. მთხრობლების გადმოცემით, ხალხმრავალი სტუმრიანობისაგან რამდენადმე განსხვავებული წესი სრულდებოდა ერთი კაცის სტუმრად მოხვედრის შემთხვევაში. მიუხედავად სტუმრის ასაკისა, საყონაღოს კარებთან მას შეხვედრას მოუწყობდა არა კელავ ახალგაზრდა მასპინძელთაგანი, არამედ ოჯახის უფროსი ან სხვა რო-

---

[48] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი. გვ. 414—416; Н. Харузин, По горам Северного Кавказа, ВЕ. т. V. кн. 9, стр. 498—499.

[49] Н. Харузин, დასახ. ნაშრომი, გვ. 501.

[50] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 417.

[51] Н. Семенов, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

მელიმე მოხუცი. ამის შემდეგ კი მასზე მზრუნველობა ასაკის მიხედვით ხდებოდა. ხანდაზმულ სტუმრებთან საყონაღოში შედიოდა ასევე ხანდაზმული მასპინძელთაგანი, ხოლო ახალგაზრდა სტუმრისადმი ყურადღება რომელიმე ახალგაზრდა მასპინძლის მოვალეობას წარმოადგენდა.

ამ ჩვეულება განსაკუთრებით ნათლად ჩანს ინგუშური მასალების მიხედვით. ინგუშეთში სტუმრის მიღების ჩვეულებას შეეხო ნ. გრაბოვსკი. როგორც ის წერს, საყონაღოში მასპინძელი სტუმარს ცოტა ხნით გამოესაუბრებოდა და იქიდან მალე გამობრუნდებოდა, რათა სტუმრისთვის დასვენების საშუალება მიეცა. ერთი-ორი საათის შემდეგ სტუმარს ეახლებოდა ბავშვი ხელსაბანით და პირსახოცით, ხოლო ხელების დაბანის შემდეგ პატარა ზომის სამფეხა მაგიდაზე სტუმარს მიართმევდნენ პურს, ყველსა და მწვადს. საჭმელით გამასპინძლების შემდეგ მასპინძელი მასთან კვლავ შემოვიდოდა და საუბრით შეაქცევინებდა თავს. სტუმარი საყონაღოში მარტოდმარტო იძინებდა[52].

ნ. გრაბოვსკის ზემოთ მოტანილ ცნობასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით, სტუმრისათვის ხელებზე წყლის დასხმა და თავისი ხელით ფეხების დაბანაც კი ოჯახში ყველაზე უმცროსი რძლის მოვალეობად ითვლებოდა. შესაძლებელია ხელებზე წყლის დასხმა ბავშვისთვისაც დაევალებინათ, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სტუმრისადმი პატივისცემის მიზნით ინგუშებისა და მათი მეზობლების (მაგალითად, ოსებისა და მოხევეების) ყოფაში წესად იყო მიღებული მისთვის ფეხების დაბანაც და ეს უსათუოდ უმცროს რძალს ეკისრებოდა.

ჩაჩნებში სტუმრის მიღების არსებული ჩვეულება უაღრესად ზუსტად და წარმტაცად აღწერა ჩრდილო კავკასიის ხალხთა ყოფაცხოვრების საუკეთესო მცოდნემ და მათმა დიდმა მეგობარმა ალ. ყაზბეგმა თავის რომანში „მამის მკვლელი". როგორც ამ აღწერილობიდან ნათლად ჩანს, სახლში კაცის არ ყოფნის შემთხვევაში მასპინძლობას ქალები ეწეოდნენ. ნაწარმოების მიხედვით, ასე მოქცეულა მალსაგიანთ ოჯახის დიასახლისი სოფ. გალაშკაში, ვინაიდან მისი ქმარი და ორი უფროსი ვაჟი ამ დროს შამილის ჯარში იმყოფებოდნენ. ის იმ რწმენით შეხვდა ორ ჩაჩანს, ორ მოხევეს, ერთ მთიულსა და მათ მიერ დატყვევებულ სამ ოფიცერს თავის ჭიშკართან ესოდენ გულუხვად, რომ „სტუმარი ღვთისაა", რომ „მალსაგიანთ სახლის კარი თავის დღე-

---

[52] Н. Грабовский, Экономический и домашний быт ..., ССКГ, III, стр. 4—6.

ში სტუმარს არ დაჰკეტია"[53], ისევე. როგორც ყოველი სხვა ჩაჩნისა, და არც ქმრის სხვაგან ყოფნის შემთხვევაში უნდა დაიკეტოს. ამიტომ ის სტუმრის ოდნავ შეყოყმანებასაც კი ვერ ურიგდება და მათ ფართოდ უღებს თავისი სახლის კარებს.

„სტუმრებმა უარი ვეღარ უთხრეს ამ გულწრფელს პატიჟზედ და შეეიდნენ მშვენივრად დაგვილ-დაწმენდილს ეზოში, რომელშიაც განცალკევებით იდგა ისეთივე წმინდად გალესილი სასტუმრო.

სტუმრებს მიესალმნენ, ჩამოართვეს ცხენები და შეიყვანეს ოთახში, სადაც ერთკენ მხარ-ძირიდგან ზეითამდინ აგებული საბან-გობანი და ბალიშები მნახველს გააკვირვებდა; მეორე მხარეს იდგა განიერი ტახტი ადგილობრივ მომზადებული, ჭილობებმოფენილი: მესამე მხარეს მოჩანდა ირმის გაჭიმული მთელი, თავარიელა თანგატანებული ტყავი ნამაზისათვის; იქავე ალთაფა და ტაშტი იმავე საჭიროებისათვის. კიდევ რამდენიმე საინი და ლანგარი სპილენძისა იქავე გვერდით ეკიდა, და გამოღებულს თახჩაში ეწყო წმინდად გაკრიალებული სამოვარი თავის იარაღით: მეოთხე მხარეს დაინახავდით ფანჯარას, ბუხარს და კასრებს: ოთახი — წმინდად გალესილი და გატკეპნილი, ისე რომ ქვის პოლი გეგონებოდათ.

შესვლის უმალ ოთახში შემოვიდა მშვენიერის სახის ქალი, მიესალმა სტუმრებს და თავისი ხელით შემოსსნა იარაღი, რომელიც ისე რიგად ჩამოკიდა ბოძის კაპებზედ, რომ ადვილად აღება შესძლებოდათ პატრონებს, თუ დასჭირდებოდათ რისაცვისმე.

სტუმრები დასხა ქალმა, დახადა ფეხთ და გაანთო ცეცხლი, ეს მასპინძლის გულუხვობის და მხიარულების ნიშანი"[54].

ალ. ყაზბეგი აქვე აღნიშნავს, რომ სტუმრებს სიმღერითა და ცეკვით ართობდნენ მეზობლის ქალები, ხოლო „ტყვეებს ყველანი ისე ექცეოდნენ, როგორც სტუმრებს და ყოველის ღონისძიებით ცდილობდნენ არ შეხებოდნენ იმათ კაცობას, იმათ პირადობას, რადგანაც ამგვარს მდგომარეობაში მყოფი ადამიანის მასხარად აგდება არ ეთანხმებოდა იმათ შეხედულებას"[55].

მხიარული დროსტარების შემდეგ „სტუმრებს ხელები დაბანინეს და სადილი მოუტანეს. სუფრა სუფრით იცვლებოდა, ერთს საჭმელს მეორე საჭმელი შესცვლიდა. ბოლოს ჩამოურიგეს ქოშებით

---

[53] ალ. ყ ა ზ ბ ე გ ი, მამის მკვლელი, თხზ.. ტ. I, თბილისი, 1948, გვ. 321.
[54] ი ქ ვ ე, გვ. 321—322.
[55] ი ქ ვ ე, გვ. 322.

ჩვენიც. ის აუცილებელი საჭმელი ყველა მდიდარი და ღარიბი მთის კაცისა"[56].

როგორც ჩანს, დიდი და ხანგრძლივი სტუმრიანობის დროს მასპინძელს ეხმარებოდნენ მეზობლები. „სოფლის დედაკაცები განუწყვეტლად მოდიოდნენ და მოჰქონდათ ქათმები, კვერცხები, ერბო; ზოვს ბიჭებს მოუდიოდათ საკლავები. ესა ნიშნამდა, რომ მეზობლის სტუმრები საუმო სტუმრად ითვლებოდნენ და ვისაც რით შეეძლო, ცდილობდნენ მეზობლის ხელის გამართვას, შემწეობას"[57].

სტუმრისადმი პატივისცემა მარტო მის კარგად მიღებასა და გაბასპინძლებაში როდი მდგომარეობდა. სტუმარ-მასპინძლის მეგობრულ ურთიერთობაში ანუ ყონაღობაში წესად ყოფილა მიღებული ურთიერთშორის სამახსოვრო ნივთების გაცვლა. როგორც ნ. სემიონოვი წერს, სტუმარს უფლება ჰქონდა წაეღო მასპინძლის შეეერცხლილი ხანჯალი და სამაგიეროდ მისთვის დაეტოვებინა თავისი ხანჯალი ხის ქარქაშით. ნივთების ასეთი გაცვლა ზოგჯერ ვითომც დროებით ხდებოდა, მაგრამ მასპინძლისათვის სირცხვილი იყო თავის ყოფილ სტუმართან ხანჯლის სათხოვრად მისულიყო[58].

სტუმრის უფლებები ამაზე უფრო შორსაც მიდიოდა. ნ. ხარუზინის ცნობით, ჩაჩნეთ-ინგუშეთში სტუმარს შეეძლო მასპინძლისთვის საჩუქრად მოეთხოვა რაიმე ნივთი ან პირუტყვი, რაზედაც უარის თქმა მიუღებელი იყო. მასპინძელსაც შეეძლო სტუმრისთვის საჩუქარი ეთხოვა, მაგრამ უარის თქმა სტუმარს აუგად არ ეთვლებოდა. მასპინძელს განსაკუთრებული ყურადღება ევალებოდა, რათა სტუმარს სამუდამოდ ფეხი არ ამოეკვეთა მისი სახლიდან. სტუმარს რომ მეორე მასპინძელი გაეჩინა, ყოფილი მასპინძელი ამით სახალხოდ შერცხვებოდა. სტუმარი აქ იმდენად დაფასებული იყო, რომ ამ ტრადიციაზე კლასობრივი განსხვავებაც კი ვერ მოქმედებდა. ნებისმიერი წოდების კაცს შეეძლო სტუმრებოდა თავადს და რამდენიმე ხანს დაეყო მის საყონაღოში. წასვლისას სტუმარს შეეძლო მისგან საჩუქრად მოეთხოვა ძროხა ან ცხენი. ძუნწის სახელი რომ არ გავარდნოდა, მასპინძელი იძულებული იყო დამორჩილებოდა ადათს და დაეკმაყოფილებინა სტუმრის სურვილი[59].

---

[56] ალ. ყაზბეგი, დასახ. ნაწარმოები გვ. 322—323.

[57] იქვე, გვ. 323.

[58] Н. Семенов, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

[59] Н. Харузин, Заметки..., СМЭ, III, стр. 135; მისივე, По горам Северного Кавказа, ВЕ, т. V, кн. 9, стр. 525.

სტუმარ-მასპინძლის დამეგობრება ხშირად დანათესავებამდეც კი მიდიოდა. თუ სტუმარი იმ დროს მოხვდებოდა მასპინძელთან, როდესაც ან უკანასკნელს ვაჟი შეეძინებოდა, მასპინძლის თხოვნით ბავშვს სახელს არქმევდა სტუმარი. როგორც წესი, ბავშვს ის აძლევდა თავის სახელს და ამ დღიდან მათ შორის მყარდებოდა ნათესაური ურთიერთობა[60]. ამგვარი შემთხვევის გარეშეც სტუმრობა-მასპინძლობით შეძენილი მეგობრობა ანუ ყონაღობა ნათესაური კავშირის სიმაღლემდე ადიოდა, რაც რელიეფური სიცხადითაა გამოვლენილი მემკვიდრეობის წესში: მასპინძლის ოჯახში ყონაღის გარდაცვალების შემთხვევაში მასპინძელს უფლება ჰქონდა თავისთვის დაეტოვებინა ის ნივთები, რომელიც მიცვალებულს, როგორც ყონაღს (და ამდენად ნათესავს) თან ახლდა[61].

სტუმრობა-მასპინძლობის ზემოთ აღწერილ წესებთან ერთად ყურადღებას იქცევს ის ოთახი, სადაც სტუმრის მიღება ხდებოდა. მისი სახელწოდება საყონაღო, რომელსაც ალ. ყაზბეგი სასტუმროს უწოდებს და მისი შიდამოწყობილობის მშვენიერ აღწერილობასაც იძლევა, უშუალოდ დაკავშირებულია ყონაღობასთან, სტუმრობა-მასპინძლობის საშუალებით დამყარებულ მეგობრობასთან, რაც ნახებსა და მათ მეზობლებში საზოგადოდ გავრცელებულ ჩვეულებას წარმოადგენდა. ყონაღ-ი (კუნაკ) თურქული სიტყვაა და ნიშნავს სტუმრობით დამეგობრებულ პირს. აქედანაა ნაწარმოები მეგობრობის აღმნიშვნელი სიტყვა ყონაღობაც და ნაგებობის სახელწოდებაც, სადაც ასეთ ურთიერთობას ეყრებოდა საფუძველი.

ისევე როგორც სტუმრობა-მასპინძლობის წესებს, ჩაჩნეთ-ინგუშეთში საყონაღოს სახეობებსა და ფუნქციებს არა ერთი დამკვირვებელი შეეხო. ერთ-ერთი მოგზაურის ცნობით, ოჯახის უფროსი კაცი მთელ დღეს საყონაღოში ატარებდა და მხოლოდ საღამოხანს ბრუნდებოდა საჯალაბო ოთახში[62]. საცხოვრებელი ნაგებობის კომპლექსში სასტუმროდ განკუთვნილი განყოფილების ასეთსავე დანიშნულებას ყურადღება მიაქცია ნ. დუბროვინმა, რომლის დაკვირვებით, ჩაჩნისათვის ყველაზე საყვარელ კუთხეს წარმოადგენდა საყონაღო,

---

[60] Н. Харузин, Заметки..., стр .135.

[61] Ф. Леонтович, II, стр. 101; Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 463—464; Н. Харузин, Заметки..., стр. 136.

[62] И. Норденстамм, Краткое военно-статистическое описание Чечни, составленное в 1834 г. იხ. წიგნში: «Материалы по истории Дагестана и Чечни», т. III, ч. II, Махачкала, 1940, стр. 317.

სადაც ის უმთავრესად იმყოფებოდა თავის ნაცნობებთან და სტუმრებთან ერთად[63].

ლიტერატურაში გვხვდება საყონაღოს აღწერილობაც, რომელთაგან ზემოთ გავეცანით ალ. ყაზბეგისეულ ვარიანტს. ა. როსიკოვას ცნობით, საყონაღო წარმოადგენდა სუფთად დალაგებულ ოთახს, რომელშიც იდგა ხის საწოლები და დაბალი სკამები. კედელზე გაკეთებულ თაროებზე აწყობდნენ ლოგინს, ხოლო კედელზეევე გაკრულ ხალიჩაზე კიდებდნენ იარაღს. მკვლევარი იქვე აღნიშნავს, რომ ღარიბი და მდიდარი ჩაჩნის საყონაღოებს შორის განსხვავებას არ ჰქონია ადგილი. ეს გარემოება ა. როსიკოვას მიაჩნდა იმის ერთ-ერთ საბუთად, რომ სოციალური დიფერენციაციის ღრმა პროცესი ჩაჩნეთისთვის მკვეთრად დამახასიათებელი არ ყოფილა[64].

ერთ-ერთი საყონაღო, რომელშიც ნ. ხარუზინი სტუმრად იმყოფებოდა, მისივე აღწერილობის მიხედვით, წარმოადგენდა გრძელსა და ოთხკუთხა ოთახს საკმაოდ მაღალი ჭერით, მცირე ზომის ოთხკუთხა ფანჯრებითა და ხის დარაბებით. ოთახის სიღრმეში კედელთან მდგარა ხის განიერი საწოლი, რომელზედაც ეწყო მუთაქები და ბალიშები. შესასვლელიდან მარჯვნივ კედელთან გამართული ყოფილა ბუხარი. მოპირდაპირე კედლის თაროებზე ეწყო ხალიჩები და სამზითვო სკივრები შიგ ჩალაგებული ნივთებით[65].

კ. განის დაკვირვებით, ჩაჩნის სახლი წარმოადგენდა ბანით დახურულ ორსართულიან ნაგებობას. მის პირველ სართულზე მოწყობილი იყო ბოსელი და სამზარეულო, ხოლო მეორე სართული ოთხი განყოფილებისაგან შედგებოდა. ამათგან კ. განი, პირველ რიგში, ასახელებს შესასვლელს, სადაც იდგა ხის საწოლები, ეწყო ნაბდები და ელაგა სხვადასხვა საოჯახო ნივთები. შესასვლელის მარცხნივ მდებარეობდა საყონაღო, სადაც რამდენიმე სკივრი მდგარა. საყონაღოს ერთ კედელზე კ. განს შეუმჩნევია თაროები, ხოლო მეორე კედელზე იარაღი ყოფილა დაკიდებული. სასტუმროს ეკვროდა პატარა ზომის სამეურნეო სათავსო. მისსავე გაგრძელებას წარმოადგენდა დგამ-ჭურჭლისა და პროდუქტების შესანახად განკუთვნილი შედარებით დიდი ზომის საკუჭნაო. ყველა მათგანს მიწის იატაკი ჰქონია. საყონაღოს ასეთსავე იატაკზე ხალიჩები ყოფილა გაფენილი[66].

---

[63] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 415.

[64] А. Россикова. დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

[65] Н. Харузин, По горам Северного Кавказа, ВЕ, т. V, кн. 9, стр. 498—499.

[66] К. Ган, Экскурсия..., ИКОИРГО, т. XV, № 4, стр. 217.

საყონაღოს, როგორც საცხოვრებელი კომპლექსის ერთ-ერთ ნაწილს გაკვრით შეეხო გ. ვერტეპოვიც. როგორც მან აღნიშნა, შეძლებული ოჯახის სახლი ორი ოთახისაგან მაინც შედგებოდა, რომელთაგან ერთი იყო საცხოვრებელი, ხოლო მეორე სასტუმრო[67]. აქედან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ღარიბ ოჯახს საყონაღო არ გააჩნდა. გ. ვერტეპოვის ეს ცნობა არ უნდა იყოს სწორი, რამდენადაც არც ლიტერატურული მონაცემების და არც ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით ჩაჩნეთ-ინგუშეთში ასეთი ვითარება არ დასტურდება.

საყონაღო რომ სასტუმროდ განკუთვნილსა და ოჯახის უფროსის სამყოფ იზოლირებულ ოთახს წარმოადგენდა, გარდა ჩაჩნეთ-ინგუშეთისა ეს ნათლად ჩანს კავკასიის სხვა კუთხეების წარსულიდანაც. ჩრდილო-კავკასიის ხალხთა საყონაღოების სახეობა-ფუნქციების შესწავლის შედეგად მ. კოსვენმა თავის ერთ-ერთ სპეციალურ გამოკვლევაში (Что такое кунацкая?)[68] აღნიშნა ორი სახის საყონაღოს არსებობა: პირველი მათგანი წარმოადგენდა საცხოვრებელი ნაგებობის კომპლექსში შემავალ იზოლირებულ განყოფილებას, როგორც ეს დავინახეთ ჩაჩნეთ-ინგუშეთის მაგალითზე, ხოლო საყონაღოს მეორე სახეობა წარმოადგენდა სავსებით განცალკევებულ ერთკამერიან ნაგებობას. რაც შეეხება საყონაღოს ფუნქციას, თუ ჩაჩნურ-ინგუშური მასალების მიხედვით ის ოჯახის უფროსის სამყოფოდ და სასტუმროდ იყო განკუთვნილი, საერთო კავკასიური მონაცემების საფუძველზე მ. კოსვენმა მის კიდევ უფრო მრავალმხრივ მნიშვნელობაზე მიუთითა. მისი შეხედულებით, საყონაღო ერთდროულად წარმოადგენდა სასტუმროს, ოჯახის უფროსის სამყოფ ოთახს, საზოგადოებრივი საკითხების ვადასაწყვეტად მამაკაცთა თავყრილობის ადგილს და უცოლო ახალგაზრდების თავშესაქცევ სამყოფელს. მ. კოსვენი არ ეთანხმებოდა მათ, ვინც საყონაღოში მხოლოდ სასტუმროს ხედავდა. მისი ღრმა რწმენით, საყონაღოს გააჩნდა რა ყველა ზემოხსენებული ფუნქცია, თავისი არსებობის ადრინდელ საფეხურზე ის პირველ ყოვლისა მამაკაცთა ბინა უფრო იყო, ვიდრე სასტუმრო. როგორც მ. კოსვენი ფიქრობს, საყონაღო თავისი არქაული ფორმით შესაძლებელია ისეთივე მნიშვნელობის მქონე ნაგებობა ყოფილიყო, როგორიც იყო „მამაკაცთა სახლი", „ახალგაზრდების კლუბი" ანდა „უცოლოების კლუბი". არქაული საყონაღო უნდა ყოფილიყო იზოლირებული ნა-

---

[67] Г. Вертепов, В горах Кавказа, ТС, VI, Владикавказ, 1903, стр. 105.

[68] М. Косвен, Этнография и история Кавказа, Москва, 1961.

ებობა. თავისი განვითარების ადრეულ საფეხურზე ასეთი „სახლი“ ანდა „კლები“ სოფელში ერთი უნდა მდგარიყო, რომელიც სოფლის სტუმრის მისაღებადაც იქნებოდა გამოყენებული. სოფელში რამდენიმე საოჯახო საყოლანოს გაჩენა მერმინდელი ჩანს. მ. კოსვენის ინტერპრეტაციით, ინდივიდუალურ ოჯახებად საოჯახო თემის დაშლის შემდეგ უნდა ქცეულიყო საყონაღო ოჯახის უფროსის სამყოფელ ბინად, რომელიც იმავდროულად სასტუმროს ფუნქციასაც ასრულებდა[69].

ამგვარად, ყონაღობა ჩაჩნეთ-ინგუშეთში, ისევე როგორც ჩრდილო კავკასიაში საერთოდ, საოჯახო ურთიერთობაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენას წარმოადგენდა, რაც არა მარტო საანალო წეს-ჩვეულებების შესწავლით დასტურდება, არამედ სტუმრობა-მასპინძლობის ინსტიტუტთან უშუალო კავშირში მყოფი საყონაღოს არსებობითაც. ყონაღობის მნიშვნელობა დიდი იყო არა მარტო საკუთრივ ნახების საოჯახო ურთიერთობაში, არამედ ეს ინსტიტუტი უდიდეს როლს ასრულებდა მეზობლებთან დამოკიდებულების სფეროშიც. ყონაღობამ ხელი შეუწყო კავკასიელ ხალხთა შორის კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის განმტკიცებას. დიდია ამ ჩვეულების როლი საკუთრივ ქართველებისა და ნახების კეთილმეზობლური ურთიერთდამოკიდებულების განვითარებაში.

მეხუთე თავი

ოჯახის გაყრის წესი და ქონების განაწილების პრინციპი

როგორც ამ ნაშრომის პირველ თავში განხილული ფაქტობრივი მასალიდან ჩანს, რამდენიმე თაობის გაუყრელად ცხოვრების წესი ნახებმა XIX საუკუნემდე შემოინახეს. ამავე მასალის მიხედვით ისიც აშკარაა, რომ ასეთი ოჯახის გაყრა მიუღებელი იყო უფროსი თაობის წარმომადგენელთა სიცოცხლეში.

ამგვარი ჩვეულების გამო მოწილეებისა და განაყარი ოჯახების რიცხვი ზუსტად ფარავდა ერთიმეორეს. მოწილედ ითელებოდა ყველა ის მამაკაცი, რომელიც გაყრის შემდეგ გამოყოფილ ინდივიდუალურ ოჯახს ექცეოდა სათავეში. ამდენად, თუ ოჯახი გაყრის მომენტში 3-5 თაობას მოიცავდა, მოწილეებად გვევლინებოდნენ მეო-

---

[69] М. Косвен, დასახ. ნაშრომი, გვ. 128—129.

რე თაობის წარმომადგენლები, ე. ი. გარდაცვლილ მოხუცთა (ოჯახის ყოფილ მეთაურთა) შვილები და ძმათა შვილები.

ბუნებრივია, რომ მშობლები თავისთავად გამორიცხული იყვნენ მოწილეთა რიგებიდან, რამდენადაც ოჯახის გაყოფა მხოლოდ მათი გარდაცვალების შემდეგ ითვლებოდა კანონზომიერ მოვლენად. რაც შეეხება მესამე ან მეოთხე თაობას, ამათგან არამცთუ ბავშვებს, არამედ სრულწლოვან, ოჯახის მოჭირნახულე და ცოლშვილიან კაცებსაც კი არ ეძლეოდათ წილი. ქონების განაწილების მომენტში არ უწევდნენ ანგარიშს არც მოწილეთა შვილების წლოვანებას და არც რაოდენობას. ერთ მოწილეს რომ ათი შვილი ჰყოლოდა და მათ შორის ცოლშვილიანებიც, ხოლო მეორე მოწილე სულ უშვილო ყოფილიყო, ქონება მათზე თანაბრად ნაწილდებოდა. სულებზე იყოფოდა მხოლოდ იმ წლის სარჩო—პურეული და პროდუქტები.

ასე სჯიდა ნახთა ადათი, რომლის მტკიცედ დაცვა მინდობილი ჰქონდათ სიდარბაისლით სახელგანთქმულ მოხუც მედიატორებს.

როგორც ნ. ხარუზინი შენიშნავს, მათ იშვიათად მიმართავდნენ, ვინაიდან გაყრა ხდებოდა ურთიერთშეთანხმებით[1]. თუ საქმე გამწვავდებოდა და მოხუცების ჩარევა გახდებოდა საჭირო, უთანხმოება ადეილად წესრიგდებოდა, რამდენადაც მათი გადაწყვეტილების წინააღმდეგ ყოველგვარი პრეტენზია მიუღებელი იყო.

მედიატორებს, პირველ რიგში, ევალებოდათ სახლის გაყოფა, სახლისა, რომელიც გამრავლების შედეგად წარმოქმნილ ყველა ახალ ოჯახს ველარ იტევდა. ამის გამო, გამოყოფილი ოჯახების ერთი ნაწილი რჩებოდა ფუძე სახლში, ხოლო ნაწილი ოჯახებისა საცხოვრებელი ფართობის ნაცვლად ღებულობდა საფასურს საქონლის, საოჯახო ინვენტარის ამ მიწის ნაკვეთის სახით. ასეთ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებდნენ ყველაზე ხნიერ მოწილეს, რომელსაც ევალებოდა მამაპაპეულ კერასთან განაყრების კავშირის კვლავ შენარჩუნება და ამ კავშირის გამომხატველი წეს-ჩვეულებების დაცვა განაყრების დროდადრო შეკრების მომენტში.

ვისაც ფუძე სახლში ცხოვრება არ მოუწევდა ფართობის სიმცირის გამო, მიღებული საბადლო საფასურით ის იქვე იშენებდა ახალ სახლს. სამოსახლო ფართობის შევსების შემდეგ კი განაყრები სხვა ადგილზე სახლდებოდნენ. ასე იქმნებოდა პატრონიმიული უბანი, რომლის მექანიზმი ინგუშური მასალების მიხედვით დღეისათვის საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართველ ეთნოგრაფთა მიერ[2].

---

[1] Н. Харузин, Заметки, ...СМЭ, III, стр. 124.

[2] А. Робакидзе, Жилища и поселения горных ингушей; Р. Хар-

მედიატორებს დიდი სიფხიზლე და წინდახედულობა მართებდათ სახნავი ნაკვეთების განაწილების დროს. საქმეს ართულებდა ის გარემოება, რომ სხვადასხვა ადგილას მდებარეობის გამო ეს ნაკვეთები ხარისხით ერთმანეთისაგან მკვეთრად განირჩეოდნენ. დაბრკოლებას იწვევდა ისიც, რომ პატარა ნაკვეთი რამდენიმე ნაწილად დაქუცმაცებას ვეღარ იტანდა. რაკი ასეთ შემთხვევაში საოჯახო საკუთრებაში არსებულ ყველა ნაკვეთს მოწილეების რიცხვის მიხედვით ვერ დაანაწევრებდნენ, მედიატორები გამოსავალს პოულობდნენ ამ ნაკვეთების ურთიერთშებადლებაში. ისინი მხედველობაში იღებდნენ რა ნაკვეთის მდებარეობასა და მოსავლიანობას, ამის საფუძველზე ახერხებდნენ თანაბრად გაყოფასაც.

ზოგჯერ ისედაც ხდებოდა, რომ ერთი მოწილის სახნავი ფართობი მეორისაზე დიდი მოცულობისა იყო, მაგრამ თუ მეტ-ნაკლები სიდიდის ორივე ნაკვეთი ერთნაირ მოსავალს იძლეოდა, მედიატორების გადაწყვეტილება დავის საგანი აღარ ხდებოდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საერთო-საოჯახო საკუთრებაში არსებული სახნავი მიწის ფონდიდან რომელიმე ნაკვეთის ამ პრინციპით დანაწილება ვერ მოხერხდებოდა, მას კვლავ საერთო საკუთრებაში ტოვებდნენ, განაყრები მორიგეობით ხნავდნენ და ამ გზით თანასწორუფლებიანობის დაცვასაც აღწევდნენ.

ღირებულების მიხედვით წილების ურთიერთშეფარდების პრინციპი ასეთივე მიუდგომლობით უნდა ყოფილიყო დაცული საოჯახო ინვენტარისა და პირუტყვის განაწილების მომენტში. მაგალითად, ხუთი მოწილედან რომ მხოლოდ ოთხს შეხვედროდა ხარი, მეხუთეს აუცილებლად ეძლეოდა ძროხა და ხბო, ვინაიდან ძროხაზე ხბოს დასართებით წილების გათანაბრება ხდებოდა. ასეთივე ხერხს მიმართავდნენ ნივთების გაყოფის დროსაც. მაგალითად, ოჯახში რომ მხოლოდ ერთი სალუდე ქვაბი ყოფილიყო და ის ერთ-ერთ წილად ჩაეგდოთ, მეორე წილად გადაიდებოდა ორი მომცრო ქვაბი ან ერთი ქვაბი სხვა რაიმე ნივთის დამატებით და ა. შ. ერთი სიტყვით, ქონების გაყოფას საფუძვლად ედო მოწილეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი.

... იმის შემდეგ, რაც მედიატორები ქონებას ამ პრინციპით გაყოფდნენ, თავისთან მოიხმობდნენ გაყრის პრეტენდენტებს. ამ დროისათ-

---

ра д з е, Некоторые стороны сельско-общинного быта горных ингушей, КЭС, II, Очерки этнографии Горной Ингушетии, Тбилиси, 1968; А. **Робакидзе**, Особенности патронимической организации у народов Горного Кавказа (в связи с вопросом о соотношении патронимии, рода и семьи), СЭ, 1968. № 5.

ვის მოხუცებს ქუდში ჩაყრილი ჰქონდათ იმდენი ნიშანდასმული ჩხირი, რამდენ ნაწილადაც ოჯახი იყოფოდა. ჩხირებზე აღბეჭდილი ნიშნები—ერთი ჭდე, ორი ჭდე და ა. შ., ქონების კუთვნილების გამომხატველი იყო, რაც უმკაცრესი საიდუმლოების პირობებში მხოლოდ მედიატორებმა იცოდნენ. ქუდში ჩაყრილ ამ ჩხირებს მოხუცები ერთმანეთში აურევდნენ, ხოლო აქედან მოწილეები სათითაოდ ამოიღებდნენ ისე, რომ ქუდისაკენ არც მიიხედავდნენ. ამის შესაბამისად იღებდნენ ისინი თავის წილხვედრილ ქონებასაც. ამ წესით მიღებულ დოვლათს ინგუშურად ეწოდებოდა ჯ ო ო ჯ დ ა ა ყ (წილი), ხოლო ჩაჩნურად — ჯ ო ო ჯ დ ა ა ყ.

* * *

ოჯახის სეგმენტაციაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა ცოლ-ქმრობის ხასიათი და აქედან გამომდინარე შედეგები. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ერთი მხრივ მრავალცოლიანობა, ხოლო მეორე მხრივ, დაქვრივების ან ცოლთან გაყრის შემდეგ მომხდარი ქორწინება და მის საფუძველზე შექმნილი ურთიერთობა.

როგორც ადგილზე შეკრებილი მასალებისა და ლიტერატურაში ასახული ცნობებიდან ჩანს, ნახები მრავალცოლიანობას მისდევდნენ მაჰმადიანური სარწმუნოების მიღებამდეც[3], მაგრამ ქორწინების ეს წესი განსაკუთრებით ვრცელდება ისლამის გავრცელების პირობებში.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა გიულდენშტედტის ცნობა ქისტების შესახებ: „ისინი, მაჰმადიანების მსგავსად, რამდენიმე ცოლს ირთავენ, მაგრამ ღორის ხორცს კი სჭამენ, წინააღმდეგ მაჰმადიანთა წესისა“[4].

გიულდენშტეტდტის ეს ცნობა უნდა შეეხებოდეს გარდამავალ საფეხურს, როდესაც წინამაჰმადიანურ რელიგიას ენაცვლებოდა მაჰმადიანური. მრავალცოლიანობა გვესახება ისეთ მოვლენად, რომელიც უნდა არსებულიყო მაჰმადიანობამდეც. ასეთი გაგების საფუძველს გვაძლევს გიულდენშტედტისეული განმარტება. როგორც მრავალცოლიანობას, ისე ღორის ხორცის ჭამის წესს ის ხსნის მაჰმადიანურ წესრიგთან შედარების საფუძველზე. ის გარემოება, რომ ქისტები ქორწინდებოდნენ „მაჰმადიანების მსგავსად“, ხოლო მაჰმადიანთა წესისაგან განსხვავებით

---

[3] Н. Грабовский, Экономический и домашний быт... ССКГ, III, стр. 21; Зиссиу, Ингуши, ССКГ, IX, стр. 49; Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 314—319.

[4] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, თბილისი, 1964, გვ.71.

ლორის ხორცს კი ჭამდნენ, გვაფიქრებინებს შემდეგს: გიულდენ-შტედტი უნდა აღწერდეს ქორწინების ისეთ წესს, რომელსაც მსგავსება ჰქონდა მაჰმადიანურთან და ქისტები ამ წესს მისდევდნენ მაჰმადიანობის გავრცელებამდეც, ანდა ქისტებში გიულდენშტედტის დროს მაჰმადიანობა უკვე ვრცელდებოდა, რომელსაც ზოგიერთ ჩვეულებაზე მოეხდინა გავლენა (ქორწინებაზე), ხოლო ზოგიერთი წესი ისევ ინარჩუნებდა ადრინდელ სახეს (ლორის ხორცის ჭამა).

ორი, სამი და ძალიან იშვიათად ოთხი ცოლის ყოლა აქ ძირითადად გამართლებული იყო უშვილობის მოტივით. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც ცოლის დაავადმყოფების გამო კაცს მეორე ცოლიც მოყავდა. ხშირად ეს ხდებოდა თვით ავადმყოფი ცოლის ინიციატივით. ასეთ ურთიერთობას აადვილებდა იმის ღრმა რწმენა, თითქოს უშვილობის მიზეზი მხოლოდ ქალი იყო. ამიტომ უშვილობით დაჩაგრული კაცი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობა და ვაჟის შეძენის მიზნით ცოლად მოჰყავდა რამდენიმე ქალი.

არაიშვიათად ისეთ შემთხვევასაც ჰქონია ადგილი, როდესაც პირველთაგან ვაჟის შეძენის მიუხედავად ნახი მეორე და ზოგჯერ მესამე თუ მეოთხე ცოლსაც ირთავდა. ასეთი ვითარება აქ უკვე ისლამის გაბატონების პერიოდს ემთხვევა, მაგრამ მასობრივ ხასიათს არ ღებულობს. პირველ რიგში, ეს შეიძლება ითქვას ინგუშების შესახებ, რომლებიც ჩაჩნებთან შედარებით უფრო გვიან ეზიარნენ მაჰმადიანობას და პოლიგამიის მასშტაბითაც ჩამორჩებოდნენ ჩაჩნებს. საერთოდ კი ნახებში მრავალცოლიანობას ისეთი ფართო გავრცელება არ მიუღია, როგორსაც ჰქონია ადგილი მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევარ მათ მეზობლებში (განსაკუთრებით დაღესტნის ხალხებში). ამის შესახებ მიგვითითებენ მთხრობლებიც და კავკასიაში ნამყოფი დამკვირვებლებიც. ხალხური წყაროებიდან და ლიტერატურიდან ისიც კარგად შეიმჩნევა, რომ მრავალცოლიანობას ძირითადად მისდევდნენ შეძლებული ფენის წარმომადგენლები, ვინაიდან ცოლის შერთვა დაკავშირებული იყო ყალიმის გადახდის წესთან, ხოლო ამის საშუალება ჰქონდა ეკონომიურად ძლიერ კაცს. ამის შესახებ სამართლიანად მიუთითა ნ. ხარუზინმა. მისი ცნობით, მდიდრები ირთავდნენ 3-4 ცოლს, ხოლო მკვლევარი ერთ-ერთ ისეთ მდიდარ ჩაჩანსაც (საადულა ბეკეევს) ასახელებს, რომელსაც ჰყოლია 17 ცოლი[5].

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ყოველი ქორწინება დასაშვებად ითვლებოდა მხოლოდ ყალიმის გადახდის შემდეგ, ხოლო

---

[5] Н. Харузин, Заметки..., СМЭ, III, стр. 125—126.

საამისოდ კაცს უსათუოდ ეკონომიური შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა, დავრწმუნდებით ნ. ხარუზინის დაკვირვების სისწორეში, .რომ მრავალცოლიანობა ძირითადად დამახასიათებელი იყო მდიდართა ყოფა-ცხოვრებისათვის. ნ. დუბროვინი კი ამტკიცებდა, თითქოს მრავალცოლიანობა არ იყო დამოკიდებული კაცის ეკონომიურ მდგომარეობაზე, რამდენადაც არაიშვიათად ღარიბ კაცს რამდენიმე ცოლი ჰყავდაო[6].

ნ. დუბროვინის ცნობა იმის, შესახებ, რომ ღარიბთა შორისაც ჰქონია ადგილი მრავალცოლიანობას, სარწმუნოდ მიგვაჩნია და აღნიშნული ვითარება ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება, მაგრამ მტკიცება იმისა, თითქოს პოლიგამია არ იყო გაპირობებული ეკონომიური მდგომარეობით, ეს არ გვეჩვენება დასაბუთებულად. სამაგიეროდ ეპვს არ ბადებს ნ. ხარუზინის ზემოხსენებული დებულება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მრავალცოლიანობა ნაკლებად იყო დამახასიათებელი საოჯახო თემისათვის. ერთ ჭერქვეშ მცხოვრები დიდი ოჯახის წევრები მხოლოდ იმ შემთხვევაში თვლიდნენ დასაშვებად ამ ნაბიჯის გადადგმას, თუ მათი რძალი უშვილობით წუნდებული აღმოჩნდებოდა. თუ ეს არ იქნებოდა მიზეზი, საოჯახო თემის წევრი ერთზე მეტი ცოლის შერთვის შესაძლებლობას მოკლებული იყო, ვინაიდან საერთო საოჯახო სახსრებიდან კაცს საყალიმო თანხა მხოლოდ ერთხელ ეძლეოდა. მაგრამ თუ პიროვნება ვერ შეურიგდებოდა საოჯახო რეჟიმს და ამოცანად დაისახავდა რამდენიმე ქალზე ქორწინებას, მას სხვა გზა არ რჩებოდა თუ არა ერთობის სახლიდან გამოსვლა და დამოუკიდებელ ოჯახად დამკვიდრება. ამგვარი ტენდენცია ხელს უწყობდა დიდი ოჯახის მთლიანობის რღვევას, რაც ისლამის გავრცელების შემდეგ საგრძნობლად შეიმჩნეოდა როგორც ინგუშების, ისე და კიდევ უფრო მეტად ჩაჩნების ყოფაში. ამდენად, მრავალცოლიანობა გვესახება ერთ-ერთ ისეთ მოვლენად, რომელიც აჩქარებდა დაშლის საფეხურზე მყოფი საოჯახო თემის სეგმენტაციის პროცესს.

მაჰმადიანური სარწმუნოების დანერგვის შედეგად მრავალცოლიანობასთან ერთად ნახის ოჯახში ფეხს იკიდებს და თანდათანობით ვითარდება დესპოტიზმის ელემენტებიც. როგორც ამ ნაშრომის მესამე თავში ითქვა, აღნიშნული ვითარება შეესატყვისება საოჯახო თემის გადმონაშთების საბოლოო კვდომისა და ინდივიდუალური ოჯახის სრული გაბატონების ხანას. ხოლო ვინაიდან დესპოტური ხა-

---

[6] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 430.

სიათის ინდივიდუალურ ოჯახში დოვლათის ბატონ-პატრონსა და სრულიად დამოუკიდებელ მმართველს ოჯახის უფროსი მამაკაცი წარმოადგენდა. ამდენად ქორწინების საკითხსაც მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ წყვეტდა და არაიშვიათად რამდენიმე ქალის ქმარი ხდებოდა.

მრავალცოლიანობის შემთხვევაში ერთ ჰერქვეშ უხდებოდათ ყოფნა როგორც ღვიძლ ძმებს, ისე ერთი მამის, მაგრამ სხვადასხვა დედის შვილებსაც. ოჯახის გაყრის შემდეგ ღვიძლი ძმები ხშირ შემთხვევაში ერთად ცხოვრებას განაგრძობდნენ, რაც გაპირობებული იყო ერთი დედმამიშვილობით. სამაგიეროდ შედარებით ადრე ხდებოდა ღვიძლი ძმების გამოყოფა ნახევარი ძმებისაგან, რამდენადაც დედით სხვადასხვაობა ანელებდა მათ ურთიერთკავშირს და აჩქარებდა ცალკეულ ოჯახებად დასახლების პროცესს.

რამდენადაც მრავალცოლიანობა არსებითად მაჰმადიანობის პირმშოა, ხოლო მაჰმადიანობა ჩაჩნეთ-ინგუშეთში შედარებით გვიან ვრცელდება. ამდენად ოჯახის დაყოფის აღწერილი წესიც გვიანდელი წარმონაქმნია. სამაგიეროდ, მაჰმადიანობის ან სხვა რაიმე იდეოლოგიური მიმდინარეობისაგან დამოუკიდებლად ადათი ნახს ქორწინებას უფლებას აძლევდა ცოლის სიკვდილის ან მასთან გაყრის შემდეგ.

ვინაიდან ორივე ქორწინების ბუნებრივი შედეგი შვილების ყოლა იყო, აღნიშნული გარემოებაც საყურადღებოა, როგორც ოჯახის სეგმენტაციის დამაჩქარებელი ფაქტორი. ასეთ ვითარებაშიც აშკარად იგრძნობოდა გაცილებით უფრო მტკიცე კავშირი დედით ძმებს შორის. ეს კარგად ჩანს თუნდაც მატიევების ოჯახის მაგალითზე. როგორც სელმურზა ღენიეოს ძე მატიევმა გვაცნობა, სოფ. ხარპში ცხოვრობდა მისი პაპა — ელი ორი ვაჟით (ღენიეო, ლუაზი). ელის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილები გადმოსახლდნენ „ლინაია დალინა"-ში. რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი გაიყარნენ. ღენიეოს ჰყავდა ოთხი ვაჟი (სუსი, ბიბოთ, სელმურზა, ხუსენ) და ხუთი ქალი (ქაბერ, ღაგა, სარიხა, ხაჯისათ, საბი). პირველი ცოლის — ხაჯიგათის გარდაცვალების შემდეგ ღენიეომ მეორედ იქორწინა და შეეძინა კიდევ ოთხი ვაჟი (ბუნუკო, საადულ, მურცალ, გეჟბეკ) და ერთი ქალი (სუბიქი).

ლების გათხოვებისა და ძმების დაქორწინების შემდეგ ღენიეოს ოჯახი გაიყარა. თავდაპირველად რვა ძმა გაიყო ორ ოჯახად: ერთ ოჯახში მოხვდნენ ერთი დედის, ხოლო მეორეში მეორე დედის შვილები. ბოლოს თითოეული ეს ოჯახიც დანაწილდა ძმათა რაოდენობის შესაბამისად და წარმოიქმნა რვა ინდივიდუალური ოჯახი.

კაცის დაქვრივებასა და მის მეორედ ქორწინებასთან დაკავშირებით საყურადღებო ვითარება იქმნებოდა ეკონომიური ურთიერთობის

სფეროშიც. ამ მხრივ საინტერესოა 1843 წლის ერთ-ერთი წყარო, რომელიც შესულია ფ. ლეონტოვიჩის მიერ 1883 წელს გამოცემული ადათების კრებულში. ამ საბუთში აღნიშნულია, რომ ცოლის გარდაცვალების შემდეგ ერთ-ერთ ჩაჩანს დარჩენია ექვსი სრულწლოვანი ვაჟი. როდესაც მათ შეუტყვიათ, რომ მამა ცოლის შერთვას აპირებდა, მამისთვის უთქვამთ: შენს დაქორწინებამდე ქონება გავყოთ, ვინაიდან ამ დოვლათის შექმნაში ჩვენც წვლილი გვაქვს შეტანილი და უსამართლობა იქნება, რომ შენი სიკვდილის შემდეგ მეორე ცოლთან ნაყოლმა შვილებმა ჩვენი თანაბარი წილი მიიღონო. მამა იძულებული გამხდარა დათანხმებულიყო. ქონება შვიდ ნაწილად გაუყვიათ, აქედან ერთი წილი მამას შეხვედრია და ცოლიც შეურთავს, რომელთანაც შესძენია შვიდი ვაჟი. მამის სიკვდილის შემდეგ ექვს ძმას თავიანთი ნახევარძმებისთვის წაუყენებიათ წინადადება, რათა მამისეული ქონება, რომელსაც შვიდი ძმა ფლობდა, გაეყოთ ცამეტივე ძმაზე 13 თანაბარ ნაწილად. შექმნილა დავა, მაგრამ მოხუცების მხარდაჭერით ეს წინადადება ძალაში შესულა[7].

სხვა მაგალითებს რომ აღარ გამოეეკიდოთ, მოტანილი ფაქტობრივი მასალიდანაც ჩანს ის გარემოება, რომ ორჯერ ქორწინების შედეგად შექმნილი ოჯახის გაყრისა და ახალი ოჯახების ფორმირებაში მთავარ როლს ასრულებდა კავშირი დედის ხაზით. ორივე ზემოთ მოტანილი მაგალითიდან აშკარაა, რომ ერთი დედის შვილები უპირისპირდებოდნენ თავიანთ ნახევარძმებს და მათთან ანგარიშის გასწორებამდე ერთობასაც ინარჩუნებდნენ. მათი ცალ-ცალკე გასვლა ხდებოდა მხოლოდ ნახევარძმებთან დაპირისპირებაში გაჩენილი საერთო ინტერესების ბოლომდე დაცვა-შემტკიცების შემდეგ. ეს გარემოება იმის მანიშნებელია, რომ ოჯახის მთლიანობის შენარჩუნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სისხლით ნათესაობას. აღნიშნული ვითარება ერთხელ კიდევ მიგვითითებს იმაზე, რომ საოჯახო თემი, გადმონაშთური ფორმით მისი არსებობის პერიოდშიც, წარმოადგენდა უახლოეს ნათესავთა გაერთიანებას და არა მეურნეობრივ ასოციაციას.

ზემოთ დამოწმებული ფაქტები საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მათი მეშვეობით ვეცნობით გვიანდელ ვითარებას. ამ თვალსაზრისით პირველ ყოვლისა საყურადღებოა ფ. ლეონტოვიჩის მიერ გამოქვეყნებული მასალა ჩაჩნების ცხოვრებიდან. როგორც აქედან დავინახეთ, ქონების გაყოფა მოხდა მამის სიცოცხლეში და შვილებთან ერთად წილი აიღო მამამაც. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ შვილები

---

[7] Ф. Леонтович, II, стр. 96.

ცას ქონების გაყოფის საჭიროებას უსაბუთებდნენ იმ მოტივით, რომ მის შექმნაში მამასთან ერთად თითონაც მონაწილეობდნენ და, რომ ამის გამო ეს დოვლათი მხოლოდ მათ უნდა მიეღოთ და არა იმათაც, რომელთა დაბადება მოსალოდნელი იყო მამის მეორედ დაქორწინების შემდეგ. ბოლოს ისიც აღსანიშნავია, რომ ქონების პირვანდელი გაყოფისა და ექვსი ძმის მიერ წილების მიღების მიუხედავად ამ ძმებმა შემდგომში ხელახლა დასვეს ქონების 13 ნაწილად გაყოფის საკითხი.

როგორც ზემოთ ითქვა, საოჯახო თემის დაყოფა ინდივიდუალურ ოჯახებად მიზანშეწონილად ითვლებოდა უფროსების (მშობლების) გარდაცვალების შემდეგ, ხოლო მოწილეებად გვეელინებოდნენ მეორე თაობის წარმომადგენლები, ანუ მომავალი ახალი ოჯახების მეთაურები. ვიცით ისიც, რომ ყველა მოწილეზე, მიუხედავად მათი დამსახურებისა, ქონება თანაბრად ნაწილდებოდა. 13 ძმისა და მათი მამის ურთიერთობის ამსახველი საბუთიდან კი ამგვარი ვითარება აღარ დასტურდება. მათ თითქმის ხელაღებით უგულებელყვეს დიდი ოჯახის გაყრისათვის დამახასიათებელი წესრიგი. ძველი საოჯახო ტრადიციებიდან უფროსმა ნახევარძმებმა გამოიყენეს მხოლოდ მოწილეების მიხედვით ქონების გაყოფის ადრინდელი წესი, როდესაც თავიანთი უმცროსი ნახევარძმები აიძულეს ქონება გაეყოთ 13 ნაწილად. როგორც ჩანს, ზედმეტი ქონების მიღებით დაინტერესებული ძმები ამგვარ მოთხოვნას ასაბუთებდნენ იმ მოტივით, რომ მამისეული ქონება ყველას ერთნაირად ეკუთვნოდა, რამდენადაც მამა იყო პირველი თაობის წარმომადგენელი, ხოლო შვილები ეკუთვნოდნენ მეორე თაობას, ე. ი. იმ წრეს, რომლის წევრებიც დიდი ოჯახის გაყრის მომენტში წილის მიღების უფლებით სარგებლობდნენ. ყოველივე ამის გათვალისწინების საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ განხილული დოკუმენტი ეხება დიდი ოჯახის დაშლის შემდეგდროინდელ ვითარებას, როდესაც ძველ ტრადიციას იყენებდნენ მხოლოდ საკუთარი ეკონომიური ინტერესების დაცვის მიზნით.

* * *

ნახთა ძველ ყოფაში, რომ რამდენიმე თაობის გაუყრელად ცხოვრების წესი იყო დამკვიდრებული და ოჯახის მეთაური მამის სიცოცხლეში გაყრა ადათით მიზანშეუწონლად ითვლებოდა, ეს კარგად ჩანს ზემოთ განხილული მასალიდან. ხალხური გადმოცემებისა და ცალკეული ოჯახების გენეალოგიებიდან ისიც აშკარაა, რომ მამის გარდაცვალებამდე გაუყრელად ცხოვრების ტრადიცია გასული საუკუნის მეორე ნახევარშიც ცოცხლობდა. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსე-

ნოთ ნაშრომის პირველ თავში აღწერილი ილიევების ოჯახი, რომლის დაყოფა მოხდა მისი მეთაურის — იალტის გარდაცვალების შემდეგ. ნაზრანში ჩაწერილი მასალის მიხედვითაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ოზდოევების საოჯახო თემი მთიდან ბარში ჩამოსახლდა ამ ოჯახის მეთაურის მუსას გარდაცვალების შემდეგ და ისინი კარგახანს კელავ გაუყრელად ცხოვრობდნენ მუსას უფროსი შვილის სელმურზას ხელმძღვანელობით.

ანალოგიური ფაქტების მოშველიება კიდევ შეგვეძლო იმის დასამტკიცებლად, რომ მამის გარდაცვალებამდე ოჯახის გაუყრელად ცხოვრების წესი XIX საუკუნემაც შემოგვინახა, მაგრამ ხსენებულ ეპოქაში რომ ძველი ტრადიცია საფუძვლიანადაა შერყეული, ეს გარემოება აშკარად თვალშისაცემია, რამდენადაც XIX—XX საუკუნეების რეალური ვითარების ამსახველი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მამის სიცოცხლეშივე ოჯახის გაყრის შემთხვევები ძალზე გავრცელებულია. ბ. დალგატი პირდაპირ მიუთითებდა, რომ შვილების გაყრა არ არისო აუცილებელი, მაგრამ მამასთან უთანხმოების შემთხვევაში შესაძლებელი ყოფილა მათი ცალკე გამოყოფა როგორც დაქორწინების შემდეგ, ისე ქორწინებამდე[8]. ბ. დალგატს ისიც კარგად შეუნიშნავს, რომ ერთობის შენარჩუნებით დაინტერესებული და გაყრის მსურველ შვილებზე გულმოსული მამა პროტესტის ნიშნად იმდენსავე ქონებას იღებდა, რამდენსაც თითოეული მისი შვილი[9] ოჯახში წარმოქმნილ უთანხმოებასთან ერთად ბ. დალგატს გაყრის მიზეზად მიაჩნდა სივიწროვეც, როდესაც ეხებოდა გვარიდან ოჯახის გამოყოფის პროცესს[10].

როგორც ვხედავთ, მამის სიცოცხლეში შვილების ცალკე გამოყოფა XIX საუკუნის მეორე ნახევარში აქ ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. მამის საპროტესტო მოქმედებას აღარ შეეძლო ამ ღრმად წასული სოციალური პროცესის შეჩერება. ეს გამოწვეული იყო ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში მომხდარი ცვლილებებით, თორემ ტრადიციული საოჯახო ნორმები რომ არ ყოფილიყო ძალდაკარგული, მამასთან შვილების უთანხმოებაც უნიადაგო იქნებოდა და ამდენად ის არ გამოგვადგებოდა საკმარის საბუთად არსებული ვითარების დასახასიათებლად.

რაც შეეხება სივიწროვეს, როგორც ოჯახის დანაწილების საფუძველს, აქ იგულისხმება რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრების სიმწი-

---

[8] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 350.
[9] იქვე, გვ. 350.
[10] იქვე, გვ. 313.

ფის პერიოდი, როდესაც ოჯახის დანაწილება უკვე დღის წესრიგში იდგა. მაგრამ აქ ერთხელ კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ ბ. დალგატი ძალზე დაუდევრად ეპყრობა სოციალურ ტერმინებს, როდესაც ეხება გვარიდან ოჯახის გამოყოფის პროცესს. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მკვლევარი ამ შემთხვევაში ტერმინ გვარს ხმარობს საოჯახო თემის მნიშვნელობით. ამის დამამტკიცებელია ის გარემოებაც, რომ ბ. დალგატი აქვე ლაპარაკობს ადრინდელ ვითარებაში გვარის გაუყრელად ცხოვრების წესზე[11].

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სინამდვილეში ადგილი ჰქონდა საოჯახო თემის სეგმენტაციის საფუძველზე პატარა ოჯახების გამოყოფის პროცესს და დალგატისეულ გვარში დავინახავთ საოჯახო თემს, დავრწმუნდებით მისი ამ ცნობის უდავოდ დიდ ღირებულებაში. ბ. დალგატის ცნობა ერთ კოშკში მცხოვრები გვარიდან პატარა ოჯახების გამოყოფის შესახებ მანიშნებელია იმისა, რომ აქ მიმდინარეობდა საოჯახო თემის ინდივიდუალურ ოჯახებად დაყოფის პროცესი.

ვინაიდან გასულ საუკუნეში საოჯახო თემი სულს ღაფავდა და ამის ერთ-ერთ ნიშანს ისიც წარმოადგენდა, რომ მამის გარდაცვალებამდე ოჯახის გაყრის წესი ნახების ყოფაში ღრმად იდგამდა ფესვებს, ამასთან დაკავშირებით ყალიბდებოდა ქონებაზე მემკვიდრეობის შესაბამისი ნორმებიც.

როგორც ფ. ლეონტოვიჩის მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი ხალხური წყაროდან დავინახეთ, თანასწორუფლებიან მოწილეებად ითვლებოდნენ მამა და მისი ვაჟიშვილები. იგივე ვითარება შეიმჩნევა ამ გამოცემის სხვა ნაწილებშიც. მხედველობაში გვაქვს კაპიტან ნორდენსტრენგის მიერ შედგენილი კრებული („Сведенія об адат или суд по обычаям кавказскіх горцев Владикавказского округа [осетинскіх обществ тагаурского, куртатинского и аллагирского], 1844 года")[12]. ვლადიკავკაზის ოკრუგში ნორდენსტრენგმა ეს ძვირფასი მასალა შეაგროვა აქ მცხოვრებ ოსთა და ნახთა შორის. ფ. ლეონტოვიჩი ხშირ შემთხვევაში სრულ ანალოგიას ხედავს ამ ორი ხალხის საოჯახო ურთიერთობის სფეროში. ამიტომ განმეორებების თავიდან აცილების მიზნით ის არაიშვიათად უთითებს ოსთა ადათებზე, როგორც ჩაჩნურის იდენტურზე. ამ თვალსაზრისით ნახების საოჯახო ურთიერთობის ადათობრივი ნორმების გასაცნობად ჩვენც მივმართავთ დასახელებული წყაროს, რომლის § 99-ზე დაყრდნობით ერთხელ კიდევ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ოჯახიდან

---

[11] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 313.
[12] Ф. Леонтович, II, стр. 24—27.

წილის მიღების უფლებით სარგებლობდნენ მამა და მისი ვაჟები. გამომდინარე აქედან, მამას არ შეეძლო სახლიდან შვილს უწილოდ გაგდება[13].

იმავე წყაროს მეშვეობით ნათლად წარმოგვიდგება ის ურთიერთობა, რომელიც იქმნებოდა მამის გარდაცვალების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში როგორც სამემკვიდრეო, ისე ერთობლივი შრომით ნაამაგარი დოვლათი იყოფოდა მის ვაჟებს შორის.

თუ მამას მხოლოდ ერთი სახლი ჰქონდა, ის მემკვიდრეობით გადაეცემოდა უფროს ვაჟს. დანარჩენი შვილები გაყრის შემდეგ დამოუკიდებლად იშენებდნენ სახლებს წილით ნარგებ ნაკვეთებზე. სახლის გაყოფის შესაძლებლობის შემთხვევაშიც საუკეთესო ნაწილს უთმობდნენ უფროს ძმას, ხოლო დანარჩენი ნაწილიდან სხვებზე უკეთესს აძლევდნენ სულ უმცროსს, რომელთანაც საცხოვრებლად რჩებოდნენ დედა და გაუთხოვარი დები. სხვა ქონებიდანაც უფროსსა და უმცროს ძმას ზედმეტს გამოუყოფდნენ, ხოლო დანარჩენ უფრავ-მოძრავ ქონებას ძმები თანაბრად ინაწილებდნენ[14].

ძირითადად ამგვარი ვითარება გვესახება ნორდენსტრენგის აღწერილობის მიხედვით. როგორც ჩანს ის საგანგებოდ იყო დაინტერესებული უმთავრესად ადათობრივი ნორმების შესწავლით და ყურადღება არ მიუქცევია შარიათის გავლენით ყოფაში მომხდარი ცვლილებებისათვის. სამაგიეროდ ამ მხრივ საინტერესოა გენერალ-მაიორ ფრეიტანგის ხელმძღვანელობით გოლენიშჩევ-კუტუზოვისა და ლობანოვ-როსტოვსკის მიერ შედგენილი კრებული („Описание гражданского быта чеченцев, с объяснением адатного их права и нового управления, введенного Шамилем, 1843 г."), რომელშიც აღნიშნულია, რომ ადათითაც და შარიათის მიხედვითაც ვაჟები ქონებას თანაბრად ინაწილებდნენ[15]. რაც შეეხება იმ ცვლილებებს, რაც შარიათის გავრცელებამ გამოიწვია, ქვემოთ უკეთესად გამოჩნდება, როდესაც შეეხებით ქალის უფლებრივ მდგომარეობას.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში არსებული ვითარება არ შეცვლილა არც XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ნ. დუბროვინის ცნობით, მამა და შვილები ქონებას თანაბრად იყოფდნენ, განურჩევლად მათი დამსახურებისა საერთო დოვლათის შექმნაში[16]. არც ნ. ხარუზინს დარჩენია შეუმჩნეველი ის გარემოება, რომ მამის გარდაცვალებამდე

---

[13] Ф. Леонтович. II, стр. 26.
[14] იქვე, გვ. 24—25.
[15] იქვე, გვ. 99.
[16] Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 462.

ოჯახის გაყრის შემთხვევაში შვილები ღებულობდნენ თანაბარ წილს და თავ-თავისთვის იშენებდნენ სახლებს. მამასთან რჩებოდნენ ცოლი და ქალები. თუ ამ კაცს ერთზე მეტი ცოლი ჰყავდა, ერთ-ერთი მათგანი საცხოვრებლად მიდიოდა შვილთან. თუ ოჯახის გაყრა მოხდებოდა მამის გარდაცვალების შემდეგ, მისი ქვრივი და ქალები საცხოვრებლად რჩებოდნენ ერთ-ერთ მოწილესთან, ჩვეულებისამებრ უმცროს შვილთან. რაც შეეხება მამისეულ სახლს, მას აკუთვნებდნენ უფროს შვილს, მაგრამ თუ მას ქონების გაყოფამდე ჰქონდა თავისი ქოხი, მამის სახლი რჩებოდა უმცროს შვილს. ზოგჯერ სახლის ღირებულებას უმცროსს წილში უანგარიშებდნენ, მაგრამ წესით ეს მას ეთმობოდა საჩუქრად. ხშირად ხდებოდა ისედაც, რომ მოწილეს, რომელთანაც რჩებოდნენ დედა და დები, ძმების თანხმობით სხვა მოწილეებზე მეტ ქონებას აძლევდნენ. დედას და ქალებს წილი არ ეძლეოდათ; სამაგიეროდ დედას უფლება ჰქონდა ამოერჩია ძროხა და მიეყვანა იმ შვილთან, ვისთანაც ცხოვრება გადაეწყვიტა. გაყრის შემდეგაც ძმებს ევალებოდათ დებზე მზრუნველობა. ქალი თუ გათხოვებამდე ან გათხოვების ჟამს გარდაიცვლებოდა, მისი დასაფლავება ხდებოდა ძმების საერთო ხარჯით. დედის გარდაცვალების შემთხვევაშიც ხარჯს ეწეოდა ყველა შვილი და არა მარტო ის, რომელთანაც დედა სიკვდილამდე იმყოფებოდა[17].

ამგვარად, XIX საუკუნის პირველი და მეორე ნახევრის რუსული ეთნოგრაფიული ლიტერატურის მიხედვით, ოჯახის გაყრა მამის გარდაცვალებამდე ჩაჩნეთ-ინგუშეთში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, ხოლო ქონება (წილი) მამას იმდენივე ეძლეოდა, რამდენიც თითოეულ ცალკე ოჯახად გამოყოფილ შვილს. ქონების განაწილების აქ აღწერილი წესი არსებითად განსხვავდება იმისაგან, რაც დამახასიათებელი იყო ტრადიციული საოჯახო ურთიერთობის ნორმებისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მამის გარდაცვალებამდე ოჯახის დაყოფა მიუღებელი იყო, მაგრამ თუ ამ ჩვეულების დარღვევა მოხდებოდა, ასეთ შემთხვევაში შუაკაცები პირველ რიგში აწესრიგებდნენ მშობლების საკითხს. თანახმად მთხრობლების გადმოცემისა, მშობლები საცხოვრებლად რჩებოდნენ ყველაზე უმცროს შვილთან, რის გამო სახლის საუკეთესო ნაწილს უმცროს შვილს უთმობდნენ. ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც, ფართობის სიმცირის გამო, სახლის გაყოფა ვერ ხერხდებოდა, ის მთლიანად უმცროსს ეძლეოდა, ხოლო დანარჩენი ძმები სამაგიეროდ ღებულობდნენ მეტ საქონელსა და მამულს. მაშასადამე, უმცროსისათვის ზედმეტი ქონების მიკუთვნება გაპირობებული იყო

---

[17] Н. Харузин, Заметки..., СМЭ, III, стр. 125.

იმ გარემოებით, რომ მშობლები საცხოვრებლად მასთან რჩებოდნენ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ოჯახის გაყრა ხდებოდა ტრადიციული წესით, ე. ი. მშობლების გარდაცვალების შემდეგ, საუმცროსოს გამოყოფა არ ხდებოდა. დიდი ოჯახის გაყრის მომენტში კუთვნილ წილზე მეტს აძლევდნენ მხოლოდ უფროს მოწილეს, როგორც განაყართა შემდგომი ერთობის გამომხატველი ტრადიციების მოთავესა და კულტის მსახურს (ამის შესახებ იხ. ზემოთ). ამგვარი მოტივებით საუფროსოსა და საუმცროსოს მიკუთვნება საკვლევით გამორიცხავდა მაიორატის ან მინორატის რაიმე სახით არსებობის შესაძლებლობას. თუ საუფროსოს მიცემის წესი ნახებში ტრადიციული იყო, ის გამოხატავდა უფროსის, როგორც პატივსაცემი პირის პრიორიტეტს და ამ ჩვეულებაში არ ვლინდებოდა ქონებაზე უფროსის მემკვიდრეობითი უფლება, მით უფრო შეუძლებელია მინორატის ნიშნები დავინახოთ საუმცროსოს გამოყოფის წესში. ეს უკანასკნელი ჩვეულება თავისი წარმოშობით ახალია და მიეკუთვნება ისეთ ვითარებას, როდესაც ცხოვრებაში გზას იკაფავდა მშობლების გარდაცვალებამდე ოჯახის გაყრის წესი.

მამის სიცოცხლეში ოჯახის გაყრის წესთან ერთად ასევე ახალ მოვლენად გვესახება მამისთვის წილის მიცემის წესი, რაც გაჩენილი უნდა იყოს შარიათის გავრცელებისა და ადათობრივ ნორმებთან მისი შერწყმით გამოწვეული ცვლილებების შედეგად. ამ ვითარებისთვის რომ მეტი ყურადღება მიექციათ კავკასიელთა ყოფის შესწავლით დაინტერესებულ დამკვირვებლებს, ლიტერატურაში ნაკლები ადგილი დაეთმობოდა სრულ გაუგებრობაზე დამყარებულ რიგ კურიოზულ განმარტებას. ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მსჯელობამ მამასთან შვილების ურთიერთობის შესახებ. ფ. ლეონტოვიჩის მიერ გამოცემულ „ადათებში", საიდანაც შესაბამისი ადგილი სიტყვასიტყვით გადაიწერა ნ. გრაბოვსკიმაც, მითითებულია, თითქოს 1863 წლამდე, ვიდრე ინგუშთა მოძველებული ჩვეულებები შეიცვლებოდა, შვილებს სრული უფლება ჰქონდათ მამისთვის მოეთხოვათ ქონების გაყოფა, ხოლო მამა სახლიდანაც კი გაეგდოთ და მისთვის მიეცათ მხოლოდ ერთი ხარი, დედისთვის კი ძროხა. იქვე გაბმარტებულია, რომ დღეს ამ ბარბაროსულ სამართალს ძალა დაეკარგა, რამდენადაც შვილების გაყრა მამის სიცოცხლეში დამოკიდებულია ამ უკანასკნელის სურვილზე[18].

დამოწმებული წყაროდან ისე გამოდის, რომ ტრადიციული საოჯახო ნორმების მიხედვით ადგილი ჰქონია შვილების თვითნებობას

---

[18] Ф. Леонтович, II, стр. 178; Н. Грабовский, Ингуши, ССКГ, IX, стр. 103—104.

და მამის სრულ უუფლებობას. მხოლოდ რუსეთის ხელისუფლებას უწყალობებია მამისათვის ადამიანური უფლებები და ძალა დაჰკარგვია მანამდე არსებულ „ბარბაროსულ" სამართალს.

როგორც ვხედავთ, ამგვარ მსჯელობას არავითარი კავშირი არა აქვს ეთნოგრაფიული მოვლენების მეცნიერულ გაგებასთან.

* * *

ადათის მიხედვით არა მარტო მამის სიცოცხლეში არ შეიძლებოდა ოჯახის გაყრა, არამედ ასევე მიუღებელი იყო ცალ-ცალკე გასვლა ყველა მოწილის დაქორწინებამდე. ეს ჩვეულებაც დიდხანს შემოინახა მთაინგუშეთის საოჯახო ყოფამ. ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ხუთი მოწილე ძმისაგან (ანდარაყო, ელმურზა, ხასან, მაგამედ, ომარ) შედგენილი კაციევების ოჯახი, რომელიც ბარად ჩამოსახლებამდე სოფ. ხარაში ცხოვრობდა. მამის ადრე გარდაცვალების შემდეგაც ძმები ერთად ცხოვრებას განაგრძობდნენ უფროსი ძმის ანდარაყოს მეთაურობით. მათი ცალ-ცალკე დაბინავება მოხდა მხოლოდ დაქორწინების შემდეგ, მაგრამ ამ ოჯახის მაგალითზე ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება — რამდენი ძმაც დაქორწინდა, იმდენი ცალკე ოჯახად გამოვიდა. ასეთ წესს ინგუშები თულიან გვიანდელ მოვლენად, რამდენადაც გაყრა მხოლოდ ყველა ძმის დაქორწინების შემდეგ ითვლებოდა მიზანშეწონილად. დაქორწინებული ძმების სხვადასხვა დროს თანდათანობით ცალკე გამოყოფის პროცესი უცხო იყო ინგუშთა ძველი საოჯახო ყოფისათვის.

უსათუოდ ასევე გვიანდელი მოვლენის ამსახველი უნდა იყოს ბ. დალგატის ცნობა იმის შესახებ, რომ შვილის გამოყოფა საერთო ოჯახიდან მის სურვილზეა დამოკიდებული, ხოლო თუ მამამ წილი არ აიღო, შვილები მას მორიგეობით კვებავენო[19].

ვინაიდან მამის სიცოცხლეში ოჯახის გაყრა ძველად არ შეიძლებოდა და მით უმეტეს შვილების თვითნებურ კაპრიზზე არ იყო დამოკიდებული ოჯახის გაყრის საკითხი, ბ. დალგატის მიერ დამოწმებული ვითარება შეესატყვისება ეპოქას, როდესაც გადმონაშთური ფორმით შემონახული საოჯახო თემის დაშლის პროცესის შეჩერების თითქმის ყველა ფაქტორი გაქრობის სტადიაში იმყოფებოდა.

ზემოთქმულის დამადასტურებელია მთხრობელთა მეხსიერებაში შემონახული ერთი ასეთი ფაქტი: მთიდან „ღლინაია ღალინაში" ჩამოსახლებული ციცქიევების ოჯახში უკვე მესამე თაობა იზრდებოდა და უფროსები — ჰონკი და იოდ ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, როდე-

---

[19] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 351.

საც ოჯახი ბუთი ძმის მიხედვით ხუთად გაიყო (1907 წ.), ხოლო ქონება ექვს თანაბარ ნაწილად გაყვეს, ვინაიდან წილი მშობლებსაც არგუნეს.

თავიანთი დოვლათით მშობლები დაბინავდნენ სულ უმცროს და უცოლო შვილთან — ჯინასთან. ასე მოაწყვეს საქმე შუაკაცებმა, მაგრამ როგორც კი ციცქიევების თარგიმელმა და ებნელმა სახლიკაცებმა ეს ამბავი შეიტყვეს, ჰონკი საყვედურით აავსეს და გაყრილი ოჯახი ისევ შეაყრევინეს, ვინაიდან სულ უმცროსი ვაჟი უცოლო იყო. გვარის უხუცესმა კაცებმა ოჯახს გაყრის ნება დართეს მხოლოდ უმცროსი ვაჟის დაქორწინების შემდეგ.

თავისი მნიშვნელობით ფრიად საყურადღებო ამ გვიანდელ ფაქტში ასახულია ძველი თაობის ბრძოლა ოჯახის ერთობის შენარჩუნებისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა ვეღარ აჩერებს ტრადიციული საოჯახო წესების რღვევის პროცესს და თანდათანობით ყალიბდება ურთიერთობის ახალი ნორმები. მამის სიცოცხლეში შვილების გაყრის წესთან ერთად ცხოვრების პრაქტიკაში მკვიდრდება მეორე ჩვეულებაც — ოჯახი ხშირად ისე იყრება, რომ ყველა მოწილე დაქორწინებული არ არის.

გვიანდელი ეპოქისათვის დამახასიათებელ მოვლენათა რიგს ეკუთვნის ის წესიც, რომლის მიხედვით ოჯახის გაყრის მომენტში ქონების წილს იღებდა ყველა, ვისაც კი წვლილი ჰქონდა შეტანილი საერთო საოჯახო დოვლათის მოპოვებაში.

თუ ადათის მიხედვით მოწილეებად ითვლებოდნენ მეორე თაობის მამაკაცები და ანგარიში არ ეწეოდა მომდევნო თაობის წარმომადგენელთა წლოვანებასა და შრომით წვლილს, ბოლო დროისათვის ეს წესი დაირღვა და ქონების განაწილებას საფუძვლად დაედო ოჯახის წევრების შრომითი დამსახურება. ასეთ შემთხვევაში ხშირად ისე ხდებოდა, რომ ერთ ოჯახად გამოსული მოწილე (ძველი გაგებით) და მისი ამაგდარი შვილი ორ წილს იღებდნენ, რაც იწვევდა ოჯახებისა და წილების რიცხობრივ შეუსაბამობას. თუ ადათის მიხედვით წილებისა და მოწილეების რიცხვი ერთიმეორეს ფარავდა, ახალ ვითარებაში ასეთი შეფარდება შეიცვალა გამოყოფილი ოჯახებისა და წილის მიმღებთა რიცხობრივი სხვადასხვაობით.

* * *

ზემოთ წარმოდგენილი მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ადათის მიხედვით ოჯახის გაყრის დროს ქონება ნაწილდებოდა არა სულების რაოდენობაზე, არამედ მხოლოდ მოწილე მამაკაცების რიცხვზე.

რამდენადაც ოჯახის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ გასათხოვარი ქალები და ზოგიერთ შემთხვევაში ქერივიც, ამიტომ საჭიროდ

მიგვაჩნია გავეცნოთ ოჯახის გაყრის მომენტში ქონებაზე მათ მემკვიდრეობითს უფლებასაც. რაკი აქ გაყრის საკითხს ვარკვევთ, სოლო გაყრა გულისხმობდა არა მარტო საოჯახო თემის დანაწილებას, არამედ გარკვეული მიზეზების გამო ცოლ-ქმრის განშორებასაც, ქვემოთ ამ საკითხის განხილვაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

როგორც ლიტერატურული მონაცემების, ისე ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით დასტურდება, რომ გასათხოვარი ქალი მოკლებული იყო უძრავ-მოძრავ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებას. ამიტომ ოჯახის გაყრის მომენტში მისთვის წილის გამოყოფის საკითხი არც დგებოდა. მამას რომ ვაჟი არ ჰყოლოდა, ასეთ შემთხვევაშიც კი ადათი მისი ქონების ფლობის უფლებას ანიჭებდა არა ქალიშვილებს, არამედ გარდაცვლილის ახლო ნათესავ ვაჟებს. ასეთ ვითარებას გვაცნობს ფ. ლეონტოვიჩის მიერ გამოცემული ადათების კრებული[20]. ანალოგიურ მდგომარეობაზე მიუთითებენ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩაჩნეთ-ინგუშეთში ნამყოფი სხვა დამკვირვებლებიც[21]. მშობლების ქონებით სარგებლობის უფლება ქალებს ჰქონიათ მხოლოდ მამრობითი სქესის ახლო ნათესავების უყოლობის შემთხვევაში[22].

მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა ნახთა ყოფაში შარიათის გავრცელების შედეგად. მოქმედ ადათებთან ერთად შარიათის ნორმების დანერგვის გამო გასული საუკუნის მკვლევართ ძალზე უჭირდათ გამოკვეთილად ეჩვენებინათ ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში რა იყო ადათობრივი, რა იყო შარიათის გავლენით შემოსული, ანდა რა სახეს ღებულობდა ესა თუ ის ჩვეულება ადათისა და შარიათის შერწყმის საფუძველზე. აღნიშნული ვითარება პირველ ყოვლისა თავს იჩენდა საოჯახო ურთიერთობის სფეროში. ამის შესახებ საესებით სამართლიანადაა მითითებული 1843 წელს ჩაჩნების შესახებ შედგენილ კრებულში[23], სადაც ვკითხულობთ, რომ ქონებაზე მემკვიდრეობის კანონი წარმოგვიდგება ადათისა და შარიათის ელემენტების მოქმედების სახით. ერთ შემთხვევაში თუ ადათიც და შარიათიც საკითხს ერთნაირად წყვეტდა, მეორე შემთხვევაში განსხვავებულ შედეგებს ვღებულობდით. თუ, მაგალითად, ადათითაც და შარიათის მიხედვითაც ვაჟებს ქონება თანაბრად უნაწილდებოდათ, სხვაგვარად წყდებოდა ქალების საკითხი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქონებაზე ქალთა მემკვიდ-

---

[20] Ф. Леонтович, II, стр. 24, 96—97, 177—178.

[21] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 462; Н. Харузин, Заметки..., СМЭ, III, стр. 130.

[22] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 352.

[23] Ф. Леонтович, II, стр. 99.

რეობის უფლებას ადათი გამორიცხავდა. შარიათის მიხედვით კი ქალს ეძლეოდა ძმისთვის კუთვნილი წილის 1/3. ადათთან შედარებით შარიათი ასევე იცავდა უძმო ქალის ინტერესებსაც. თუ მამას მხოლოდ ერთი ქალი დარჩებოდა, მამის ქონების ნახევარი რჩებოდა მას, ხოლო ნახევარი ეძლეოდა მამის ახლო ნათესავ ვაჟს. თუ მამას რამდენიმე ქალი დარჩებოდა. ასეთ შემთხვევაში მათ ეძლეოდათ მამის ქონების 2/3, ხოლო მამის ნათესავ ვაჟს ქონების 1/3[24].

მდგომარეობა არც გასული საუკუნის მეორე ნახევარში შეცვლილა. იმასთან ერთად, რომ დამკვირვებლები თითქმის სიტყვასიტყვით გვაცნობენ ზემოხსენებულ ვითარებას[25], ნ. ხარუზინი კიდევ უფრო მკვეთრად უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება არ იყო ნათლად განსაზღვრული. რამდენადაც დოლათის დაყოფა ხან ადათით ხდებოდა, ხან კიდევ შარიათის მიხედვით. ამასთან ერთად ხშირად ჰქონია ადგილი მოქმედი ნორმების ცვალებადობას[26].

ადათისა და შარიათის ერთდროულად მოქმედებისა და მათი ბევრი ელემენტის ურთიერთშერწყმის გამო მთხრობლები ყოველთვის ვეღარ ახერხებენ იმ სპეციფიკის ჩვენებას, რაც დამახასიათებელი იყო თითოეული მათგანისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამან ერთგვარი გამოხატულება პოვა რუსულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაშიც, მაგრამ ჩვენ ხელთ არსებული საველე მასალებისა და ლიტერატურული მონაცემების მიხედვით მაინც სრულიად აშკარაა, რომ შარიათი გაცილებით ხელსაყრელ ეკონომიურ პირობებს უქმნიდა ქალს, ვიდრე ადათი. ზოგიერთ შემთხვევაში კი შარიათი ადათობრივ ნორმებზე ზეგავლენას არ ახდენდა და ქალის მძიმე უფლებრივ პირობებს უცვლელად ტოვებდა. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ ის გარემოება, რომ არც ადათისა და არც შარიათის მიხედვით ქალს არ ჰქონია დედისეული მზითევის მიღების უფლება. მაშინ, როდესაც სხვადასხვა ეპოქაში ამ უფლებით სარგებლობდნენ ქალის მამა და ძმები.

ბ. დალგატის დაკვირვებით, შარიათის გავრცელებამდე, გარდაცვლილი ქალის მზითევი და ტანსაცმელი მის ქმარს რჩებოდა. შარიათის გავრცელების შემდეგაც ქალის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, რამდენადაც ამ ახალი რელიგიური მოძღვრების თანახმად გარდაცვ-

---

[24] Ф. Леонтович, II. стр. 99—100.

[25] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 462—463. Н. Харузин, Заметки..., СМЭ. III, стр. 130.

[26] Н. Харузин, Заметки..., СМЭ, III, стр. 129.

ლილი დედის მზითევზე საკუთრების უფლება მის ვაჟიშვილებს ენიჭებოდათ, ხოლო ტანსაცმელი ნათესავებს უნაწილდებოდათ[27].

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მთაინგუშეთის ყოფაში ანალოგიურ ვითარებას ამოწმებს ნ. გრაბოვსკიც. მას მართალია არ აღუნიშნავს, თუ დედისეულ მზითევზე მემკვიდრეობის საკითხი როგორ იდგა შარიათის გავრცელებამდე ან მისი გავრცელების პირობებში, მაგრამ როდესაც ავტორი წერს, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ მისი კუთვნილი ქონება თანაბრად უნაწილდებოდათ ვაჟებს, ხოლო ქალებს მცირედი წილი ეძლეოდათო[28], უსათუოდ უნდა გულისხმობდეს შარიათის გავრცელების შედეგად შექმნილ ურთიერთობას.

ჩვენ მიერ ადგილზე ჩაწერილი მასალები შარიათის გავლენით შექმნილ ვითარებას უნდა გვაცნობდნენ, ვინაიდან ყველა მთხრობელი იმას გვაუწყებდა, რომ დედისეული მზითევი ვაჟების წილხვედრს წარმოადგენდა, ხოლო ქალები ძალაუნებურად დედის ტანსაცმელსა და უმნიშვნელო ღირებულების წვრილმანებს (ნემსები, სათითურები, ძაფი . . . .) უნდა დასჯერებოდნენ.

ჩაჩნებისათვის დამახასიათებელი ყოფილა ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება აგნატიკური ნათესაობის აღმავალი ხაზით. თუ გარდაცვლილს არ ჰყავდა ვაჟიშვილი, ქონება რჩებოდა მის მამას, რომელსაც მეტი პრივილეგიები ჰქონია ამ მხრივ გარდაცვლილის ძმებსა და ძმისწულებთან შედარებით[29]. მამის უყოლობის შემთხვევაში კი გარდაცვლილის ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებით პირველ ყოვლისა სარგებლობდნენ ძმები, შემდეგ ძმისწულები, შემდეგ ბიძები და ბოლოს ბიძაშვილები[30].

საინტერესო ვითარებაა დამოწმებული ინგუშეთის ცხოვრებაშიც. ადათების კრებულის მიხედვით უვაჟიშვილოდ გარდაცვლილის მემკვიდრეებად გვევლინებოდნენ პირველ რიგში ძმები, მათი უყოლობის შემთხვევაში ბიძაშვილები, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში შორეული აგნატებიც[31].

ნ. გრაბოვსკის დაკვირვებით, ინგუშეთში პირველ ყოვლისა მემკვიდრეებად ითვლებოდნენ აღმავალი ნათესაობის წარმომადგენლები: მამა, ბიძა და ა. შ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მამა-ბიძებიც აღარ იყვნენ ცოცხლები, გარდაცვლილის ქონება გადაეცემოდათ მის ღვიძლ ძმებს, ხოლო თუ არც ძმები ჰყავდა, ქონება ეძლეოდათ გარ-

---

[27] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 342.
[28] Н. Грабовский, Ингуши, ССКГ, IX, стр. 101—102.
[29] Ф. Леонтович, II. стр. 100.
[30] იქვე, გვ. 101.
[31] იქვე, გვ. 178.

დაცელილის ბიძაშვილებსა თუ ბიძაშვილთა შვილებს. ამ უფლებას სავსებით მოკლებული ყოფილან გარდაცელილის დედით ნათესავები[32].

აღნიშნულ საკითხს შეეხო ნ. ხარუზინიც, რომელმაც გარდაცელილის უშუალო მემკვიდრეების უყოლობის შემთხვევაში მისი ქონების მიღების უფლების მქონე პირებად წარმოგვიდგინა გარდაცელილის ძმისწულები, ხოლო მათ შემდეგ ახლო ნათესავები[33].

როგორც ვხედავთ, გაუთხოვარი ქალისთვის მამის ოჯახიდან ქონების მიცემის საკითხი ადათით გამორიცხული იყო, გარდა მისთვის კუთვნილი მზითევისა. ქალს არც დედის ნათესავების მხრიდან ეძლეოდა ქონება. დედის ნათესავებისაგან მისადმი ყურადღება ვლინდებოდა არაპირდაპირი ხაზით, მხოლოდ გათხოვების შემდეგ. როდესაც მისი ვაჟი 15—17 წლისა გახდებოდა, დედის ძმა ასაჩუქრებდა ცხენით. საჩუქრის ამ სავალდებულო სახეობას ეწოდებოდა „ბ ა რ ჩ“. დედისძმისაგან ამ საჩუქრის დაგვიანების შემთხვევაში დისწულს უფლება ქონდა ცხენი ხელში ჩაეგდო მოტყუებით, ქურდობით ან ძალით[34].

ვინაიდან ქალს ქონება ცალკე არ ეძლეოდა და დამოუკიდებელი ცხოვრების საშუალებას ის მოკლებული იყო, გათხოვებამდე მას მშობლებთან ყოფნა უწევდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის გაყრის შემთხვევაში დედა თავისი ქალშვილებით საცხოვრებლად რჩებოდა უმცროს ვაჟთან. დედის გარდაცვალების შემდეგ გასათხოვარი ქალის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა უფროსი ძმის ოჯახი. ის სამუდამოდ რომ გაუთხოვრად დარჩენილიყო, მასზე მზრუნველობა უფროს ძმას ეკისრებოდა. უფროსი ძმის გარდაცვალების შემთხვევაში და სხვა ძმასთან უნდა გადასულიყო, მაგრამ თუ სულ უძმოდ დარჩებოდა, მას შეიკედლებდა ბიძა ან რომელიმე ძმისწული. ასეთ პირობებში მყოფი ქალი თავისთვის რაიმე ქონების შეძენის შესაძლებლობას მოკლებული იყო, ვინაიდან ის სრული დატვირთვით შრომობდა იმ ოჯახის სასარგებლოდ, სადაც ცხოვრება უხდებოდა. ჩვენ მიერ ინგუშ მთხრობლებთან დამოწმებული. მასალის შინაარსი ეხმაურება XIX საუკუნის მკვლევართა მიერ ჩაჩნეთ-ინგუშეთში დადგენილ ვითარებას[35].

თუ ქალი გათხოვდებოდა მისი დედ-მამის სიცოცხლეში, ჩვეულებისამებრ ყალიმს აიღებდა შვილებთან გაყრილი მამა, ისევე, რო-

---

[32] Н. Грабовский, Ингуши. ССКГ. IX, стр. 102—103.

[33] Н. Харузин, Заметки..., СМЭ. III, стр. 130.

[34] Н. Харузин. Заметки.... СМЭ, III. стр. 122; Н. Грабовский, Ингуши, ССКГ, IX, стр. 102; Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 351.

[35] Ф. Леонтович, II, стр. 25, 97, 99, 177.

გორც ეს ხდებოდა ოჯახის გაყრამდეც. მშობლების გარდაცვალების შემდეგ შვილები თანაბრად იყოფდნენ როგორც მშობლების ქონებას, ისე მათ მიერ ქალის გათხოვებაში აღებულ ყალიმს. თუ ქალი გათხოვდებოდა მამის გარდაცვალების შემდეგ, ყალიმს იღებდა და მას თავის პირად ქონებასთან ერთად სიკვდილამდე ინახავდა დედა. მიუხედავად იმისა, რომ დედა უმცროს შვილთან ცხოვრობდა და ქალსაც აქედან ათხოვებდა, უმცროს შვილს ყალიმიდან ზედმეტს არ აძლევდა. დედის გარდაცვალების შემდეგ კი როგორც მის პირად ქონებას, ისე ქალის გათხოვებაში ყალიმს თანაბრად ინაწილებდნენ ვაჟიშვილები.

მთხრობლების გადმოცემით, დის ყალიმი ძმებს შორის იყოფოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გათხოვება და ყალიმის აღება მოხდებოდა ოჯახის გაყრამდე, ანდა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ოჯახი გაყრილი იყო, ოღონდ მშობლები ცოცხალი იყვნენ. აღნიშნული ვითარება იმ გარემოებით აიხსნება, რომ გაუყრელად ცხოვრების დროს სხვა სახის შემოსავალთან ერთად ყალიმიც საერთო, ყველა მოწილესათვის თანაბრად კუთვნილ დოვლათს წარმოადგენდა, ისევე, როგორც ცალ-ცალკე მცხოვრები შვილების კუთვნილებას წარმოადგენდა მათი მშობლების ქონება თუ მშობლების მიერ ქალების გათხოვებისას მიღებული ყალიმი.

მთხრობლების მეშვეობით იმის გარკვევაც მოხერხდა, რომ ობოლი ქალის გათხოვების შემთხვევაში ყალიმს იღებდა მისი შემფარებელი ოჯახის უფროსი, ისევე, როგორც დიდი ოჯახის ფარგლებში ეს უფლება მინიჭებული ჰქონდა ოჯახის უფროსს. ორივე შემთხვევაში მზითევი მზადდებოდა ყალიმიდან, ხოლო რაც ამას გადარჩებოდა, ის ხმარდებოდა ყალიმის ამღებ ოჯახს. მზითევთან ერთად ქალს ატანდნენ ერთ ძროხასაც, რაც მოგვაგონებს ქართველთა მიერ სათავნოს მიცემის წესს[36]. სამწუხაროდ, ისეთ ვითარებაში, როდესაც ქართული სათავნოს ბუნება დადგენილია, ხოლო ზემოაღნიშნული ინგუშური ჩვეულების ბოლომდე გარკვევა ვერ ხერხდება სათანადო მასალების უქონლობის გამო, მათი იდენტურობის, ანდა მათ შორის მკვეთრი განსხვავების შესახებ მსჯელობა უნიადაგო იქნებოდა.

ზემოაღნიშნულ საკითხზე ცნობები გვხვდება ლიტერატურაშიც. როგორც XIX საუკუნის დამკვირვებლები წერდნენ, ოჯახის გაყრისა

---

[36] Р. Харадзе, Грузинская семейная община, II, стр. 51 და შმდ.; ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან გვ. 232 და შმდ.; ალ. რობაქიძე, ორი გამოკვლევა სომეხთა სოციალური ყოფის ისტორიიდან, ჟურნ. „მაცნე", 1967, № 4, გვ. 359—360.

და მშობლების გარდაცვალების შემდეგ დების შენახვა და გამზითვება ძმებს ევალებოდათ. ლიტერატურაში მითითებულია იმის შესახებაც, რომ დების ყალიმს ძმები თანაბრად ინაწილებდნენ, ხოლო თუ მამას ერთადერთი ვაჟი დარჩებოდა, ის ითვლებოდა მამის ქონების უცილობელ მემკვიდრედ, მას ევალებოდა დედისა და გასათხოვარი დების შენახვა და დების გათხოვების შემთხვევაში ყალიმსაც ის იღებდა[37].

ამ ცნობებიდან ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მამის ერთადერთ მემკვიდრეს ევალებოდა დის პატრონობაც და ყალიმის აღებაც. რაც შეეხება რამდენიმე ძმის ერთობლივ მზრუნველობას და მათ შორის ყალიმის თანაბრად გაყოფას, ეს არ მიგვაჩნია სარწმუნოდ. როგორც ზემოთ დავინახეთ, ძმები თანაბრად იყოფდნენ ყალიმს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აღებული იყო ოჯახის გაყრამდე ან მშობლების გარდაცვალებამდე. მშობლების გარდაცვალების შემდეგ კი დას ამზითვებდა და მის გათხოვებაში ყალიმს იღებდა ის, ვის ოჯახშიც დას გათხოვებამდე უხდებოდა ყოფნა.

შემდეგში ვითარება რამდენადმე შეიცვალა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, რუს მოხელეთა ინიციატივით ყალიმის მოცულობა შემცირდა და ის ქალის პირად საკუთრებად იქნა ცნობილი. XIX საუკუნის ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ქალის პირად საკუთრებას წარმოადგენდა აგრეთვე საქმროსაგან მირთმეული საჩუქარი[38].

არსებული ლიტერატურისა და დღემდე შემონახული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აშკარად ჩანს, რომ სხვადასხვა ეპოქაში ყალიმის შემადგენლობა აქ სხვადასხვაგვარი იყო. ამ მხრივ განსხვავება კარგად ჩანდა თვით XIX საუკუნის პირველსა და მეორე ნახევარშიც. ყალიმის მოცულობა დამოკიდებული იყო აგრეთვე ადამიანის სოციალურ მდგომარეობაზედაც.

1849 წელს დამოწმებული მონაცემების მიხედვით ჯაირახის საზოგადოებაში (ე. ი. ინგუშეთში) ქალწულისთვის კუთვნილი ყალიმი შეადგენდა 300 მან. ვერცხლს, ხოლო ქვრივი შეფასებული ყოფილა 200 მანეთად. ნაზრანის საზოგადოებაში ქალწულის შერთვისათვის იხდიდნენ 21 ძროხას, ხოლო ქვრივზე ქორწინების შემთხვევაში 12 ძროხას. ქისტების საზოგადოებაში ქალწულისთვის დაწესებული ყოფილა 18 ძროხა, ხოლო ქვრივისთვის 12 ძროხა[39].

---

[37] Ф. Леонтович, II, стр. 24—25; Н. Харузин, Заметки..., СМЭ, III, стр. 125.

[38] Ф. Леонтович, II, стр. 97.

[39] იქვე, გვ. 116—118.

1860-იანი წლების მონაცემებზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ ინგუშეთში ყალიმი შეადგენდა 18 ძროხას[40]. ნ. გრაბოვსკისა და ბ. დალგატის მოწმობითაც ყალიმში შედიოდა 18 ძროხა ან 180 მანეთი, რამდენადაც ერთი ძროხა 10 მანეთად იყო შეფასებული[41].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყალიმის სხვადასხვა მოცულობაზე მიუთითეს აგრეთვე ნ. დუბროვინმა და ნ. ხარუზინმა. როგორც ნ. დუბროვინმა აღნიშნა, ადათის მიხედვით ყალიმი მერყეობდა 80-დან 200 მანეთამდე[42], ხოლო ნ. ხარუზინის მოწმობით ჩაჩნეთ-ინგუშეთის სხვადასხვა სოფლებში ყალიმის მოცულობა შეადგენდა 70—500 მანეთს[43].

ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების მიხედვითაც ნათლად ჩანს, რომ ყალიმის მოცულობა დამოკიდებული ყოფილა ქალის გვარ-ჩამომავლობაზე, მაგრამ რიგით მეთემეებს შორის მისი ღირებულება ყოფილა 15—20 ძროხა, ხოლო ქვრივისათვის სავალდებულოდ ითვლებოდა ნახევარი ყალიმის გადახდა.

ზემოაღნიშნული თანხის დაფარვა ხდებოდა ერთდროულად ან ერთი-ორი წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ. ბ. დალგატის ცნობით, ნებადართული ყოფილა შეთანხმებისთანავე ცხრა ძროხის გადახდა, ხოლო მომდევნო წლებში დანარჩენის ჩაბარება. ოჯახის ეკონომიური სივიწროვის შემთხვევაში ამ თანხის განაღდებაში მონაწილეობდნენ ვაჟის ახლობლებიც[44]. ამიტომ ოჯახის სიღარიბეს ყურადღება არ ექცეოდა და არავითარ კომპრომისს არ ჰქონია ადგილი.

რაკი ყალიმი საკმაოდ დიდ სახსრებს მოითხოვდა, ამ მძიმე გადასახადისაგან განთავისუფლების მიზნით ზოგიერთი ქალს მოტაცებით ირთავდა, მაგრამ ამით ის თვითმოტყუების გზას ადგა. ვინაიდან მოტაცება ითვლებოდა დანაშაულად, ხოლო დამნაშავე ჯარიმდებოდა სამი ცხენით ან მისი ღირებულებით. გარდა ამისა, ქალის მოტაცებას თან სდევდა ჩხუბი, დაჭრა და ზოგჯერ მკვლელობაც. ამიტომ რუსეთის ხელისუფლებამ მოტაცებით ქორწინების წესი აკრძალა[45].

სათანადო დადგენილების საფუძველზე 1863 წლიდან მკვეთრად შემცირდა ყალიმის ფასი და შეიცვალა ამასთან დაკავშირებით ძველად

---

[40] Ф. Леонтович, II, стр. 169.

[41] Н. Грабовский, Экономический и домашный быт..., ССКГ, III, стр. 20; Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 321.

[42] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 427.

[43] Н. Харузин, Заметки..., СМЭ, III, стр. 126.

[44] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 321.

[45] Н. Грабовский. Экономический и домашний быт..., ССКГ, III, стр. 21—22.

მოქმედი ურთიერთობის ხასიათიც[46]. თუ ადრე ყალიმს იღებდა და ისაკუთრებდა ქალის მამის ოჯახი, ახალი დადგენილების დღიდან ყალიმი და საქმროს საჩუქრები იქცა ქალის ხელშეუხებელ საკუთრებად. ახალი კანონის მიხედვით მამა ვალდებული იყო სასიძოსაგან მიღებული ყალიმი უკლებლივ მიეცა თავისი ასულისათვის მისი გათხოვების დროს. გათხოვების შემდეგ ქალის ნებართვის გარეშე მის ყალიმს ასევე ხელს ვერ ახლებდა ქმარი. ქმრის თვითნებობის შემთხვევაში ცოლს უფლება ჰქონდა ეჩივლა თავის ნათესავებთან და მათთვის დახმარება ეთხოვა[47].

ყალიმის რაოდენობა განისაზღვრება სულ 105 მანეთით. აქ თანხიდან ქალს ბედ ეძლეოდა 25 მანეთი მაშინვე, როგორც კი მისი გათხოვების საკითხი გადაწყდებოდა. დანარჩენი 80 მანეთი ქალს შეეძლო მოეთხოვა ქმრისაგან ნებისმიერ დროს. ახალი კანონის მიხედვით ეს თანხა გათვალისწინებული იყო ქალის უზრუნველსაყოფად დაქვრივების ან ქმრისაგან მისი დაწუნების შემთხვევაში. მაგრამ თუ ქალი თავის დანიშნულს უარს ეტყოდა, ვალდებული იყო ეს თანხა უკლებლივ საქმროსთვის დაებრუნებინა.

105 მანეთიდან ბედ მიღებულ 25 მანეთს ქალი იყენებდა მზითევის მოსამზადებლად. ზოგჯერ ამ ფულს ის აძლევდა ნათესავს, რომელსაც მის აღზრდაში ამაგი ჰქონდა გაწეული[48]. ზოგიერთ შემთხვევაში კი არამც თუ 25 მანეთი, 105 მანეთიც მზითევის მომზადებას ბმარდებოდა. უფრო მეტიც, ბ. დალგატი ერთი იაეთი ფაქტის მოწმეც კი გამხდარა, როდესაც ოჯახმა ქალის გამზითევებისათვის 105 მანეთიც იცოტავა, ერთი იმდენი თითონ დაუმატა და ქალს 210-მანეთიანი მზითევი გაატანა[49]. მაგრამ რამდენადაც ბ. დალგატის ამავე ნაშრომის სხვა ადგილასაც აღნიშნულია, რომ მზითევი ინგუშეთში უმნიშვნელო ღირებულებისა იყო[50] და ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების მიხედვითაც აღნიშნული ვითარება დაასტურდება, ამდენად 210 მანეთის მზითევად გატანება მიგვაჩნია ინგუშთა ყოფისათვის უჩვეულო გამონაკლისად.

ბ. დალგატის ეს ცნობა შეუსაბამოა ახალი ეპოქისთვისაც, ვინაიდან 1863 წლის დადგენილების მიხედვით საკვლევით გამორიცხული

---

[46] Ф. Леонтович. II. стр. 98. 169. 170; Н. Грабовский. Экономический и домашний быт.... ССКГ, III, стр. 20; Мисиев. Ингуши. ССКГ, IX, стр. 45—46; Б. Далгат. დასახ. ნაშრომი, გვ. 321.

[47] Ф. Леонтович, II, стр. 98.

[48] იქვე, გვ. 169; Н. Грабовский. Ингуши, ССКГ, IX, стр. 45.

[49] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 321.

[50] იქვე, გვ. 342.

იყო მშობლების მოვალეობა ქალის გამზითვებაში. ამ დადგენილების საფუძველზე ყალიმის მოცულობა განისაზღვრა 105 მანეთით და ის ქალის ხელშეუხებელ საკუთრებად გამოცხადდა, რომლის გახარჯვა და თვით მზითევისთვის მისი გამოყენებაც ქალის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ასეთ ვითარებაში აღარაფერ შუაშია მშობლებისაგან 210-მანეთიანი მზითევის გატანება, რამდენადაც ეს გამოიყურება არსებული წესისაგან განკერძოებულ შემთხვევად.

ისევე, როგორც ამ დადგენილების მიხედვით მშობლებს არ ევალებოდათ ქალისთვის მზითევის მომზადება, ასევე ქალისათვის კუთვნილ ყალიმთან არავის არ ჰქონდა ხელი. მას ვერც მშობლები მითვისებდნენ და ვერც ის ძმა, რომელთანაც ობოლ დას უხდებოდა ყოფნა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ახალმა კანონმა ძმასაც მოუსპო დის ყალიმის აღების უფლება, უდედმამო დაზე უფროსი ძმის მზრუნველობის წესი ინგუშეთის ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მაინც არ შერყეულა[51]. თუმცა არც ძმის მზრუნველობით მადლიერი და რჩებოდა ვალში და, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, მას შეეძლო საქმროსაგან მიტანილი ფული ძმისთვის მიეცა[52]. მოცემულ შემთხვევაში ის ძველი ტრადიცია გრძელდებოდა, რომლის მიხედვით მზითევის მომზადება ყალიმის ხარჯზე ხდებოდა, ხოლო თანხის ძირითადი ნაწილი მის ოჯახში რჩებოდა.

ვინაიდან ამ წესებით სარგებლობის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არსებობდა, ყველა ძმა დაინტერესებული იყო დის თავისთან მიღებით, რადგან ეს ქალი გათხოვებამდე ამ ოჯახის სასარგებლოდ შრომობდა, ხოლო მისი გათხოვების შემთხვევაში ძმა ყალიმის მისაკუთრებით სარგებლობდა. მაგრამ რაკი ეს უფლება ადათით უფროს ძმას ჰქონდა მინიჭებული, უმცროსი ძმების მოცილეობა უშედეგოდ მთავრდებოდა.

ასეთი იყო გასათხოვარი ქალის უფლებრივ-ეკონომიური მდგომარეობა ადათის, შარიათისა და რუსული კანონმდებლობის მიხედვით. როგორც დავინახეთ, ქალის უფლებები ქონებაზე განსაკუთრებით შეზღუდული იყო ადათის ძალით. ქალი შედარებით ხელსაყრელ პირობებში ჩააყენა შარიათმა. მართალია შარიათის მიხედვით ქალს ხელი არ მიუწვდებოდა დედისეულ მზითევზე და ეს ქონება მემკვიდრეობით ვაჟიშვილებს ეძლეოდათ, მაგრამ ამას არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა, რამდენადაც მზითევი უმნიშვნელო ღირებულების ქონებას წარმოადგენდა. ქალის მდგომარეობა შარიათმა იმ მხრივ გააუმჯობესა, რომ მას წილი ჩაუდო საერთო-საოჯახო ქონებაში და უფლება

---

[51] Ф. Леонтович, II, стр. 178.

[52] ი ქ ვ ე, გვ. 169; Н. Грабовский, Ингуши, ССКГ, IX, стр. 103.

შიანიჭა ვაჟისთვის კუთვნილი წილის 1/3-ის მიღებისა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა რუს ხელისუფალთა დადგენილებას, რომლის საფუძველზე საგრძნობლად შემცირდა ყალიმის მოცულობა და ის იქცა ქალის საკუთრებად. ქალის უფლებრივ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესებასთან ერთად ამ ღონისძიების შედეგად მდგომარეობა შეუმსუბუქდა აგრეთვე ურვადის გადამხდელ ოჯახს.

* * *

ოჯახის გაყრის მომენტში მარტივად წყდებოდა რძლების საკითხი. ადათის მიხედვით, საოჯახო ქონებიდან წილის მიღების უფლებას ისინი მოკლებული იყვნენ. რძლის პირადსა და სიკვდილამდე ხელშეუხებელ საკუთრებას წარმოადგენდა მხოლოდ მზითევი. 1863 წლიდან მასვე მიენიჭა ყალიმის ფლობის უფლება.

ქმრიან ქალებთან ერთად მზითევზე პირადი საკუთრების უფლებით სარგებლობდა ქვრივიც, მაგრამ ოჯახის გაყრის მომენტში ქვრივს თუ ვაჟიშვილი არ ჰყავდა, მისთვის წილის მიცემის შესაძლებლობა გამორიცხული იყო. მაზლების თანაბარი ქონება ქვრივს ერგებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ვაჟის დედა იყო. ქვრივს თუ მარტო ქალიშვილები ჰყავდა, მაზლები მას აძლევდნენ მხოლოდ საარსებო სარჩოს, რამდენადაც ძმისწულ ქალებზე მზრუნველობა ბიძებს ეკისრებოდათ როგორც ერთად ცხოვრების დროს, ისე ოჯახის გაყრის შემდეგ. ქვრივს მამულს გამოუყოფდნენ მხოლოდ დროებით სარგებლობაში. მისი გარდაცვალებისა და ქალების გათხოვების შემდეგ კი ამ ნაკვეთს ისევ მოწილეები იყოფდნენ.

ასეთი ვითარება გვესახება ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით. ანალოგიურ სურათს ვხედავთ ნორდენსტრენგის მიერ 1844 წ. ვლადიკავკაზის ოკრუგში შედგენილი „ადათების“ სათანადო ადგილიდანაც[53]. მდგომარეობა რამდენადმე სხვაგვარად წარმოგვიდგება 1843 წ. კრებულის მიხედვით, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ჩაჩნეთში ცოლი არ წარმოადგენდა გარდაცვლილი ქმრის მემკვიდრეს. თუ მას ცოლად არ შეირთავდა გარდაცვლილი ქმრის ახლო ნათესავი, ასეთ შემთხვევაში მას შეეძლო მიეღო ქმრის ქონების 1/4 და სურვილისამებრ თავის მომავლის გადაწყვეტის უფლება[54]. ასეთსავე მდგომარეობას გვაცნობს ნ. დუბროვინი და იქვე უმატებს, რომ ქმრის ქონების1/4 წილთან ერთად ქვრივის საკუთრებად ითვლებოდა მზითევი და ყალიმი. ამავე ავტორის ცნობით, უშვილო ქვრივის გარდაცვალების

---

[53] Ф. Леонтович, II, стр. 24.

[54] იქვე, გვ. 100.

შემთხვევაში მისი პირადი ქონება გადაეცემოდა მის მშობლებს ან ნათესავებს და არა მისი ქმრის ნათესავებს[55].

ქვრივისათვის ქმრის ქონების 1/4-ისა და ყალიმის მიკუთვნების წესი გვიანდელი ჩანს, რამდენადაც ადათის მიხედვით გათვალისწინებული იყო მხოლოდ მისი რჩენა და არა რაიმე საბით წილის გამოყოფა.

ეს ნორმები დადგენილი უნდა იყოს შარიათის გავლენით, ისევე, როგორც ამ მოძღვრების საფუძველზე დაკანონდა ჩაჩნეთ-ინგუშეთში ქალისათვის 1/3 წილის გამოყოფა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქმრის სახლში საცხოვრებლად დარჩენილ ქვრივ(ა) და მის ქალიშვილებზე მზრუნველობას ეწეოდნენ ქვრივის მაზლები. ქმრის სახლში სამუდამოდ ცხოვრების უფლება ჰქონდა უშვილო ქვრივსაც. ასეთ შემთხვევაშიაც მასზე მზრუნველობა მაზლებს ევალებოდათ. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა, როდესაც ქვრივი ობოლი და უძმო იყო და თავისი ქმრეულების გარდა სხვაგან თავშესაფარი არ გააჩნდა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ქალს მშობლები ან ძმები ჰყავდა, ის ქმრის ოჯახს ტოვებდა, უკან მიჰქონდა თავისი ქონება და საცხოვრებლად თავისიანებთან ბრუნდებოდა. უნაყოფობით ცნობილ დედაკაცს არც ჰქონდა სხვა გამოსავალი, ვინაიდან მის შერთვას ინგუში აზრადაც არ გაიტარებდა.

ამ მხრივ სავსებით განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა შვილებიანი ქვრივი, რომლის შერთვით, პირველ რიგში, დაინტერესებული ყოფილა შვილებიანივე ქვრივი. ინგუშები ამას იმით ასაბუთებენ, რომ ორივე მათგანის ინტერესები შვილების აღზრდა-მოვლასთან იყო დაკავშირებული, ხოლო ამ მხრივ თანაბარი მდგომარეობა შეთანხმებული ცხოვრების გარანტიას იძლეოდა.

მიუხედავად იმისა, ქვრივი ფიქრობდა თუ არა გათხოვებას, მას ქმრის გარდაცვალების შემდეგ, პირველ რიგში, ევალებოდა გლოვის წესების შესრულება. უამპირობოდ ის ვერც მამის სახლში დაბრუნდებოდა და, მით უმეტეს, ვერც გათხოვებაზე იფიქრებდა.

ეს ჩვეულება კარგად იყო შემონახული ინგუშეთში გასული საუკუნის მეორე ნახევრამდე. ჩ. ახრიევის ცნობით, ქვრივი სამ წლამდე ძაძაგაუხდელი გლოვობდა ქმარს[56], ხოლო ბ. დალგატის დაკვირვებით ასეთ მდგომარეობაში ყოფნა მას ორ-სამ წლამდე ევალებოდა[57]. ორი მკვლევრის ცნობის მიხედვით მხოლოდ გლოვის ვადაში იგრძნობა მცირედი სხვაობა. სამაგიეროდ ორივე მათგანის ცნობაში ერთნაირა-

---

[55] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 463.

[56] Ч. Ахриев, Похороны и поминки у горцев, ССКГ, III,стр. 32.

[57] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 338.

დაა აღნიშნული, რომ სამგლოვიარო ვადის მიწურულში ძაძით მოსილი ქვრივი ხდიდა არაყს, ადუღებდა ლუდს, კლავდა ხარს, მართავდა სუფრას და აწყობდა დოღს[58]. მხოლოდ ამ რიტუალის შესრულების შემდეგ შეეძლო მას ძაძის გახდა და გათხოვება, ან მამის ოჯახში სამუდამოდ დამკვიდრება.

ყოველივე ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ გლოვის წესების შესრულების შემდეგაც ვერ განსაზღვრავდა ქვრივი თავის მომავალს საკუთარი ნება-სურვილით. როგორც ლიტერატურიდან[59] და ჩვენ მიერ შეკრებილი მასალებიდან ჩანს, ადათის მიხედვით ქვრივს პირველ ყოვლისა მასზე ან ქმრის რომელიმე ახლო ნათესავზე გათხოვება ეევალებოდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქმრის ახლობელთაგან მისი შერთვის პრეტენდენტი ვერ აღმოჩნდებოდა, ქვრივს შეეძლო მამის სახლში დაბრუნება და იქიდან სხვაზე გათხოვება. ერთი ცნობით, ქვრივის გათხოვება ასეთ შემთხვევაში მამის ოჯახის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული[60], ხოლო მეორე ცნობის თანახმად, ქვრივის მამა ვალდებული იყო ქალის სხვაზე გათხოვებამდე მისი ყოფილი მაზლებისათვის გადაეხადა ერთი ძროხა და ცხვარი ან მისი ღირებულება[61]..

მიუხედავად იმისა, რომ მაზლთაგან ქვრივის შერთვის სურვილის უქონლობის შემთხვევაში ქალს მამის სახლიდან სხვაზე გათხოვების უფლება ჰქონდა, ამ გზით მეორედ დაქორწინება ძალზე იშვიათად ხდებოდა, ვინაიდან გათხოვების მსურველ ქვრივს შვილები აუცილებლად პირველი ქმრის ოჯახში უნდა დაეტოვებინა. ბავშვებზე მზრუნველობა ეკისრებოდათ ბიძებს, ხოლო ვაჟები იღებდნენ მამის კუთვნილ წილს. ასეთ პირობებში მყოფი ქვრივი ადვილად ვერ შეეღეოდა ბავშვებს და იძულებული ხდებოდა ქმრის სახლშივე დარჩენილიყო, ხოლო თუ მაინცდამაინც გაუთხოვრობას ვერ შეურიგდებოდა, იძულებული იყო ცოლად დასჯდომოდა თავისთვის საქმროდ არასასურველ მაზლს.

ქვრივი რძლისა და ქვრივი მაზლის შეუღლებას ინგუშები დადებით მოვლენად მიიჩნევდნენ. მთხრობლები ამას ასაბუთებდნენ იმ მოტივით, რომ ობლებისადმი ორივე მათგანი გულშემატკივრობას იჩენ-

---

[58] Ч. Ахриев, დასახ. ნაშრომი, გვ. 32. Б. Далгат, „ დასახ. ნაშრომი. გვ. 338.

[59] Ф. Леонтович, II, стр. 169; Н. Грабовский, Ингуши, ССКГ, IX, стр. 45; Н. Харузин, Заметки..., СМЭ, III, стр. 129; Ч. Ахриев, დასახ. ნაშრომი, გვ. 32; Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 348.

[60] Н. Грабовский, Ингуши, ССКГ. IX, стр. 45.

[61] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 348.

და, რამდენადაც ქვრივი ქალის შვილისათვის მამინაცვლის როლში გამოდიოდა ბიძა, ხოლო ქვრივი კაცის შვილებისათვის ქალი არსებითად წარმოადგენდა ბიცოლას.

რძალზე მაზლის დაქორწინება ხელსაყრელად ითვლებოდა იმიტომაც, რომ ასეთ შემთხვევაში ყალიმის გადახდა აღარ იყო საჭიროებულო, ვინაიდან ამ ქალის პირველი ქორწინების დროს ქმრის ოჯახს ყალიმი უკვე გადახდილი ჰქონდა. აღნიშნული მდგომარეობის გამო ქვრივს ზოგჯერ ისეთი მაზლიც კი ირთავდა, რომელიც პირველად ამ ქალთან იდგამდა საქორწინო გვირგვინს. ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში გამორიცხული იყო შვილების აღზრდასთან დაკავშირებით ინტერესთა ერთიანობის მოტივი და მანამდე უცოლშვილო მაზლის გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო ყალიმის გადაუხდელობის წესი.

ეკონომიურ ფაქტორთან ერთად ქვრივთან მაზლის შეუღლებას აპირობებდა ქვრივი ქალის ავტორიტეტიც. თუ ქვრივი სიყვარულს დაიმსახურებდა ოჯახის წევრებს შორის და თავისი საქციელით მძახლების კეთილსასურველ ურთიერთობასაც განამტკიცებდა, ოჯახიდან მის გაშვებაზე არც იფიქრებდნენ.

ინგუში განსაკუთრებით დიდ უბედურებად მიიჩნევდა ისეთი ქალის რძლად მიყვანას, რომელიც მოყვრობის წრეში კონფლიქტის მიზეზი გახდებოდა. ასეთი საშიშროების თავიდან აცილების საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენდა ამ მხრივ უკვე ნაცადი და საიმედო ქვრივის თავისთანავე დატოვება მაზლთან მისი დაგვირგვინების გზით.

როგორც ვხედავთ, ადათი ყველა პირობას ქმნიდა იმისათვის, რომ ქვრივი უმეტეს შემთხვევაში მაზლზე გათხოვილიყო და სიკვდილამდე დარჩენილიყო იმ სახლში, სადაც პირველად შედგა ფეხი და საიდანაც მისი მამის ოჯახმა ყალიმი მიიღო. ეს ჩვეულება თავის მხრივ იმის მაჩვენებელია, რომ ინგუშეთმა ხანგრძლივად შემოინახა ლევირატის გადმონაშთები, რაც ცნობილია კავკასიის სხვა ხალხთა ძველი ყოფისთვისაც[62]. გადმონაშთური ფორმით ლევირატის შემონახულობა თავისთავად გამორიცხავდა უძეო ქვრივისთვის ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებას, ქვრივისა, რომელიც მაზლთან შეუღლების შემდეგ კვლავ დანარჩენი რძლების მდგომარეობაში ექცეოდა.

* * *

ზემოთ ჩვენ გავეცანით გასათხოვარი ქალის, რძლისა და ქვრივის უფლებრივ მდგომარეობას ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების მომენტში. დავინახეთ ის, რომ რძლის პირად საკუთრებას მხოლოდ

---

[62] ვ. ოთონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 153—179.

ზზითევი წარმოადგენდა. ოჯახის გაყრამდე რძალი სხვებთან ერთად საერთო-საოჯახო დოვლათით საზრდოობდა, ხოლო გაყრის შემდეგ დოვლათის მესაკუთრედ ქმარი ითვლებოდა და ცოლიც მასზე იყო დამოკიდებული.

ყოველივე ეს დამახასიათებელი იყო მშვიდობიანი ცხოვრებისათვის, მაგრამ ნახების საოჯახო ყოფისათვის არც კონფლიქტი და ცოლ-ქმრის გაყრა იყო უცხო. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ვიცოდეთ ცოლისა და ქმრის უფლებრივი მდგომარეობაც.

ამ საკითხზე არსებული მონაცემებიდან აშკარად ჩანს ქმრის პრიორიტეტი ცოლთან ურთიერთობაში. როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, ქმრის მიერ ჩადენილ ღალატს ცოლი გაყრის მიზეზად ვერ გამოიყენებდა[63]. სამაგიეროდ, როგორც ამ ნაშრომის მეოთხე თავში დავინახეთ, მოღალატე ცოლს ქმარი ასახიჩრებდა, სახლიდან აძევებდა და ჯარიმასაც ახდევინებდა.

ქმარს ცოლთან გაყრა შეეძლო არა მარტო მძიმე დანაშაულის გამო, არამედ უმნიშვნელო მიზეზის საფუძველზედაც კი. მთხრობლების გადმოცემისა და ლიტერატურული წყაროების მიხედვით, ცოლთან გაყრის საფუძვლად საკმარისი იყო ქმრის ასეთი სურვილი[64]. ცოლი ამ მხრივ არავითარი უფლებით არ სარგებლობდა და რაც არ უნდა მძიმე პირობებში ჰყოლოდა ის ქმარს, გაყრაზე საკითხის დასმა ქმრის თანხმობის გარეშე მას მაინც არ შეეძლო. ბ. დალგატის დაკვირვებით, ადათიც და შარიათიც კაცის მხარეზე მდგარა. თვით სქესობრივად უძლურ ქმართან გაყრის უფლებაც კი არ ჰქონდა ცოლს ქმრის თანხმობის გარეშე. ასეთ შემთხვევაში ქალი თავის საწადელს აღწევდა მხოლოდ რუსული კანონმდებლობის ძალით[65]. როგორც ჩანს, ნ. დუბროვინიც რუსული კანონმდებლობის გავლენის შედეგად შექმნილ ურთიერთობას ეხებოდა, როდესაც ქმართან ცოლის გაყრის შესაძლებლობის ანალოგიურ მდგომარეობას გვაცნობდა[66].

ქმრის ოჯახიდან ქალის გაქცევას განსაკუთრებით აბრკოლებდა ის გარემოება, რომ ასეთ შემთხვევაში ქალის ოჯახს ევალებოდა სიძისთვის ყალიმის უკან დაბრუნება. ამის გამო, გამოქცეულ ქალს მშობლები აიძულებდნენ ქმართან შერიგებას. წინააღმდეგ შემთხვევაში

---

[63] ფ. Леонтович, II, стр. 173; Н. Грабовский, Ингуши ССКГ, IX, стр. 53—54.

[64] ფ. Леонтович, II, стр. 27, 170, 175; Н. Грабовский, Ингуши, стр. 52; Н. Дубровин. დასახ. ნაშრომი, გვ. 436; Н. Харузин, Заметки..., СМЭ, III, стр. 127.

[65] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 337—338.

[66] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 436.

ქმარს უკან უბრუნდებოდა ყალიმი და მასვე რჩებოდა ცოლის მზითევიც. ასეთი ვითარება გვესახება 1843 წ. ჩაჩნებში შედგენილი ადათების კრებულისა და ნ. გრაბოვსკის ნაშრომის მიხედვით[67]. ქმრისაგან წასული ქალის ასეთსავე მძიმე პირობებს გვაცნობს 1844 წ. ვლადიკავკაზის ოკრუგში შედგენილი კრებულიც, რომლის 104-ე მუხლის თანახმად ქალის მამა ვალდებული იყო სიძისთვის გადაეხადა 45 ძროხა, ხოლო თუ ეს ქალი სხვაზე გათხოვდებოდა, მეორე ქმარსაც პირველის სასარგებლოდ ამდენივეს გადახდა ეკისრებოდა.[68]

რამდენადმე განსხვავებულ ურთიერთობას ჰქონია ადგილი მაშინ, როდესაც გაყრის ინიციატორი იყო ქმარი. 1843 წ. კრებულის მიხედვით, დაწუნებულ ცოლს ქმარი უტოვებდა ყალიმს და ქალის პირად საკუთრებას[69] (იგულისხმება მზითევი). 1844 წ. კრებულში კი აღნიშნულია, რომ ცოლის გაგდების შემთხვევაში ქმარი უკან იბრუნებდა მისთვის გადახდილი ყალიმის ნახევარს[70].

1843 და 1844 წწ. კრებულებში ასახული უნდა იყოს შარიათის გავლენით შემუშავებული ნორმები, რამდენადაც ქალისთვის ყალიმის დატოვების წესი უცხო ყოფილა ადათისათვის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც რიგ სხვა შემთხვევაშიც, ცოლ-ქმრის გაყრისა და მათ შორის ეკონომიური ურთიერთობის მოწესრიგებაში ადათმა თავისი სახე ჩაჩნებთან შედარებით უკეთესად შემოინახა ინგუშებში. ადგილზე შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად ამ გარემოებაზე მიგვითითებენ ლიტერატურული წყაროებიც. შორს რომ არ წავიდეთ, საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ მრავალჯერ ხსენებული ადათების კრებული. როგორც მისი ერთ-ერთი ადგილიდან ჩანს, განქორწინება ინგუშეთში დამოკიდებული ყოფილა კაცის ნება-სურვილზე. ქალს პირად საკუთრებაში რჩებოდა მხოლოდ თავისი მზითევი, ხოლო კაცს უკან უბრუნებდნენ ყალიმს, ქორწილში გაწეულ ხარჯებს და ამ მომენტში გაღებულ საჩუქრებს. ამ ვალდებულების შესრულებამდე ქალს სხვაზე გათხოვების უფლება არ ჰქონდა. აღნიშნული წესის დარღვევა შეფასდებოდა როგორც მეორე ქმრის მიერ პირველისთვის ცოლის მოტაცება, ხოლო ამის ნიადაგზე ქმრები ხდებოდნენ ერთიმეორის მოსისხლე მტრები. ურთიერთობის გამწვავების შიშით ქმრისაგან დაწუნებული ახალგაზრდა ქალი ზოგჯერ ვეღარ თხოვდებოდა,

---

[67] Ф. Леонтович, II, стр. 99, 174; Н. Грабовский, Ингуши, ССКГ, IX, стр. 50.

[68] Ф. Леонтович, II, стр. 27.

[69] იქვე, გვ. 99, შდრ. Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 436.

[70] Ф. Леонтович, II, стр. 27.

როდესაც მისი ღარიბი მშობლები ვერ შესძლებდნენ ყოფილი სიძისთვის ყალიმის უკან დაბრუნებას. ზოგჯერ ისედაც ხდებოდა, რომ სიძე თავს არიდებდა ყალიმის უკან მიღებას, რათა მის ყოფილ ცოლს სხვაზე გათხოვების საშუალება არ მისცემოდა[71].

ქალის მდგომარეობა ამ მხრივ რამდენადმე შეუმსუბუქებია შარიათს, რომლის ძალით ცოლის დამწუნებელი ქმარი ვალდებული იყო ცოლისთვის უკან გაეტანებინა როგორც მზითევი, ისე ქორწილის დროს მირთმეული საჩუქრებიც. თუ ნივთები აღარ იყო შემონახული, ქმარს ევალებოდა მათი ღირებულების ანაზღაურება სხვა გზით[72]. ამავე ნაშრომში ბ. დალგატს აღნიშნული აქვს, რომ 900-იანი წლების ინგუშეთში ქმართან გაცილებულ ქალს მზითევი უკან არ უბრუნდებოდა; მას ეძლეოდა მხოლოდ 1 ძროხა[73].

ბ. დალგატის ეს მეორე ცნობა უნდა გვაცნობდეს ან ადათობრივი ნორმების გადმონაშთებს, როდესაც დაწუნებულ ცოლს ქმარი ქონებას არ აძლევდა, ანდა ისეთ ვითარებას, როდესაც ცოლი თითონ გამცილებოდა ქმრის დამწუნებლის როლში და ამის გამო მას მხოლოდ 1 ძროხას ატანდნენ.

ქმრის მაღალი უფლებების მაჩვენებელია ის გარემოებაც, რომ გაყრის შემდეგ მას შეეძლო კვლავ დაესვა საკითხი გაგდებული ცოლის უკან დაბრუნებისა და მასთან შერიგების შესახებ. თუ საქმე ძალიან არ იყო გამწვავებული, მოხუცები ჩაერეოდნენ და დამნაშავეც რომ ყოფილიყო კაცი, მასთან ცოლის შერიგებას მიაღწევდნენ. სამაგიეროდ ქმართან შერიგებაზე საკითხის დასმის უფლებას მოკლებული იყო ქალი[74].

მარტივად სრულდებოდა თვით გაყრის წესი. საკმარისად ითვლებოდა მხოლოდ ორი მოწმის დასწრება. უფრო გვიანდელი დროისათვის დამახასიათებლად მიიჩნია ბ. დალგატს გაყრის მუსლიმანური წესი — ე. წ. „ტალაკი", რაც მოლებს ეკისრებოდათ[75].

1863 წლის დადგენილების საფუძველზე მკვეთრად შეიცვალა მდგომარეობა. ურვადის შემცირებისა და ქალის ეკონომიური პრივილეგიების გაზრდასთან ერთად როგორც ახალგაზრდა ქალს, ისე ნაქვრივალს დანიშნულისთვის უარის თქმის ნება დაერთოთ. ამასთან

---

[71] Ф. Леонтович, II, стр. 175; შდრ. Н. Грабовский. Ингуши, ССКГ, IX, стр. 52; Н. Харузин, Заметки..., СМЭ, III, стр. 128.

[72] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 342.

[73] ი ქ ვ ე, გვ. 337.

[74] ი ქ ვ ე, გვ. 340.

[75] ი ქ ვ ე, გვ. 337.

ერთად კვლავ გრძელდებოდა ტრადიციის ძალაც, რაც აპირობებდა ადათობრივი წესებისა და შარიათის გავლენით შემუშავებული ნორმების გარდაქმნილი სახით მოქმედებას. ეს პირველ რიგში, შეეხება ქმრისა და მისგან გაქცეული ცოლის ეკონომიურ უფლება-მოვალეობას. 1863 წლის შემდეგაც ქმრისაგან ქალის წასვლა არ ითვლებოდა მიზანშეწონილად თუ კი მოლას მიერ შესრულებული იქნებოდა საქორწილო რიტუალი „ნაკიახი". მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ქმარი დარწმუნდებოდა, რომ ცოლი მასთან გამჩერებელი აღარ იყო, ის ცოლს უშვებდა და ექვს თვემდე სხვაზე გათხოვებას უკრძალავდა. ამ აკრძალვის უგულებელყოფის შემთხვევაში ქალის მშობლები ყოფილ სიძეს უბრუნებდნენ ყალიმს — 105 მანეთს, ქორწილში გაწეულ მთელ ხარჯებს. ხოლო მეორე ქმარს ევალებოდა პირველი ქმრისათვის გადაეხადა 300 მანეთი და 50 მანეთიც ჯარიმა, რადგან ექვსი თვის გასვლამდე მეორედ გათხოვება ითვლებოდა ცოლის წაგვრად[76].

თუ ქალი ზემოაღნიშნულ პირობას არ დაარღვევდა და ექვს თვეზე ადრე არ გათხოვდებოდა, მისი ოჯახიც თავისუფლდებოდა ყოველგვარი ეკონომიური ვალდებულებისაგან. პირველ ქმარს ის ყალიმს უბრუნებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქმარი მას ღალატში დაიჭერდა[77].

იმავე დადგენილების საფუძველზე ქალი და მისი ოჯახი სასჯელს ვერ გადაურჩებოდა ვერც ისეთ შემთხვევაში, როდესაც ქალი უმიზეზოდ გაექცეოდა ქმარს, შემდეგ უკან დაბრუნდებოდა და ბოლოს მაინც გაექცეოდა. ასეთი საქციელით ქმრის შეურაცხმყოფელ ქალს ევალებოდა ქმრისთვის ყალიმის (105 მანეთის) უკან დაბრუნებაც და მზითევზე ხელის აღებაც. გარდა ამისა, ქალის ოჯახს გაწბილებული სიძისთვის უნდა მიეცა ორმაგი ყალიმი—210 მანეთი. ასეთივე საქციელის გამო ქალისა და მისი მეორე ქმრის მიმართ ვრცელდებოდა სასჯელის ისეთივე ნორმები, როგორსაც გავეცანით ზემოთ, ე. ი. ექვს თვეზე ადრე ქალის გათხოვების შემთხვევაში მეორე ქმრის მიერ პირველის სასარგებლოდ ორმაგი ყალიმისა და ჯარიმის სახით კიდევ 350 მანეთის გამოღება. ამასთან ერთად, 1863 წლის დადგენილების საფუძველზე შეზღუდულ იქნა პირველი ქმრის თვითნებობა, როდესაც ის განზრახ გაურბოდა ქალის ოჯახისაგან ყალიმის უკან მიღებას და ამით ის თავის ნაცოლარს იძულებულს ხდიდა გაუთხოვრად დარჩენილიყო. კაცის ამგვარ მოქმედებას ლაგამი ამოსდო რუსულმა კანონმდებლობამ, რომელიც მას აიძულებდა ნაცოლარისაგან აეღო კუ-

---

[76] Н. Грабовский, Ингуши, ССКГ, IX, стр. 50.

[77] Н. Харузин, დასახ. ნაშრომი, გვ. 128.

ოვნილი თანხა, ხოლო ქალს აძლევდა ოფიციალურ ცნობას სხვაზე გათხოვების უფლების შესახებ[78].

როგორც ვხედავთ, ახალი დადგენილების შედეგად ყალიმის მოცულობა შემცირდა და ქალის უფლებებიც რამდენადმე გაიზარდა, მაგრამ ძველი ტრადიცია თავის გამოვლინებას იმ მხრივ პოულობდა, რომ დანაშაულის ჩადენისა და დადგენილი დროის დარღვევის შემთხვევაში ცოლი არ თავისუფლდებოდა იმ ვალდებულებისაგან, რომელიც გულისხმობდა აღებული ყალიმის უკან დაბრუნებას.

ზემოხსენებული დადგენილების შედეგად გათხოვილი ქალის პრივილეგიები გაიზარდა იმ მხრივაც, რომ ქმრისაგან დაუმსახურებლად გაწამების შემთხვევაში მას უფლება მიეცა ქმრის ნებართვა გარეშე მიეღწია დამოუკიდებლობისათვის. ამასთან ერთად ქმარი იძულებული იყო ცოლისთვის მიეცა 80 მანეთი შესანახი (თუ ეს თანხა ყალიმის სახით წინასწარ არ ჰქონდა გადახდილი), დაებრუნებინა მისთვის პირადი საკუთრებაც (იგულისხმება მზითვი), ხოლო ყოველივე ამის შემდეგ ქალს ნება ეძლეოდა სხვაზე გათხოვებისა.

ჩაჩნეთ-ინგუშეთში მკვეთრად იყო გამიჯნული გაყრილი ცოლ-ქმრის უფლებები შვილების მიმართ. ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით, შვილები მამასთან რჩებოდნენ და დედას არავითარ შემთხვევაში არ ჰქონია მათი წაყვანის უფლება. მამის ასეთსავე უფლებებსა და დედის სრულ უუფლებობას გვაცნობენ XIX საუკუნის დამკვირვებლებიც[79]. ამ მხრივ რამდენადმე განსხვავებულ ვითარებაზე მიუთითებენ ნ. დუბროვინი და ბ. დალგატი. როგორც ნ. დუბროვინი შენიშნავს, იმ შემთხვევაში, როდესაც გაყრის ინიციატორი იყო ქმარი და მისი ეს სურვილი არ იყო დასაბუთებული, ყორანის მიხედვით ქმარს ევალებოდა ცოლისთვის მიეცა ყალიმი და პირადი ქონება, ხოლო ზოგჯერ ასე უდანაშაულოდ გაგდებულ ქალს შვილსაც აკუთვნებდნენ ხოლმე. იმ შემთხვევაში კი, როდესაც გაყრის ინიციატორი იყო ქალი, შვილების მიკუთვნების საკითხის გადაწყვეტა მამაზე ყოფილა დამოკიდებული. ამ უკანასკნელის თანხმობით, ცოლს ზოგჯერ ეძლეოდა ქალიშვილი, ხოლო დროებით ძუძუთა ვაჟიც[80]. ბ. დალგატიც აღნიშნავს, რომ ძუძუთა ან ცოლ-ქმრის გაყრის შემდეგ დაბადებული ბავშვი ვიდრე წამოიზრდებოდა, იმყოფებოდა დედასთან და მამა აძლევდა საზრდოს. მისივე ცნობით, როგორც ადათის, ისე შარიათის მიხედვით, ცოლ-ქმრის გაყრის შემთხვევაში შვილები მამასთან რჩე-

---

[78] Н. Грабовский, Ингуши. ССКГ, IX, стр. 51—52.

[79] Ф. Леонтович, II, стр. 99, 176; Н. Грабовский, Ингуши, ССКГ, IX, стр. 53.

[80] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 436.

ბოდნენ. ბ. დალგატი იქვე შენიშნავს, რომ ქმარს გაცილებული ქალი ან თავის შვილებთან რჩებოდა ანდა მამის სახლში მიდიოდა[81].

ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციული ჩანს შვილების მიმართ მამის უფლებები, ხოლო ნ. დუბროვინისა და ბ. დალგატის მიერ აღნიშნული გამონაკლისების არსებობა გაპირობებული იყო არა რომელიმე დადგენილი ნორმებით, არამედ კონკრეტული მდგომარეობით (ძუძუთა ბავშვის დედასთან ყოფნის საჭიროება) ან მამის გადაწყვეტილებით (ცოლისთვის ქალიშვილის დათმობა). რაც შეეხება ბ. დალგატის ცნობას იმის შესახებ, რომ ქმარს გაცილებული ცოლი ზოგჯერ თავის შვილებთან რჩებოდა, ეს გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს. შესაძლებელია დედას ეს უფლება მიანიჭა რუსულმა კანონმდებლობამ.

ამგვარად, 1863 წლის დადგენილების საფუძველზე მდგომარეობა ერკვეთრად შეიცვალა და კანონი ქალის მხარეზე ალაპარაკდა. ასეთი ღონისძიების გატარებისას მხედველობაში იყო მიღებული ადათისა და შარიათის ნორმებიც, რომლებიც ახალი დადგენილების შემღეგაც განაგრძობდნენ არსებობას რამდენადმე შეცვლილი სახით. საოჯახო ურთიერთობის სფეროდან ეს შეიძლება ითქვას ცოლ-ქმრის გაყრასთან დაკავშირებით არსებული ურთიერთვალდებულების შესახებაც, რამდენადაც გადასახადთა სახეობა ტრადიციული დარჩა, ხოლო მათი მოცულობა შემცირდა.

* * *

გავეცანით რა ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების წესს, დავრწმუნდით იმაში, რომ რამდენიმე თაობის მომცველი ერთეულის დანაწილების შედეგად იქმნებოდა ახალი ეკონომიური უჯრედები ინდივიდუალური ოჯახების სახით, მაგრამ გაყრა სრულებითაც არ ნიშნავდა განაყრების სრულ იზოლაციას. ერთი სახლიდან გამოყოფილი ოჯახების შემდგომი ურთიერთობაც კვლავ გარკვეულ ვალდებულებათა შესრულებას ითვალისწინებდა.

როგორც ზემოთ ითქვა, მშობლების სიცოცხლეში ოჯახის გაყრა ადათით მიღებული იყო. ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში მათი დასაფლავება საერთო საოჯახო ხარჯით ხდებოდა. მაგრამ იმის შემდეგ, რაც წესად შემოვიდა მშობლების სიცოცხლეში ოჯახის გაყრა, დასაფლავების ძველი ტრადიცია მაინც ცოცხლობდა. მშობლები ცალკე ოჯახად იცხოვრებდნენ თუ რომელიმე შვილთან დამკვიდრდებოდნენ, ყველა შვილი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო მათი დასაფლა-

---

[81] Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 337—338.

ვებისათვის საჭირო ხარჯების გამოღებაში. ასე ხდებოდა ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც მშობლებს თავისი წილი მიტანილი ჰქონდათ იმ შვილთან, რომელთან ცხოვრებასაც აპირებდნენ.

განაყარი ოჯახების ურთიერთობისათვის დამახასიათებელი იყო ეკონომიური შემწეობა ჰირსა და ლხინში. საყურადღებოა, რომ ინგუშეთში შეძლებული ოჯახის მიერ ღარიბებადმი დახმარების ნორმებიც კი განსაზღვრული ყოფილა. შეძლებული ოჯახი ღარიბს აძლევდა თავისი მოსავლიდან ყოველ 10 ფუთზე 1 ფუთ მარცვლეულს, ხოლო ყოველ 60 სულ ცხვარზე 1 ცხვარს. განსაკუთრებით ხშირად ხდებოდა დახმარება პურით. რადგანაც მთიელი ყველაზე მეტად პურის ნაკლებობას განიცდიდა.

განაყრები ვალდებული იყვნენ ერთმანეთს დახმარებოდნენ ყალიმისა და სისხლის საურავის გადახდის შემთხვევაშიც. როდესაც ერთი ოჯახი მოკლებული იყო ამის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ სისხლის საურავის გადახდაში ახალ განაყრებთან ერთად შედარებით შორეული ნათესავებიც მონაწილეობდნენ და გადასახდელი თანხაც ნათესაობის ფარგლებით განისაზღვრებოდა. უახლოეს ნათესავს ევალებოდა რვა ძროხის საფასურის გამოღება, უფრო შორეულ ნათესავს შვიდი ძროხისა და ა. შ. ყველაზე შორეული ნათესავი ოჯახს ეხმარებოდა მხოლოდ ერთი თიკნით[82].

ურთიერთდახმარების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა აგრეთვე გაყრილი ოჯახების კვლავ შეყრა, რაც დამოწმებულია ინგუშების ყოფაში. ოჯახებისა და გვარების შეყრილობა სხვადასხვა მიზეზით იყო გაპირობებული. გვართა შეყრილობას საფუძვლად ედო ძლიერ გვართან სუსტის მიკედლება თავდაცვის მიზნით. ამისათვის მას ევალებოდა სათანადო წესის შესრულება — ხარის დაკვლა ძლიერი გვარის კოშკთან. ამ დღიდან ის იღებდა მფარველის გვარს და უზრუნველყოფდა თავის უშიშროებას. სუსტი გვარი იღებდა იმის უფლებასაც, რომ ესარგებლნა შემფარებელი გვარის საძოვრებით, სათიბებით და ტყით, ხოლო სახნავები მათ ცალკე ჰქონდათ კერძო საკუთრებაში[83].

გვარებ-ს შეყრისა და ამასთან დაკავშირებით ხარის დაკვლის ეს წესი მოგვაგონებს ჯარ-ქვაბით შემოყრის ხევსურულ ჩვეულებას[84].

თუ ძლიერთან სუსტი გვარის მიკედლება მისი მცირერიცხოვანებითა და მტრისაგან დაჩაგვრის საშიშროებით იყო გამოწვეული.

---

[82] Ф. Леонтович. II. стр. 142; Б. Далгат, დასახ. ნაშრომი, გვ. 310.
[83] Б. Далгат. დასახ. ნაშრომი, გვ. 312—313.
[84] რ. ხარაძე, ხევსურული ძირი და გვარი, „მიმომხილველი", II, თბილისი, 1949.

ოჯახების შეყრილობა ნაკარნახევი იყო რომელიმე მათგანის ეკონომიური სივიწროვით.

როდესაც განაყრებს შორის ერთ-ერთ ოჯახს ვაუჭირდებოდა და სიდუხჭირიდან გამოსვლის საშუალება ესპობოდა, გაყრილი ოჯახები კვლავ ერთად შეიყრებოდნენ და მთელ ქონებას შეეზიარებდნენ, განურჩევლად იმისა ვის მეტი შეძლება ჰქონდა და ვის ნაკლები.

შეყრილ ოჯახებს ქონებაზე თანაბარი უფლება ენიჭებოდათ. როდესაც გარკვეული დრო გავიდოდა, შეყრილი ოჯახები კვლავ იყრებოდნენ და ქონებას თანაბრად ინაწილებდნენ. თანაბრად იყოფოდა არა მარტო შეყრის მომენტში გაერთიანებული ქონება, არამედ ერთად ცხოვრების დროს ერთობლივი შრომით დაგროვილი დოვლათიც. ის მიწები კი, რაც ოჯახებს შეყრილობამდე ჰქონდათ შეძენილი, ოჯახების გაერთიანების მომენტში ერთიანდებოდა და ძისი მოსავალიც გაყრამდე ერთობლივად მოიხმარებოდა ,მაგრამ გაყრის დროს ეს ნაკვეთები კვლავ მათი მესაკუთრე ოჯახების ხელში გადადიოდა[85].

---

[85] Б. Д а л г а т, დასახ. ნაშრომი, გვ. 351.

1. ᲒᲐᲜᲐᲠᲯᲔᲑᲐ

ᲚᲝᲗᲘᲡᲐ
ᲫᲕᲚᲘ
ᲐᲮᲐᲚᲘ
ᲐᲓᲘ
ᲰᲔᲚᲘᲙᲝᲜᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡᲬᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘᲡᲮᲔᲚᲘᲡᲮᲔ

ს�II

ბუბი
ფუძეი
სუფა
ბუფუ
ბაყუ
�иа
ბუბი
ეესბუ
ბალსუ
ბიდ
სუყალი
ეუბალ
ფაკეფუ
ბიბუზი
ბრალიბა
ბაკა
ბეფუფუ
ბალეფალ
ნალ
ბეიფი
ყუკფაზ
ფალაფაკ
ბაკსუ
ბუფეფ
ბეხუ
ფაბუფალ
ბეხ
ალაუალიბ
ბალეფალ
ბალეფალ
ფალიბ
ფაბეფუ

ᲡᲘᲛᲬᲘᲚᲘ
ᲛᲬᲚᲘᲐᲥ
ᲕᲣᲑᲘᲚ
?
?
ᲑᲘᲬᲑ
ᲛᲘᲜᲘᲜᲘᲚᲘᲐ
ᲔᲣᲬᲗᲘᲜ
ᲕᲘᲬᲚᲘ
ᲑᲔᲕᲔᲣᲠᲬᲚᲘ
ᲛᲘᲚᲘᲕᲘᲬ
ᲘᲬᲕᲚᲘ
ᲠᲘᲜᲘ
ᲥᲘᲜᲑᲘᲚ
ᲜᲘᲑᲘᲡ
ᲕᲔᲑᲘᲗ
ᲕᲘᲡ
ᲕᲘᲑᲘᲚ

?
ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲑᲘ
ᲑᲣᲜᲔᲑᲘ
ᲐᲠᲐᲤᲔᲡᲘ
ᲡᲝᲡᲘ
ᲜᲣᲜᲔᲑᲘᲡ
ᲡᲐᲚᲕᲐᲠᲖᲔ
ᲮᲛᲘᲡᲔᲑᲘ
ᲜᲐᲘᲡᲐᲠ
ᲑᲔᲓᲠᲜᲔᲚ
ᲕᲔᲠᲪᲔᲚᲘ
ᲕᲐᲠᲗᲐᲖᲣᲚᲘ
ᲡᲐᲚᲘᲡ
ᲡᲐᲚᲔᲚᲘ
ᲑᲐᲑᲝᲕᲔᲚᲘ
ᲐᲮᲕᲔᲗᲘ
ᲡᲐᲚᲘᲡᲘᲡ
ᲛᲐᲚᲘ
ᲕᲐᲑᲝᲕᲔᲚᲘ
ᲕᲔᲠᲪᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲙᲐ
ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲐ
ᲛᲐᲨᲘᲜᲔᲑᲘ
ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ
ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘ
ᲠᲝᲑᲝᲢᲘᲙᲐ
ᲐᲠᲘ
ᲛᲔᲢᲠᲝᲚᲝ�გᲘᲐ
ᲠᲘᲗᲛᲘᲙᲐ
ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐ
ᲤᲘᲖᲘᲙᲐ
ᲥᲘᲛᲘᲐ
ᲒᲔᲝᲓᲔᲖᲘᲐ
ᲐᲡᲢᲠᲝᲜᲝᲛᲘᲐ
ᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲖᲘᲙᲐ
ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ
ᲒᲔᲝᲛᲔᲢᲠᲘᲐ
ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲐ
ᲐᲚᲒᲔᲑᲠᲐ

ჰენი
ილიეზ
ანზორ
3 ქალი
ესლეგ
ჟენი
ხიხოთ
ლაჯართ
ხეზერკა
ფეიფ
ლო�d
ლეისინ
ფუხტერ
ყაბუფელ
ანფელ
4 ქალი
ფეყელ
ფეკფერიფ
ერეყელ
2 ქალი

ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘ
ᲒᲣᲚᲘ
ᲛᲝᲚᲔᲕᲔᲖᲘ
ᲛᲔᲡᲐᲛᲔ
ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲘ

ქალი
ბოშა
ებრაელი
ებრაელი
ებრაელი

ბიძი
ლუნდი
ბესარიონ
ბოთლიანი
ზაფხარა
ბოთლიანი
ეფრემ
ანდრეა
ქალი
ფანტაზიორი
ბაბა /ბაბუა ფანტავ/
ფოფა
ტანა
ალექსიეფ
ეთერ
ფანტაზიორი
ანიდან
ანტანეფ
ეთერ /ანიდან 1956 წ/

ხეკი
ლესტი
ქვეკლი
?
ითოლი
ფალე
ლელე
?
ითოლი
ლეგრ
ჩანოური
ბოლური
ბეკარა
ბეთეგ
ბანეკ
ბალი
ალესტ
ფეიმ
ეკლესიაზე
ეკლესიაზე
ბეკარა
ალესტ
ბოკა
ბანა
ფანა
ბეკარა
ალესტ
ფეიმ
ეკლესიაზე
ეკლესიაზე
ბეკარა
ალესტ
ბოკა
ბანა
ფანა

?
ᲜᲘᲜᲝ
ᲛᲘᲥᲔᲚᲐ
ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲘ
?
ᲙᲘᲚᲔᲥᲘ
ᲜᲘᲜᲝ
ᲜᲘᲜᲝᲛᲘᲥᲔᲚᲐ
ᲜᲘᲜᲝᲛᲘᲥᲔᲚᲐ
ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲘ
ᲜᲘᲜᲝ
ᲒᲘᲠᲩᲔᲚ
ᲛᲔᲠᲘᲜᲝᲡ
ᲛᲔᲠᲘᲜᲝᲡ
ᲛᲘᲥᲔᲚᲐ
ᲛᲘᲥᲔᲚᲐ
ᲛᲘᲥᲔᲚᲐ

ნაწილი მეოთხე

პანკისელი ქისტების საოჯახო ყოფა

პანკისის ხეობა წარმოადგენს კახეთის ტერიტორიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, რომლის მთელ სიგრძეზე მოედინება მდ. ალაზანი. ალაზნის დინების მიმართულებით, ე. ი. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ხეობა თანდათანობით ფართოვდება და დაბლდება. თუ მისი საოთავეები მთური რელიეფით ხასიათდება, ქვედა წელი, რომელიც. თავის მხრივ. ხეობის ძირითად სამოსახლო და სამეურნეო ნაწილს წარმოადგენს, საკმაოდ გაშლილი ვაკეა. ამ ხეობის მდებარეობას ზუსტად გვაცნობს და მის ლაკონიურ გეოგრაფიულ დახასიათებას იძლევა ვახუშტი ბაგრატიონი. იგი წერს: „ხოლო მარელისის ჩრდილოთ ჭევი რომელი აღვსწერეთ, მის ჭევის ჩრდილოდ კერძი არს პ ა ნ კ ი ს ი ს ჭ ე ო ბ ა, რომლისა შორის დის ალაზანი. და აღმოსავლით აქუს პანკისის კავკასი, ამასა და თუშეთს შორისი; დასავლით მთა კახეთისა, ფშავს, თიანეთსა და ამას შორისი; ჩრდილოთ კავკასივე, ღლიღვსა და ამას შორისი; სამკრით ჭევი წინთქმული და მთა მცირე, კახეთის მთიდამ ჩამოსული, აღმოსავლეთად ალაზნამდე, და მერმე იქიდამ ხაზი, გასული კავკასამდე. ხოლო კახეთის მთიდამ ჩამოსულის მთის ზეით ერთვის ალაზანს ჭევი და გამოსდის კახეთის მთას, მოერთვის დასავლეთიდამ ალაზანს. ამ ჭევს ზეით ერთვის სხვა ჭევი. გამოსდის თუშეთსა და ამას შორისს კავკასსა, მოდის დასავლეთად. ამ ჭევიდან გარდავალს გზა თუშეთს. ამ ჭევს ზეით განიყოფის ალაზანი ორად, და ამ ორთა წყალთა შუა არს ც ი ბ ე ხ ო რ ჯ ი ს ა ა ნ უ მ ა ხ ვ ი ლ ი, მაგარი და შეუალი, არამედ აწ უქვი"[1].

ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შედგენილ ხუთვერსიან რუკაზე პანკისის ხეობაში ახმეტიდან მდ. ალაზნის აყოლებით აღნიშ-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 102.

ნულია შემდეგი სოფლები: მატანი, მარელისი, ქორეთი, ქვემო წინუ-ბანი, ყვარელ-წყალი, ქვემო ხალაწანი, ნაპანკისევი (შუა ხალაწანი), დუმასტური, დუი-სოფელი, ჯოყოლა, ომალო, ბირკიანი, ქორთაბუდე, ბორაჯო, ჩხათანა, ტოლოშა და ბაწარა. ამათგან ჩვენთვის საინტერესოა ქისტებით დასახლებული სოფლები: შუა ხალაწანი, დუი-სოფელი ანუ დუისი, ჯოყოლო, ომალო, ბირკიანი, ქორთაბუდე, ბორაჯო და ჩხათანა. უკანასკნელი სამი სოფელი მდებარეობს პანკისის ხეობის ზედა ვიწრო ყელში, მაგრამ იქაური მკვიდრნი ბოლო დროისათვის ბარად ჩამოსახლდნენ. მთის სოფლებიდან ჩამოსული ქისტების ერთი ნაწილი განსახლდა დუისში, ჯოყოლოსა და ომალოში, ხოლო ნაწილმა შექმნა ახალი დასახლება. როგორც თავის დროზე ს. ჩხენკელმა აღნიშნა[2] და როგორც ეს ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ პანკისელ მთხრობლებს, მთიდან ჩამოსახლებულმა ქისტებმა დააარსეს სოფ. შუა ხალაწანი, რომელიც მდებარეობს მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ფშავლების სოფ. ზემო ხალაწანსა და ოსებით დასახლებულ ქვემო ხალაწანს შუა. ასევე ახალ დასახლებას წარმოადგენს სოფ. ბირკიანი. ასეთი გადასვლა-გადმოსვლის, ძველი სოფლების მიტოვებისა და ახალი დასახლებების შექმნის შემდეგ ქისტებმა საბოლოოდ თავი მოიყარეს პანკისის ხეობის ხუთ სოფელში: დუისში, ჯოყოლოში, ომალოში, ბირკიანსა და შუა ხალაწანში. ყველაზე დიდ დასახლებას წარმოადგენს სოფ. დუისი, სადაც თითქმის პანკისის ხეობის ქისტური მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს.

გასული საუკუნის სტატისტიკური მონაცემების მიხედვითაც დუისის მოსახლეობა ქისტებით დასახლებული სხვა დანარჩენი სოფლების მოსახლეობას უნახევრდებოდა. ამ მხრივ პირველ ყოვლისა საყურადღებოა მ. მაჩაბლის გამოკვლევა, სადაც მოტანილია როგორც 1873 წლის კამერალური აღწერის მონაცემები, ისე საკუთარი ჩანაწერები.

როგორც მ. მაჩაბელი წერს, მაშინდელი ადმინისტრაციული დაყოფით პანკისის ხეობა შედიოდა თიანეთის მაზრაში (თბილისის გუბერნიაში)[3]. აქ მცხოვრები ქისტები გაერთიანებული იყვნენ ორ სასოფლო საზოგადოებაში. პირველი იყო ჯოყოლოს საზოგადოება ორი სოფლის — ჯოყოლოსა და დუისის სახით. 1873 წლის კამერალუ-

---

[2] ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, ქისტების დასახლებისათვის პანკისის ხეობაში (უმთავრესად ზეპირი გადმოცემებით). მსკი, ნაკ. III, ტფილისი, 1937.

[3] М. М а ч а б е л и, Экономический быт государственных крестьян Тионетского уезда Тифлисской губернии, МИЭБГКЗК, т. V, Тифлис, 1887, стр. 328.

რი აღწერით, ამ საზოგადოების მოსახლეობა შეადგენდა 96 კომლს (496 სულს), ხოლო მ. მაჩაბლის ჩანაწერებით 115 კომლს (653 სულს). ომალოს საზოგადოებაში (ომალო, ხორაჯა, ჩხათანა და ფშავლების სოფლები; ყვარელ-წყალი და სუბუკი) 1873 წლის კამერალურმა აღწერამ აჩვენა 81 კომლი (369 სული), ხოლო მ. მაჩაბელმა აღრიცხა 93 კომლი (456 სული)[4].

ზემოხსენებული საზოგადოებების სტრუქტურა და მოსახლეობის რიცხობრივი შემადგენლობა ოდნავ შეცვლილი სახით გამოიყურება ბოგვიანო მონაცემების მიხედვით. მხედველობაში გვაქვს 1886 წლის ციფრობრივი მაჩვენებლები. რაც გამოქვეყნდა 1893 წელს. ეს მონაცემები ისეთსავე ადმინისტრაციულ სტრუქტურაზე მიგვითითებს, როგორსაც გავეცანით მ. მაჩაბლის ნაშრომიდან. განსხვავება მხოლოდ იმ მხრივ შეინიშნება, რომ ომალოს საზოგადოებაში მ. მაჩაბელი ასახელებს სოფ. ჩხათანას, რაც აღარ გვხვდება 1886 წლის აღწერილობაში.

1886 წელს ჯოყოლოს საზოგადოებაში, ე. ი. ჯოყოლოსა და დუისში ცხოვრობდა სულ 117 კომლი (751 სული), საიდანაც ჯოყოლოს მოსახლეობა შეადგენდა 32 კომლს (205 სულს), ხოლო დუისისა 35 კომლს (546 სულს). ორივე სოფელში ცხოვრობდნენ მხოლოდ ქრისტეები. გარდა სახელმწიფო გლეხებისა იქ არც ერთი სხვა წოდების წარმომადგენელი არ იმყოფებოდა. მკვეთრი განსხვავება შეინიშნებოდა ძირითადად სარწმუნოების მიხედვით. ჯოყოლოში 205 სულიდან მხოლოდ 18 სული იყო მაჰმადიანი სუნიტი, ხოლო 187 სული მისდევდა მართლმადიდებელ ქრისტიანობას. დუისში კი საწინააღმდეგო ვითარება სუფევდა. 546 სულიდან აქ მართლმადიდებელი იყო მხოლოდ 47 სული, ხოლო 499 სული მაჰმადიანობდა. მთელ საზოგადოებაში ქრისტიანულ სარწმუნოებას მისდევდა 234 სული, ხოლო მაჰმადიანურს 517 სული.

ომალოს სასოფლო საზოგადოებაში გაერთიანებული იყო ოთხი სოფელი: ყვარელ-წყალი, ომალო, სუბუკი და ხორეჯა, რომელთაგან ყვარელ-წყალი და სუბუკი ფშავლების სოფლები იყო. ომალოში ცხოვრობდნენ მხოლოდ მართლმადიდებელი ქისტები, სახელმწიფო გლეხები (40 კომლი, 219 სული). სარწმუნოებით ასევე მართლმადიდებელი ქრისტიანები, ხოლო სოციალურად სახელმწიფო გლეხები იყვნენ ხორეჯაში მცხოვრები ქისტების ექვსი ოჯახი (43 სული) და ქართველების ერთი ოჯახი (შვიდი სული)[5].

---

[4] М. Мачабели. დასახ. ნაშრომი, გვ. 338—339.

[5] Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г., Тифлис, 1893, стр. 172—173.

პანკისის ხეობის ტერიტორიაზე ქისტების დასახლებამდე მცხოვრები ქართული მოსახლეობის ისტორიული წარსულისა და ყოფაცხოვრების შესახებ რაიმეს თქმა შეუძლებელია სათანადო წყაროების უქონლობის გამო. ქართული ისტორიული წყაროებიდან პანკისის შესახებ ძალზე ძუნწი ცნობები გვხვდება „მატიანე ქართლისაში" და „ჟამთააღმწერელში". პირველ მათგანში ხსენებულია „სტეფანოზ ეარჯანის-ძე პანკისისა ერისთავი"[6], ხოლო მეორეში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი თორღვა პანკელის დროებითი აღზევებისა და შემდეგ დაღუპვის ისტორიას[7].

ქვემოთ დავინახავთ, რომ გეოგრაფიულ აღწერილობასთან ერთად ვახუშტიმ მოგვცა მისი მეურნეობის დახასიათებაც, რაც თავის მხრივ იმის მაჩვენებელია, რომ ვახუშტისდროინდელ პანკისის ხეობაში მოსახლეობა იმყოფებოდა. სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა რაიმე სახის მეურნეობის არსებობა, მაგრამ ვახუშტისეული აღწერილობის შემდეგ, XVIII საუკუნის დამლევისათვის ეს კუთხე მოსახლეობისაგან დაცლილა დაღესტნელი ფეოდალების მძარცველურ ლაშქრობათა შედეგად, რამაც გამოიწვია მაღალგანვითარებული ქართული სამეურნეო დარგების მოშლაც. ამიტომ თითქმის ყველა ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ XIX საუკუნის პირველი მეოთხედიდან აქ ჩამოსახლებული ქისტები მკვიდრდებიან გაუკაცრიელებულ ტყით დაფარულ ხეობაში.

ხალხური გადმოცემების გამოქვეყნებულ ვარიანტებს[8] შორის დიდი შინაარსობრივი სხვაობა არ იგრძნობა. ყველა მათგანისათვის საერთო ისაა, რომ ჩაჩნეთ-ინგუშეთიდან ნახების ინტენსიური ჩამოსახლება პანკისის ხეობაში დაიწყო XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, ხოლო ეს პროცესი განსაკუთრებით გაღრმავდა შამილის მოღვაწეობის ხანაში. ასეთივე სურათი გვეხატება ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების მიხედვითაც, რომელთა გადმოცემა ამჟამად შორს წაგვიყვანდა.

ნახებს თან მოჰქონდათ მამა-პაპური წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, მაგრამ ახალ სამოსახლო ტერიტორიაზე დამკვიდრების შედეგად ისინი ეცნობოდნენ ახალ გარემოპირობებს და ვითარებასაც. ქართულ მოსახლეობასთან მეზობლობა-თანაცხოვრებისა და ურთიერთო-

---

[6] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 298.

[7] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 230—231.

[8] M. Мачабели, დასახ. ნაშრომი, გვ. 328; Шакро (ზაქარია გულისაშვილი), პანკისის ხეობა (ეთნოგრაფიული შენიშვნები), გაზ. „ივერია", 1887, №21; ს. ჩხენკელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 230—236.

ბის შედეგად მათ შეითვისეს ქართული ენა, გვარები გაიფორმეს ქართულად, შეისწავლეს ადგილობრივი სამეურნეო პირობები, მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება[9]. თან მოტანილი ნახური ტრადიციებისა და დამხვდური ქართული კულტურის ურთიერთშერწყმის ნიადაგზე ჯანკისის ხეობაში ჩამოყალიბდა კომპაქტურად დასახლებული ორენოვანი ეთნიკური ერთეული ქისტების სახით.

ვინაიდან ნახურ-ქართული კულტურის ელემენტების სინთეზი ჯანკისის ხეობაში მოხდა XIX—XX საუკუნეებში, ჩვენთვის საინტერესოა აღნიშნული პერიოდის მასალა. ჯანკისელი ქისტების ყოფის შესახებ სპეციალური ლიტერატურის უქონლობის გამო ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ჩვენ მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალა. ეს მასალა ჩაგვაწერინეს იმ მთხრობლებმა, რომლებიც უშუალო მოწმენი არიან ზემოაღნიშნული ისტორიული პროცესისა, ანდა ამ პროცესის დასაწყისს იცნობენ მამა-პაპათა მონათხრობის მეშვეობით. ამის გამო აქაური მთხრობელი გვევლინება თავისი კუთხის ცოცხალ მემატიანედ, რომელმაც განსაკუთრებით კარგად იცის საკუთარი ოჯახისა და უშუალო წინაპრების თაგვადასავალი. თითქმის ყველა მათგანი დეტალურად გვაცნობდა ოჯახის წევრთა სახელებს, სქესს, ასაკსა და რაოდენობას, ოჯახის დოლათს, ოჯახის წევრთა ფუნქციებსა და უფლებებს. ასეთი სიზუსტის გამო ჯანკისის ხეობაში შეკრებილი მასალა საოჯახო ურთიერთობის შესახებ გვესახება უტყუარ პირველწყაროდ, რომელიც დამაკმაყოფილებელ პასუხს გვაძლევს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. ამ მასალებზე დაყრდნობით შეეცდებით გა-

---

[9] ქისტების საკმაოდ დიდი ნაწილი რომ ქრისტიანულ რელიგიას ეზიარა, ეს დავინახეთ ლიტერატურაში არსებული სტატისტიკური მონაცემებიდან. ქრისტიანობისადმი ქისტების მიდრეკილებისა, ჯანკისის ხეობაში ეკლესიის აშენებისა და ქართველებთან ქისტების ახლო ურთიერთობის შესახებ ცნობა გამოქვეყნდა გასული საუკუნის ქართულ პრესაშიც (იხ. გაზ. „ივერია". 1888, № 24), ხოლო მ. მაჩაბელმა მიუთითა, რომ თიანეთის მაზრაში მცხოვრები მთიელი ქისტები (მაისტელები) იყენენ მაჰმადიანები და მცირე ნაწილმა იცოდა ქართული ენა, გაჰსხვავებით ჯანკისელი ქისტებისაგან, რომლებმაც ქისტურთან ერთად კარგად იციან ქართული ენა და მათმა დიდმა ნაწილმა მიიღო მართლმადიდებლობა. მ. მაჩაბლის ცნობით, ქრისტიანობას მისდევდა სოფ. ომალო და ჯოყოლო. ხოლო მაჰმადიანობას სოფ. დუისი (М. Мачабели. დასახ. ნაშრომი, გვ. 238).

ჯანკისის ხეობაში დასახლებული ქისტების ყოფისა და კულტურის როგორც ამ კომპონენტების, ისე მათი ისტორიული წარსულის შესწავლას ბოლო ხანებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა და საინტერესო შრომებიც გამოქვეყნდა (იხ. ლ. მარგოშვილი, ოქტომბრის შუქი ჯანკისის ხეობაში, ჟურ. „სკოლა და ცხოვრება", 1967, № 12; მისივე, ჯანკისის ქისტების ისტორიისათვის, ჟურ. „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში", 1968, № 1).

მოვავლინოთ პანკისელი ქისტების საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებანი. ხოლო ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია თანმიმდევრობით გავეცნოთ ოჯახის შემადგენლობას, მის ეკონომიურ სტრუქტურას, მმართველობის სისტემას, შრომის ორგანიზაციის ხასიათს და საკუთრების ფორმებს.

•

• •

ვინაიდან პანკისელი ქისტების საოჯახო ყოფა დღემდე სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა, ოჯახის შემადგენლობის აღწერილობაც ლიტერატურაში არ მოგვეპოვება. თვით მ. მაჩაბელიც, რომელიც თიანეთის მაზრაში მცხოვრებ ქართველებთან ერთად ეხებოდა ქისტების ყოფის ზოგიერთ საკითხსაც, მხოლოდ იმ გარემოებაზე მიუთითებდა, რომ დიდი პატრიარქალური ოჯახები, რომელთა გაყრის პროცესი მიმდინარეობდა, შემორჩენილი იყო ქართულ სოფლებშიო[10]. ასეთივე ვითარება რომ ყოფილიყო დამახასიათებელი ქართველების მეზობლად მცხოვრები ქისტებისათვის, მ. მაჩაბლისთანა დაკვირვებულ მკვლევარს ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა.

ცალკეული ოჯახების შემადგენლობა ნაჩვენები არ არის არც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ოფიციალურ სტატისტიკაში. 1873 წლის კამერალური აღწერილობის (რომელიც მ. მაჩაბელმა გამოიყენა თავის ნაშრომში)[11], მ. მაჩაბლის მიერ დადგენილი ციფრობრივი მონაცემებისა[12] და 1886 წლის საკომლო სიების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა 1893 წელს[13], პანკისელი ქისტის ოჯახში ირიცხებოდა საშუალოდ ექვსი სული. მაგრამ რაკი საშუალო მონაცემების მიხედვით შეუძლებელია რაიმე დასკვნის მიღება ოჯახის სიდიდისა თუ სტრუქტურის შესახებ, ვინაიდან სათანადო ლიტერატურული წყაროების უქონლობის შემთხვევაში ქისტების საოჯახო ყოფის შესწავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს მკითხველისათვის დღემდე უცნობი ეთნოგრაფიული მასალა, ოჯახის შემადგენლობის გაცნობის მიზნითაც მივმართავთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩაწერილ ზოგიერთ ხალხურ გადმოცემას. ეს გადმოცემები ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ ოჯახის რიცხობრივ შემადგენლობასა და თაობათა რაოდენობაზე, მაგრამ აღნიშნულ საკითხზე არსებული მასალის შეფასებამდე პირველყოველსა სიტყვა მივცეთ ჩვენს მთხრობ-

---

[10] М. Мачабели, დასახ. ნაშრომი, გვ. 345.
[11] იქვე, გვ. 338—339.
[12] იქვე, გვ. 338—339.
[13] Свод статистических данных..., Тифлис, 1893, стр. 172—173.

ლებს და მათი მეშვეობით გავეცნოთ ამ გადმოცემების შინაარსს კონკრეტული მაგალითების საფუძველზე.

სოფ. შუა ხალაწანში მცხოვრები მთხრობლის, 1880 წელს დაბადებული თუთახ თუნგოს ძე ცათიაშვილის ცნობით, მისი პაპა ცათიეშ, რომელიც ითვლება ამ გვარის ეპონიმად, ჩაჩნეთიდან გადმოსახლებულა და საცხოვრებლად დამკვიდრებულა მთათუშეთის სოფელ ფარსმაში. აქ მას უცხოვრია 13 წელიწადი. მისი ოჯახი ფარსმადან ჯერ არ ყოფილა წასული, რომ რაღაც საქმეზე ალვანში მყოფი ცათიეშ გარდაცვლილა და იქვე დაუსაფლავებიათ, ვინაიდან ერთ დღე-ღამეზე მეტხანს მიცვალებულის დაუმარხავად დატოვება ქისტებში მიუღებელი იყო, ხოლო ალვანიდან ფარსმაში გასვენება მეტ დროს მოითხოვდა. მამის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილები — თუნგო და ხუტი გადასახლებულან წოვათაში, სადაც გაუტარებიათ 17—18 წელიწადი, ხოლო წოვათიდან ჩამოსახლებულან სოფ. ხორაჯოში. პირველ ცოლთან, დუისელ ქალთან, თუნგოს შესძენია ერთი ვაჟი (ქუშაგ) და ორი ქალი (ნინო, ბაბა). პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ მას თითქმის ერთდროულად შეურთავს ორი ცოლი — დუიშვილი გეეგი (მთხრობლის დედა) და ქუშანაშვილი ქუირდი. გეეგისთან მას ჰყავდა შვიდი ვაჟი (დიბაი, ბათო, ზურაბ, აბოლაი, გიგო, ძუიზი, თუთახ) და ერთი ქალი (ძეიფაი,) ხოლო ქუირდისთან ოთხი ვაჟი (ლაზარე, ქილეი, ჩოფან, ჯარჯო) და ერთი ქალი (დათაი).

ხუტის ჰყოლია ოთხი ვაჟი (სიხო, ქაასა, უცი, ჩოფან) და სამი ქალი (ძეეთი, ქოქუშ, დიადა).

აქ წარმოდგენილი აღწერილობის მიხედვით, ორი ძმის გაუყრელ ოჯახში დამოწმდა სულ 27 ადამიანის სახელი, მაგრამ. როგორც მთხრობელმა აღნიშნა, ამათგან ზოგი ადრე გარდაცვლილა, ზოგიც გათხოვილა და გაყრის დროისათვის ოჯახშიც ოც სულზე მეტი აღარ ყოფილა.

თუნგოსა და ხუტის გაყრის შემდეგ ხუტის ოჯახს უფრო დიდხანს შეუნარჩუნებია მთლიანობა, ვიდრე თუნგოს ოჯახს. მთხრობელმა ამის მიზეზად დაასახელა ის გარემოება, რომ ხუტის ოთხივე ვაჟი ერთი დედის შვილი იყო და ეს ღვიძლი ძმები მამის სახლიდან დამოუკიდებლად გამოიყვნენ მხოლოდ დაცოლშვილების შემდეგ. რაც შეეხება თუნგოს, მისი ოჯახის სეგმენტაციის დამაჩქარებელ ფაქტორად მთხრობელს მიაჩნია თუნგოს მრავალცოლიანობა. როგორც მთხრობელმა აღნიშნა, დედით სხვადასხვა ძმები დედების გარდაცვალებისთანავე მამას ეყრებიან და ცალკე ოჯახებად მკვიდრდებიან. თავდაპირველად მამის ოჯახს გამოჰყოფია უფროსი შვილი ქუშაგ, რომელიც თუნგოს ჰყავდა პირველ ცოლთან. ოჯახიდან მისი ცალკე გასვლა მომხდარა დედის

გარდაცვალების შემდეგ. ერთხანს ერთ ჭერქვეშ ცხოვრება გაუგრძელებიათ თუნგოს, მის ორ ცოლს და ამ ორ ცოლთან ნაყოლ შვილებს. ორი ცოლიდან უფრო ადრე გარდაცვლილა ქუირდი, რის შემდეგ მისი ოთხი ვაჟიც მამას გამოჰყოფია. ძირეული ოჯახის შემადგენლობაში დარჩენილან თუნგო, მისი მეუღლე გეეგი (მთხრობლის დედა) და გეეგის შვიდი ვაჟი.

როგორც ვხედავთ, თუნგოს ოჯახის დანაწილებაში განმსაზღვრელი როლი შეასრულა დედის ხაზით სიახლოვემ, რის შედეგად ოჯახის სამ ნაწილად გაყოფა მოხდა თუნგოს სამი ცოლის შთამომავლობის მიხედვით. თუ ერთ ოჯახად გამოვიდა ქუშაგ (პირველი ცოლის შვილი), მეორე ოჯახად შეკრულებს ვხედავთ ლაზარეს, ქილეის, ჩოფანს და ჯარჯოს (ქუირდის შვილებს), ხოლო მესამე ოჯახად წარმოგვიდგება მამასთან დარჩენილი შვიდი ვაჟი, რომლებიც მამის გარდაცვალების შემდეგ საკმაოდ დიდხანს ინარჩუნებენ ერთობას. დედ-მამის გარდაცვალების დროს მათ შორის სულ უფროსი ვაჟი დიბა, მთხრობლის ვარაუდით, 24 წლისა ყოფილა. ამ ძმების გაყრის დროისათვის კი 1880 წელს დაბადებულ მთხრობელს 38 წელი შესრულებია, ხოლო დიბას 60 წლისთვის მიუღწევია. გაყრის მომენტში აბოლაი და გიგო აღარ ყოფილან ცოცხლები. ძუიზი უშვილო ყოფილა, ხოლო დიბას, ბათოს, ზურაბს და თუთახს ჰყოლიათ ორ-ორი შვილი. ამ დროისათვის თუთახს პირველი ცოლი გარდაცვლია და შეურთავს მეორე. დაახლოებით მაშინ გაყრილან მეორე ოჯახში მყოფი ძმებიც (ქუირდის ვაჟები).

საინტერესო ვითარებას ვეცნობით სხვა ოჯახების მაგალითზედაც. 1894 წელს დაბადებული უსუფ ადოს ძე მარგოშვილის ცნობით, ამ გვარის წინაპარი ხანეკი ცხოვრობდა ჩაჩნეთში, არღუნის ხეობის სოფ. გეზიხოიში, სოფ. ითუმ-კალის ახლოს. ამავე სოფლის მკვიდრნი ყოფილან ხანეკის ძმები, რომელთა სახელები დავიწყებასაა მიცემული. იქვე დაუმთავრებიათ ცხოვრება ხანეკის შვილებს: დიბირქის, მიიდის და ჰამედის, რომლებსაც გაუყრელად უცხოვრიათ. მათი გარდაცვალების შემდეგ ასევე გაუყრელად ცხოვრება გაუგრძელებიათ დიბირქის შვილს ჰაჯის, ჰამედის შვილს ლაბაზას და მიიდის შვილებს: მაჰმადას, ბაჰმადას და ციყის. მშობლიურ სოფელში ყოფნის დროს ამ უკანასკნელებს ჰყავდათ თუ არა ცოლ-შვილი, ეს უცნობია. სამაგიეროდ მთხრობელმა გვაცნობა იმის შესახებ, რომ ჩაჩნეთიდან საქართველოში საცხოვრებლად სწორედ ისინი გადმოსულან და დამოუკიდებელ ოჯახებად დამკვიდრებულან. ამათგან ჩვენთვის ცნობილია მთხრობლის პაპის მაჰმადას ოჯახის შემადგენლობა.

მაჰმადა თავისი ორი შვილით (დაადა, ადო) და შვილიშვილებით ცხოვრობდა ერთ სახლში, რომლის ორი ოთახი ეკავა თვითონ მაჰმადას და, მის მეუღლეს ნაის, ორი ოთახი დაადასა და მის ცოლშვილს, ხოლო ორი ოთახი ადოს და მის ცოლშვილს. ამ ოჯახის გაყრამდე დაადას ჰყავდა ერთი ვაჟი (ახაი, რომელიც იყო ერთი ვაჟის შერიფის მამა), ერთი გაისათხოვარი და ოთხი გათხოვილი ქალი. დაადას ძმა ადო იყო ერთი გათხოვილი ქალისა და ხუთი ვაჟის მამა. მას პირველ ცოლთან შეეძინა დიბაი. დიბაა დედის გარდაცვალების შემდეგ ადომ მეორე ცოლი მოიყვანა, რომელსაც ეყოლა ერთი ქალიშვილი. გერთან (დიბასთან) დედინაცვლის (ადოს ამ მეორე ცოლის) მტრულმა ურთიერთობამ ადო იძულებული გახადა ეს ქალი გაეგდო და ცოლად შეერთო დეთი, რომელმაც შთამომავლობას შემატა ოთხი ვაჟი (აბაი, საი, კოსტა, უსუფ). ადოს ხუთი ვაჟიდან პირველად დაქორწინდა მათ შორის უფროსი დიბაი. ერთი წლის შემდეგ ის ოჯახს გამოეყო და გამოიტანა საერთო-საოჯახო ქონების 1/5 ნაწილი. მისი ნახევარძმები განაგრძობდნენ დედ-მამასთან ერთად ყოფნას. ოჯახის გაყრამდე ამათგან უცოლო იყო უსუფი, ხოლო სხვებმა დაცოლშვილება მოასწრეს. გაყრამდე აბაის ჰყავდა ერთი ვაჟი (ნასიბ) ხოლო კოსტას ერთი ქალი (ხადიშათ). გაყრის წინ ამ ოჯახში იმყოფებოდა 11 სული.

ფაქტობრივი მასალის გამომზეურების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია აქვე გავეცნოთ ღანიშაშვილების ოჯახს. როგორც ვანო მურთაზას ძე ღანიშაშვილმა (დაბად. 1890 წ.) გვაუწყა, მისი წინაპრები ცხოვრობდნენ ჩაჩნეთში, ჰაჩაროს საზოგადოებაში. იქიდან საქართველოში გადმოსულა და წოვათაში დასახლებულა ვინმე იჩო, რომელსაც ჰყოლია ერთი შვილი მათე. იჩოს ჩამომავლობის გამრავლება მათეზე შეწყვეტილა. იჩოს ძმა ბახმადა დარჩენილა მშობლიურ სოფელში. იქვე გაუტარებიათ ცხოვრება ბახმადას შვილს ღუზას და ღუზას შვილს დავითს. დავითის შვილი ღანიში კი საქართველოში გადმოსახლებულა, მაგრამ რაკი იჩოს შტო არ გამრავლებულა, ღანიშს აქ თავისი ნათესავებიდან არავინ დახვედრია. ამიტომ ბახმადასა და იჩოს გვარეულობის წარმომადგენელთა გენეალოგია პანკისის ხეობის სოფ. ომალოში ფაქტიურად იწყება ღანიშიდან და ახალი გვარის სახელიც (ღანიშაშვილი) აქედან წარმოდგება. თუ ბახმადადან დღემდე (ე. ი. მთხრობლის შვილებამდე) ეს მოდგმა ითელის რვა თაობას, ღანიშიდან დღემდე ღანიშაშვილების გენეალოგია მოიცავს მხოლოდ ხუთ თაობას.

მთხრობლის პაპას გიოს ჰყავდა ერთი ცოლი, ხუთი ვაჟი და ორი ქალი. ხუთი ვაჟიდან იჩო და გიგო ახალგაზრდებივე გარდაცვლილან, ხოლო ქალებიდან ანა გაუთხოვარი გარდაცვლილა და პელო გათხოვილა. ოჯახის წევრებს შეადგენდნენ გიო, მისი მეუღლე კორდი, მურთა-

ზი მისი მეუღლით და ერთი შვილით (ვანოთი), ამა და ბიჭია. გიოს გარდაცვალების შემდეგ ერთხანს ერთად განუგრძიათ ცხოვრება მურთაზს თავისი ცოლ-შვილით, ამას ახლად მოყვანილი ცოლით (ძიი) და ბიჭიას, რომელიც მხოლოდ დანიშნული ყოფილა. 1914 წელს ისინი ორ ოჯახად გაყრილან: თავისი წილით ცალკე გამოსულა მურთაზი, ხოლო მეორე ოჯახში დარჩენილან ამა, ბიჭია და მათი დედა. ამას და ბიჭიას ვერც კი მოუსწრიათ გაყრა, რომ ბიჭია ომში დაკარგულა, ხოლო ამა უდროოდ გარდაცვლილა. ამ ოჯახს შემორჩა მხოლოდ ორი წევრი — ამას დედა კორდი და ამას ცოლი ძიი. რაც შეეხება მურთაზას და მის ორ ვაჟს (ვანოს და ნიკოს), ისინი გაყრილან 1933 წელს 15 წელიწადი ერთად ცხოვრების შემდეგ. მშობლები დარჩენილან უმცროს შვილთან — ნიკოსთან.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე სათანადო მასალა დამოწმდა აგრეთვე სიხაშვილების, ტოხოსაშვილების, ქავთარაშვილების, გუნაშაშვილებისა და სხვა ოჯახების შემადგენლობის გაცნობის შედეგად. ომალოელ სიხაშას ოთხ შვილს დაქორწინებამდე მამასთან ერთად უცხოვრიათ. დაქორწინების შემდეგ ისინი გაყრილან ორ ოჯახად. მამისეულ სახლში დარჩენილან ათანაზა და სულაბა, ხოლო მეორე ოჯახად აჰმადხა და მაზი. ცოტა ხნის შემდეგ ისინი ცალ-ცალკე დასახლებულან. ხანგრძლივად არც ცოსკარა ტოხოსაშვილსა და მის სამ შვილს (ჩილას, ხაწეს და მაჰმადს) უცხოვრიათ ერთად. ძმები იმ დროს გაყრილან, როდესაც ცოლშვილიანი ყოფილა მხოლოდ ჩილა. ამათთან შედარებით გაუყრელად უფრო დიდახანს უცხოვრიათ მუსა ქავთარაშვილის ვაჟებს. მუსას ადრე გარდაცვლია ორი ვაჟი და ერთი ქალი, ხოლო დანარჩენი ვაჟები (ქასა, მადეი, დაქა) გაყრილან მამის გარდაცვალების შემდეგ. ქავთარაშვილების მეორე ოჯახის მაგალითიდანაც ჩანს, რომ ჩაჩნეთიდან დუისში ჩამოსახლებული ალიკას შვილები — განა და დადეკა ქავთარაშვილები დუისში დაქორწინებულან და ცალ-ცალკე გასულან მამის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც თითოეული მათგანი ექვსი შვილის მამა ყოფილა.

ასეთსავე სურათს ვხედავთ გუნაშაშვილების ოჯახში. როგორც თოუ თეკდორეს ძე გუნაშაშვილმა (დაბად. 1905 წ.) გვითხრა, მისი პაპის (შუჩუნის) მამას (გუნაშას) უცხოვრია არლუნის ხეობაში სოფ. ითუმკალის ახლოს. ის იქიდან გადმოსახლებულა მთათუშეთში, გომეწრის ხეობის სოფ. ნაციხრებში. ორი ვაჟიდან ერთი უცოლო გარდაცვლილა, ხოლო მეორე ვაჟი (შუჩუნი) იქვე დაქორწინებულა. მამის გარდაცვალების შემდეგ შუჩუნი საცხოვრებლად ჩამოსულა ალვანში, ხოლო მოხუცებულობის ჟამს დამკვიდრებულა პანკისის ხეობის სოფ. ომალოში. მას ამ დროს ჰყოლია ერთი ცოლი (მაჰქარგი), ორი გათხოვილი

ქალი და ორი ცოლშვილიანი ვაჟი (გიო და თეოდორე), რომლებიც გაყრილან მამის გარდაცვალების შემდეგ.

ძირითადად ამგვარი ხასიათისაა პანკისის ხეობაში ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა ოჯახის შემადგენლობის შესახებ. ანალოგიური ვითარება გვესახება სხვა ოჯახების მიხედვითაც, რომელთა აღწერილობას შეგნებულად ავარიდეთ თავი, ვინაიდან ეს გამოიწვევდა ნაშრომის გადატვირთვას ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი მონაცემებით. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე სავსებით დამაკმაყოფილებელ პასუხს გვაძლევს ზემოთ წარმოდგენილი მასალა, რომლის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ყველა აქ აღწერილი ოჯახი აერთიანებდა ორ თაობას მშობლებისა და შვილების სახით. ეს ოჯახები ერთიმეორისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ რიცხობრივი შემადგენლობით. თუ ერთი მათგანი ითვლიდა ოც სულს, მეორეში ვხედავთ მის ნახევარს ან უფრო ნაკლებსაც კი.

ოჯახის სულადობას პირველ ყოვლისა განსაზღვრავდა ძმების რაოდენობა და მათი ერთად ყოფნის ხანგრძლივობა. თუ შვილები მშობლებს გამოეყოფოდნენ დაქორწინებისთანავე, ოჯახის წევრთა რაოდენობა მათ გაყრამდე განისაზღვრებოდა მხოლოდ მშობლებისა და შვილების რიცხვით. იმ შემთხვევაში კი, როდესაც შვილები მშობლებთან დიდხანს რჩებოდნენ საცხოვრებლად, ოჯახს ახალი წევრები ემატებოდა რძლებისა და ბავშვების სახით.

აღნიშნული ვითარება თავის მხრივ ბევრად იყო დამოკიდებული ქორწინების ხასიათზედაც. თუ კაცი მხოლოდ ერთ ცოლს შეირთავდა, მათი შვილების ერთად ყოფნაც შედარებით დიდხანს გრძელდებოდა, მაგრამ მრავალცოლიანობის შემთხვევაში შთამომავლობის მალე განცალკევება ხდებოდა დედით კუთვნილების მიხედვით. ცათიაშვილების ოჯახის მაგალითზე ნათლად დავინახეთ, რომ ძმების ერთად ცხოვრების გახანგრძლივებაში სათანადო როლი შეუსრულებია ერთ დედ-მამაშვილობას, ხოლო ეს კავშირი რამდენადმე შეუნელებია და ერთობაც შედარებით მალე დაურღვევია დედით სხვადასხვაობას. აქ ისეთსავე ვითარებას ვხედავთ, როგორსაც ჰქონდა ადგილი ჩაჩნეთ-ინგუშეთში, სადაც მრავალცოლიანობა არაიშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. დედით სხვადასხვა ძმების ამგვარი ურთიერთობა იმის მაჩვენებელია, რომ ოჯახის განვითარების ყველა ეტაპზე უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა სისხლით ნათესაობა, მაგრამ სისხლით ნათესავთა წრის ფარგლები აქ გაცილებით ვიწრო მასშტაბით წარმოგვიდგება, ვიდრე ამას ჰქონდა ადგილი ინგუშეთში. ეს იმით აიხსნება, რომ ინგუშეთში ინდივიდუალური ოჯახის გვერდით გადმონაშთის სახით არსებობას განაგრძობდა საოჯახო თემი, რომელიც სამ თაობაზე ნაკლებს არ

აერთიანებდა და ამდენად ის სისხლით ნათესავთა უფრო დიდ წრესაც მოიცავდა, ხოლო პანკისელთა ოჯახებში ორ თაობაზე მეტის არსებობა არ მოწმდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარი ტიპის ოჯახები პანკისის ხეობაში ერთმეორისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ სულადი შემადგენლობით, მაგრამ რამდენადაც ოჯახის ბუნების ერთ-ერთი მაჩვენებელია არა მისი რიცხობრივი შემადგენლობა, არამედ პირველ ყოვლისა მასში გაერთიანებულ თაობათა რაოდენობა, ხოლო პანკისელი ქისტების ოჯახებში ორ თაობაზე მეტის არსებობა არ მოწმდება, ჩვენ საქმე გვაქვს ინდივიდუალურ ოჯახთან. რაც შეეხება სულადობის მიხედვით მათ შორის სხვაობას, ამის შესახებ შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ ერთსა და იმავე ეთნიკურ წრეში ერთდროულად ადგილი ჰქონდა მცირერიცხოვანი და მრავალრიცხოვანი ინდივიდუალური ოჯახების თანაარსებობას. ისევე, როგორც სამი-ოთხი თაობის მომცველი დიდი ოჯახები ინგუშეთში ან საქართველოს მთიანეთში ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ რიცხობრივად, მაგრამ მრავალი თაობის ერთად ყოფნის გამო ატარებდნენ საოჯახო თემის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს, პანკისის ხეობაში ოჯახებს შორის სულადი შემადგენლობით განსხვავების მიუხედავად არსებობდა მხოლოდ ინდივიდუალური ოჯახი, რამდენადაც იგი მოიცავდა მარტოოდენ ორ თაობას მშობლებისა და შვილების სახით.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქისტურად ოჯახს ეწოდება დ ი ე ძ უ ლ. პანკისის ხეობაში ეს ტერმინი ერთნაირი მნიშვნელობით გვხვდება როგორც მცირერიცხოვანი ინდივიდუალური ოჯახის, ისე ამავე ტიპის მრავალრიცხოვანი ოჯახის აღსანიშნავად, მაგრამ ვინაიდან სულადობის მიხედვით ინდივიდუალური ტიპის ოჯახებს შორის იყო განსხვავება, ამის შესაბამისად იყენებდნენ აღწერილობითი ხასიათის ტერმინებს. მცირერიცხოვანი ინდივიდუალური ოჯახის აღსანიშნავად იხმარებოდა ჯ ო მ დ ი ე ძ უ ლ (პატარა ოჯახი), ხოლო მრავალსულიან ინდივიდუალურ ოჯახს ერქვა ბ ო ჭ კ დ ი ე ძ უ ლ (დიდი ოჯახი).

როგორც ვხედავთ, ეს სახელწოდებები იხმარებოდა რიცხობრივად მცირე და დიდი ოჯახების აღსანიშნავად. ქისტების წინაპრები კი ჯომ დიეძულ-ში გულისხმობდნენ ინდივიდუალურ ოჯახს, ხოლო ბოჭკ დიეძულ-ით აღნიშნავდნენ საოჯახო თემს. საოჯახო თემის არსებობის პირობებში პირველი მათგანის პარალელურად იხმარებოდა აგრეთვე ბ უ ი ბ ე ლ ვ ე ქ ი რ ი (გაჯრილი ძმები), ხოლო ბოჭკ დიეძულ-ის შესატყვისი იყო ც ა ჰ ე ე ნ ა ბ ე ხ ა ვ ე ქ ი რ ი (გაუყრელი ძმები).

ამგვარად, ადრინდელი ვითარების ამსახველი სოციალური ტერმინები, რომლებითაც აღინიშნებოდა ინდივიდუალური ოჯახისა და სა-

ოჯახო თემის სახელწოდებები, საოჯახო ურთიერთობის განვითარების გვიანდელ საფეხურზე, როდესაც საოჯახო თემი დაშლილი იყო, ქისტებმა გამოიყენეს ინდივიდუალური ტიპის იმ ოჯახების სახელწოდებად, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ სულადი შემადგენლობით.

* * *

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით გავეცანით რა ოჯახის შემადგენლობას, ამავე მასალებზე დაყრდნობით შეიძლება გავეცნოთ ოჯახის ეკონომიურ საფუძველებსაც. ჩვენ ხელთ არსებული კონკრეტული მასალა წარმოადგენს იმ ეთნოგრაფიულ პირველწყაროს, რომელშიაც მოცემულია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისში მცხოვრები ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის სურათი, მაგრამ ვიდრე ცალკეულ ოჯახებს ამ თვალსაზრისით შევუხებოდეთ, პირველ ყოვლისა საჭიროდ მიგვაჩნია ზოგად ხაზებში გავეცნოთ პანკისის ხეობის მეურნეობრივ პირობებს, რამდენადაც მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარება უშუალოდ იყო დაკავშირებული აქ მცხოვრები ხალხის ვინაობასა და მისი სამეურნეო კულტურის დონესთან.

როგორც ზემოთ დავინახეთ, პანკისის ხეობაში ქისტები გვიან დასახლდნენ. ადრე აქ ქართველები ცხოვრობდნენ და მაღალგანვითარებულ მეურნეობასაც ეწეოდნენ. ამ მხრივ საგანგებო ყურადღების ღირსია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის სათანადო ადგილი, სადაც მოცემულია პანკისის ხეობის მეურნეობის სურათი. თანახმად მისი აღწერილობისა, „ჯეობა პანკისისა არს ვენახოვანი, ხილიანი — დაბალნი, და მთის კერძნი, ვითარცა მთათა ადგილნი. თეეზნი — კალმახნი, ტყე ნადირიანი, მარცვალთა ნაყოფიერი, თჳნიერ ბრინჯ-ბანბისა. პირუტყვნი მრავალ, გარნა ღორი უმრავლეს"[14].

ამ აღწერილობიდან პირველ ყოვლისა საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვახუშტი ერთმანეთისაგან გამოჰყოფს ხეობის მთასა და ბარს, რომელთაგან ბარი წარმოგვიდგება ვენახოვან-ხილიან ადგილად, ხოლო მთა აქ ისეთივე ნიშნებით ხასიათდებოდა, „ვითარცა მთათა ადგილნი" საერთოდ. ვახუშტის არც იმის აღნიშვნა გამორჩენია, რომ ხეობა იყო ტყიანი და უხვმოსავლიანი, ხოლო პირუტყვის სიმრავლით ცნობილ პანკისის ხეობაში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოშენებული ჰყოლიათ ღორები.

---

[14] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 102.

XVIII საუკუნის დიდი მეცნიერის დაკვირვებით, ასეთ სამეურნეო პირობებში უხდებოდათ ცხოვრება პანკისელ ქართველებს ქისტების აქ ჩამოსახლებამდე. ასეთსავე მრავალდარგოვან სამეურნეო გარემოში ხდებოდა ნახების აქ დამკვიდრება XIX საუკუნეში. ქართული მოსახლეობის შემცირებისა და მათ მიერ ხეობის თანდათანობით მიტოვების ვამო მეურნეობის განვითარებაც აქ დაღმავლობის გზით უნდა წასულიყო, რაც, რა საკვირველია, მოსულ მოსახლეობას აღარ მისცემდა შესაძლებლობას ქართველთა სამეურნეო მემკვიდრეობიდან ყველაფერი მზამზარეულად მიეღოთ, მაგრამ ამის მიუხედავად ისინი აქ უსათუოდ ხელსაყრელ პირობებში სახლდებოდნენ და მაღალგანვითარებული მეურნეობის დარგებს ითვისებდნენ ან თავიანთ მამაპაპურ ცოდნას ახალ გარემოში იმდიდრებდნენ.

ვინაიდან ქისტების დასახლება პანკისის ხეობაში დაიწყო XIX საუკუნის პირველი მეოთხედიდან, ხოლო ამ მოკლე ისტორიული პერიოდის შესახებ ზეპირი გადმოცემებიც ჯერჯერობით ცოცხლად არის შემონახული, ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით შესაძლებელი ხდება პანკისელი ქისტების მრავალდარგოვანი მეურნეობის დახასიათება. ირკვევა, რომ აქაური ქისტები მისდევდნენ და დღესაც მისდევენ მემინდვრეობას, მებაღეობა-მებოსტნეობას, მესაქონლეობას და რიგ სხვა საქმიანობას. ამათგან მეურნეობის ზოგიერთი დარგი მათთვის ოდითგანვე ცნობილი იყო, ხოლო ზოგიერთ დარგს ისინი შედარებით გვიან დაეუფლნენ.

როგორც ადგილობრივ გეოგრაფიულ პირობებზე დაკვირვებამ გვიჩვენა და როგორც ეს მთხრობელთა ცნობებიდანაც ნათლად ჩანს, პანკისელი ქისტების მთავარ საქმიანობას და მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა მიწათმოქმედება.

თიანეთის მაზრის ეკონომიური მდგომარეობის შესწავლისას ამავე დასკვნამდე მივიდა მ. მაჩაბელი. მისი შეხედულებით, თიანეთის მაზრის ბარში მეურნეობის ძირითადი დარგია მიწათმოქმედება, ხოლო მთაში — მესაქონლეობა. მ. მაჩაბელი თიანეთის მაზრის ბარს ყოფს სამ სამეურნეო რაიონად. ამათგან პირველია ერწო-თიანეთი, რომელიც ხასიათდება განვითარებული მიწათმოქმედებითა და მესაქონლეობით, მეორეა თიანეთის კახეთი (ახმეტის, ბახტრიონისა და მარელის-მატანის საზოგადოებები), სადაც განსაკუთრებით დაწინაურებულ დარგებად ასახელებს მიწათმოქმედებასა და მევენახეობას, ხოლო თიანეთის მაზრის ბარში მესამე სამეურნეო რაიონად მ. მაჩაბელს მიაჩნია პანკისის ხეობა (სახელდობრ, დუისი, ჯოყოლო და ომალო), სადაც მევე-

ნახეობა-მეღვინეობას არ მისდევენ, მაგრამ ამ ხეობის ძირითადი დარგია მიწათმოქმედება[15].

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან დუისი და ჯოყოლო, რომლებიც მდებარეობენ გაშლილ ვაკეზე მდ. ალაზნის მარჯვნივ და სხვა სოფლებთან შედარებით ვრცელსა და ნაყოფიერ ველებს ფლობენ. თანასმად მთხრობლების განმარტებისა, ეს ორი სოფელი არა თუ უზრუნველყოფილი იყო პურეულით, არამედ მოსახლეობა მარცვლეულს გასაყიდადაც კი იშარბებდა. უსუფ მარგოშვილის ცნობით (დაბ. 1894 წ.), მის ახალგაზრდობაში 10 „სახ" (1 „სახ" უდრის 5 კგ-ს) ანუ კოდი (კოდში ეტეოდა 10 „სახ", ანუ 50 კგ) ღირებულა 3 მანეთი. მარცვლეულის გამსაღებელი უახლოესი პუნქტი ყოფილა სოფ. ალვანი, სადაც ძირითადად მეცხვარეობას მისდევდნენ. იმავე მთხრობლის ცნობით, პანკისელ ქისტებს მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, სიმინდი და ფეტვი. დასახელებული კულტურებიდან განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა სიმინდს, რომელსაც იყენებდნენ ძირითად საკვებად. შედარებით ნაკლები მოჰყავდათ ხორბალი, რომლის ფქვილს უმთავრესად იყენებდნენ სტუმრიანობის დროს. მთხრობლებს ძალიან კარგად ახსოვთ, როდესაც მათ ახლგაზრდობაში მჭადს ყოველდღიურად აცხობდნენ, სოლო პურის გამოცხობა ხდებოდა კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ. სიმინდისა და ხორბლის სათესად განკუთვნილი ყოფილა დუისის, ჯოყოლოსა და ომალოს მიდამოები, ე. ი. დაბლობები, ხოლო ქერისა და კარტოფილისთვის ქისტებს გამოუყენებიათ პანკისის ხეობის სათაესები, რაც წარმოადგენდა ალპური საძოვრების საზღვრის ქვედა წელს. ქერისა და კარტოფილის მოსაყვანად დუის-ჯოყოლოს ეკუთვნოდა ადგილები ტ ო ლ ო შ ა ს ა და ო უ ბ უ კ ი ს სახელწოდებით, ხოლო ამავე მიზნით ხ ო ჯ ა ნ ა თ ი სარგებლობდნენ ომალოელ-ხალაწნელები.

როგორც ვხედავთ, პანკისელი ქისტები სახნავ-სათესად იყენებდნენ როგორც ბარში, ისე მთიან ზოლში მდებარე ადგილებს, რაც იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ ისინი ერთნაირად იყენენ დაუფლებულნი ბარულსა და მთურ მიწათმოქმედებას. ოდითგანვე მიწათმოქმედების მცოდნე ხალხისათვის ეს ბუნებრივადაც გვეჩვენება. აქ ჩამოსახლებამდე ხომ ნახები ჩაჩნეთ-ინგუშეთშიაც შესანიშნავად იცნობდნენ ზემოაღნიშნულ საქმიანობას და სხვა კავკასიელ მეზობლებთან ერთად დაუფლებულნი იყვნენ მიწათმოქმედების მაღალ კულტურას. ეს განსაკუთრებით შეეხება მთურ მიწათმოქმედებას, რამდენადაც პანკისის ხეობაში ნელ-ნელა დამკვიდრებული ქისტების წინაპრები უნ-

---

[15] М. М а ч а б е л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 435.

თავრესად ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთში სახლდებოდნენ და ინტენსიურად მისდევდნენ მთურ მიწათმოქმედებას.

პანკისის ხეობაში ჩამოსახლებულმა ნახებმა თან მოიტანეს მამაპაპური ემპირიული ცოდნა-გამოცდილება და ახალ სამოსახლო ტერიტორიაზე შემდგომაც განავითარეს. ისინი რომელნიც ჩაჩნეთ-ინგუშეთის ხეობების მიტოვების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზედაც საცხოვრებლად მთიან ადგილებს ირჩევდნენ, შეუფერხებლად აგრძელებდნენ ტრადიციულ მთურ მიწათმოქმედებას. ამ შემთხვევაში მათი სამეურნეო ცოდნა შედარებით უმნიშვნელო ცვლილებებს თუ განიცდიდა, რამდენადაც ცენტრალური კავკასიონის ხეობებში მცხოვრები ქართველები, ნახები თუ სხვა მთიელები ერთნაირ გეოგრაფიულ-სამეურნეო პირობებში იმყოფებოდნენ, ამის შესაბამისად მიწის დამუშავებასაც თითქმის ერთნაირად ეწეოდნენ და ერთმანეთთან ახლო მეზობლობის წყალობით ყოფის მთელ რიგ სხვა ელემენტებთან ერთად ერთიმეორის მიწათმოქმედების კულტურასაც ახლოს ეცნობოდნენ. ამ მხრივ რამდენადმე უფრო უცხო გარემოში გრძნობდა თავს ის, ვინც ჩაჩნეთ-ინგუშეთის რომელიმე მაღალმთიანი რაიონიდან პირდაპირ დუისში ან ჯოყოლოში სახლდებოდა და ბარულ მეურნეობას ეზიარებოდა. რასაკვირველია, მეურნეობის ტრადიციული ცოდნა თან იმასაც მოჰქონდა და დასახლებისთანავე არც ივიწყებდა, მაგრამ ვინაიდან თავისი მასშტაბითა და სპეციფიკით ბარული მეურნეობა მთურისაგან განსხვავდება, ახალმოსახლეც იძულებული იყო თავისი საყოფაცხოვრებო ინტერესების შესაბამისად მამაპაპური სამეურნეო ცოდნიდან ბევრი რამ დაევიწყებინა, რიგ შემთხვევაში თან მოტანილისა და დამჯვდური ცოდნა-გამოცდილების შერწყმის ვარიანტი აერჩია, ხოლო დროთა ვითარებაში თავისი მეურნეობა გარდაექმნა ახალი საყოფაცხოვრებო პირობების შესაბამისად. ასე სწავლობდა ბარად დასახლებული ქისტი ქართულ მეურნეობას, რაც თანდათანობით მრავალდარგოვანი ხდებოდა და მას ისევე ისისხლხორცებდა, როგორც ეს ოდითგანვე ჰქონდა შეთვისებულ-შეყვარებული ალაზნისპირელ ქართველს. ამ გარემოებაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ეთნოგრაფიული მასალა.

თანახმად მთხრობლების გადმოცემისა, ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთიდან ჩამოსახლებულთათვის მებაღეობა-მებოსტნეობა თავიდანვე არ ყოფილა ცნობილი. მეურნეობის ამ მნიშვნელოვანსა და მაღალკულტურულ დარგს ქისტების წინაპრები არც იმ ხეობებში მისდევდნენ, საიდანაც ისინი გადმოსახლდნენ და არც პანკისის ხეობაში დასახლებისთანავე მოჰკიდებიან. ქისტების აქ დასახლების დასაწყისში

ქართველებსაც არ ჰქონიათ ისეთი მასშტაბის მქონე მებაღეობა-მებოსტნეობა, როგორც ეს შემდეგ განუვითარებიათ. მთხრობლები ამის ძირითად მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ პანკისის ხეობის ახლო მეზობლად მდებარეობენ ხილ-ბოსტნეულითა და ვენახით მდიდარი კახეთის (თანამედროვე ახმეტის რაიონის) სოფლები, სადაც, რასაკვირველია, პანკისის ხეობის ხილეულის გატანა-გასაღებაზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი იყო. პანკისელთა მიერ მოყვანილი ხილი ვერც ახლომახლო მთიან კუთხეებში გასაღდებოდა, ვინაიდან მათ აქ უხვდებოდათ კახური მოსავლის კონკურენცია. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ მეზობელი მთიელები ხილზე მოთხოვნილებას იკმაყოფილებდნენ ველური ნაყოფით (პანტა, მაყალო, შინდი, ტყემალი და ა. შ.), რაც გამორიცხავდა იქ მომგებიანი ბაზრის გაჩენის შესაძლებლობას. რაც შეეხება ქალაქების ბაზრებს, აქაც პანკისის ხეობის ხილს ვერ ექნებოდა გასავალი, ვინაიდან ქალაქების მომარაგება ხდებოდა უკეთესი მოსავლის მქონე ახლომახლო რაიონებიდან. ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შორ მანძილზე მაშინდელი სატრანსპორტო საშუალებებით ხილის წაღება-გლეხს არაეითარ სარგებლობას არ მოუტანდა, ვინაიდან ეს მოითხოვდა დიდ დროსა და ხარჯს.

ასეთი პირობების შემყურე ქისტი არ იყო დაინტერესებული მებაღეობა-მებოსტნეობით, ხოლო ხილზე თავის მოთხოვნილებას ის აქაც ტრადიციულად იკმაყოფილებდა. თუ აქაურ ქართველებს საოჯახო მოთხოვნილებისათვის მაინც ჰქონდათ ხეხილი გაშენებული, ქისტები ტყიდან ეზიდებოდნენ მაყალოს, პანტას, შინდს, კაკალს[16]. ქასა მუსას ძე ქავთარაშვილის (დაბ. 1865 წ.) ცნობით, მებაღეობა-მებოსტნეობა ქისტებს შეუსწავლიათ ქართველებისაგან და ხილ-ბოსტნეულის მოშენებას მოჰკიდებიან მაშინ, როდესაც მთხრობელი ყოფილა 40 წლისა. ამ ცნობის მიხედვით, რასაც მუსას მეზობლებიც გვიდასტურებენ, კულტურულ მეხილეობასა და მებოსტნეობას პანკისელ ქისტებში საფუძველი ჩაჰყრია 900-იანი წლებიდან. მათივე ცნობიდან ჩანს.

---

[16] როგორც ქისტი ჩობანი (მათე ალბუთაშვილი) წერდა, პანკისის ხეობა ტყიან ადგილს წარმოადგენდა. მოსახლეობა აქ უხვად სარგებლობდა როგორც შეშით, ისე სამშენებლო მასალით. ტყეში გარეული ცხოველები და ფრინველებიც ბლომად ყოფილა, რაც ჰქმნიდა ხელსაყრელ პირობებს მონადირეობისათვის. მოსახლეობა ასევე უზრუნველყოფილი ყოფილა ველური ნაყოფით (მაყალო, პანტა, ბალამწარა, თხილი, შეინდი, ტყემალი, ოლო, ესკელა, გარეული კომში, ზღმარტლი და სხვ.). ნადირ-ფრინველისა და ნაყოფის შემცირებაზე გაელენა მოუხდენია ტყის მასივების გაკაფვას ახოების აღებისა და სამშენებლო მასალის სისტემატური გამოზიდვის გამო (ქ ი ს ტ ი ჩ ო ბ ა ნ ი, პანკისის ხეობა, ჟურნ. „მოგზაური", 1904, № 5—6, გვ. 432—438).

რომ პანკისელი ქისტების მეზობელ ქართულ სოფლებშიც, სადაც მეურნეობის ეს დარგი ოდითგანვე იყო ცნობილი და დაწინაურებული, მებაღეობა-მებოსტნეობის მასშტაბი განსაკუთრებით აღნიშნული პერიოდიდან გაზრდილა მისი დიდი შემოსავლით დაინტერესების გამო.

თანამედროვე პანკისის ხეობის სოფლებში ბაღ-ბოსტნები გაშენებული აქვთ საკარმიდამო ტერიტორიაზე. უმრავლეს შემთხვევაში ბაღ-ბოსტანი წარმოადგენს ეზოს გაგრძელებას და მისგან გამოყოფილია ღობით. ასეთსავე ვითარებას ჰქონია ადგილი საკოლმეურნეო ცხოვრებამდე და ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდშიც. როგორც ზემოთ დავინახეთ, მებაღეობა-მებოსტნეობას აქ მეტად ხანმოკლე ისტორია აქვს და მთხრობლები იმასაც მოწმის თვალით გვიდასტურებენ, რომ ბაღ-ვენახს ადრიდანვე, ე. ი. 900-იანი წლებიდანვე საკარმიდამო ფართობებზე აშენებდნენ, ის კერძო საკუთრებას წარმოადგენდა და პატრონს ისევე შეძლებია მისი გაყიდვა-გასაჩუქრება, როგორც თავისი საკუთარი სახლის, ბოსლის, წისქვილისა და მისი მიდამოსი.

თუ ბაღ-ბოსტანი საკარმიდამო ფართობში შედიოდა და კერძო საკუთრების ელემენტს წარმოადგენდა. ამ მხრივ არსებითად განსხვავებული ხასიათისა იყო სახნავ-სათესი ნაკვეთების, სათიბ-საძოვრებისა და ტყის მასივების მფლობელობა-გამოყენების წესი.

ტყე აქ სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა, რომლით სარგებლობა სათანადო ვალდებულების შესრულებას ითვალისწინებდა. მას, ვისაც შეშის ან მასალის გამოტანა სურდა, ევალებოდა ბილეთის აღება სათანადო კანტორიდან და ფულის გადახდა დადგენილი ღირებულების შესაბამისად. სახელმწიფოს ამ ღონისძიებისათვის მიუმართავს ხე-ტყეზე დიდი მოთხოვნილების გამო, იმის გარდა, რომ ტყიდან ეზიდებოდნენ შეშას, აქვე ჭრიდნენ მასალას ხის ჭურჭლის დასამზადებლად, კალათების მოსაწნავად, სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და ტრანსპორტისათვის, საენახე სარებისათვის და რაც მთავარია მშენებლობისათვის. პანკისის ხეობაში იშვიათად შეხვდებით ქვის ნაგებობას. სახლების უმრავლესობა აქ ხისაა, რომლებიც უშენებიათ იმერელსა და რაჭველ ხელოსნებს.

ხის ჭურჭელი ძირითადად უმზადებიათ საშინაოდ, ხოლო ზოგჯერ ბაზარზე გასატანადაც. უფრო ინტენსიურად მისდევდნენ პანკისელი ქისტები კალათების წვნას, რაზედაც დიდი მოთხოვნილება ყოფილა მეევნახეობით განთქმულ კახეთში. აქვე დიდი რაოდენობით საღდებოდა სარები, რომლებიც ქისტებს კახელებთან ერთად კამეჩის ურმებით მიჰქონდათ. ამავე ტრანსპორტით ეზიდებოდნენ პანკისელი ქისტები სახლის მშენებლობისათვის საჭირო ხის მასალას ალვანსა და თე-

ლავში. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება ყოფილა ხის მასალაზე ალვანში. ადგილზე მიტანილი 4 მეტრი სიგრძის ერთი ცალი ფიცარი ღირებულა 15 კაპიკი, მაშინ, როდესაც 1 კოდი პური ფასობდა 3 მანეთად, 1 ცხვარიც 3 მანეთი ღირებულა, ხოლო თხა 2 მანეთად ყოფილა შეფასებული. ფასების ასეთი შეფარდების პირობებში ალვანელ თუშს შეეძლო ერთი ცხვრის საფასურით ადგილზე მიტანილი 20 ცალი ფიცარი შეეძინა, რაც მისთვისაც ხელსაყრელი იყო და პანკისელი ქისტისთვისაც ეს შემოსავლის დამხმარე წყაროს წარმოადგენდა.

კამეჩების პატრონი უმთავრესად მასალას თვითონვე ამზადებდა, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ის ხელმარტო იყო და ოჯახიდან დამხმარე მუშა არ ეყოლებოდა, ის მეზობელს დაიამხანაგებდა და შემოსავალს მას უნაწილებდა. ადგილი ჰქონია ისეთ შემთხვევასაც, როდესაც მასალას ამზადებდა ერთი ოჯახი, ხოლო ეს მასალა ალვანში ან თელავში ქირით გადაჰქონდა მას, ვისაც გამწეები ძალა ჰყავდა. ასეთი თანამშრომლობის პირობებში ხარების პატრონი მხოლოდ ტრანსპორტის ქირას იღებდა. ხარების პატრონი ქირას იღებდა აგრეთვე ალვანში გასაყიდი პურის გადატანაში, თუში მეცხვარეების მიერ მთიდან ჩამოტანილი პროდუქტების გადაზიდვაში და ა. შ.

თავდაპირველად ხეები უზიდიათ თრევით ან ორი უღელი ხარით ისე, რომ ხეებს გადებდნენ წინა და უკანა უღლებზე. ურმები აქ შემოსულა რუსეთ-იაპონიის 1905 წლის ომის შემდეგ. იუსუფ მარგოშვილისა და ბოდო ცისკარაშვილის ცნობათა თანახმად, ქისტები ურმებს ყიდულობდნენ სოფ. მატანში კახელი ოსტატებისაგან. მარტო თელები ღირებულა 3 თუმანი ანუ 10 კოდი პური. დუისში ყოფილა ურმებისა და ხის გუთნების ერთადერთი ოსტატი მადეი ალხასტას ძე ბაღაკაშვილი, რომელიც 80 წლისა გარდაიცვალა 1962 წელს. შემდეგ კიდევ გამოჩენილან ურმის ძარას მკეთებლები ბიწალა და ბათირა მუცოშვილები, რომლებიც მას ამზადებდნენ თელასაგან და შემკვეთს ახდეინებდნენ 11 მანეთს. ხის გუთნის ოსტატი ყოფილა კორნეი მუზიკაშვილი, რომლისაეე მოვალეობას შეადგენდა მატანში სახნისის გუთანზე მორგებაც. თავისი ნახელავი მას შეფასებული ჰქონია 5 მანეთად. რაც შეეხება მარხილსა და უღელს, რომელთა მასალად თელა ან იფანი გამოიყენებოდა, მათი დამზადება ყოველ ქისტს სცოდნია და საგანგებოდ ოსტატს არ მიმართავდნენ თურმე.

ზემოთ დასახელებული თითო-ოროლა ხელოსანი ამგვარი საქმიანობისათვის მხოლოდ ზამთრობით იცლიდა, ვინაიდან ისინი, ისევე როგორც მათი მეზობლები, ჩაბმული იყვნენ მეურნეობის ძირითად დარგებში — მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაში. ხელოსნობა აქ იყო არა

ოჯახის რჩენის საშუალება, არამედ მხოლოდ მეორეხარისხოვანი დამხმარე საქმიანობა. ამასთან ერთად, თუ მხედველობაში მივიღებთ ხელოსნების უმნიშვნელო რიცხვს პანკისის ხეობაში, ხელოსნობაზე როგორც დამოუკიდებელ დარგზე და ოჯახის ეკონომიკაში მის მნიშვნელობაზე ლაპარაკი გაუმართლებელი იქნებოდა. ამ მხრივ შედარებით მეტი როლი უნდა მივაკუთნოთ ხე-ტყის მასალის გასაყიდად დამზადებას და ტრანსპორტის გაქირავებას, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა აღნიშნული.

ამგვარი საქმიანობა, ისევე როგორც მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მონადირეობა და მეთევზეობა, წარმოადგენდა პანკისელთა შემოსავლის დამხმარე წყაროს. ამ დამხმარე საქმიანობათა სფეროდანაც, რასაკვირველია, ყველა თანაბარი მნიშვნელობის არ იყო. თუ მონადირეობა და მეთევზეობა მხოლოდ მოყვარულთა საქმედ ითვლებოდა და ნანადირევის ხორცით, ტყავით ან მისი საფასურით ერთეულები სარგებლობდნენ და ამდენად მონადირეობა საყოველთაოდ გავრცელებულ საქმიანობას არ წარმოადგენდა, სამაგიეროდ შედარებით მყარ ნიადაგზე მდგარა მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა. ყოველივე ამას თუ შევუდარებთ ხე-ტყის დამუშავების საქმეს, ეს უკანასკნელი ფესვოდ ყველა აქ დასახელებულ საქმიანობაზე მნიშვნელოვან წყაროდ მოგვეჩვენება, რამდენადაც მასზე მოთხოვნილება საკმაოდ დიდი იყო, ფულადი შემოსავლით დაინტერესებული მოსახლეობა მასში მასობრივად ჩაება და ამდენად ამ საქმიანობამ სათანადო ადგილი დაიჭირა ქისტების მეურნეობაში. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პანკისელთა საოჯახო ყოფაში მეტყეველობა მნიშვნელოვან ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენდა, რამდენადაც ტყიდან გამოტანილი მასალა ქისტს არა მარტო დასახლკარებას უადვილებდა, არამედ ფულად შემოსავალსაც აძლევდა.

ტყესთან დაკავშირებით აქვე გვინდა შევეხოთ სახნავ-სათესი ნაკვეთების მოპოვება-მფლობელობის საკითხსაც. საქმე იმაშია, რომ პანკისის ხეობა ტყიანი ადგილია, რომელიც ადრე კიდევ უფრო ხშირი ტყით ყოფილა დაფარული. ამის გამო ჩაჩნეთ-ინგუშეთიდან აქ ჩამოსახლებული ოჯახის უპირველეს ამოცანას, სახლის გამართვასთან ერთად, შეადგენდა სახნავი ნაკვეთის ხელში ჩაგდება, რაც უმთავრესად ხდებოდა ტყის გაჩეხვა-ამოძირკვით ანუ ახოს აღების გზით. პანკისის ხეობაში ჩვენ არ გვეგულება ისეთი ოჯახი, რომელმაც თავისი ყოფილი ახო არ გვიჩვენოს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ ახოს შენარჩუნებული აქვს იმ პიროვნების სახელი, ვინც ის გაჯაგა (დაამუშავა). ამის გამო პანკისის ტოპონიმიკისათვის დამახასიათებელია ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა ზ უ რ ა ბ ნ ა ჯ ე გ ი (ე. ი. ზურაბის ნაჯაგი,

ზურაბის მიერ გაჯაგული), ცოსკარას ახო, ბაღაკას ახო, გიოს ნაჯეგი და ა. შ.

ადგილზე ჩაწერილი მასალების მიხედვით პანკისის ხეობაში დგინდება ახოს აღების და ახოების მოხმარების სხვადასხვა პირობები. თავიანთი წინაპრების ნაამბობზე დაყრდნობით ჩვენი მთხრობლები გვაუწყებდნენ, რომ ქისტებით ამ ხეობის დასახლების დასაწყისში, ე. ი. XIX საუკუნის მეორე მეოთხედში, ახალმოსახლეს ახოს აღება შეეძლო ყოველგვარი ნებართვის გარეშე, ხოლო მის მიერ გადამუშავებული ნაკვეთი ექცეოდა მის მუდმივ პირად საკუთრებაში. აღნიშნული პერიოდისათვის ამგვარი ვითარების მიზეზად მთხრობლები, სრულიად სამართლიანად, თვლიან მოსახლეობის სიმცირეს, ე. ი. მოსახლეობასთან შედარებით დიდი სამეურნეო ტერიტორიის არსებობას, რაც არ ბადებდა რაიმე ზომების მიღების საჭიროებას მიწებით სარგებლობის შეზღუდვის მიზნით. წინა თაობის წარმომადგენელთაგან ჩვენს მთხრობლებს იმის შესახებაც არაერთგზის მოუსმენიათ, რომ პანკისის ხეობის ხელსაყრელმა სამეურნეო პირობებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ნახების შემდგომ მასობრივ ჩამოსახლებაში. ვანო ღანიშაშვილის ცნობით, პანკისის ხეობაში დამკვიდრებულ ქისტებს ჰქონდათ რა კონტაქტი თავიანთ ადრინდელ სამშობლოსთან, ისინი ნახებს აცნობდნენ პანკისის ხეობის სამეურნეო პირობებსაც, რაც ჩაჩნეთ-ინგუშეთის მაღალმთიანეთში უმიწობით შეწუხებულ ბევრ ოჯახს ხიბლავდა და მშობლიურ კუთხეს სამუდამოდ აშორებდა.

მოსახლეობის მომატებასთან დაკავშირებით პანკისის ხეობაში საკითხი დასმულა, როგორც ახოებით, ისე სხვა სამეურნეო ნაკვეთებით სარგებლობის წესებში ცვლილებების შეტანის შესახებ. ზუსტად აღნიშნა იმისა, თუ როდიდან შეიცვალა პანკისის ხეობაში მიწათმფლობელობისა და მიწებით სარგებლობის წესები, ხალხურ წყაროებზე დაყრდნობით არ ხერხდება.

სამაგიეროდ ამავე წყაროებსა და ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობამ მოგვცა შესაძლებლობა გავცნობოდით XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისისათვის დამახასიათებელ მდგომარეობას, რომლის მომსწრენი არიან ჩვენი მთხრობელი ან მათი მამები.

გასული საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც მ. მაჩაბელი სწავლობდა თიანეთის მაზრის ეკონომიურ მდგომარეობას, იქ მიმდინარეობდა სახნავი მიწების თანაბარი განაწილების პროცესი კომლების მიხედვით. იმ დროისათვის ეს პროცესი პანკისის ხეობაშიც არ ყოფილა დამთავრებული, რასაც მ. მაჩაბელი გვაცნობს სოფ. ჯოყოლოს მაგალითზე. როგორც იგი აღნიშნავს, სოფ. ჯოყოლოს საერთო მფლობელობაში იყო მოქცეული საძოვრები, გამოუსადეგარი ადგილები და

გზები. გადანაწილება შეეხო სახნავ ნაკვეთებს, გარდა ახოებისა, რომლებსაც ოჯახებს საკომლო-მემკვიდრეობით სარგებლობაში უტოვებდნენ რამდენიმე ხნით, რათა მასზე დახარჯული შრომა აენაზღაურებინათ. გადანაწილება არ შეხებია მხოლოდ იმ საკარმიდამო ფართობს, სადაც რაიმე სახის ნაგებობა იდგა. უამპირობოდ კი საკარმიდამო ფართობიც სასოფლო ფონდში გადადიოდა[17]. უსათუოდ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ჩვენს მთხრობლებს, როდესაც აღნიშნავდნენ, რომ საკარმიდამო ტერიტორიაზე გაშენებული ბაღ-ბოსტანი ისევე ხელშეუხებელ საოჯახო საკუთრებას წარმოადგენდა, როგორც საცხოვრებელი ან სამეურნეო ნაგებობა.

იმავე პერიოდში არსებული ვითარების შესახებ ზაქარია გულისაშვილი წერდა: „პანკისის ხეობაში ნაოხრები ყველა სოფელს თავისთვის შემოუფარგლნია. ქისტებს-კი, რადგან ხვნა-თესვას არ მისდევენ, დაუსაკუთრებიათ მარტო ეზოები და სათიბ-საძოვარი. მაგრამ, რადგან სათიბ-საძოვარსაც დასაკუთრება არ ატყვია, ამიტომ სხვა წასტანებია და ქისტები განზე დარჩომილან". ავტორი იქვე შენიშნავს, რომ შემდეგ უთანხმოება ჩამოვარდნილა ქისტებსა და თუშებს შორის, როდესაც ქისტებიც უფრო ბეჯითად მოჰკიდებიან მიწათმოქმედებას და თუშების მიერ დაკავებულ ადგილებში სიმინდის თესვა დაუწყიათ, ხოლო გულმოსულ თუშებს კი იქ საქონელი გაუშვიათ. ბოლოს ადმინისტრაცია ჩარეულა, თითოეული კომლისთვის ნაკვეთი საბლით მიუზომიათ და უკმაყოფილებაც ამ გზით გაუნელებიათ[18].

მიწებით სარგებლობის წესს კიდევ უფრო სრულად გვაცნობენ ქისტი მთხრობლები. როგორც მათ მიერ მოწოდებული ცნობებიდან ჩანს, XIX საუკუნის ბოლოსათვის მიწით სარგებლობა განსაზღვრული იყო სახელმწიფო-ადმინისტრაციული წესდებით. იუსუფ მარგოშვილის ცნობით, ვინაიდან ტყე ეკუთვნოდა სახელმწიფოს, ახოს აღების მსურველს ევალებოდა სათანადო ფასის გადახდა სახელმწიფოს სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხი ტყის გაჩეხვის უფლებას ვერ მიიღებდა. იუსუფის მოსწრებითაც და მისი მამის ახალგაზრდობის

---

[17] М. Мачабели, დასახ. ნაშრომი, გვ. 376.

[18] Шакро, პანკისის ხეობა, გაზ. „იბერია", 1887, № 21. შენიშვნა: თქმა იმისა, რომ ქისტები ხვნა-თესვას არ მისდევენო, გაუმართლებელია. ქისტები აქ დასახლების დღიდან მეურნეობის ამ დარგს ინტენსიურად მოეკიდნენ, მაგრამ მოსახლეობის სიმცირის გამო არ იდგა მიწის ნაკლებობის საკითხი და ამდენად მისი დასაკუთრებისათვის საგანგებო ღონისძიებებისათვის არ მიუმართავთ. ისიც საგულის მოა; რომ მათი აქ დამკვიდრების პირველ ხანებში უფრო მესაქონლეობა ყოფილიყო განვითარებული და სათიბ-საძოვრების დასაკუთრებაც ამ მიზეზით იყო გაპირობებული.

დროსაც 3 ჰექტარი ფართობის გაჩეხვის უფლება გლეხს უჯდებოდა 40 მანეთი, მაშინ როდესაც ერთი კოდი პური ან ერთი ცხვარი 3 მანეთად ფასობდა. თუ ამასთან ერთად ვიანგარიშებთ ახოს აღებაზე დახარჯულ დროსა და უმძიმეს შრომას, ადვილად წარმოვიდგენთ თუ რა სიძნელეების გადალახვა უხდებოდა ოჯახს სამეურნეო ნაკვეთის მოსაპოვებლად. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ახო არ წარმოადგენდა გლეხის მუდმივ საკუთრებას. ახოთი სარგებლობა გლეხს შეეძლო მხოლოდ 15 წლამდე, რის შემდეგ ის გადადიოდა სასოფლო ფონდში. აღნიშნულ ეპოქაში ყოველ კომლს პირად სარგებლობაში გამოყოფილი ჰქონია ხუთი დღიური მიწა. რაკი 15 წლის შემდეგ ახოც სასოფლო ფონდს გადაეცემოდა, ის ექცეოდა მიწების ხელახალ გადანაწილებაში, რაც ხდებოდა ახალი ოჯახების მომატებასთან დაკავშირებით. როგორც ვხედავთ, სამეურნეო ფართობის ზრდა ხდებოდა ახოების მომატების შედეგად, ხოლო ნაკვეთების გადანაწილება წარმოებდა ოჯახების მომრავლების შესაბამისად.

ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით, ასევე კომლობრივად განაწილების წესით ხდებოდა სათიბების გამოყენებაც, რაც აქ რამდენადმე მცირე მოცულობის ნაკვეთების სახითაა წარმოდგენილი და საქონლის მთავარ საკვებად გამოიყენებოდა ჩალა და ბზე, ხოლო დამხმარე საკვებად მოიხმარებოდა ნეკერიც[19]. ასე, რომ საქონლის გამოკვების შესაძლებლობა და ამდენად მესაქონლეობის მასშტაბი აქ უშუალოდ მიწათმოქმედების დონით იყო გაპირობებული, რაც ერთხელ კიდევ გვიჩვენებს მიწათმოქმედების წამყვან მნიშვნელობას პანკისელთა სამეურნეო ცხოვრებაში.

ეს პირველ ყოვლისა შეეხება ბარს, რომელიც წარმოადგენს პანკისის ხეობის უდიდესსა და ძირითად ნაწილს. რაც შეეხება პანკისის ხეობის სათავეებს, აქ მესაქონლეობისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობს სათიბებისა და საძოვრების სახით, მაგრამ მთელი ხეობის მესაქონლეობისათვის დამაკმაყოფილებელ სამეურნეო ბაზას იგი არ წარმოადგენდა. ის ხელსაყრელი და საკმარისი იყო მხოლოდ იმ მოსახლეობისათვის, რომელიც იმყოფებოდა ხეობის ზედა წელში სამი

---

[19] პანკისელი ქისტები საქონლის საკვებად ნეკერსაც რომ იყენებდნენ, ეს ჩანს მ. მაჩაბლის ცნობიდანაც. როგორც ის აღნიშნავს, პანკისის ხეობის მოსახლეობას შეეძლო ფასის გადაუხდელად გაერეკა საქონელი ტყეში იმ პირობით, თუ საღამოობით საქონელს სახლში მირეკავდნენ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც საქონელს ღამითაც ტყეში დატოვებდნენ, სავალდებულო იყო მეტყევისათვის გადეხადათ ერთ სულ მსხვილფეხა საქონელზე წელიწადში 20 კაპიკი, თხაზე — 30 კაპიკი, ღორზე— 20 კაპიკი, ხოლო 100 სულ ცხვარზე 3 მანეთი (М. Мачабели, დასახ. ნაშრომი, გვ. 407).

პატარა სოფლის (ხორაჯა, ჩხატანა, ქორთაბუდე) სახით[20]. ამის გამო მიწათმოქმედებასთან შედარებით მსხვილფეხა მესაქონლეობა და მეცხვარეობა იქ გაცილებით მნიშვნელოვან მეურნეობად ითვლებოდა, ვიდრე პანკისის ხეობის სამიწათმოქმედო ზოლში, ე. ი. ბარში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხეობის სათავეებიდან მოსახლეობის ბარად ჩამოსვლის შემდეგ იქაური სათიბების გამოყენებაც ვეღარ ხერხდებოდა, ვინაიდან იქიდან თივის ჩამოტანა საკმაოდ დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ მთელი ეს ადგილები ცხვრის საძოვრად აქციეს, ხოლო იქიდან მოსახლეობის წამოსვლის შემდეგ ეს საძოვრები ტყის მსგავსად სახელმწიფო უწყებათა ხელში გადასულა. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ მთები — ჭიქაურა და დიდ-ვერდი, სადაც ზაფხულობით ცხვარს მიერეკებოდნენ შეძლებული მეცხვარეები და საბალახეს უხდიდნენ სათანადო სახელმწიფო უწყებას[21].

---

[20] ამ სოფლებს ხელსაყრელი პირობები ჰქონიათ იმ მხრივაც, რომ ისინი არ იხდიდნენ სახელმწიფო გადასახადებს. როგორც მ. მაჩაბელი წერს, ხორაჯასა და ჩხატანას მოსახლეობა არასოდეს არ შეუყვანიათ კამერალურ აღწერილობაში და მათგან არასოდეს არ მოუთხოვიათ რაიმე სახის ბეგარა-გადასახადები (М. Мачабели, დასახ. ნაშრომი, გვ. 333).

[21] მ. მაჩაბლის ცნობით, ჭიქაურას, ჩხატანას, ბარდამ-ციხისა და ნაქერალა-დიდგვერდის იალაღებზე (ფურთ კალოზე, განჯაურაზე, ორწვერაზე) ცხვარ-ძროხას აბალახებდნენ საერთოდ ომალოსა და ჯოყოლის საზოგადოებები, მაგრამ ეს თურმე იწვევდა ქისტებისა და თუშების შეხლა-შემოხლას, ვინაიდან თუშები ქისტებს, როგორც ჩამოსახლებულებს, არ თვლიდნენ ნაქერალა-დიდგვერდას იალაღებით სარგებლობის უფლების მქონედ (М. Мачабели, დასახ. ნაშრომი, გვ. 415).

ქისტი ჩობანი იძლევა რა პანკისის ხეობის სამეურნეო-გეოგრაფიულ დახასიათებას, მის სათავეებს, სადაც დასახლებული იყო სამი სოფელი (ჩხატანა, ხორეჯა, ხადორი), თვლის მესაქონლეობა-მეცხვარეობის კარგ ბაზად. მისი ცნობით, თავისი ფერდობებით, ტაფობებითა და ვაკე ადგილებით მეჯოგეობისათვის ჯანსაღუთრებით ხელსაყრელი და უსაფრთხო ყოფილა მთა დიდგვერდი, სადაც ქისტებს ზაფხულობით მიუდიოდათ ცხენები, ძროხები და ცხვრის ფარები (ქ ი ს ტ ი ჩ ო ბ ა ნ ი, პანკისის ხეობა, ჟურნ. „მოგზაური", 1904, № 1—2, გვ. 106).

იმავე წერილში აღნიშნულია, რომ უფრო რთული რელიეფით ხასიათდებოდა ხორეჯის მთა, საიდანაც ზოგჯერ იჩხებოდა საქონელი. ამ ნაკლის მიუხედავად „ხეობის მცხოვრებლებისათვის ეს მთა ყველაზე მარჯვეა და ზაფხულობით საბალახედ, სათიბად, ცხვრისა და ძროხის საძოვარ საბინაოდ ქისტები მომეტებულ ნაწილად ამ მთით გადიან იოლად. ამ საჭიროებისათვის ხორეჯის მთასა აქვს შემდეგი ადგილები: თუნქოს სათიბე, გაბიდას გორი, ხორეჯა, ჩხათანა, ჭიქაურა ნაქერალი და დიყიანი. ხორეჯაში და ჭიქაურაში მომეტებულ ნაწილად ცხვრის ბინებია, რადგანაც ეს ადგილები გვერდალიც არი და ცოტა მოშორებითაც; ხოლო ნაქერალში და დიყიანში ძროხის ბინებია" (ი ქ ვ ე, გვ. 107).

სათიბებისა და საძოვრების გამოყენების ზემოთ აღწერილი წესი არც XX საუკუნის დასაწყისში შეცვლილა. ის ამ სახეს ინარჩუნებდა საბჭოთა წყობილების დამყარებამდე. სამაგიეროდ, 1905 წლიდან სახელმწიფო ხელისუფლებას მოსახლეობისათვის ნება დაურთავს უსასყიდლო გაჯაგვისა და ახოზე მუდმივი საკუთრებისა. ამავე ეპოქიდან შეუცვლიათ სასოფლო ნაკვეთების გადანაწილების წესიც. ვანო ღანიშაშვილის ცნობით, ყოველ სასოფლო საზოგადოებას სოფლის კაცებისათვის („იუხრთუო ჰალხერჯინ ნაახ"-სოფლისაგან არჩეული ხალხი) დაუვალებიათ, რათა ყოველ 2-3 წელიწადში ერთხელ თოკით გადაეზომათ და ქუდზე (ე. ი. ოჯახის წევრ მამაკაცთა რაოდენობის მისედვით) გადაანაწილებინათ არსებული სახნავი ნაკვეთები. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოქმედი წესისაგან განსხვავებით, როდესაც ოჯახს (განურჩევლად მისი სულადი შემადგენლობისა) პირად სარგებლობაში ეძლეოდა ხუთი დღიური მიწა, ხოლო ახოს გამოყენება შესაძლებელი იყო მარტოოდენ 15 წლით, XX საუკუნის დასაწყისიდან ახო მიიჩნიეს ოჯახის ხელშეუხებელ საკუთრებად, ხოლო მიწების პერიოდულ გადანაწილებას საფუძვლად დაუდეს ოჯახის ქუდოანთა რაოდენობა, რაც უკვე რამდენადმე ამსუბუქებდა მრავალსულიანი ოჯახის მდგომარეობას.

ზემოთ განხილული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ჩვენ ზოგადად გავეცანით სახნავი ნაკვეთებით, სათიბებით, საძოვრებითა და ტყით სარგებლობის წესებს პანკისის ხეობაში და დავინახეთ თითოეული მათგანის როლი ქისტების საოჯახო მეურნეობაში. დავინახეთ ისიც, რომ საქონლის ძირითად საკვებ ბაზას წარმოადგენდა სახნავ-სათესი ტერიტორია, რამდენადაც სათიბების ნაკლებობის გამო ზამთრის პერიოდში პირუტყვს აჭმევდნენ ჩალას, ბზეს, შვრიას და ფეტვს. ფეტვისა და შვრიის სათესად ქისტები იყენებდნენ რამდენიმე წლით ხმარების შედეგად გამოფიტულ ახოს[22] ან იჯარით აღებულ ნაკვეთს. მიწის იჯარით აღება აქ ხდებოდა მოსავლის შუაზე გაყოფის პირობით. ამგვარ გარიგებას ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევაში, როდესაც გამწევი ძალის უკმარობის გამო ოჯახი იძულებული იყო მიწა დასამუშავებლად მიეცა მუშა საქონლით უზრუნველყოფილი ოჯახისათვის. ყოველივე ეს იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ ოჯახის ეკონომიური შესაძლებლობა ძირითადად დამოკიდებული იყო სახნავი ნაკვეთების მოცულობაზე და მუშა საქონლის რაოდენობაზე, რამდენადაც მესაქონ-

---

[22] ქისტების დაკვირვებით, ახოს მოსავლიანობა თანდათანობით მცირდებოდა. თუ 1 დღიური ახალგატეხილი ახო იძლეოდა 20—25 კოდ პურს, 14—16 წლის ძველ ახოზე შესაძლებელი ყოფილა 6—10 კოდის მოყვანა.

ლეობის განვითარებასაც აპირობებდა საკვები ბაზა, ხოლო ამ ბაზის დამუშავების შესაძლებლობას განსაზღვრავდა გამწვევი ძალა.

ამგვარ სამეურნეო პირობებში განსაკუთრებით ჭირდა ბევრი საკვების შთანმთქმელი კამეჩის შენახვა, რიც გამო მის მომრავლებაზე ქისტები თავს იკავებდნენ. ისინი უფრო მეტად ზრუნავდნენ ხარ-ძროხის შენახვაზე, ხოლო კამეჩების პატრონი იძულებული იყო შეემცირებინა ძროხების რიცხვი. ასეთ ვარიანტს ირჩევდა ფურკამეჩების მყოლი ოჯახი, რამდენადაც ფურკამეჩი ერთდროულად წარმოადგენდა როგორც მეწველ, ისე მუშა საქონელს. ყოველივე ეს და ამასთან ერთად საოჯახო მეურნეობის სრული სურათი ნათლად ჩანს ცალკეული ოჯახების შესახებ ჩვენ მიერ პანკისელ ქისტებთან ჩაწერილი მასალებიდან, რომლის გაცნობის მიზნით ქვემოთ შევეხებით ზოგიერთ კონკრეტულ მაგალითს.

საკითხის ნათელსაყოფად აქ შეიძლება პირველ რიგში გავეცნოთ ცათიაშვილების ზემოთ აღწერილი ოჯახის ეკონომიურ მდგომარეობას. როგორც ჩვენი ჩანაწერებიდან ჩანს, თუშეთში ყოფნის ღროს ამ ოჯახის მთავარ დოვლათს შეადგენდა საქონელი, რომლის რაოდენობის ჩვენება მთხრობელმა ვერ შეძლო. სამაგიეროდ, ჩვენთვის ცნობილია ოჯახის შემდეგდროინდელი ეკონომიური პირობები. როდესაც თუნგო ცათიაშვილის შვიდი ვაჟი სოფ. ხორეჯაში იმყოფებოდა, მათ ქონებას შეადგენდა ერთი ორსართულიანი მიწური სახლი, უღელი ხარით სახნავი ხუთი-ექვსი დღიური მიწა, ოთხი ხარი, ცხრა ცხენი, 25-მდე ძროხა, დეკეული, მოზვერი, ხბო, ხუთი ვირი, 1500 ცხვარი და თხა და აქ დასახელებული მსხვილფეხა საქონლისთვის საკმარისი თივის მოსათიბი ადგილი მთაში. ცხვარს, ცხენებსა და ვირებს ზამთრობით მიერეკებოდნენ ადრე შირაქისა და აზერბაიჯანის ველებზე, ხოლო შემდეგ ჩაჩნეთის საზამთრო საძოვრებზე, რომელთან დაკავშირებას ახერხებდნენ შატილ-არდოტ-მითხოს გზითა და არღუნის ხეობის გავლით.

მარგოშვილების 11-სულიანი ოჯახი ცხოვრობდა ექვსოთახიან ხის სახლში, რომელსაც გვერდზე მიშენებული ჰქონია ბოსელიც. ისევე, როგორც სხვა დანარჩენი ოჯახები, მარგოშვილებიც სარგებლობდნენ სახელმწიფო ტყითა და სასოფლო საძოვრებით. სათიბები მათ არ ჰქონიათ, რის გამო საქონლის საკვებად იყენებდნენ ჩალას, ბზეს, შვრიას, ფეტვსა და ნეკერს. სხვადასხვა დროს მათ ექვს ადგილას გაუჩეხიათ ახო. თითოეული ნაკვეთი მისი მოპოვებიდან 15 წლის თავზე ნელ-ნელა სასოფლო ფონდში ჩაუბარებიათ. ამასთან ერთად მარგოშვილები ამუშავებდნენ სოფლისაგან გამოყოფილ ხუთდღიურ სახნავს. შემდეგ სოფელ დუისს სოფ. მატანში უყიდია ჩოლოყაშვილის მამული, რომლის განაწილების შედეგად ყოველ კომლს შეხვედრია

ოთხი დღიური. ამ დღიდან მარგოშვილების ოჯახი ხნავდა ცხრა დღიურსა და ახოებს. პირუტყვიდან მათ ჰყავდათ: ორი ცხენი, ორი კამეჩი, ექვსი ხარი, რვა ძროხა, 22 დეკეული, მოზვერი და ხბო. 100 ცხვარი და თხა, 100-მდე ქათამი და ინდაური.

ტოხოსაშვილების ზემოხსენებულ ოჯახს ჰქონია ხის სამოთახიანი სახლი გომურით, სასოფლო ფონდიდან გამოყოფილი ხუთი დღიური სახნავი, 12 დღიური ახო და ორი დღიური იჯარით სანახევროდ აღებული ადგილი ფეტვის სათესად. ახოებიდან ზოგიერთ მოძველებულსა და გამოფიტულ ნაკვეთს იყენებდნენ სათიბად, ხოლო ორი დღიურის ადგილს შვრიის სათესად. პირუტყვიდან ჰყოლიათ ორი ცხენი, ოთხი ხარი და ექვსი ძროხა. მეზობლების საქონელთან ერთად ზაფხულობით მათ საქონელი გაშვებული ჰყოლიათ მთა ნაქერალას საძოვრებზე. შემოდგომაზე ტყეში თოვლის მოსვლამდე, ხოლო ზამთარში ამყოფებდნენ ბაგურ კვებაზე.

სოფ. ჯოყოლოში ფიცხალა ბორჩაშვილისა და მისი ორი ვაჟის (ბუგო, ხასა) დოვლათს შეადგენდა ათღიურამდე სახნავი მიწა ახოებითურთ, ორი ცხენი, ოთხი კამეჩი, რვა უღელი ხარი, ათი ძროხა და 300-მდე ცხვარი და თხა.

სოფ. დუისში მცხოვრებ განა და დადეკა ქავთარაშვილების გაყრამდე, როდესაც თითოეულ ძმას ექვსი შვილი ჰყავდა, ოჯახს ჰქონია ოროთახიანი ხის სახლი გომურითა და საბძელით, სასოფლო ფონდიდან მიზომილი ხუთი დღიური სახნავი, რომელთან ერთად ისინი ხნავდნენ ახოებსა და ბატონისაგან იჯარით აღებულ ნაკვეთებს. პირუტყვის რაოდენობა განისაზღვრებოდა ერთი ცხენით, ორი უღელი კამეჩით, სამი უღელი ხარით, ათი სული ძროხითა და მოზარდით.

სოფ. ჯოყოლოში დავით ციკარაშვილსა და მის ხუთ შვილს (ბოლეი, ღანიშა, ცოსკარა, ბაქა, აკო) გაყრამდე უცხოვრიათ ოთხოთახიან ფიცრულში, რომელსაც მიშენებული ჰქონია გომური და საქათმე. გარდა ამ ნაგებობებისა მათ ჰქონიათ წისქვილი, რომელსაც ოჯახის საჭიროებისათვისაც იყენებდნენ და მეზობლებზედაც აქირავებდნენ მინდის (ბ უ ა ლ) აღების პირობით (ათი კგ-ის დაფქვაზე იღებდნენ ერთ ჯამ ფქვილს). ამავე ოჯახს პირველს გაუხსნია დუქანი სოფ. ჯოყოლოში, სადაც ყიღდნენ ფარჩას, მარილს, შაქარს. . . ეს სავაჭრო საქონელი მოჰქონდათ თბილისიდან, ხოლო გამყიდველად დაყენებული ჰყოლიათ სომეხი დახლიდარი. ამ ოჯახში საკმაო ადგილი ეჭირა აგრეთვე ფშაური ფარდაგების ქსოვასა და ქუდების კერვას. ფარდაგებით თავიანთი ბინა ჰქონიათ დამშვენებული, ხოლო ქუდებს ყიდდნენ თელავსა და ალავერდში. ოჯახის ქონებას შეადგენდა აგრეთვე

ორი უღელი კამეჩი, ორი ცხენი, 16 ხარი, 15 ძროხა და მოზარდი, 500-მდე სული ცხვარი და თხა.

სოფ. ომალოში ქისტო იმედაშვილის ოჯახის საარსებო საშუალებას წარმოადგენდა რვადღიური სახნავ-სათიბი ადგილი ახოებითურთ, 30 ცხენი, 15 ძროხა და 600 ცხვარი. ცხენებსა და ცხვარს ზამთრობით მიერეკებოდნენ შირაქში, ხოლო ძროხებს ბაგურ კვებაზე ამყოფებდნენ. საქონლისთვის საზამთროდ საჭირო საკვების უკმარობის გამო ისინი მარაგს ყიდულობდნენ მცირე საქონლის, მაგრამ შედარებით მეტი სამეურნეო ნაკვეთების მქონე მეზობლებისაგან.

აქვე სოფელში ქისტოს ძმის — მათეს ოჯახის დოვლათს შეადგენდა რვადღიური სახნავ-სათიბი ადგილი, 30-მდე მსხვილფეხა საქონელი, 250—300 ცხვარი. ამ ოჯახის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა აგრეთვე ორი წისქვილი. ვანო ღანიშაშვილის ცნობით, ერთი კასრის (10 კგ-ის) დაფქვაზე პატრონი მინდის სახით იღებდა ერთ ჯამ (300—400 გ) ფქვილს.

კონკრეტული მაგალითებიდან აქვე გვინდა მოვიხსენიოთ ალხანაშვილების ოჯახი, რომლის ეკონომიური დონე სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილზე ყოფნისას სხვადასხვაგვარი რყო. ქარუმა ღანიშის ძე ალხანაშვილის (დაბ. 1907 წ.) ცნობით, მის პაპას, მამას და სამ ბიძას გაუყრელად უცხოვრიათ სოფ. ჩხატანაში. ერთ სახლში თითოეულ ძმას ჰქონია თითო ოთახი. პირი ოჯახს საკმარისი ვერ მოჰყავდა და მას ყიდულობდა დუისში ან ჯოყოლოში მსხვილფეხა საქონელი ცოტა ჰყოლიათ, ხოლო მათი ცხვრის ფარა 3000 სულს ითვლიდა თურმე. ცხვარს ზაფხულობით ადგილობრივ მთებში აბალახებდნენ, ხოლო ზამთრობით მიერეკებოდნენ შირაქსა და შირვანში.

მამა-ბიძების გარდაცვალების შემდეგ ქარუმა და მისი სამი ბიძაშვილი სოფ. ჩხატანადან ბარად ჩამოსულან და სოფ. ომალოში ცალ-ცალკე ოჯახებად დასახლებულან. აქ მათი სამეურნეო პირობები არსებითად შეცვლილა, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოიხატა მეცხვარეობის შემცირებაში. ამ ცვლილების დასანახად საკმარისია გაეცნოთ ქარუმას ოჯახის ქონებას. ომალოში დამკვიდრებისას მის დოვლათს შეადგენდა ერთი ხის სახლი, ხუთი დღიური სასოფლო ფონდიდან მიზომილი მიწა, რამდენიმე დღიურის ახო, ერთი ცხენი, ერთი ხარი, სამი ძროხა, და 30-მდე სული ცხვარი. შემდეგ მას საკარმიდამო ფართობზე ბალ-ბოსტანიც გაუშენებია.

ანალოგიური ხასიათის ფაქტებს ჩვენ აქ აღარ შევეხებით. ცალკეული ოჯახების შესახებ წარმოდგენილი მასალები საკმარისი უნდა იყოს იმის საილუსტრაციოდ, რაც ჩვენ დავინახეთ პანკისელი ქისტების სამეურნეო ყოფის ზოგადი მიმოხილვისას. ორივე ამ სახის მასალა

იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ ქისტების ტრადიციულ საქმიანობას მათი აქ დასახლების დღიდან წარმოადგენდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, ხოლო სხვა სახის საარსებო წყაროების ზრდა შემდეგომში ხდებოდა ქართველებისაგან შეთვისებული მებაღეობა-მებოსტნეობით და რიგი დამხმარე საქმიანობით, რომელთა შესახებაც ზემოთ უკვე ითქვა. კონკრეტული მონაცემების მიხედვით ერთხელ კიდევ დასტურდება ზემონათქვამი იმის შესახებაც, რომ მეურნეობის ამ ძირითადი დარგებიდან წამყვანი ადგილი ეჭირა მიწათმოქმედებას, რომელზედაც დამოკიდებული იყო მესაქონლეობის განვითარებაც. ამის მტკიცების საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ აღწერილი ოჯახების უმრავლესობიდან საქონელიც იმას ჰყავდა მეტი, რომელიც მეტ სამეურნეო ტერიტორიას ამუშავებდა. ამგვარი შეფარდების დარღვევა პანკისის ხეობის ბარში იშვიათად ხდებოდა, როდესაც ზოგერთი ოჯახი საქონელს დიდი რაოდენობით მოაშენებდა და მის გამოსაკვებად იყენებდა საზამთრო საძოვრებს, საკუთარ რესურსებს და მეზობლებისაგან შესყიდულ ჩალა-თივას.

როდესაც აღვნიშნავთ მიწათმოქმედების წამყვან როლს პანკისელთა მეურნეობაში, მხედველობაში გვაქვს ხეობის ბარი, რომელიც წარმოადგენდა და, მით უფრო დღეს წარმოადგენს, ქისტების კომპაქტურ სამოსახლო და სამეურნეო ტერიტორიას. ამის გარდა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გასულ საუკუნეში მოსახლეობის მცირე ნაწილი ბინადრობდა ხეობის სათავეებშიც, რომელიც ხასიათდება მთური სამეურნეო პირობებით. ამის გამო აქ უკვე მეურნეობის დარგებს შორის ბარისაგან განსხვავებულ შეფარდებას ჰქონდა აღგილი. მეურნეობის წამყვან დარგს აქ წარმოადგენდა მესაქონლეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა, რომლის განვითარებას ხელს უწყობდა ფართო საძოვრების არსებობა. ამ ვითარებაზე მიგვითითებენ ნთხრობლები აღნიშნული ადგილების ზოგადი დახასიათებისას და იგივე მდგომარეობა რელიეფური სიცხადით მოწმდება ზემოთ აღწერილი ზოგიერთი ოჯახის მიხედვითაც. როგორც წესი, მთაში ცხოვრების დროს ოჯახი გადაგებულია მესაქონლეობაზე, ხოლო იმავე ოჯახის ან მისი განაყრების ბარად ჩამოსახლებისთანავე მათი სამეურნეო პირობები და ეკონომიური მდგომარეობა არსებითად იცვლება. ეს კარგად დავინახეთ ალხანაშვილების მაგალითზე, რომლებიც ჩხატანადან ომალოში დასახლების შემდეგ მინიმუმამდე ამცირებენ ცხვრის რაოდენობას და აქტიურად ებმებიან ბარულ მეურნეობაში. ცათიაშვილების მაგალითიდანაც აშკარაა, რომ ჯერ თუშეთში, ხოლო შემდეგ სოფ. ხორეჯოში ცხოვრებისას მათი უმთავრესი საქმიანობა და ძირითადი საარსებო საშუალება იყო მესაქონლეობა.

ძირითადად ამგვარი სახისა იყო პანკისელი ქისტების საოჯახო მეურნეობა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. მართალია, საქონლის საკმაოდ დიდი რაოდენობა ჰყავდა ბარად მცხოვრებ ზოგიერთ ოჯახსაც, მაგრამ ამგვარი გამონაკლისების მიხედვით ზოგადი სურათის წარმოდგენა შეუძლებელია. პანკისელი ქისტების უმრავლესობას ჰყოლია 20, 30, 50 და უფრო იშვიათად 100 სული ცხვარი, რომლის გამოკვებას ახერხებდნენ ადგილობრივ. ოჯახები ტყეში ფარეხს აკეთებდნენ და მსხვილფეხა საქონელთან ერთად თავიანთ ცხვარსაც ნეკერით კვებავდნენ. რაც შეეხება თითო-ოროლა ოჯახს, რომელსაც 100 სულზე მეტი ცხვარი ჰყავდა, ისინი ზამთრობით შირაქში, აზერბაიჯანის ველებზე ან ჩაჩნეთის მინდვრებზე მიდიოდნენ. ასეთ მთა-ბარობაში განსაკუთრებით გაწაფული ყოფილან პანკისის ხეობის სათავეებში მცხოვრები ისეთი ოჯახები, როგორსაც გავეცანით ცათიაშვილებისა და ალხანაშვილების მაგალითზე.

განხილული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ შეძლებული მეცხვარეები, ისევე როგორც სხვებზე მეტი მსხვილფეხა საქონლისა და სამეურნეო ნაკვეთების მფლობელი ოჯახები, პანკისის ხეობაში მოსახლეობის უმნიშვნელო პროცენტს შეადგენდნენ. მთხრობლების ჩვენებათა მიხედვით, ბარად საშუალო შეძლების მქონე ოჯახის დოვლათს შეადგენდა ყველასათვის ერთნაირად კუთვნილი ხუთი დღიური მიწა, დაახლოებით ამდენივე ახო, ერთი-ორი ცხენი, უღელი ხარი, ხუთი ძროხა, 30-მდე ცხვარი და ოროთახიანი ფიცრული თავისი სამეურნეო სათავსოებითა და გომურით. რაც შეეხება ხეობის ზედა წელს, აქ საშუალო ოჯახის ქონებაში შედიოდა: ერთი სახლი ორი ოთახითა და ბოსლით, ორი-სამი დღიური სახნავი, ათამდე ძროხა, 150-200 ცხვარი, უღელი ხარი, ორი-სამი ცხენი და ამ მსხვლფეხა საქონლისთვის საკმარისი თივის სათიბი ადგილები.

ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ოჯახის არსებობა პანკისის ხეობაში ემყარებოდა მრავალდარგოვან მეურნეობას, რომელთაგან მიწათმოქმედებას წამყვანი ადგილი ეჭირა დასახლების ძირითად რაიონში (ბარში), ხოლო მთის შედარებით მცირერიცხოვან მოსახლეობაში ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მესაქონლეობა. მეურნეობის წამყვან დარგებთან ერთად ოჯახის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა შედარებით გვიან დაწინაურებული მებაღეობა-მებოსტნეობა, ხე-ტყის დამუშავება, ტრანსპორტის გაქირავება და ბოლოს ზოგიერთი ოჯახის შემოსავლის დამატებით წყაროდ გვესახება მინდი (საწისქვილო ქირა), შინამრეწველობა (ქუდების კერვა) და ვაჭრობა (დუქნის გახსნა).

აღნიშნული ვითარება პანკისის ხეობის ქისტთა სამეურნეო ყოფაში არსებითად შეიცვალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან. თანამედროვე ქისტების საოჯახო მეურნეობა აწყობილია საკოლმეურნეო წესდების შესაბამისად.

* * *

როგორც ზემოთ დავინახეთ, პანკისელი ქისტების ყოფისათვის დამახასიათებელი იყო ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრების წესი. ასეთი ოჯახები აქ ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ იმ მხრივ, რომ ზოგი მათგანი იყო მცირერიცხოვანი და ზოგიც მრავალრიცხოვანი. ოჯახის სულად შემადგენლობაზე კი რამდენადმე იყო დამოკიდებული მისი მმართველობისა და შრომის ორგანიზაციის ბასიათი. თუ ოჯახი შედგებოდა მხოლოდ მშობლებისა და მცირეწლოვანი შვილებისაგან, ბუნებრივია ოჯახის ხელმძღვანელობაც და შრომაც მხოლოდ მშობლებს ეკისრებოდათ, ვიდრე ბავშვები წამოიზრდებოდნენ და ისინიც რაიმე სახის საქმიანობას შეძლებდნენ. ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც მშობლები და მათი სრულწლოვანი შვილები ამ უკანასკნელთა დაცოლშვილებამდე ან დაცოლშვილებიდან კიდევ რამდენიმე წლით მაინც ერთ ჭერქვეშ იცხოვრებდნენ, მათ შორის ფუნქციების განაწილების შესაძლებლობაც იქმნებოდა და ოჯახის მმართველობის სფეროშიც უფროს-უმცროსობის პრინციპი შედარებით გამოკვეთილ სახეს ღებულობდა.

ოჯახის წევრთა შორის ფუნქციების განაწილება აქ არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი, როგორსაც ჰქონდა ადგილი საოჯახო თემის შიგნით, მაგრამ ვინაიდან მრავალსულიან ინდივიდუალურ ოჯახშიც ადამიანების უფლება-მოვალეობათა ნორმები გამიჯნული იყო სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით, ხოლო ეს ნიშანი განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო დიდი ოჯახისათვის, უნდა ვიფიქროთ, რომ ქისტის ინდივიდუალურ ოჯახს ეს ტრადიცია უანდერძა დიდმა ოჯახმა.

იმისათვის რომ დავინახოთ პანკისელი ქისტების საოჯახო ყოფის ეს მხარე, საჭიროდ მიგვაჩნია გავეცნოთ ფაქტობრივ მასალას ზოგიერთი ოჯახის მაგალითზე. პირველ რიგში, აქ შეიძლება დავასახელოთ ცათიაშვილების მრავალსულიანი ოჯახი, რომლის შემადგენლობასაც ზემოთ გავეცანით.

მაშინ როდესაც თუნგო, ხუტი და მათი მამა ცათიეშ თუშეთში გაუყრელად ცხოვრობდნენ, ოჯახს მეთაურობდა[23] ცათიეშ. მისი გარ-

---

[23] ოჯახის ხელმძღვანელს ქისტურად ეწოდება წ ი ი ნ დ ა ანუ წ ე ნ დ ა. უსუფ მარგოშვილის განმარტებით, წენდა სიტყვასიტყვით ნიშნავს სახლის მამას-

დაცვალების შემდეგ ოჯახს სათავეში ჩასდგომია უფროსი შვილი თუნგო. თუნგოსა და ხუტის მრავალსულიანი ოჯახის გაყრის შემდეგ თითოეული მათგანი საკუთარი ოჯახის ხელმძღვანელი გახდა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც თუნგოს შთამომავლობა სამად გაიყო, თუნგო დარჩა ძირეული ოჯახის მეთაურად, ქუშაგი ცალკე გამოვიდა, ხოლო ქუირდის ოთხი ვაჟის დამოუკიდებლად გამოყოფილი ოჯახის ხელმძღვანელობა წილად ხვდა ამ ოთხ ძმას შორის უფროსს ლაზარეს.

თუნგოს გარდაცვალების შემდეგ ერთად მყოფი შვიდი ძმის (გეგის შვილების) ოჯახს სათავეში მოექცა არა სულ უფროსი ძმა დიბა, არამედ მისი მომდევნო ძმა ბათუ, როგორც უფრო ენერგიული და უნარიანი კაცი. ამ ოჯახის დიაბასლისად იმყოფებოდა ბათუს მეუღლე აჩეი, რომელსაც საამისო მომზადებაც ჰქონია და ყველა სხვა რძალზე ადრე მოყვანილიც ყოფილა.

ცათიაშვილების ოჯახში კარგად იყო დაყენებული შრომის ორგანიზაციის საქმე, რაც ნათლად ჩანს ერთად მცხოვრები შვიდი ძმის მაგალითზე. იმასთან ერთად, რომ საჭირო შემთხვევაში ისინი კო-

---

ასევე სახლის ბმის ანუ ოჯახის უფროსის აღმნიშვნელია წიონდა. ოჯახის უფროსის აღსანიშნავად იხმარებოდა აგრეთვე წ ი ი ნ ვ ო ჯ უ ხ სახლის უფროსი, ოჯახის უფროსი). ამ უკანასკნელ სახელწოდებაში იგულისხმებოდა ოჯახის უხუცესი წევრი, რომელიც შეიძლება არც ყოფილიყო ოჯახის ფაქტიური ხელმძღვანელი.

იმავე მთხრობლის ცნობით, ქისტურად დიასახლისს ერქვა წ ე ნ ა ნ ა ანე წ ი ი ნ ა ნ ა, რაც სიტყვასიტყვით ქართულად გამოდის სახლის დედა.

როგორც ვხედავთ, ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში სოციალური ტერმინის შინაარსის განმსაზღვრელია სახლის ან კერის სახელწოდება, რამდენადაც ქისტურად სახლს (და ოთახსაც) ეწოდება წ ა, ხოლო კერას (წუაცეცხლი) ერქვა წ ე. ქისტური წ ა და წ ე ისეთივე მნიშვნელობის ტერმინებად გვესახება, როგორც ქართული სახლი და კერა. თუ ქართულში სახლი საცხოვრებელ ნაგებობასთან და ოჯახის სამყოფ ოთახთან ერთად ოჯახის ან უფრო დიდი სოციალური ერთეულის აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა (იხ. ი ე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, თბილისი,1928, გვ. 141—142. 147—148; მ ი ს ი ვ ე, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1946, გვ. 9, 13, 22, 25; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, თბილისი, 1949, გვ. 131—133), ქისტურშიც წ ა (სახლი) და წ ე (კერა) ასევე ოჯახის აღმნიშვნელ ცნებებს წარმოადგენდნენ. ამიტომაა, რომ ოჯახის უფროსისა და დიასახლისის ქისტური სახელწოდებებიც უშუალოდ დაკავშირებულია ზემოხსენებულ ტერმინებთან.

ვინაიდან ოჯახის უფროსისა და დიასახლისის ქისტურ სახელწოდებაში განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე იყო სახლის ან კერის სახელწოდება, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ოჯახის ადრინდელი სახელწოდებაც ყოფილიყო წ ა და არა დ ი ე ძ უ ლ, ისევე, როგორც ასეთივე სიძველის მანიშნებელია ქართული ტერმინი სახლი.

ლექტიურად საქმიანობდნენ, თითოეულმა მათგანმა იცოდა თავისი ძირითადი მოვალეობა, რომელზედაც პასუხისმგებლობა უშუალოდ მას ეკისრებოდა. სულ უფროსი ძმა დიბა ითვლებოდა შინაკაცად (წ ე ე რ ს ა გ)[24], რომელიც ძირითადად ჩაბმული იყო მიწათმოქმედებაში და მისდევდა მჭედლობასაც. ასევე შინაკაცი იყო ბათუ, რომელსაც ევალებოდა საქონლის მოვლა-პატრონობა, ხოლო მესამე ძმა ზურაბი იყო სარქალი[25]. მასთან ერთად ცხვარს მწყემსავდნენ ძუიზი და თუთახ. რაც შეეხება აბოლასა და გიგოს, მათ შესახებ მთხრობელს აღარაფერი უთქვამს, ვინაიდან ისინი შედარებით ადრე გარდაცვლილან და მათ აღარ დასცალდათ ხანგრძლივი მონაწილეობა ძმებთან ერთობლივ შრომა-საქმიანობაში.

უფროს-უმცროსობისა და უნარის მიხედვით იყო განაწილებული ფუნქციები მარგოშვილების ოჯახის წევრებს შორისაც. როდესაც დაადა და ადო ერთად ცხოვრობდნენ, ოჯახს ხელმძღვანელობდა მათი მამა მაჰმადა. ამათი გაყრის შემდეგ ერთი ოჯახის მეთაური გახდა დაადა, ხოლო მეორისა ადო. ადოს მეუღლე იყო დიასახლისი. რაც შეეხება ოჯახის წევრთა ძირითად პერსონალურ მოვალეობას, ადო ჩაბმული იყო მიწათმოქმედებაში, მისი უფროსი ვაჟი დიბა, რომელიც დაქორწინების შემდეგ ცალკე დაბინავდა, მეცხვარეობას მისდევდა, კოსტა საქონელს პატრონობდა, აპა ცხენებს უელიდა და ბოჩოლებს მწყემსავდა, ხოლო ძმებს შორის ყველაზე უმცროსი უსუფი ასრულებდა საუმცროსო საქმეს — მინდვრად მომუშავე ძმებს საჭმელ-სასმელით ამარაგებდა.

როგორც ზემოთ ითქვა, ცოსკარა ტობოსაშვილისა და მისი სამი ვაჟის ერთად ყოფნა გაგრძელდა მხოლოდ ცოსკარას შვილების დაქორწი-

---

[24] შინამეურნეობაში ჩაბმული კაცის აღსანიშნავად ქისტურში წეერსაგის პარალელურად იხმარებოდა აგრეთვე წ ი ი ნ ღ უ ლ უ ჯ დ ი ი რ გ (სიტყვასიტყვით: სახლის საქმის გამკეთებელი). ორივე ეს სახელწოდება დაკავშირებულია სახლის ან კერის ქისტურ სახელწოდებასთან, ისევე, როგორც ეს დაკინახეთ ოჯახის უფროსისა და დიასახლისის მაგალითზე. ქისტური წ ე ე რ ს ა გ ისევე ნათლად გამოხატავს შინამეურნეობაში ჩაბმული კაცის ფუნქციას, როგორც ქართული შ ი ნ ა კ ა ც ი.

[25] უსუფ მარგოშვილის განმარტებით, მწყემსების ხელმძღვანელად გამოყოფილ ყველაზე გამოცდილსა და მეცხვარეობის მცოდნე პირს ჩაჩნურად ერქვა ძ უ ი ე ო ჯ უ ხ (მწყემსების უფროსი) ანდა ნ ა ე დ ა რ ვ ო ჯ უ ხ (ბინის უფროსი). მთხრობლისავე ჩვენებით, ქისტებმა ეს სახელწოდება შეითვისეს ქართულიდან და თავიანთ მეტყველებაშიც სარქალს ხმარობენ. საერთოდ კი უფროსი მწყემსის აღმნიშვნელი ეს სახელწოდება ქართულში შემოვიდა სპარსულიდან. სპარსული ს ა რ ქ ა რ ი ნიშნავს „უფროსს“, „ზედამხედველს“ (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI, თბილისი, 1960, გვ. 788).

ნებამდე. ამ ხნის განმავლობაში ოჯახს მეთაურობდა ცოსკარა, ხოლო დიასახლისობდა მისი მეუღლე, რომლის გარდაცვალების შემდეგ დიასახლისობა წილად ხვდა უფროსი შვილის ჩიღას ცოლს. სხვა შესაძლებლობა არც არსებობდა. ვინაიდან ცოსკარას მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ოჯახში ერთადერთი ქალი იყო ჩიღას ცოლი, რაც შეეხება მამაკაცთა საქმიანობას, ოჯახის გაყრამდე ცოსკარას მუშაობაზე ხელი აუღია დაუძლურების გამო. როგორც მისმა შვილმა ხაწემ გვითხრა, ის ჭამისა და მეზობლებთან მუსაიფის მეტს ვეღარაფერს აკეთებდა და ოჯახს ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ჩიღა. მისსავე პერსონალურ მოვალეობას შეადგენდა საქონლის ბოვლა-პატრონობა. საქონლის მოვლაში ჩიღას ეხმარებოდა უმცროსი ძმა მაჰმადა, რომელიც ძირითადად ხვნა-თესვას ეწეოდა. საშუალო ძმა ხაწე კაპრობას მისდევდა, ხოლო სახლში ყოფნის დროს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაშიც მონაწილეობდა.

ტოხოსაშვილების ოჯახთან შედარებით უფრო დიდხანს ერთად მცხოვრები ქავთარაშვილების ოჯახის მეთაური თავდაპირველად იყო ძუსა, რომლის გარდაცვალებიდან ერთხანს გაუყრელად მყოფი მისი შვილებიდან ეს მოვალეობა გადავიდა უფროსი შვილის ქასას ხელში. ქასა ითვლებოდა შინაკაცად და მიწათმოქმედებას მისდევდა, ხოლო მისი ძმები — დაქა და გიო ცხვარში დადიოდნენ. თავის ცხვართან ერთად ისინი მწყემსავდნენ სხვების ცხვარსაც სამწყემსოს ალების პირობით.

თუ ტოხოსაშვილების ოჯახში მამის ფუნქციები შვილის ხელში გადავიდა მამის გარდაცვალების შემდეგ, სამაგიეროდ სოფ. ჯოყოლოში მცხოვრები ცისკარაშვილების ოჯახში ეს მოხდა მამის სიცოცხლეში მისივე ინიციატივით. როდესაც დავითის უფროსი შვილი ბოლეი დაეაქკაცდა, ოჯახის უფროსობა დავითს მისთვის გადაუბარებია, დიასახლისი იყო დავითის მეუღლე საათა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ეს საქმე დაავალეს ბოლეის ცოლს. ოჯახის დანარჩენი წევრებიდან ბოლეის მომდევნო ძმა ღანიშა იყო გუთნის დედა, ღანიშას უმცროსი ცოსკარა საქონელს უვლიდა, დაქა და აპო ცხვარში დადიოდნენ, ხოლო ხუთი შვილის მამა დავითი წისქვილს პატრონობდა და მინდს იღებდა.

ვინაიდან ეს ოჯახი ძმების დაქორწინების შემდეგ გაიყარა და ხუთ ძმასთან ერთად ხუთი რძალიც ერთ ჭერქვეშ იმყოფებოდა, ქალების შრომაც ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. მათი საერთო ხელმძღვანელი იყო ბოლეის მეუღლე, როგორც დიასახლისი, რომელსაც ამავე დროს ევალებოდა პროდუქტების ხარჯვა. დანარჩენი რძლები მორიგეობით აცხობდნენ პურს, ზიდავდნენ წყალს, დადიოდ-

ნენ წისქვილში, იცავდნენ სისუფთავეს და ა. შ. ყველა მათგანის მოვალეობას შეადგენდა მამაკაცების მოვლა, ბავშვების აღზრდა, კერა და ქსოვა. ქსოვილსა და ტანსაცმელს ამზადებდნენ საშინაოდ, ხოლო ამასთან ერთად კერავდნენ ქუდებს და ყიდდნენ ალავერდსა და თელავში. ქუდების შესაძენად პანკისის ხეობაში უველაზე ადრეთვე თბილისელ სომხებს[26].

ზემოთ განხილული ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ოჯახის მართვისა და შრომის ორგანიზაციის საქმეში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც ადამიანის სქესსა და ასაკს, ისე მის უნარს. ჩვენ აქ გავიმეორებთ ზემოთქმულს იმის შესახებ, რომ აღნიშნული ვითარება ძირითადად დამახასიათებელი იყო ქისტის მრავალსულიანი ოჯახისათვის, რომელმაც სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით მართვის ტრადიცია მემკვიდრეობით მიიღო დიდი ოჯახისაგან. ამ ნიშნის გარეშე შეუძლებელიც იქნებოდა ამგვარი ოჯახის არსებობა, ვინაიდან ხანმოკლე დროით მაინც ერთ ჭერქვეშ უხდებოდათ ცხოვრება სხვადასხვა წლოვანებისა და სქესის ადამიანებს. რომელთა დასაქმება უნდა მომხდარიყო მათი შესაძლებლობისა და საოჯახო ინტერესების დაცვის შესაბამისად, ხოლო ამ მხრივ მოსალოდნელი შედეგები ბევრად იყო დამოკიდებული ოჯახის უფროსის გადაწყვეტილებაზე. ყოველივე ამის გამო ოჯახის უფროსად ყოფნა გაპირობებული იყო არა მარტო მისი ხნოვანებით, არამედ ხელმძღვანელობის უნარითაც. რაც დავინახეთ ზემოთ განხილული ,შაგალითებიდანაც. ოჯახის მართვაში ასაკის უგულებელყოფას ადგილი ჰქონია ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხნიერ კაცს დაკარგული ჰქონდა ხელმძღვანელობის უნარი[27]. საერთოდ კი ოჯახში ადამიანის პრიორიტეტის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენდა წლოვანება, რის შესახებ მითითებულია გასული საუკუნის ლიტერატურაშიც. როგორც მ. მაჩაბელი წერს, თიანეთის მაზრაში, სადაც ქართველებთან ერთად შედიოდნენ პანკისელი და მაისტელი ქისტებიც, ოჯახის მართვა მინ-

---

[26] ზაქარია გულისაშვილსაც შენიშნული აქვს, რომ ქისტი ქალი მძიმე შ რომით იყო დატვირთული. ის მუშაობდა მინდვრად, კერავდა ტანსაცმელს, თელავდა ნაბდებს, ამზადებდა ქუდებს საშინაოდ თუ გასაყიდად. ზ. გულისაშვილის ჩვენებით, ქალი კახეთში ყოველ წელს ყიდდა 5—6 თუმნის ქუდებს (შ ა ქ რ ო, პანკისის ხეობა, გაზ. „ივერია", 1887, № 21).

[27] ქისტური ოჯახის მმართველობის ამგვარი ორგანიზაციის შესახებ შენიშნული იყო XIX საუკუნის პრესაში: „ქისტური ოჯახი მამათ-მთავრულია, სადაც უფროსს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ უფროსობა აქ ერთს არ ეკუთვნის, არამედ უფრო საოჯახო რჩევას, რომელიც ზოგჯერ წლოვანებით უფროსს უნიჭობის გამო საოჯახო საჭიროს მოვლას ჩამოართმევს და უმცროსს ჩააბარებს ხოლმე" (შ ა ქ რ ო, პანკისის ხეობა, გაზ. „ივერ ია", 1887, № 21).

დობილი ჰქონდათ უფროს წარმომადგენლებს — დედ-მამას ან პაპასა და ბებიას. ოჯახის უფროსი მამაკაცის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ მინდვრად, უვლიდნენ საქონელს, მისდევდნენ ვაჭრობას. ის როგორც ოჯახის წარმომადგენელი, ითვლებოდა პასუხისმგებელ პირად სოფლის საზოგადოებაში. მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახს სათავეში უდგებოდა უფროსი ძმა. საქალებო მეურნეობის ორგანიზატორი იყო ხნიერი დედაკაცი, უმთავრეს შემთხვევაში ოჯახის უფროსის მეუღლე. ოჯახის უფროსისა და დიასახლისის ძალაუფლება ძალაში იყო ოჯახის გაყრამდე[28].

ოჯახის წევრთა უფლება-მოვალეობის სფეროში რომ ასაკს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ეს ვლინდებოდა თვით ოჯახის ხელმძღვანელად ხნით უმცროსი კაცის გამოყოფის ქისტურ ჩვეულებაში. როგორც ზემოთ განხილული ეთნოგრაფიული მასალიდან დავინახეთ, ეს ხდებოდა ოჯახის ყოფილი მმართველის ინიციატივით. რაც ხნით უფროსის პრიორიტეტის არსებობის მაჩვენებელია. მისი გადაწყვეტილება გამომდინარეობდა ოჯახის ეკონომიურ კეთილდღეობის ინტერესებიდან, ხოლო რამდენადაც ეს გადაწყვეტილება შეუცვლელი იყო, ამდენად სრული საფუძველი გვაქვს აღვნიშნოთ, რომ ხნით უფროსი კაცის პრიორიტეტი დაცული იყო იმის შემდეგაც, რაც ის ხელმძღვანელობას თავს ანებებდა.

ქისტის ოჯახში მოხუცი რაც არ უნდა დაუძლურებული ყოფილიყო, ოჯახის ახალგაზრდა ხელმძღვანელი თავს უფლებას არ აძლევდა მასთან დათათბირების გარეშე გადაეწყვიტა რაიმე საკითხი. მით უფრო დაუშვებლად ითვლებოდა მისდამი უყურადღებობა ოჯახის სხვა წევრების მხრიდან. ისევე როგორც სხვა კავკასიელი მთიელების, პანკისელ ქისტთა საოჯახო ურთიერთობის ერთ-ერთ ყველასთვის ადვილად დასანახ თავისებურებას წარმოადგენდა მოხუცისადმი უაღრესად დიდი პატივისცემა და მოკრძალება. მას განსაკუთრებით დიდ ანგარიშს უწევდნენ მეზობლებთან ურთიერთობის (საძოყვრო თუ სამტრო საქმეების მოწესრიგების) სფეროში. ქისტური ეტიკეტი მოითხოვდა ფაქიზად ყოფილიყო დაცული უფროს-უმცროსობის მამაპაპური ჩვეულება როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში. ქისტის თვალში საზოგადოების უღირს წევრად ითვლებოდა ის ახალგაზრდა, რომელიც მოხუცებთან ახლოს დაჯდებოდა, მათ პატივს არ სცემდა ფეხზე ადგომითა და მოკრძალებით, არ მოერიდებოდა მათთან ზედმეტ ლაპარაკს და ა. შ.

---

[29] М. Мачабели, დასახ. ნაშრომი, გვ. 397—398.

განსაკუთრებით დიდ თავხედობად და ადათობრივი ნორმების უხეშ ხელყოფად ეთვლებოდათ ოჯახის ახალგაზრდა წევრებს მოხუცის სკამზე დაჯდომა. სხვა კავკასიელი მთიელების მსგავსად, ქისტებშიც მოხუცის საპატიო მდგომარეობის ატრიბუტს წარმოადგენდა ჩუქურთმით დამშვენებული ზურგიანი სავარძელი, რომლის მნიშვნელობაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და მხოლოდ იმის აღნიშვნას დავჯერდებით, რომ ქისტის ოჯახში ამგვარ სკამზე ჯდებოდა უხუცესი კაცი, სულ ერთია ის ხელმძღვანელობდა ოჯახს თუ არა. ოჯახის ახალგაზრდა ხელმძღვანელი ამ სკამზე ჯდომის უფლებით არ სარგებლობდა. ამას ის მიაღწევდა მხოლოდ მოხუცის გარდაცვალების შემდეგ. აღნიშნული წესი იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ ზურგიან სავარძელზე ჯდომის უფლება დაკავშირებული იყო ასაკთან, ხოლო ეს ფაქტორი თავის მხრივ იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ქისტების წინაპრებში ოჯახს მართავდა უსათუოდ უხუცესი კაცი, რომლის უფლებრივ ატრიბუტსაც საგანგებოდ მისთვის ვანკუთვნილი სკამი წარმოადგენდა. დროთა ვითარებაში ქისტების საოჯახო ყოფა შეიცვალა, მათი წინაპრებისათვის ადრე ცხობილი საოჯახო თემი მოისპო და ოჯახის მმართველობის სისტემაშიც ასაკობრივ პრინციპს ბზარი გაუჩნდა. მაგრამ რაკი მოხუცისადმი თაყვანისცემა ძალაში დარჩა, ხოლო წარსულში ოჯახს უსათუოდ უხუცესი მეთაურობდა და ზურგიანი სავარძელიც მას ეკუთვნოდა, შემდეგში, როდესაც ოჯახის ხელმძღვანელად ხნით უმცროსი კაცის დანიშვნაც დასაშვებად იქნა მიჩნეული, ეს უკანასკნელი მოკვეველინა ოჯახის პრაქტიკულ მეთაურად, ხოლო უხუცესი კაცი დარჩა ტრადიციის მედროშედ. ასეთი მდგომარეობის კაცს, რასაკვირველია, ვერ შეჰკადრებდნენ იმ სკამის წართმევას, რომელიც ითვლებოდა მამაპაპური ტრადიციების სიწმინდისა, ოჯახის სინდისისა და უხუცესისადმი პატივისცემის ემბლემად.

უხუცესის სავარძელი იდგა კერის ან ბუხრის მარჯვნივ. იმავე მხარეზე მუთაქებზე ისხდნენ დანარჩენი მამაკაცები. რაც შეეხება ქალებსა და ბავშვებს, ისინი გათბობის მიზნით მამაკაცებისაგან ზურგშექცევით სხდებოდნენ მუთაქებსა და ნაბდებზე.

სქესისა და ასაკის შესაბამისად ხდებოდა ქისტის ოჯახში პურის ჭამაც. ამ შემთხვევაშიც კაცები ცალკე ჭამდნენ, ხოლო ბავშვები და ქალები ცალკე. ასეთსავე წესს იცავდნენ სტუმრიანობის დროსაც. ოჯახს რომ ცოლ-ქმარნი სტუმრებოდნენ, კაცს კაცებთან მიუჩენდნენ ადგილს, ხოლო მის მეუღლეს ქალებთან. თუ ოჯახს მხოლოდ მამაკაცები ესტუმრებოდნენ, ქალები გადიოდნენ მეორე ოთახში და

თავისთვის იქ გაბურებდნენ ბუხარს. როგორც ოჯახის წევრთა შორის, ისე სტუმრიანობის შემთხვევაში მოხუცს ყველაზე საპატიო ადგილს უთმობდნენ.

ქისტების საოჯახო წესრიგი და სტუმრების მიღების ჩვეულება სრულ მსგავსებას ამჟღავნებს ჩაჩნებისა და ინგუშების შესაბამის წეს-ჩვეულებებთან, რასაც ჩვენ უკვე გავეცანით. ამიტომ შესაძლებლად მიგვაჩნია აღნიშნულ საკითხზე ზეპონათქვამით დავკმაყოფილდეთ და მხოლოდ იმ გარემოებაზე მივუთითოთ, რომ ქისტების საოჯახო ყოფაში ამასთან ერთად დადასტურდა ზოგიერთი ისეთი ჩვეულებაც, რომელიც განსხვავდებოდა როგორც ნახების მაშაპაპური, ისე მთიელი ქართველების ჩვეულებისაგან. ამ მხრივ საყურადღებოა თუნდაც საუფროსო სკამზე ჯდომის უფლება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახლში მოხუცის ყოფნის დროს ამ სკამზე არავინ არ ბედავდა დაჯდომას, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მისი სხვაგან წასვლის შემთხვევაში ამ სკამზე დაჯდომა არა თუ კაცებს, არამედ ქალებსაც არ ეკრძალებოდათ, მაშინ, როდესაც ქართველი მთიელები და მთიელი ნახები საუფროსო სავარძელთან ქალის ახლო მიკარებასაც კი დაუშვებლად მიიჩნევდნენ.

ქისტის ოჯახში არსებული ასეთი დიდი შეზღუდვების შემსუბუქებაში შესაძლებელია სათანადო როლი შეასრულა ბარელ ქართველთა ყოფის გავლენამ. მართალია, ქისტები დღემდე ინარჩუნებდნენ ნახებიდან მოტანილ მამაპაპურ წეს-ჩვეულებებს, მაგრამ ქართულ გარემოში რამდენიმე ოცეული წლის განმავლობაში ცხოვრების შედეგად მათ ბევრი ქართული ჩვეულებაც შეითვისეს. ყოფითი ელემენტების ასეთი სინთეზის შედეგად მათ ცხოვრებაში დამკვიდრდა ზოგიერთი ისეთი ტრადიცია, რომლის ფორმირება შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ სამოსახლო ტერიტორიის და ეთნიკური გარემოს გამოცვლის პირობებში. ქისტის ოჯახში დანერგილ ერთ-ერთ ასეთ მოვლენად მიგვაჩნია ჩვეულება, რომლის მიხედვით ქისტის ქალს შეეძლო დამჯდარიყო უხუცესის სკამზე ისეთ შემთხვევაში, როდესაც უხუცესი სახლში არ იმყოფებოდა. ქისტი ქალის ამ უფლების მოპოვებაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა მეზობლად მცხოვრები კახელებისადმი მიმბაძველობას, რომელთათვისაც დამახასიათებელი არ იყო ისეთი ტრადიციული შეზღუდვები მამაკაცებისა და დედაკაცების უფლებრივი ურთიერთობის სფეროში, როგორსაც ჰქონდა ადგილი ქართველი მთიელების, ინგუშების თუ ჩაჩნების ცხოვრებაში. ასევე ბარელი ქართველების გავლენის შედეგი უნდა იყოს ისიც, რომ ქისტებში ურვადი გაცილებით მცირე ღირებულებისა იყო და ბევრად უმნიშვნელო როლს ასრუ-

ლებდა საქორწინო ურთიერთობის სფეროში, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა ჩაჩნეთ-ინგუშეთში. ამგვარი მოვლენები, რომლებიც დამახასიათებელი იყო არა მარტო საოჯახო ყოფისათვის, არამედ საერთოდ ქისტების საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, ქართულ ნიადაგზე ისევე განიცდიდნენ გარდაქმნასა და გარემოპირობების შესაფერისად განვითარებას, როგორც მეურნეობის ფორმები.

ოჯახის უფროსი მამაკაცებისადმი პატივისცემა ქალთა მხრიდან გამოიხატებოდა აგრეთვე ჩვეულებაში, რომელიც ითვალისწინებდა ურთიერთშორის უმძრახობას. ამ წესის დაცვა, პირველ რიგში მოითხოვებოდა პატარძალს, რომელიც ერთ-ორ წლამდე ხმას ვერ ამოიღებდა ვერც მამამთილთან და ვერც სხვა ხნიერ კაცებთან. ერთი წლის თავზე მამათილი რძალს სთხოვდა დალაპარაკებოდა და საჩუქრად ძროხას პირდებოდა. მამამთილი თავის დაპირებას ასრულებდა და რძალიც მასთან ლაპარაკს იწყებდა.

უფროს მამაკაცებთან რძლის დამოკიდებულებას ქისტურად ერქვა წ ე ჯ ა ა ბ ა რ, რაც ნიშნავს სახელის მალვას.

აღნიშნულ ჩვეულებასთან ერთად, რომელიც არაფრით არ განსხვავდებოდა ქართველ და კავკასიელ მთიელთა ყოფაში არსებული ასეთივე ჩვეულებებისაგან, ქისტებში წესად იყო მიღებული აგრეთვე ცოლ-ქმარს შორის სახელის მალვა სხვების თანდასწრებით. ისევე როგორც ქართველ და სხვა კავკასიელ მთიელთა ცხოვრებაში, ქისტებშიც ცოლ-ქმარნი ერთიმეორეს დაელაპარაკებოდნენ მხოლოდ მარტოდ დარჩენის შემთხვევაში.

ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უხუცესი კაცის ხელმძღვანელობით სრულდებოდა საოჯახო რიტუალიც. ქისტის ოჯახში საკულტო ადგილს წარმოადგენდა კერა ან ბუხარი, ე. ი. ის ადგილი, სადაც ცეცხლი ენთო. ქისტები, ისევე როგორც მათი წინაპრები (ჩაჩნები და ინგუშები) თუ მეზობელი ქართველები, ცეცხლისა და კერის მადლზე ფიცულობდნენ, ხოლო ყველაზე წმინდა საგნად თვლიდნენ საკიდელს,[29] რომელზედაც ხელი ჰქონდა გავლებული უხუცესს

---

[29] საკიდელისადმი ხალხის ამგვარი დამოკიდებულება შეუმჩნეველი არ დარჩენია ზაქარია გულისაშვილს, რომელმაც შაქროს ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ზემოხსენებულ წერილში აღნიშნა: „მეტად საპატიო ნივთია ქისტებში საკიდელი, რომელსაც ისინი „ძაგანს“ ეძახიან. თავი აღარ გამოეყოფა კარში იმ ოჯახის წევრს, რომელიც ან გაკიდის, ან როგორმე მოაშორებს თავისნთ ოჯახს საკიდელს. ბოლო დროსაც კი, როდესაც ქისტებმაც გაყრა შემოიღეს, საკიდელს მაინც ძველ ოჯახში არჩენენ“ (შ ა ქ რ ო, პანკისის ხეობა, გაზ. „ივერია“, 1867, № 21).

როგორც აქედან ჩანს, საკიდელი ითვლებოდა ოჯახის ერთობის ემბლემად. ამ ცნობიდან ისიც საყურადღებოა, რომ ოჯახის გაყრა ბოლო დროს შემოღებულ წესადაა აღიარებული. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ამ წესის შემოღებამდე ქისტები გაუყრელად ცხოვრობდნენ.

ბნიშვნელოვანი ლოცვის ფარმოთქმის მომენტში. აღნიშნული წესი სრულდებოდა როგორც ქრისტიანული სარწმუნოების არსებობის პერიოდში, ისე მაჰმადიანობის გავრცელების შემდეგ. ცეცხლის კულტთან დაკავშირებულ საოჯახო რიტუალზე არც ერთ ამ რელიგიას გავლენა არ მოუხდენია, რამდენადაც ცეცხლისადმი თაყვანისცემა ორივე ამ რელიგიის წინამორბედი წარმართული სარწმუნოებიდან მომდინარეობდა და ის ისევე ხანგრძლივად ინარჩუნებდა არსებობას, როგორც სხვა რომელიმე წინაქრისტიანული თუ წინამაჰმადიანური ტრადიცია.

დაახლოებით ასეთი ატმოსფერო სუფევდა ქისტის ოჯახის მმართველობისა და შრომის ორგანიზაციის სფეროში, რასაც ჩვენ ძირითადად გავეცანით მრავალსულიანი ინდივიდუალური ოჯახების მიხედვით. უფროს-უმცროსობის ტრადიცია ასევე ახასიათებდა მცირერიცხოვან ინდივიდუალურ ოჯახს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მრავალსულიან ოჯახში ადამიანების მიმაგრება სხვადასხვა საქმეზე ხერხდებოდა. მაგრამ მცირერიცხოვან ოჯახში, მშრომელთა უკმარობის პირობებში, შრომის დანაწილება შეუძლებელი იყო, რისთვისაც საოჯახო ტვირთია ზიდვა ძალაუნებურად ცოლსა და ქმარს უწევდათ. ასეთ ვითარებაში ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენდა კოლექტიური შრომის გამოყენება, რაც ხორციელდებოდა ხელმარტო ოჯახების შეამხანაგებით მეურნეობის ამა თუ იმ სფეროში. ხშირ შემთხვევაში ასეთივე ოჯახები განიცდიდნენ მუშა საქონლის ნაკლებობასაც. მიწის მოსახნავად კი აქ იყენებდნენ სამ-ოთხ უღელ ხარს, რომელთა ერთად შებმა შესაძლებელი იყო თითო-ოროლა ხარის პატრონი ოჯახების მიერ გამწევი ძალის გაერთიანებით. ბუნებრივია რომ ასეთ ვითარებაში ხდებოდა მუშახელის ერთობლივი შრომაც და ნაკვეთების მორიგეობით დამუშავება. კვირა დღეს ისინი ხარებს ახმარებდნენ სრულიად უხარო ოჯახებსაც.

ხენა-თესვაში ხარების დაზიარებასთან ერთად ხელმარტო ოჯახები ერთობლივად მონაწილეობდნენ სხვა ისეთი ხასიათის სამუშაოებშიც, რომელიც გამწევ ძალას არ საჭიროებდა.

ხელმარტო მეზობლების ასეთ შეთანხმებულ შრომას, რაც წარმოადგენდა თავის გატანის ერთადერთ რეალური საშუალებას, პანკისის ხეობაში ერქვა ჭელნაცვლივ მუშაობა ანუ ჭელმონაცვლეობა. ამის შესატყვისი ქისტური ტერმინის არსებობის დადასტურება ადგილზე ვერ მოხერხდა. როგორც ჩანს, ურთიერთდახმარების ეს წესი და მისი სახელწოდება ქისტებმა შეითვისეს ქართველებისაგან. ისიც საფიქრებელია, რომ აღწერილი ჩვეულების აღმნიშვნელი ქისტური სახელწოდება ადრე არსებულიყო და დავიწყებას იყოს მიცემული.

* * *

ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების ქისტური წესის შესახებ ლიტერატურაში სათანადო ცნობები არ მოგვეპოვება. ამ საკითხს გაკვრით შეეხო მხოლოდ მ. მაჩაბელი. როგორც მან აღნიშნა, თიანეთის მაზრაში მცხოვრები თუშებისა და ხევსურების მსგავსად ქისტები (იგულისხმებიან როგორც პანკისელი, ისე მაისტელი ქისტები — ვ. ი.) ოჯახის გაყრის დროს ყოველგვარი სახის ქონებას ყოფდნენ ძმებზე. გასათხოვარ დებს არაფერს არ აკუთვნებდნენ. გათხოვებისას მათ ეძლეოდათ მხოლოდ ორ-ორი კაბა. ოჯახის გაყრამდეც მის წევრებს პირად საკუთრებაში ჰქონდათ მარტოოდენ ტანსაცმელი და იარაღი. კერძო საკუთრების უფლებით ოჯახის არც ერთი წევრი არ სარგებლობდა[30].

ლიტერატურული წყაროების ასეთი სიმწირის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საველე ეთნოგრაფიულ მასალას, რომელზე დაყრდნობითაც შეეეცდებით დასმული საკითხის გაშუქებას შეძლებისდაგვარად.

როგორც ქისტური ოჯახის შემადგენლობის გაცნობისას დავინახეთ, რამდენიმე თაობის ერთ ჭერქვეშ ცხოვრების წესი აქ არ არსებობდა. ოჯახები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ სულადი შემადგენლობით, რამდენადაც ინდივიდუალური ოჯახი ერთ შემთხვევაში იყო მცირერიცხოვანი, ხოლო მეორე შემთხვევაში მრავალრიცხოვანი.

აღნიშნული ვითარება რამდენადმე აპირობებდა გაყრის ხასიათსაც. როდესაც ერთ ჭერქვეშ იმყოფებოდნენ დედით სხვადასხვა ძმები, დედით კუთვნილების მიხედვით ოჯახის დაყოფაც უფრო ადრე ხდებოდა. დედით და მამით ღვიძლი ძმების ერთად ყოფნა კი შეიძლებოდა შედარებით დიდხანს გაგრძელებულიყო.

ოჯახის გაყრის ხასიათი დამოკიდებული იყო აგრეთვე მის სულად შემადგენლობაზე. თუ ოჯახის წევრებს შეადგენდნენ მხოლოდ მშობლები და მათი ორი ცოლშვილიანი ვაჟი, ასეთ ვითარებაში შესაძლებელი იყო ოჯახის გაყრა ერთდროულად მომხდარიყო, ვინაიდან ორი ძმის ცალ-ცალკე დასახლებისა და რომელიმე შვილთან მშობლების დარჩენის ან მათი ცალკე გამოყოფის შემდეგ ოჯახის სეგმენტაციის პროცესი მთავრდებოდა. ამ მხრივ შედარებით განსხვავებული იყო მდგომარეობა იმ ოჯახში, რომლის შემადგენლობაშიც იმყოფებოდა მრავალი სხვადასხვა ასაკის მქონე ძმა. ამგვარი ოჯახის დანაწილება

---

[30] М. Мачабели, დასახ. ნაშრომი, გვ. 396—398.

ზოგჯერ ერთდროულად არ ხდებოდა და ადგილი ჰქონია ძმების სხვადასხვა დროს გამოყოფას. ჩვეულებისამებრ ეს პროცესი იწყებოდა უფროსი ძმის გამოსვლით, რის შემდეგ შესაძლებელი იყო ასაკის შესაბამისად ასეთივე ნაბიჯი გადაედგათ მომდევნო ძმებს. ზოგიერთ შემთხვევაში კი უფროსი ძმის გამოყოფის შემდეგ სხვების თანდათანობით სხვადასხვა დროს გამოცალკევების პროცესს კი არ ჰქონია ადგილი, არამედ დანარჩენი ძმები ერთად ცხოვრებას ეანაგრძობდნენ მანამდე, სანამ ყველა მათგანი არ დაცოლშვილდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ ერთდროულად იყრებოდნენ.

ყველა ზემოხსენებულ ვითარებაში ქონების მიღების სრული უფლებით სარგებლობდა ყველა ასაკისა და მდგომარეობის მქონე ძმა. ის რასაც წილი (ჭ ო ო ჯ დ ა ა ყ — წილი) ერქვა და რომელიც წარმოადგენდა ოჯახის ძირითად დოვლათს (წ ი ი ნ ბ ო ხ ა მ — ოჯახის დოვლათი), იყოფოდა იმდენ თანაბარ ნაწილად, რამდენი ძმაც ოჯახში იმყოფებოდა. ოჯახი ნელ-ნელა გაიყრებოდა თუ ერთბაშად, სულერთია, ქონება ძმების რაოდენობის მიხედვით განაწილდებოდა. ოთხი ძმიდან რომ ერთი ცალკე გამოსულიყო, ხოლო დანარჩენი კიდევ ერთად დარჩენილიყვნენ, გაყრილი ძმა გაიტანდა ქონების $^1/_4$ ნაწილს, ხოლო დანარჩენი რჩებოდა გაუყრელ ძმებს, რომელთა სახელზედაც წილები პირველი ძმის გაყრის მომენტში უკვე გაპიროვნებული იყო და თითოეულ მათგანს კუთვნილი წილის გატანა ნებისმიერ დროს შეეძლო. სწორედ ასე მოიქცნენ მარგოშვილები, როდესაც ერთად მცხოვრები ხუთი ძმიდან სხვებზე ადრე გამოყოფილმა დიბამ გაიტანა საერთო ქონების $^1/_5$ ნაწილი, ხოლო დანარჩენი ქონება ერგოთ მის ნახევარძმებს, რომლებიც რამდენიმე ხნის შემდეგ გაიყარნენ და მათ ყველაფერი ოთხად გაინაწილეს.

ვინაიდან ყველა სახეობის ქონების თანასწორად გაყოფა ვერ ხერხდებოდა, ძმები ქონების შეფარდება-შებადლების პირობით აღწევდნენ შეთანხმებას, ისევე როგორც ეს ხდებოდა ჩაჩნეთ-ინგუშეთში და ყველა სხვა ხალხში, სადაც კი ქონების გაყოფაში თანასწორუფლებიანობის პრინციპი იყო დაცული. სახლი რომ ყველა ძმისთვის არ ყოფილიყო საკმარისი, მის ღირებულებას შეავსებდნენ სხვა სახის ქონებით, ისევე, როგორც უცხენოდ დარჩენილ ძმას ცხენის ნაცვლად მისცემდნენ სხვა სახის პირუტყვს, ნივთს ან ფულს. მარგოშვილების ოჯახშიც მომხდარა ამგვარი შეთანხმება. ოჯახს გაყრამდე ჰქონია სულ ოთხი ოთახი, რომელიც გაიყოფოდა მხოლოდ ოთხ ძმაზე. ამის გამოცალკე გამოყოფილ დიბას სახლის წილი მისცეს სხვა ქონების სახით. ხოლო ოთხ ოთახში დარჩნენ მისი ძმები, რომლებმაც გაყრის შემდეგ ეს ბინა ოთხად გაინაწილეს.

ძმებს შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპი დაედო საფუძვლად ქავთარაშვილებს შორის ქონების გაყოფასაც. თავდაპირველად ოჯახს გამოეყო მადეი და გაიტანა ქონების 1/3 ნაწილი, ხოლო შემდეგ გაიყარნენ ქასა და დაქა, რომლებმაც გაინაწილეს დარჩენილი ქონება: ძმებმა სულ გაყვეს 10—12-დღიური მიწა, ორი ცხენი, ოთხი ხარი, ოთხი ძროხა და 200-მდე ცხვარი. რაც შეეხება ნაგებობებს, გომური წილად ხვდა მადეის, ხოლო ოროთახიანი ხის სახლი ერთად დარჩენილ ძმებს, რომლებმაც ეს ბინაც გაყრის შემდეგ შუაზე გაიყვეს.

ქონების გაყოფის საფუძველს რომ წარმოადგენდა არა სულადობა, არამედ მოწილის (დ ე ე ხ ყ უ ა — მოწილე) უფლება, ამის საილუსტრაციოდ აქვე შეიძლება დავასახელოთ ხოლაგაშვილების ოჯახი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ძმები ბეწინა და ქურაყა თავიანთი ცოლ-შვილით. ამ ოჯახის გაყრამდე ბეწინა დათვმა მოკლა და მისი სამი ვაჟი (ალხასტა, მუზიკა, ბერთიშა) გაზარდა ქურაყამ. ალხასტასა და მუზიკას დაქორწინების შემდეგ ოჯახი გაიყარა და ქონება გაყვეს ორ თანაბარ ნაწილად. აქედან ქონების ნახევარი წილად ხვდა ქურაყას, ხოლო ნახევარი მის სამ ძმისწულს, ვინაიდან მოწილედ ითვლებოდა მათი გარდაცვლილი მამა ბეწინა. შემდეგ გაიყარნენ ბეწინას შვილებიც, რომელთაგან პირველად ცალკე გამოვიდა ალხასტა ქონების 1/3 წილით. უცოლო ბერთიშა დაქორწინებამდე ცხოვრობდა მუზიკასთან ერთად, ხოლო ცოლის შერთვის შემდეგ ისიც ცალკე დასახლდა ასევე 1/3 წილით.

ქონების განაწილების ზემოაღნიშნულ წესში შეინიშნება ნახური დიდი ოჯახისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი იმ თავისებურების ანარეკლი, რომელიც ჩვენთვის ცნობილი გახდა ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთიანეთში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად. მხედველობაში გვაქვს ადამიანის შრომითი დამსახურებისა და სულადობის უგულებელყოფა, რასაც ადგილი ჰქონდა დიდი ოჯახის გაყრისას და რასაც ჯერ კიდევ არ იეიწყებდნენ ნახების შთამომავალი პანკისელი ქისტები ისეთ ვითარებაშიც კი, როდესაც გაუყრელად ცხოვრების წესი აქ უკვე გარდასულ ისტორიულ მოვლენათა სფეროს განეკუთვნებოდა.

სხვა კონკრეტული მონაცემების მიხედვითაც აშკარად ჩანს, რომ ყველა ძმა ქონების მიღების ერთნაირი უფლებით სარგებლობდა, გინდაც რომ მათ შორის ერთი ყოფილიყო მრავალშვილიანი, ხოლო სხვა მარტოოდენ ერთი შვილის მამა. ძმებს შორის ქონების განაწილებაში მათი შვილების რაოდენობა არავითარ როლს არ ასრულებდა, მაგრამ ძმების გაყრის მომენტში მხედველობაში მიიღებოდა, ერთი

მხრივ, უცოლო ძმის მდგომარეობა, ხოლო, მეორე მხრივ, რომელიმე ძმის მრავალცოლიანობა. ორივე ეს მომენტი დაკავშირებული იყო სათანადო ხარჯების გამოღებასთან, სახელდობრ ურვადის[31] გადახდის წესთან, რასაც არ შეიძლებოდა ანგარიში არ გასწეოდა განაყართა მიერ ქონების განაწილების დროს.

ნახების საოჯახო ყოფისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში საგანგებოდ განვიხილეთ ურვადის გადახდის წესი და დავრწმუნდით, რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამოყვრო ურთიერთობის სფეროში. იქვე ისეც ვუჩვენეთ, რომ ურვადის მოცულობა და მნიშვნელობა ჩაჩნეთ-ინგუშეთში საგრძნობლად შემცირდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის ხელისუფლების აქტიური ჩარევისა და საგანგებო დადგენილებათა შემუშავების საფუძველზე. ასეთ ღონისძიებათა გატარების პერიოდში ხდებოდა სწორედ ჩაჩნეთ-ინგუშეთიდან ნახების ჩამოსახლება და პანკისის ხეობაში ქისტური ეთნოგრაფიული ჯგუფის ფორმირება ქართული ენისა და კულტურის გარემოცვაში. მოსულ მოსახლეობას, ყოფისა და კულტურის მრავალ თავისებურებასთან ერთად, თან გადმოჰყვა სყიდვითი ქორწინების წესიც, რომლის არსებობას ყოველი მთხრობელი უყოყმანოდ ადასტურებს.

საქართველოს ტერიტორიაზე ნახების დასახლების დროისათვის ურვადის გადახდით ქორწინების წესი ქართველ ხალხში თითქმის დავიწყებას იყო მიცემული. XIX საუკუნეში ამ ჩვეულებას აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთაგან მხოლოდ ძოხევეები მისდევ-

---

[31] ქართულად საუბრის დროს ქისტი მთხრობლები ურვადის აღსანიშნავად იყენებენ ქართულიდან მათ მეტყველებაში შესულ გამოთქმას — ურ ბ ე თ ი-ს. ქისტურად კი, როგორც ეს მათვე განმარტეს, ურვადს ეწოდება არა ურბეთი, არამედ ურ დ ი. მათვე ცნობით, ზუსტად ასეთივეა მისი სახელწოდება ინგუშურად, ხოლო ჩაჩნურად მას ეწოდება ურ დ უ.

ვ. აბაევის განმარტებით, ჩაჩნური ურ დ უ და ქართული ურ ვ ა თ ი უნდა მომდინარეობდეს ოსური სიტყვიდან iræd || ærwæd (irɔzd). იმის დასაბუთებლად, რომ სხვა კავკასიელმა ხალხებმა ეს სიტყვა ოსურიდან ისესხეს, ვ. აბაევს მოჰყავს შემდეგი დასაბუთება: 1. სყიდვითი ქორწინების წესი უძველესი დროიდანვე იყო დამახასიათებელი ინდოევროპელი ხალხებისათვის; ოსთა წინაპრებიც პირველად კავკასიაში არ უნდა გასცნობოდნენ ამ ჩვეულებას, 2. ქართულ ურვათსა და ჩაჩნურ ურდუს სხვა კავკასიურ ენებში არ მოეძებნება შესატყვისი, რის გამო შეუძლებელია მისი ახსნა კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკის მიხედვით, 3. სახელწოდება ურვათი გვხვდება მხოლოდ ოსების მეზობელი მოხეველების დიალექტში (В. А б а е в, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, М.-Л., 1958, стр.546—547; შდრ. | მ. | ჯ ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი, 1966, გვ. 110).

დნენ[32], ხოლო დასავლეთ საქართველოში ეს წესი შემორჩენილი იყო სვანთა შორის[33]. რაც შეეხება პანკისის ხეობის ირგველივ მცხოვრებ ქართველებს, ქისტებიც ჩამოსახლების დროისათვის მათთვის ურვადის გადახდის წესი უცნობი იყო. ასეთ ეთნიკურ გარემოში ღასახლებულმა ნახევმა ურვადს იმდენი მნიშვნელობაც კი ვერ შეუნარჩუნეს, რამდენიც ჰქონდა მას ჩაჩნეთ-ინგუშეთში რუსულ ადმინისტრაციულ ღონისძიებათა გატარების შემდეგ. ეს იქიდან ჩანს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ურვადის გადაუხდელად ქორწინება ჩაჩნეთ-ინგუშეთში ყოვლად წარმოუდგენელი იყო, მაშინ როდესაც იმავე ეპოქაში პანკისელი ქისტები ხშირ შემთხვევაში ურვადის გადაუხდელად ქორწინდებოდნენ. ქისტი მთხრობლების განმარტებით, ასეთ ვითარებას აპირობებდა ურვადზე საკუთრების ხასიათი. მართალია ურვადი ქალის მამისთვის უნდა ჩაებარებინათ, მაგრამ ფაქტიურად ეს თანხა მთლიანად ქალს ხმარდებოდა. ურვადით ქალი იმზადებდა მზითევს ტანსაცმლის, საოჯახო ნივთებისა და ქსოვილების სახით.

ვინაიდან სასიძოს მინატანი სასიმამროს ოჯახიდან ქალის მზითევის სახით მაინც სიძის ოჯახს უბრუნდებოდა, სიმამრი მის მიღებაზე აქტიურობას არ იჩენდა. სიძის მიმართ ის თავის უფლებას იყენებდა პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში. თუ ქალს განზრახული ჰქონდა რაიმეს წინასწარ შეძენა, საქმრო ვალდებული იყო სიმამრისთვის ურვადი ჩაებარებინა ქორწილის გადახდამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში სასიმამროს უფლება ჰქონდა ქალის გაყოლებაზე უარი ეთქვა. ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც წინასწარი შეთანხმება ითვალისწინებდა ურვადის გადაუხდელად ქორწინებას იმ პირობით, რომ ქალი ამ თანხას ქმრის ოჯახში მოიხმარდა, მაგრამ ქმარი წინააღმდეგობას გაუწევდა, სიმამრს შეეძლო სიძისათვის პირობის შესრულება მოეთხოვა. მამის დახმარებით ქალი ურვადს ეპატრონებოდა და თავის განზრახვას ამ გზით ახორციელებდა.

ქისტებში რომ ურვადი ქალის პირად საკუთრებად ითვლებოდა, ეს გამოხატულებას პოულობდა ცოლ-ქმრის გაყრის მომენტშიც. ქმარს რომ ცოლი გაეგდო, ვალდებული იყო მისთვის გაეტანებინა ის ქონება, რაც ქალმა ურვადის საფასურით შეიძინა. იმ შემთხვევაში კი თუ კაცს ურვადი ქორწილის დროს არ ჰქონდა გადახდილი და მან

---

[32] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 202—232; მ ი ს ი ვ ე, ერთი ძველი საქორწინო წესჩვეულების შესახებ ხევში (ურვადი), საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXIII, № 1, 1959, გვ. 121—128.

[33] რ. ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, გვ.87—98.

ქალსაც არ მისცა საურვადე თანხით რაიმეს შეძენის შესაძლებლობა, იგი ვალდებული იყო ურვადი სიმამრისათვის ჩაებარებინა. სიმამრი კიდეც რომ აღარ ყოფილიყო ცოცხალი და ცოლ-ქმრის განშორება მომხდარიყო მათი ხანდაზმულობის ასაკში, ქმარი მაინც ვერ გაინთავისუფლებდა თავს ამ ვალდებულებისაგან და ის იძულებული იყო დაწუნებული ცოლისთვის მიეცა კუთვნილი თანხა. ეს კი, როგორც მთხრობელთა ცნობებიდან ჩანს, შეადგენდა ზოგჯერ ხუთ-შვიდ ძროხას, ზოგჯერ ათ ძროხას, ზოგჯერ 10—20 თუმანს, ბოლო დროს ხუთ თუმანს და ა. შ. ზაქარია გულისაშვილის ცნობით, „ცოლს ქისტი ყიდულობს, ანუ, როგორც თითონვე ამბობენ, აძლევს „ურვადს". პანკისში ხუთის თუმნიდგან თორმეტ თუმნამდე აძლევენ"[34]. მისი გადახდა შესაძლებელი იყო გინდ ფულად, გინდ მარცვლეულის მიტანით, გინდ საქონლის მირეკვით და გინდაც იარაღისა და სპილენძეულის სახით.

როგორც ვხედავთ, ურვადზე მომთხოვნელობა პანკისის ხეობაში ისეთი მკაცრი არ იყო, როგორც ჩაჩნეთ-ინგუშეთში და არც მისი გადახდა იყო დაკავშირებული რაიმე სიძნელეებთან, რამდენადაც ეს თანხა ვაჟის ოჯახიდან მხოლოდ დროებით გადიოდა ან მისი გატანა არც კი ხდებოდა, ვინაიდან ურვადის ფაქტიურ მესაკუთრეს ქალი წარმოადგენდა. აღნიშნული ვითარების შექმნაში, როგორც ამას მთხრობლებიც სამართლიანად აღიარებენ, გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქისტების ირგვლივ მცხოვრებმა ქართველებმა, რომლებიც ზემოაღნიშნულ ჩვეულებას უარყოფით მოვლენად თვლიდნენ, მაგრამ ასეთ გარემოპირობებში, ქართული გავლენის ატმოსფეროში, ქისტებმა, ბევრ სხვა მამაპაპურ ჩვეულებასთან ერთად, დაკნინებული მდგომარეობით დიდხანს შეინარჩუნეს სყიდვითი ქორწინების წესიც.

ვინაიდან ურვადის გადახდა მაინც სავალდებულო წესად იყო მიჩნეული, ოჯახის გაყრის დროს უცოლო ძმას სრულ წილთან ერთად დამატებით ეძლეოდა საქონელი ან ფული ურვადისა და საქორწილო ხარჯების გადასახდელად, იმავე უფლებით, რა უფლებითაც იყო გაწეული ამგვარი ხარჯები ყველა დაქორწინებული ძმისთვის მათი ერთად ცხოვრების პერიოდში. თანასწორუფლებიანობის პრინციპი მოითხოვდა, რათა უცოლო ძმა ან გაყრამდე დაექორწინებინათ და ზემოხსენებული ხარჯი საერთო ქონებიდან გაეღოთ, ანდა ქონების განაწილების დროს მისთვის ეს დოვლათი წილთან ერთად გამოეყოთ. პანკისის ხეობის ქისტთა ყოფაში ეს იმდენად მიღებული წესი იყო,

---

[34] შ ა ქ რ ო, პანკისის ხეობა, გაზ. „ივერია", 1887, № 21.

რომ მის შესახებ კონკრეტული ფაქტების დამოწმებაც კი ზედმეტად მიმაჩნია.

საოჯახო ქონების განაწილებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა აგრეთვე ის, თუ რომელი ძმა რამდენჯერ იყო დაქორწინებული, რამდენადაც ამასთან იყო დაკავშირებული სათანადო ხარჯების გაღება გაუყრელი ძმების საერთო დოვლათიდან, რომლის თანაბარი განაწილებით ყველა მათგანი იყო დაინტერესებული.

ნახების საოჯახო ყოფისადმი მიძღვნილ ზემოხსენებულ ნაშრომში ურვადის არსებობასთან ერთად იმის შესახებაც არის ნათქვამი, რომ მრავალცოლიანობა ჩაჩნეთ-ინგუშეთში უმთავრესად ვრცელდება მაჰმადიანური სარწმუნოების დანერგვის შედეგად. იქვე ისიც არის აღნიშნული, რომ ეს მოვლენა ძირითადად შეინიშნებოდა შეძლებულ ფენებში, ვინაიდან ქორწინება უშუალოდ იყო დაკავშირებული ყალიმის გადახდის წესთან, რომლის რამდენჯერმე გაღების თავი არ ჰქონიათ ღარიბ მეთემეებს. ნახების საოჯახო ყოფის შესწავლის საფუძველზე გამოირკვა ისიც, რომ მრავალცოლიანობის შესაძლებლობა გამორიცხული იყო დიდი ოჯახის ფარგლებში, რამდენადაც ოჯახის წევრის ასეთი ნაბიჯი ეწინააღმდეგებოდა ოჯახის საერთო ეკონომიურ ინტერესებს[35].

მაშინ როდესაც ჩაჩნეთ-ინგუშეთში საოჯახო ურთიერთობის ამგვარი ნორმები არსებობდა, როდესაც ადათს შარიათი უტევდა და ეს უკანასკნელი ხშირ შემთხვევაში თავის გამარჯვებას ზეიმობდა, პანკისელი ქისტების წინაპრები ჩაჩნეთ-ინგუშეთის ძთიანეთში ცხოვრობდნენ. რასაკვირველია, მათთვის ცნობილი იყო მრავალცოლიანობის იქ არსებული წესიც, რომელიც მათ სყიდვითი ქორწინების ჩვეულებასთან ერთად მოიტანეს და პანკისის ხეობაში თავიანთ შთამომავლობასაც უანდერძეს. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ პანკისის ხეობაში ადგილი ჰქონდა მრავალცოლიანობის შემთხვევებს, ქისტების ღრმა რწმენით, რასაც ჩვენ გავეცანით მთხრობელთა ერთსულოვანი აღიარებით, ადათის მიხედვით ნორმალურად მიჩნეული იყო მხოლოდ ერთი ცოლის შერთვა. ასევე ნორმალურად ითვლებოდა ქორწინება დაქვრივების ან უშვილობის ნიადაგზე ცოლთან გაყრის შემდეგ, მაგრამ ერთდროულად რამდენიმე ცოლის შერთვას ქისტები გაუმართლებელ მოვლენად მიიჩნევენ. მთხრობლები იმის შესახებაც მიგვითითებენ, რომ პანკისის ხეობაში ადათით მიღებული მრავალცოლიანობა დანერგა ისლამმა XIX საუკუნის ბოლო ხა-

---

[35] იხ. ამ წიგნის გვ. 103—106.

ნებში. მანამდე კი, როდესაც ქისტების დიდი ნაწილი ქრისტიანობას მისდევდნენ, ქორწინებაც ქრისტიანული წესების შესაბამისად ეწყობოდა და ნაკლებად შეიმჩნეოდა ნახევიდან გადმოყოლილი მრავალცოლიანობისადმი მიდრეკილება.

მრავალცოლიანობისადმი ქისტების ამგვარი დამოკიდებულება, რასაკვირველია, ქართული ყოფისა და სარწმუნოების გავლენის შედეგიცაა, მაგრამ უფრო მეტად ამის მიზეზი საძიებელია თვით ქისტების ძველ ტრადიციაში. ვინაიდან საოჯახო თემის სტრუქტურა გამორიცხავდა მრავალცოლიანობის შესაძლებლობას და ეს უკანასკნელი ამ ტიპის ოჯახისთვის შეუთავსებელი მოვლენა იყო, ხოლო ქისტების წინაპრებისათვის ოჯახის ეს ფორმა ყოფის ერთ-ერთ ნიშანდობლივ კომპონენტს წარმოადგენდა. ტრადიციული საოჯახო ნორმების საწინააღმდეგო მოვლენათა მიმართ ხალხი კვლავ უარყოფითად იყო განწყობილი მაშინაც, როდესაც დიდი ოჯახი აღარ არსებობდა. ყოფითი მოვლენებისადმი ამგვარ დამოკიდებულებაში შეინიშნება ერთი მხრივ მამაპაპური ადათისადმი პატივისცემა, ხოლო, მეორე მხრივ, ადათის საწინააღმდეგო ახალი რელიგიური ნორმებისადმი პროტესტი, რამაც საკმაოდ ნათელი გამოხატულება პოვა ოჯახის ეკონომიური ურთიერთობის სფეროში.

როგორც ჩვენ მიერ შეკრებილი მასალებიდან ჩანს, ურვადის გადახდა და საქორწილო ხარჯების გასტუმრება ქისტებს დასაშვებად მიაჩნდათ მხოლოდ ერთხელ. ვისაც ერთზე მეტი ცოლის შერთვა სურდა, ოჯახის გაყრის დროს ის უნდა შერიგებოდა ერთცოლიან ძმაზე ნაკლები ქონების მიღებას. ერთზე მეტი ცოლის შერთვაში საერთო სახსრებიდან გაღებული თანხა ქონების განაწილების მომენტში ექვითებოდა მრავალცოლიან ძმას და როგორც მას, ისე მის დანარჩენ ძმებს ეს თანხა თანაბრად უნაწილდებოდათ. ასე მოქცეულან, მაგალითად, ცათიაშვილები. როდესაც თუნგო და ხუტი გაიყარნენ, ყველაფერი შუაზე გაიყვეს, შემდეგ თუნგოს წილი ქონებიდან გამოყვეს ორი ურვადისა და ორი საქორწილო ხარჯისათვის კუთვნილი დოვლათი, ვინაიდან ძმასთან გაყრამდე თუნგო სამჯერ დაქორწინდა და სამჯერვე საერთო სახსრებიდან გაიღო ხარჯი, და ეს თანხაც ისევე შუაზე იქნა გაყოფილი, როგორც საერთო დოვლათი.

ანალოგიური მოვლენა განმეორდა თუნგოს შთამომავლობის ცხოვრებაშიც. თუნგოს ოჯახის დანაწილება, როგორც ამის შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ, მოხდა სამ ოჯახად დედით ღვიძლი ძმების მახედვით. ერთ ოჯახად გავიდა თუნგოს უფროსი ვაჟი ქუშაგი, მეორე ოჯახს შეადგენდა ოთხი ვაჟი (ლაზარე, ქილეი, ჩოფანი, ჯარჯო, რო-

მელთა დედა იყო ქუირდი), ხოლო მესამე ოჯახის შემადგენლობაში დარჩნენ თუნგო და მისი შვიდი ვაჟი (დიბა, ბათო, ზურაბი, აბოლა, გიგო, ძუიზი, თუთახი, რომელთა დედა იყო გეეგი.). შემდეგში ცალ-ცალკე გაიყარნენ ყველა აქ დასახელებული ძმები. შვიდძმიანი ოჯა-ხის გაყრისას გარდაცვლილი იყო ორი ძმა და მათი მამა თუნგო. დარ-ჩენილმა ხუთმა ძმამ ყველა სახის ქონება ხუთ თანაბარ ნაწილად გა-ყო. ერთ-ერთი ამ მოწილის — თუთახ ცათიაშვილის ცნობით, ყველა მოწილე კუთვნილ დოვლათს დაჯერდა. მათივე საერთო შეთანხმებით, ყველაზე ხნიერი ძმისთვის (დიბასთვის) უჩუქებიათ ცხენი. ხოლო თვით თუთახისთვის დაუკავებიათ ერთი საურავადე და საქორწილო თანხა და ის ყველა ძმაზე გაუნაწილებიათ, ვინაიდან ოჯა-ხის გაყრამდე თუთახს მეორე ცოლიც ჰყავდა მოყვანილი.

ურვადის გადახდის ზემოთ აღწერილი წესი აშკარად მიუთით-თებს იმ გარემოებაზე, რომ მამაპაპური ადათის მიხედვით კანონზო-მიერ მოვლენად ითვლებოდა ერთცოლიანობა, რომლის დაცვისა და მრავალცოლიანობის შეზღუდვის მიზნით ქისტებმა მიმართეს ეკონო-მიური ბრძოლის გზას, რაც გამოიხატა სყიდვითი ქორწინების ხასია-თისადმი დამოკიდებულებაში. ამასთან ერთად, ურვადის გადახდის ამ წესის მეშვეობით დაცული იყო გაყრის პრეტენდენტთა ეკო-ნომიური თანასწორუფლებიანობა. ძმების ამ უფლების დარღვევას არც ასაკის მიხედვით ჰქონია ადგილი, ვინაიდან საუფროსოს მიცემის სავალდებულო წესი ქისტებში არ არსებობდა. უფროსისთვის პატი-ვისცემის მიზნით რაიმე სახის ზედმეტი ქონების გამოყოფა შეიძლე-ბოდა მხოლოდ ძმების ერთსულოვანი შეთანხმების საფუძველზე. ასე-ვე ძმების თანხმობის შემთხვევაში შეიძლებოდა უფროსისთვის მიე-ცა წილის არჩევის შესაძლებლობა, რაც არც თუ ისე დიდი უპირატე-სობის მაჩვენებელი იყო. ამ უკანასკნელ ღონისძიებას მიმართავდნენ უმთავრესად მაშინ, როდესაც ერთ წილად ჩაგდებული იყო სახლი. ხოლო მეორე წილად სახლის ღირებულება. ამით უფროს ძმას სახლ-ში დარჩენის შესაძლებლობას უქმნიდნენ და მისდამი პატივისცემას გამოხატავდნენ.

ძმებს შორის ქონების გაყოფის დროს ქისტის ოჯახში ყოველ-თვის იდგა მშობლების საკითხიც, ვინაიდან ოჯახის გაყრა აქ ხდებოდა მშობლების გარდაცვალებამდე. ასეთ ვითარებაში მშობლებს უფლე-ბა ჰქონდათ საერთო ქონებიდან იმდენივე მიეღოთ, რამდენიც თითოე-ულ შვილს. მამა ისეთსავე მოწილეს წარმოადგენდა, როგორც მისი ყველა ვაჟი. თავისი კუთვნილი წილით მშობლებს შეეძლოთ ან ცალ-კე გამოსვლა, ან რომელიმე შვილთან დარჩენა. ისინი უმთავრესად რჩებოდნენ ყველაზე უმცროს ვაჟთან.

წილთან ერთად მშობლებს უფლება ჰქონდათ, ოჯახის შესაძლებლობის მიხედვით, თავისთვის გაეყვანათ რამდენიმე სული პირუტყვი, რაც გათვალისწინებული იყო მათი დამარხვის ხარჯებისათვის. ამ დანიშნულების მქონე დოვლათის აღსანიშნავად პანკისის ხეობაში მტკიცედაა ფეხმოკიდებული ქართული სახელწოდება ს ა მ ა რ ხ ი, რომლის ქისტური შესატყვისია ს ა ყ ი ე.

თუ მშობლები თავისი კუთვნილი წილითა და სამარხით რომელიმე შვილთან მივიდოდნენ მასთან სამუდამოდ ცხოვრების სურვილით, ამ შვილს ევალებოდა როგორც მათი მოვლა-პატრონობა, ისე თავისი ხარჯით დამარხვა. ასეთ შემთხვევაში სხვა შვილებს არავითარი მოვალეობა არ ეკისრებოდათ. ისეთ ვითარებაში კი, როდესაც მშობლები წილის მიღებაზე უარს იტყოდნენ, მხოლოდ სამარხის გამოყოფას დაჯერდებოდნენ და რომელიმე შვილთან ცხოვრებას გადაწყვეტდნენ, მაშინ მათ შენახვაში ყველა შვილი მონაწილეობდა, ხოლო სამარხის გაღება იმ შვილს ევალებოდა, რომელთანაც მშობლები იმყოფებოდნენ. უმთავრესად კი მშობლების დამარხვის ხარჯსაც ყველა შვილი ერთობლივად ეწეოდა და ამით თავიანთ ძმას მდგომარეობას უმსუბუქებდნენ. ხარჯის გაწევა სავალდებულო იყო ორჯერ, გარდაცვალების ჟამს, რასაც ეწოდება ჰ ა ლ ხ ა რ მ ა რ თ (წინა ქელეხი) და წლისთავზე, რასაც ჰქვია შ ო ჯ ა ჩ ა რ (წლისთავი). თუ ოჯახს ჰქონდა შეძლება, მამის ქელეხების მოთავეების შემდეგ მართავდნენ დოღსაც, რაც არ ეწყობოდა დედის გარდაცვალების შემთხვევაში, ვინაიდან ქალის სახელზე დოღის გამართვა საერთოდ მიუღებელი იყო.

ქისტებში დადასტურდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მამა საცხოვრებლად რჩებოდა ერთ შვილთან, ხოლო დედა მეორესთან, მაგრამ ასეთი რამ უფრო იშვიათად ხდებოდა და უმთავრესად მშობლების საბოლოო ადგილსამყოფელს წარმოადგენდა მათი უმცროსი ვაჟის ბინა. ასევე იშვიათად აცხადებდნენ პრეტენზიას მშობლები წილზე და ისინი ჯერდებოდნენ მხოლოდ სამარხს: მთხრობლების განმარტებით მშობლების ასეთი გადაწყვეტილება ხალხში მოწონებას იმსახურებდა, ხოლო ვინც თავის უფლებებს გამოიყენებდა და წილს გაიტანდა, ის საზოგადოების გულისწყრომას იმსახურებდა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მშობლებს რომელიმე შვილთან დარჩენა ჰქონდათ განზრახული. ქისტები არ გმობდნენ მშობლების მიერ წილის გატანას მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ შვილებისაგან დამოუკიდებლად ყოფნა.

როგორც ვხედავთ, მშობლებისათვის წილის მიცემა კანონიერად ითვლებოდა, მაგრამ ყოფაში მოქმედი ამგვარი უფლებისადმი ქისტე-

ბი უარყოფით თვალსაზრისს ამჟღავნებდნენ. არსებულ კანონს ისინი აშკარად არ ებრძოდნენ და თითქოს მას იყენებდნენ კიდეც, მაგრამ მას მოსაწონ ჩვეულებად არ თვლიდნენ. ერთი და იგივე მოვლენისადმი ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი საძიებელია თვით ქისტების ყოფის სპეციფიკაში. ამ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია მათი ცხოვრების პირობები და შარიათის გავლენით მომხდარი ცვლილებები სოციალური ურთიერთობის სფეროში. ჩვენ აქ კვლავ შეგვიძლია დავიმოწმოთ ნახების საოჯახო ყოფის შესახებ არსებული ზემოხსენებული გამოკვლევა, სადაც დადგენილი გვაქვს, რომ დიდ ოჯახებად ცხოვრების პირობებში მშობლების სიცოცხლეში ოჯახის გაყრა მიუღებელი იყო და თუ ეს მოხდებოდა მშობლები მოწილეებად მაინც არ ითვლებოდნენ. იქვე გარკვეული გვაქვს, რომ მშობლების სიცოცხლეში ერთობის მოშლა და მშობლებისათვის წილის მიკუთვნების წესი ნახებში გვიან დამკვიდრდა და მისი გავრცელება უმთავრესად შარიათის მოძღვრებამ განაპირობა[36].

პანკისის ხეობისაკენ ნახების ლტოლვა ისეთ ვითარებაში ხდებოდა, როდესაც ჩაჩნეთ-ინგუშეთში გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა ადათსა და შარიათს შორის. უსათუოდ ამ ბრძოლის ანარეკლი უნდა იყოს ასახული მამის წილისადმი არსებულ ქისტურ შეხედულებაში. ადათისა და შარიათის ურთიერთშეჯახების ასპარეზზე შექმნილი მამის ეს ახალი უფლებრივი ნორმები პანკისელი ქისტების წინაპრებმა თავიანთ ახალ სამოსახლოში ისევე მოიტანეს და დანერგეს, როგორც ურვადის გადახდის წესი, მრავალცოლიანობა და ყოფის სხვა ელემენტები. ამასთან ერთად, მათი მეხსიერებიდან ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ იყო ხალხური ადათ-წესების ცოდნა. რიგი სხვა წესების გარდა ხალხმა ისიც კარგად იცოდა, რომ ადათის მიხედვით მშობლებისთვის წილის მიცემა მიუღებელი იყო. წინაპართა ამგვარი წესებისადმი პატივისცემა ასაზრდოებდა ქისტებისა კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას იმ პირებისადმი, რომლებიც ახლადშეძენილ უფლებას პროტესტს უცხადებდნენ წილის მიღებაზე უარის საშუალებით და თავისი მოქმედებით ხელს უწყობდნენ მამაპაპური ტრადიციის გახანგრძლივებას. მაშასადამე, მამისეული წილისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ისევე ძველი საოჯახო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ტრადიციების გამოვლინებით ან ამ ტრადიციების შესახებ არსებული ხალხური ცოდნის შემონახულობით შეიძლება აიხსნას, როგორც ძმებს შორის ქონების თანასწორად გაყოფის წესი თუ მრავალცოლიანობის შესახებ არსებული შეხედულება.

---

[36] ამ წიგნის გვ. 108—112.

საოჯახო ქონების განაწილების მომენტშივე ხდებოდა კუთვნილი დოვლათის ვამოყოფა დედათა სქესის წარმომადგენელთათვის. ამ შემთხვევაშიც მოქმედებაში იყო როგორც ადათის, ისე შარიათის ნორმები ისევ და ისევ ქისტების ყოფაში მათი თანაარსებობის გამო.

ადათისა და შარიათის მიხედვით გასათხოვარი ქალის ბედი სხვადასხვაგვარად წყდებოდა. ადათის თანახმად, ქალი არ სარგებლობდა არც ძმებთან ერთად წილის მიღების და არც მშობლების ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებით. მშობლებს რომ ვაჟი არ დარჩენოდათ, მათ ქონებას ეპატრონებოდნენ არა ქალები, არამედ მათი ბიძაშვილი ვაჟები, ისევე როგორც ეს ხდებოდა სხვა კავკასიელი ხალხების ყოფაში, სადაც კი ქონებაზე ქალის მემკვიდრეობის უფლება არ არსებობდა.

ადათთან შედარებით ქალისათვის უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა შარიათი, რომლის მიხედვით, საოჯახო ქონების განაწილებისას ქალს ეძლეოდა ძმისთვის კუთვნილი წილის $^1/_3$. ძმის უყოლობის შემთხვევაში კი შარიათი მემკვიდრეობის უფლებას ანიჭებდა ქალს, რომელსაც შეეძლო მშობლების ქონებიდან $^1/_3$ თითონ მოეხმარა, ხოლო $^2/_3$ მშობლების ქელეხებსა და დოღში უნდა დაეხარჯა. მისსავე მოვალეობას შეადგენდა მამის ტანსაცმლის გარიგება ნათესავებში, ისევე როგორც ამას აკეთებდა ცოლი ქმრის გარდაცვალების შემდეგ, ვინაიდან გარდაცვლილი კაცის ტანსაცმლის სახლში დატოვება მიუღებელი იყო.

როდესაც ქალს ძმები ჰყავდა, ოჯახის გაყრის დროს ის იძულებული იყო შერიგებოდა გადაწყვეტილებას ადათის შესაბამისად, ვინაიდან ძმებს შორის ქონების განაწილებაც ადათის მიხედვით ხდებოდა. მამის ოჯახიდან მისთვის განკუთვნილი იყო მხოლოდ თავისი ტანსაცმელი, პირადი ნივთები (იგულისხმება ხელსაქმის იარაღები), ლოგინი და ერთი ძროხა ან ხუთი ცხვარი. თუ ქალი ვერ გათხოვდებოდა, ამ ქონებით ის რჩებოდა რომელიმე ძმასთან და ძმის ოჯახის სასარგებლოდ შრომობდა, ხოლო დაავადმყოფების შემთხვევაში მისი შენახვა ძმის მოვალეობას შეადგენდა. თუ ქალი გათხოვდებოდა, ზემოხსენებული ქონება მისთვის იყო მზითევი. ამასთან ერთად, როგორც ამის შესახებ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მის პირად საკუთრებას წარმოადგენდა აგრეთვე ურვადი, რითაც ის თავისთვის სასურველ ნივთებს იძენდა ქმართან მისვლამდე ან ქმართან მისვლის შემდეგ. ქონების იმ ნაწილს, რომელსაც ქალს ატანდნენ მამის ოჯახიდან ლოგინის, პირადი ნივთების, ტანსაცმლისა და პირუტყვის სახით, ქისტურად ერქვა დ ე ე ნ წ ე რ (სიტყვასიტყვით: მამის სახლიდან) ან დ ე ე ნ წ ი ე რ ი ე ნ ჰ უ მ (მამის სახლიდან მიტანილი რაიმე). ქალის იმ ქონებას კი, რო-

მელსაც ის იძენდა ქმრის ურვადით, ქისტურად ეწოდებოდა ნუს კულ ფაართალ (სიტყვასიტყვით: პატარძლის ავეჯი, პატარძლის ნივთები).

დეენწერის სახით ქმრის ოჯახში მიყვანილი ძროხის ან ხუთი ცხვრის ნამატი გადადიოდა ოჯახის საერთო საკუთრებაში (თუ კი ოჯახში ცოლ-ქმრის გარდა სხვა ვინმეც იმყოფებოდა) ან მასთან ერთად ჯერ მ

ქმრის, ხოლო შემდეგ ქმრისა და შვილების საკუთრებაშიც (როდესაც ოჯახი მხოლოდ ცოლ-ქმრისა და მათი შვილებისაგან შედგებოდა). რაც შეეხება საკუთრივ დეენწერის თავნს (ე. ი. ერთ ძროხას ან ხუთ ცხვარს), ის უკვდავად და მასთან ერთად ნივთიერი ქონება წარმოადგენდა ქალის ხელშეუხებელ საკუთრებას ნორმალური ურთიერთობის პირობებში. ამიტომ, როდესაც გაყრის მომენტში ოჯახი ქონებას ანაწილებდა, დეენწერის ნამატი სხვა საოჯახო ქონებასთან ერთად მოწილეებზე იყოფოდა, ხოლო დეენწერ და ნუსკულ ფაართალ განაწილების გარეშე რძლისავე პირად საკუთრებად რჩებოდა.

ნივთიერი ქონება და დეენწერის თავნი ქალის საკუთრებად ითვლებოდა ისეთ ვითარებაშიც კი, როდესაც მას ქმარი სახლიდან დაითხოვდა. უშვილობის მიზეზითაც რომ დაეწუნებინა ქმარს ცოლი, ქმარი ვალდებული იყო დასახელებული ქონება მისთვის უკან გაეტანებინა. ქალს უკან არ მიჰქონდა მხოლოდ მის მიერ ქმრის ნათესავებისთვის მირთმეული საჩუქრები, ვინაიდან კონფლიქტის დროს საერთოდ საჩუქრების საკითხი არ დგებოდა. თუ ქმარი მოისურვებდა უდანაშაულოდ გაგდებული ცოლის შემორიგებას, ის ვალდებული იყო სიმამრისთვის ხელმეორედ გადაეხადა ურვადი, რითაც ქაცი არავითარ ზარალში არ ვარდებოდა, ვინაიდან ქისტებში არსებული წესის მიხედვით, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, აღნიშნული თანხა ქმრის ოჯახიდან მხოლოდ დროებით შეიძლებოდა გასულიყო; მისი ღირებულება ქალს სხვა სახის ქონებით ისევე ქმრის სახლში მოჰქონდა.

ნუსკულ ფაართალსა და დეენწერს ქმარი უკან არ ატანდა მძიმე დანაშაულის მიზეზით დაწუნებულ ცოლს. ასეთივე უფლებით სარგებლობდა ქმარი უმიზეზოდ სახლიდან გაქცეული ცოლის მიმართ. თავისი ნებით ქმარ-შვილის მიმტოვებელი ქალი არა მარტო აღნიშნულ ქონებაზე იღებდა ხელს, არამედ მას ქმარ-შვილის სასარგებლოდ ჯარიმის (ციოშონ) გადახდაც ეკისრებოდა. იუსუფ მარგოშვილის ცნობით, ციოშონ (ჯარიმა) შეადგენდა ათ ძროხას ან მის ღირებულებას (ნივთების ან ფულის სახით), ხოლო ქასა ქავთარაშვილის (დაბ. 1865 წ.) ცნობით, ქმრის ოჯახიდან თვითნებურად წასული ქალის მამის ოჯახი ვალდებული იყო დაწუნებული ქმრისთვის გადაეხადა 30 ძროხა ან მისი ღირებულება, ე. ი. იმდენი, რამდე-

ნადაც იყო შეფასებული ქალის სისხლი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეურაცხყოფილ ქმრეულთ შეეძლოთ ქალის ოჯახიდან სისხლი აეღოთ, ე. ი. მოეკლათ ქალის ახლო ნათესავი ვაჟი, ვინაიდან ქალის მოკვლით შურისძიება ქისტებში მიუღებელი იყო.

საფიქრებელია, რომ ერთმანეთისაგან განსხვავებული ეს ორი ცნობა ეხებოდეს სხვადასხვა ეპოქაში არსებულ ვითარებას, რომელთაგან სიძველის სუნი უდის მეორეს, როგორც მამაპაპური ჩვეულების დაცვის მიზნით მოქმედს, უფრო მკაცრი სასჯელის აღმნიშვნელს, მაგრამ ორივე ეს ცნობა ერთნაირად მიგვითითებს იმაზე, რომ ქალის ეკონომიური უფლებები განსაზღვრული იყო მათი ყოფაქცევითაც. მორალური ნორმების დაურღვეველობის პირობებში კი ნუსკულ ფაართალ და დეენწერ (დეენწერიდან მხოლოდ პირუტყვის თავნი) წარმოადგენდა ქალის ხელშეუხებელ პირად საკუთრებას ოჯახის გაყრამდეც, ოჯახის გაყრის შემდეგაც და ცოლ-ქმრის დაცილების შემთხვევაშიც. ცოლ-ქმრის ერთად შებერებისა და ცოლის გარდაცვალების შემდეგ მისი ეს ქონება შვილებს რჩებოდათ.

ქალის გამზითვების ქისტურ წესს თუ შევუდარებთ ჩაჩნეთ-ინგუშეთში არსებულ ანალოგიურ ჩვეულებას, ძათ შორის თითქმის ერთსა და იმავე ვითარებას დავინახავთ, ვიხაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში როგორც ჩაჩნეთ-ინგუშეთში, ისე პანკისის ხეობაში მზითევის მომზადების ძირითად საფუძველს წარმოადგენდა საქმროს მიერ მიტანილი ურვადი. ურვადიდან მზითევის მომზადების წესი პანკისის ხეობაში ისეეე გვიანდელია, როგორც ჩაჩნეთ-ინგუშეთში. ეს წესი, როგორც ნახების საოჯახო ყოფის შესახებ არსებული ლიტერატურული წყაროებიდან ვიცით, გასული საუკუნის 60-იან წლებში იქნა შემუშავებული ყალიმის შემცირების ძიზნით მიღებულ სათანადო დადგენილების საფუძველზე[37]. ქისტების ცხოვრებაშიც აღნიშნული წესი გადმონერგილი ჩანს ჩაჩნეთ-ინგუშეთიდან იმათი მეშვეობით, რომლებიც ხსენებულ ეპოქაში საცხოვრებლად გადმოვიდნენ პანკისის ხეობაში. უფრო ადრე ნახები მზითევს თითქმის არ იცნობდნენ, ვინაიდან ურვადიდან მისი მომზადების წესის შემოღებამდე მამის ოჯახიდან ქალს შეეძლო წაეღო მხოლოდ თავისი ტანსაცმელი და ერთი ხელი ლოგინი. თავიანთ ადრინდელ სამშობლოში თუ პანკისის ხეობაში ჩამოსახლების დასაწყისში ეს ეტაპი განვლილი ჰქონდათ ქისტებსაც. მზითევი ნახების ყოფაში ისეთივე უმნიშვნელო

---

[37] ამ წიგნის გვ. 121—124.

ქონებას წარმოადგენდა, როგორც ქართველ მთიელებში[38] და აქ ის საოჯახი და საქორწინო ურთიერთობის ისევე გვიანდელი საფეხური-სათვის ჩანს დამახასიათებელი, როგორც სხვაგან[39].

ასევე ზოგადკავკასიურ მოვლენად გამოიყურება ქალისთვის პირუტყვის მიცემის წესი. საკუთრივ ქისტების ეს ჩვეულება ჰგავს როგორც ქალისთვის ძროხის გატანების ინგუშურ წესს, ისე ქართულ[40], სათავნოს. როგორც ინგუშების საოჯახო ყოფის ამ მომენტზე მსჯელობისას აღვნიშნეთ, ინგუშეთში მასალა არ შემოინახა ხსენებული საკითხის გასარკვევად. რაც შეეხება პანკისის ხეობას, აქ დადასტურდა სათანადო ნორმების არსებობა იმის შესახებ, თუ დეენწერიდან რა იყო ქალის ხელშეუხებელი საკუთრება და რა გადადიოდა საერთო საოჯახო საკუთრებაში. განსხვავებით ქართლ-კახეთისაგან, სადაც სათავნოს თავნიც და ნამატიც ქალის პირად საკუთრებად ითვლებოდა[40], განსხვავებით აგრეთვე ხევისაგან, სადაც სათავნო გადადიოდა საერთო საოჯახო საკუთრებაში და ის კარგავდა პერსონალური საკუთრების ხასიათს[41], პანკისის ხეობაში დეენწერის თავნი რჩებოდა ქალის პირად საკუთრებაში, ხოლო ნამატი გადადიოდა საერთო საოჯახო მოხმარებაში. აღნიშნული ვითარება ასახავს საოჯახო საკუთრებისა და ოჯახის განვითარების სხვადასხვა საფეხურს. იქ, სადაც სათავნო მხოლოდ პირად საკუთრებას წარმოადგენდა, ოჯახში გაღრმავებული იყო კერძომესაკუთრული ტენდენცია (ქართლ-კახეთში). იქ, სადაც სათავნო ექცეოდა საერთო საოჯახო დოვლათის შემადგენლობაში, ოჯახი შედარებით მტკიცედ ინარჩუნებდა ქონებაზე საზოგადო საკუთრების ტრადიციას (ხევში), ხოლო პანკისის ხეობაში დადგენილი ვითარება ანარეკლი უნდა იყოს საოჯახო ურთიერთობის ისეთი საფეხურისა, როდესაც ერთიმეორეს ეჯახებოდნენ კერძო და საზოგადო საკუთრების ინტერესები. ქალის საკუთრებაში ძროხის ან ხუთი ცხვრის ბოლომდე დატოვება მანიშნებელია ოჯახის შიგნით კერძომესაკუთრული მომენტის გაჩენისა, ხოლო საოჯახო საკუთრე-

---

[38] რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, გვ.103; ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 233—237.

[39] М. Косвен, Семейная община и патронимия, Москва, 1963, стр. 60; Н. Кисляков, Семья и брак у таджиков, М.-Л., 1959, стр. 136—180; Р. Харадзе, Грузинская семейная община, II, стр. 54.

[40] Р. Харадзе, Грузинская семейная община, I, стр. 55, 56, 63, 97; Мисиеви, Грузинская семейная община, II, стр. 51 და შემდეგ.

[41] ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 235.

ბაში ნაშატის გადასვლის წესი ოჯახში საზოგადო საკუთრების შენარჩუნებისათვის ბრძოლის გამომსახველია. ამ ორი მომენტის თანარსებობა გაჩენილი უნდა იყოს ოჯახის ფორმათა განვითარების გარდამავალ საფეხურზე, როდესაც საზოგადო საკუთრებაზე დაფუძნებული საოჯახო თემის რღვევის შედეგად გამარჯვების სასწორი იხრებოდა კერძო საკუთრებაზე დამყარებული ინდივიდუალური ოჯახის სასარგებლოდ. პანკისის ხეობაში არსებული ოჯახი საოჯახო ურთიერთობის განვითარების ამ საფეხურს დიდად იყო დაშორებული და ყველა ზემოთ განხილული ძირითადი ნიშნების მიხედვით ის ინდივიდუალური ტიპის ოჯახს წარმოადგენდა, მაგრამ საკუთრების ძველი ფორმა ტრადიციის სახით ასეთი ოჯახის არსებობის პირობებშიაც ინახავდა თავს ჩვენთვის ცნობილ რიგ სხვა მოვლენებთან ერთად.

საოჯახო ქონების განაწილებისას ასევე ხელშეუხებელი იყო ქვრივის ნუსკულ ფაართალ და დეენწერ. თუ ქვრივი ქმრის ოჯახიდან წავიდოდა, ამ ქონების წაღების უფლება მას ჰქონდა, ოღონდ დეენწერის ნამატიდან ის ვერაფერს ვერ მოითხოვდა. წასვლა კი დასაშვები ყოფილა დაქვრივებიდან ერთი წლის თავზე. ამის შემდეგ მას გათხოვებაც არ ეკრძალებოდა, მაგრამ თუ ის არ შეასრულებდა ერთწლიანი გლოვის წესს, ერთი წლის გასვლამდე მიატოვებდა გარდაცვლილი ქმრის ოჯახს და მითუმეტეს თუ მისი წასვლა დაკავშირებული იყო გათხოვებასთან, წესის დამრღვევ ქვრივს ბეეები (ᲩᲘᲔᲚᲮᲝᲐ) და მოწმეები (თᲘᲔᲨᲐᲨ) დააჯარიმებდნენ ათი ძროხით, ან მისი ღირებულებით.

თუ ქვრივი ქმრის ოჯახიდან არც მამის სახლში წავიდოდა და არც გათხოვდებოდა, ოჯახის გაყრისას ის ღებულობდა ქმრის წილს სრულად განურჩევლად იმისა ის შვილებიანი იქნებოდა თუ უშვილო. ამასთან ერთად, მას მაზლები, ქმრის ნათესავები და მეზობლები დახმარებას უწევდნენ პურით, შეშით, საკლავითა და ფიზიკური შრომით, რასაც ეწოდებოდა ᲚᲐᲐ ᲓᲐᲠ (შველა ან ᲑᲔᲚᲮᲝᲘ (ულამი).

ქვრივის მიმართ სხვაგვარი დამოკიდებულება, შეკრებილი მასალების მიხედვით, თითქოს არ ჩანს. მთხრობლები უარყოფით პასუხს გვაძლევენ მაზლზე ქვრივი რძლის გათხოვების შესაძლებლობის შესახებაც. ზოგიერთი იმ უკიდურესობამდეც კი მივიდა, რომ ეს წესი ჩაჩნებისა და ინგუშებისთვისაც უცხო მოვლენად გამოაცხადა. ასეთ განმარტებას საფუძვლად უდევს მთხრობლის სუბიექტური შეხედულება „სამარცხვინო ჩვეულებათა“ დამალვის მიზნით. ზოგიერთი მთხრობელი კი კონკრეტულ ფაქტებსაც გვისახელებდა, მაგრამ ისევ იმ თვალსაზრი-

სით. თითქოს ასეთი მოვლენების საფუძველი იყო ცალკეულ პირთა უნებისყოფობითა და წინდაუხედაობით გამოწვეული შეცდომა.

ლევირატის გადმონაშთებისადმი ქისტების ამგვარი დამოკიდებულება უნდა აიხსნას მათი დიდხანს ცხოვრებით ქართულ გარემოცვაში. მართალია, ნახები საერთოდ მისდევდნენ ლევირატის ჩვეულებას და ეს ქისტების ყოფაშიც უსათუოდ არსებობდა, მაგრამ ვინაიდან მათი აქ დასახლება ხდებოდა მაშინ, როდესაც ქართულ მოსახლეობაში ეს ჩვეულება უკვე დავიწყებას იყო მიცემული, ქისტებმაც მას თანდათანობით ზურგი შეაქციეს. ჩაჩნეთ-ინგუშეთში კი მის დიდხანს არსებობას ხელი შეუწყო შარიათის გავრცელებამ. შარიათს პანკისის ხეობაშიც შეიძლებოდა ამ მხრივ სათანადო როლი შეესრულებინა, მაგრამ მას აქ წინ გადაეღობა ქრისტიანული იდეოლოგია, რომელსაც ქისტები უკვე ნაზიარები იყვნენ. მართალია, მაჰმადიანობას შემდეგ ყველა პანკისელი დაუბრუნდა, მაგრამ შარიათმა ვეღარ შეძლო ყველა მივიწყებული ჩვეულების აღდგენა. ერთ-ერთ ასეთ ჩვეულებად წარმოადგენდა ლევირატი, რომლის მოშლაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართული მოსახლეობის ყოფისა და სულიერი კულტურის გავლენამ და რომლის ფეხზე დაყენება ასეთ გარემოში ყოველად შეუძლებელი იყო.

* * *

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დაეასკვნათ, რომ პანკისელი ქისტები არ მისდევდნენ დიდ ოჯახებად ცხოვრების წესს. მაგრამ სათანადო მასალის შესწავლამ გვიჩვენა ისიც, რომ ინდივიდუალურ ოჯახში, განსაკუთრებით ამ ტიპის მრავალსულიან ოჯახში, თავს ინახავდა ზოგიერთი ისეთი ჩვეულება, რომელიც ნიშანდობლივი იყო საოჯახო თემისათვის. ოჯახის ადრინდელი ფორმისათვის დამახასიათებელი ტრადიციების შემონახულობა განსაკუთრებით შეინიშნებოდა ოჯახის მმართველობის სტრუქტურაში და საოჯახო საკუთრების ხასიათში. აღნიშნული ვითარება იმის მანიშნებელია, რომ პანკისელი ქისტების წინაპრები თავიანთ სამშობლოში (ჩაჩნეთ-ინგუშეთში) ცხოვრობდნენ არა მარტო ინდივიდუალურ ოჯახებად, არამედ გაუყრელადაც და მისდევდნენ მის შესაბამის წეს-ჩვეულებებს, რომელთაგან შთამომავლობამ ბევრი რამ მემკვიდრეობით მიიღო და ახალ საცხოვრებელ გარემოშიც შეინარჩუნა.

აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით ბუნებრივია აქვე დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არ დადასტურდა დიდ ოჯახებად ცხოვრების წესი პანკისელი ქისტების ყოფაში მაშინ, როდესაც საო-

ჯახო თემი გადმონაშთური ფორმით არსებობდა იმდროინდელ ჩაჩნეთ-ინგუშეთშიც, საიდანაც ქისტები მოდიოდნენ, და საქართველოშიც, სადაც ისინი საცხოვრებლად მკვიდრდებოდნენ.

საქმე იმაშია, რომ საქართველოში ქისტების ჩამოსახლება მიმდინარეობდა მაშინ, როდესაც გადმონაშთური ფორმით შემორჩენილი საოჯახო თემი თავისი არსებობის დღეებს ითვლიდა. ეს პროცესი დამახასიათებელი იყო როგორც ჩაჩნეთ-ინგუშეთისათვის, ისე საქართველოსათვის. ამიტომ სამშობლოდან გადმოხვეწილ ქისტებს აღარც იქიდან მოყვებოდათ გაუყრელად ცხოვრების მყარი ტრადიცია და საამისო მდგომარეობა აღარც საქართველოში უხვდებოდათ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც კაპიტალისტური ურთიერთობა ვითარდებოდა და როდესაც საოჯახო თემის შენარჩუნების საფუძვლები მოშლილი იყო, ასეთ პირობებში აყრილსა და ახალ საცხოვრისში დამკვიდრებულ ქისტებს აღარ შეეძლოთ სოციალური ურთიერთობის განვითარების გეზი შეეცვალათ. ისინი ძალაუნებურად ინდივიდუალურ ოჯახებად სახლდებოდნენ და ზურგს აქცევდნენ მამაპაპური ცხოვრების მომაკვდავ წესს.

ნაწილი მესამე

ოსების საოჯახო ყოფა

პირველი თავი

ოჯახის შემადგენლობა

ოჯახის შემადგენლობის შესახებ ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის ძთიანეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა გვაცნობს XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ვითარებას. ირკვევა, რომ ხსენებულ ეპოქაში ინდივიდუალური ოჯახის გვერდით ოსეთში გადმონაშთური ფორმით არსებობდა საოჯახო თემი, რომელიც წარმოადგენდა რამდენიმე თაობისა და რამდენიმე ათეული სულის მომცველ ერთეულს. ამგვარი ტიპის ოჯახის შემადგენლობის შესახებ ფაქტობრივი მონაცემები დადგენილი გვაქვს ქურთათის, ალაგირის, თრუსოს, ქსნისა და ორივე ლიახვის ხეობებში.

ქურთათის ხეობის სოფლებში მთხრობელთა გადმოცემებზე დაყრდნობით აღვწერეთ რამდენიმე დიდი ოჯახი, რომელთაგან სანიმუშოდ შეიძლება გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს. ასეთი ოჯახის ყოფილი წევრის ვანო ალექსის ძე დულაევის (103 წლისა) ცნობით, სოფ. ლაცში გაუყოელად უცხოვრია ოთხ თაობას. ოჯახის ხელმძღვანელები ყოფილან პირველი თაობის წარმომადგენლები — იშპან და მისი მეუღლე დაუხანი. მეორე თაობას შეადგენდნენ იშპანის შვილები: სოსლანბეგ, სიმონ, ალექსი და ხაშაქო. მესამე თაობაში შედიოდნენ სოსიკ, იალბიედიყო (სოსლანბეგის შვილები); შაშ, მიშა (სიმონის შვილები); ასლანბეგ, აშლანყო, ვანო, ვასილ (ალექსის შვილები); ბებოლ, შოლტანბეგ, შოლტან (ხაშაქოს შვილები). მეოთხე თაობის წარმომადგენლებად გვეელინებიან ასლანბეგ ალექსის ძის შვილები: ანზორ, მურთაზ, გიორგი და ახსარბეგ.

რძლებისა და ქალების ჩათვლით, რომელთა სახელები აქ მოხსენებული არ არის, გაყრის მომენტში ოჯახში ირიცხებოდა 30 სული.

ასევე ოთხი თაობისაგან შედგებოდა ანდიევების ოჯახი სოფ. ანდიათი ყაუში. ამ ოჯახის მეოთხე თაობის წევრმა ყაიყუთო ყუბადის ძე ანდიევმა (დაბად. 1885 წ.) პირველი თაობის წარმომადგენლად დაგვისახელა ბრნას და მისი მეუღლე; მეორე თაობისა მათი შვილები: მასკა, ბიშო და თოთრაზ; მესამე თაობიდან მასკას შვილები (ყუბადი და ხუთი ქალი), ბიშოს შვილები (ქამე, შოშლანბეგ, ბეჩერ. თოთრაზ) და თოთრაზის შვილები (ჩოფან, გაბა, ალექსანდრე), ხოლო მეოთხე თაობიდან ყუბადის შვილები (ყაიყუთო, ჯანქო), ჟაბეს შვილები (თება. გრიშა, კოშტან, აშახმათ), ჩოფანის შვილები (ბათრაზ. ინალუ), გაბას შვილები (შოკორყო, ელბუზუყო) და ალექსანდრეს შვილები (მულქა, პეტრე).

გაყრის წინ ოთხ თაობას აერთიანებდა თოხტიევების ოჯახი სოფ. ბარზიყაუში, რომლის უფროს თაობას შეადგენდნენ ძმები ვარიყან და ხათუ (ტყუპნი). მეორე თაობის წარმომადგენლები იყვნენ ვარიყანის შვილები (გუში, ფიში, გამშერ, კოტორ. ბათირ, ზალეკ) და ბათუს შვიდი ვაჟი, რომელთაგან მთხრობელმა ხაზბატარ ბესლანის ძე თოხტიევმა (დაბად. 1902 წ.) გაიხსენა მხოლოდ ორი ძმის სახელი (ბიბო, დოზი). მესამე თაობას ეკუთვნოდნენ ვარიყანისა და ხათუს შვილიშვილები, ხოლო მეოთხეს ვარიყანისა და ხათუს შვილიშვილის შვილები. ადგილზე აღრიცხული სახელების რაოდენობა 60-ზე მეტია, მაგრამ გათხოვილი ქალებისა და გაყრამდე გარდაცვლილთა გამოკლებით ოჯახში მისი დაყოფის დროს ირიცხებოდა 47 სული.

იმავე სოფელში დიდ ოჯახებად უცხოვრიათ გურიევებს, რომელთაგან თავდაპირველად ერთად ყოფილან ძმები ფეფე. ბატი და გისო თავიანთი შემადგენლობით. შემდეგში თითოეული მათგანის მოდგმა ცალკე ოჯახად გამოსულა, რომელთაგან ფეფეს ოჯახის შემადგენლობის აღწერა შესაძლებელი გახდა და გამოირკვა, რომ ვაუყრელად ამ ოჯახის ცხოვრება გაგრძელდა ხუთ თაობამდე. ე. ი. იმის შემდეგაც, რაც პირველი და მეორე თაობის წარმომადგენლები (ფეფე და დუდარი) გარდაცვლილან. დუდარის შვილები: ხასასყო, თაუსულტან და ზანბეგ ქმნიდნენ მესამე თაობას, ხოლო ამ უკანასკნელთა შთამომავლობის სახით ოჯახში იმყოფებოდა მეოთხე და მეხუთე თაობა, რომელთა სახელებს აქ აღარ ჩამოვთვლით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მეხუთე თაობას მიღწეული ოჯახი, რომელიც 15 საქორწინო წყვილს აერთიანებდა, თავდაპირველად გაყრილა სამ დიდ ოჯახად ხასასყოს, თაუსულტანისა და ზანბეგის შთამომავლობის მიხედვით. როგორც თაუსულტანის შვილიშვილმა შავხალ გურიევმა (დაბად. 1885 წ.) გვაცნობა, საკუთრივ მათი ოჯახი თაუსულტანის მეთაურო-

ბით გაურის წინ ითვლიდა 33 სულს. შემდეგში ეს ოჯახი ექვსად გაურილა.

სოფ. ხიდიკუსში სიტოხოვების 35-სულიანი ოჯახი სამ თაობას მოიცავდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მურზაბეგ. მისი რვა ვაჟიდან (გაბიშ, ასლანიკო, ბისო, თოთრბეგ, გუზრი, საველი, არსენ და ?) არსენისა და სახელუცნობი სულ უმცროსი ძმის გარდა, ყველა ცოლშვილიანი ყოფილა. თუ ისინი შეადგენდნენ მეორე თაობას, მესამე თაობას ავსებდნენ მათი შვილები: გაბრიელი, თოთი, გრიშა (გაბიშას შვილები); ალექსანდრე, სოზრიყო, თოთრაზ (ასლანიკოს შვილები); თემურბულათ, ბუსკა, გიორგი (ბისოს შვილები); ძამბულათ, ქამბოლათ (თოთრბეგის შვილები), ზანტემირ გუზრის ძე და კოლია საველის ძე.

ასეთივე ტიპისა იყო თებიევების ოჯახი სოფ. ლაცში, რომელიც სამ თაობას აერთიანებდა და 25 სულს მოიცავდა, ოთხი თაობისა და 16 სულის მომცველი გოჯიევების ოჯახი სოფ. ხიდიკუსში, მარზაგანოევების ოჯახი სოფ. ხარისკინში, რომელიც ოთხი თაობისა და 70 სულისაგან შედგებოდა, ზიტიევების ოჯახი ხუთი თაობით სოფ. ციმიტში, ყულოევების ოჯახი ოთხი თაობით სოფ. ქადათში და სხვ.

აქ დასახელებული ოჯახების ცხოვრება ემთხვევა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გაუყრელად ცხოვრების წესი ჩრდილო ოსეთის მთიანეთში ყოფის ერთ-ერთ დამახასიათებელ კომპონენტს წარმოადგენდა. ამავე გარემოებაზე მიგვითითებს ის მასალაც, რომელიც გვაცნობს ქსნის ხეობაში ქართველების მეზობლად მცხოვრები ოსების საოჯახო ყოფას. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა საკუთრივ ქსნის ხეობის ზედა წელი, ცხრაძმის ხეობა, ქარჩოხის ხეობა, ქამური და ჭურთის ხეობა.

ოჯახის შემადგენლობაზე წარმოდგენის შესაქმნელად სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ თენდაც ჭურთის ხეობაში მდებარე სოფელი ჯანგათკარი, სადაც ამჟამად დრიაევების გვარის სამი ოჯახი ცხოვრობს. მიშა ვანოს ძე დრიაევის (დაბად. 1890 წ.) ცნობით, ახლო წარსულში აქ ამ გვარის 12 კომლი ყოფილა, რომელთაგან ცხრა სხვაგან გადასახლებულა. ჩვენთვის საყურადღებოა ის გარემოება, რომ 12 კომლი წარმოქმნილა ერთი საოჯახო თემის სეგმენტაციის საფუძველზე. ერთად ცხოვრების ტრადიცია ცოცხლობდა მთხრობლის ახალგაზრდობაშიც. ის თვითონ არის მომსწრე იმისა, როდესაც მისი მამა ვანო და ვანოს ძმა სანდრო სიბერემდე ერთად ცხოვრობდნენ. მათი გაურის მომენტისათვის ვანოს ჰყოლია სამი,

ხოლო სანდროს ხუთი ცოლშვილიანი შვილი, რითაც დასტურდება სამი თაობის ერთ ჭერქვეშ ყოფნის ფაქტი.

რამდენიმე თაობის გაუყრელად ცხოვრების ფაქტები მთხრობლებს კარგად ახსოვთ სოფ. ჩიგოიანში, რომელიც მდებარეობს ქარჩოხის ხეობის სიღრმეში და დასახლებულია ოსებით. ჩიგოიანში მოწმდება სამი პატრონიმიული ერთეულის არსებობა, რომელთაგან ერთს ერქვა ძ ე ბ ი ს ა თ ა და აერთიანებდა ძებისოვებს. ჩიგოევების გვარი კი იყოფოდა ორ პატრონიმიად, რომელთაგან ერთის სახელწოდება იყო გ ა ძ ა ლ ა თ ა (ეპონიმი გაძალა), ხოლო მეორისა — ხ ჷ ხ ა თ ა (ეპონიმი ხჷხა). თითოეული ამ პატრონიმიის ფარგლებში XX საუკუნის დასაწყისში კიდევ იყო შემორჩენილი ზოგიერთი გაუყრელი ოჯახი. ჩიგოევების ერთ-ერთი ასეთი ოჯახი შედგებოდა 21 სულისაგან და აერთიანებდა სამ თაობას. ოჯახის უფროსის ტეტიას გარდაცვალებამდე გაუყრელად უცხოვრიათ მის შვილებს: ხახას, ჯირგოლს და იაკობს, რომელთაგან ხახას ჰყოლია ოთხი შვილი (ადამა, თაბი, სოსიკა, პავლე), ჯირგოლს — ორი (ალექსი, ნიკოლა), ხოლო იაკობს სამი, რომლებიც კახეთში გადასახლებულან (ამათი სახელები ვერ დავადგინეთ). ძებისოვების ერთ-ერთი ოჯახი, რომელსაც ჯერ ძაალ, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მისი შვილი ხამირზა შეთაურობდა, გაყრილა მაშინ, როდესაც ძაალ გარდაცვლილი იყო, მეხუთე თაობა ფეხს იდგამდა და ერთ ჭერქვეშ 22 სული ცხოვრობდა. ამ ოჯახში პირველი თაობის წარმომადგენელი იყო ძაალ, მისი შემცვლელი შვილი ხამირზა მეორე თაობას ეკუთვნოდა, ხამირზას შვილები (მალხაზ, ნიკო, ტატო) მესამე თაობას, მეოთხე თაობის წევრებად გვევლინებიან მალხაზის შვილები (ლადიმერ, ჩერქეზ, ჭუძი, დანოზ), კოლა ნიკოს ძე და ტატოს შვილები (ლაფერ, ფირუზ, გენო). ხოლო მეხუთე თაობის წარმომადგენელი იყო ვასო ლადიმერის ძე.

ასეთივე შემადგენლობის ოჯახები აღვწერეთ ქსნის ხეობის შუა ზოლშიც, სახელდობრ, იკოთ-ლენინგორის მომიჯნავე სოფლებში. მაქსიმე კოხსტანტინეს ძე ტიგიევის (დაბად. 1900 წ.) ცნობით, სოფ. ჭაშაში სამ თაობამდე გაუყრელად უცხოვრია მათ ოჯახს, რომელიც ითვლიდა 18 სულს. უფროსი თაობის წარმომადგენლები იყვნენ ძმები ქუცა და ხიხი. ქუცას შვილი იყო დათიკო, რომელსაც ჰყავდა ოთხი ვაჟი და ორი ქალი. ხიხის ჰყავდა კონსტანტინე და შაქრო, გაყრის წინ კონსტანტინეს ჰყოლია კოლა, მაქსიმე, ვასო, მიხა და არტემა, ხოლო შაქროს — ორი შვილი.

სოფ. ახალდაბაში გაუყრელად უცხოვრიათ ბიძაშვილებს — ხათა და არჯუანა კიბილოვებს. არჯუანა უშვილო ყოფილა, ხოლო ხათას ჰყავდა სამი შვილი (სანდრო, მირმანა, ხიბი), სამივე ცოლშვი-

ლიანი. გაყრის მომენტში (1920 წელს) ოჯახში ირიცხებოდა 28 სული.

სოფ. მორბედანში ქასოშვილების ოჯახი გაყრის წინ ითვლიდა 54 სულს. ლაფერ იოსების ძე ქასოშვილის ცნობით, ამ ოჯახში მდგარა 12 აკვანი, ხოლო სამი თაობა მისი ძირითადი წევრებით ასე წარმოგვიდგება: პირველი თაობა: ლექსა და მისი ძმა ბიძინა. მეორე თაობა: ვანკა, იოსება, მიხა (ლექსას შვილები); კოტე, პავლე, სოლომონა, ყარამანა, ნიკო (ბიძინას შვილები); მეოთხე თაობა: ანდრო, მარტია, პეტრო (ვანკას შვილები); იაგორა, ციცი (მიხას შვილები); გიძილა, საბა, იაკობა (პავლეს შვილები).

ოჯახის შემადგენლობის დასაღგენად საყურადღებოა სოფ. ზემო როკაში (დიდი ლიახვის სათავეები) ჩაწერილი მასალა ჯიქაევების შესახებ. გაბილა ანდის ძე ჯიქაევის (დაბ. 1876 წ.) ცნობით, ზემო როკაში ჯიქაევი მხოლოდ ერთი კომლია, რომელიც გადმოსახლებულა სოფელ ჯომაღიდან არახელსაყრელი სამეურნეო პირობების გამო. ჯომაღში ყოფნის დროს, დაახლოებით 1906 წლამდე, ჯიქაევების ოჯახი, რომლის ერთ-ერთ ნაწილსაც წარმოადგენდა როკაში ჩამოსახლებული ოჯახი, 47 სულისაგან შემდგარ გაუყრელ ერთეულს შეადგენდა. მისი პირველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ ძმები ანდი და ნიკო თავიანთი ცოლებით. მეორე თაობას შეადგენდნენ ანდისა და ნიკოს შვილები და რძლები. ანდის ჰყავდა ექვსი შვილი: გაბილა, ვასო, გრიგოლ, კოლა, სერგო და ძოცცა, ხოლო ნიკოს ხუთი შვილი: საჩინო, გიორგი, ვალოდია, აქიმ, ივანე. ყველა მათგანი გაყრამდეევე ყოფილა დაცოლშვილებული. ამის მიხედვით გამოდის, რომ მეორე თაობის შემადგენლობაში გაერთიანებული იყო 11 მამაკაცი და 11 დედაკაცი (რძლები). ამათთან ერთად მთხრობელს მხედველობაში ჰყავდა მეორე თაობის წარმომადგენელთა შთამომავლობა, რომელთა სახელების ჩამოთვლა მან ვერ შეძლო, მაგრამ აღნიშნა, რომ გაყრის წინ ოჯახი აერთიანებდა 47 სულს. მას არც იმის თქმა დავიწყებია, რომ ოჯახიდან გამოდიოდა 10-12 მთიბელი, რაც ერთხელ კიდევ მიგვითითებს ოჯახის სიდიდეზე.

ამგვარი ოჯახის არსებობის მაჩვენებელია აგრეთვე სოფ. ქვემო როკაში ფიქსირებული მასალა. კოლა პაელეს ძე პლიევის (დაბად. 1901 წ.) გადმოცემით, ქურთათის ხეობის სოფ. კორაში (ჩრდილო ოსეთი) გაუყრელად უცხოვრია ოთხ ძმას, რომელთაგან მთხრობელმა სამი ძმის სახელი (ბებელ, ესე, ყებელ) გაიხსენა. მათ ერთხანს კელავ ერთ დიდ ოჯახად უცხოვრიათ ზემო როკაში, ხოლო შემდეგ ოთხად გაყრილან და სხვადასხვა ადგილას დასახლებულან. თითოეული მათგანის შთამომავლობას შეუქმნია პატრონიმიული უბანი. ამათ-

ვან ცნობილია, მაგალითად, შუა როკაში ესიანთ უბანი, სადაც ცხოვრობდნენ ესეს შთამომავლები. ერთ-ერთ ქედზე დღემდე დგას ცალ მხარეზე ჩამონგრეული კოშკი ირგვლივ არსებული ნასახლარებით, რომელსაც ეწოდება ყონიათა (ყებელისა და მისი მოდგმის სამოსახლო) და ა. შ.

იმავე მთხრობელმა გაგვაცნო დიდხანს გაუყრელად მცხოვრები ოჯახის შემადგენლობა, რომლის ერთ-ერთი წევრიც თითონ იყო. ეს ოჯახი შედგება სამი თაობისაგან.

პირველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ გაცა და მისი მეუღლე. მათი შვილები (პავლე, გუძა და პეტრე) შეადგენდნენ მეორე თაობას. რაც შეეხება მესამე თაობას, ამაში გაერთიანებული იყვნენ პავლეს შვილი კოლა, გუძას შვილები (იასონ, გრაფ, ყასფოლ) და პეტრეს შვილები (ბაგრატ, დავით, ეფიმ, გიგო). მთხრობელს აქ აღარ დაუსახელებია მცირეწლოვანი ბავშვები (ე. ი. მესამე თაობის წევრთა შვილები), რომელთა სახით ოჯახში ფეხს იდგამდა და იზრდებოდა მეოთხე, თაობა.

ოჯახის შემადგენლობის შესწავლისათვის საინტერესოა გადმოცემა თომაევებისა და ძერანოვების შესახებ, რომელიც სოფ. ზემო როკაში ჩაგვაწერინა 1898 წელს დაბადებულმა თოთირ ნიკოლოზის ძე თომაევმა, ხოლო შუა როკაში 1891 წელს დაბადებულმა ნესტორ გიორგის ძე ძერანოვმა.

როგორც გადმოცემიდან ჩანს, თომა და ძერან ყოფილან ძმები, რომლებსაც თავდაპირველად უცხოვრიათ ჩრდილო ოსეთში, ქურთათის ხეობის სოფ. კორაში. მთხრობლის ცნობით, ისინი ყოფილან უზდენები[1] და ქურთათის თემში საკმაოდ დიდი პრივილეგიებით

---

[1] მთხრობლების მიერ ამ ტერმინის ხმარება შემთხვევითი არ არის. „უზდენი" („უჯზდან") ოსურად ნიშნავს „კეთილშობილს". ასეთი „კეთილშობილი გვ რები" („უჯზდან მიგგაგ"), რომლებიც თავისი სოციალური მდგომარეობით (ქონებით, ძალაუფლებით) რიგით მეთემეებზე მაღლა იდგნენ და ფეოდალობისაკენ მიისწრაფოდნენ, ოსეთის მთიანეთის ყველა ძირითად ხეობასა და საზოგადოებაში იმყოფებოდნენ. როგორც ოსეთის ისტორიიდანაა ცნობილი, სოციალური დიფერენციაციის მხრივ ეს ხეობები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. გეიანი შუა საუუნეების თავაურსა და დიგორში ფეოდალიზაციის პროცესმა უფრო გამოკვეთილი სახე მიიღო, ვიდრე ქურთათისა და ალაგირის ხეობებში (იხ. История Северо-Осетинской АССР, Москва, 1959, стр. 92—100). მაგრამ ერთფეროვანი საზოგადოება არც ამ ხეობებში ყოფილა და სოფლის თემის შიგნით სოციალური დიფერენციაციის პროცესი მათთვისაც იყო დამახასიათებელი. ქურთათის ხეობის იმ გვართა რიგებში, რომლებიც სოფლის თემის რღვევისა და ფეოდალური ურთიერთობის განვითარების პირობებში თავისი ძლიერებითა და უფლებებით რიგით მეთემეებზე მაღლა დგე-

სარგებლობდნენ, მაგრამ რაღაცა მიზეზის გამო კორადან გადმოსახლებულან საქართველოში და დამკვიდრებულან ზემო როკაში, რომელიც მაშინ არ ყოფილა დასახლებული. თუ ამ გადმოცემას დაეჯერება, ეს მომხდარა სამი საუკუნის წინათ. აქ მათ აუშენებიათ ხუთსართულიანი კოშკი და ციხე-სახლი. ეს კოშკი დღემდე შემონახულია მის ირგვლივ არსებული საბლების ნანგრევებით. ბოლო დროს მას დაპატრონებია რუსეთის ჯარის ოფიცერი მახამათ თომაევი, რომელიც რუსების წინააღმდეგ აჯანყდა 1850 წელს.

ამ კოშკის აშენებისა და კოშკთან მდგარ ციხე-სახლში რამდენიმე ხანს ცხოვრების შემდეგ თომა და ძერანი გაყრილან. ვრცელ ტერიტორიაზე ცხოვრების გამო მათ გასაყოფი არაფერი ჰქონიათ. თომა დარჩენილა იქვე, ხოლო ძერანი მის ქვემოთ ჩამოსახლებულა. ისინი, აქაც ცდილან უზდენობის შენარჩუნებას, მაგრამ მიზნისათვის მიუღწევია თომას, ვინაიდან ის გამხდარა მაჩაბლების მოურავი. ამასთან ერთად, თომას, შთამომავლობას საქორწინო კავშირი შეუნარჩუნებია ქურთათის ხეობის უზდენურ გვარებთან, რასაც დიდი როლი უთამაშია მათი პრივილეგიის დაცვაში. ძერანის შთამომავლობას ვერც მაჩაბლებთან კავშირი მოუხერხებიათ და ვერც საქორწინო ურთიერთობის გაგრძელება თავიანთ ადრინდელ მეზობლებთან. რის გამო ისინი მაჩაბლების მოღალენი გამხდარან. მაჩაბლები ცდილან თომაევების დაბეგვრასაც, ერთხანს ეს განუხორციელებიათ, მაგრამ მათი დამორჩილება ბოლოს მაინც ვერ მოუხერხებიათ. მთხრობლებს ამის ერთ-ერთ მიზეზად ისიც მიაჩნიათ, რომ თომას შთამომავლობა გამოირჩეოდა ვაჟკაცობითა და სიმრავლით. ძირითად ფაქტორად კი მაინც თვლიან მაჩაბლებთან მათ დაახლოებას და ქურთათის ხეობის უზდენებთან საქორწინო კავშირს. როგორც მთხრობელმა აღნიშნა, ჩრდილო ოსეთიდან გადმოსახლებული კაცი, ის გინდ უზდენიც რომ ყოფილიყო, ახალ სამოსახლო თემში (ამ შემთხვევაში დიდი ლიახვის სათავეებში) გლეხის უფლებით მკვიდრდებოდა და ის ამ მდგომარეობაში რჩებოდა, თუ კი ვერ მონახავდა საიმედო სოციალურ საყრდენს თავისი უფლებრივი მდგომარეობის გასაზრდელად. ე. ი. კავშირს ქართველ თავადაზნაურობასთან. აღნიშნული ვითარება ნათლად გამოვლინდა თომაევებისა და ძერანოვების მაგალითზე, რომლებიც, თავდაპირველად ერთნაირი სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, საქართველო-

---

ბოდნენ, იმყოფებოდნენ თომაევები და ძერანოვები. მათი ასეთი პრივილეგიური მდგომარეობა ჰქონდათ მხედველობაში მთხრობლებს, როდესაც ამ გვარებს უზდენები უწოდეს.

ში დამკვიდრების დღიდან განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამან თავისი გამოხატულება პოვა კოშკების სიმრავლესა და თავდაპირველი კოშკის დასაკუთრებაში. მთხრობლების გადმოცემით. თომას და ძერანის მიერ აშენებული ხუთსართულიანი კოშკის თომას ხელში მოქცევა განაპირობა თომას მიერ თავიდანვე მოპოვებულმა პრიორიტეტმა. მათივე განმარტებით, შემდგომში თომას შთამომავლობის გაძლიერებას მათ მიერ უზდენობის შენარჩუნებასთან ერთად, საფუძვლად დაედო გამრავლება და მეტი კოშკების აშენება. ბოლო დროისათვის თომაევების სახელზე ყოფილა ექვსი კოშკი, ხოლო ძერანოვებს ჰქონიათ სამი.

ოჯახის შემადგენლობის გასარკვევად გადმოცემიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ის მასალა, რომელიც შეეხება თომაევებისა და ძერანოვების პატრონიმიულ ერთეულებს. თომაევების ძველ პატრონიმიულ გაერთიანებებად მთხრობლებმა დაგვისახელეს თ ო მ ა თ ა, ბ უ ძ ი თ ა და ც ა რ ა ნ თ ა, ხოლო შემდგომ წარმონაქმნებად გვესახება დ ო ხ წ უ ყ ო თ ა, ა ლ ხ ა ს თ ა და მ ა ხ ა მ ა თ ა, რომლებიც არსებობას ინარჩუნებდნენ XIX საუკუნეში. რაც შეეხება ძერანოვებს, მათი ნათესაური გაერთიანებებიდან აღსანიშნავია ბ ო ლ ა თ ა, ბ უ რ ა თ ა და გ ა გ კ ო თ ა.

თითოეულ პატრონიმიას, რომელიც აერთიანებდა რამდენიმე დიდსა და პატარა ოჯახს, ჰქონდა თითო კოშკი. მაგალითად, გაგკოთა-ში შედიოდა ექვსი ოჯახი. რაც შეეხება პატრონიმიის სახელწოდებას, როგორც ყველგან, აქაც მას საფუძვლად უძევს პიროვნების (ეპონიმის) სახელი. ძერანოვების პატრონიმიებში ასეთ ეპონიმებად გვესახებიან ბოლა, ბური და გაგკო, ხოლო თომაევებში ასეთებად გვევლინებიან თომა, ბუძი, ცარან (ძველი ფენა); დოხწუყო ალხასთ, მახამედ (ახალი ფენა).

რამდენადაც ჩვენთვის პირველ ყოვლისა საინტერესოა ოჯახის შემადგენლობის ცოდნა კონკრეტული მონაცემების საფუძველზე, აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მახამედი იყო თომაევების ერთ-ერთი იმ დიდი ოჯახის მეთაური, რომელშიც შედიოდა ოთხი თაობა. თუ მახამედი და მისი მეუღლე პირველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ, მათი შვილები — ჭებო და ტურა თავიანთი ცოლებით ეკუთვნოდნენ მეორე თაობას. მესამე თაობის სახით ოჯახში იყვნენ ჭებოს შვილი გრიგოლი და ტურას შვილები (ნიკოლოზ, ივანე, მიშა, ილას). მეორე თაობიდან კი აღსანიშნავია ნიკოლოზის შვილები (თოთირ, გიორგა, ბაგრატ), ივანეს შვილები (რუთენ, ბათირ,?) და მიშას შვილები (ფედერ და გაზბი). ოჯახის გაყრის მომენტში ილასი უცოლო ყოფილა. ოჯახის გაყრამდე გარდაცვლილან პირველი თაობის წარ-

ჰომადგენლები; აგრეთვე ჭებო, ტურა და ტურას შვილი ნიკოლოზი. თუ ამ პირებს ოჯახის საერთო რაოდენობას გამოვაკლებთ, მაგრამ სამაგიეროდ დაეუმატებთ რძლებსა და ქალებს, რომლებიც აქ არ ჩამოგვითვლია, დავრწმუნდებით, რომ ეს ოჯახი დიდი იყო არა მარტო თაობათა რაოდენობით, არამედ რიცხობრივი შემადგენლობითაც.

ოჯახის შემადგენლობის შესწავლისათვის საინტერესო მასალა მოგვაწოდეს სოფ. ზემო ზღუბირში. გიგო ალიკის ძე ხანიკიევისა (დაბად. 1883 წ.) და ხიკოლოზ გიორგის ძე ჯათიევის (დაბად. 1913 წ.) ცნობით, აქ 1920 წლამდე გაუყრელად უცხოვრია ხანიკიევის ერთ-ერთ ოჯახს, რომელსაც ჯერ ხელმძღვანელობდა დაღისტან (ზღუბირელი ხანიკიევების მეოთხე თაობის წარმომადგენელი; ეპონიმის სახელი?, ამის შემდეგ მოდიან დაკკო→დარი→დაღისტან→ალიკ→გიგო→სოსლან→ჰამად), ხოლო შემდეგ მისი უფროსი შვილი ალიკ. ალიკთან ერთად ცხოვრობდნენ მისი ძმები: გის, ხადო, გაბიე და ბიმბოლ ალიკს გაყრამდე ჰყავდა ოთხი ვაჟი (დანელ, ლადო, მუხტარ, გიგო) და ოთხი ქალი, გის — სამი ვაჟი (ნიკა, სერგი, ვასკა) და სამი ქალი, გაბიეს — ოთხი ვაჟი (სამსონ, კოლა, შამილ, ასკრ) და სამი ქალი, ხოლო ბიმბოლს — ორი ვაჟი (აბდულ, ?) და ოთხი ქალი. ოჯახში გაყრამდე ფეხი აიდგა მეოთხე თაობამაც. ესენი არიან ლადი ალიკას ძის შვილები (სიმონიკა და ჯოკა), მუხტარ ალიკას ძის შვილები (ურუზმაგი, რუსლან და ორი ქალი) და გიგო ალიკას ძის შვილები (კოსტა, ლევან, სერგი, ვასილ, სოსლან, ჯაფერ და ერთი ქალი). გარდა ამისა, გის ჰყოლია სამი შვილიშვილი, ხოლო გაბიეს 15 შვილიშვილი.

სოფ. ედისში ჩაწერილი მასალების მიხედვით, ერთად ცხოვრობდნენ ბაი ბეგიზოვი, მისი ოთხი ვაჟი (ძიგა, დრის, ვანო და ქიმის) თავიანთი ცოლებითა და შვილებით. ეს ოჯახი ნელ-ნელა დაყოფილა მისი წევრების სხვადასხვა ადგილას გადასახლების გამო. ამავე სოფელში დაგვისახელეს ძესოევების ოჯახი, რომელიც აერთიანებდა სამი ძმის შვილებსა და შვილიშვილებს და რომლიდანაც გამოდიოდა 12 მთიბელი.

გაუყრელად ცხოვრების ტრადიცია ჩვენს ეპოქამდე იყო შემონახული სოფ. შუა ერმანში (ერმანი ლიახვის ხეობის სათავეებში ყველაზე მაღლა მდებარეობს. ზღვის დონიდან ის 2240 მეტრზეა), რაც კარგად ჩანს ფარნიევების ოჯახის მაგალითზე. აქ ერთად უცხოვრიათ ძმებს: ციცკა, დიმიტრი და ამბროზი ფარნიევებს. ციცკა და ამბროზი დაიღუპნენ პირველ მსოფლიო ომში. ამბროზის შვილი არ დარჩენია. სამაგიეროდ ციცკას დარჩა ერთი შვილი ნიკალა. ასეთი მდგომარეობის გამო, მამაკაცებიდან ოჯახს შემორჩნენ დიმიტრი და მისი ძმისწული

ნიკალა. გაურამდე დიმიტრის ჰყავდა ორი ვაჟი (ფილია, ილო) და ოთხი ქალი, ხოლო ნიკალას ორი ვაჟი (აგობე, ბექიზა) და სამი ქალი. გაურამდე (1958 წელს გაიყარნენ) დიმიტრის ვაჟებიდან ფილიას შესძენია სამი ბიჭი (მაირბეგ, ურიზმაგ, ხაჯუმარი) და სამი ქალი. სულ ოჯახი ითვლიდა 22 სულს, მაგრამ აქ საყურადღებოა არა იმდენად ოჯახის რიცხობრივი შემადგენლობა, არამედ პირველ ყოვლისა ის, რომ ოჯახი საბჭოთა ხელისუფლების პირობებშიც ინარჩუნებდა გაუყრელად ცხოვრების მამაპაპურ ტრადიციას.

დიდი ლიახვის ხეობაში ჩაწერილ მასალას, რომლის მცირე ნაწილიც ზემოთ წარმოვადგინეთ რამდენიმე ოჯახის მაგალითზე, თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით ეხმაურება პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები ოსების შესახებ შეკრებილი ფაქტობრივი მონაცემები. ერთი-ორი საილუსტრაციო ფაქტის გადმოცემის მიზნით აქ შეიძლება გავეცნოთ ბოლოთაევების ოჯახს სოფ. შუაცხვირში. რომელსაც მეთაურობდნენ იბა და მისი მეუღლე. მეორე თაობას შეადგენდნენ მათი შვილები: ჯიბრაილ, ტატე, როსებ და გასი. მესამე თაობის წევრებად გვესახებიან ჯიბრაილის შვილები (იასე, ბარძიმ, მუთი), როსებას შვილები (ნიკა, გიორგი) და გასის შვილი სიკო. ტატეს ხუთი ქალი ჰყავდა. გაურის მომენტისათვის ოჯახში იწყებოდა მეოთხე თაობის განვითარებაც, რამდენადაც იასეს (ჯიბრაილის ვაჟს) ჰყავდა ერთი ვაჟი და ორი ქალი. მესამე თაობის დანარჩენი წევრებიდან ცოცხალი ყოფილა მხოლოდ ბარძიმ ჯიბრაილის ძე.

1920 წელს გაურილა ბოლოთაევების მეორე ოჯახი, რომელიც შედგებოდა 30 სულისაგან და მოიცავდა ოთხ თაობას. თუ პირველ თაობას ეკუთვნოდნენ თედო და მისი მეუღლე მელო, მათი შვილები: გიგო, ქარუმა, თასგლ, ვაზნო (დაბად. 1869 წ.). მიტა და ოთხი ქალი იყვნენ მეორე თაობის წევრები. მესამე თაობას შეადგენდნენ: გიგოს შვილი შაქრო, ქარუმას შვილები (ილიკო, გივარგა, ალექსი და ორი ქალი), თასგლას შვილები (ლენტო, ნიკალა, მელექო, მიშა და ორი ქალი), ვაზნოს შვილები (რადეი, გრიშა, ერეკლე და სამი ქალი) და მიტას შვილი (?), რომელიც ომში დაიკარგა. მეოთხე თაობიდან აღსანიშნავია ილიკო ქარუმას ძის ერთი ბიჭი და შაქრო გიგოს ძის ერთი ქალი. მესამე თაობის დანარჩენი წევრები უცოლ-შვილონი იყვნენ.

პატარა ლიახვის ხეობის ოსთა შორის დიდ ოჯახებად ცხოვრების წესს დიდხანს ინარჩუნებდნენ აგრეთვე ჩოჩიევები, ვალიევები, ქუნდუხოვები და მრავალი სხვა, მაგრამ ადგილის სიმცირის გამო მათ შესახებ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ამავე მიზეზით გვერდს უვლით თრუსოს ხეობის მასალების დაწვრილებით განხილვას და ვკმა-

ყოფილდებით იმის აღნიშვნით, რომ თრუსოს ხეობაში მცხოვრები ოსების საცხოვრებელი ნაგებობანი და პატრონიმიული უბნები, რის შესახებაც ერთ-ერთ სპეციალურ ნაშრომში ვკითხულობდა საუბარი, ვარაუდებელია საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმით არსებობისა. ამ ხეობაში შემორჩენილი ძველი დროის ნაგებობანი წარმოადგენდნენ დიდი ოჯახების საცხოვრებლებს, ისევე როგორც ამა თუ იმ პატრონიმიული უბნის შექმნას საფუძვლად ედო საოჯახო თემის სეგმენტაცია[2].

შემორჩენილი ძველი საცხოვრებლების, მათი ნანგრევებისა და [illegible]ტოვებული უბნების მიხედვით ანალოგიური სურათი დაინდობა ორიეე ლიახვისა და ქურთათის ხეობებში. ამ ხეობებში კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპედიციის მიერ დასახლების ფორმის შესწავლის[3] შედეგად ირკვევა, რომ ოსური სოფელი შედგებოდა პატრონიმიული უბნებისაგან, ხოლო ასეთი ერთეულები ყალიბდებოდა დიდი ოჯახების დაყოფის საფუძველზე. ამავე ექსპედიციის მიერ შესწავლილი ნაგებობებიც[4] წარმოადგენდნენ უმთავრესად დიდი ოჯახების საცხოვრებლებს, ისევე როგორც ეს ჩანს ოსებული სპეციალური გამოკვლევებიდან[5].

---

[2] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში. „კვ. I, თბილისი, 1964.

[3] ამ საკითხზე მუშაობდა ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, რომელიც თავისი კვლევის შედეგებს ახლო მოსავალში გამოაქვეყნებს.

[4] ნაგებობების შესახებ მასალას იწერდა გ. გ ე ბ ე კ ო რ ი.

[5] იმის შესახებ, რომ ოსები დიდი გაპარტის სახლებს აშენებდნენ,მოგვითხრობენ ჩვენი ძველი მემატიანენი. ჯერ კიდევ XIV საუკუნის ძეგლში ნათქვამია, რომ დვალეთში დასახლებულმა ოსებმა „იწყეს შენებად ცისა და სახლებისა დიდიდებისა, რომელ ეგვეითარი არ იყო ქუეყანასა დვალეთისასა“ (იხ. ძეგლი ერისთაეთა, შ. მ ე ს ხ ი ა ს გამოცემა, მსკ, ნაკ. 30, თბ., 1954, გვ. 344). ასეთივე ცნობა გვხვდება 345-ე გვერდზე, რაც უნდა ავხსნათ დიდ ოჯახებად ცხოვრების წესით. ასევე დიდ ოჯახების ოსებობას შეეფარდებოდა ოსეთის მთიანეთში მკვლევართა მიერ არაერთგზის ხსენებული და აღწერილი ნაგებობანი: ხ ა ძ ა რ ი (რაც არის როგორც მთელი საცხოვრებელი კომპლექსის, ისე ოჯახის სამყოფი დიდი ოთახის სახელწოდება), გ ა ნ ა ხ ი (ციხე-სახლი), გ ა ლ უ ა ნ ი (გალეანშემორტყული სახლისა და სოფლის კომპლექსი) თუ მ ა ს ი ვ (საცხოვრებელი და თავდაცვითი კოშკი). ამ სახის ნაგებობათა შესახებ იხ. А. Я н о в с к и й, Обозрение российских владений за Кавказом, ч. II, СПб., 1836, стр. 202—203; А. Г а к с т г а у з е н, Закавказский край, ч. II. СПб., 1857, стр. 81, 84, 89, 104; Н. Д у б р о в и н, История войны и владычества русских на Кавказе, СПб., 1871, т. I, кн. I, стр. 289—290; В. М и л л е р, В горах Осетии, РМ, 1881, № 9, стр. 62—63; მ ი ს ი ვ ე, Археологические экскурсии в Терской области, МАК, вып. I, 1888, стр. 59—61; М. К о в а л е в с к и й, Современный обычай и древний закон. Обычное право осетин в историко-

ძირითადად ასეთი ხასიათისაა საველე ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც გვაცნობს გადმონაშთური ფორმით შემორჩენილი საოჯახო თემის შემადგენლობას. ჩვენ მიერ შეკრებილ მასალასთან ერთად საყურადღებოა რევოლუციამდელი და საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც მეტ-ნაკლები სისრულისა და მნიშვნელობის მქონე ცნობებს გვაწვდის ოჯახის შემადგენლობაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ერთი მხრივ, სხვადასხვა დროის სტატისტიკური მონაცემები, რითაც ვეცნობით ამა თუ იმ სოფლის კომლთა რაოდენობას და სულადობას. ხოლო, მეორე მხრივ, ოსი, რუსი და უცხოელი ავტორების ცნობები. სტატისტიკურ მასალებში არ არის მოცემული ცალკეული ოჯახების აღწერილობა, მაგრამ რამდენადაც სოფლის კომლთა და სულთა რიცხ-

---

сравнительном освещении. I, Москва, 1886, стр. 72—74; К. Хетагуров, Быт горных осетин, Сталинир, 1939, стр. 5—11; И. Канукова, В осетинском ауле, ССКГ, вып. VIII, Тифлис, 1875, стр. 2—3; Н. Дмитриев, Переход через Рокский и Мамисонский перевалы, СМОМПК, вып. XX, Тифлис, 1894, стр. 20—21; К. Ган, По долинам Чорока, Уруха и Ардона, СМОМПК, вып. XXV, Тифлис, 1898, отд. I, стр. 29—30; А. Россикова, В горах и ущельях Куртатии и истоков реки Терека, ЗКОИРГО, кн. XVI, 1894, стр. 326, 350; Ф. Красильников, Кавказ и его обитатели, Москва, 1919, стр. 29; Г. Чурсин, Осетины, Тифлис, стр. 15—20; А. Кавказов, Жилище северо-кавказских горцев, жур. «Советский Северный Кавказ», 1930, № 2; Е. Пчелина, Дом и усадьба нагорной полосы Юго-Осетии, УЗИЭНКНВ, II, Москва, 1930; Л. Семенов, Археологические разыскания в Северной Осетии, ИСОНИИ, XII, Орджоникидзе, 1948, стр. 211 და შმდ.; Г. Кокиев, Боевые башни и заградительные стены Горной Осетии, ИЮОНИИК, II, Сталинир, 1935; М. Илина, Древнейшие типы жилищ Закавказья, СИИТА, V, Москва, 1946, стр. 20—21; Н. Такоева, Из истории осетинского горного жилища, СЭ, 1952, № 3; С. Кригер, Архитектура горных селений Северной Осетии, АН, Москва, 1953, № 3; И. Теплицкий, Н. Цагаев, Памятники материальной культуры Северной Осетии, Орджоникидзе, 1963; А. Магометов, Культура и быт осетинского крестьянства, Орджоникидзе, 1963, стр. 87—112; Л. Чибиров, Основные типы жилищ дореволюционной Юго-Осетии, ИЮОНИИ, XI, Цхинвали, 1962; მისივე, Очаг осетинского жилища, მსე, XII—XIII, თბილისი, 1963; Б. Тотров, Семья и семейный быт крестьян Юго-Осетии в конце XIX —начале XX вв, Тбилиси, 1963, მანქანაზე დაბეჭდილი, გვ. 150—165, ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში; Б. Калоев, Осетины (историко-этнографическое исследование), Москва, 1967, стр. 130—142 და სხვა.

ხვის მიხედვით ოჯახის საშუალო სიდიდის დადგენა მაინც ხერხდება, ასეთი ხასიათის მონაცემების გათვალისწინებაც საჭიროდ მიგვაჩნია.

XIX საუკუნის სტატისტიკური მასალებიდან საყურადღებოა ოსეთის სასულიერო კომისიის მიერ 1852 წელს ჩატარებული აღწერა, რომლის გაცნობის მიზნით შეიძლება დავასახელოთ ოსებით დასახლებული ზოგიერთი სოფელი. ქსნის ხეობის სოფ. ჯანგათკარში აღრიცხულია ცხრა კომლი (72 სული), ხოლო სოფ. დორეთკარში შვიდი კომლი (49 სული). თრუსოს ხეობის სოფლებიდან აბანოში უცხოვრია 21 კომლს (178 სულს), დესში რვა კომლს (64 სულს), ბურმასიკში ორ კომლს (23 სულს), ქარათყაკში 11 კომლს (99 სულს). დიდი ლიახვის ხეობის სოფ. ჯავაში ნაჩვენებია 16 კომლი (159 სული), თლიში 17 კომლი (136 სული), ედისში 19 კომლი (133 სული); პატარა ლიახვის ხეობის სოფ. ქვემო ვანათში აღრიცხულია 17 კომლი (182 სული), შუა ვანათში რვა კომლი (76 სული), ქვემო ვანათში რვა კომლი (71 სული), აწრისხევში 16 კომლი (132 სული) და ა. შ.[6] ასეთი მონაცემების მიხედვით სოფ. ჯანგათკარში ერთ კომლზე საშუალოდ მოდის რვა სული, დორეთკარში შვიდი სული, დესში რვა სული, ბურმასიკში 11 სულზე მეტი, ქარათყაკში ცხრა სული, ჯავაში ათი სული, თლიში რვა სული, ედისში შვიდი სული, ქვემო ვანათში ათ სულზე მეტი, შუა ვანათში ცხრა სულზე მეტი, ზემო ვანათში ცხრა სული, ხოლო აწრისხევში რვა სულზე მეტი.

დაახლოებით ასეთივე სურათი გვეხატება 1886 წლის საკომლო სიების მიხედვით. იმდროისათვის ქსნის ხეობის სოფ. ჯანგათკარში ოჯახში საშუალოდ იმყოფებოდა 11 სულზე მეტი (10 კომლი, 118 სული), დორეთკარში ოჯახის საშუალო სიდიდე აღწევდა ცხრა სულს (ექვსი კომლი, 54 სული), ჟერთაში ერთ ოჯახზე მოდიოდა 12 სული (შვიდი კომლი, 84 სული) და ა. შ.[7]

ნ. ნიკიფოროვის გამოანგარიშებით, XIX საუკუნის 70-იან წლებში ოსის ოჯახში საშუალოდ ცხოვრობდა 7,44 სული, მაშინ, როდესაც ქართველის (იგულისხმება ქართლელი — ვ. ი.) ოჯახი შედგებოდა საშუალოდ 5.85 სულისაგან, ხევსურისა — 4,98, ფშაველისა — 5,42, მოხევისა — 7,36, გუდამაყრელისა — 7,86, მთიულისა — 7,22, ინგუშისა — 6,51, ხოლო სომხისა — 5,83 სულისაგან[8].

---

[6] История Юго-Осетии в документах и материалах (составитель И. Цховребов), II, Сталинир, 1960, стр. 91—99.

[7] Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г. Тифлис, 1893. ამ წიგნს პაგინაცია არა აქვს და გვერდს ამიტომ ვერ ვუთითებთ.

[8] Н. Никифоров, Экономический быт государственных крестьян Душетского уезда, Тифлисской губернии, МИЭБГКЗК, т. V, ч. II, Тифлис, 1887, стр. 11.

იმდროინდელი ოსეთის (ნინისა და ბარის) სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ე. მაქსიმოვსაც აღნიშნული აქვს, რომ ოსის ოჯახი საშუალოდ შედგებოდა 7,8 სულისაგან, მაშინ, როდესაც ყაზახის ოჯახში საშუალოდ 5,8 სული მოდიოდა. ასეთი მაჩვენებლების საფუძველზე ე. მაქსიმოვი დაასკვნის, რომ სხვებთან შედარებთი ოსები ნაკლებად იჩენდნენ გაყრისაკენ მიდრეკილებას, რაც მისი დაკვირვებით, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ერთი გვარის მქონე რამდენიმე ოჯახი ერთ სახლში ცხოვრობდა, ხოლო ახალშეუღლებულთათვის ამ სახლის ირგვლივ აშენებდნენ ახალ სახლებს[9].

როგორც ვხედავთ, ე. მაქსიმოვმა ოსთა ყოფაში დაინახა გაუყრელად ცხოვრებისადმი მიდრეკილება და ციფრობრივ მონაცემებთან ერთად დასახლების ფორმაზე დაკვირვებით დაადგინა რამდენიმე საქორწინო წყვილის ერთად ცხოვრების წესი საოჯახო ურთიერთობის ისეთ საფეხურზე, როდესაც გადმონაშთური ფორმით XIX საუკუნეში არსებული დიდი ოჯახი იშლებოდა და ერთი სახლიდან გამოყოფილი ოჯახები იქვე დასახლებით იქმნებოდა პატრონიმიული უბანი. ზემოთ მოყვანილი სხვა ციფრობრივი მონაცემებიც აშკარად მიგვითითებენ იმაზე, რომ ოსების საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი იყო მრავალსულიანობა. ამ მხრივ ოსის ოჯახი უფრო ახლოს იდგა მოხევის, გუდამაყრელისა და მთიულის ოჯახთან, რაც სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება, ვინაიდან როგორც ოსები, ისე აქ დასახელებული ქართველი მთიელები ხსენებულ ეპოქაში ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ გაუყრელად ცხოვრების წესს, რამაც უსათუოდ განსაზღვრა ოჯახის საშუალო მაჩვენებლების სიდიდეც.

თუ სტატისტიკური მასალებით შესაძლებელია გაეცნოთ ოჯახის საშუალო სიდიდეს, სამაგიეროდ ცალკეული ავტორები უფრო ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით. ამ საკითხით დაინტერესებულ XIX საუკუნის ოს ავტორთაგან აქ შეიძლება დავასახელოთ კ. ხეთაგუროვი, ს. კოკიევი და ა. ცალაგოვი.

თავის მშობლიურ ნარის თემში პირადი დაკვირვების საფუძველზე კ. ხეთაგუროვმა მიუთითა რამდენიმე თაობის გაუყრელად ცხოვრების წესზე და ოსეთის წარსულისათვის დამახასიათებელ მოვლენად წარმოგვისახა 25—30-სულიანი ოჯახის ხშირად არსებობა[10].

---

[9] Е. Максимов и Г. Вертепов, Туземцы Северного Кавказа, Владикавказ, 1892, стр. 22. შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ წიგნში დაბეჭდილია 3 ნაშრომი: «Осетины», «Кабардинцы» и «Ингуши». ამათგან პირველი და მეორე ეკუთვნის ე. მაქსიმოვს, ხოლო მესამე — გ. ვერტეპოვს.

[10] К. Хетагуров, Быт горных осетин, стр. 29.

ასეთივე ტიპის 40 და მეტსულიანი ოჯახების არსებობა დაამოწმა ს. კოკიევმა ოსეთის მთიანეთში[11], ხოლო ბარელ ოსებში გაუყრელად ცხოვრების ტრადიციის შენარჩუნებაზე მიუთითა ა. ცალაგოვმა[12].

ოსების ყოფით დაინტერესებულ ოსეთში მყოფ უცხო დამკვირვებელთაგან პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ შტედერი. რომელმაც 1781 წელს აღნიშნა კოშკებით გამაგრებულ ქვის ნაგებობებში მცხოვრები ხალხმრავალი ოჯახების არსებობა[13].

ოსეთის სხვადასხვა კუთხეში რომ ოჯახი აერთიანებდა უახლოესი ნათესავების რამდენიმე თაობას და მასში ირიცხებოდა 20, 40, 60 და თვით 100 სულიც კი, ს. კოკიევის ნაშრომზე დაყრდნობითა და პირადი დაკვირვების საფუძველზე ეს თავის რამდენიმე ცნობილ გამოკვლევაში აღნიშნა მ. კოვალევსკიმ[14].

მამასთან ცოლშვილიანი შვილების გაუყრელად ცხოვრებისა და რამდენიმე თაობის ერთად ყოფნის წესი ოსეთში ნახეს და აღწერეს სხვა დამკვირვებლებმაც[15], ხოლო ქურთათის ხეობის მაგალითზე მთიელი ოსების პატრიარქალური ყოფის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად ა. როსიკოვამ მიიჩნია დიდ ოჯახებად ცხოვრების წესი. იმ გარემოებას, რომ მისი იქ ყოფნის დროს ზოგიერთ ოჯახში ცხოვრობდა 30—40 სული, მთხრობლების ჩვენების საფუძველზე მკვლევარი ხსნის სახნავი ადგილების ნაკლებობით, რომლის დაქუცმაცება ოჯახების გაყრის შემთხვევაში ახალ გამოყოფილ ოჯახს სულ დიდი ნახევარ დესეტინაზე დასვამდა[16]. ა. როსიკოვას აქვე მოჰყავს ციფრები ქურთათის ხეობის სოფლებში მცხოვრები კომლების რაოდენობისა და სულადობის შესახებ, რაც წარმოდგენას გვაძლევს ოჯახის საშუალო შემადგენლობაზე. სოფ. ხიდიკუსში უცხოვრია 68 ოჯახს (708 სულს),

---

[11] С. Кокиев, Записки о быте осетин. СМЭ, I, Москва, 1885, стр. 77.

[12] А. Цаллагов, Селение Гизель (или Кизилка), СМОМПК, вып. XVI, отд. I, Тбилиси, 1893, стр. 8.

[13] Осетины во II половине XVIII века по наблюдениям путешественника Штедера, Орджоникидзе, 1940, стр. 29.

[14] М. Ковалевский, Современный обычай и древний закон, I 1886, стр. 68, 99, 100, 310; II, 1886, стр. 25—26; Эпизоды, Поземельные и сословные отношения у горцев Северного Кавказа, РМ, СПб., 1883, кн. XII, стр. 139.

[15] В. Пфаф, Материалы для древней истории осетин, ССКГ, вып. IV, Тифлис, 1870, стр. 10; Эпизоды, Народная право осетин, ССК, I, Тифлис, 1871, стр. 189; К. Ган, Поездка к верховьям большой Лиахви и Ксани (летом 1903 г.), СМОМПК, вып. XXXV, отд. I, Тифлис, 1905, стр. 263.

[16] А. Россикова, დასახ. ნაშრომი, გვ. 318.

ხარისკინში 18 ოჯახს (170 სულს), ძივგისში 25 ოჯახს (362 სულს), დალაგუაუში 54 ოჯახს (536 სულს), გუთიათუაუში ცხრა ოჯახს (79 სულს) და ა. შ.[17] აღნიშნული მონაცემების მიხედვით საშუალოდ სოფ. ხიდიკუსში ერთ ოჯახზე მოდის ათ სულზე მეტი, ხარისკინში ცხრა სულზე მეტი, ძივგისში 14 სულზე მეტი, დალაგუაუში ცხრა სულზე მეტი, ხოლო გუთიათუაუში რვა სულზე მეტი. ასეთი მაჩვენებლებიც იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ მთიელი ოსები XIX საუკუნის მიწურულში კვლავ გაუყრელად ცხოვრების წესს მიჰყვებოდნენ.

ოსეთის მთიანეთში 30 და მეტი სულის მომცველი დიდი ოჯახების არსებობაზე მიუთითა და ა. როსიკოვას მსგავსად ასეთი ოჯახების გაუყრელობის მიზეზად ვიწრო ეკონომიური პირობები და გაურის შემთხვევაში გაღარიბების შიში დაასახელა ა. სკაჩკოვმა[18].

რიგ სხვა საკითხებთან ერთად ოსთა საოჯახო ურთიერთობის შესწავლისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაცხოველდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. პირველ რიგში აქ შეიძლება დავასახელოთ გ. ჩურსინი, რომელმაც სამხრეთ ოსეთის ეთნოგრაფიისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში მიუთითა გაუყრელად ცხოვრების ტრადიციის დიდხანს შემონახულობაზე და ბევრი ისეთი ოჯახი დაასახელა, რომელთა სულადობა აღწევდა 20, 26, 30, 64 თუ 80 სულს, ხოლო თაობათა რაოდენობა 3—4-ს[19].

ლიახვის ხეობაში 1931 წ. მუშაობის შედეგად ასეთსავე დასკვნამდე მივიდა მ. კოსვენი, რომელიც ოსთა წარსულისათვის დამახასიათებელ მომენტად თვლის ისეთი სახლმეურნეობის არსებობას, რომელიც 100-მდე სულს ითვლიდა, ხოლო XX საუკუნის დასაწყისისათვის მთიელ ოსთა ყოფაში შემონახული ყოფილა 50-60 სულიანი ოჯახები[20].

სამხრეთ ოსეთის მთასა და ბარში XX საუკუნის დასაწყისამდე დიდ ოჯახებად ცხოვრების წესს ხედავს ზ. ვანეევი, რომელმაც აღწერა რამდენიმე ისეთი ოჯახი, რომელიც მოიცავდა 3-4 თაობას და აერთიანებდა რამდენიმე ათეულ სულს. მისი დაკვირვებით, გაუყრელად ცხოვრების ტრადიცია განსაკუთრებით დიდხანს ყოფილა შემონახული მთასა და მთისძირა ზოლში, ხოლო შედარებით ნაკლებად ბარად.

---

[17] А. Росникова, დასახ. ნაშრომი, გვ. 312, 316, 321, 323, 326.

[18] А. Скачков, Опыт статистического исследования горного уголка, ТВ, 1905, № 219.

[19] Г. Чурсин, Осетины, Тифлис, 1925, стр. 37.

[20] М. Косвен, Из истории родового строя в Юго-Осетии, Этнография и история Кавказа, Москва, 1961, стр. 5—6.

ამის დასამტკიცებლად მკვლევარი ცალკეული ოჯახების აღწერილობასთან ერთად იმოწმებს სასოფლო საბჭოების საკომლო დავთრებს[21].

ოჯახის შემადგენლობის შესახებ კიდევ უფრო უხვი და მნიშვნელოვანი კონკრეტული მასალა აქვს შეკრებილი და გენეალოგიური სქემების სახით ჩამოყალიბებული ბ. ტოტროვს თავის საკანდიდატო დისერტაციაში[22], ხოლო ჩრდილო ოსეთის ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით ა. მაგომეტოვს აღნიშნული აქვს, რომ XX საუკუნის დასაწყისისათვის ოჯახის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა პატარა ოჯახი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამასთან ერთად შემონახული იყო 30-40 და მეტსულიანი დიდი ოჯახები. ა. მაგომეტოვის სამართლიანი შეხედულებით, ასეთი ტიპის ოჯახი წარმოადგენდა პატრიარქალური საოჯახო თემის გადმონაშთურ ფორმას[23].

ზემოხსენებულ საკითხს შეეხო აგრეთვე ბ. კალოევი, რომელმაც ლიტერატურულ მონაცემებზე, თავის მიერ შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალებსა და საარქივო წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ XX საუკუნის დასაწყისამდე საოჯახო თემი გადმონაშთური ფორმით ოსეთში ფართოდ იყო გავრცელებული. მისივე მტკიცებით, თვით XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მთიდან ბარში ოსების გადასახლებამდე, ოჯახის ძირითად ფორმას წარმოადგენდა საოჯახო თემი ანუ დიდი ოჯახი. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს ინდივიდუალური ოჯახი, ხოლო დიდი ოჯახი არსებობას ინარჩუნებს გადმონაშთის სახით. ბ. კალოევს საარქივო მასალების საფუძველზე გაუყრელად ცხოვრების ფაქტები დადგენილი აქვს XX საუკუნის დასაწყისშიაც[24].

ოსეთში გაუყრელად ცხოვრების ტრადიციის დიდხანს შემონახულობის მაჩვენებელია ახალი დროის სტატისტიკური მონაცემებიც. 1917 წლის აღწერით ჩრდილო ოსეთში 11 და მეტსულიანი ოჯახების რიცხვი შეადგენდა მოსახლეობის 14,6 პროცენტს. შემდეგში ასეთი ოჯახების რიცხვმა იკლო, მაგრამ 1926 წლის აღწერით მათი რაოდენობა მაინც აღწევდა 1532-ს მაშინ, როდესაც შედარებით მცირერიცხოვანი ოჯახი ყოფილა 27367[25].

---

[21] З. Ванеев, Из истории родового быта в Юго-Осетии, Тбилиси, 1955, стр. 201—204.

[22] Б. Тотров, დასახ. ნაშრომი, გვ. 150—165.

[23] А. Магометов, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

[24] Б. Калоев, დასახ. ნაშრომი, გვ. 175 და შდ.

[25] Статистический справочник Северо-Осетинской авт. обл.; Владикавказ, 1927, стр. 60—62.

ამგვარად, როგორც ჩვენ მიერ ოსეთის მთიანეთში შეკრებილ ეთნოგრაფიული მასალების, ისე დღემდე გამოქვეყნებული ლიტერატურისა და სტატისტიკური მონაცემების მიხედვით აშკარაა, რომ ინდივიდუალური ოჯახის გვერდით XIX საუკუნეში არსებობდა ისეთი ოჯახიც, რომელიც აერთიანებდა უახლოესი ნათესავების რამდენიმე თაობას და რამდენიმე ათეულ სულს. ასეთი შემადგენლობის ოჯახები წარმოადგენდა საოჯახო თემის გადმონაშთურ ფორმას, რომლის ბუნების შესწავლისათვის ოსურ მასალას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მეოთხე თავი

ოჯახის ეკონომიური საფუძვლები

მეურნეობის დარგებს ოსეთში განვითარების ისეთივე გრძელი გზა აქვს განვლილი, როგორც ოსების მატერიალურსა და სულიერ კულტურას, ენას და ისტორიას. მეურნეობის განვითარების დონე ოსეთში ისევე ცვალებადი იყო, როგორც ქვეყნის სახელმწიფოებრივი მდგომარეობა. თუ მონღოლების გამოჩენამდე ოსთა წინაპრების საარსებო საშუალებას მთურთან ერთად ბარული მეურნეობაც წარმოადგენდა ერცელ ტერიტორიაზე მათი განსახლების გამო, მონღოლების შემოსევების შედეგად მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ოსების ისტორიის შემდგომი განვითარება მიმდინარეობდა ცენტრალური კავკასიის მთიანეთში, სადაც ხალხის ძირითად საარსებო საშუალებას ოდითგანვე წარმოადგენდა მესაქონლეობა და მთური მიწათმოქმედება, ხოლო სხვადასხვა ისტორიულ ხანაში დამხმარე წყაროს სახით მეტ-ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა მონადირეობას, ძეფუტკრეობას, შინამრეწველობას, საშოვარზე სიარულსა და ვაჭრობას.

XIX საუკუნის დასაწყისამდე, ე. ი. რუსეთის იმპერიის ფარგლებში კავკასიის მოქცევამდე, ოსები ცხოვრობდნენ ცენტრალური კავკასიონის ჩრდილო და სამხრეთ ხეობებში. ჩრდილო კავკასიის ბარში, ვლადიკავკაზისა და მოზდოკის მიდამოებში ოსების მასობრივი დასახლება დაიწყო XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან, იმის შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლებამ ამ ტერიტორიაზე ხელი ააღებინა უაბარდოელ ფეოდალებს და ის სახელმწიფო მიწებად გამოაცხადა[1].

---

[1] Б. Скитский, Очерки по истории осетинского народа с древнейших времен до 1867 года, ИСОНИИ, т. XI, Дзауджикау, 1947, стр. 149—152; История Северо-Осетинской АССР, Москва, 1959, стр. 162 და შმდ.

ბარად დასახლების შედეგად ოსების სამეურნეო პირობები რამდენადმე გაუმჯობესდა. მთაში მიწების ნაკლებობით შეკვიწროებულ ოჯახებს შესაძლებლობა მიეცათ ახალ სამოსახლო გარემოში მოჰკიდებოდნენ ფართო მასშტაბის მიწათმოქმედებას და მეურნეობის ეს დარგი გამოეყენებინათ მესაქონლეობის განვითარების ბაზადაც. მთიდან მოსახლეობის ნაწილის ბარად ჩამოსახლება მთაში დარჩენილთა მდგომარეობასაც ამსუბუქებდა, რამდენადაც შეთხელებული მოსახლეობის ხელში გადადიოდა წასულთა ადგილ-მამულები, მაგრამ ოსეთის მთიანეთში არასოდეს არ შექმნილა ისეთი მდგომარეობა, რომ მოსახლეობა სამეურნეო ნაკვეთებით ყოფილიყო დაკმაყოფილებული. სახნავსათესი ადგილების უკმარობა ოსეთის მთიანეთში, ისევე როგორც კავკასიის მთიანეთში საერთოდ, წარმოადგენდა რევოლუციამდელი ყოფის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხს. მთაში ამ მხრივ შედარებით ხელსაყრელი პირობები არსებობდა მესაქონლეობისათვის, რომლის დიდი მასშტაბით განვითარებასაც ხეობებისა თუ სოფლების მიხედვით მეტ-ნაკლებად გააჩნდა ხელშემშლელი მიზეზები, მაგრამ მიწათმოქმედებასთან შედარებით მესაქონლეობის ხვედრითი წონა შედარებით დიდი იყო და ამდენად წამყვანი ადგილიც მას ეკავა. ეს ნათლად ჩანს როგორც ლიტერატურიდან, რასაც ქვემოთ გზადაგზა გავეცნობით, ისე ჩვენ მიერ შეკრებილი მასალიდან, რომელიც ასახავს XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ვითარებას.

იმისათვის, რომ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მეშვეობით წარმოდგენა ვიქონიოთ მთიელი ოსების სამეურნეო პირობებზე, საჭიროდ მიგვაჩნია მივმართოთ ზოგიერთ კონკრეტულ მაგალითს. ამ მიზნით შეიძლება დავასახელოთ ქურთათის ხეობის სოფ. ლაცში 1967 წლის 24 ივნისს მთხრობლის (მამსურ ძამბოლათის ძე თებიევი, დაბ. 1913 წ.) გადმოცემაზე დაყრდნობით აღწერილი თებიევების 25-სულიანი ოჯახი (სამი თაობა ერთად), რომლის დოვლათსაც შეადგენდა: ორსართულიანი სახლი, ხუთი-ექვსი დღიური სახნავი, სამი ცხენი (ერთი სამგზავრო, ორი მუშა), ექვსი ხარი, რვა ძროხა და 1000 ცხვარი.

სოფ. ლაცში იმავე დღეს 103 წლის მთხრობელმა ვანო ალექსის ძე დულაევმა გვაცნობა, რომ მათ ოჯახს, რომლის შემადგენლობასაც ზემოთ გავეცანით, გააჩნდა ერთი სახლი, შვიდი დღის სახნავი, ერთი საურმე და ერთი სამგზავრო ცხენი, ოთხი ხარი, ხუთი მეწველი ძროხა, 25 სული მოზარდი (ხბო, დეკეული, მოზვერი), 400 სული ცხვარი და თხა.

სოფ. ანდიათიყაუში გაუყრელად მცხოვრები ანდიევების ქონებას შეადგენდა ოთხი დღის სახნავი საქერე ადგილი, უღელი ხარი, ორი სამგზავრო ცხენი, 20 სული ძროხა და მოზარდი, 500 სული ცხვარი და თხა.

სოფ. ხიდიკუსში ოთხ თაობამდე გაუყრელად მცხოვრები გოჯიევების 16-სულიანი ოჯახის საკუთრებაში იყო ერთი ორსართულიანი სახლი, 11 დღიური სახნავი, წყვილი ხარი, სამი მოზვერი, ოთხი-ხუთი ძროხა, 15 ცხვარი და 80 თხა.

სოფ. ურიყაუში 1967 წ. 26 ივნისს ჩაწერილი მასალის მიხედვით (ნათხრობელი სოზრიკო ალექსის ძე სიტოხოვი, დაბ. 1902 წ.), სოფ. ხიდიკუსში ცხოვრებისას სიტოხოვების ოჯახს ჰქონდა ერთი ორსართულიანი სახლი (პირველი სართული წარმოადგენდა ბოსელს; მეორე იყო — ხ ა ძ ა რ-ი, კ ა ბ ი ც-ს ე ნ ე და ოთხი უ ა თ (ოთახი), რომელთაგან ოთახი იყო სასტუმრო-უ ა ზ ა გ დ ო ნ), ოთხი-ხუთი დღის სახნავი და დაახლოებით ორი ჰექტარი სათიბი. საძოვარი და ტყე იყო სასოფლო. პირუტყვიდან ოჯახს ჰყავდა სამი ცხენი, ორი წყვილი ხარი, ხუთი-ექვსი მეწველი ძროხა, ორი მოზვერი, ორი დეკეული, ხუთი თხა და 200 ცხვარი. მსხვილფეხა საქონელს ადგილობრივ კვებავდნენ, ხოლო ცხვარს ზამთრობით მიერეკებოდნენ ბარად სიმინდის ყანებში.

სოფ. ხარისკინში მარზაგანოვების ოჯახის (ოთხი თაობა, 70 სული) ქონებას შეადგენდა ჯერ ორი ჰექტარი სახნავი, ორი ჰექტარი სათიბი, სამი ცხენი, ორი ხარი და ოთხი ძროხა, ხოლო როდესაც ოჯახში ახალი თაობები წამოიზარდნენ, ეკონომიური დონეც აწეულა. გაყრის დროისათვის გაუყვიათ ერთი ორსართულიანი სახლი, 15 დღიური მიწა, ორი ჰექტარი სათიბი, შვიდი ცხენი, ექვსი ხარი, 25 ძროხა და მოზარდი და 400 თხა და ცხვარი.

გურიევების ზემოთ აღწერილი ოჯახი გაყრამდე ცხოვრობდა ორსართულიან სახლში, რომელიც აშენებული ყოფილა 200 წლის წინათ. მის ქვედა სართულზე ყოფილა ხ ა ძ ა რ ი და კ ა ბ ი ც, ხოლო ზედა სართული დაყოფილი ყოფილა უათ-ებად. ოჯახის გამრავლების შედეგად ეზოში აუშენებიათ კიდევ 15 უათი. ეზოშივე მდგარა იზოლირებული სასტუმრო (უ ა ზ ა გ დ ო ნ) ღუმელით, მაგიდითა და საწოლით გაწყობილი. ოჯახს ჰქონია აგრეთვე წისქვილი და საკმარისი სახნავი. როგორც სოლომონ ქასფოლათის ძე გურიევმა (დაბ. 1885 წ.) თქვა, ისინი სიმინდს ყიდულობდნენ მხოლოდ საარაყედ. რაც შეეხება პირუტყვს, ამ მხრივაც ოჯახი შეძლებულად გამოიყურებოდა. გაყრის დროს მათ გაუყვიათ ორი სამგზავრო ცხენი, 12 ხარი, 20 ძროხა და მოზარდი და 2000 ცხვარი და თხა.

სოფ. ციმიტში ზიტიევების ოჯახის დოვლათს შეადგენდა ერთი ერთსართულიანი ხაძარი თავისი კაბიცით, ეზოში შვიდი უათი, 15 დღიური სახნავი, ორი ჰექტარი სათიბი, ორი ცხენი, ოთხი ხარი, ორი მოზვერი, ოთხი ძროხა და ათი ცხვარი.

ამ რამდენიმე მაგალითის მიხედვით, რაც საერთოდ დამახასიათებელი მოვლენის კონკრეტულ გამოსახულებას წარმოადგენს, აშკარად ჩანს, რომ ქურთათის ხეობის მკვიდრნი მწვავედ განიცდიდნენ საძოურნეო ნაკვეთების სიმცირეს და უფრო მეტად მუყაითობდნენ მესაქონლეობას მისთვის შედარებით ხელსაყრელი პირობების გამო. ცალკეული ოჯახების აღწერილობიდან ისიც ნათლად შეიმჩნევა, რომ მათ შორის ეკონომიურ განსხვავებას ჰქონდა ადგილი. ამასთან ერთად არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ ერთ ოჯახს შედარებით მეტი სახნავი ჰქონდა მეორეზე, მეორეს მეტი საქონელი ჰყავდა მესამეზე და ა. შ., მაგრამ მთელი ხეობისათვის, ისევე, როგორც ჩრდილო ოსეთის სხვა ხეობებისათვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა მესაქონლეობის უფრო დიდი ხვედრითი წონა მიწათმოქმედებასთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ მთიელი ოსები მაქსიმალურად იყენებდნენ და ამუშავებდნენ მიწის ყოველ ნაკვეთს, დიდი შრომის ფასად ქმნიდნენ ხელოვნურ ტერასებს, მიმართავდნენ ახოს აღების სისტემას, ანოყიერებდნენ და ქვისაგან ასუფთავებდნენ სახნავ ადგილებს, პურეულით უზრუნველყოფის ამოცანა მთის პირობებში გადაუჭრელი იყო. ეს განსაკუთრებით შეეხება ხეობების სათავეებს, სადაც სოფლები გაშენებული იყო ალპურ სათიბ-საძოვრებზე. ქურთათის ხეობაში ასეთი იყო ხილაკის თემი, რომლის ნასოფლარებსა და მიდამოებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქერის სათესი ადგილები მეტად ცოტა იყო, ხოლო სათიბ-საძოვრებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა მისდევდა უმთავრესად მესაქონლეობას, უპირატესად მეცხვარეობას. ყაიყუთო ანდიევის (82 წ.) ცნობით (13.VII.67 წ.), XIX საუკუნის მიწურულში ხილაკის თემს, რომლის მოსახლეობა ხსენებულ ეპოქაში 40-მდე კომლს ითვლიდა, ჰყოლია 9000 სული ცხვარი, რაც მეცხვარეობის დიდი მასშტაბის მაჩვენებელია.

სახარბიელო მდგომარეობაში არც ხეობის ქვედა წელის მოსახლეობა იყო. ხილაკის თემთან შედარებით სოფ. ხიდიკუსის. ლაცის თუ ბარზიყაუს მცხოვრებთ მეტი ფართობის დამუშავების შესაძლებლობა ჰქონდათ და მოსავლისათვის კლიმატური პირობებიც უკეთესი იყო, ვიდრე ალპურ ზოლში, მაგრამ იქ, სადაც 300 გრამ ხორცზე მისატანებლად 100 გრამი პური ეძლეოდათ (როგორც ეს მოსწრებულად შენიშნა ხაზბატარ თოხტიევმა სოფ. ბარზიყაუში 1967 წლის 30 ივნისს),

ყოვლად შეუძლებელია არ დავინახოთ მესაქონლეობის უპირატესობა მიწათმოქმედებასთან შედარებით. ასევე პურეულის დიდი ნაკლებობის მაჩვენებელი უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ჭირსა თუ ლხინში ოსურ სუფრაზე ხორცისა და ხაბიზგინების (ხაჭაპურის მსგავსი ნამცხვარი) ხორაგთან პურის ნამცეცსაც ვერ ნახავდით. მთიელი ოსების ყოფაში ეს შეიმჩნევა დღესაც, რაც ტრადიციის გამოვლინებით ახსნება.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ეთნოგრაფიული მასალები იმაზე მიგვითითებენ, რომ პურეულით მომარაგების მიზნით, მთიელი ოსები ბარად მიეშურებოდნენ, სადაც გასაყიდად მიერეკებოდნენ საქონელს ან მიჰქონდათ პროდუქტები. ამასთან ერთად ისინი სეზონურ სამუშაოებშიც მონაწილეობდნენ საფასურში პურის აღების პირობით, ხოლო ზოგიერთები მიწას იჯარითაც იღებდნენ[2]. გარიგების ეს უკანასკნელი წესი მთიელს ბარის მეურნეობასთან აახლოებდა და მთიდან ბარში მოსახლეობის ლტოლვის პროცესს აღრმავებდა.

ჩრდილო ოსეთში ჩვენ მიერ შეკრებილ მასალებთან ერთად საყურადღებოა არსებული ლიტერატურაც, რომელშიაც მეტ-ნაკლები სისრულითაა მოცემული ან რომელიმე ხეობის ანდა მთელი ჩრდილო ოსეთის მთიანეთის მეურნეობის დახასიათება. ქრონოლოგიის პრინციპს თუ დავიცავთ და გავითვალისწინებთ ლიტერატურის მეცნიერულ ღირებულებასაც, აქ პირველ რიგში, უნდა მოვიხსენიოთ ვახუშტის ნაშრომი, რომელშიაც ვკითხულობთ: „არამედ ნაყოფიერება ამ ქვეყნისა არს მცირედი, ვინათგან არარაიმე მარცვალნი ნაყოფიერებენ თჳნიერ ხორბლისა, ქრთილისა და შვრიისა, სიცივის, გვიან გაზაფხულისა და ადრე შემოდგომისათჳს. გარნა ამასაც ვერ სთესვენ მრავლად, უმიწობისა და კლდოვანობის გამო. გარნა, რა იგი დასთესონ, ფრიად ნაყოფიერებს და მრავლად, და უკჳთუ მოვიდეს სეტყვა, რომელი ხშირობს მათ შინა, მოყმდებიან ძლიერად. კვალად არარაი მოვალს, და არა უწყიან მტილისანი ანუ წალკოტნი და ხილნი, გარნა ვიეთთამე ადგილთა იპოების კოწახური, კლდის მერსენი, უელი და ასკილი. პირუტყვნი არიან ცხოვარნი უდუმო-კუდიანი და მომცრო, ძროხა, ცხენი, თხა, ღორი, არამედ არა მრავლად, გარნა არიან ფრიად გემოიანნი სხვათა ადგილებ-

---

[2] ოსეთის ბარში მოიჯარადრეები იყვნენ მსხვილი მიწათმფლობელები და ყაზახთა „სტარშინები", რომლებიც მთიელებს დიდ ექსპლოატაციას უწევდნენ, მაგრამ უმიწობით შეწუხებული ოჯახები სხვა გამოსავალს ვერ ხედავდნენ და ძალაუნებურად მათ უვარდებოდნენ ხელში (იხ. История Северо-Осетинской АССР, стр. 204—205).

თაგან უმეტეს. და ვინადგან აქუთ საძოვარნი და სათიბნი მცირედ, ამისთჳს ვერ ინახვენ ცხოვართა, თჳნიერ კ, მ და რ კიდე, ეგრეთვე ცხენთა და ძროხათა ი, კ და მ და უფროსი არღარა"[3].

ვახუშტის ისიც აღნიშნული აქვს, რომ ოსები იშენებდნენ ქალაქებს და ყოლიათ ფუტკარი „ჰრა ეგდენ მრავლად"[4].

ვახუშტისეული აღწერილობიდან გასაგებია, რომ ოსეთის მთიანეთში არსებობდა მეურნეობის ორი ძირითადი დარგი — მიწათმოქმედება და მესაქონლეობა და ორივე მათგანის განვითარების მასშტაბი შეზღუდული იყო. მიწათმოქმედების ფარგლებს ავიწროებდა სახნავ-სათესად ვარგისი ადგილების ნაკლებობა და მკაცრი კლიმატური პირობები. მესაქონლეობის გაფართოების დამაბრკოლებელ მიზეზად კი ვახუშტის მიაჩნდა სათიბ-საძოვრების სიმცირე.

როდესაც ვახუშტი სათიბ-საძოვრების ნაკლებობას და ამ მიზეზით მესაქონლეობის შეზღუდულობას აღნიშნავს, ჩანს მხედველობაში აქვს არახელსაყრელი მდგომარეობა მეცხვარეობისათვის, ე. ი. ფართო საზამთრო საძოვრების უქონლობა, ურომლისოდაც დიდი მასშტაბის მეცხვარეობა წარმოუდგენელია. ეტყობა, ოსები XVIII საუკუნეში ცხვარს უმთავრესად ბაგურ კვებაზე ამყოფებდნენ და ბარის საზამთრო საძოვრებს სრული შესაძლებლობით ვერ იყენებდნენ, თორემ 20, 40 თუ 100 ცხვრის შენახვას ყველა ოჯახი არ დასჯერდებოდა. მსხვილფეხა მესაქონლეობისათვის კი ვახუშტი შედარებით ხელსაყრელ პირობებს გვაცნობს, რამდენადაც ოჯახს შესაძლებლობა ჰქონია ჰყოლოდა 10, 20, 40 ცხენი და ძროხა. ასეთი შეფარდება უსათუოდ იმის მაჩვენებელია, რომ XVIII საუკუნის ოსეთში გაცილებით დაწინაურებული იყო მსხვილფეხა მესაქონლეობა მეცხვარეობასთან შედარებით, ე. ი. მეცხოველეობის ის დარგი, რომლის განვითარება საზამთრო საძოვრების უქონლობის ან გამოუყენებლობის პირობებში უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე მეცხვარეობისა. მაშასადამე, საკვები ბაზით შეზღუდულობა, რომელსაც ვახუშტი მიიჩნევს მეცხოველეობის გაფართოების დამაბრკოლებელ მიზეზად, პირველ რიგში ეხება მეცხვარეობას, რომელიც განვითარების მაღალ დონეს აღწევს XIX საუკუნიდან, როდესაც მთიელ ოსებსაც მიეცათ საზამთრო საძოვრებით სარგებლობის შესაძლებლობა, საძოვრებისა, რომელიც რუსეთთან ოსეთის დაკავშირებამდე ყაბარდოელ ფეოდალთა მფლობელობაში იყო.

ვახუშტი არაფერს ამბობს იმის შესახებ თუ მეურნეობის რომელი დარგი იყო წამყვანი, მაგრამ იქ, სადაც ოჯახზე საშუალოდ საქონ-

---

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 108.
[4] ი ქ ვ ე, აღწერა..., გვ. 109.

ლის ზემოხსენებული რიცხვი მოდიოდა, ხოლო უმიწობისა, კლდოვანობისა და სეტყვიანობა-სიცივის პირობებში მიწათმოქმედება ძალზე ღარიბად გამოიყურედობდა, უფლება გვაქვს მიწათმოქმედებასთან შედარებით მეურნეობის სფეროში უპირატესობა მივანიჭოთ მესაქონლეობას.

XVIII საუკუნის მკვლევართაგან ოსეთის მთიანეთში ასეთ სურათს ხედავს გიულდენშტედტი. მისი დაკვირვებით, ოსების „მეურნეობა და შინაური წყობილება ჩერქეზულისა და აფხაზურისაგან არაფრით არ განსხვავდება“[5]. ხოლო იმისათვის, რომ ზუსტად გავიგოთ ავტორის აზრი ოსების სამეურნეო პირობების შესახებ, აქვე საჭიროდ მიგვაჩნია მისი დამოწმება აფხაზებისა და ჩერქეზების შესახებ. მისი ცნობით, აფხაზები „უმთავრესად მესაქონლეობას მისდევენ. მათი მიწათმოქმედება შემოიფარგლება მხოლოდ ღომის მოყვანით, მაღლა მთებში კი სთესენ ცოტა საგაზაფხულო ბორბალს და ქერს“[6]. რაც შეეხება ჩერქეზთს, „მეურნეობიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია მესაქონლეობა, პირველ რიგში კი მეცხვარეობა“[7]. მაშასადამე, გიულდენშტედტის აზრით, XVIII საუკუნის მიწურულში მთიელი ოსები მისდევდნენ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას, რომელთაგან მესაქონლეობას წამყვანი ადგილი სჭერია.

ჩრდილო ოსეთის მთიანეთში, რომ მოსახლეობა ძალზე ვიწრო ეკონომიურ პირობებში იმყოფებოდა, მაგრამ არსებული დარგებიდან შედარებით ხელსაყრელი პირობები არსებობდა მესაქონლეობისთვის, რომ დიდი შრომის ფასად მიწის მაქსიმალურად გამოყენების მიუხედავად ადგილობრივი მოსავალი მოსახლეობას ნახევარ წლამდეც არ ჰყოფნიდა და იძულებული იყო პურეულით ბარიდან მომარაგებულიყო, რომ მიწა მთაში მეტისმეტად ძვირი ღირდა, ხოლო პურეულის შეძენის წყაროს საქონელი ან მისი პროდუქცია წარმოადგენდა და, რომ ყოველივე ამის გამო მესაქონლეობის ხვედრითი წონა მთიელის ეკონომიკაში მეტი იყო ვიდრე მიწათმოქმედებისა, ამის შესახებ წერდა ყველა ავტორი[8], რომელიც კი მთიელ ოსების სამეურნეო ყოფას გა-

[5] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, გვ. 61.
[6] იქვე, გვ. 51.
[7] იქვე, გვ. 55.
[8] J. Klaproth, Reise in den Kaukasus und nach Georgien unternommen in den Jahren 1807 und 1808, B. Hall und Berlin, 1812—1814, S. 613, 614; K. Koch. Reise durch Russland nach dem Kaukasischen Isthmus in den Jahren 1836, 1837 und 1838, B. I, Stuttgart und Tübingen, 1842—1843, 5. 111; П. Зубов, Картина Кавказского края, III, СПб., 1835, стр. 150; Н. Дубровин, I, стр. 287—288; П. Гаврилов, Устройство поземельного быта горских племен Северного Кавказа, ССКГ, II, Тифлис, 1869, стр. 27; Е. Максимов, Осетины, ТС, Владикавказ, 1892, вып. II, кн. II, стр. 25—

ეცნო XIX საუკუნეში თუ XX საუკუნის დასაწყისში. იგივე აზრია გატარებული ოსეთის ისტორიის შესახებ არსებული შემაჯამებელი ხასიათის შრომებში. როგორც ყობანური კულტურის, ისე ნართების ეპოსის მიხედვით შემუშავდა შეხედულება იმის შესახებ, რომ შორეულ წარსულშიაც ოსეთის მთიანეთში მესაქონლეობა წამყვან მეურნეობას წარმოადგენდა[9]. ველზე ცხოვრებისას ოსების ძირითად საქმიანობად ითვლებოდა მიწათმოქმედება, ხოლო შუა საუკუნეებიდან კი, როდესაც ისტორიული ქარტეხილების შედეგად ისინი მთებში იხიზნებიან, მეურნეობის უმთავრეს დარგად კვლავ მესაქონლეობა იქცა[10]. ისტორიკოსები ასევეთსავე ვითარებას ხედავენ გვიან შუა საუკუნეებში[11].

ყოველივე ეს იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ მეურნეობის ამა თუ იმ დარგის დაწინაურება ოსეთში, ისევე როგორც ყველგან, ვაპირობებული იყო ხალხის ისტორიული მდგომარეობით და სამეურნეო ბაზის მასშტაბით. ოსი ხალხის ისტორია და კულტურა კი ძირითადად ყალიბდებოდა ხეობებით დასერილ მთიანეთში, სადაც მათ შექმნეს ადგილობრივი პირობებისათვის შესაფერისი მეურნეობის მაღალგანვითარებული ფორმები — მთური მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ამ უკანასკნელის უპირატესობით.

* * *

ოსების ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრება ვითარდებოდა არა მარტო ცენტრალური კავკასიონის ჩრდილო კალ-

---

30, 31; Н. Зейдлиц. Поездка в Нагорную Осетию, ИКОИРГО, II, Тифлис, 1894, стр. 117; И. Акинфиев, Поездка в Осетию на Ардон и в Сванетию, ЗКОИРГО, кн. XVI, Тифлис, 1894, стр. 88; А. Россикова, დასახ. ნაშრომი, გვ. 312, 315, 318, 323, 324, 340; К. Ган, დასახ. ნაშრომი, გვ. 32; Ф. Красильников, დასახ. ნაშრომი, გვ. 34; Б. Скитский, Хрестоматия по истории Осетии, ч. I, Дзауджикау, 1949, стр. 62; А. Магометов, დასახ. ნაშრომი, გვ. 11—12, 27—28; М. Блиев, Осетия в первой трети XIX века, Орджоникидзе, 1964, стр. 3, 13—14; Б. Калоев, Осетины, Народы Кавказа, I, стр. 300; Золоев, Осетины, Москва, 1967, стр. 65 და შდ.

[9] Б. Скитский, Очерки по истории осетинского народа..., стр. 15, 47; История Северо-Осетинской АССР, стр. 21, 27; Е. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, Москва, 1960, стр. 301—311.

[10] Г. Кокиев, Очерки по истории Осетии, I, Владикавказ, 1926, стр. 63.

[11] Б. Скитский, დასახ. ნაშრომი, გვ. 74; История Северо-Осетинской АССР, стр. 88.

თებზე, არამედ ქართლის მთიანეთშიც, სადაც მათი დასახლება დაიწყო XIII საუკუნის 90-იანი წლებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ქართლის ტერიტორიაზე ოსთა ჩამოსახლების საკითხს მრავალი მკვლევარი შეეხო და მრავალმა მათგანმა ამ ისტორიული პროცესის თარიღად ადრინდელი ხანა მიიჩნია[12], შემდგომი სპეციალური კვლევის შედეგად შემუშავდა მეცნიერულად დასაბუთებული აზრი იმის შესახებ, რომ ქართლისაკენ ოსების ლტოლვა განაპირობა, ერთი მხრივ მონღოლთა ექსპანსიამ, მეორე მხრივ, ოსეთის ფეოდალურ წრეებს შორის წარმოებულმა ბრძოლამ, ხოლო მესამე მხრივ გარედან მოწოლილი ძალებისადმი გაერანებული ქართლის წინააღმდეგობის უუნარობამ და ამ ძალებისადმი მონღოლთა მხარდაჭერამ ქართლში თავისი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით[13].

საქართველოში შემოხიზნული ოსები საცხოვრებლად დამკვიდრდნენ დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის, თერგისა და არაგვის ხეობათა სათავეებში. ეს ადგილები სამეურნეო პირობებით თითქმის ისეთივეა, როგორც ჭურთათის, თაგაურის, ალაგირის, თუ დიგორის მთიანეთი. მათ შორის განსხვავება ძირითადად შეინიშნება მცენარეული საფარით (ზოგი ადგილი ტყიანია, ზოგიც შიშველი), ან მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი კლიმატური პირობებით. არსებითად, რაკი ამიერ და იმიერკავკასი-

---

[12] В. Пфаф, Материалы для древней истории Осетии, ССКГ, Тифлис, IV, стр. 31, 1870; V, стр. 23. 1871; მისივე, Путешествие по ущельям Северной Осетии, ССК, I, Тифлис, 1871, стр. 144; Д. Лавров, Заметки об Осетии и осетинах, СМОМПК, III, Тифлис, 1883, стр.200; Г. Чурсин, Осетины, стр. 13; Л. Меликсет-Беков, К археологии и этнологии Туальской Осии. Сб. «Юго-Осетия», I, Тифлис, 1924, стр. 271; Е. Пчелина, Археологические данные по Юго-Осетии, Сб. «Юго-Осетия», I., 1924, стр. 238; გ. ახვლედიანი, ოსური ენის ისტორიისათვის, თსუშ, V, 1925, გვ. 319; მისივე, ისტორიული ცნობა დვალეთისა და დვალების შესახებ, ენიმკის მოამბე, X, თბილისი, 1941; Г. Кокиев, Очерки по истории Осетии, I, Владикавказ, 1926, стр. 22, 99; З. Ванеев, К вопросу о времени заселения Юго-Осетии, ИЮОНИИК, III, Сталинир, 1936, მისივე, Народное предание о происхождении осетин, Сталинир, 1956; Б. Скитский, Очерки по истории осетинского народа, стр. 139.

[13] მთებში ოსთა შემოსახლების საკითხი მონღოლების შემოსევის ხანას დაუკავშირა ვახუშტიმ (აღწერა..., გვ. 107), ხოლო შემდეგ ეს დაასაბუთეს თანამედროვე ისტორიკოსებმა: ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965, გვ. 60—61; დ. გერიტიშვილი, დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, „მიმომხილველი", I, თბილისი, 1949, გვ. 109—121; მისივე, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, I, თბილისი, 1962, გვ. 264—277; გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინირი, 1958, გვ. 171 და შმდ..

ონის ეს ხეობები ერთ ზოლშია მოქცეული და მსგავსი სამეურნეო პირობებით ხასიათდება. ჩრდილო ოსეთიდან საქართველოს მთიანეთში გადმოსახლებულ ოსს შესაძლებლობა ჰქონდა ახალ სამოსახლოში იგივე საქმიანობა განეგრძო, როგორსაც ეწეოდა ის მამა-პაპათა ადგილსამყოფელში და იგივე მეურნეობა განეკითარებინა, რომელსაც ის მოკიდებული იყო თავის სამშობლოში. საქართველოში შემოხიზნული ოსების მამა-პაპათა საქმიანობა კი, როგორც ამის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა, ჩრდილო ოსეთის მთიანეთში იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მეურნეობის ეს ორი დარგი წარმოადგენდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსების ძირითად საარსებო საშუალებასაც. ეს პირველ ყოვლისა შეეხება ზემოხსენებულ ხეობათა სათაურების მკვიდრთ, რომლებიც ქართლის ბარში თანდათანობით ჩასახლებამდე წინაპართა საქმიანობას არ ღალატობენ და ქართულ ბარულ მეურნეობას მხოლოდ ბარად დასახლებულნი ეცნობიან.

ქართლის მთიანეთში რომ ოსები მთურ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ და რომ ალპურ ზოლში მეურნეობის წამყვანი დარგი მესაქონლეობა იყო, ეს შეიძლება დავინახოთ ცალკეულ ხეობათა შესახებ არსებული სათანადო მონაცემების საფუძველზე. ერთ-ერთ ასეთ სამეურნეო მიკროორგანიზმს წარმოადგენდა ქსნის ხეობის სათაურები, რომელიც მის ქვედა წელთან და რიგ სხვა მომიჯნავე ხეობებთან ერთად შედიოდა ქსნის საერისთავოში. ამ ტიპიურ ქართულ ფეოდალურ ერთეულში — სათავადოში გაერთიანებული იყო 11 ხეობა 240 სოფლით. სათანადო წყაროების შესწავლის საფუძველზე დ. გერიტიშვილმა დაადგინა ამ ხეობათა და სოფელთა სახელწოდებები და რიგ შემთხვევაში ამა თუ იმ სოფლის მცხოვრებთა რაოდენობაც[14]. ამ ხეობებიდან (ქსნის, ცხრაძმის, ქარჩოხის, ჟამურის, ჭურთის, ალევის, საფერშეთის, ქოლოთ-ქვიტკირის, ლეხურის — ისროლისა და მეჯუდის ხეობებიანად, გვერდის ძირის, პატარა ლიახვის) ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა საკუთრივ ქსნის ხეობის ზედა წელი, ცხრაძმის ხეობა, ქარჩოხის ხეობა, ჟამურის ხეობა და ჭურთის ხეობა, რომლებიც ერთიმეორის მეზობლად მდებარეობენ, მსგავსი სამეურნეო-გეოგრაფიული თავისებურებით ხასიათდებიან და ქსნის სათაურების რკალში ექცევიან.

ქსნის ხეობა სათავიდან ბოლომდე საკმაოდ გრძელია და ხასიათდება მრავალფეროვანი და მრავალდარგოვანი მეურნეობით. როგორც ვახუშტი წერს, მდ. ქსანი „ოძის ზეით, ბაზალეთისა და ალევის მთის

---

[14] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955, გვ. 77—83.

დასავლით, დის და გამოსდის ქნოღოს ეამურის საშუალს კავკასს. ქარ-ჩოხამდინ დის აღმოსავლეთად, ქარჩოხს ქვევით, სამკრით, გაივლის მუხრანს და მიერთვის მტკვარს"... ზებეყურის მთა... „ჩამოადგების ცხვირად ქსანს დასავლიდამ და აღმოსავლეთიდამ ალევის მთის ცხვირი, და დაავიწროვებს ქსანსა კლდითა. ამ კლდეს ქვეით მტკვრამდე ქსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ვითარცა სხვანი აღესწერეთ, და ამ კლდეს ზეით იწრო და მვიდრო, უვენახო, უხილო, მწირი. ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლით, ტყიან-კლდიანობითა"[15].

ვახუშტისავე დახასიათებით, ქარჩოხის, ეამურის და ცხრაძმის ხეობები არიან „ესე მოსავლიანი, მთის ალაგთაებრი"[16], ე. ი. ბარისაგან განსხვავებული.

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ერთმანეთისაგან მკვეთრად განასხვავებს ქსნის ხეობების სამეურნეო პირობებს მისი მთისა და ბარის მიხედვით.

დაახლოებით ასეთივე დახასიათებაა ქსნის ხეობისა ქართულ პერიოდიკაში. კ. ცხვედაძე ეამურელთა სიღარიბის მთავარ მიზეზად თვლიდა მიწის უნაყოფობას და მოსავლის უკმარობას, ხოლო მეჩაქონლეობის სფეროში ხელშემშლელ გარემოებად მიიჩნევდა მთებიდან საქონლის გადმოვარდნის შემთხვევებს[17]. ქსნის ხეობის მეურნეობრივ პირობებს ეხება ერთი ხელმოუწერელი წერილიც, სადაც აღნიშნულია: „ქსნის ხეობის მკვიდრნი მისდევენ ხვნა-თესვასა და აგრეთვე საქონლის მოშენებას, უფრო ცხვრისას. ხეობის ქვედა ნაწილში აშენებენ ვენახებსაც, ასე, რომ ღვინის მოყვანასა და ბაღოსნობასაც თვალსაჩენი ადგილი უჭირავს ხეობის ეკონომიურს ცხოვრებაში. ბოსტნეულობა სულ არ არის. ვაჭრობას მისდევენ მარტო ახალგორელი სომხები"[18].

რუსულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაშიც აღნიშნულია, რომ ქსნის ხეობის დაბლობში ბაღ-ვენახიცაა, ხოლო მთის ზოლში, რომელიც მიწის სიმცირითა და მოუსავლიანობით ხასიათდება, მთავარი როლი ეკუთვნის მესაქონლეობას, რაც მამაკაცთა ძირითად საქმიანობად ითვლება[19].

---

[15] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 66.

[16] ი ქ ვ ე, გვ. 66.

[17] კ. ც ხ ვ ე დ ა ძ ე, ეამურის (ქსნის სათავე). „გაზ. „ივერია", 1886, № 181.

[18] ქსნის ხეობა, გაზ. „ივერია", 1890, № 197.

[19] К. Ш а л и к о в, Описание Ксанского участка, Душетского уезда, Тифлисской губернии, ЗКОИРГО, кн. XVI, Тифлис, 1894, стр. 249, 255; К. Г а н, Поездка к верховьям Большой Лиахвы и Ксанки (летом 1903 г.), СМОМПК, вып. XXXV, отд. I, Тифлис, 1905, стр. 261—262.

ადრე გამოთქმულ შეხედულებათა სისწორეს მხარს უჭერენ საბჭოთა მკვლევრებიც. ეთნოგრაფიული მუშაობის საფუძველზე გ. ჩიტაიამ აღნიშნა რომ „ქსნის ხეობაში მოცემული იყო ბუნებრივ პიროებებთან შეფარდებული სამი სახის მეურნეობა: ბარული (ლენინგორამდე), მთის ძირის (დაახლოებით ლარგვისამდე) და მთის ზოლისა (ლარგვისს ზევით)"[20]. გ. ჩიტაიას იქვე მითითებული აქვს, რომ მესამე ზოლი არის ტიპიური მთა, სადაც დადასტურდა ახოს აღების წესიც. „უმთავრესად აქ ითესება ქერი, დიკა, ჭოი და ახალთესლი. ერთ წელიწადს დასვენებულ მიწას უწოდებენ „ყამირს", ხოლო ორს — „ახალტეხილს". საყანე მიწები აქ უმთავრესად ფერდობებზეა. საყანე მიწები მწირია და მეტად მძიმე საჭუშაოდ იმის გამოც, რომ ფერდობის რელიეფი უსწორმასწოროა. ეს მხარე ტიპიური მთის ზოლია, სადაც წამყვანი როლი მეურნეობაში მესაქონლეობას ეკუთვნის, ამიტომ მიწისმოქმედება აქ მეორე რიგის მეურნეობაა"[21].

ვახუშტის ცნობებზე თუ სხვა მონაცემებზე დაყრდნობით დ. გვრიტიშვილიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ქსნის საერისთავოს მთიან ზოლში მემინდვრეობა ნაკლებად იყო განვითარებული, აქ ის მხოლოდ დამხმარე ხასიათს ატარებდა. ზოლო მეურნეობის ძირითად დარგს მესაქონლეობა წარმოადგენდა"[22].

ქსნის ხეობის შუა და ქვემო წელზე ოსების დასახლება ქართველების მეზობლად გვიან მოხდა. როგორც ადგილზე გამოკითხვამ და ენეალოგიების დადგენამ გვიჩვენა, XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე მაინც ოსები მხოლოდ ქსნის სათავეებში—ეამურ-ქარჩოხისა და ეურთის ხეობებში ცხოვრობდნენ. ქსნის დინების მიმართულებით ჩამოწეულმა მოსახლეობამ ქართული მოსახლეობის გავლენით შეითვისა მეურნეობის იმ დარგების (ბარული მიწათმოქმედება, მებოსტნეობა, მებაღეობა) ცოდნა, რომლის განვითარების შესაძლებლობას ის მოკლებული იყო ტიპიურ მთურ გარემოში. მთიელი ოსების, ისევე როგორც იმავე ხეობებში მათ მეზობლად მცხოვრები მთიელი ქართველების კავშირი ბართან ძირითადად გამოიხატებოდა ისევ მესაქონლეობის სფეროში ამ უკანასკნელის განვითარების მიზნით. როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ, მთიელები ცხვარს აზამთრებდნენ ქართლის ბარში, უმთავრესად ამილახვრების ადგილებში. რაც ჩანს სათანადო დო-

---

[20] გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქსნური მთის გუთანი, ენიმკის მოამბე, V—VI, თბილისი, 1940, გვ. 486.

[21] ი ქ ვ ე, გვ. 484.

[22] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

ტუმენტიდანაც[23]. ბარად საზამთრო საძოვრების აღება კი ნაკარნახევი იყო მეცხვარეობის საკმაოდ დიდი მასშტაბით, რაც კარგად ჩანს ჩვენ მიერ შეკრებილი მასალებიდანაც. მაგალითად, ჭურთის ხეობის სოფ. ჯანგათკარში მცხოვრები დრიაევების ოჯახს ერთ სახლთან, 15 დღიურ სახნავთან, ხუთ-ექვს ცხენთან, 15-მდე ხართან და ათამდე სულ ძროხასთან ერთად ჰყავდათ 1500-მდე თხა და ცხვარი. ასევე, სოფ. ჩიგოიანში ძებისოვების ოჯახის ქონებას შეადგენდა ერთი ერდოიანი სახლი თავისი კალოთი, ერთი წისქვილი, 12 დღიური სახნავი, სამი ცხენი, რვა ხარი, შვიდი მეწველი ძროხა, რვა მოზარდი და 600 სული თხა და ცხვარი.

ასეთ ოჯახებთან ერთად, რომელთა რიცხვი შედარებით ნაკლები იყო, იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ნაკლები რაოდენობით ჰყავდათ ცხვარი, მაგრამ საკმარისი იყო ოჯახს ორ ათეულ სულზე მეტი ჰყოლოდა, რომ მას უკვე ეფიქრა ბართან კავშირზე, ვინაიდან ბაგურ კვებაზე დიდი რაოდენობით ცხვრის შენახვა ყოვლად შეუძლებელი იყო. ამიტომ ის ოჯახი, რომელიც ბართან კონტაქტის გარეშე შეეცდებოდა თავისი მეურნეობის გაძღოლას, ძალაუნებურად უნდა დასჯერებოდა მხოლოდ მთურ მიწათმოქმედებას, მსხვილფეხა მესაქონლეობას და ათიოდე ცხვრის შენახვას. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი, როდესაც მეცხვარეობას სასაქონლო მნიშვნელობა მიენიჭა, ქსნის ხეობის სათავეებში ოსებმა და ქართველებმა მთიულებთან, გუდამაყრელებთან, მოხევეებთან და თრუსოელ ოსებთან ერთად გზა გაიკაფეს ჩრდილო კავკასიის ვრცელი საზამთრო საძოვრებისაკენ და მთურ მიწათმოქმედებას, რომელიც მძიმე შრომას მოითხოვდა, მაგრამ მოსავალი მაინც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას, თანდათანობით შეაქციეს ზურგი. პურეულის შესაძენად ქსნის ხეობის მთიელები ბარად მაშინაც ჩამოდიოდნენ, როდესაც სახნავ ადგილებს მთლიანად ამუშავებდნენ, მაგრამ იმის შემდეგ, რაც სახნავი ფერდობების ნაწილი გაესაძოვრეს და მოსავალი ადგილობრივ შემცირდა, პურეულის მყიდველთა რიცხვმა მთიელების სახით ბარის რაიონებსა და ბაზრებზე კიდევ უფრო იმატა. თუ ადრე მთიელები პუ-

---

[23] ეტყობა, რომ ქსნისხეველი მეცხვარეები სამეურნეო ნაკვეთებში თავისუფლად უშვებდნენ ცხვარს, აფუქეებინებდნენ ვენახებსა და ნათესებს, ხოლო ზოგიერთი მწყემსი ქვევრებსაც თხრიდა. 1783 წ. 10 ნოემბრით დათარიღებულ მიმართვაში უფლისწული გიორგი მათ აფრთხილებს, რომ არ დააზიანონ ყანები და ვენახები და არ ამოთხარონ ქვევრები. იქვე აღნიშნულია, რომ ასეთი დანაშაულის გამოვლინების შემთხვევაში მეცხვარეებს ჩამოერთმევათ ამილახვრების ადგილებით სარგებლობის უფლება (იხ. История Осетии в документах и материалах, I, Цхинвали, 1962, стр. 150, составители: Г. Тогошвили и И. Цховребов).

რით მომარაგების მიზნით სამუშაოდ მიდიოდნენ სამიწათმოქმედო რაიონებში ან მიწას იჯარითაც იღებდნენ, მეცხვარეობის ზრდის შედეგად ბარელებთან ამგვარი ურთიერთობისადმი მიდრეკილებაც შენელდა და პურეულის შეძენის წყაროდ იქცა მეცხვარეობის ნაჭარბი პროდუქცია ცხვრის ნამატის, მისი მატყლისა და რძის პროდუქტების სახით, რაც ბაზარზე ფულად იყიდებოდა ან ნატურალური გაცვლის საგნად გამოიყენებოდა.

ამგვარად, ოჯახის ეკონომიურ საფუძველს ქსნის ხეობის სათავეებში წარმოადგენდა მთური მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რომლიდანაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით დაწინაურდა მეცხვარეობა. ასეთივე ნიშნებით ხასიათდება ამავე მიკრორაიონში მცხოვრები ქართველების საოჯახო მეურნეობა, რასაც მონოგრაფიის მეორე წიგნში შევეხებით ქსნის ხეობის ქვედა წელზე თუ ცენტრალური კავკასიის მთიანეთში მცხოვრები ქართველების საოჯახო ყოფის შესწავლასთან დაკავშირებით. იქვე გავეცნობით ქსნის ხეველთა მეურნეობის სხვა მხარეებსაც (მაგალითად, ცხავატელთა მეპურეულეობას)[24], რაც მხოლოდ ამ ხეობის ქართული მოსახლეობის ყოფისათვის იყო დამახასიათებელი.

•

• •

ეკონ-ეროი ის კუთხე, რომელიც კომპაქტურადაა დასახლებული სხვადასხვა ეპოქაში შემოხიზნული ოსებით და რომელიც ცენტრალური კავკასიის მთიანეთში ალპური მეურნეობის ტიპიურ მიკრორაიონს წარმოადგენს, არის თრუსოს ხეობა. ის მოიცავს მდ. თერგის სათავეებს და თავის მხრივ რამდენიმე პატარა ხეობადაა განტოტებული. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით თრუსოს ხეობა ორი სასოფლო საბჭოს — თრუსოსა და კობის სასოფლო საბჭოების სახით შედის ყაზბეგის რაიონის ფარგლებში. ისტორიულად კი ის დვალეთს ეკუთვნოდა და კავკასიელი ტომით —დვალებით იყო დასახლებული[25].

თრუსოს ხეობაში ყველაზე დაბალი დასახლება, რომელიც ქვემოდან ხეობის კარებში მდებარეობს (სოფ. ოქროყანა), ზღვის დონიდან 2000-მდე მეტრ სიმაღლეზეა. აქედან სოფ. დესამდე, ხეობის ალოლებით, სიმაღლე თანდათანობით მატულობს, რაც აშკარად იმ გა-

---

[24] ლ. ბოჭორიშვილი, ქსნის ხეობაში მიველინების მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე, IV₃, ტფილისი, 1939, გვ. 292.

[25] ეხუშტი, აღწერა..., გვ. 107, 115, 116; В. Гамрекели, Двалы и Двалетия в I—XV вв. н. э., Тбилиси, 1961.

რემოებაზე მიგვითითებს, რომ აქ მიწათმოქმედებისათვის სახარბიელო პირობები არ არსებობდა. თრუსოს ხეობის ხავერდოვანი სათიბები და ნოყიერი ბალახით შემოსილი საძოვრები კი მესაქონლეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიან. ამიტომაა, რომ დღეს ეს ხეობა ყაზბეგის რაიონის მეცხვარეობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან სამეურნეო ბაზას წარმოადგენს. რასაკვირველია, ის ასეთივე იყო ისტორიულადაც. ამიტომ ოსეთის სამეურნეო პირობების ვახუშტისეული დახასიათება, სადაც სათიბ-საძოვრების ნაკლებობა აღინიშნება, თრუსოს ხეობის მიმართ შეიძლება გამოვიყენოთ ამ ნომენტის გათვალისწინებით. რაც შეეხება ვახუშტის ცნობას იმის შესახებ, რომ XVIII საუკუნეში ოსები უფრო მეტად მსხვილფეხა საქონელს მუყაითობდნენ და ცხვარს კი შედარებით მცირე რაოდენობით იშენებდნენ, ეს თრუსოს ხეობის მიმართაც შეიძლება ითქვას. როგორც სოფ. შავარდენში მცხოვრებმა ბესო ძამბოლათის ძე საპიევმა (დაბად. 1897 წ.) 1958 წლის 7 ივლისს გვითხრა, მისი მამა-პაპის დროს თრუსოელი ოსები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მიწის დამუშავებას და მოუხნავად არ ტოვებდნენ სათესად ვარგის არც ერთ მტკაველ ადგილს. კარტოფილის თესვა აქ XIX საუკუნის მიწურულშიღა შემოუღიათ და მთელი ნათესები სჭერებია ქერსა და ქერ-სვილს, მაგრამ მოსახლეობა ნახევარი წლის მარაგის შესაძენად მაინც დაზამთრებამდე ჩრდილო კავკასიაში ან ქართლ-კახეთში მიეშურებოდა.

იმავე მთხრობლის ცნობით, მისი პაპისდროინდელი მოსახლეობა ცხვარს სხვაგან არ მიერეკებოდა და მას მსხვილფეხა საქონელთან ერთად ზამთრობითაც ჩალა-თივით კვებავდნენ. ასეთ პირობებში კი შესაძლებელი ყოფილა მცირე რაოდენობის ცხვრის შენახვა, ვინაიდან აქაური გრძელი ზამთრის პერიოდში საკვების გაწვდენა ძალზე ჭირდა. ცხვარი მოუმრავლებიათ მხოლოდ იმის შემდეგ, რაც თრუსოელი ოსები ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრებზე გასულან. ეს კი მოხდა მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რაც იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში თრუსოს ხეობის მცხოვრებნი მეცხოველეობიდან უფრო მეტად მსხვილფეხა მესაქონლეობას მისდევდნენ, ე. ი. იმყოფებოდნენ იმ დონეზე, როგორიც ვახუშტიმ გვიჩვენა ოსეთის მთიანეთის დახასიათებისას. ეს რომ ასე იყო, ნათლად ჩანს ნ. ჭილაშვილის ცნობებიდანაც. 1827 წელს ფინანსთა მინისტრის დავალებით შედგენილ მიმოხილვაში, რომელშიც მოცემულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთი ნაწილის (ხევი, თრუსო, მთიულეთი, გუდამაყარი) მეურნეობის დახასიათება, ნ. ჭილაშვილი წერს, რომ თრუსოს ხეობაში, მხოლოდ ქერის მცირედ მოსავალს იღებენ და ზემოთ ჩამოთვლილი სხვა კუთხეების მკვიდრთა

მსგავსად თრუსოელნიც პურს ყოველწლიურად ყიდულობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსა და ჩრდილო კავკასიაში (ნაზრანში). სამაგიეროდ მათ აქვთ კარგი და ვრცელი სათიბები. რაც შეეხება მეცხოველეობას, ამის შესახებ ნ. ჭილაშვილი აღნიშნავს, რომ თრუსოელნი ზამთარ-ზაფხულის განმავლობაში ადგილზე ინახავენ საქონელს[26].

როგორც ვხედავთ, ნ. ჭილაშვილის აღწერილობაც იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ 1820—30-იანი წლებისათვის საზამთრო საძოვრებზე თრუსოელნი არ გადიოდნენ და ზამთარ-ზაფხულის განმავლობაში ცხვარ-ძროხას ადგილობრივი რესურსებით ინახავდნენ, რაც მეცხვარეობის დიდი მასშტაბით განვითარების შესაძლებლობას არ იძლეოდა.

მდგომარეობა არსებითად შეიცვალა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც თრუსოელებმაც მოხევეებთან, მთიულებთან და გუდამაყარლებთან ერთად მთა-ბარობას მოჰკიდეს ხელი და ცხვრის გამრავლება დაისახეს მიზნად. ჩრდილო კავკასიის ველებზე გასელის შემდეგ თრუსოს ხეობაში მეცხვარეობამ დაიჭირა პირველი ადგილი მეურნეობის სფეროში, რაზედაც მეტყველებს ციფრობრივი მონაცემებიც. მაგალითად, სოფ. აბანოში, სადაც 1873 წელს 23 კომლი (170 სული) ცხოვრობდა, საკარმიდამო ფართობი იყო 1,5 დესეტინა, სახნავი 18 დესეტინა, სათიბი 27,50 დესეტინა, ხოლო საძოვარი და უვარგისი ადგილები 1200 დესეტინა. სოფელს ჰყავდა სულ 72 სული მუშა და ბერწი საქონელი, 28 მეწველი ძროხა, 12 ცხენი, 70 ღორი და 945 თხა და ცხვარი. სოფ. გიმარაში კი, სადაც 20 ოჯახი (140 სული) იყო, საკარმიდამო შეადგენდა 1 დეს. სახნავი 34 დეს. სათიბი 36 დეს. საძოვარი და უვარგისი ადგილები 1200 დესეტინას. სოფელს ჰყავდა 46 მუშა და ბერწი საქონელი, 13 მეწველი, 10 ცხენი, 60 ღორი და 790 თხა და ცხვარი[27].

ცხრილი, რომლიდანაც სანიმუშოდ დავიმოწმეთ თრუსოს ხეობის ორი სოფლის მონაცემები, XIX საუკუნის მეორე ნახევარში მეცხვარეობის აღმავლობაზე მიგვითითებს. აქ მოცემული სურათი არსებითად განსხვავდება იმ ვითარებისაგან, რომელიც გაგვაცნეს ჩვენმა მთხრობლებმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო ნ. ჭილაშვილმა XIX საუკუნის პირველ მეოთხედში.

---

[26] Записка Н. С. Чиляева о горских народах по Военно-Грузинской дороге 1827 года. АКАК, VII, Тифлис, 1878, стр. 349.

[27] Н. Никифоров, Экономический быт государственных крестьян Душетского уезда Тифлисской губернии, МИЭБГКЗК, т. V, ч. II, Тифлис, 1887, стр. 59—60.

მაშასადამე, ლიტერატურული მონაცემებისა და მთხრობელთა ცნობების მიხედვით აშკარაა, რომ თრუსოელთა საოჯახო მეურნეობა XVIII საუკუნეში ემყარებოდა მთურ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას ისეთ პირობებში, როდესაც საქონლის რაოდენობას განსაზღვრავდა ბაგურ კვებაზე მისი შენახვის შესაძლებლობა. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა შეიმჩნევა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო მისი მეორე ნახევრიდან ვითარდება მეცხვარეობა.

თრუსოს ხეობაში, ისევე როგორც მის ახლო მეზობელ ხევში, XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე თუ მეურნეობის ორი ძირითადი დარგიდან — მიწათმოქმედებიდან და მესაქონლეობიდან წამყვანი ადგილი ამ უკანასკნელს ეჭირა მსხვილფეხა მესაქონლეობის უპირატესობით. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მსხვილფეხა მესაქონლეობას პირველობა წაართვა მეცხვარეობამ.

მიწათმოქმედებასთან შედარებით მეცხოველეობის დიდი ხვედრითი წონის სასარგებლოდ ლაპარაკობს საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის კომპლექსიც, რომელიც დაგეგმარებულია მესაქონლეობის განვითარების ინტერესების შესაბამისად. ამიტომაა, რომ ნაგებობის კონსტრუქციაში საცხოვრებელ ფართთან ერთად მთავარი ადგილი ეთმობა საქონლის სადგომებს, მისი საკვების შესანახ კუთხეს, პროდუქტების დასამუშავებელ და დასაცავ სათავსოებს. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების კომპლექსი თრუსოს ხეობაში მაღალგანვითარებული მესაქონლეობის ერთ-ერთი მაჩვენებელთაგანია[28].

* *

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართლის მთიანეთში ოსების დასახლება დაიწყო XIII საუკუნის 90-იან წლებიდან. მათი აქ ჩამოსახლება-დამკვიდრების პროცესი გაგრძელდა შემდგომ საუკუნეებშიც, რასაც დ. გერიტიშვილი შემდეგნაირად წარმოგვიჩენს: „1. შეიარაღებული ოსთა დიდი ჯგუფები თავს ესხმიან ქართველებით დასახლებულ ხეობებს, ძალით იკავებენ ამ ადგილებს და თვითონ სახლდებიან; ჩამოსახლების ეს სახე XIII—XIV საუკუნეებში უნდა ყოფილიყო. 2. ესა თუ ის ქართველი თავადი ან მეფე წინასწარი შეთანხმებით ოსთა დიდ ჯგუფებს თავის მიწაწყალზე ასახლებს. ეს სახე შედარებით მოგვიანო ხანისაა. 3. ეკონომიური პირობებით შევიწროვებული ოსი გლეხი იძულებულია ნებით ეყმოს ქართველ თავადს. ამ სახემ შემდეგში ხიზნობის ხასიათი მიიღო"[29].

---

[28] ვ. ითონიშვილი, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში, ველ. I.

[29] დ. გერიტიშვილი, დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მიმომხილველი, I, 1949, გვ. 119.

ის ხეობები, სადაც ემიგრირებული ოსების დასახლება მოხდა, ეკუთვნოდნენ ქსნისა და არაგვის საერისთავოებსა და სამაჩაბლოს. თრუსოს ხეობა და არაგვის სათავეები, სადაც ქართველებთან ერთად ოსებიც ცხოვრობდნენ, შედიოდა ხან არაგვისა და ხანაც ქსნის საერისთავოს ფარგლებში[30], ქსნის ხეობა მის სათავეებში მდებარე ხეობებითურთ (ქართულ-ოსური მოსახლეობით) და ლიახვის ხეობა (ასევე ქართულ-ოსური მოსახლეობით) ეკუთვნოდა ქსნის საერისთავოს[31], ხოლო დიდი ლიახვის ხეობა, რომლის სათავეებში ოსები ყველა სხვა ხეობაზე უფრო კომპაქტურად სახლდებოდნენ, სამაჩაბლოში შედიოდა. ყოველივე ეს კი იმ გარემოების მაჩვენებელია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ოსები ისეთსავე სოციალურ გარემოში ექცეოდნენ, როგორშიაც იმყოფებოდნენ ზემოაღნიშნულ ფეოდალურ ერთეულებში მცხოვრები ქართველი გლეხები[32]. საერისთავოს თუ სამაჩაბლოს მიწა-წყალზე დასახლებული ოსი ისეთსავე ყმა გლეხს წარმოადგენდა, როგორსაც მის მეზობლად მცხოვრები ქართველი გლეხი. ბუნებრივია, რომ მიწაც მის საკუთრებას არ შეადგენდა და სამეურნეო ნაკვეთით სარგებლობა გულისხმობდა ფეოდალის წინაშე გარკვეულ ვალდებულებას, რაც ბეგარა-გადასახადებში გამოიხატებოდა. ასეთი ურთიერთობა განსაკუთრებით გამოკვეთილ სახეს ღებულობს გვიანფეოდალურ ხანაში, ე. ი. იმ ეტაპზე, როდესაც ოსთა ჩამოსახლებამ ხიზნობის ხასიათი მიიღო.

უნდა აღინიშნოს, რომ გლეხის ვალდებულების განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო მისი სამეურნეო პირობები. ამის შესაბამისად ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა მთიელი და ბარელი გლეხის გადასახადის სახეობა და ნორმები. თუ, მაგალითად, ბარელი გლეხი, რომლის ცხოვრების ძირითად წყაროს მიწათმოქმედება წარმოადგენდა, იხდიდა კოდის პურს, მთიელი, რომლის არსებობა უმთავრესად მესაქონლეობაზე იყო დამოკიდებული, გადასახადს ისტუმრებდა საქონლით. ამ ვითარებას დ. გვრიტიშვილი გვაცნობს სათანადო დოკუმენტებით. 1771 წელს დავით ერისთავს ერეკლე მეორისათვის თხოვნით მიუმართავს, რათა პურისა და ღვინის ნაცვლად მთიელთათვის სხვა სახის გადასახადი დაეწესებინა, ხოლო ერეკლეს უბრძანებია: „ბატონო სახლთუხუცესო დავით და მდივანბეგო, მერე ქსნის ერისთავის მთის კაცსთ, რომელთაც კოდის პური წინაპართ ჩვენს პაპების დროს არ

---

30 დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 69, 97.

31 ი ქ ვ ე, გვ. 55 და შმდ.

32 დაწვრილებით იხ. დ. გვრიტიშვილის წიგნის (ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან) სათანადო თავები.

ზდებიათ, უდებს არც ახლა ჩვენ ვითხოვთ და, რომელთაც კაცს კოდის პური სდებიათ, იმათ უნდა მოგვცენ, მთის კაცს გარდა"[33]. დ. გერიტიშვილი ამავე ნაშრომში მიუთითებს, რომ მთის „მცხოვრებნი ვალდებული იყვნენ გადაეხადათ წელიწადში კომლზე ორი ცხვარი, ერთი ბატკანი, და ერთი თოხლი, გარდა ამისა ყამ -წელიწადში—ყაჩუქარი „კომლზედა ერთი ხარი"[34].

მდგომარეობა არც ერეკლეს მიერ საერისთავოს გაუქმებისა და საუფლისწულოდ მისი გარდაქმნის შემდეგ (1777 წ.) შეცვლილა. უფლისწულ იულონს, თუ მაგალითად სოფ. ჭვრიეში თითოეული საკომლოდან ეძლეოდა წელიწადში პირუტყვის ზემოხსენებული რაოდენობა[35], სოფ. ბანათში მისთვის ყოველი საკომლოდან ყანკუთვნილი ყოფილა 10 კოდი (კოდი—4 ფუთი) ხორბალი და ქერი და ორი ცხვარი, ერთი ცხვარი ღირებულა 80 კაპიკი[36].

ამ ორი დოკუმენტის ურთიერთშედარების საფუძველზედაც ნათლად ჩანს, რომ ბლეხის ვალდებულებას განსაზღვრავდა მეურნეობის პროფილი. მთაში გადახდა ხდებოდა საქონლით, რადგან იქ მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მესაქონლეობა, ხოლო იქ სადაც მესაქონლეობას მიწათმოქმედება უსწრებდა, გადასახადშიც მარცვლეულს მთავარი ადგილი ეჭირა.

საქართველოში ასევე მეურნეობის პროფილის მიხედვით ხდებოდა სურსათის გაწერაც, რაც გათვალისწინებული იყო ჯარის სარჩოდ. პურის სახით მისი გადახდა ყველას ევალებოდა, გარდა ოსებისა და სხვა მთიელებისა, რომელთაც მიწების ხიმცირის გამო უფლება ჰქონიათ ის გადაეხადათ სხვა საშუალებებით (საქონლით, ფულით ან რაიმე ნაწარმით)[37].

1824 წელს გენერალ ერმოლოვისადმი ხოვენის რაპორტიდანაც აშკარად შეინიშნება, რომ მაჩაბლებს უფრო მრავალფეროვანი ბეგარა-გადასახადებით ემსახურებოდნენ ლიახვის ხეობის ქვედა წელის მცხოვრებნი, ხოლო მთიელი ოსების ვალდებულებას შეადგენდა მხოლოდ საქონლის გადახდა[38], რაც აგრეთვე მეურნეობის წამყვანი დარგების მიხედვით მოვალეობის განსაზღვრულობის მაჩვენებელია.

---

[33] დ. გ ე რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.
[34] ი ქ ვ ე, გვ. 225.
[35] История Осетии в документах и материалах, I, стр. 308.
[36] ი ქ ვ ე, გვ. 311.
[37] АКАК, II, стр. 7; История Осетии в документах и материалах, I, стр. 309.
[38] А К А К, т. VI, ч. I, стр. 689; История Юго-Осетии в документах и материалах, II, Сталинир, 1960, стр. 144—145; შდრ. Г. К о к и е в, Очерки по истории Осетии, стр. 102—103.

ამგვარი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ე. აბაევის სპეციალურ ნაშრომში აღნიშნულია, რომ გადასახადის ხასიათს სამხრეთ ოსეთში აპირობებდა ე. წ. ვერტიკალური ზონალობა: ბარად არსებობდა სამი სახეობის ფეოდალური რენტა—ნატურალური, ფულადი და საბატონო ბეგარა. თითქმის ასეთივე მდგომარეობა შეინიშნება მთისძირა ზოლში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საბატონო მიწების სიმცირის გამო საბატონო ბეგარაც ნაკლები იყო. მთიანეთში კი, სადაც უმთავრეს დარგს წარმოადგენდა მესაქონლეობა და სადაც მემამულეებს შეღწევა უჭირდათ, ჭარბობდა ნატურალური (საქონლით) ბეგარა[39].

საგადასახადო სისტემაში მეურნეობის პროფილს ყურადღება ექცეოდა მომდევნო პერიოდშიც და გადასახადის ხასიათისა და ნორმების მიხედვით ყოველთვის შეინიშნებოდა ის დიდი განსხვავება, რომლითაც ხასიათდებოდა სამიწათმოქმედო ზოლი და მესაქონლეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების მქონე მთიანეთი[40].

აქ სიტყვას ალარ გავაგრძელებთ იმის შესახებ, რომ მთისა და ბარის მეურნეობრივ სხვაობას კარგად ხედავდნენ ფეოდალური წრის წარმომადგენლები და მშრომელთა ექსპლოატაციას ეწეოდნენ მათი საბეურნეო პირობების შესაბამისად. აღვნიშნავთ, მხოლოდ იმას, რომ ლიახვის ხეობების სამეურნეო პირობების შესახებ, ზემოთ განხილულ დოკუმენტებთან ერთად, ანალოგიური ხასიათის ცნობებია ასახული აქ მყოფი მოგზაურების ნაწერებშიც. რევოლუციამდელ ავტორებს ორივე ლიახვის სათავეებში მეურნეობის წამყვან დარგად მიაჩნდათ მესაქონლეობა[41], ისევე როგორც იქვე აზრია გაღრმავებული და ახალი მონაცემების საფუძველზე დასაბუთებული საბჭოთა მკვლევრების შრომებში. თუ ლინგვისტი ვასილ აბაევი მესაქონლეობასთან დაკავშირებული ლექსიკის შესწავლის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მესაქონლეობა ოსეთის მთიანეთში იყო მეურნეობის ყველა სხვა დარ-

---

[39] В. Д. Абаев, Экономическое развитие Юго-Осетии в феодально-крепостную эпоху (1800—1864 гг.), ИЮОНИИ, АН ГССР, вып. VII, Сталинир, 1955, стр. 39 და შდ.

[40] В. Д. Абаев. Экономическое развитие Юго-Осетии в период капитализма (1864—1917—1921 гг.), ч. II, Тбилиси, 1956, стр. 25, 26, 54.

[41] Легкобытов, Обозрение российских владений за Кавказом, в статистическом, этнографическом, топографическом и финансовом отношениях, СПб., 1836, стр. 167; А. Яновский, Осетия, «Обозрение российских владений за Кавказом». ч. II, СПб., 1836, стр. 208; Н. Дмитриев, Переход через Рокский и Мамисонский перевалы, СМОМПК, вып. XX, Тифлис, 1894, стр. 5, 29; К. Ган, Поездка к верховьям Большой Лиахвы и Ксанки, стр. 261—262.

ებზე უფრო ძველი და განვითარებული დარგი[42], სამხრეთ ოსეთის მთიანეთში მიწათმოქმედებასთან შედარებით მესაქონლეობის წამყვანი როლი ისტორიული მონაცემების მიხედვით დაინახეს ზ. ვანეევმა[43] და ვ. დ. აბაევმა[44], ხოლო ეთნოგრაფიული ძიების შედეგად ასეთსავე დასკვნამდე მივიდნდენ მ. კოსვენი[45], ს. აბაევი[46], ზ. გაგლოევა[47] და ბ. ტოტროვი.[48]

დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში მცხოვრებ ოსთა საოჯახო მეურნეობასა და ეკონომიკაზე სათანადო წარმოდგენას გვაძლევს ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალები ცალკეული ოჯახების შესახებ, მაგრამ ვიდრე ამ მასალებს გავეცნობოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია წინასწარ ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ, რომ ეთნოგრაფიული ძიებით ხელმისაწვდომ პერიოდში, ე. ი. XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში სახნავი ნაკვეთები და სათიბები საოჯახო საკუთრებაში იყო ფოქცეული.

მართალია, ორივე ლიახვის ხეობის სათავეებში ოსები ცხოვრობდნენ საბატონო თუ საუფლისწულო მიწებზე, მიწა მემამულის საკუთრებას წარმოადგენდა და ამდენად შესაძლებელია ვიმსჯელოთ გლეხების მიერ ამ მიწებით სარგებლობის წესებზე და არა მიწათმფლობელობაზე, მაგრამ ბრძოლის შედეგად გლეხები ზოგჯერ მიწებსაც ისაკუთრებდნენ[49]. მთიელი ოსები მებატონეებს ჯერ კიდევ საგლეხო რეფორმამდე ბევრად ადრე ებრძოდნენ ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის და ხშირ შემთხვევაში შედეგსაც აღწევდნენ. 1849 წლის დოკუმენტიდან ჩანს, რომ დიდი ლიახვის სათავეებში (როკაში, ჯომალში...) ბაჩაბლები კომლზე იღებდნენ წელიწადში 3 მანეთს, შემდეგ ეს გადასახადი გაუნახევრებიათ და ბოლოს გლეხებს ამაზეც უარი უთქვამთ.

---

[42] В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, М.-Л., 1949, стр. 58—59.

[43] З. Ванеев, Социально-экономическое положение крестьян Юго-Осетии накануне революции, ИЮОНИИ, т. III, Сталинир, 1933, стр. 221—254.

[44] В. Д. Абаев, Экономическое развитие Юго-Осетии в феодально-крепостную эпоху, стр. 96—97; ამისივე, Экономическое развитие Юго-Осетии в период капитализма, стр. 86—88.

[45] М. Косвен, Этнография и история Кавказа, Москва, 1961, стр. 5.

[46] С. Абаев, Кормовая база Юго-Осетии, Сталинир, 1956, стр. 45.

[47] З. Гаглоева, Скотоводство в прошлом у осетин, მსე, XII—XIII, თბილისი, 1963, გვ. 271—279.

[48] Б. Тотров, დასახ. ნაშრომი, გვ. 74—76, 119, 165 და ა. შ.

[49] З. Ванеев, Из истории родового строя в Юго-Осетии, Тбилиси, 1955, стр. 126.

რისთვისაც მთავრობას დასჭირდა სათანადო ლონისძიების მიღება[50], უსათუოდ დიდი ბრძოლის შედეგად მიაღწიეს გლეხებმა იმასაც, რომ სენატს მიეღო გადაწყვეტილება, რათა მიწაზე გადასახადი ყოფილიყო მხოლოდ მოსავლის 1/10, რის შესახებაც აღნიშნულია 1851 წლის საბუთში[51].

ასეთ ვითარებაში და განსაკუთრებით რეფორმის შემდგომ პერიოდში ლიახვის ხეობებში გლეხი არსებითად მიწის ფაქტიური მესაკუთრე გახდა, რასაკვირველია, შედარებით უმნიშვნელო გადასახადის გაღების პირობით. როგორც ჩანს, ეს ჰქონდა მხედველობაში მ. კოსვენს, როდესაც წერდა, რომ, თანამედროვეთა ხსოვნით, მიწები იყო საოჯახო საკუთრებაში. მისივე დაკვირვებით, სამხრეთ ოსეთის მთიელთა ყოფისათვის დამახასიათებელი იყო სახნავ-სათიბებზე პატრონიმიული საკუთრების წესიც, საძოვარი სოფელს ეკუთვნოდა, ხოლო ზოგიერთ ადგილს სოფელი კოლექტიურადაც ამუშავებდა[52]. ამავე საკითხზე ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალებიც გვიჩვენებენ, რომ ტყე და საძოვარი იყო სასოფლო, რომლითაც ყველა ოჯახი თანაბარი უფლებით სარგებლობდა. მოწმდება ისეთი ვითარებაც, როდესაც ტყე ეკუთვნოდა რომელიმე პატრონიმიას, ხოლო უმთავრესად ის წარმოადგენდა ჯერ სამაჩაბლო, ხოლო შემდეგ სახელმწიფო საკუთრებას.

მთხრობლებს ახსოვთ, როდესაც შეშით სარგებლობის გამო ოჯახი სახელმწიფოს სასარგებლოდ იხდიდა 30—40 კაპიკს, ხოლო ტყიდან მასალის გამოტანა დასაშვებად ითვლებოდა მხოლოდ ბილეთის ყიდვის შემდეგ[53]. არც დიდი და არც პატარა ლიახვის ხეობაში არ დადასტურდა ტყისა და საძოვრის ოჯახებზე დაყოფის შემთხვევა.

ზოგიერთ სოფელში სახნავი ადგილი არსებობდა სალოცავის (ხატის) სახელზეც. მაგალითად, სოფ. ზემო ზღუბირში ოქროს ხატის (სიზღარინ ძუარ) სახელზე სოფელს ჰქონდა „ძიბირ"-ით (ხის გუთნით) სახნავი ორი დღიური ნაკვეთი, რომლის მოხვნა-დათესვა ევალებოდა ზღუბირელ ჭაბუკებს, ხოლო მომკა — ქალიშვილებს. 5 ივნისს, რო-

---

[50] История Юго-Осетии в документах и материалах, II, стр. 183—184.

[51] იქვე, გვ. 186—187.

[52] М. Косвен, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

[53] როგორც 1853 წლის დოკუმენტიდან ჩანს, მაჩაბლების ნებართვის გარეშე ტყიდან მასალის გამოტანა არ შეიძლებოდა. მაჩაბლებთან შეთანხმებისა და სათანადო ფასის დაწესების შემდეგ კი რუსეთის ხელისუფალთაგან ოსებმა მიიღეს უფლება მოეკრათ როგორც შინ მოსახმარი, ისე გასაყიდი შეშა და სამასალე ხეები. ეტყობა რომ ხსენებულ ეპოქაში ტყეზე მფლობელობის უფლებით კელავ მაჩაბლები სარგებლობდნენ, მაგრამ ეს უფლება სახელმწიფოს ხელში გადადიოდა (История Юго-Осетии в документах и материалах, II, стр. 201).

დესაც დღეობა იმართებოდა, აქ აღებული მოსავლით სოფელი ხარშავდა ლუდს. /თითქმის ყველა კომლი ამ დღეობაზე კლავდა ხბოს ან ბატკანს. ამ სახნავი ადგილიდან აღებულ ჩალას და ბზეს აძლევდნენ სოფლის ღარიბებს, ხოლო თუ რომელიმე ზღუბირელი უბედური შემთხვევით დაზარალდებოდა, სოფლის გადაწყვეტილებით ამ ყანის მოსავალი დახმარების სახით მთლიანად მას ეძლეოდა.

თუ ზემო ზღუბირში ხატის სახელზე არსებობდა სასოფლო ნაკვეთი, ზოგიერთ სოფელში სახატო მიწის მფლობელი ყოფილა არა საზოგადოება სოფლის სახით, არამედ მხოლოდ ერთი ოჯახი. ასეთი ვითარება დადასტურდა სოფ. ედისში, სადაც ბეგიზოვების ერთ-ერთ ოჯახს სალოცავ „ქალაჩი ძუარ"-ის ახლოს ჰქონდა სახნავი ნაკვეთი, რომლის მოსავლით ისინი ადუღებდნენ ლუდს (სხვა რაიმესთვის ამ ყანის მოსავალს არ გამოიყენებდნენ), მეზობლებსაც პატიჟებდნენ და ამ ხატის სახელზე საღვთოს მართავდნენ.

მიწათმფლობელობისა და მიწებით სარგებლობის ეს წესი, რასაც ვაკვრით შეეხეთ, დამახასიათებელია სოფლის თემის სტრუქტურისათვის, რაც ოსთა ყოფის ერთ-ერთ ნიშანდობლივ კომპონენტს წარმოადგენდა, როგორც ჩრდილო ოსეთის მთიანეთში, ისე ლიახვის, ქსნის თუ თრუსოს ხეობებში, იმის მიუხედავად, რომ ისინი ცხოვრობდნენ მემამულეთა მიწებზე ფეოდალურ გარემოცვაში. ისევე როგორც საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მთიანეთის საზოგადოებრივი ყოფისათვის დამახასიათებელი იყო თემური წყობის დაშლისა და ადრეფეოდალური ურთიერთობის განვითარების პროცესი[34], ოსეთის მთია-

---

[34] ნ. ხიზანაშვილი. ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1940, გვ. 162, 166, 167; რ. ბარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მსე, VI, თბ., 1953; მისივე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკ. II, თბ., 1959; მისივე, ტერიტორიულ-მეზობლური გაერთიანებანი სვანეთში, მსე, XII—XIII, 1963; მისივე, სოფლის თემი ბალყარეთში, მსე, XI, 1960; მისივე, К вопросу о территориально-общинных объединениях у грузин-горцев, КСИЭ, XXIX, М., 1958; მისივე, Характер сельской общины грузин-горцев по этнографическим материалам, М., 1964 (Доклад на VII международном конгрессе антропологов и этнографов в Москве); მისივე, Грузинская семейная община, I, 1960, II, 1961; მისივე, Некоторые стороны сельско-общинного быта горных ингушей, КЭС, II, Тбилиси, 1968; რ. ბარაძე და ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964; რ. ბარაძე, და ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965; ალ. რობაქიძე მეფუტკრეობის ისტორიისათვის (შესავალი), თბ., 1960; მისივე, ბესარიონ ნიკარაძე (იხ. ბ. ნიკარაძის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962); მისივე, დასახლების ფორმა ბალყარეთში, მსე, XI, მსე, XII—

ნიეთშიც ფეოდალიზმი ყალიბდებოდა უშუალოდ თემური წყობის რღვევის ნიადაგზე. ფეოდალთა მიწებზე მსხდომი ოსები ქართლის მთიანეთში ინარჩუნებდნენ თემური ყოფის იმ ძირითად ნიშნებს, რაც მათ ჩრდილო ოსეთის მთიანეთიდან შემკვიდრეობით გადმოჰყვათ. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ოსების დასახლება ხდებოდა ქართლის მთიანეთში ასეთივე საზოგადოებრივი ყოფის მქონე ქართველების მეზობლად, ქართველებისა, რომლებიც განვითარებულ ფეოდალურ ქვეყანაში ფეოდალიზმს თემური საზოგადოებრივი ყოფის შენარჩუნებისათვის ბრძოლით უპირისპირდებოდნენ.

ოსური სასოფლო თემის სტრუქტურაზე თავის დროზე იქნება ნათქვამი სპეციალურ ნაშრომში, რომელსაც ალ. რობაქიძე ამზადებს, ხოლო ჩვენი კვლევის ძირითად ობიექტს, რომ არ დავიცილდეთ, საჭიროდ მოგვაჩნია ნაწილობრივად მაინც გავეცნოთ ჩვენ მიერ შეკრებილ მასალებს ოჯახის ეკონომიური საფუძვლების შესახებ წინა თავში აღნიშნული ზოგიერთი ოჯახის მაგალითზე.

სოფ. ჯომაღში ცხოვრებისას ჯიქაევების დიდი ოჯახის ქონებას შეადგენდა ორი სახლი (ერთი ორსართულიანი და ერთიც ერთსართულიანი), ერთი იზოლირებული უაზაგდოგ (სასტუმრო), სამი უღელი ხარით სახნავი ათი დღიური მიწა, რომელზედაც მოყავდათ 160 მეკოლი[55] ქერი, 300 მეკოლის სათიბი, ოთხი ცხენი, 22 ხარი, 24 ძროხა, 24 მოზარდი (ხბო, მოზვერი, დეკეული) და 400 თხა და ცხვარი. ოჯახის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა აგრეთვე ხარებით ვაჭრობა და გასაყიდი ხის მასალის დამზადება. რაც შეეხება ტყესა და საძოვარს, ეს სასოფლო იყო და ჯიქაევებიც სხვების თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ.

ასევე სასოფლო საძოვრებით სარგებლობდა სოფ. ქვემო როკაში ბლიევების ერთ-ერთი ოჯახი (ოთხი ძმა: ნიკო, საჩინო, ვასიკო, ნიკოლა), რომლის პირად საკუთრებაში იყო ერთი სახლი, ერთი წისქვილი, 12 დღის სახნავი ერთი უღლით, 200 წერის სათიბი, ექვსი ცხენი, რვა

XIII, კეკ, I; მ ი ს ი ვ ე. К вопросу о формах поселения в Сванети, КСИЭ. XXIX. მ ი ს ი ვ ე. Жилища и поселения горных ингушей, КЭС, II.

[55] მ ე კ ო ლ ი წარმოადგენდა პურეულისა და თივის სახიმ-საწონ ერთეულს. თანახმად მთხრობლების განმარტებისა, ერთი მეკოლი თივა იწონის 12—13 ფუთს, ხოლო პურეულის ერთ მეკოლში შედის 140 ძნა. კარგი მოსავლის დროს ერთი მეკოლი იძლევა ერთ კოდ (4 ფუთ) ქერს.

ლიახვის ხეობაში მცხოვრები ოსები თივისა და ძნის რაოდენობის ჩვენების მიზნით მეკოლის ნაცვლად ზოგჯერ ხმარობენ წ ე რ ი-ს, რაც მათ ქართულიდან უნდა შეეთვისებინათ. სიტყვა განმარტებით, წ ე რ ე უ ლ ი არის ყანის ნაკრეფი შეკონვილი (იხ. „სიტყვის კონა". თბილისი. 1949, გვ. 446).

სარი, რვა მოზარდი, 14 ძროხა, ოთხი ღორი და 100 ცხვარი. ჰქონიათ აგრეთვე დუქანი, რომელშიაც 1915 წელს ყოფილა დაახლოებით 30 000 მანეთის საქონელი.

მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შეფარდების მხრივ საყურადღებოა ჭეგო და ტერა თომაევების ოჯახი, რომელსაც ჰქონდა 15 დღიური სახნავი, ხოლო პირუტყვის სახით სამი ცხენი, ოთხი ხარი, ექვსი ღორი, 11 სული ძროხა და მოზარდი და 60 სული ცხვარი.

დიდი ლიახვის ხეობაში ჩაწერილ ამ რიგის მასალებთან ერთად პატარა ლიახვის ხეობიდან სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ ბოლოთაევების გაუყრელი ოჯახი, რომელსაც სამეურნეო ბაზა ჰქონდა მთაშიცა და ბარშიც. ოჯახის ძირითად საცხოვრებელს წარმოადგენდა მთის სოფელი შუაცხვირი, სადაც მათ ჰქონდათ ერთსართულიანი ქვის სახლი, ხოლო დამხმარე სამეურნეო ბაზა იყო ბარის სოფელი ფრინევი, სადაც აუგიათ ყავრით დახურული ხის სახლი. ოჯახს ჰყოლია ოთხი ცხენი, 40 სულამდე მსხვილფეხა საქონელი და 120-მდე სული ცხვარი. მეწველ საქონელსა და ცხვარს ზამთრობით კვებავდნენ შუაცხვირში, ხოლო ბერწსა და მუშა საქონელს ფრინევში აჭმევდნენ ბზესა და ჩალას. ზაფხულობით ცხვარს აბალახებდნენ ტირძნისში, სადაც საბალახეს უხდიდნენ ვინმე დოგუზოვს.

ბოლოთაევებს მხოლოდ ქერი მოჰყავდათ, და, თუ სეტყვა არ გაანადგურებდა, ექვს თვემდე ძლივს ჰყოფნიდათ. როგორც სხვები, ისინიც იძულებულნი იყვნენ დასჯერებოდნენ მხოლოდ ორდღიურ ნადელს, რომელზედაც დაწესებული ყოფილა 12 მანეთი საადგილმამულო გადასახადი. ვისაც კუთვნილ ნადელზე მეტი აღმოაჩნდებოდა, კომისია მას ჩამოაჭრიდა და გაასაძოვრებდა. ასეთი მდგომარეობის გამო ბოლოთაევები თუ მათი მეზობლები იჯარით იღებდნენ ფალავანდიშვილების ადგილებს, ხოლო თუ ამ გზითაც ვერ დაიკმაყოფილებდნენ პურზე მოთხოვნილებას, მარცვლეულს ბარად ყიდულობდნენ საქონლის პროდუქციის ან საკლავის საფასურით.

დაახლოებით ასეთსავე პირობებში უხდებოდა ცხოვრება ბოლოთაევების მეორე ოჯახს, რომელიც გაყრის მომენტში (1902 წ.) 30 სულს ითვლიდა და ოთხ თაობას მოიცავდა. შუაცხვირში მათ ჰქონიათ ბანით დახურული ქვის ერთსართულიანი სახლი, ცალკე დადგმული ბოსელი და საცხვრე, გაყრის წინ აქვე აუშენებიათ მეორე სახლიც. ხოლო ბარის სოფ. მუღრისში შეუძენიათ ყავრით დახურული ერთი ოთახი და ბოსელი. ნაგებობებიდან აღსანიშნავია აგრეთვე წისქვილი, რომელიც სოფ. შუაცხვირში რამდენიმე ოჯახთან საზიაროდ ჰქონიათ.

სოფ. შუაცხვირში ოჯახის საკუთრებას შეადგენდა ორხელათი სახნავი ხუთი დღიური საქერე, 200 მეკოლი თივის სათიბი, ხოლო ტყე და

საძოვარი აქ სასოფლო იყო. მოსავლის უკმარობის გამო მუღრისში ფალავანდიშვილებისაგან იჯარით აუღიათ სამი დესეტინა, რომლის მოსავლის 1/3 ბარდებოდათ მემამულეებს, ხოლო 2/3 მიჰქონდათ ბოლოთაევებს[56]. შემდეგში ბოლოთაევებს ფალავანდიშვილებისაგან ჯერ 10 თუმნად უყიდიათ ორი დესეტინა, ხოლო ბოლოს კიდევ 15 მანეთად ერთი დესეტინა მიწა.

ოჯახს გაურამდე ჰყავდა ხუთი ცხენი, 13 ხარი, 19 ძროხა და 330 ცხვარი. ცხვარს მთელი წლის განმავლობაში ინახავდნენ სათიბ-საძოვრებით მდიდარ შუაცხვირში, მსხვილფეხა საქონელს ზაფხულობით ამყოფებდნენ შუაცხვირში, ხოლო ზამთრობით მსხვილფეხა საქონლის ნახევარს კვებავდნენ შუაცხვირში და ნახევარსაც მუღრისში.

სხვა ოჯახების ეკონომიური მდგომარეობიდანაც აშკარად ჩანს, რომ დიდი და პატარა ლიახვის ხეობათა სათავეებში მიწათმოქმედება ვერ აკმაყოფილებდა მინიმალურ მოთხოვნილებას პურზე[57], რის გამო ერთნი მიწას იჯარით იღებდნენ, მეორენი ხორბლეულს ყიდულობდნენ ქართლში, მესამენი იმავე ქართლის ბარში სამუშაოდ მიდიოდნენ შრომის საზღაურად პურის მიღების მიზნით და სხვა. ქართლის სამიწათმოქ-

---

[56] როგორც ვ. ა ბ ა ე ვ ი ს ნაშრომში აღნიშნულია, კულაკის ან მემამულის მიერ გლეხის ექსპლოატაციის ეს წესი, რომელსაც ეწოდებოდა ხ ა ძ ძ ო ნ. საყოველთაოდ იყო გავრცელებული სამხრეთ ოსეთში (В. Д. А б а е в, Экономическое развитие Юж-Осетии в период капитализма, стр. 62—53).

ბ. ტოტროვს დაუდგენია გარიგების (ხაძძონის) შემდეგი წესი: ოჯახი იღებდა ნაკვეთს სამი წლის ვადით, ვალდებული იყო მიწა გაპატიენებინა, ხოლო ყოველწლიურად პატრონისთვის ჩაებარებინა მოსავლის 1/3. ჩალა რჩებოდა მოჯარადრეს. ზოგიერთ სოფელში კი (მაგალითად ჯოჯაღში) მიწის პატრონი ღებულობდა მოსავლის ნახევარს. სათიბის იჯარით გაცემის შემთხვევაში პატრონს ეძლეოდა თივის მარაგის 1/5 ან თითო ძერ თივაზე 20 კაპ.

სოფ. ზემო როკაში ჩვენ ჩაგვაწერინეს, რომ სამი წლით მიწის იჯარით აღება შეიძლებოდა იმ პირობით, თუ ამღები მას გააპატიებდა და ყოველწლიურად პატრონს ჩააბარებდა მოსავლის 1/3-ს.თუ არ გააპატიებდა, მას შეეძლო მიწა აეღო მხოლოდ 1 წლით და პატრონისათვის მიეცა 1/3. ანალოგიური ვითარება გაგვაცნეს სოფ. ზემო ხღუბირში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მოსავალი შუაზე იყოფოდა. გარიგების ამ წესს, მიუხედავად დამოწმებული ვარიანტებისა, მთხრობლებმაც უწოდეს ხაძძონ. იჯარის ოსური სახელწოდება ამის მაჩვენებელია, რომ ექსპლოატაციის ეს ფორმა მთიელი ოსების ყოფაში მტკიცედ იყო ფესვოკიდებული.

[57] მთიელი ოსები რომ სახნავი მიწების დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ, ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად ეს მტკიცდება ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებითაც. სათანადო წყაროზე (Сборник статистических данных о землевладениях и способах хозяйства в пяти губерниях Закавказского края, Тифлис, 1899) დაყრდნობით ვ. აბაევი აღნიშნავს, რომ ხსენებულ ეპოქაში ედისის საზოგადოებაში (ედისი, ბრიტათი, ზემო და ქვემო კაბუსთა, ქალამქარი, ხოძი, ზემო და ქვემო ერმანი) კომლზე საშუალოდ მოდიოდა ორი დესეტინა მიწა, სოფ.

მედო რაიონებთან განსაკუთრებით მჭიდრო კონტაქტს ამყარებდნენ ;ატარა ლიახვის ხეობის მკვიდრნი, ხოლო დიდი ლიახვის ხეობის სათა-ვეებში მცხოვრებნი, რომელნიც ამ მხრივ კიდევ უფრო მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ, ჩრდილო ოსეთშიაც გადადიოდნენ, საიდანაც საპალნით დიდი გაჭირვებით გადმოჰქონდათ უმთავრესად სიმინდი[58].

დიდი ლიახვის ხეობის სათავეებში მცხოვრებთა საოჯახო მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხე-ტყით სარგებლობას. ადგილობრივი ხელოსნები აგრძელებდნენ რა ხის დამუშავების[59] მამაპაპურ

თლისა და შიპრანში საშუალოდ ოჯახი ფლობდა ერთ დესეტინას, მსხლების საზოგადოებიდან სოფ. აბანოში სრულებით არ იყო სახნავი, ხოლო სოფ. ზალდაში კომლზე მოდიოდა ორი დესეტინა. ე. აბაევის დაანგარიშებით, ლიახვისა და ქსნის ხეობებში ოჯახს საშუალოდ ჰქონდა 1-2 დესეტინა სახნავი (В. Д. Абаев, Экономическое развитие Юго-Осетии в период капитализма, стр. 25—26).

XIX საუკუნის 90-იან წლებში შედგენილი დოკუმენტაციიდან აშკარად ჩანს, რომ დიდი ლიახვის სათაევეები (სოფ. ზღუბირისა და სბის მაგალითზე) მკაცრი კლიმატური პირობების გამო მიწათმოქმედებისათვის არახელსაყრელ ზოლს წარმოადგენდა, ისევე, როგორც დიდ სიმაღლეზე მდებარეობის გამო ხევთან ერთად ასევე მწირი იყო ოსებით დასახლებული თრუსოს ხეობა (იხ. И. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. II, Тбилиси, 1962, стр. 236, 244, 245).

მიწათმოქმედების განვითარების მხრივ მთის სოფლებში ასევე არასახარბიელო ვითარება შეინიშნება 1917 წლის მონაცემების მიხედვითაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ როკის საზოგადოებაში კომლზე საშუალოდ მოდიოდა 0,91 დესეტინა სახნავი, მაშინ, როდესაც ყორნისის საზოგადოებაში ოჯახი საშუალოდ ფლობდა 4,11 დესეტინას. მთისა და ბარის სოფლებს შორის მკვეთრი განსხვავება იგრძნობოდა იმ მხრივაც, რომ მთიელები საკუთარ სახნავებით არ იცნობდნენ მებაღეობას, მაშინ, როდესაც ბარელთათვის ეს იყო ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა. მართალია, მებაღეობას ძირითადად ქართველები მისდევდნენ და ბარად დასახლებული ოსები დიდი ხალისით არ ეწაფებოდნენ მას (В. Абаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 86—88), მაგრამ ამ მაღალ სამეურნეო კულტურას ქართველების ზეგავლენით ბოლო დროს ოსებიც ეზიარნენ და დღეს ინტენსიურად ავითარებენ.

[58] იმის შესახებ თუ რა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული ჩრდილო ოსეთიდან პურის გადმოტანა და ზოგჯერ როგორი ტრაგიკული შედეგებით მთავრდებოდა გაჭირვებული ადამიანების ცხოვრება თოფლით დაფარული მთების გადალახვისას, მოგვითხრობს წარმოშობით ედისელი მწერალი კუძაგ ძესოევი (Кудзагъ Дзесов, За хлебом. იხ. კრებულში, Осетинская проза, Тбилиси, 1958, стр. 179—192).

[59] აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად ბორჯომის ხეობის მაგალითზე, ხის დამუშავების ხალხური წესები შესწავლილი აქვს გ. გასიტაშვილს (იხ. გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბილისი, 1962). ეს საკითხი მანვე შეისწავლა თუშეთშიც (გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები თუშეთში, იხ. კრებული — თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი, 1967).

ტრადიციებს, საშინაოდ ამზადებდნენ კასრებსა და დგამ-ჭურჭელს, აშენებდნენ ხის სახლებს, ხოლო გასაყიდად ამზადებდნენ ჯამებს, კოვზებს, სპამიჯებსა და საწყლე ჭურჭელს. ხის ჭურჭელი გასაყიდად მიჰ-ყონდათ უმთავრესად ხევსა და თრუსოს ხეობაში.

შემოსავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია სამშენებლო მასალას, რომლის დამზადება ითვალისწინებდა ტყით სარგებლობის რეჟიმის მკაცრად დაცვას. როგორც წესი, საწვავად ხმარობდნენ მასალად უვარგის მრუდე ხეებს და ტოტებს, ხოლო სამასალე ხეებს იყენებდნენ როგორც სახლის მშენებლობაში, ისე გა-საყიდად. მასზე დიდი მოთხოვნილება ყოფილა როგორც ქართლის სოფლებში და ქ. თბილისში, ისე თრუსოს ხეობასა და ჩრდილო ოსეთ-ში. შემოსავლით დაინტერესებული ოსი მოიჯარადრეები ლიახვის სა-თავეებიდან ხეებს აცურებდნენ მდ. ლიახვით, ჯავაში კრავდნენ ტივე-ბად და აცურებდნენ ქ. გორამდე. გორში ოსებისაგან ხეებს ყიდულობ-დნენ ქართველები და მტკვარზე დაცურებით თბილისში მიჰქონდათ.

თუ გორისა და თბილისის მიმართულებით ხეების გადასაზიდად მდინარეებს იყენებდნენ, სამაგიეროდ ჩრდილო ოსეთში (სახელდობრ, ნარის ტაფობში) ხეების გადატანა ხდებოდა ხარებით. აღმართზე ხა-რებით ათრეულ ხეებს თავქვე აცურებდნენ ზაყა-ნარისაკენ, სადაც ის იყიდებოდა ფულზე ან ცალდებოდა ნატურალური გაცვლის საშუა-ლებით.

ხის მასალისა და ნაწარმის თუ სხვა სახის პროდუქციის გატანა-შემოტანაში აქაური მთიელებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონ-და მეზობელ კუთხეებთან დამაკავშირებელ გზებსა და გადასასვლე-ლებს[60]. დიდი ლიახვის ხეობის სათავეებიდან კავშირი დამყარებული იყო თრუსოს ხეობასთან, ხევთან, მთიულეთთან, პატარა ლიახვის ხეო-ბასთან და ჩრდილო ოსეთთან. თრუსოს ხეობასა და ხევში მოსახვედ-რად იყენებდნენ ორ ძირითად გზა-ბილიკს. პირველი მარშრუტის მი-ხედვით, ლიახვის ზედა წელის ერთ-ერთი მაღალი დასახლებიდან სოფ. ედისიდან გზა მიდის სოფ. ხოძისაკენ ან სოფ. გელკათაზე გავლით. ორი-ვე ეს სოფელი მდებარეობს მთა-ზეგან ყადლასანზე. ყადლასანიდან მგზავრი დაეშვება თრუსოს ხეობაში. სოფ. დესში, საიდანაც მდ. თერ-

---

[60] პირიქითი კავკასიონის პირაქეთთან დამაკავშირებელი გზებისა და ზეკარე-ბის და საქართველო-ოსეთის ურთიერთობაში მათი მნიშვნელობის შესახებ იხ. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხი-სათვის, გვ. 116—118; მ ი ს ი ვ ე, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურ-თიერთობის ისტორიიდან, გვ. 63—64, 159—160; გ. თ ო გ ო შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33; ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში, კეკ, I, გვ. 111.

ის დინების მიმართულებით გაივლის თრუსოს ხეობას თავიდან ბოლომდე და გავა სოფ. კობში, საიდანაც იწყება ხევის სათავეები. მეორე მარშრუტით ხევში მოხვედრა შესაძლებელია სბის მთაზე გადაელით, ყადლასანზე გავლით და თრუსოს ხეობის ჩამოვლით. პირველი მარშრუტით (ედისი→ყადლასანი→თრუსო→ ხევი) სოფ. ედისიდან თრუსოს ხეობის ზედა დასახლებულ პუნქტამდე — სოფ. დესამდე ყოფილა სამი საათის სავალი ცხენით, ხოლო ცხენით დაახლოებით ამდენივე დრო სჭირდებოდა თრუსოს ხეობის გავლით ხევის სათავეებამდე (სოფ კობამდე) მისვლას. მეორე მარშრუტს კი (როკა-სბის გადასასვლელი→ ყადლასანი→თრუსო→ ხევი) როკიდან დესამდე ცხენი ფარავდა ოთხ საათში.

აღნიშნული გზებით ლიახველ ოსებს თრუსოს ხეობასა და ხევში საპალნით მიჰქონდათ ხის ჭურჭელი, რომელსაც სცვლიდნენ მატყლზე და ერბოზე ან ყიდდნენ ფულზე. უმთავრეს შემთხვევაში ეს მატყლი და ერბო იქიდანვე მიჰქონდათ ვლადიკავკაზში გასაყიდად და სიმინდის შესაძენად. თავის მხრივ, თრუსოელი ოსები ლიახვის ხეობაში ყიდულობდნენ განთქმულ ოსურ ყველს და საკუთარ ნაწარმთან ერთად ის მოგების მიზნით მიჰქონდათ ვლადიკავკაზის ბაზარზე, რაც საქართველოს სამხედრო გზასთან უშუალო კავშირის გამო მათთვის უფრო ხელმისაწვდომი იყო, ვიდრე ლიახველთათვის.

დიდი ლიახვის სათავეებიდან მთიულეთში გადასასვლელად იყენებდნენ შემდეგ მარშრუტს: ს. ედისი→ ს. ერმანი→ ყელის ტბა→ ქარჩოხის ხეობა→ლომისა→ს. მლეთა. მლეთიდან თავისუფლად შეეძლოთ გასვლა როგორც მთიულეთის ხეობებსა და სოფლებში, ასევე ხევში, თრუსოს ხეობაში, გუდამაყარში და სხვა კუთხეებში. ს. ედისიდან მლეთამდე ცხენი გზას ფარავდა 5—6 საათში.

დიდი ლიახვის ხეობა ასევე სამთო კომუნიკაციებით იყო დაკავშირებული ჩრდილო ოსეთთან. ს. ედისიდან როკის გადასასვლელით ჩადიოდნენ ჩრდილო ოსეთის სოფ. ზაყაში, რომლის დაფარვა ცხენით შესაძლებელი ყოფილა 3 საათში. ზაყაში მოხვედრა შესაძლებელია აგრეთვე სბის ხეობიდანაც, ხოლო ზაყადან კავშირი დამყარებულია ნართან, ზარამაგთან და სხვა დასახლებულ პუნქტებთან. მთხრობლებმა დაგვისახელეს კიდევ ორი მარშრუტი. ერთი მათგანი მიემართებოდა ჯომაღიდან, გადიოდა ჯინათზე, აქედან ქამახზე და ქამახიდან ნარში. ჯინათიდან გზა უკავშირდებოდა ზრუგსაც. მეორე მარშრუტი ასეთი იყო: ჯომაღი→მაღ-კუთილის მთა→ ზაყა→ნარი. ახლა ზაყადან ნარამდე საურმე გზაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილო ოსეთთან დამაკავშირებელი გადასასვლელები გამოიყენებოდა ხეების გადასაზიდად. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გზები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ჩრთილოეთიდან პურეულის შემოტანაში. დიდი ლიახვის სათავეებში მცხოვრები მთიელები პურეულის შესაძენად მიდიოდნენ ჩრდილო კავკასიაში სწორედ ზემოთ დასახელებული გადასასვლელებით ნარში ჩადიოდნენ თავიანთი ცხენებით. იქ ისინი ქირაობდნენ ურმებს, აბამდნენ თავიანთ ცხენებს და მიეშურებოდნენ ბარისაკენ, სადაც ყიდულობდნენ სიმინდს ან ხორბალს, ურემზე დებდნენ დაახლოებით 25 ფუთს და ამოჰქონდათ ნარში. აქ ურმებს პატრონებს უბრუნებდნენ, ხოლო ნარიდან პურეული საპალნით გადმოჰქონდათ.

ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ლიახვის სათავეების მცხოვრებნი სამთო კომუნიკაციების საშუალებით მჭიდრო ეკონომიურ კონტაქტს ამყარებდნენ პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობასთანაც. სოფ. ედისიდან გზა მიემართება ბრიტათისაკენ, აქედან გუდისში. გუდისიდან წრუში, წრუდან ყურიათში, ხოლო ამ უკანასკნელიდან ვანათში. ედისიდან ვანათამდე ცხენით ერთი დღის სავალი ყოფილა.

საქონლის გატანა-შემოტანასთან ერთად ზემოაღნიშნულ გადასასვლელებს იყენებდნენ ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრებთან დასაკავშირებლადაც. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის მარშრუტი, რომელიც თრუსოს ხეობასა და ხევზე გადიოდა. ამ გზის როლი განსაკუთრებით ბოლო ხანებში გაიზარდა, როდესაც ლიახვის სათავეებში მეცხვარეობა ფართო მასშტაბით განვითარდა. მთხრობლების გადმოცემით, ეს ხდება XIX საუკუნის მიწურულს და განსაკუთრებით კი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. უფრო ადრე ცხვარი აქ ცოტ-ცოტა ჰყოლიათ და მხოლოდ იმდენს იშენებდნენ, რამდენის შენახვასაც შესძლებდნენ ბაგური კვებით. 100 სულის პატრონი ოჯახი აქ იშვიათად ყოფილა, ხოლო 50—60 სულიც მოსახლეობის უმცირესობას ჰყოლია. ასეთი ოჯახები ცხვარს აზამთრებდნენ კვერნაქის მთების ძირში, ხოლო ომიანობის დროს კახეთშიაც გასულან. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ყიზლარის საზამთრო საძოვრებისაკენ გაიკაფეს გზა, მეცხვარეობაც აქ მეურნეობის წამყვან დარგად იქცა. ყიზლართან დაკავშირების საუკეთესო საშუალებას კი წარმოადგენდა მაღრანდვალეთ-თრუსო-ხევის მარშრუტი.

* * *

ზემოთ მოკლედ ითქვა, რომ ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსების ეკონომიკაში ხის დამუშავება სათანადო როლს ასრულებდა. ითქვა ისიც, რომ რძის ნაწარმთან ერთად ბაზარზე გაჰქონდათ მატყლი

და ტყავი. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ვითარება მარტო სამხრეთელი ოსების ყოფისათვის კი არ იყო დამახასიათებელი, არამედ შინამრეწველობა ასევე ოჯახის არსებობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ჩრდილო ოსეთში.

შინამრეწველობის როლი ოსეთში განსაკუთრებით დიდი იყო კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამდე, რაც შენიშნულია არაერთი მკვლევარის მიერ. ჯერ კიდევ ვახუშტი მიუთითებდა, რომ „სიმდიდრე მათი არის თოფი ჯრმალი, ჯაჭვი, ჯავშანი; სპილენძი და ოქრო და ვერცხლი მცირედ. არა უწყიან თეთრი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე, და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამათ... უწყიან ჭელოვნებანი ტყავისა, ქსოვა შალისა, თელვა, კეთება ნაბდისა კარგისა. იციან მჭედლობა, ზეინკლობა, ხეთა მუშაკობა, სახლთ შენება... ქალთა მათთა უწყიან კერვანი წმინდა და კეთილნი. არა არს ქვეყანათა მათთა შინა მარილი, სელი, კანაფი და ბანბა და აბრეშუმი, რათამცა ყონ სამოსი თჳსნი. ამისთჳს უმეტესნი ჴცხორებენ ცხოვართა ტყავითა, გარნა ამათაც ზიდვენ ქართლიდამ. რაჭიდამ და ჩერქეზიდამ"[61].

როგორც ვახუშტის ამ მოკლე და მრავლისმეტყველი აღწერილობიდან ვხედავთ, ოსები განიცდიდნენ რა ზოგიერთი ნედლეულის ნაკლებობას (რაც გამოწვეული ჩანს მაშინდელ ოსეთში მეცხვარეობის შეზღუდული მასშტაბით), მშენებლობასთან, ხეთა მუშაკობასთან, ზეინკლობასა და მჭედლობასთან ერთად მისდევდნენ ტყავის დამუშავებას, ნაბდის თელვას, ქსოვას და კერვას. ეს საქმე მათ იმდენად განუვითარებიათ, რომ შინ მოსახმარს გარდა ქსოვილი და ტანსაცმელი ბაზარზე გასატანიც უმზადებიათ. თეთრის უქონლობის პირობებში ოსები ვაჭრობაში ცხვარ-ძროხასა და ტყვესთან ერთად „თეთრისა წილ" იყენებდნენ ნაბადს, ჩოხას, ხამსა და შალს, რაც შინამრეწველობის განვითარების საკმაოდ მაღალი საფეხურის მაჩვენებელია.

შინამრეწველობის არსებობა ოსეთში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ არც უცხოელ მოგზაურებს. თუ მაგალითად, ი. რეინეგსი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა დიგორელთა ნაწარმ იარაღს[62], ხოლო ი. კლაპროტის ყურადღება მიუქცევია ოსეთში იარაღის დამზადების საქმესა და მშენებლობის ხელოვნებას, ხის დამუშავებასა და ავეჯის ორნამენტს[63], ფრანგი მოგზაური გამბა მოუხიბლავს ხალიჩებისა და ლუდის კეთებას. როგორც ის წერდა, ოსები ამზადებდნენ საუკეთესო

---

[61] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 111—112.
[62] J. R e i n e g g s, დასახ. ნაშრომი, გვ. 232.
[63] J. K l a p r o t h, დასახ. ნაშრომი, გვ. 334, 664, 675.

ხარისხისა და ფერების მქონე ხალიჩებს, ხოლო ოსური ლუდი იმდენად კარგი ყოფილა, რომ თბილისში მას პირდაპირ ღვინოზე ცვლიდნენ[64].

კავკასიელ ხალხთა შინამრეწველობის შესწავლით დაინტერესებული მკვლევარნი ოსეთში განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მატყლის დამუშავებას. ო. მარგგრაფის დაკვირვებით, მატყლის დამუშავების მასშტაბითა და ტექნიკით ჩრდილო კავკასიელ ხალხთა შორის ოსები იმყოფებოდნენ მეორე ადგილზე დაღესტნელთა შემდეგ. მატყლის ნაწარმიდან განსაკუთრბით გამოირჩეოდა მაუდი, რომელიც ცნობილი იყო ოსური მაუდის სახელწოდებით და კავკასიაში მას ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა ლეკურთან და უაბარდოულთან ერთად. ო. მარგგრაფს ისიც აღნიშნული აქვს, რომ ნაბადს ოსები არ ამზადებდნენ და ბაზარზე ყიდულობდნენ, ხოლო ფეხსაცმლისა და დგამ-ჭურჭლის, ისევე როგორც საპნის დამზადებაც დონე განისაზღვრებოდა ადგილობრივი მოსახლეობის შინამოთხოვნილების მასშტაბით[65].

ოსები რომ მაუდის ქსოვასა და ჩოხა-ახალუხის კერვაში იყვნენ დაოსტატებულნი და რომ ჩუქურთმიანი დგამ-ჭურჭლის კეთება ოსეთში ძველსა და განვითარებულ საქმიანობას წარმოადგენდა, ამის შესახებ წერდა ოსი ეთნოგრაფი ს. კოკიევი[66], ისევე, როგორც კუსტარული წესებით ქსოვილის, ქუდების, თუ სხვა რამის დამზადებაში ოსებს დახელოვნებულ ოსტატებად თვლიდნენ სხვა დამკვირვებელნიც[67].

როგორც თანამედროვე მკვლევართა შრომებიდან[68] და ჩვენ მიერ შეკრებილი მასალებიდან ჩანს, შინამრეწველობა თავის მნიშვნელობას განსაკუთრებით დიდხანს ინარჩუნებდა ოსებით დასახლებული ხეობების სათავეებში, რომლებიც მართალია დაკავშირებული იყვნენ მეზობელ კუთხეებთან სამთო კომუნიკაციებით და კარჩაკეტილ მდგომარეობაში არ იმყოფებოდნენ, მაგრამ მოსახლეობის კონტაქტი შორეულ ბაზ-

---

[64] Gamba, Voyages dans la Russie méridionale et particulièrement dans les provinces situées au-de la du Caucase fait sdepuis 1820 jusqu'au 1824, Paris, 1826, t. I—II, p. 30.

[65] О. Маргграф, დასახ. ნაშრომი, გვ. 4,21, 69, 172, 229, 260-262.

[66] С. Кокиев, Записки о быте осетин, СМЭ, I, 1885, стр. 46, 82.

[67] Е. Максимов, Г. Вертепов, დასახ. ნაშრომი, გვ. 60—61; А. Россикова, დასახ. ნაშრომი, გვ. 318; К. Ган, По долинам Чороха, Уруха и Ардона, СМОМПК, XXV, стр. 32.

[68] В. Д. Абаев, Экономическое развитие Юго-Осетии в феодально-крепостную эпоху, стр. 74—76; Зольоэ, Экономическое, развитие Юго-Осетии в период капитализма, стр. 54; Б. Тотров, დასახ. ნაშრომი, გვ. 90—95; Б. Калоев, Осетины, М., 1967, стр. 84—92.

რებთან მაინც რამდენადმე გაძნელებული იყო. ცუდი გზების მქონე და ხშირ შემთხვევაში ძნელად მისადგომ მაღალ მთიანეთში შინ ნაწარმი ქსოვილი, ტანსაცმელი, იარაღი თუ დგამ-ჭურჭელი XIX საუკუნის ბოლომდე გამოიყენებოდა ნატურალური გაცვლის საშუალებად და მთიელ ოსთა ყოფაში კიდევ ინახებოდა ის ტრადიცია, რომლის არსებობაზედაც ვახუშტი მიუთითებდა. თავის მხრივ შინამრეწველობა ერთგვარად ხელს უშლიდა სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარებას, ვინაიდან ნატურალური გაცვლის გზით მთიელები ახერხებდნენ საოჯახო საჭიროების საგნებზე თავიანთი მინიმალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მაგრამ იმის შემდეგ, რაც მეცხვარეობამ მთიელი ოსების მეურნეობაში გაბატონებული ადგილი დაიჭირა, მეცხვარეობის პროდუქციაზე (ყველი, მატყლი, ხორცი) მოთხოვნილება გაიზარდა, ხოლო მთაში ფეხმოკიდებულმა ვაჭრებმა პირველი მოთხოვნილების საგნების შეტანა მოახერხეს, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, რეფორმის შემდგომ ხანაში კავკასიაში რუსეთიდან შემოტანილი ფაბრიკული ნაწარმის კონკურენციის გამო თანდათანობით იდევნებოდა ადგილობრივი „შინამრეწველური" ნაწარმი[69]. „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის"[70]. მოვლენების განვითარებამ ამ გზით ღრმა კვალი დააჩნია ოსების ცხოვრებასაც. სხვა მთიელებთან ერთად/იმათაც თანდათანობით ზურგი შეაქციეს შინ ნაწარმ ქსოვილს, ტანსაცმელსა და საოჯახო ინვენტარს და დაეწაფნენ ფაბრიკულ ნაწარმს, რომლის შეძენაც ქალაქებში ან სოფლის დუქანში შეეძლოთ, ხოლო უფრო რენტაბელურ საქმედ მიიჩნიეს მესაქონლეობის პროდუქციის ბაზარზე გატანა ნედლეულის სახით. მეცხვარეობის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილების გამო იზრდებოდა თვით მეცხვარეობის გაფართოების ინტერესი, ხოლო ამის ნიადაგზე ხდებოდა ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავება. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ვითარების პირმშო იყო მდიდარი ოჯახი. მართალია, ასეთი ოჯახების რიცხვი მთაში მოსახლეობის უმნიშვნელო პროცენტს შეადგენდა, მაგრამ ჩვენთვის საყურადღებო ისაა, რომ ყველა ასეთი ოჯახის სიმდიდრის ძირითად წყაროს და ამდენად ამ ტიპის ოჯახის წარმოქმნის საფუძველს წარმოადგენდა დიდი მასშტაბის მეცხვარეობა. მდიდარმა მეცხვარეებმა ხელთ იგდეს სხვებზე მეტი მამულებიც, ხოლო ზოგი-

---

[69] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. III, თბილისი, 1948, გვ. 703.
[70] ი ქ ვ ე, გვ. 704.

ერთი მათგანი ხარბად დაეწაფა ვაჭრობასა და მევახშეობასაც. ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა მთხრობლების მეშვეობით გავცნობოდით რამდენიმე ასეთ ოჯახს. ამათგან აღსანიშნავია ქურთათის ხეობიდან თებიევებისა და გურიევების ოჯახები (რომელთა ქონება ზემოთ იყო ნაჩვენები), ჭურთის ხეობიდან დრიაევების ოჯახი (რომელთა დოვლათსაც ასევე ზემოთ გავეცანით), პატარა ლიახვის ხეობიდან ვალიევების 70-სულიანი ოჯახი (რომელსაც ჰყოლია 100 სული მსხვილფესა საქონელი და 1000 სული ცხვარი), ხოლო დიდი ლიახვის სათაურებიდან ლიტერატურაში სამაგალითოდ არიან დასახელებული პლიევები. შაელოხოვები და სხვა[71].

ამგვარად, ოსებით დასახლებული ყველა ხეობის შესახებ არსებული მონაცემების მიხედვით აშკარაა, რომ ოჯახის არსებობა ემყარებოდა მთურ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას და რიგ ისეთ დამხმარე საქმიანობას, როგორიც იყო საშოვარზე გასვლა, ვაჭრობა თუ შინამრეწველობა. მთიელი ოსების ეკონომიკაში ყველაზე უფრო მტკივნეულ საკითხს წარმოადგენდა პურის ნაკლებობა, რომლის შეძენის მიზნით იყენებდნენ იჯარას, შრომის გაქირავებას, ფულს და ნატურალურ გაცვლასაც. პურეულით უზრუნველყოფის წყაროს. პირველ რიგში, მაინც მესაქონლეობიდან მიღებული პროდუქცია წარმოადგენდა. თავის მხრივ, არც მესაქონლეობა იყო მთიელი ოსების ფუფუნების საფუძველი და მისი განვითარების მასშტაბები განისაზღვრებოდა ადგილობრივი რესურსების არსებობით, მაგრამ მთის სამეურნეო პირობებში ის მაინც უფრო რენტაბელურ დარგს წარმოადგენდა მთურ მიწათმოქმედებასთან შედარებით და ამდენად წამყვან მნიშვნელობასაც ინარჩუნებდა.

მესამე თავი

ოჯახის მმართველობის სისტემა და მასში არსებული შრომის ორგანიზაცია

ოჯახის მართვისა და საოჯახო საქმიანობის ორგანიზაციის სფეროში ოსები, ისევე როგორც მათი მეზობელი ხალხები, განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადამიანის სქესსა და ასაკს. ამის მიხედვით ოჯახში გამოიყოფოდა, ერთი მხრივ სამამაკაცო და სადედაკაცო, ხო-

---

[71] З. Ванеев, Из истории родового строя в Юго-Осетии, стр. 29; В. Д. Абаев, Экономическое развитие Юго-Осетии в период капитализма, стр. 92—93.

ლო. მეორე მხრივ, საუფროსო და საუმცროსო საქმეები. აღნიშნული ვითარება განსაკუთრებით მკვეთრად ახასიათებდა საოჯახო თემს, რამდენადაც სამიდან-ხუთამდე თაობის გამაერთიანებელი მრავალსულიანი სოციალური ერთეულის მართვა ტრადიციით შემუშავებული ნორმების დაცვის გარეშე შეუძლებელი იყო. როდესაც ოჯახის მართვის ამგვარი პრინციპი დაირღვეოდა, ოჯახის მთლიანობასაც საფრთხე ემუქრებოდა, ისევე, როგორც შეუძლებელი ხდებოდა ერთობის შენარჩუნება ოჯახის ეკონომიური საფუძვლების მოშლისა და ოჯახის წევრებს შორის კერძომესაკუთრული ტენდენციის განვითარების შემთხვევაში.

როგორც საოჯახო თემში, ისე ინდივიდუალურ ოჯახში ყველაზე დიდი უფლებებით სარგებლობდა უხუცესი მამაკაცი, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა ოჯახის საერთო ხელმძღვანელობა. უხუცესი მამაკაცის პრიორიტეტი და ასაკის მიხედვით ოჯახის წევრთა ურთიერთობის ნორმები მკვეთრად იყო დამახასიათებელი დიდი ოჯახისათვის, რაც გაპირობებული იყო რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრებით. ასაკის მიხედვით უფლებრივი დიფერენციაცია ნაკლებად შეიმჩნეოდა ინდივიდუალურ ოჯახში, რომელიც არსებითად ორ თაობას მოიცავდა შშობლებისა და შვილების სახით და ოჯახის უფროსობაც თავისთავად მამის უცილობელ უფლებას წარმოადგენდა.

ჩვენ მიერ ოსეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები აშკარად გვიჩვენებენ უხუცესი მამაკაცის პრიორიტეტს როგორც ოჯახის მართვის, ისე საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში, მაგრამ ვინაიდან ამ საკითხს სხვადასხვა ეპოქის მრავალი მკვლევრის ყურადღება მიუქცევია და ყველა მათგანს მის შესახებ თავისი აზრი გამოუთქვამს, საჭიროდ მიგვაჩნია, პირველ რიგში გაეცნოთ ჩვენს წინამორბედთა მემკვიდრეობას.

ისევე როგორც ოსთა ყოფის მრავალი სხვა საკითხის, უხუცესობით პრიორიტეტის შესახებაც პირველი სიტყვა ვახუშტის ეკუთვნის. როგორც იგი წერს, XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ოსეთში „კეალად უწყიან პატივი მოხუცებულთა თჳსთა ფრიადი და უვისთ, ვითარცა პატრონნი თჳსნი. ამათ მოხუცებულთაგან ჰყოფენ ბრჭობასა, და ზავსა. და ყოველსავე სამჭირნოსა თჳსთა განაგებენ მათით"[1].

ოჯახის მართვის სფეროში უფროს-უმცროსობის წესს შეეხო XIX საუკუნის ზოგიერთი მკვლევარიც. ვ. პფაფის დაკვირვებით, ოჯახის მართვა ემყარებოდა რა უფროს-უმცროსობის პრინციპს, მამის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილები გაუყრელად ცხოვრებას გა-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა...,ვვ. III.

ნაგრძნობდნენ მათ შორის ხნით უფროსი ძმის ხელმძღვანელობით. უფროსი ძმის გარდაცვალების შემდეგ კი ოჯახის მართვა ეკისრებოდა მომდევნო ძმას. ასეთივე წესი შემდეგ ძალაში რჩებოდა მომდევნო თაობათა ცხოვრებაშიც, რასაც ვ. პფაფი გვაცნობს თავის ორ ნაშრომში[2].

ოჯახსა და საზოგადოებაში ხნით უფროსობით პრიორიტეტი კარგად იყო ცნობილი ამ ტრადიციებზე აღზრდილი ოსი ეთნოგრაფის ს. კოკიევისათვის. როგორც ის წერდა, უფროს-უმცროსობა და უფროსისადმი მორჩილება ემყარებოდა ურთიერთპატივისცემის ჩვეულებას. ოჯახის უფროსის დაუკითხავად არაფერი არ კეთდებოდა, მაგრამ თვ მას სურდა ოჯახსა და საზოგადოებაში ავტორიტეტი ჰქონოდა, ვალდებული იყო ყველა მნიშვნელოვანი საკითხი გადაეწყვიტა ოჯახის წევრებთან შეთანხმების შემდეგ. საკმარისი იყო ოჯახის უფროსს ბოროტად გამოეყენებინა თავისი მდგომარეობა და დესპოტური, ერთპიროვნული მმართველობისადმი მიდრეკილება გამოემჟღავნებინა, რომ ოჯახის მთლიანობას საშიშროება დამუქრებოდა, ხოლო მისი ხელმძღვანელის ავტორიტეტი დაცემულიყო. ასეთი ვითარება განსაზღვრავდა ოჯახის უფროსის უფლებებს, გზას უღობავდა დესპოტიზმს და აპირობებდა გაუყრელად ცხოვრების შესაძლებლობას[3].

საოჯახო ყოფის რიგ სხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად ოჯახის მმართველობის სტრუქტურას განსაკუთრებით ვრცლად შეეხო ნ. კოვალევსკი თავის რამდენიმე გამოკვლევაში და შემდეგ დასკვნამდე მივიდა: ოჯახის საერთო ხელმძღვანელობას ეწეოდა უხუცესი მამაკაცი (ხ ი ს თ ა რ), ხოლო ქალთა შრომა-საქმიანობის გამგებელი იყო ასევე ხნიერი დედაკაცი (ა ვ ს ი ნ), რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა პროდუქტების სათავსო (ყ ა ბ ი ც). რომელიმე მათგანის გარდაცვალების შემთხვევაში მათი ფუნქცია გადადიოდა მომდევნო უფროსების ხელში. იმ შემთხვევაშიც, როდესაც ოჯახის უფროსი დაავადმყოფდებოდა ან დაუძლურდებოდა, მის ადგილს იკავებდა მის მიერვე დასახელებული პიროვნება ანდა ის, ვისაც ხნით უფროსობით ეკუთვნოდა აღნიშნული მოვალეობის შესრულება. ოჯახის უფროსი ითვლებოდა რა ოჯახის წარმომადგენლად, ყველა საკითხი მისი თაოსნობით წყდებოდა. მისგან დამოუკიდებლად არ შეიძლებოდა არც ყიდვა-გაყიდვა, არც ხელშეკრულების გაფორმება, არც სამუშაოს ორგანიზაცია, მაგრამ ყოველ-

---

[2] В. П ф а ф, Народное право осетин. ССК, I, стр. 189; ᲛᲘᲜᲔᲕᲔ, Материалы для древней истории осетин, ССКГ. IV. Тифлис, 1870, стр. 10.

[3] С. К о к и е в, Записки о быте осетин, СМЭ. I, Москва, 1885, стр. 75, 77.

ვე ეს კეთდებოდა ოჯახის სწრაფლწლოვან მამაკაცებთან შეთანხმებით. ერთპიროვნული მმართველობის წესი ოსური საოჯახო თემისათვის არ იყო დამახასიათებელი[4]. ყოველივე ამასთან ერთად მ. კოვალევსკის ისიც შენიშნული აქვს, რომ ოჯახის უფროსის ან დიასახლისის მოღვაწეობით უკმაყოფილების შემთხვევაში ოჯახს უფლება ჰქონდა ისინი შეეცვალა უკეთესი ხელმძღვანელებით[5].

უღირსი უფროსებისადმი ამგვარი დამოკიდებულების შესახებ წერდა ე. მაქსიმოვიც. ჩვენ არ ვიცით ამ საკითხზე მსჯელობისას ის მ. კოვალევსკის ემყარებოდა თუ საკუთარ დაკვირვებას, მაგრამ მ. კოვალევსკის მსგავსად მასაც აღნიშნული აქვს, რომ ოჯახის, გვარის ან სოფლის უფროსობა დამოკიდებული იყო ასაკზე, ხოლო თუ ოჯახში უფროსების მიმართ უკმაყოფილება ჩამოვარდებოდა, ოჯახს უფლება ჰქონდა მათ ნაცვლად აერჩიათ უკეთესი მამასახლისი და დიასახლისი[6].

ხნით უფროსობის მიხედვით ოჯახის მართვის პრინციპი XIX საუკუნის მიწურულში ჯერ კიდევ ბარში მცხოვრები ოსების ყოფისთვისაც დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა, რაც სოფ. გიზელის მაგალითზე დამოწმებული აქვს ა. ცალაგოვს[7].

XX საუკუნის მკვლევართაგან, რომლებიც უფროს-უმცროსობის მიხედვით დიდი ოჯახის მმართველობის სისტემას ეხებიან და ოჯახის ხელმძღვანელთა ფუნქციებს გვაცნობენ, შეიძლება დავასახელოთ გ. ჩურსინი, მ. კოსვენი, ზ. ვანეევი, ბ. ტოტროვი, ა. მაგომეტოვი და ს. კალოევი.

როდესაც გ. ჩურსინი აღნიშნავდა, რომ ოსები მოხუცს უაღრესად დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ და რომ დიდი ოჯახის მეთაურობა მინდობილი ჰქონდა უხუცეს მამაკაცს, ხოლო სადედაკაცო საქმიანობა და სენე-სამზარეულო ებარა ქალთა შორის ხნით უფროს დიასახლისს (ავსინს)[8], ის ეყრდნობოდა უმთავრესად დიდი ლიახვის ხეობის სათაევებში შეკრებილ მასალებს.

---

[4] М. Ковалевский, Поземельные и сословныя отношения у горцев Северного Кавказа, РМ; кн. XII, 1883, стр. 140; მისივე, Современный обычай и древний закон, I, стр. 99—102, 146,153—154, 159, 162; მისივე, Родовой быт в настоящем, недавнем и отдаленном прошлом, I, СПб., 1905, стр. 13—14.

[5] М. Ковалевский, Поземельные и сословныя отношения..., стр. 140; მისივე, Родовой быт..., стр. 14.

[6] Е. Максимов и Г. Вертепов, Туземцы Северного Кавказа, стр. 43.

[7] А. Цаллагов, Селение Гизель, стр. 2—3, 8—9.

[8] Г. Чурсин, Осетины, стр. 36—37.

ლიტერატურულ მონაცემებთან ერთად ასევე სამხრეთ ოსეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე მ. კოსვენმა კავკასიაში ისტორიულად არსებული ორი ტიპის საოჯახო თემიდან— დემოკრატიულიდან და დესპოტურიდან, ოსური საოჯახო თემი, ფშაურ და ქართლურ საოჯახო თემთან ერთად, მიაკუთვნა საოჯახო თემის პირველ ტიპს. ამ დებულების ფორმულირებისას მას მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ ოსური საოჯახო თემისათვის დამახასიათებელი იყო კოლექტიური საკუთრება, კოლექტიური წარმოება-მოხმარება და დემოკრატიული მმართველობა. ეს უკანასკნელი მომენტი გამოხატულებას პოულობდა იმაში, რომ ოჯახის ხელმძღვანელად არჩეული კაცი, სულერთია ის ხნიერი იქნებოდა თუ ახალგაზრდა, არ სარგებლობდა განუსაზღვრელი უფლებებით და ყველა მნიშვნელოვან საკითხს წყვეტდა ოჯახის სრულწლოვან წევრებთან შეთანხმების საფუძველზე[9].

სამხრეთ ოსეთის ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით ოჯახის მმართველობის საკითხს ორ ნაშრომში შეეხო ზ. ვანეევი. ერთ-ერთ გამოკვლევაში მას აღნიშნული აქვს, რომ ოჯახის მაწარმოებელი იყო პაპა ან უფროსი ძმა, ხოლო ქალთა შრომა-საქმიანობას ხელმძღვანელობდა ხნით უფროსი ქალი (ზესინ)[10]. ზ. ვანეევი იქვე შენიშნავს, რომ ეთნოლგონიერი უფროსი უმცროსების აზრსაც ანგარიშს უწევდა, მაგრამ ზოგჯერ მისი „ძალაუფლება" ოჯახში დესპოტურ ხასიათს ღებულობდა. მკვლევრის აზრით, ოჯახის უფროსს დესპოტიზმზე ხელი ააღებინა საკოლმეურნეო ყოფამ, ვინაიდან მის მოვალეობას შეადგენს ოჯახის სხვა წევრებსაც მოეთათბიროს[11]. მეორე ნაშრომში კი ზ. ვანეევი დესპოტიზმს უარჰყოფს და ოჯახის სხვა წევრებთან უფროსის საქმიან კონტაქტს ოსური საოჯახო თემის მმართველობისათვის დამახასიათებელ მოვლენად ხატავს. მისივე მტკიცებით, სამხრეთელი ოსების საოჯახო თემისათვის უცხო იყო ოჯახის უღირსი უფროსის გადაყენებისა და მის ნაცვლად ახალი ხელმძღვანელის არჩევის წესი, რის შესახებაც წერდა მ. კოვალევსკი[12].

ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსების საოჯახო ყოფის შესწავლისა და სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებათა

---

[9] М. Косвен, Этнография и история Кавказа, стр. 102—103.

[10] З. Ванеев, О некоторых процессах изменений в семье и семейном быту юго-осетинской колхозной деревни, ИЮОНИИ АН ГССР, вып. VII, Цхинвали, 1955, стр. 189.

[11] З. Ванеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 221—222.

[12] З. Ванеев, Из истории родового быта в Юго-Осетии, стр. 61.

საფუძველზე ბ. ტოტროვმა მხარი დაუჭირა მ. კოვალევსკის დებულების ზ. ვანეევისეულ შეფასებას[13]. ამასთან ერთად ბ. ტოტროვი ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ოჯახის უფროსი დესპოტი კი არ იყო, არამედ ის იყო პირველი თანასწორთა შორის, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ოჯახის ხელმძღვანელობა. მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მეთაურობა ეკისრებოდა მომდევნო ხნით უფროს კაცს. მაგრამ ზოგჯერ ოჯახს საათავეში ექცეოდა ახალგაზრდა ვამჭრიახი პიროვნება[14], ვინაიდან ოსური წესის მიხედვით ოჯახის მმართველობაში ასაკთან ერთად უურადღება ექცეოდა უნარსაც, რაც ბ. ტოტროვი ასაბუთებს ყოფაში დამოწმებული მაგალითებით[15]. შემდეგ ავითარებს რა თავის შეხედულებას ამ საკითხზე, ბ. ტოტროვი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ოჯახის უფროსი იყო ოჯახის სრულუფლებიანი პატრონი, განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე, რომელსაც ოჯახის ყველა წევრი უყოყმანოდ უნდა დამორჩილებოდა[16]. ბოლოს ბ. ტოტროვი ერთიმეორეს უპირისპირებს რა ძველსა და ახალ საოჯახო ყოფას, იქ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ თანამედროვე ოჯახის უფროსი უკვე აღარ წარმოადგენს საოჯახო ქონების ერთადერთ მფლობელსა და გამგებელს. ოჯახის უფროსისადმი უყოყმანო მორჩილების ადრინდელი წესი ახალ ყოფაში შეიცვალა ხნით უფროსი და ცხოვრებაში გამოცდილი კაცისადმი ღრმა პატივისცემით. იმავე გვერდის ზედა აბზაცში კი აღნიშნულია, რომ წარსულში ოჯახის უფროსის ძალაუფლება დესპოტური ხასიათის არ იყო. ყველა მნიშვნელოვან საქმესთან დაკავშირებით ის ყოველთვის ეთათბირებოდა ოჯახის უფროს წევრებს. მაგრამ მის დაუკითხავად არავითარი საკითხი არ წყდებოდა და მის გადაწყვეტილებას ოჯახის ვერც ერთი უფროსი წევრი ვერ უგულებელყოფდა[17].

ჩრდილო ოსეთის ეთნოგრაფიულ. მასალებზე დაყრდნობით ა. მაგომეტოვსაც შენიშნული აქვს, რომ ოჯახს მეთაურობდა უხუცესი კაცი — ჩვეულებისამებრ პაპა. მისი გარდაცვალების ან დაუძლურების შემთხვევაში ეს მოვალეობა გადადიოდა უფროსი შვილის ხელში, სოლო ოჯახის ხელმძღვანელი შეიძლებოდა ყოფილიყო აგრეთვე მოხუცებული ქალი. ა. მაგომეტოვი ოჯახის უფროსს ახასიათებს როგორც ოჯახის გამგებელსა და საოჯახო ქონების სრულუფლებიან ბატონ-

---

[13] Б. Тотров, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.
[14] ი ქ ვ ე, გვ. 166—167.
[15] ი ქ ვ ე, გვ. 156.
[16] ი ქ ვ ე, გვ. 187.
[17] ი ქ ვ ე, გვ. 336.

პატრონს. როგორც წესი, ოჯახში ქონებაზე საკუთრების უფლება არც ერთ წევრს არ ჰქონდა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ ოჯახის უფროსს თვითნებურად გამოეყენებინა ეს ქონება და ოჯახის საერთო ინტერესები უგულებელეყო. ოჯახის მართვა ემყარებოდა უფროსსა და სხვა წევრების შეთანხმებულ ურთიერთობასა და სოლიდარობას ოჯახის უფროსს, როგორც უხუცესსა და გამობრძმედილ მეურნეს. პატივისცემით ემორჩილებოდნენ, ხოლო თავის მხრივ ხელმძღვანელის ძალაუფლებაც განსაზღვრული იყო საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის სათანადო ნორმებით[18].

ლიტერატურული მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალების ანალიზის საფუძველზე ოჯახის მმართველობის სისტემის დახასიათება მოგვცა აგრეთვე ბ. კალოევმა, ჯერ კავკასიელ ხალხთა ეთნოგრაფიისადმი მიძღვნილი განმაზოგადებელი ნაშრომის ერთ-ერთ მონაკვეთში, ხოლო შემდეგ 1967 წელს გამოსულ წიგნში. პირველ მათგანში გაკვრით არის ნათქვამი, რომ ოჯახის უფროსი მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებას ღებულობდა ოჯახის სრულწლოვან წევრებთან მოთათბირების შემდეგ[19]. მეორე ნაშრომში ავტორმა შედარებით სრულად და გამოკვეთილად გვიჩვენა თავისი პოზიციები აღნიშნული საკითხის მიმართ. პირველ ყოვლისა მან მიუთითა იმის შესახებ, რომ ჩვეულებისამებრ ოჯახის უფროსად იყო პაპა, მამა ან უფროსი ძმა, ხოლო რიგ შემთხვევაში უფროსი დედაკაციც (დედა). ბ. კალოევი იქვე აღნიშნავს, რომ ზოგჯერ მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახს სათავეში უდგებოდა არა უფროსი, არამედ პირადი ღირსებებით (შრომისმოყვარეობითა და ორგანიზაციული უნარით) დაჯილდოებული უმცროსი ძმა. უფროსობის ამ პატრიარქალური პრინციპის დარღვევის მიზეზად მკვლევარს მიაჩნია ოსეთში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, საშოვარზე გასვლისა და სხვ. განვითარება, რაც მოითხოვდა კარგი ორგანიზატორის ხელს. ოჯახის უფროსს ზოგჯერ თვით მამა ნიშნავდა სიკვდილის წინ, ხოლო უმეტესწილად ოჯახის მეთაურობა დამოკიდებული იყო უფროს-უმცროსობის ჩვეულებაზე. ბ. კალოევი აქვე უარჰყოფს მ. კოვალევსკის დებულებას იმის შესახებ, რომ ოსეთში ოჯახის უფროსის არჩევა ხდებოდა და თავის მხრივ მიუთითებს, რომ ოსური საოჯახო თემის უფროსს, რომელიც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა, კი არავინ ირჩევდა, არამედ მისი ეს მოვალეობა მემკვიდრეობით გადადიოდა პაპიდან მამის, მამი-

---

[18] А. Магометов, დასახ. ნაშრომი, გვ. 134—135.

[19] Б. Калоев. Осетины, Народы Кавказа. I, стр. 329.

დან შვილის ხელში. მის ავტორიტეტზე ბევრად იყო დამოკიდებული ოჯახის კეთილდღეობა. მაგრამ მიუხედავად მისი დიდი ავტორიტეტისა, დესპოტიზმის არსებობა გამორიცხული იყო, ვინაიდან ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა ხდებოდა საოჯახო საბჭოზე ოჯახის სრულწლოვანი წევრებისა და ზოგჯერ დიასახლისის მონაწილეობით[20].

როგორც ზემოთ განხილული ლიტერატურიდან ჩანს, ოჯახის მმართველობის სტრუქტურასა და ოჯახის ხელმძღვანელის ფუნქციებს ბრავალი მკვლევარი შეეხო და ყველა მათგანი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ საპატიო საქმეში უმთავრესი ყურადღება ექცეოდა პიროვნების ასაკს, ღირსებას და გამოცდილებას. სხვადასხვა ეპოქის მკვლევართ ერთხმად აღიარეს ისიც, რომ ოსური საოჯახო თემის მმართველობა ემყარებოდა სოლიდარობას და მას არ ახასიათებდა დესპოტიზმი, მაგრამ ამ საკითხის ძიებასთან დაკავშირებით ზოგიერთი მათგანი, ნებსით თუ უნებლიედ, ბოლომდე თანმიმდევრული ვერ აღმოჩნდა და წინააღმდეგობაში ჩავარდა. ეს შეეხება საკუთრივ ზ. ვანეევს, ბ. ტოტროვს, ა. მაგომეტოვს და ბ. კალოევს.

როდესაც ზ. ვანეევი ამტკიცებს, რომ ოსური საოჯახო თემის მართვა ემყარებოდა ოჯახის უფროსისა და სრულწლოვანი წევრების სოლიდარულ კონტაქტს, მაგრამ როდესაც იქვე მიუთითებს, რომ უფროსის ძალაუფლება ზოგჯერ დესპოტურ ხასიათს ღებულობდა და რომ მას დესპოტიზმზე ხელი ააღებინა საკოლმეურნეო ყოფამ. ეს უკვე ექვის ქვეშ აყენებს ოჯახის სოლიდარული მმართველობის არსებობას და ამგვარი მსჯელობის საფუძველზე იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს დესპოტიზმი იმდენად ძლიერი ფორმით იყო მოცემული, რომ მისი მოსპობა მხოლოდ ცხოვრების არსებითი გარდაქმნის შედეგად გახდა შესაძლებელი.

ძალაუნებურად ურთიერთსაწინააღმდეგო აზრს დაინახავს მკითხველი ბ. ტოტროვის მსჯელობაშიც, როდესაც ის ამტკიცებს, რომ ოჯახის უფროსის უფლებები არ იყო დესპოტური და ამასთან ერთად წერს, თითქოს ის იყო განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე მმართველი, ხოლო თანამედროვე ოჯახის უფროსი აღარ წარმოადგენს საოჯახო ქონების ერთადერთ მფლობელსა და გამგებელს.

მსჯელობაში სიფრთხილეს არც ა. მაგომეტოვი იჩენს, როდესაც, ერთი მხრივ, ამტკიცებს, რომ ოჯახის უფროსს უფლება არ ჰქონდა თვითნებურად გამოეყენებინა საოჯახო ქონება და სრულწლოვან წევრებთან შეთანხმების გარეშე მიეღო რაიმე სერიოზული გა-

---

[20] Б. Калоев, Осетины, М., 1967, стр. 179—180.

დაწყვეტილება, ხოლო, მეორე მხრივ, ოჯახის უფროსს ახასიათებს, როგორც ოჯახის გამგებელსა და საოჯახო ქონების სრულუფლებიან პატრონ-პატრონს.

წინააღმდეგობა შეინიშნება ბ. კალოევის მსჯელობაშიც, როდესაც გვაცნობს ოჯახის სოლიდარული მმართველობის ხასიათს და ამავე დროს დამახასიათებელ მომენტად თელის ოჯახის უფროსობაში მემკვიდრეობის წესს. განა იქ, სადაც უფროსობა პაპიდან მამის და მამიდან შვილის ხელში გადადიოდა და სადაც გარდაცვლილი უფროსის შემცვლელად იმავე თაობის კაცის დაყენების შესაძლებლობა გამორიცხული იყო, შეიძლება დავინახოთ მმართველობის დემოკრატიული ფორმა, რის დასაბუთებასაც ბ. კალოევი ცდილობს? ვფიქრობთ, რომ არა, მაგრამ რატომ დაჭირდა ბ. კალოევს ამ დებულების წამოყენება? — მხოლოდ იმისათვის, რომ დაემტკიცებინა. თითქოს მ. კოვალევსკი შეცდა, როდესაც უფროსის არჩევა ოსური საოჯახო თემის მმართველობისთვის დამახასიათებელ მომენტად მიიჩნია. მ. კოვალევსკის ეს დებულება არ გაიზიარეს არც ზ. ვანეევმა და ბ. ტოტროვმა, ხოლო მ. კოვალევსკის პოზიციებზე აღმოჩნდნენ ე. მაქსიმოვი და მ. კოსვენი.

ჩვენი ღრმა რწმენით, სიმართლე უსათუოდ მ. კოვალევსკისა და მის თანამგრძნობელთა მხარეზეა. მ. კოვალევსკი როდესაც წერდა, რომ ოსური ოჯახისათვის დამახასიათებელი იყო უფროსის არჩევის წესი, ის ღია ან ფარული კენჭისყრით მოწყობილ არჩევნებსა და მისი შესაბამისი ცერემონიების მოწყობას კი არ გულისხმობდა, არამედ იმ პრინციპებს, რომელიც ნიშანდობლივი იყო სოლიდარული, ანუ დემოკრატიული ბუნების საოჯახო თემისათვის. მას მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ ოჯახის უფროსი უნდა ყოფილიყო ოჯახის საერთო ინტერესების გამომხატველი და არა დესპოტი. და რამდენადაც ოსური საოჯახო თემის მმართველი წარმოადგენდა ოჯახის წევრებთან ჭეშიდრო კონტაქტში მყოფ ხელმძღვანელს და რამდენადაც ის მმართველობის დემოკრატიული წესის დაცვით გამოხატავდა ოჯახის წევრთა ინტერესებს, ხოლო ამ წესების ღალატის შემთხვევაში ოჯახის უფროსად ყოფნის შესაძლებლობა გამორიცხული იყო, ამდენად მ. კოვალევსკის შეხედულება რეალური ვითარების გამომხატველად მიგვაჩნია. და თუ არჩევის წესი არ არსებობდა, მაშინ გაუგებარი იქნებოდა რატომ შეიძლებოდა ოჯახის უფროსად დამჯდარიყო წლოვანებით სხვაზე უმცროსი კაცი. ასეთი გადაწყვეტილება ხომ იმითი იყო დასაბუთებული, რომ ოჯახის მართვის უნარით ის ხნიერს სჯობნიდა. ამ პრინციპით საკითხის გადაწყვეტა განა არჩევანისა და მაშასადამე, პიროვნების არჩევის შესაძლებლობას გამორიცხავს? — დაბეჯითებით შეიძლება

ითქვას რომ არა და ამიტომ მტკიცება იმისა, თითქოს ოსეთში ოჯახის უფროსად არჩევის წესი არ არსებობდა და თითქოს თაობიდან თაობაზე ამ უფლების მემკვიდრეობით გადაცემის პრინციპი იყო გაბატონებული, არც ზემოხსენებულ ავტორთა მიერაა დასაბუთებული და ეს არც ჩვენ მიერ ოსეთში შეკრებილი მასალებით დასტურდება.

ოსეთში რამდენიმე ზაფხულის განმავლობაში ამ საკითხზე მუშაობის დროს არც ერთი მთხრობელისაგან არ გვსმენია იმის შესახებ, რომ ოჯახის მმართველობის სფეროში არსებულიყო მემკვიდრეობის ზემოაღნიშნული წესი. სამაგიეროდ მთხრობლები ერთხმად აღიარებდნენ იმ ჩვეულების საყოველთაოდ არსებობას, რომელიც ემყარებოდა უფროს-უმცროსობის პრინციპს და რომელიც საყოველთაოდ ცნობილია ოსეთის შესახებ გამოქვეყნებული ლიტერატურიდანაც. როგორც წესი, საოჯახო თემის ხელმძღვანელობა, მინდობილი ჰქონდა უხუცეს მამაკაცს, რომელსაც ემორჩილებოდა სხვადასხვა თაობის რამდენიმე ცოლშვილიანი მამაკაცი თუ ოჯახის სხვა დანარჩენი წევრები. ამ უდავო ჭეშმარიტების დასაბუთება და იმის მტკიცება, რომ უხუცესის გარდაცვალების შემდეგ მიზანშეწონილად ითვლებოდა მომდევნო უხუცესის უფროსობა, ზედმეტად მიგვაჩნია და საჭიროდ აღარ ვთვლით მის შესახებ საილუსტრაციო ფაქტების გამომზეურებას. ოღონდ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს პრინციპი ირღვეოდა და ოჯახის ხელმძღვანელობა ეკისრებოდა ხნით უმცროს კაცსაც. ნათქვამის დასაბუთების მიზნით აქ შეიძლება მოვიშველიოთ რამდენიმე ფაქტი. პირველ ყოვლისა გვინდა გავიხსენოთ ჯიქაევების 47-სულიანი ოჯახი (დიდი ლიახვის სათავეები), რომელსაც თავდაპირველად სათავეში ედგა პირველი თაობის უფროსი წარმომადგენელი ანდი. როდესაც ანდის უფროსი შვილი გაბილა ეაჭრობაში გაება და მან ოჯახის მართვის უნარი გამოამჟღავნა, ანდიმ და მისმა ძმა ნიკომ ოჯახის სრულწლოვან წევრებთან შეთანხმებით საოჯახო მეურნეობის წარმოება გაბილას მიანდეს და ოჯახის ფაქტიურ ხელმძღვანელად ის გამოაცხადეს.

ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი პლიევების ოჯახში, რომელსაც განაგებდა ოთხ ძმას შორის უფროსი ძმა ნიკა, მაშინ, როდესაც მისი მამა ცოცხალი იყო.

ორივე ზემოხსენებულ ოჯახში მამისა და ბიძის ნაცვლად ოჯახის ხელმძღვანელის მოვალეობა დაკისრებული ჰქონდა მეორე თაობის უფროს წევრს. ადგილი ჰქონია ისეთ შემთხვევასაც, როდესაც გაუყრელ ოჯახში პირველი თაობის წარმომადგენელთაგან ცოცხალი არავინ იყო, ასეთ ვითარებაში ჩვეულებისამებრ ოჯახს სათავეში უნდა ჩასდგომოდა ძმებსა და ბიძაშვილებს შორის უხუცესი კაცი, მაგრამ

ეს მოვალეობა დაკისრებია უმცროს ძმას. მთხრობლებმა სამაგალითოდ დაგვისახელეს ერთი ოჯახი, რომელსაც უცხოვრია გუჯარეთში (გვარი ვერ გაიხსენეს). გაუყრელად ყოფილა ოთხი ძმა თავიანთი შთამომავლებით. ოჯახს ხელმძღვანელობდა მათ შორის ყველაზე უფროსი ძმა, რომელსაც უთხოვია ამ მოვალეობისაგან განთავისუფლება. ოჯახის წევრებს თათბირი მოუწვევიათ, დაუკმაყოფილებიათ მისი თხოვნა და გადაუწყვეტიათ ხელმძღვანელად აერჩიათ ყველაზე უმცროსი მეოთხე ძმა. ის მაშინვე არ დათანხმებულა, ვინაიდან სრული რწმენა არ ჰქონია იმისა, რომ ოჯახი მას დაემორჩილებოდა. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ძმები მისი განკარგულებით უყოყმანოდ გავიდნენ სათიბლად და ის დარწმუნდა, რომ ოჯახის წევრები წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, მას ოჯახის ხელმძღვანელობაც ხელთ აუღია.

ოჯახის მმართველობაში ასაკობრივი პრინციპის უგულებელყოფის შემთხვევები დასტურდება პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრებ ოსთა ძველ საოჯახო ყოფაშიც. მაგალითად, ბოლოთაევების ერთ-ერთ ოჯახს იბას გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა მისი უფროსი შვილი ჯიბრაილი, რითაც დაცულ იქნა უფროს-უმცროსობის წესი, მაგრამ სინამდვილეში ოჯახის ფაქტიური ხელმძღვანელი და მეურნეობის მწარმოებელი იყო მისი მომდევნო ძმა ტატე. რომელიც გამოირჩეოდა თავისი უნარითა და გამჭრიახობით.

ბოლოთაევების მეორე ოჯახის აღწერილობიდანაც ნათლად ჩანს, რომ ოჯახის ხელმძღვანელად ხნით უმცროსის, მაგრამ საამისოდ მომზადებული კაცის გამოყოფა დასაშვებად ითვლებოდა ისეთ ვითარებაში, როდესაც ოჯახში იმყოფებოდა მასზე ბევრად ხანდაზმული მამაკაცი. ბოლოთაევების ოჯახში ეს ვითარება კარგად გამოისახა მამისა და შვილის ურთიერთობაში. თავდაპირველად თუ ოჯახს ხელმძღვანელობდა ხუთი ვაჟისა და ოთხი ქალის მამა თედო, თედოს დაბერება-დაუძლურების გამო მისი მოვალეობა დაკისრებია უფროს ვაჟს გიგოს.

ოჯახის ხელმძღვანელად გამოყოფის ზემოაღნიშნული წესი ასევე დამახასიათებელი იყო ჩრდილოელი ოსების საოჯახო ყოფისთვისაც. მაგალითად, სოფ. ხიდიკუსში სიტოხოევების დიდი ოჯახის მეთაური იყო ჯერ რვა ვაჟის მამა მურზაბეგი, მისი გარდაცვალების შემდეგ ეს მოვალეობა წილად ხვდა მის უფროს შვილს გაბიშას, ხოლო როდესაც გაბიშა სიბერით მოტყდა, ოჯახის უფროსობა დაეკისრა არა მის მომდევნო ძმა ასლანიკოს, არამედ ასლანიკოზე უმცროს ბისოს. როგორც სოზრიკო სიტოხოევმა (დაბად. 1902 წ.) აღნიშნა, ასე იმიტომ გადაწყდა, რომ ბისო იყო გამოცდილი მეურნე და გასულ-გამოსუ-

ლი კაცი, ურომლისოდაც განსაკუთრებით ჭირდა ცხერისთვის საზამთრო ადგილის აღება ბარად.

სოფ. ქადათში 1967 წლის 4 ივლისს ჩაწერილი მასალიდანაც (მთხრ. ხაზიმატ ჩერქოს ძე კულოვი, 120 წ.) ჩანს, რომ მათი ოჯახის ხელმძღვანელის — თემირყანის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის უფროსი გახდა არა მისი უფროსი შვილი ჩერქო, არამედ ჩერქოს მომდევნო ძმა ბაზუერი.

ოსთა საოჯახო ყოფისათვის საერთოდ დამახასიათებელი ვითარების ამსახველი ზემოთ მოტანილი რამდენიმე მაგალითის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ოჯახის ხელმძღვანელად იჯდა უხუცესი მამაკაცი, მაგრამ არაიშვიათად ხდებოდა ისედაც, როდესაც თავის მოვალეობას მოხუცი სიკვდილამდე ვერ გაუძღვებოდა, დაბერება-დაუძლურების გამო ოჯახის უფროსობაზე ხელს იღებდა და თავის ადგილს მომდევნო ძმას ან უფროს შვილს უთმობდა. ასეთი ნაბიჯის გადადგმა მოტივირებული იყო ოჯახის პრაქტიკული ინტერესების დაცვის საჭიროებით, რამდენადაც მისი კეთილდღეობა ბევრად იყო დამოკიდებული ხელმძღვანელის უნარსა და შესაძლებლობაზე. უმეტეს შემთხვევაში კი სიკვდილამდე ოჯახის სათავეში იმყოფებოდა უხუცესი მამაკაცი. შრომითა და სიდარბაისლით სახელმოხვეჭილი მოხუცის გადაყენება ოჯახის უფროსობიდან დაუშვებელი იყო. ის დავრდომილი ავადმყოფიც რომ ყოფილიყო, ოჯახი მას პროტესტს ვერ შეჰკადრებდა. როგორც ზემოთ აღვნიშნათ, დაუძლურებული მოხუცი თითონვე აწესრიგებდა ამ საკითხს და მომავალ უფროსსაც გამოჰყოფდა, მაგრამ ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც ოჯახის უფროსი თავის მოვალეობას ვერ უძღვებოდა, არაწესიერად იქცეოდა, ფუქსავატობდა და ოჯახის მომავალზე არ ფიქრობდა, ოჯახის სრულწლოვან წევრთა შორის დგებოდა მისი გადაყენების საკითხი. სწორედ ამგვარი სიტუაცია აპირობებდა ხელმძღვანელის არჩევას არა მარტო ასაკის, არამედ უნარის მიხედვითაც.

იმის შემდეგ, რაც უხუცესი კაცი ოჯახის ხელმძღვანელობას გადააბარებდა თავისზე უმცროსს, ის თვითონ რჩებოდა ოჯახის საპატიო უფროსად, ხოლო მისი შემცველი გვეელინებოდა საოჯახო მეურნეობის ორგანიზატორის როლში. როდესაც ოჯახს მეთაურობდა უხუცესი კაცი, მის მოვალეობას შეადგენდა როგორც ოჯახის პრაქტიკული ხელმძღვანელობა, ისე მტერ-მოყვარესთან ურთიერთობის მოწესრიგება, საოჯახო რიტუალის შესრულება და ა. შ. როგორც წესი, მისი მითითებით სრულდებოდა ოჯახში ყველა სახის სამუშაო, გარდა საქალებო საქმეებისა, რომელსაც უშუალოდ დიასახლისი განაგებდა. უხუცესი ხელმძღვანელის უნებართვოდ არ შეიძ-

ლებოდა მომზდარიყო დამოყვრება-დანათესავება, სადავო საქმის მოწესრიგება, დღეობების ჩატარება და სხვა, მაგრამ მდგომარეობა არსებითად იცვლებოდა იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის უხუცესი ხელმძღვანელი ოჯახის უფროსად თავის ნაცვლად სხვის დანიშვნას მოითხოვდა. ასეთი ღონისძიების შედეგად ოჯახის ყოფილ ხელმძღვანელსა და ახალ მეთაურს შორის ფუნქციები იყოფოდა. როგორც ზემოთ აღვიშნეთ, ახალ ხელმძღვანელს ეკისრებოდა ოჯახის წარმოება და შრომის ორგანიზაცია, ხოლო ყოფილი უფროსი ეწეოდა საოჯახო ტრადიციებისა და სულიერი კულტურის მოთავეობას. მისადმი, როგორც უხუცესისადმი მოკრძალება და პატივისცემა ოჯახის ყველა წევრის ვალდებულებას შეადგენდა, რაც პირველ რიგში გამოხატულებას პოულობდა საკუთრივ მასა და მისი შემცვლელის ურთიერთობაში. ოსური ჩვეულების მიხედვით, ოჯახის ახალი უფროსი ვალდებული იყო ყოველი ახალი საოჯახო გეგმა უხუცესისათვის გაეცნო და მისი რჩევა მოესმინა. ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც უხუცესი აღარ ერეოდა ოჯახის მართვაში და რჩევაზედაც თავს იკავებდა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ის დარწმუნებული იყო თავისი შემცვლელის შესაძლებლობაში, ოჯახის ახალი უფროსი ვალდებული იყო პატივი ეცა მისი ასაკისა და ავტორიტეტისათვის და ფორმალურად მაინც შეესრულებინა მოხუცისადმი პატივისცემის ზემოაღნიშნული წესი.

ამგვარად, ოჯახის უფროსად ყოფნა დამოკიდებული იყო როგორც ასაკზე, ისე პიროვნების უნარსა და ავტორიტეტზე. ასაკის უგულებელყოფა აქ ხდებოდა პიროვნების დაუმსახურებლობის შემთხვევაში. ყოველივე ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ოჯახის უფროსი არ წარმოადგენდა ერთპიროვნულსა და თვითნება დესპოტს. მისი ასეთი უფლებებისა და დესპოტური მმართველობის შესაძლებლობას გამორიცხავდა წესი, რომელიც ოჯახის სრულწლოვან წევრებს უფლებას აძლევდა დაესვათ მისი გადაყენებისა და ოჯახის ხელმძღვანელობის სხვისთვის გადაბარების საკითხი. ასაკობრივი პრინციპის დარღვევის შემთხვევაში ოჯახის უფროსის ადგილს პიროვნება რაკი ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობის შემთხვევაში იკავებდა და ამ უფროსის მოღვაწეობა მათთან კონტაქტის გარეშე წარმოუდგენელი იყო, აქ არ შეიძლება არ დავინახოთ არჩევის წესი, რასაც ასე თავგამოდებით უარჰყოფენ მ. კოვალევსკისთან მოკამათე ავტორები და რაც თავის მხრივ დამახასიათებელი იყო ისეთი ტიპის საოჯახო თემის მმართველობისათვის, რომელსაც საფუძვლად ედო სოლიდარობა.

მმართველობის ამგვარსავე სისტემასთან იყო შეფარდებული დიასახლისის გამოყოფის წესი და მისი უფლება-მოვალეობა. ოჯახის

უფროსის შემდეგ მას ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ჰქონდა დაკისრებული და ის საკმაოდ დიდი უფლებებითაც სარგებლობდა. ოსთა საოჯახო ყოფისათვის ამგვარი ვითარება დამახასიათებელია მოყოლებული ნართების გმირული ეპოსის შექმნის დროიდან ვიდრე საოჯახო თემის გადმონაშთების საბოლოოდ მოსპობამდე, ე. ი. XX საუკუნის დასაწყისამდე. ნართების საზოგადოებაში, რომელიც მატრიარქატული ყოფის ძლიერი გადმონაშთებით სამხედრო დემოკრატიის საფეხურზე იდგა და რომლისთვისაც ჯერ კიდევ დამახასიათებელი იყო წინაგვაროვნული ცხოვრების ნაკვალევი, მეურნეობის სფეროში ქალი დიდ როლს ასრულებდა. ის მონაწილეობდა მიწათმოქმედებაში, აკეთებდა სასმელ-საჭმელს, ქსოვდა და კერავდა. ამავე დროს მის განკარგულებაში იყო პროდუქტების მთელი მარაგი[21]. და სწორედ მაშინ, როდესაც ნართებში მოუსავლიანობისა და შიმშილობის წელი დადგა და როდესაც ნიხასში (სოფლის საზოგადოებრივ საკრებულოში—ვ. ი.) წამოწოლილი ლონეგამოლეული მეომრები წარსული ბარაქიანი ცხოვრების მოგონების მეტს ვეღარაფერს აკეთებდნენ, ურიზმაგმა სთხოვა სათანას გაეძღო ეს დავრდომილი ხალხი და მათში კვლავ გაეღვიძებინა მებრძოლი სული. ურიზმაგს სათანამ აჩვენა პროდუქტების დიდი მარაგი, რომელიც მათ საკუჭნაოში ინახებოდა[22].

ეპოსის ეს ადგილი იმის მაჩვენებელია, რომ ნართების საზოგადოებაში პროდუქტები დიასახლისს ებარა და მისივე განრიგით იხარჯებოდა. ამასთან ერთად დიასახლისი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. როგორც სამართლიანადაა აღნიშნული, ასეთი უფლებებით მოსილი ქალის განსახიერებას წარმოადგენდა ეპოსის მთავარი გმირი სათანა, რომლის მონაწილეობის გარეშე არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა არ ხდებოდა[23]. დიასახლისის ამ უფლებების საწყისები ოსეთში ისევე ძველი ჩანს, როგორც თვით ოსურში არსებული მისი სახელწოდება. ვ. აბაევის გამოკვლევით, ოსურში დიასახლისის ამსახველი ტერმინის — ävsinin (æfsïn | æfsïnæ) შესატყვისია შუააზიური ტერმინი afsïn, რაც ოლქის მმართველის მნიშვნელობითაა ხსენებული VIII-IX სს. არაბულ წყაროებში. თავისი წარმოშობით კი ის სკვითურია (მასაგეტური), საიდანაც ეს სოციალური ტერმინი სესხების გზით უნდა გავრცელებუ-

---

[21] Б. Скитский, Очерки по истории осетинского народа, стр. 48—49.

[22] Б. Скитский, Хрестоматия по истории Осетии, I, стр. 45—46.

[23] В. И. Абаев, Нартовский эпос, ИСОНИИ, т. X, вып. I, Дзауджикау, 1945, стр. 36; Б. Скитский, Очерки по истории осетинского народа, стр. 49.

ლიყო შუა აზიაში. ვ. აბაევმა ისიც აღნიშნა, რომ შესაძლებელია ტერმინი æfsin თავდაპირველად აღმნიშვნელი ყოფილიყო მასაგეტი მმართველი ქალისა მასაგეტების მატრიარქატულ საზოგადოებაში, ხოლო შემდეგ შუა აზიაში ის გავრცელებულიყო მმართველ მამაკაცთა სახელწოდებად. მკვლევრის ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებასაც, რომ ზემოაღნიშნული ოსური ტერმინი ზოგჯერ იხმარებოდა ნართების სახელგანთქმული დიასახლისის — სათანას ან ზოგიერთი სხვა გმირი ქალის საკუთარი სახელის ნაცვლადაც[24].

ნართების ეპოსში ასახულ ვითარებას ეხმაურება XIX—XX საუკუნეებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები დიასახლისის ფუნქციისა და სახელწოდების შესახებ, რაც იმ გარემოების მაჩვენებელია, რომ ნართების საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყოფის ელემენტები საუკუნეებს უძლებენ და მრავალი ცვალებადობის მიუხედავად XIX საუკუნეში კიდევ ინარჩუნებენ არსებობას. ასეთი რიგის ელემენტები გვაქვს მხედველობაში, როდესაც ვლაპარაკობთ ამა თუ იმ მოვლენის გადმონაშთურ ხასიათზე. ერთ-ერთ ასეთ ელემენტად აქ შეიძლება დავასახელოთ თუნდაც დიასახლისის როგორც ოჯახის დოვლათის მცველისა და მხარჯველის უფლება, რომლითაც ისევე იყო აღჭურვილი რომელიმე ოსი დიასახლისი XIX საუკუნეში, როგორც სათანა ნართების საზოგადოებაში. XIX საუკუნის ოს დიასახლისს ისეთივე უფლებით ჰქონდა ჩაბარებული ოსური კაბიც (სენე), როგორითაც სათანას ის საკუჭნაო, საიდანაც მან ურიზმაგის თხოვნით ᲨᲘᲔᲠ მეომრებზე ხორაგი გაᲒᲪᲐ.

დიასახლისის ამგვარი უფლებების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს როგორც ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ასახული ცნობები, ისე ჩვენ მიერ ამ საკითხზე შეკრებილი მასალები. ვინც კი დიასახლისის ფუნქციებს შეეხო, ყველამ აღნიშნა, რომ ეს მოვალეობა ეკისრებოდა ოჯახში ხნით უფროს ქალს, უმეტეს შემთხვევაში ოჯახის უფროსის მეუღლეს. ითქვა იმის შესახებაც, რომ კაბიცი მას ჰქონდა ჩაბარებული, რომლის გასაღებები, ყოველთვის ქამარზე ჩამოკიდებული, წარმოადგენდა დიასახლისის ძალაუფლების სიმბოლოს. სხვადასხვა ეპოქის ავტორებს არც ის გამორჩენიათ მხედველობიდან, რომ დიასახლისის უმთავრესი მოვალეობა იყო ქალთა შრომა-საქმიანობის ხელმძღვანელობა, რის გამო ის აღარ მონაწილეობდა მინდვრის სამუშაოებში და საოჯახო საქმიანობაში, ხოლო ყველა სერიოზულ სა-

---

[24] В. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, стр. 110—111; ᲛᲘᲡᲘᲔᲕᲘ, Среднеазиатский политический термин афсин, ВДИ, 1959, № 2, стр. 112—116.

კითხზე თათბირის დროს კაცებთან ჯდომის უფლებით სარგებლობდა[25].

ჩვენ ხელთ არსებული მასალიდანაც, რომლის მეშვეობითაც ძირითადად გავეცნობით ლიტერატურაში ნაკლებად ცნობილ მომენტებს, დასტურდება, რომ ოსეთში მამასახლისობის მსგავსად დიასახლისობაც პირველ ყოვლისა ხნით უფროსობით იყო გაპირობებული. აღწერილ ოჯახებში დიასახლისებად ვხედავთ უმთავრესად ოჯახის უხუცეს მეთაურთა მეუღლეებს. ამავე მასალების მიხედვით მოწმდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც უხუცესი კაცის გარდაცვალების ან მისი გადადგომისა და ოჯახის უფროსად მასზე უმცროსის არჩევის შემდეგაც დიასახლისად იმყოფებოდა კვლავ უხუცესის ცოლი. მაგალითად, ჯიქაევების ოჯახის დიასახლისი იყო ჯერ ოჯახის თავდაპირველი უფროსისა და უხუცესის — ანდის ცოლი თითიკო. თითიკოს გარდაცვალების შედეგ დიასახლისობა გადასულა ნიკოს (ანდის ძმის) ცოლის — როდანას ხელში, ხოლო როდანას გარდაცვალების შემდეგ ეს მოვალეობა დაკისრებია გაბილას (ანდის უფროსი შვილის) მეუღლეს — ვუალლას. ასე შეიცვალა ოჯახში რამდენიმე დიასახლისი მაშინ, როდესაც ანდი ოჯახის მეთაურობიდან გადამდგარი იყო, ის მხოლოდ საპატიო უფროსის მდგომარეობაში იმყოფებოდა თავის ძმა ნიკოსთან ერთად, ხოლო ოჯახს ფაქტიურად გაბი-

---

[25] С. Кокпев, Записки о быте осетин, СМЭ, I, стр. 80; М. Ковалевский, Современный обычай и древний закон, I, стр. 101—102; А. Цаллагов, Селение Гизель, стр. 2; Г. Чурсин, Осетины, стр. 37, 42; М. Косвен, Этнография и история Кавказа стр. 8—9; Б. Тотров, დასახ. ნაშრომი, გვ. 126—127, 176, 339; А. Магометов, დასახ. ნაშრომი, გვ. 135; Б. Калоев, Осетины, М., 1967, стр. 180—181; З. Ванеев, Из истории родового быта в Юго-Осетии, стр. 11, 61, 62,

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმასთან ერთად, რომ საქალაგო საქმეებს ხნიერი ქალი ხელმძღვანელობდა, ზ. ვანეევი ამ ნაშრომში აღნიშნავს იმასაც, რომ სამხრეთ ოსეთში ქალი საზოგადოებრივ ურთიერთობაში აქტიურად მონაწილეობდა და კაცებისაგან ისე იზოლირებული არ ყოფილა, როგორც ჩრდილო ოსეთში. ამაში ავტორი ხედავს ნართების საზოგადოებრივი ყოფის შორეულ გამოძახილს (გვ. 11).

ოსთა ტრადიციებში ნართების ყოფის გადმონაშთების შემონახულობა გამორიცხული არაა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსთა წეს-ჩვეულებებში უკეთესად შემორჩენილიყო ნართთა ყოფის ელემენტები,ვიდრე ჩრდილო ოსეთში, სადაც, როგორც ოსთა დედასამშობლოში, ტრადიციის უწყვეტი განვითარების მეტი შესაძლებლობა არსებობდა და ნართების ყოფა-ცხოვრების მემკვიდრეობაც იქ უფრო ადვილად დასანახი უნდა იყოს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სამხრეთელი ოსების საზოგადოებაში ქალის მეტი თავისუფლება ჩრდილოელებთან შედარებით აიხსნება ქართული წეს-ჩვეულებების ზეგავლენით და არა ნართთა უძველესი ტრადიციების შემონახულობით.

ლა ანდის ძე მართავდა. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ოჯახის ჩელმძღვანელად გაბილას ყოფნის დროს დიასახლისობა წილად ხვდათ გაბილას დედასაც, ბიძის ცოლსაც და მეუღლესაც. ეს კი იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ ჯიქაევების ოჯახში ერთი მხრივ, დაცული იყო ასაკობრივი პრინციპი, ხოლო მეორე მხრივ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა პიროვნების უნარი და შესაძლებლობა. თუ ასაკის მიხედვით ფუნქციების განაწილება მოხდა დიასახლისობის სფეროში და პირველ მათგანს სცვლიდა მომდევნო ასაკის წარმომადგენელი, სამაგიეროდ, როგორც ამის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა, ამას არ ჰქონია ადგილი მამაკაცთა მოღვაწეობის სფეროში. იგივე შეიძლება ითქვას პლიევების ოჯახის მიმართაც. მაშინ, როდესაც ოჯახს განაგებდა ოთხ ძმას შორის ყველაზე უფროსი ნიკა, ხოლო მისი მამა უხუცესი კაცის საპატიო მდგომარეობაში იმყოფებოდა, დიასახლისობას განაგრძობდა ნიკას დედა. ლიახველმა ოსებმა ანალოგიური წესი შემოინახეს ჩვენ დრომდისაც. ფარნიევების ოჯახის შესწავლამ გვიჩვენა, რომ სამი ძმიდან პირველ იმპერიალისტურ ომში დალუპულან სულ უფროსი ციცკა და უმცროსი ამბროზი. საბოლოოდ ოჯახში ერთად ცხოვრობდნენ დიმიტრი და მისი ძმის ციცკას შვილი ნიკალა. ამ ოჯახს მეთაურობდა დიმიტრი, ხოლო დიასახლისად იდგა არა მისი მეუღლე, არამედ უფროსი რძალი ფეფე (ციცკას ქვრივი).

მრავალთაგან რამდენიმე მაგალითის მიხედვით ასეთივე ვითარება მოწმდება ჩრდილო ოსეთშიაც. ქურთათის ხეობის სოფ. გულში ქაბოლოევების დიდი ოჯახის დიასახლისი იყო შაშინკა, მაშინ, როდესაც ოჯახს ჯერ ხელმძღვანელობდა მისი მეუღლე ბეჩირი, ბეჩირის გარდაცვალების შემდეგ მისი უფროსი შვილი ხაზი, ხოლო ხაზის გარდაცვალების შემდეგ ბეჩირის მეორე შვილი სადულა. სოფ. ხიდიკუსში მცხოვრები გოჯიევების ოჯახშიც დიასახლისად მყოფმა შაუჩიეგმა ეს მოვალეობა ოჯახის ორ უფროსთან შეასრულა: ჯერ ოჯახს ხელმძღვანელობდა მისი ქმარი დადა, ხოლო შემდეგ დადას შვილი გაკო. გაკოს ცოლი გოშკარ დიასახლისობას ეზიარა მხოლოდ გაკოს დედის გარდაცვალების შემდეგ. ასევე ოჯახის უფროსის გამოცვლის პიროპებში მოუხდა დიასახლისობა სიტოხოევების დიდ ოჯახში გაბიშას ცოლს, როდესაც გაბიშამ ოჯახის მეთაურობა თავის უმცროს ძმას ბისოს დაუთმო.

როგორც ამ მაგალითებიდან დავინახეთ, დიასახლისად ყოფნა პირველ ყოელისა დამოკიდებული იყო ქალის ასაკზე. ამიტომ ხშირად ხდებოდა ისე, რომ ოჯახის უფროსი და დიასახლისი ცოლ-ქმარნი არ იყვნენ, მაგრამ ასეთი ვითარება მაინც შედარებით ნაკლებად ყოფილა დამახასიათებელი, ვინაიდან ასაკის უგულებელყოფას ადგილი

ჰქონდა გამონაკლის შემთხვევაში და თუ ხელისშემშლელი მიზეზი რომელიმე მათგანის უუნარობა არ იქნებოდა, ოჯახის სათავეში ყოფნა უმთავრესად ცოლ-ქმარს უწევდათ. ეს იყო ოსეთში საყოველთაოდ გავრცელებული წესი, რომლის ირგვლივ ფაქტების დამოწმება ზედმეტად მიგვაჩნია, ისევე როგორც ფაქტებით მტკიცების გარეშე შეიძლება ისიც ითქვას, რომ ოჯახის სათავეში მყოფი ერთი თაობის წარმომადგენელი ცოლ-ქმრის შეცვლა მეორე თაობის წარმომადგენელი წყვილით ხდებოდა არა მარტო პირველთა გარდაცვალების, არამედ მათი დაბერება-დაუძლურების შემთხვევაშიც.

ოსეთში დადასტურდა ისეთი ვითარებაც, როდესაც ერთ ოჯახში ორი დიასახლისი ტრიალებდა, რაც ნაკარნახევი ყოფილა სპეციფიკური სამეურნეო პირობებით. ორი დიასახლისი ემსახურებოდა ისეთ გაუყრელ ოჯახს, რომელსაც ორ სხვადასხვა ადგილას უხდებოდა ცხოვრება და შრომა. ასე ჰქონია დაყენებული საქმე, მაგალითად, იბა ბოლოთაევის ოჯახს, რომლის ეკონომიურ ბაზას ერთდროულად წარმოადგენდა როგორც მთა (სოფ. შუაცხვირი), ისე ბარი (სოფ. ფრინვევი). მაშინ როდესაც იბას გარდაცვალების შემდეგ ოჯახის უფროსი გახდა იბას უფროსი შვილი ჯიბრაილი, მაგრამ ფაქტიურად ოჯახს სათავეში ჩაუდგა უფრო ენერგიული ტატე, დიასახლისი ყოფილა ჯიბრაილის ჯერ პირველი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მეორე ცოლი. მასთან ერთად მეორე დიასახლისად გაუპიროვნებიათ ტატეს ცოლი. ეს დიასახლისები თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ და მოვალეობის შესრულების მხრივაც ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ასეთ თანასწორუფლებიანობას აპირობებდა მათ შორის არსებული მორიგეობის წესი. როდესაც ერთი მათგანი მთაში სამი წლის ვადით დიასახლისობდა, მეორე ამ ხნის განმავლობაში ამავე მოვალეობას ასრულებდა ბარში. მათ შორის ადგილების გაცვლა ხდებოდა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.

განხილული მასალის მიხედვით აშკარა უნდა იყოს, რომ ასაკს და უნარს ისევე ექცეოდა ყურადღება დიასახლისობის სფეროში, როგორც ეს დავინახეთ ოჯახის უფროსის ფუნქციების შესწავლისას. უგერგილო დიასახლისისათვის ოჯახის მინდობა არც შეიძლებოდა, ვინაიდან ძირითადად მის გამჭრიახობაზე იყო დამოკიდებული ქალთა შრომის სწორი ორგანიზაცია და პროდუქტების რაციონალური გამოყენება წლიური ციკლისა და ოჯახის ეკონომიური პირობების შესაბამისად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის ხელთ იყო საკუჭნაოს გასაღები, რომელსაც ის სხვაგან წასვლის შემთხვევაში უტოვებდა და პროდუქტების გახარჯვის განრიგს აძლევდა ყველაზე გამოცდილ რძალს — მომავალ დიასახლისს.

მიუხედავად იმისა, რომ შრომის ორგანიზაციის სფეროში დიასახლისის უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენდა ქალების დასაქმება, გულხელდაკრეფილი ქალბატონი თვითონაც არ ყოფილა. უმთავრეს შემთხვევაში მის კისერზე გადადიოდა პურის ცხობა და საუმელების კეთება. ზოგჯერ ყველ-ერბოს დამზადებაც მას უწევდა, ვინაიდან ეს გამოცდილი ქალის ხელს საჭიროებდა. ამ საქმეებში დიასახლისს ეხმარებოდნენ უფროსი თაობის რძლები. ისეთ ოჯახში კი, სადაც რამდენიმე დახელოვნებული რძალი ტრიალებდა, დიასახლისი მხოლოდ პურს აცხობდა, რაც მრავალსულიანი საოჯახო თემის ფარგლებში დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. სიბერით დაუძლურების ჟამს კი დიასახლისი ამ მოვალეობისაგანაც თავისუფლდებოდა და ის მხოლოდ ორგანიზატორის როლში გვევლინებოდა.

დიასახლისის მიერ რძლებს შორის ფუნქციების განაწილების განმსაზღვრელ ფაქტორსაც ასაკი წარმოადგენდა. თუ უფროსი თაობის რძლები დიასახლისს პურის ცხობასა და კერძის მომზადებაში ეხმარებოდნენ, ხოლო პერსონალურად მათ მოვალეობას შეადგენდა უმთავრესად წველა-დღვება და ტყავ-მატყლის დამუშავება (ოჯახის წევრთათვის სამოსელისა და ლოგინის დამზადება), საშუალო თაობის რძლები საქონლის მოვლა-პატრონობასთან ერთად სამუშაოდ გადიოდნენ მინდვრადაც. ისინი მკიდნენ ყანას, ფოცხავდნენ თივას, კაცებს ეხმარებოდნენ სახნავ ნაკვეთებზე ნაკელის გატანაში, თივის ზვინების დადგმაში, თივისა და ძნის შემოტანა-დალაგებში, ლეწვასა და ჭირხახულის დაბინავებაში. ყოველივე ამასთან ერთად მათ კისერზე იყო სასმელების გამოხდა, მგზავრისა და მწყემსის მომზადება-გასტუმრება, ქმარ-შვილის მოვლა, ხელსაქმე და სხვა წვრილმანი საქმიანობა. რაც შეეხება უმცროსი თაობის რძლებს, მათ მოვალეობას შეადგენდა როგორც მინდერად მუშაობა, ისე სახლში საუმცროსო საქმიანობის გაძღოლა. ასეთ საქმიანობად კი ითვლებოდა სისუფთავის დაცვა (რეცხვა, სახლის, ბოსლის და ეზოს დაგვა) და უფროსებისა და სტუმრების მომსახურება. უმცროსი რძლების პასუხისმგებლობა განსაკუთრებით იზრდებოდა სტუმრიანობის დროს, ვინაიდან ოსეთში, ისევე როგორც კავკასიაში საერთოდ, სტუმართმოყვარეობა ყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენდა[26]. ამის მატერიალურ საბუთად

---

[26] ეახუშტი, აღწერა.... გვ. 111; J. Klaproth. დასახ. ნაშრომი, გვ. 274—284; K. Koch, დასახ. ნაშრომი, გვ. 256; В. Пассек, Осетины. Очерки России, кн. I, СПб., 1838, стр. 166; Н. Берзенов, Из записок об Осетии, газ. «Кавказ», 1852, № 67; Ф. Леонтович, II, стр. 29; Н. Дубровин, т. I, кн. I, стр. 362—366; Н. Канукова, В осетинском ауле, ССКГ, VIII, 1875, стр. 2—3; Зиновьев, Горцы-переселенцы, ССКГ, IX, 1876; Е. Мар-

გვესახება სტუმრის მისაღებად განკუთვნილი ოთახი საცხოვრებლის კომპლექსში ან ეზოში ცალკე მდგარი ნაგებობის სახით, რომელსაც ოსურად ეწოდება у а з ӑ г д о н — სასტუმრო (у а з ӑ г — სტუმარი), ხოლო ლიტერატურაში ის ცნობილია საყონაღოს სახელწოდებით[27].

საუმცროსო საქმიანობათა სფეროდან ცალკე იყო გამოყოფილი პატარძლის ვალდებულება. დაახლოებით ორ თვემდე მას ევალებოდა მხოლოდ სახლ-კარის დაგვა და ლოგინების გაშლა-ალაგება, ხოლო როდესაც მას წყლის მოსატანად წყაროზე წაიყვანდნენ და სათანადო რიტუალს შეასრულებდნენ, იგი სხვა ახალ რძლებთან ერთად სრული დატვირთვით ებმებოდა საუმცროსო საქმიანობაში. ამასთან ერთად, მას როგორც ყველაზე უმცროს რძალს, საუმცროსო სამუშაოებიდან სხვებისაგან განსხვავებით პერსონალურად ევალებოდა ვახშმობის დროს ფეხზე დგომა და ხელში კვარით მამაკაცთა სუფრის გაშუქება. ისევე როგორც მისსავე მოვალეობას შეადგენდა უფროსი კაცებისა და სტუმრებისათვის ხელებზე წყლის დასხმა და ფეხების დაბანა. პატარძლის ეს პერსონალური მოვალეობა ოჯახში გრძელდებოდა ახალი პატარძლის მოყვანამდე, ე. ი. მანამდე, სანამ ის რძლებს შორის ყველაზე უმცროს რძლად ითვლებოდა.

როგორც ვხედავთ, ქალთა შორის ფუნქციები განაწილებული იყო ასაკის მიხედვით. ეს პრინციპი მოქმედებდა მამაკაცთა შრომის სფეროშიც. ამ შემთხვევაშიც სხვებისათვის მაგალითი უნდა ეჩვენებინა ოჯახის უფროსს, რომელიც ფიზიკურ მუშაობაზე ხელს იღებდა მხოლოდ სიბერით ან ავადმყოფობით დაუძლურების შემდეგ. არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას თუ რა საქმიანობაში იყო გაწაფული ოჯახის უფროსი. ერთი ოჯახის უფროსი შეიძლებოდა ყოფილიყო კარგი მიწათმოქმედი, მეორისა სახელგანთქმული მწყემსი, მესამისა ხელოსანი, მეოთხისა ვაჭარი და ა. შ. ოჯახისთვის მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა მისი უფროსის ორგანიზატორულ უნარს, რამდენადაც მასზე

к о в, Очерки Кавказа, стр. 197—198; С. К о к и е в, Записки о быте осетин, стр. 79; Дж. Ш а н а е в, Сказание «бог», ССКГ, III, 1870, стр. 9; В. М и л л е р, В горах Осетии, РМ, IX, 1881, стр. 60, 61; Н. М а м с у р о в, Гостеприимство у осетин, газ. «Новое обозрение», 1889, № 2049; К у р т а т и н е ц, Гость (из осетинских нравов), «Кавказская жизнь», кн. I, 1896; Ф. К р а с и л ь н и к о в, Кавказ и его обитатели, стр. 32—33; Е. П ч е л и н а, Обряд гостеприимства в Осетии, СЭ, 1932, № 5—6; Г. Ч у р с и н, Осетины, стр. 34-36; Б. К а л о е в, Осетины, 1967, стр. 168—171.

[27] С. К о к и е в, Записки о быте осетин, стр. 79. М. К о с в е н, Этнография и история Кавказа, стр. 126.

იყო დამოკიდებული მშრომელთა შესაძლებლობის რაციონალური გამოყენება თითოეული მათგანისათვის შესაფერისი სამუშაოს მიჩენის გზით. ამის შესაბამისად ოჯახის წევრთაგან ერთი კაცი ძირითადად გუთნისდედად და საუკეთესო მთიბელად ითვლებოდა, მეორე საქონლის მოვლა-პატრონობისადმი იჩენდა მიდრეკილებას, მესამე მეცხვარეობით სულდგმულობდა და ა. შ., მაგრამ თუ ჩვენ მიერ ადგილზე ჩაწერილ მასალებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მამაკაცთა საქმიანობაში ასეთი მკვეთრი დიფერენციაცია ყოველთვის არ იყო დამახასიათებელი. მეურნეობის პროფესიონალური ცოდნა ძირითადად შეიმჩნეოდა ისეთ ოჯახებში, რომლებიც ინტენსიურ მეცხვარეობაში იყვნენ ჩაბმულნი. ასეთი ოჯახებიდან რამდენიმე კაცი ცხვარში დადიოდა და ძალაუნებურად გამოცდილი მწყემსი დგებოდა, რომელიც ნაკლებად მონაწილეობდა მინდვრის სამუშაოებში. ამის გამო ხვნა-თესვასა და თიბვა-მკაში მას ჯობნიდა შინამეურნეობაში ჩაბმული კაცი, ხოლო ასეთი ვითარება მათ შორის ფუნქციების განაწილებასაც აპირობებდა. ისეთ ოჯახში კი, რომელიც მეურნეობის ყველა დარგს თანაბარი მასშტაბით ავითარებდა, იქ მუშახელიც ერთნაირად მონაწილეობდა ყველა არსებულ საქმიანობაში. შრომისუნარიანი მამაკაცები ასეთ შემთხვევაში ერთდროულად ჯერ თუ ხვნა-თესვას მორჩებოდნენ, შემდეგ თიბვას შეუდგებოდნენ, ასევე ერთობლივად მკა-ლეწვაში ებმებოდნენ და ა. შ.

ამრიგად, ერთ შემთხვევაში ოჯახის წევრები გაპიროვნებული იყვნენ სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობათა მიხედვით და შწყემსი იშვიათად ხნავდა ან თიბავდა, ისევე როგორც გუთნისდედა და მთიბელი იშვიათად კიდებდა ხელს მეცხვარის კომბალს. მეორე შემთხვევაში კი ოჯახის წევრთა პერსონალური საქმიანობა ასე მკვეთრად გამიჯნული არ იყო და სეზონურ სამუშაოებში ყველა ერთდროულად მონაწილეობდა, ისევე როგორც ყველას მოვალეობას შეადგენდა საქონლის მოვლა-პატრონობა თუ სხვა სახის საქმიანობა. მაგრამ ოჯახში შრომის განაწილების რომელი სახეობაც არ უნდა ყოფილიყო გაბატონებული, თითოეული კაცის მოვალეობა მაინც ასაკზე იყო დამოკიდებული. თუ მოხუცებულ კაცს არ გაიყვანდნენ სათიბლად და და მწყემსად, ასევე მიუღებელი იყო გამოუცდელი კაცისათვის მიენდოთ გუთნისდედობა, თივის ზვინების აგება ან სარქლობა. მიწათმოქმედების მცოდნე კაცი რომ გუთანს კიდებდა ხელს, ხარებს წინ უძღვებოდა შრომაში ახლად ჩაბმული ახალგაზრდა, ისევე როგორც მომთაბარე მეცხვარეობაში ჩაბმული იყვნენ გამოცდილი მწყემსები, ხოლო ბოჩოლებსა და კოკლებს მწყემსავდნენ ბავშვები. ერთი სიტყვით, ოჯახის წევრთა შორის ფუნქციები განაწილებული იყო სქესის,

ასაკისა და მეურნეობის ცოდნის მიხედვით, რაც წარმოადგენდა დიდი ოჯახის არსებობის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან წინაპირობას. სამწუხაროდ, ეს მომენტი უმთავრეს შემთხვევაში გათვალისწინებული არ ჰქონიათ ოსეთში მყოფ დამკვირვებლებს, რომლებიც ოსი ქალის მძიმე შრომასა და კაცის უქნარობაზე ბევრს წერდნენ. არც ჩვენ შეგვიძლია იმის უარყოფა, რომ ქალები ოსეთში მეტისმეტად დიდ ჯაფაში იყვნენ, მაგრამ როგორც სამართლიანად მიუთითა გ. ჩურსინმა, ქალის შრომითი პირობების დახასიათებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის წესი, რომლის მიხედვით მკვეთრად იყო გამიჯნული სამამაკაცო და სადედაკაცო ფუნქციები[28]. ასეთ ვითარებაში კაცი ქალის და ქალი კაცის პერსონალურ მოვალეობათა სფეროში ჩარევის შესაძლებლობას მოკლებული იყო. ამიტომ თუ რომელიმე მოგზაურს თვალში ეცა ის გარემოება, რომ კაცს უკან მიჰყვებოდა წისქვილში მიმავალი ქალი ზურგზე აკიდებული ტომრით, ან თუ რომელიმე დამკვირვებელი გააოცა იმ გარემოებამ, რომ ოჯახში ქალების ფუსფუსის დროს კაცები ნიხასში საუბრით იქცევდნენ თავს, ეს კაცების სიზარმაცით კი არ აიხსნება, არამედ სქესის მიხედვით შრომის დანაწილების ზემოთ აღწერილი ჩვეულებით. ოსი კაცის სიზარმაცის შემთხვევაში ყოველად წარმოუდგენელი იქნებოდა იმ ინტენსიური მეურნეობის გაძღოლა, რომელიც მთაში ესოდენ დიდ გარჯას მოითხოვდა. ამ მხრივ კაცები განსაკუთრებით დაძაბულ შრომას ეწეოდნენ ზაფხულის სეზონში, ხოლო ჰირნახულით მომარაგების დღიდან მათ ხანგრძლივი შესვენების შესაძლებლობაც ეძლეოდათ. ამ დროს ოსეთში მყოფ დამკვირვებელს, რომელიც ხედავდა, რომ ქალები დღე-ღამეს ასწორებდნენ, ხოლო კაცები ნიხასში ისხდნენ, მართლაც შეეძლო შრომაში წამყვანი როლი ქალებისათვის მიეკუთვნებინა, მაგრამ კაცების სიზარმაცე აქ მაინც არაფერ შუაშია, ვინაიდან მათი ფუნქციები განსაზღვრული იყო მამაპაპური ჩვეულებით, რომელიც მამაკაცს უფლებას არ აძლევდა გადაელახა სამამაკაცო და სადედაკაცო საქმიანობათა გამმიჯნავი ზღუდე.

სქესსა და ასაკს მთავარი როლი ეკუთვნოდა არა მარტო ოჯახის მართვისა და შრომა-საქმიანობის, არამედ ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულების სფეროშიც. პირველ რიგში ეს გამოხატულებას პოულობდა კერასთან ჯდომის წესში. კერის ერთ მხარეზე მდგარ გრძელ სკამზე სხდებოდნენ მამაკაცები, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეზე განლაგებულ დაბალ სამფეხა სკამებზე, ბალიშებსა და ძირს გაფენილ ყიისინაზე ჯდებოდნენ ქალები და ბავშვები. ავტორთა უმრავლესობისა და

---

[28] Г. Чурсин, Осетины, стр. 39.

ბთხრობლების ცნობების თანახმად, ხაძარის ფართობი კერიდან მარჯვნივ იწოდებოდა სამამაკაცოდ, ხოლო ამ ფართობის ნახევარი კერიდან მარცხნივ წარმოადგენდა სადედაკაცო მხარეს. ზოგიერთი ავტორი კი შებრუნებულ სურათს გვიხატავს, რაც გამოწვეული ჩანს ორი საორიენტაციო წერტილის არსებობით. როდესაც გ. ჩურსინი წერს, რომ სამამაკაცოდ მიჩნეული იყო კერის მარჯვენა მხარე და იქვე განმარტავს, რომ ეს მხარე მარჯვენად ითვლებოდა ხაძარის უკანა კედელთან მდგომი კაცისთვის[29], ეს საკმაოდ გასაგებია. ასევე ნათელ სურათს გვიხატავს ე. პჩელინა, რომლის განმარტებით, შესასვლელი კარებიდან ხაძარის მარცხენა მხარე საპატიოდ ითვლებოდა და სამამაკაცოდ იყო განკუთვნილი, ხოლო ხაძარის მარჯვენა ნახევარი სადედაკაცო მხარეს წარმოადგენდა[30]. როდესაც ამგვარ განმარტებათა გარეშეა აღნიშნული, რომ საკაცო იყო კერის მარცხენა მხარე[31], ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო მარცხენა მხარე არა უკანა კედელთან მდგომი კაცისთვის, არამედ ხაძარის კარებში შესულისთვის. სამამაკაცო და სადედაკაცო მხარეთა განსაზღვრის ამ ორი საშუალებიდან სწორი ჩანს ორიენტაციის პირველი ხერხი, რამდენადაც კერის თავში იჯდა უხუცესი კაცი, რომელიც, ხაძარის უკანა კედლისაკენ შურგშექცეული, პირდაპირ გაჰყურებდა კარებს — აღმოსავლეთ მხარეს და ამდენად მის მარჯვნივ ხვდებოდა სამამაკაცო ადგილიც. ამის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სამამაკაცო იყო კერის მარჯვენა მხარე, ხოლო მისი მოპირდაპირე მარცხენა მხარე წარმოადგენდა სადედაკაცო ნაწილს. მამაკაცებსა და დედაკაცებს შორის ადგილების შეცვლა დაუშვებელი იყო ისევე, როგორც მიუღებელი იყო უხუცესისათვის განკუთვნილ ზურგიან საკარძელზე სხვისი დაჯდომა. ამ მხრივ მდგომარეობა არ იცვლებოდა არც ოჯახის უფროსობიდან მისი გადადგომის შემდეგ. ოჯახის ახალ ხელმძღვანელს საუფროსო საკარძელზე ჯდომის უფლება ეძლეოდა ყოფილი უფროსის გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წლოვანებით მასზე უფროსი ოჯახში სხვა არავინ იქნებოდა.

უხუცესისადმი ასეთი დამოკიდებულება ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც ოჯახს მეთაურობდა მასზე უმცროსი კაცი, აიხსნება იმ გარემოებით, რომ იგი წარმოადგენდა საოჯახო კულტის მსახურს. ამი-

---

[29] Г. Чурсин, Осетины. стр. 18.

[30] Е. Пчелина, Дом и усадьба нагорной полосы Юго-Осетии, стр. 25.

[31] К. Хетагуров, Быт горных осетин, стр. 10—11; М. Косвен, Этнография и история Кавказа, стр. 83; З. Ванеев, О некоторых процессах изменений в семье и семейном быту Юго-Осетинской колхозной деревни. стр. 212.

ტომ ჰქონდა მას მიჩენილი ყველაზე საპატიო ადგილიც — კერის სა-თავე, რამდენადაც კერა (კ ო ნ ა)[32] თავისი საკიდელი ჯაჭვით (რ ჯ ხ ი ს) ითვლებოდა ოჯახისა და სახლის მფარველ ძალთა განსახიერებად[33]. ამ „წმინდა" ობიექტისადმი დამოკიდებულება უშუალოდ უკავშირდება

---

[32] ვ. ა ბ ა ე ვ ი, ტერმინ k'ona-ს უდარებს სპარსულ-ქურთულ დიალექტში ხმარებულ kuane, kuonэk-ს და იქვე დასძენს: «Не связаны ли эти слова с тюрк. qonaq, «дом», «ночлег», и пр.? Или с иран. Kana [согд. канак (к, н, к)] «жилище», «дом»? (В. А б а е в, Историко-этимологический словарь..., стр. 636).

[33] Д. Ш а н а е в, Свадьба у северных осетин, ССКГ, IV, 1870, стр. 24—25; Н. Д у б р о в и н, т. I, кн. I, стр. 361; В. П ф а ф, Этнологические исследования об осетинах, ССК, II, 1872, стр. 138; И. К а н у к о в, В осетинском ауле, ССКГ, VIII, 1875, стр. 24; В. М и л л е р, В горах Осетии, РМ, 1881, кн. IX, стр. 63, 292—293; ᲐᲘᲡᲘᲕᲔ, Осетинские этюды, II, Москва, 1882, стр. 253—255, 292—294; С. К о к и е в, Записки о быте осетин, СМЭ, I, стр. 80—81, 85; М. К о в а л е в с к и й, Современный обычай и древний закон, I, стр. 77—79; ᲐᲘᲡᲘᲕᲔ, Совр. обычай...,II, стр. 32—34, 142—143; К. Х е т а г у р о в, Быт горных осетин, стр. II; Е. М а р к о в, Очерки Кавказа, стр. 187; А. Ц а л л а г о в, Селение Гизель, СМОМПК, вып. XVI, отд. I,, стр. 2—3; К. Г а н. По долинам Чорока, Уруха и Ардона, СМСМПК, XXV, стр. 29—30; Ф. К р а с и л ь н и к о в, Кавказ и его обитатели, стр. 29; Г. Ч у р с и н, Очерки по этнологии Кавказа, стр. 113, 129, 134—135; ᲐᲘᲡᲘᲕᲔ, Осетины, стр. 17, 67, 68, 87—90; Н. Т а к о е в а, К вопросу о браке и свадебных обрядах у северных осетин в XIX—начале XXв. КСИЭ, XXXII, Москва, 1959, стр. 28—29; Е. П ч е л и н а, Дом и усадьба нагорной полосы Юго-Осетии, УЗИЭНКНВ, II, стр. 31—34; Л. Ч и б и р о в, Из истории [illegible] осетин, ИЮОНИИ АН ГССР, XIII, 1964; Б. Т о т р о в, დასახ. ნაშრ., გვ. 112; А. М а г о м е т о в, დასახ. ნაშრ., გვ. 102; Б. К а л о е в, Осетины, Народы Кавказа, I, стр. 317; ᲐᲘᲡᲘᲕᲔ, Осетины, М., 1967, стр. 133.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ნახებისადმი მიძღვნილი ნაშრომის მეოთხე თავში აღნიშნული გვაქვს, რომ ბ. კალოევმა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარყო კერის კულტის არსებობა ჩაჩნეთში. ბ. კალოევი ამ საკითხს ერთხელ კიდევ შეეხო ოსეთის მასალებზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ ოსებმა ხანგრძლივად შემოინახეს კერისადმი თაყვანისცემის ჩვეულება და დაასკვნა: «Такого почитания очага мы не находим ни у одного из других народов Кавказа. Возможно, что это объясняется особыми этническими традициями, уходящими в глубь веков». იქვე სქოლიოში შენიშნულია: «Исключение составляют некоторые горские племена Грузии, в частности сваны, у которых бытует такое же почитание очага, как и у осетин, что объясняется, по-видимому, давними историческими связями этих народов» (Б. К а л о е в, Осетины, 1967, стр. 133).

იმის მტკიცება, თითქოს კერისადმი თაყვანისცემის ჩვეულებით კავკასიაში ოსეთი შეუდარებელი იყო და ამ მხრივ მხოლოდ ზოგიერთი ქართველი ტომი წარმოადგენდა გამონაკლისს, მცდარია. კერის კულტი ისევე დამახასიათებელი იყო სხვა კავკასიელი ხალხებისათვის, როგორც ოსებისათვის. ამიტომ, გამონაკლისების ძიება ყოველად გაუმართლებელია. კიდევ უფრო დაუსაბუთებელია ბ. კალოევის შეხედუ-

წინაპრის კულტს, რომლისადმი პატივისცემის მიზნით ოჯახის უფროსის მეთაურობით კერასთან სრულდებოდა ყველა მნიშვნელოვანი რიტუალი, ისევე როგორც ზოგიერთი წესის შესრულება ევალებოდა დიასახლისსაც. თრუსოს ხეობის ეთნოგრაფიული მასალებისა და არსებული ლიტერატურის მიხედვით ამ რიტუალთა არსებით მხარეებს და ოჯახის მფარველ ღვთაებებს ვეხებით ჩვენს ერთ-ერთ ნაშრომში[34] და ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ რელიგიური წესების შესრულების მომენტშიც მამაკაცებსა და დედაკაცებს შორის არსებობდა გარკვეული ზღვარი, რომელიც რიტუალსაც ისევე ყოფდა სამამაკაცო და სადედაკაცო სფეროებად, როგორც სქესის მიხედვით იყო გამიჯნული შრომა, უფლებები, საცხოვრებელი ფართი და ა. შ.

ოსეთში საყოველთაოდ მიღებული წესის შესაბამისად, რაც იქ მყოფი ყველა მოგზაურის მიერაა შენიშნული და რაც დღესაც კი არაა საკვლევით დაეწყებული ჩვეულება, სქესისა და ასაკის მიხედვით მკვეთრად იყო გამიჯნული ოჯახის წევრთა უფლებები ჭამის დროსაც. ჩვეულებრივ მრგვალი სამფეხა მაგიდის (.ჩ ი ნ ვ) ირგვლივ ჯდომა, პირველ რიგში, უწევდათ მოხუცებს, რომელთაც ვახშმობის დროს კვარით თავს ადგა პატარძალი. შემდეგ ამ მაგიდას შემოუსხდებოდნენ ასაკით მომდევნო კაცები, ხოლო ქალებსა და ბავშვებს ან სხვა ოთახში უნდა ეჭამათ ანდა კაცების შემდეგ. ასეთსავე დაყოფას ადგილი ჰქონდა ხალხის შეყრილობის მომენტშიც (ქორწილი, დღეობა, ქელეხი...). თვით ერთად მჯდომი მამაკაცების ურთიერთობაც წარმოუდგენელი იყო უფროს-უმცროსობის წესის დაცვის გარეშე როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში. სუფრის თავში მჯდომი უფროსებისადმი ყურადღება და პატივისცემა უმცროსების მოვალეობად ითვლებოდა.

ოჯახის წევრთა ურთიერთობის სფეროში განსაკუთრებული სიფრთხილე მართებდათ ქალებს. საკმარისი იყო მამაკაცს კარი შემოე-

---

ლება საუკუნეებიდან მომდინარე განსაკუთრებული ეთნიკური ტრადიციების შესახებ, რომელიც მას მხოლოდ ოსური ყოფისათვის დამახასიათებელ მომენტად წარმოუდგენია. ასევე მიუღებელია იმის მტკიცება, თითქოს სვანებში კერის კულტის არსებობა განაპირობა ოსებთან მათმა ისტორიულმა კავშირმა. ბ. კალოევის მსჯელობიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ოსების გარდა კავკასიაში სხვას არც ეთნიკური ტრადიციები ჰქონდათ და კერის კულტის განვითარებაც ოსებთან კავშირით იყო გაპირობებული. საკითხის ამ მეთოდით კვლევა ნიშნავს ზოგადკავკასიური კულტურისა და ყოფის ელემენტების უგულებელყოფას, ერთი ეთნიკური წრისადმი მათ ცალმხრივ მიკუთვნებას.

[34] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში, კეკ, I, გვ. 125—130.

ლო, რომ ქალები დაუყოვნებლივ ფეხზე წამომდგარიყვნენ. თვით ახალგაზრდა კაცსაც კი ხანშიშესული დედაკაცი ფეხზე უდგებოდა და მამაკაცისადმი პატივისცემას ამით გამოხატავდა. ახალგაზრდა კაცები კი ფეხზე უდგებოდნენ მხოლოდ დიასახლისს ან მისი თაობის მოხუც ქალს. რაც შეეხება პატარძალსა და სხვა უმცროს რძლებს, მათ ხომ მამაკაცები სკამებზე მსხდომთ ვერც კი დაინახავდნენ.

მამაკაცებისადმი ქალების მოკრძალების წესი გამოიხატებოდა ჩვეულებაში, რომლის მიხედვით მიუღებელი იყო მამამთილთან და უფროს მაზლებთან რძლის ლაპარაკი. ამ ჩვეულებას ერქვა უმძრახობა (უ ა ზ ს ა დ ი ნ), რაც მამამთილის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა. როგორც მთხრობლები აღნიშნავენ, ძველად არ მომხდარა ისეთი შემთხვევა, რომ რძალ-მამამთილს შორის არსებული უმძრახობა შერყეულიყო. ეს წესი დაცული ყოფილა რძალ-მაზლს შორისაც, მაგრამ თუ მათ შორის დიდ ასაკობრივ სხვაობას არ ჰქონდა ადგილი, უმძრახობა ირღვეოდა მაზლის ინიციატივით, რომელიც რძლისთვის საჩუქარს ყიდულობდა და სთხოვდა უშუალოდ დალაპარაკებოდა. შემდეგში ამ წესს თანდათანობით შერყევია საფუძველი რძალ-მამამთილის ურთიერთობაშიც და მამამთილებსაც მიუმართავთ იმგვარი ხერხისათვის, რომელსაც იყენებდნენ მაზლები, მაგრამ, როგორც მთხრობლები აღნიშნავენ, ძველი თაობის წარმომადგენლებს ზოგჯერ სინანული გამოუთქვამთ, როდესაც მამამთილთან ლაპარაკით უფლებამოსილ ზოგიერთ თავხედ რძალს თავისი უკმეხი საქციელით მისი თავმოყვარეობა შეულახია.

ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება ხასიათდებოდა აგრეთვე მიმართვის ფორმების თავისებურებით, რომელშიც ასევე კარგად ჩანდა სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაცია. როგორც წესი, მიუღებელი იყო უფროსი თაობის წარმომადგენელთა სახელის ხსენება რძლების მიერ არა მარტო მათთან უშუალო ურთიერთობაში, არამედ სხვებთან მათ შესახებ საუბრის შემთხვევაშიც კი. ასეთივე წესის დაცვა ევალებოდა ქალს ქმრის მიმართაც, ისევე როგორც ქმრისთვის სირცხვილად ითვლებოდა ეხსენებინა თავისი ცოლისა და შვილების სახელები. ამიტომ გამოსავალს წარმოადგენდა მამამთილის, დედამთილის, მაზლის, ბავშვის აღმნიშვნელი და ყველასათვის მისაღები სახელწოდებების გამოყენება მათი საკუთარი სახელების ნაცვლად. ასევე საკუთარი სახელების ნაცვლად დასაშვები იყო გამოეყენებინათ ნაცვალსახელი, სქესის აღმნიშვნელი ცნებები ან ქალის გვარის სახელიც. ურთიერთშორის მიმართვის ამ ფორმებმა სათანადო გამოხატუ-

ლება პოვა ოსურ ლექსიკაში[35], ხოლო მათი შინაარსის გახსნა ეთნოგრაფიული მონაცემების დახმარებით ოსური ნათესაობის სისტემის საინტერესო სურათს წარმოაჩენს, რომლის განხორციელება კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების ერთ-ერთ უახლოეს ამოცანას შეადგენს.

ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უფროსი თაობის დედაკაცებთან უშუალო მიმართვის უფლებას მოკლებული იყვნენ უმცროსი თაობის რძლები. თუ დიასახლისს შეეძლო მათი დაძახება და საქმეზე გაგზავნა, უმცროსებს მასთან კონტაქტი შეეძლოთ მხოლოდ ხანდაზმული რძლების ან მულების მეშვეობით, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, შეეძლოთ გამოეყენებინათ პერიფრაზებით მიმართვის ხერხი.

ამგვარად, ოსური დიდი ოჯახის მმართველობასა და შრომის ორგანიზაციაში განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე ფაქტორებად გვესახება ადამიანის სქესი, ასაკი და უნარი. ამ ნიშნების მიხედვით ხდებოდა როგორც ოჯახის ხელმძღვანელთა გამოყოფა, ისე ოჯახის დანარჩენ წევრებს შორის ფუნქციების განაწილება. ოსური საოჯახო თემის ერთ-ერთ დამახასიათებელ კომპონენტს წარმოადგენდა აგრეთვე მჭიდრო კონტაქტი ოჯახის უფროსებსა და სრულწლოვან წევრებს შორის და ყველა მნიშვნელოვანი საკითხის ერთობლივი შეთანხმებით გადაწყვეტის პრინციპი. ყოველივე ამის მიხედვით ოსთა ყოფაში გადმონაშთური ფორმით ხანგრძლივად შემონახული საოჯახო თემი ხასიათდებოდა ფოლიდარული მმართველობის სისტემით, რაც ასევე დამახასიათებელ კომპონენტს წარმოადგენდა ქართველებისა და ნახების ტრადიციული საოჯახო ყოფისათვის.

მეოთხე თავი

ოჯახის გაყრის წესი და ქონების განაწილების პრინციპი

საოჯახო თემის, როგორც უახლოეს ნათესავთა გაერთიანების შესახებ არსებული ფაქტობრივი მონაცემების განხილვამ გვიჩვენა, რომ ცალკეულ ოჯახებად მისი სეგმენტაცია მიზანშეწონილად ითვლებოდა მხოლოდ პირველი თაობის წარმომადგენლების, ე. ი. ოჯახის უხუცესი წევრების გარდაცვალების შემდეგ. ოსეთში მყოფ თითქმის ყველა

[35] Н. Габараев, Об отражении в осетинской лексике условий жизни осетинского народа, ИЮОНИИ АН ГССР, VIII, Цхинвали, 1957, стр. 273—274.

მკვლევარს, რომელიც კი ოსთა საოჯახო ყოფით იყო დაინტერესებული, შენიშნული აქვს და ეს ჩვენ მიერ შეკრებილი მასალებითაც დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული წესის დარღვევა ოსებს უდიდეს დანაშაულად მიაჩნდათ. დღეს რომელ მთხრობელსაც არ უნდა ჰკითხოთ, ამის შესახებ ყველა უყოყმანოდ გიპასუხებთ, რომ სამ-ოთხ თაობაზე ადრე და უხუცესთა გარდაცვალებამდე ოჯახის გაყრა ოსეთში მიუღებელი იყო, მაგრამ იმავე მთხრობლების ჩვენებიდან და სათანადო ლიტერატურიდან ისიც ადვილად დასანახია, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო ოჯახის მთლიანობა ზოგჯერ ნაადრევად ირღვეოდა.

სათანადო ცნობების უქონლობის გამო ძნელია იმის თქმა, თუ ამ მხრივ რა ვითარებას ჰქონდა ადგილი XIX საუკუნის წინარე ეპოქაში, მაგრამ XIX—XX საუკუნეების მასალები კი აშკარად მიგვითითებენ იმ გარემოებაზე, რომ ინდივიდუალიზაციისაკენ მიდრეკილება დროთა ვითარებაში იზრდებოდა. XIX საუკუნის პირველ ნახევართან შედარებით, მეორე ნახევარში გაყრილობის პროცესი საგრძნობლად იყო გაღრმავებული, ხოლო XX საუკუნის 20-იან წლებში ეს პროცესი უკვე თავისი განვითარების ზენიტში იმყოფებოდა. თუ ა. იანოვსკი მიუთითებდა, რომ ოსებში მშობლების გარდაცვალებამდე რომელიმე შვილის ცალკე გამოყოფა უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა[1], შედარებით სხვა ვითარებას გვაცნობს მ. კოვალევსკი. მისი დაკვირვებით, გაყრისაკენ მიდრეკილება გაზრდილა[2]. მისივე ცნობით, ძველად მამის ან პაპის გარდაცვალებას შედეგად სხვა არაფერი არ მოჰყვებოდა, გარდა იმისა, რომ ოჯახს სათავეში უდგებოდა ახალი მეთაური, მაშინ, როდესაც ახალ ვითარებაში (იგულისხმება მ. კოვალევსკის ეპოქა) ოჯახის უფროსის სიკვდილი ხშირად არსებული ერთობის დაშლის მომასწავებელი ყოფილა[3].

ასეთივე მდგომარეობა გვესახება XIX საუკუნის 30-იან წლებში ა. იანოვსკის, ხოლო XIX საუკუნის 80-იან წლებში მ. კოვალევსკის დაკვირვებით. ორივე მკვლევრის ცნობა შეეხება ჩრდილოელ ოსთა საოჯახო ყოფას, მაგრამ იმავე ეპოქაში ამ მხრივ როგორი სურათი ფქონდა სამხრეთელ ოსთა ცხოვრებაში, ამის შესახებ XIX საუკუნის ლიტერატურა არაფერს გვეუბნება. ამიტომ გ. ჩურსინი, რომელიც გაკვრით შეეხო დიდი ოჯახის დაშლის პროცესს სამხრეთ ოსეთში, იძუ-

---

[1] А. Яновский, Осетия, «Обозрение российских владений за Кавказом», ч. II, СПб., 1836, стр. 198.

[2] М. Ковалевский, Современный обычай и древний закон..., I, стр. 103—104.

[3] ibid., გვ. 319.

ლებული. იყო, ძველი ვითარების დასახასიათებლად და გასულ საუკუნესთან შედარებით XX საუკუნეში მომხდარი ცვლილებების ჩვენების მიზნით, გამოეყენებინა ზემოხსენებულ ავტორთა მონაცემები. სხვადასხვა ეპოქაში არსებული ვითარების ამ ხერხით შეპირისპირებისა და თავის მიერ მოპოვებული მცირეოდენი, მაგრამ სანდო მასალის ანალიზის საფუძველზე მკვლევარს შესაძლებლობა მიეცა აღენიშნა, რომ მისი იქ ყოფნის დროს, ე. ი. XX საუკუნის 20-იან წლებში დიდი ოჯახების დაყოფა ინდივიდუალურ ოჯახებად ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა და ეს პროცესი სამარცხვინოდ აღარ ითვლებოდა[4].

ზემოაღნიშნულ ვითარებას მხარს უჭერს ჩვენ ხელთ არსებული საველე მასალაც, მაგრამ რამდენადაც აღნიშნულ ეპოქაში დიდ ოჯახებად ცხოვრების წესი ჯერ კიდევ ოსთა ყოფისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა, ხოლო მუდმივად გაუყრელი ერთეული არც დიდი ოჯახი ყოფილა, საჭიროდ მიგვაჩნია აქვე გაეცნოთ მისი გაყრის წესსა და ქონების განაწილების პრინციპს.

დიდი ოჯახების დანაწილების მიზეზების შესახებ მთხრობლები სხვადასხვაგვარ განმარტებას იძლევიან. ერთნი აღნიშნავენ, რომ დიდი ოჯახის გაყრის საკითხი დგებოდა მისი მეტისმეტად გაზრდის გამო. მეორენი გაყრის მიზეზად თვლიან ოჯახის წევრთა უთანხმოებას, განსაკუთრებით სხვადასხვა თაობის რძლების დაპირისპირებასა და რძლებსა და მულებს შორის ურთიერთობის გამწვავებას. მესამენი კი აღნიშნავენ, რომ ოჯახი იყრებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველი თაობის წარმომადგენლების გარდაცვალების შემდეგ მათი შვილების ანუ მეორე თაობის წარმომადგენელთა მეთაურობით შეიძლებოდა გამოყოფილიყვნენ ახალი დამოუკიდებელი ოჯახები. ამ შეხედულების მქონე მთხრობლებს მიაჩნიათ, რომ დიდი ოჯახი უნდა მოიცავდეს უახლოესი ნათესაობის წრეს მშობლების, შვილების, შვილიშვილებისა და შვილთიშვილის შვილების სახით. როდესაც გამრავლება აღნიშნულ საზღვრებს გასცდებოდა და მეხუთე თაობიდან სისხლით ნათესავთა გაერთიანების ახალი კონტურები გაჩნდებოდა, სოციალური ერთეულის ის ჩარჩოები, რომელშიაც დიდი ოჯახი იყო ჩასმული, ირღვეოდა და ნათესავთა ეს წრე უკვე პატრონიმიული[5] გაერთიანების ჩარჩოში ექცეოდა.

---

[4] Г. Чурсин, Осетины, стр. 38.

[5] ოსური პატრონიმიის შესახებ, იხ. М. Косвен, Этнография и история Кавказа, стр. 5—18; Д. Дзиоев, Семейная община и патронимия, Москва, 1963, стр. 186 და შემდ.; З. Ванеев, Из истории родового быта в Юго-Осетии, стр. 46—47; Б. Тотров, დასახ. ნაშრომი, გვ. 168—169; З. Гаглоева, Осетинский «Рвадалта». Доклад на VII международном конгрессе антропологиче-

სიმართლე უსათუოდ იმ მთხრობელთა მხარეზეა, რომელთაც უფრო რეალურად აქვთ წარმოდგენილი, რომ დიდი ოჯახი იყო სამი-ოთხი და ზოგიერთ შემთხვევაში ხუთი თაობის მომცველი ეკონომიური უჯრედი, ხოლო მისი დაშლის საფეხურზე ყალიბდებოდა პატრონიმია, როგორც ერთი დიდი ოჯახიდან გამოსული რამდენიმე ახალი ოჯახის ერთობლიობა. ამ შეხედულებასთან ორგანულ კავშირშია იმ მთხრობელთა განმარტებაც, რომლის მიხედვით, ოჯახის გაყრის მიზეზი იყო ბისი მეტისმეტად გამრავლება, მაგრამ რაკი აქ ხაზგასმული არ არის თაობათა მნიშვნელობა, ამიტომ მარტოოდენ გამრავლების მოტივით ოჯახის გაყრის მიზეზის ჩვენება მყარ საბუთად არ მიგვაჩნია. რაც შეეხება მთხრობელთა ერთი ნაწილის ცნობას იმის შესახებ, რომ ოჯახის გაყრა ხდებოდა მის შიგნით გაჩენილი კონფლიქტის ნიადაგზე, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს სარწმუნო მტკიცებად, რამდენადაც საოჯახო თემის მმართველობის სტრუქტურა და შინასაოჯახო წესრიგი გამორიცხავდა ოჯახის წევრთა უკმაყოფილების კონფლიქტში გადაზრდის შესაძლებლობას. მხოლოდ იშვიათი შემთხვევები დასტურდება, როდესაც ოჯახის გაყრას მიზეზად ედებოდა ოჯახის უფროსის უფლებების უგულებელყოფა ან ქალების კინკლაობა და ისიც მხოლოდ მოგვიანო პერიოდში, როდესაც დიდი ოჯახი თავის არსებობას სამუდამოდ ემშვიდობებოდა.

როდესაც დიდი ოჯახი თავისი სიმწიფის პერიოდს დასრულებდა და მისი დანაწილება უკვე მიზანშეწონილი იყო, ქონების გაყოფაც უმეტეს შემთხვევაში უკონფლიქტოდ ხდებოდა. ოჯახის უფროსი თაობის წარმომადგენლები თავის შინაურ საქმეს დამოუკიდებლად აწესრიგებდნენ და გარეშე ხალხის ჩარევას არ საჭიროებდნენ. ასეთ ვითარებაში ოჯახი ზოგჯერ ისე იყრებოდა, რომ მეზობლები ამ მნიშვნელოვან ამბავს რამდენიმე ხნის შემდეგ იგებდნენ. მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც გაყრის პრეტენდენტები ვერ შეთანხმდებოდნენ, მათი მორიგება, ისევე, როგორც ბევრი სხვა საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა, ნიხასში ბჭეებს ევალებოდათ*.

ოჯახის გაყრა თემის კაცების ჩარევით მოეწყობოდა თუ მათგან დამოუკიდებლად, ქონების გაყოფა უნდა მომხდარიყო იმდენ თანაბარ ნაწილად, რამდენი კაციც ოჯახის გაყრის მომენტში წილის (ხ ა ჲ) მიღების უფლებით იყო აღჭურვილი. ასეთი უფლების მქონე პირს ერ-

---

ских и этнографических наук, Москва, 1964; Б. К а л о е в, Осетины, 1967, стр. 164-168.

* С. К а р г и н о в, Из народных преданий и обычаев Осетии, ИКОИРГО, т. XXIV, № 2, Тифлис, 1916, стр. 231—234; Х. Г а г л о е в, Из истории судопроизводства у осетин, ИЮОНИИ АН ГССР, XIII, 1964.

ქვა მოწილე (ხ ა Მ Ჯ ი ნ), რომელიც გვეელინებოდა დიდი ოჯახის დაყოფის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი ოჯახის მეთაურად.

ვინაიდან დიდი ოჯახის გაყრა მიზანშეწონილად ითვლებოდა უხუცესების, ე. ი. პირველი თაობის წევრთა გარდაცვალების შემდეგ და მომავალ ახალ ოჯახებს სათავეში ექცეოდნენ მეორე თაობის წარმომადგენლები, მოწილეებადაც ისინი ითვლებოდნენ.

ნათესაური ურთიერთობის ხაზით მოწილეები იყვნენ ერთიმეორის ძმები ან ბიძაშვილები. მოწილეებად მხოლოდ ძმები შეიძლება ყოფილიყვნენ ისეთ ვითარებაში, როდესაც პირველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ ერთი კაცი და ერთი ქალი, ე. ი. ერთი საქორწინო წყვილი. ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც პირველი თაობა რამდენიმე საქორწინო წყვილს მოიცავდა, ბუნებრივია მათი შთამომავლობა, რომლებიც მოწილეებად გამოდიოდნენ, ერთიმეორისა იყვნენ, ერთი მხრივ ძმები, ხოლო მეორე მხრივ ძმათაშვილები ანუ ბიძაშვილები.

მეორე თაობის ყველა წარმომადგენელს (მოწილეს) ქონებაზე მემკვიდრეობის ერთნაირი უფლებები ჰქონდათ ნათესაური ურთიერთობის როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში. მოწილეები ერთიმეორისა ძმები იყვნენ თუ ბიძაშვილები, სულერთია, ისინი თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქონების განაწილების მომენტში წესით არავითარი ყურადღება არ უნდა მიქცეოდა მოწილის არც ასაკს, არც დამსახურებას და არც ოჯახურ მდგომარეობას. ერთი მოწილე რომ ხანდაზმული, დიდი ამაგის მქონე და მრავალი შვილის მამა ყოფილიყო, მეორე უცოლოდ დაბერებული, ხოლო მესამე ჯერ კიდევ ყმაწვილი, ოსური საოჯახო სამართლის ძალით მათ შორის ქონების უთანაბრო განაწილება დაუშვებელი იყო.

მოწილეებზე ქონების გაყოფის ზემოაღნიშნული პრინციპი ერთნაირად იყო დაცული როგორც ცოცხალი, ისე გარდაცვლილი მოწილეების მიმართ. გარდაცვლილთა წილს აკუთვნებდნენ მათ ვაჟიშვილებს. ყოველივე ეს თვალნათლივ ჩანს ჩვენ მიერ ადგილზე შესწავლილი ოჯახების მიხედვით. საილუსტრაციოდ აქ შეიძლება გავიხსენოთ თომაევების ოჯახი, რომლის პირველ თაობას შეადგენდნენ მახამედ თომაევის შვილები: ჰებო და ტურა, ხოლო მეორე თაობის წარმომადგენლები იყვნენ გრიგოლ ჰებოს ძე და ტურას ოთხი ვაჟი (ნიკოლოზი, ივანე, მიშკა, ილას).

ოჯახის გაყრის მომენტში (1911 წ.) ჰებო და ტურა აღარ იყვნენ ცოცხლები. ამ დროისათვის გარდაცვლილი იყო აგრეთვე ნიკოლოზ ტურას ძე, რომელსაც დარჩენოდა სამი ვაჟი და ერთი ქალი. ვინაიდან მოწილეებად ითვლებოდნენ მეორე თაობის წარმომადგენლები, ხოლო ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდნენ გრიგოლი და მისი ბიძაშვილები,

ქონება გაყვეს ხუთ ნაწილად. ამათგან ერთი წილი ერგო გრიგოლს, ერთი ივანეს, ერთი მიშკას, ერთი ილასს და ერთიც გარდაცვლილი ნიკოლოზის ვაჟებს. გრიგოლი თბილისში დასახლებულა და მამულზე პრეტენზია აღარ განუცხადებია. ამიტომ მამული ოთხად გაუყვიათ გრიგოლის სამ ბიძაშვილსა და ბიძაშვილის (გარდაცვლილი ნიკოლოზის) შვილებს.

ოჯახის გაყრის მომენტში რომ ქონების მიღების უფლება ჰქონიათ მხოლოდ ცოცხალ მოწილეებს ან გარდაცვლილი მოწილეების ვაჟებს, ამ გარემოებას ვხედავთ ბოლოთაევების ოჯახის გაყრის შედეგებიდანაც. როგორც ამ ნაშრომის პირველი თავიდან ვიცით, იბას ხელმძღვანელობით ერთად მცხოვრებ ოჯახში ირიცხებოდა ოთხი მოწილე იბას ოთხი შვილის (ჯიბრაილ, ტატე, როსებ, გასი) სახით. ოჯახის გაყრის დროს ამათგან ცოცხალი იყვნენ ჯიბრაილი და ტატე. ოჯახი ორად გაყრილა და ქონება გაუყვიათ ოთხ თანაბარ ნაწილად. ოთხი წილიდან ერთი რგებია ჯიბრაილს, ერთი ტატეს, ერთი როსებას შვილებს (ნიკას, გიორგის) და ერთიც გასის შვილს სიკოს. ქონების ამგვარად გაყოფის შემდეგ ტატეს და მის ძმისწულებს (როსებასა და გასის შვილებს) გადაუწყვეტიათ კვლავ გაუყრელად ეცხოვრათ, რის გამო ქონების სამი წილი მათ ერთად გამოუტანიათ.

ზოგჯერ ადგილი ჰქონია ისეთ შემთხვევასაც, როდესაც დიდი ოჯახის დანაწილებისთანავე რომელიმე მოწილის შვილები (უმთავრესად გარდაცვლილი მოწილისა) ცალ-ცალკე დასახლებას გადაწყვეტდნენ, მაგრამ ეს ქონებაზე მემკვიდრეობის ხასიათს არ ცვლიდა და ისინი მაინც მხოლოდ მამისეულ წილზე გადიოდნენ. ასეთ ვითარებაში თუ მოწილეს ერთი შვილი ჰყავდა, წილიც სრულად ამ შვილს რჩებოდა, მაგრამ თუ მეორე მოწილეს რამდენიმე შვილი ჰყავდა, ისინიც მხოლოდ მამისეულ წილს ჯერდებოდნენ და ცალ-ცალკე ოჯახებად დამკვიდრების შემდეგ მას თანაბრად ინაწილებდნენ.

ზემოაღნიშნულ ვითარებაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ჩოჩიევების ერთ-ერთი ოჯახი, რომელსაც მეთაურობდა გერო. ოთხ თაობამდე გაუყრელად მცხოვრები ამ ოჯახის გაყრა მოხდა მოწილეების, ე. ი. მეორე თაობის წარმომადგენლების (გუგუ, ბებაი, დათო) გარდაცვალების შემდეგ. გარდაცვლილი მოწილეების რაოდენობის მიხედვით მათმა შვილებმა ქონება გაიყვეს სამ თანაბარ ნაწილად. გუგუს წილზე გავიდნენ მისი შვილები (მუკა და დიმიტრი), ბებაის წილი ერგოთ მის შვილებს (გიგოს და ბუტას), ხოლო დათოს წილი შეხვდა მის ერთადერთ შვილს გაბოს. შემდეგში, როდესაც გუგუსა და ბებაის შვილები გაყრილან, მათ მამისეული წილიც თანაბრად გაუყვიათ.

სხვა უამრავი მაგალითების საფუძველზედაც შეიძლება ითქვას, რომ ყველა მოწილე უნდა დასჯერებოდა მხოლოდ წილით ნარგებ ქონებას, მაგრამ ქონების განაწილების შემდეგ დასაშვები ყოფილა მოწილეთა შორის მოლაპარაკება და ურთიერთშორის ქონების გაცვლა. ამგვარ შემთხვევას ჰქონია ადგილი, სახელდობრ, ბოლოთაევების ზემოხსენებული ოჯახის განაყრებს შორის. წილების ყრის შედეგად გამოირკვა, რომ ჯიბრაილს ერგო ის სახლი, რომელიც გაუყრელ ოჯახს ჰქონდა ბარის სოფელ ფრინევში, ხოლო სოფ. შუაცხვირში არსებული სახლი წილად ხვდათ ტატეს და მასთან გაუყრელად დარჩენილ ძმისწულებს. ამის შემდეგ ტატე დაინტერესებულა ფრინევში მდგარი სახლის ხელში ჩაგდებით, რომლის საფასურში ჯიბრაილისთვის მას მიუცია ცხენი და ძროხა, ამ ხის სახლიდან ტატეს ოთახი გადაუხერხია და ცალკე დაუდგამს, ხოლო ჯიბრაილს იქ დარჩენია მარანი და დერეფანი.

ზემოთ განხილულ ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად თაობების მიხედვით ქონების თანაბრად განაწილების ასეთსავე წესს ვეცნობით სპეციალური ლიტერატურით. ოსთა ადათების სათანადო მეხლებში მითითებულია, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ მის ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებით სარგებლობდნენ ვაჟიშვილები, რომლებიც თანაბრად იყოფდნენ როგორც მამისაგან მემკვიდრეობით მიღებულ, ისე თავისი შრომით შექმნილ დოვლათს[7]. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ძმებს შორის ქონების განაწილების დროს მხედველობაში მიიღებოდა მათი ასაკიც, მაგრამ ძირითად პრინციპს მაინც მათ შორის თანასწორობის დაცვა წარმოადგენდა. ადათობრივი ნორმების ანალიზის საფუძველზე ასეთსავე დასკვნამდე მივიდა მ. კოვალევსკი[8], ხოლო ნარელთა ცხოვრებაში ანალოგიური ვითარება დაადასტურა კ. ხეთაგუროვმა, რომლის ცნობითაც მოწილეები იყვნენ მხოლოდ ძმები. მოწილეთა შვილები ზედმეტს არაფერს არ ღებულობდნენ არც მამების სიცოცხლეში და არც მათი გარდაცვალების შემდეგ. მამის გარდაცვალების შემდეგ თუ მათი შვილები ცხოვრებას მოისურვებდნენ ბიძისაგან დამოუკიდებლად, მხოლოდ ერთ წილს (მამისეულს) უნდა დასჯერებოდნენ, გინდაც რომ ისინი ხუთნი ყოფილიყვნენ[9]. საბჭოთა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაშიც ის აზრია გატარებული, რომ ოჯახის გაყრის დროს ოსები იცავდნენ თაობების მიხედვით ქონების განაწილების პრინციპს,

---

[7] ф. Леонтович, II, стр. 24, 26, 34—35.

[8] М. Ковалевский, Современный обычай и древний закон..., I, стр. 336.

[9] К. Хетагуров, Быт горных осетин, стр. 29.

ხოლო ქონების მიღების პრეტენდენტებად გვევლინებოდნენ უფროსი თაობის წარმომადგენლები, ე. ი. ისინი, რომლებიც იკავებდნენ ოჯახის გარდაცვლილი წევრების ან წარმავალი პირების ადგილს[10].

არსებულ ლიტერატურულ მონაცემებსა და ჩვენ ხელთ არსებულ ეთნოგრაფიულ მასალებს, რომლითაც ვეცნობით მოწილეებს შორის ქონების განაწილების წესს XIX—XX საუკუნეებში, შეიძლება მხარში ამოუყენოთ XVIII საუკუნის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც შეეხება ზურაბ თუმანიშვილის ყმა გლეხების — გოგი, იასე, ივანე და ბერი მარგიშვილების გაყრისა და მათ შორის ქონების განაწილების საკითხს. ერეკლე მეორის სახელზე ივანე და ბერი მარგიშვილების მიერ 1786 წლის 6 აგვისტოს შეტანილი საჩივრიდან ჩანს, რომ როდესაც უფროსი ძმა გოგია ძმებს გაჰყრია, ტყვეობიდან 20 წლის წინათ დაბრუნებული იასეც ცალკე გასულა, მაგრამ წილი არ გაუტანია. გოგიას გამოცალკევებიდან ერთი თვის შემდეგ იასე ისევ ერთად მცხოვრებ ივანესა და ბერთან დაბრუნებულა ამ უკანასკნელთა თანხმობით. ორი წელი ერთად ცხოვრების შემდეგ იასეს ისევ მოუნდომებია ცალკე გასვლა და წილის გატანაც. ძმები იასეს იმაზე უჩივიან, რომ იასე წილს ითხოვს იმ ქონებიდანაც, რომელიც ბერმა და ივანემ მისგან დამოუკიდებლად შეიძინეს, ხოლო თვითონ იასე წინააღმდეგია თავის მიერ მიტანილი ქონება ძმებს უწილადოს. ივანე და ბერი განცხადებაში აღნიშნავენ, რომ იასეს ჩვენი ქონებიდან მანამდე არაფერს მივცემთ, სანამ ის თავის ქონებასაც არ გვიწილადებსო, ე. ი. ძმები მოითხოვენ როგორც მამისეული ქონების, ისე შემდეგ შეძენილი დოვლათის თანაბრად გაყოფას. აღნიშნული ვითარება გაითვალისწინა ერეკლემ და ზურაბ თუმანიშვილის სახელზე მიწერილ რეზოლუციაში მიუთითა: ვინაიდან ისინი არიან ძმები, ქონება გაყონ თანასწორად[11].

ამგვარად, მოწილეების ურთიერთშეთანხმების ან ნიხასის თუ უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილების საფუძველზე საერთო ქონების განაწილება ხდებოდა მოწილეების თანასწორუფლებიანობის პრინციპით. ასევე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წყდებოდა უფროსი მოწილისთვის ზედმეტი ქონების მიკუთვნების საკითხი. მოწილეების საერთო თანხმობის გარეშე მისთვის წილით კუთვნილზე მეტი ქონების—საუფროსო წილის (ხ ი ს თ ა რ ი ხ ა ჯ, ანუ ხ ი ს თ ა გ

---

[10] М. К о с в е н, Этнография и история Кавказа, стр. 13; Б. Т о т р о в, Семья и семейный быт крестьян Юго-Осетии в конце XIX—начале XX вв., Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси, 1965, стр. 14 (შდრ. ამ დისერტაციის გვ. 181—182).

[11] История Осетии в документах ..., I, стр. 160—161.

ხ ა ჲ) გამოყოფა არ ხდებოდა. მით უფრო გამორიცხული იყო უფროსი მოწილის მიერ საუფროსოს თვითნებურად მითვისების ანდა სხვა რაიმე საშუალებით (ჩივილით ან თემის კაცების გადაბირებით) მისი დასაკუთრების შესაძლებლობა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ადათების კრებულის შესაბამის მუხლებში საგანგებოდაა მითითებული იმის შესახებ, რომ უფროს მოწილეს აძლევდნენ მიწის პატარა ნაკვეთს ან რამდენიმე სულ პირუტყვს, ისევე როგორც მიღებული ყოფილა უმცროსისთვისაც წილთან ერთად გამოეყოთ საურვადე დოვლათი[12]. ამ ხასიათის ფაქტობრივი მასალის აღწერისას აღნიშნულ კრებულში არაფერია ნათქვამი იმაზე თუ რა მოტივით ეძლეოდა უფროს მოწილეს ზედმეტი ქონება და იყო თუ არა მისი მიცემა სავალდებულო. სამაგიეროდ, მ. კოვალევსკის გამოკვლევაში, სადაც ეს საკითხი განხილულია ფ. ლეონტოვიჩის მიერ გამოცემულ ადათებზე დაყრდნობით, უფროსი მოწილის ამ უპირატესობის საფუძველად მიჩნეულია მისი, როგორც ოჯახის წევრთა შრომა-საქმიანობის ორგანიზატორის, საოჯახო დოვლათის მცველისა და კულტის მსახურის პრიორიტეტი[13].

ოჯახის უფროსის, როგორც ორგანიზატორისა და დამსახურებული პიროვნების პრიორიტეტის ეჭვის ქვეშ დაყენების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ საუფროსო წილის ამ მოტივით მიკუთვნების დამადასტურებელი ფაქტები მთხრობლებთან ჩვენი მუშაობის დროს არ გამოვლინდა. საუფროსოს მიკუთვნების რეალურ საფუძვლად ჩვენთან მოსაუბრე მთხრობლებმა აღიარეს მხოლოდ უფროსი მოწილის მიერ გაწეული დიდი შრომა ოჯახის კეთილდღეობისათვის. საკითხის ამგვარი კვალიფიკაციის საფუძველზე კი შესაძლებლად მიგვაჩნია ვიფიქროთ, რომ საუფროსოს გამოყოფის წესი გაჩენილიყო საოჯახო თემის არსებობის გვიანდელ საფეხურზე, სახელდობრ, მაშინ, როდესაც მასში ისახებოდა შრომითი კოოპერაციის ნორმები. უფროსი მოწილისთვის ზედმეტი ქონების მიკუთვნების წესის შემოღებით საფუძველი უნდა ჩაეყროდა ოჯახის შიგნით შრომითი კოოპერაციის ტენდენციის საწყისებს, რაც, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, კიდევ უფრო გაღრმავდა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პირობებში.

საუფროსოს გამოყოფის საფუძველი რომ მართლაც პიროვნების ამაგი უნდა ყოფილიყო, ამის დამადასტურებელია უფროსისთვის მისი მიკუთვნების ნებაყოფლობითი პრინციპი. საუფროსოს გამოყოფა და-

---

[12] ф. Леонтович. II, стр. 72—77.

[13] М. Ковалевский, Современный обычай и древний закон..., I, стр. 325—326.

მოკიდებული იყო მხოლოდ მოწილეების საერთო შეთანხმებაზე. ის რომ საყოველთაოდ სავალდებულო წესი ყოფილიყო, მაშინ მოწილეების შეთანხმებაზე ლაპარაკიც უადგილო იქნებოდა და უფროსი მოწილისთვის მის მიკუთვნებას ყველა ოჯახის გაყრის შემთხვევაში უნდა ჰქონოდა ადგილი. ეს კი ყოველთვის არ ხდებოდა და თუ ხდებოდა მხოლოდ მოწილეების მოლაპარაკების შედეგად, როდესაც ისინი საჭიროდ მიიჩნევდნენ საუფროსოს მიცემით ეღიარებინათ თავიანთი უფროსის დამსახურება. ამგვარ დამოკიდებულებას ვხედავთ, მაგალითად, ცორმონთა ოჯახში, როდესაც ძმები ვანო და ვასჯე გაყრილან, ქონება გაუყვიათ ორ ნაწილად, ოღონდ ვასჯეს თანხმობით საუფროსო რგებია უფროს ძმას ვანოს. ანალოგიური პირობებით აღინიშნა ჯიქაველების გაყრაც, როდესაც საუფროსოს სახით ორი სახლიდან ერთი მათგანი თავისი დახურული კალოთი დაეთმო უფროს ძმას ანდის. არაიშვიათად ასეთსავე გადაწყვეტილებას ღებულობდნენ მოწილეები ან მათი დასტურის საფუძველზე ბჭეები გარდაცვლილი უფროსი მოწილის ობლებისადმი დახმარების მიზნითაც. სამაგალითოდ აქ შეიძლება დაეასახელოთ თომაევების ოჯახი, რომლის გაყრისას გარდაცვლილი უფროსი მოწილის ნიკოლოზის შვილებისათვის საუფროსოს სახით მიუკუთვნებიათ ხუთი წევრის სახნავი ნაკვეთი.

ზემოაღნიშნული ვითარების პარალელურად მოწმდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც უფროსი მოწილის პრიორიტეტს უგულებელყოფდნენ და მისთვის საუფროსოს მიცემაზე არ ზრუნავდნენ. მრავალთაგან აქ შეიძლება დავასახელოთ ბოლოთაევების ერთ-ერთი ოჯახი, რომლის გაყრისას უფროსი მოწილისათვის — ჯიბრაილისთვის საუფროსოს გამოყოფის საკითხი არც დასმულა და ისიც სხვების თანაბარ წილს დასჯერებია.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ოჯახის გაყრის მომენტში უკეთესი წილის მიკუთვნების საკითხი წყდებოდა თვით უფროსი მოწილის ინიციატივით. ქონების განაწილების დროს თუ კი საუფროსოს გამოყოფის საკითხი დადგებოდა, უფროს მოწილეს, პირველ რიგში უთმობდნენ მამაპაპურ სახლს, ვინაიდან ერთობის კერაზე დარჩენა და ამ კერიდან განაყარი ოჯახების შემდგომი კავშირის შენარჩუნება, რაც ძირითადად გამოსახულებას პოულობდა სულიერი კულტურის სფეროში, მის კომპეტენციაში შედიოდა. დიგორელთა 1866 წლის ადათებშიც ამიტომ ჩანს აღნიშნული, რომ სახლი, ქვაბ-საკიდელი და ნეხვის დასაყრელი ადგილი უფროსი ძმის უცილობელ საკუთრებას შეადგენდა[14], მაგრამ ზოგჯერ პირიქითაც მომხდარა, როდესაც

---

[14] Ф. Леонтович, II, стр. 73.

ში ქალი მზითევს უტოვებდა თავის ქალიშვილებს. ამგვარი წესის არსებობის გამო საერთო ქონების გაყოფის მომენტში ყოველი რძალი თავის მზითევს ეპატრონებოდა. ცოლ-ქმარიც რომ გაყრილიყვნენ და კონფლიქტის მიზეზი ქალი ყოფილიყო, მზითევს მაინც ქალს უბრუნებდნენ. თუ ქალი ვერ შეეგუებოდა ქმრის ოჯახს, და ცოლ-ქმრის გაყრა ამ ნიადაგზე მოხდებოდა, ქმრის ოჯახი ქალს უბრუნებდა მზითევს და დამატებით ატანდა მცირეოდენ სარჩოს. ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც დამნაშავედ ითვლებოდა ქმარი, ეს უკანასკნელი ვალდებული იყო ცოლისთვის მზითევთან ერთად გამოეტანებინა სხვა ქონებაც საქონლის, ნივთების ან, მარცვლეულის სახით[25].

როგორც მასალები გვიჩვენებენ, მზითვად გატანებული ნივთების შედგენილობა-ღირებულების მხრივ ჩრდილო და სამხრეთ ოსეთში განსხვავებას არ ჰქონია ადგილი, მაგრამ ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ქართლის მთიანეთში მცხოვრებ ოსებში მზითევის ზემოაღნიშნულ სახეობასთან ერთად დადასტურდა ქალისთვის ერთი ძროხის ან რამდენიმე თხის თუ ცხვრის მიცემის წესი, რაც უცნობი იყო ჩრდილოელი ოსებისათვის. ეს წესი ოსებს შეუთვისებიათ ქართველებისაგან, რის მანიშნებელია, პირველ რიგში, მისი ქართული სახელწოდება ს ა თ ა ვ ო (სათავნო-დან).

სათავნოდ კუთვნილ საქონელს ქალი ქმრის საერთო-საოჯახო ქონებასთან აერთიანებდა, რომლის უკან დაბრუნება მას ნებისმიერ შემთხვევაში შეეძლო. ოჯახის გაყრამდე სათავნოდან მიღებული შემოსავალი ნამატისა და პროდუქციის სახით ოჯახის საერთო საჭიროებას ხმარდებოდა. ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების მომენტში კი თავნი უკვდავად უბრუნდებოდა ქალს, როგორც მისი ხელშეუხებელი საკუთრება, ხოლო ნამატი ითვლებოდა რა ოჯახის საერთო საკუთრებად, ის თანაბრად იყოფოდა მოწილეებს შორის. ქალისა და მისი ქმარ-შვი-

---

[25] ნორდენსტრენგის მიერ 1844 წ. შედგენილი ადათების კრებულის 102-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ქმარს უფლება აქვს გააგდოს ცოლი, როდესაც მას ეს მოესურვება და უკან დაიბრუნოს მასში გადახდილი ყალიმის ნახევარი. იმავე კრებულის 104-ე მუხლში ეკითხულობთ: ქმრის ოჯახიდან ცოლის გაქცევის შემთხვევაში ქალის მამა ვალდებულია სიძეს გადაუხადოს 45 ძროხა, ხოლო თუ ეს ქალი სხვაზე გათხოვდება, მეორე ქმარი პირველს უხდის კიდევ 45 ძროხას (Ф. Л с о н т о в и ч, II, стр. 27). ნ. დუბროვინის ცნობით, უშვილობის მიზეზით ან უმიზეზოდ ცოლის დაწუნების შემთხვევაში ქმარი ზოგჯერ აძლევდა მას რაიმე საზრდოს, ხოლო ზოგჯერ კი არა (Н. Д у б р о в и н, т. I, кн. I, стр. 339). ნარელთა ყოფის შესწავლის საფუძველზე კი კ. ხეთაგუროვი შენიშნავს: ცოლის დანაშაულით გაყრის შემთხვევაში ქალის მამა მთელ ირადს უკან უბრუნებდა სიძეს, მაგრამ თუ გაიყრებოდნენ ქმრის დანაშაულის გამო, მას უბრუნებდნენ მხოლოდ ირადის ნაწილს (К. Х е т а г у р о в, Быт горных осетин, стр. 28).

საიდან უფროსის პრიორიტეტი ასეთ ვითარებაშიც კი სხვებთან შედარებით მინიმალური უპირატესობით აღინიშნებოდა. მით უფრო შეუძლებელია მაიორატის ინსტიტუტის დანახვა ოსებში, რომლებიც თუ ერთ უფროს მოწილეს საუფროსოს სახით რაიმეს აძლევდნენ, მეორეს უამისოდ ტოვებდნენ, რამდენადაც ამ საკითხის გადაწყვეტას აპირობებდა მოწილეების თანხმობა და არა ჰემკვიდრეობის სავალდებულო ნორმების გამოყენების გარდუვალობა.

საუფროსოსთან ერთად მნიშვნელოვან კომპონენტად გვესახება აგრეთვე უმცროსი მოწილისთვის კუთვნილ წილზე მეტი ქონების გამოყოფის წესი, რამაც, როგორც ამის შესახებ ზემოთ გვქონდა შენიშნული, სათანადო ასახვა პოვა ოსურ ადათებში. ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებიდანაც ნათლად ჩანს, რომ მოწილეებს შორის ქონების განაწილებისას უმცროს ძმას წილს გარდა ეძლეოდა მიწის ნაკვეთი ან რამდენიმე სული ცხვარ-ძროხა.

უმცროსი ძმისთვის ზედმეტი ქონების მიკუთვნების მიზეზად დიგორელი, ალაგირელი და ნარელ-მამისონელი ოსების 1866 წლის ადათებში დასახელებულია უცოლობა და საყალიმო ხარჯების გაღების საჭიროება[17]. ყალიმის გადასახდელი ქონების ცალკე გამოყოფის საკითხი არ წამოიჭრებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ძმა უცოლო იყო[18]. როგორც ჩვენ ხელთ არსებული მასალებიდან ჩანს, ეს საკითხი ასევე არ შეიძლებოდა დასმულიყო ისეთ ვითარებაშიც, როდესაც ყველა მოწილე ცოლიანი იყო.

არსებული მდგომარეობის ამ თვალსაზრისით შეფასება საესებით ბუნებრივად გვეჩვენება, ვინაიდან საქორწილო ხარჯების გამოღების საქმეშიც ყველა მოწილე თანასწორუფლებიანი იყო. ამიტომ გაყრის მომენტში მყოფ უცოლო მოწილეს იმავე უფლებით შეეძლო საყალიმოდ კუთვნილი ქონების მიღება, რა უფლებითაც ამგვარი ხარჯები გაიღეს ოჯახის გაყრამდე დაქორწინებულმა მოწილეებმა.

უცოლო მოწილის სახელზე გამოყოფილ ამ დანიშნულების მქონე დოვლათს ეწოდებოდა ს ა ქ ო რ წ ი ლ ო წ ი ლ ი (უ ს გ უ რ ი ხ ა ჲ). რომლის პარალელურად იხმარებოდა აგრეთვე შინაარსობლივად მისი თანაბარმნიშვნელოვანი ს ა უ მ ც რ ო ს ო წ ი ლ ი (ქ ა ს თ ა რ ი ხ ა ჲ) ანუ ს ა უ მ ც რ ო ს ო (ქ ა ს თ ა ი რ ა Გ). ამორი ტერმინის შინაარსობლივი იდენტურობის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ის ფარემოება, რომ უცოლო, რომელსაც საქორწილო ეძლეოდა, ჩვეულებისამებრ სხვებზე უმცროსიც იყო. გამონაკლის შემთხვევაში ისედაც შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ

---

[17] Ф. Леотнович, II, стр. 74, 75, 76.

[18] იქვე, გვ. 76.

ოჯახის გაყრის მომენტში უცოლო ყოფილიყო არა ყველაზე უმცროსი, არამედ მასზე უფროსი სხვა რომელიმე მოწილე, მაგრამ ვინაიდან ოჯახის წევრთა დაქორწინება უფროს-უმცროსობის რიგის დაცვით ხდებოდა და დაქორწინება ყველაზე გვიან ხნით უმცროსს უწევდა. ზემოხსენებულ ტერმინებს შორის იგივეობის ნიშნის დასმაც, როგორც ჩანს, ამ მოვლენამ განაპირობა.

საუმცროსოს აღმნიშვნელი ტერმინი რომ საქორწილოს შესატყვისი ცნების შინაარს არ გამოხატავდეს და საქორწილო წილისაგან დაშოუკიდებლად საუმცროსოც არსებულიყო თუნდაც როგორც საუფროსოს საპირისპირო მოვლენა, მაშინ ოსთა საოჯახო ყოფაში ადგილი უნდა ჰქონოდა ყველა უმცროსი მოწილისთვის საუმცროსოს მიცემის შემთხვევებს, განურჩეველად იმისა ის უცოლო იქნებოდა თუ ცოლიანი. მაგრამ რაკი ოსური საოჯახო ურთიერთობის ნორმები მხოლოდ ასაკის მიხედვით უმცროსის ქონებრივ უპირატესობას არ ითვალისწინებდა, ცოლშვილიანი უმცროსი მოწილისთვის საუმცროსოს (საქორწილოს) გამოყოფა არავითარ შემთხვევაში არ ხდებოდა და ამ უფლებით სარგებლობდა მარტოოდენ უცოლო მოწილე, შესაძლებლად მიგვაჩნია ვიფიქროთ, რომ ცნება საუმცროსო ასახავდა უმცროსი უცოლო მოწილისთვის განკუთვნილი საქორწილო წილის შინაარსს.

ყოველივე ამის შემდეგ კიდევ უფრო წარმოუდგენელია ოსთა საოჯახო საკუთრების სფეროში დავინახოთ არა თუ მინორატი[19], არაშედ თუნდ მისი მკრთალი ანარეკლიც კი, რამდენადაც მინორატი წარმოადგენდა მაიორატის საპირისპირო მოვლენას, რომლის მიხედვით ქონება მთლიანად რჩებოდა უმცროსს, ხოლო ქონების განაწილების ოსური წესი ითვალისწინებდა მხოლოდ საქორწილოს გაღებას, რათა ოჯახის უმცროსი უცოლო მოწილე ეკონომიური უფლებებით სხვა მოწილეებს გათანაბრებოდა. მოწილეებს შორის ქონების თანაბრად გაყოფის ოსური წესი სავსებით გამორიცხავდა როგორც მაიორატის, ისე მინორატის გამოვლინების შესაძლებლობას.

•

• •

ოჯახის გაყრის მომენტში გასათხოვარი ქალებისა და რძლების შესახებ მსჯელობას არ ჰქონია ადგილი, ვინაიდან ისინი ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებით არ სარგებლობდნენ. ქალის ასეთ მდგომარეობას გვაცნობენ როგორც მკვლევრები, ისე აღნიშნული ვითარების

---

[19] Б. Тотров, დასახ. აკტორეფერატი, გვ. 14; შდრ. Мисиев, დისერტაციის გვ. 182.

მომსწრე მთხრობლები. ფ. ლეონტოვიჩის მიერ გამოცემული ადათების კრებულში შესული 1836, 1844, 1859 და 1866 წწ. ცნობებიდან აშკარად ჩანს, რომ მამისეული ქონებიდან ქალებს არავითარი წილი არ ეძლეოდათ. უძეოდ გარდაცვლილი კაცის ქონება რჩებოდათ მის ნათესავ ვაჟებს, ვინაიდან მამას უფლება არ ჰქონდა თავისი ქონება ანდერძით ქალებისთვის დაეტოვებინა[20]. ამ ვითარებისთვის ყურადღება მიუქცევია რუსეთის ხელისუფლებას და 1859 წელს მიუღია დადგენილება ანდერძის ხელშეუხებლობის შესახებ[21], მაგრამ, როგორც ჩანს, ამ დადგენილებამ ოსთა ყოფაში გზა ვერ გაიკაფა. ადათობრივი ნორმების ნაცვლად რომ ეს დადგენილება დანერგილიყო და ქალის მდგომარეობა შეცვლილიყო, ეს უსათუოდ აისახებოდა 1859 წლის შემდეგ გამოქვეყნებულ ლიტერატურაშიც და ჩვენ მიერ შეკრებილ მასალებშიც. ლიტერატურული მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით კი მთელი XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში ოსი ქალი ისეთსავე მდგომარეობაში რჩებოდა, როგორშიც იმყოფებოდა ის 1859 წლამდე.

ქალი ეკონომიურად არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა ბათხოვების მომენტშიც. ა. იანოვსკის მიერ 1836 წელს შედგენილი ადათების კრებულში, რომელიც თავის ორტომეულში შეიტანა ფ. ლეონტოვიჩმა, აღნიშნულია, რომ ქალისთვის მზითევის მიცემა სავალდებულოდ არ ითვლებოდა; მას ქმრის ოჯახში მიჰქონდა მხოლოდ ლოგინი და საოჯახო საჭიროების ნივთები[22]. მ. კოვალევსკის დაკვირვებითაც, მამის ოჯახიდან ქალს მზითვის სახით ეძლეოდა ტანსაცმელი და საოჯახო ნივთები (სკივრი, ლოგინი, სპილენძის ტაშტი, ხელსაბანი, მაკრატელი, სავარცხელი...)[23]. ნარის ტაფობის მცხოვრებთა მაგალითზე დაახლოებით ასეთსავე ვითარებას გვაცნობს კ. ხეთაგუროვი[24]. ჩვენ მიერ შეკრებილი მასალებიც გვიჩვენებენ, რომ მზითევი წარმოადგენდა უმნიშვნელო ღირებულების ქონებას. თვით XX საუკუნის დასაწყისშიც კი როგორც შეძლებული, ისე ღარიბი ოჯახიდან გათხოვილი ქალის მზითევში შედიოდა ორი ხელი ლოგინი, ტანსაცმელი და პირადი საჭიროების რამდენიმე ნივთი. ეს მცირედი ქონება ითვლებოდა ქალის პირად საკუთრებად და სხვაზე მისი გაპიროვნება შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ მისი სურვილით. უმეტეს შემთხვევა-

---

[20] ф. Леонтович, II, стр. 6, 24, 34—35, 52, 74.

[21] იქვე, გვ. 52.

[22] იქვე, გვ. 7.

[23] М. Ковалевский, Современный обычай и древний закон..., I, стр. 294—295.

[24] К. Хетагуров, Быт горных осетин, стр. 25, 28.

ში ქალი მზითევს უტოვებდა თავის ქალიშვილებს. ამგვარი წესის არსებობის გამო საერთო ქონების გაყოფის მომენტში ყოველი რძალი თავის მზითევს ეპატრონებოდა. ცოლ-ქმარიც რომ გაყრილიყვნენ და კონფლიქტის მიზეზი ქალი ყოფილიყო, მზითევს მაინც ქალს უბრუნებდნენ. თუ ქალი ვერ შეეგუებოდა ქმრის ოჯახს, და ცოლ-ქმრის გაყრა ამ ნიადაგზე მოხდებოდა, ქმრის ოჯახი ქალს უბრუნებდა მზითევს და დამატებით ატანდა მცირეოდენ სარჩოს. ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც დამნაშავედ ითვლებოდა ქმარი, ეს უკანასკნელი ვალდებული იყო ცოლისთვის მზითევთან ერთად გამოეტანებინა სხვა ქონებაც საქონლის, ნივთების ან მარცვლეულის სახით[25].

როგორც მასალები გვიჩვენებენ, მზითვად გატანებული ნივთების შედგენილობა-ღირებულების მხრივ ჩრდილო და სამხრეთ ოსეთში განსხვავებას არ ჰქონია ადგილი, მაგრამ ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ქართლის მთიანეთში მცხოვრებ ოსებში მზითევის ზემოაღნიშნულ სახეობასთან ერთად დადასტურდა ქალისთვის ერთი ძროხის ან რამდენიმე თხის თუ ცხვრის მიცემის წესი, რაც უცნობი იყო ჩრდილოელი ოსებისათვის. ეს წესი ოსებს შეუთვისებიათ ქართველებისაგან, რის მანიშნებელია, პირველ რიგში, მისი ქართული სახელწოდება ს ა თ ა ვ ო (სათავნო-დან).

სათავნოდ კუთვნილ საქონელს ქალი ქმრის საერთო-საოჯახო ქონებასთან აერთიანებდა, რომლის უკან დაბრუნება მას ნებისმიერ შემთხვევაში შეეძლო. ოჯახის გაყრამდე სათავნოდან მიღებული შემოსავალი ნამატისა და პროდუქციის სახით ოჯახის საერთო საჭიროებას ხმარდებოდა. ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების მომენტში კი თავნი უკვდავად უბრუნდებოდა ქალს, როგორც მისი ხელშეუხებელი საკუთრება, ხოლო ნამატი ითვლებოდა რა ოჯახის საერთო საკუთრებად, ის თანაბრად იყოფოდა მოწილეებს შორის. ქალისა და მისი ქმარ-შვი-

---

[25] ნორდენსტრენგის მიერ 1344 წ. შედგენილი ადათების კრებულის 102-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ქმარს უფლება აქვს გააგდოს ცოლი, როდესაც მას ეს მოესურვება და უკან დაიბრუნოს მასში გადახდილი ყალიმის ნახევარი. იმავე კრებულის 104-ე მუხლში ეკითხულობთ: ქმრის ოჯახიდან ცოლის გაქცევის შემთხვევაში ქალის მამა ვალდებულია სიძეს გადაუხადოს 45 ძროხა, ხოლო თუ ეს ქალი სხვაზე გათხოვდება, მეორე ქმარი პირველს უხდის კიდევ 45 ძროხას (Ф. Леонтович, II, стр. 27). ნ. დუბროვინის ცნობით, უშვილობის მიზეზით ან უმიზეზოდ ცოლის დაწუნების შემთხვევაში ქმარი ზოგჯერ აძლევდა მას რაიმე საზრდოს, ხოლო ზოგჯერ კი არა (Н. Дубровин, т. I, кн. I, стр. 339). ნარეულთა ყოფის შესწავლის საფუძველზე კი კ. ხეთაგუროვი შენიშნავს: ცოლის დანაშაულით გაყრის შემთხვევაში ქალის მამა მთელ ირადს უკან უბრუნებდა სიძეს, მაგრამ თუ გაიყრებოდნენ ქმრის დანაშაულის გამო, მას უბრუნებდნენ მხოლოდ ირადის ნაწილს (К. Хетагуров, Быт горных осетин, стр. 28).

ლის მხრიდან ნამატზე პრეტენზია მიუღებელი იყო. მთხრობლების მტკიცებით, ასეთი შემთხვევები შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ იშვიათი ვამონაკლისის სახით და ისიც უკვე მოგვიანო პერიოდში, როდესაც დიდი ოჯახების დაშლის ინტენსიურ პროცესთან ერთად ხდებოდა. საერთოდ ძველი ხალხური წეს-ჩვეულებების გადაგვარება-მივიწყება. ახალ ეპოქაში სათავნოს არაკანონიერი მითვისების კონკრეტული შემთხვევა მთხრობლებმა გაგვაცნეს ბოლოთაევების ოჯახის მაგალითზე, როდესაც ერთ-ერთ მოწილეს (ტატეს) თავის კუთვნილ წილთან ერთად დაუსაკუთრებია კიდევ ერთი კამეჩი და რამდენიმე სული ცხვარ-ძროხა, როგორც თავისი ცოლის სათავნოს ნამატი. ამგვარ გადაწყვეტილებაში მთხრობლები ხედავენ მამაპაპური ჩვეულების საწინააღმდეგო აქტს, რამდენადაც ქალს ან მისი გარდაცვალების შემდეგ მის ქმარ-შვილს, შეეძლოთ მიეღოთ მხოლოდ თავნი და არა ყველასთვის თანაბრად კუთვნილი ნამატიც. ნამატზე ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ ქმართან გაყრილ ქალს ან ქვრივს, რომელსაც არსებული წესის თანახმად, ეკუთვნოდა თავნი უკვდავად და მისი ნამატის ნახევარი. ნამატის ნახევარი იანგარიშებოდა თავნის მოყვანიდან განვლილი წლების მიხედვით, მხედველობაში იღებდნენ ზარალსაც და დგინდებოდა საშუალო რიცხვი.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქალის გასტუმრება მისი მამის ოჯახისთვის ეკონომიური თვალსაზრისით იოლ საქმეს წარმოადგენდა, ხოლო ქმრის ოჯახში ქალი ფრიად უმნიშვნელო ქონების პატრონად ითვლებოდა. სამაგიეროდ უაღრესად რთული ამოცანის წინაშე იდგა ვაჟის ოჯახი, რომელსაც ქალის მოყვანისას ურვადის (ი რ ა დ ი-ს)[26] გადახდა ეკისრებოდა. ამ მიზნით იყენებდნენ საქონელს, იარაღს, სპილენძის ჭურჭელს და შედარებით იშვიათად ფულსაც.

ურვადის მოცულობას განსაზღვრავდა ერთის მხრივ ქალისა და მისი გვარ-ჩამომავლობის ღირსება, ხოლო, მეორე მხრივ, მხარეთა შორის შეთანხმება. ურვადის გადახდა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ღარიბ ოჯახს, რომელსაც ამ ამოცანის გადაჭრა ზოგჯერ სრული გაკოტრების ფასად უჯდებოდა. ამიტომ გამოუცხადა ბრძოლა ოსეთის მოწინავე საზოგადოებამ ამ მავნე ჩვეულებას, რამაც სათანადო ასახვა პოვა პრესაშიც[27].

---

[26] ირადის ეტიმოლოგიის შესახებ იხ. ვ. აბაევის ნაშრომი «Историко-этимологический словарь осетинского языка», стр. 546—547, რომელსაც ამ სიტყვის განმარტების მიზნით ვიყენებთ ქისტების საოჯახო ყოფაზე მსჯელობისას (იხ. ამ წიგნის გვ. 180).

[27] ოსეთში «ირადის»; «ხარნაგის» და სხვ. გაუქმებაზე დადგენილება იხ. გაზ. «დროება», 1866, № 15; გ ი ო რ გ ი ლ ი ა ხ ვ ე ლ ი (ჩოჩიშვილი), განჩინება ოსეთში

როგორც მთხრობლების ჩვენებიდან ჩანს, ურვადის დადგენილი ნორმა არ არსებობდა ოსეთის არც ერთ სოციალურ წრეში. ის არც შეიძლებოდა ყოფილიყო მტკიცედ ნორმირებული გადასახადი, ვინაიდან მისი ღირებულების განსაზღვრა ხდებოდა მხარეთა მოლაპარაკების ნიადაგზე. ერთი რომელიმე ალდარი თუ 100 ხარს მოითხოვდა, მეორეს შეიძლება აეღო ამაზე მეტი ან ნაკლები, ისევე, როგორც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხდებოდა ურვადის მოცულობის დადგენა უფლებრივად დაბლა მდგომი საზოგადოების საქორწინო ურთიერთობაშიც.

ოსების ცხოვრებაში ურვადი რომ მძიმე გადასახადს წარმოადგენდა და მისი ღირებულება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განისაზღვრებოდა, ამის მანიშნებელია ვახუშტის ცნობა ქალის სახლეულისთვის ვაჟის მიერ ი, კ, ლ და მ (ე. ი. 10, 20, 30 და 40) ძროხის გადახდის სავალდებულო წესის შესახებ[28]. XVIII საუკუნეში ოსებს ურვადის დადგენილი ნორმა რომ ჰქონოდათ, ვახუშტი რამდენიმე სავარაუდო ციფრის ნაცვლად მხოლოდ ერთის აღნიშვნას დასჯერდებოდა.

ურვადის მოცულობაში განსხვავება კიდევ უფრო ნათლად ჩანს სოციალური ნიშნით. ა. იანოვსკის ცნობით, ოსებში არსებობდა რა სყიდვითი ქორწინება, ხოლო ურვადის ღირებულების საზომი იყო ქალის გვარ-ჩამომავლობა, ამის შესაბამისად უმცირესი გადასახადი შეადგენდა 12 ძროხას, ხოლო უმაღლესი შვიდ ცხენსა და 140 ძროხას[29].

მაუნე ჩეეულებათა შესახებ, გაზ. «დროება», 1884, № 32; გაზ. «ღროება», 1884, № 147; ურვათი ოსებში, გაზ. «დროება», 1885, № 120; კ. ცხვედაძე, სოფ. ვანათი, გაზ. «ივერია», 1886, № 241; ქართველი ოსებში (ბაკურაძე ნესტორ), ვლადიკავკაკი, გაზ. «ივერია», 1887, № 67; Газ. ТВ, 1879, № 52; С. Кокиев, Калым у осетин, Газ. ТВ, 1887, № 4; Калым, умыкание, Газ. «Казбек», 1898, № 347; Х. Урийматов, Еще о калыме в Осетии, Газ. «Казбек», 1900, № 712; Калым в Осетии, газ. «Кавказ», 1900, № 66; Хабос, Еще о калыме в Осетии, газ. ТВ, 1900, № 13, К. А. Е. О калыме в Осетии, газ. ТВ, 1903, № 287; Джиор, Калым у осетин, газ. ТВ, 1904, № 160; Ц. Хетагуров, Борьба с калымом, газ. ТВ, 1910, № 22; Дьяков, Против калыма, газ. ТВ, 1913, № 61; А. Джамуразев, Калым, как причина воровства и грабежей, Журн. «Революция и Горец», 1918, № 4, Т. А. Калым еще существует, Журн. «Аригон Большевик». 1930, № 15.

[28] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 110.

[29] А. Яновский, Осетия, «Обозрение российских владений за Кавказом, II, СПб., 1836, стр. 199; შდრ. Ф. Леонтович, II, стр. 6.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით საურვადე თანხის ასეთსავე მკვეთრ სხვადასხვაობას ეხედავთ 1844 და 1866 წწ. ქურთათში, თაგაურში, ალაგირსა და დიგორში შეკრებილი ადათობრივი ნორმების მიხედვით[30], ისევე, როგორც სხვადასხვა თემებისა და სოციალური წრეების მიხედვით ანალოგიურ ვითარებას გვაცნობენ სხვა ლიტერატურული წყაროებიც[31].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ურვადის გადახდის წესს სამხრეთელ ოსებთან შედარებით მეტი სიმკაცრით ეკიდებოდნენ ჩრდილოელი ოსები. ჩვენ დავადგინეთ ისეთი შემთხვევაც კი, როდესაც ურვადში მისაცემი 123 ცხვრის ნაცვლად 122 სულის მიცემას კონფლიქტი გამოუწვევია და მდგომარეობის დაშოშმინების მიზნით ოჯახს, რომელსაც მხოლოდ სამი თხა დარჩენია, კიდევ ერთი თხა გაუგზავნია ქალის ოჯახისთვის. სამხრეთელი ოსების ყოფაში კი საპირისპირო ვითარება დამოწმდა. ურვადის გადახდით დამძიმებული მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით სამხრეთელ ოსებს შეუმუშავებიათ ერთი ისეთი წესი, რომელიც საქორწინო ცერემონიალში რიტუალის სახით დანერგილა. თანახმად ამ ჩვეულებისა, მეჯვარეს უფლება ჰქონია ქალის ოჯახის უფროსისათვის ეთხოვა: ერთი ხარი სიძეს აპატიეთო, ერთი მის მშობლებს დაუბრუნეთო, ერთიც მე მაჩუქეთო და ა. შ. ასეთ მიმართვას ფაქტიურად ფორმალური ხასიათი ჰქონია, ვინაიდან სიძის ოჯახისთვის ეკონომიური შეღავათის მიცემა თავიდანვე იყო მოფიქრებული, მაგრამ ურვადის გადახდის ძველი ჩვეულების აშკარა უგულებელყოფის მიჩქმალვის მიზნით მიმართავდნენ აღნიშნული ცერემონიით შენილბულ ხერხს და თითქოსდა სხვადასხვა პირის პატივისცემის მოტივით საქონლის გარკვეული ნაწილი სასიძოს ოჯახს რჩებოდა. ასეთ დათმობას ყოველთვის არ ჰქონია ადგილი, მაგრამ ცხოვრებაში ამ ჩვეულების დანერგვა, რომლის არსებობა არ დასტურდება ჩრდილო ოსეთში, იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ სამხრეთელ ოსთა ყოფაში ფეხს იკიდებდა ურვადისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. აღნიშნული ვითარება უნდა აიხსნებოდეს მათ მეზობლად მცხოვრებ ქართველთა ზეგავლენით, რომლებიც ეთნოგრაფიული მასალებით ხელმისაწვდომი

---

[30] Ф. Леонтович, II, стр. 33, 40—44, 67—68.

[31] История Юго-Осетии в документах..., II, стр. 202—203; Н. Дубровин, т. I, кн. I, стр. 333; Д. Шанаев, Свадьба у северных осетин, ССКГ, IV, стр. 11, 13—15; М. Ковалевский, Современный обычай и древний закон..., I, стр. 241—243; Е. Марков, Очерки Кавказа, стр. 195; К. Хетагуров, Быт горных осетин, стр. 22; Г. Чурсин, Осетины-стр. 86.

დროისათვის ურვადის გადახდის წესს არ მისდევდნენ. საერთოდ კი გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ შორეულ ისტორიულ წარსულში ქსნისა და ლიახვის ხეობებში მცხოვრებ ქართველებშიც ყოფილიყო სყიდვითი ქორწინების ჩვეულება. საქართველოში ამ ჩვეულების საყოველთაოდ არსებობაზე საკითხის დასმის შესაძლებლობას გვაძლევს თუნდაც ის გარემოება, რომ ჩვენი სამშობლოს ზოგიერთ კუთხეში (სვანეთი, ხევი) სყიდვითი ქორწინება XIX საუკუნეში ჯერ კიდევ მოქმედ წესს წარმოადგენდა[32]. როგორც ჩანს, ქსნისა და ლიახვის ხეობებში მცხოვრებმა ქართველებმა, საქართველოს ბევრი სხვა კუთხის წარმომადგენლებთან ერთად, სვანებსა და მოხევეებზე ადრე უარყვეს აღნიშნული ჩვეულება. შესაძლებელია ეს მომხდარიყო ოსთა მასობრივ ჩამოსახლებამდე ანდა ამ დროისათვის ურვადის გადახდის წესი მომაკვდავ სტადიაში ყოფილიყო. ასეთ ვითარებაში ოსებსაც თანდათანობით უნდა განეცადა მკვიდრი მოსახლეობის ზეგავლენა და ამის ნიადაგზე უნდა გაჩენილიყო ის კომპრომისი, რომელიც გამოხატულებას პოულობდა ურვადის ერთი ნაწილის სიძისთვის უკან დაბრუნების შესაძლებლობაში.

რამდენადაც ურვადის გაღება უშუალოდ იყო დაკავშირებული ოჯახის ეკონომიურ ინტერესებთან და საკუთრების ხასიათთან, გვერდს ვერ ავუვლით ოსეთში არსებული მრავალცოლიანობის ჩვეულებას, რომლის აუცილებელ წინაპირობას ასევე ურვადის გადახდა წარმოადგენდა.

ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალებიდან ჩანს, რომ ორცოლიანობის შემთხვევებს ადგილი ჰქონია XX საუკუნის დასაწყისშიც, ხოლო კაცი ურვადს აუცილებლად იხდიდა იმდენჯერ, რამდენჯერაც ის იქორწინებდა. მაგალითად, სოფ. ქვემო როკაში ორი ცოლი შეურთავს ნიკა პლიევს და ორჯერვე გადაუხდია ურვადი. პირველი ცოლის მამისთვის მას ჩაუბარებია 12 სული მსხვილფეხა საქონელი და 40 სული ცხვარი, ხოლო მეორედ ქორწინებისას, რაც პირველი ცოლის სიცოცხლეშივე მოხდა, მან ურვადში გაიღო ორი ძროხა და ერთი შეკაზმული ცხენი.

როდესაც ნიკა პლიევმა მეორედ იქორწინა, ის კვლავ თავის ძმებთან გაუყრელად ცხოვრობდა. გაუყრელად მყოფ ოჯახში რაკი ქონებაც გაუყოფელი იყო და ურვადის გადახდაც საერთო დოვლათიდან

---

[32] რ. ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, გვ. 87—98; ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 202—232.

ხდებოდა, ნიკამაც ურვადი ორჯერვე საერთო ქონებიდან გაიღო. მაგრამ, როგორც მთხრობლები აღნიშნავენ, ამ აქტით მოხდა ძველი ჩვეულების უგულებელყოფა, რომლის მიხედვით საერთო საოჯახო ქონებიდან ურვადის გადახდა ოჯახის წევრისთვის მიზანშეწონილად ითვლებოდა მხოლოდ ერთხელ. გაუყრელი ოჯახის ქონებიდან საურვადე დოვლათის მეორედ გამოყოფა დასაშვები იყო მარტოოდენ ცოლთან გაყრის ან დაქვრივების შემთხვევაში. ერთდროულად რამდენიმე ქალის ცოლად შერთვა და საამისო ხარჯების გაწევა კი ეწინააღმდეგებოდა დიდი ოჯახის ეკონომიურ ინტერესებს. ამის გამო მრავალცოლიანობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო დიდ ოჯახებად ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელი მოვლენა. ამ ჩვეულების დანერგვის შესაძლებლობა უნდა გაჩენილიყო ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრების პირობებში. როდესაც ქონების უშუალო მფლობელი იყო ერთი კაცი და ის სხვებისაგან დამოუკიდებლად თავის შეხედულებისამებრ აწესრიგებდა საქმეს.

როგორც მთხრობლების ჩვენებიდან ჩანს, პირველი ცოლის დაწუნებას და მეორის მოყვანას ან პირველ ცოლთან შეთანხმებით მეორედ ქორწინებას, ორი ცოლის ერთად ყოფნის პირობით, გამართლება ჰქონდა პირველი ცოლის უშვილობის შემთხვევაში. უშვილობის მოტივით მეორედ ქორწინება დასაშვები ყოფილა ოჯახის გაუყრელად ცხოვრების პირობებშიც. ეს იმდენად მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენდა, რომ შვილების შეძენის მიზნით უშვილო ქალის სხვა მამაკაცთან კავშირიც კი დასაშვებად ითვლებოდა. გენერალ გოლიცინის მიერ 1844 წელს შედგენილი ადათების კრებულში ამის შესახებ საგანგებოდაა აღნიშნული, რომ დიგორელთა ჩვეულების თანახმად, უშვილო ცოლის პატრონი კაცი ყალიმის გადახდით ირთავდა მეორე ცოლს, ხოლო პირველ ცოლს აძლევდა სხვა უცოლო კაცს, რომელსაც ყალიმს არ ართმევდა. თუ ამ კაცთან ქალს შვილები გაუჩნდებოდა, ეს შვილები ეკუთვნოდა პირველ ქმარს, რადგანაც მას ამ ქალში ყალიმი ჰქონდა გადახდილი[33].

ვინაიდან მეორედ ქორწინება უმთავრესად გამართლებული იყო უშვილობის მოტივით და ცოლის შერთვა უსათუოდ დაკავშირებული იყო ურვადის გადახდის მძიმე ვალდებულებასთან, ეს უკვე თავისთავად იმის მანიშნებელია, რომ ერთზე მეტი ცოლის შერთვა ისევე იშვიათი მოვლენა უნდა ყოფილიყო, როგორც საერთოდ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა ქალის უნაყოფობა.

---

[33] Ф. Леонтович, II, стр. 37.

მრავალცოლიანობის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი თითქოს მაჰმადიანობაც უნდა ყოფილიყო, რამაც ოსთა გარკვეულ ნაწილში პოვა გავრცელება, მაგრამ რამდენადაც ქორწინების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა ურვადის გაღება, ხოლო თავის მხრივ ამას ხელს უშლიდა დიდ ოჯახში არსებული კოლექტიური საკუთრების პრინციპები ან ინდივიდუალური ოჯახის პატრონი კაცის სიღარიბე, ამდენად მრავალცოლიანობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო მასობრივად გავრცელებული. ეს ჩვეულება ძირითადად ახასიათებდა შეძლებული ფენების საოჯახო ყოფას, ვინაიდან ურვადის რამდენჯერმე გადახდა შეეძლო მხოლოდ ეკონომიურად ძლიერ ოჯახს. ვახუშტის ცნობა იმის შესახებ, რომ „შეირთვენ მდიდარნი ორსა და სამს ცოლსა და დაბალნი — ერთსა"[34], ისევე როგორც მისივე დაკვირვება: „თუ განდიდნეს ანუ განმდიდრდეს ოვსი ანუ დვალი, ანუ შეირთავს ორ-სამს ცოლსა, ანუ აღაგებს კოშკსა, ანუ მოჰკლავს კაცსა"[35], ნათელსა და დამაჯერებელ პასუხს გვაძლევს ზემოთ დასმულ საკითხზე. ვახუშტის დაკვირვებით, მრავალცოლიანობა იყო პიროვნების აღზევების გამომხატველი მოვლენა, ისევე როგორც მისი ძლიერების ნიშანს წარმოადგენდა კოშკის აშენებისა და კაცის მოკვლის შესაძლებლობა.

ის გარემოება, რომ მრავალცოლიანობას მისდევდნენ პრივილეგიური ფენის წარმომადგენლები, რომელთა დაინტერესება, პირველ რიგში გამოწვეული იყო სახლში ზედმეტი მუშახელის მოყვანით, კარგად ჩანს XIX საუკუნის ლიტერატურიდანაც. როგორც წესი, თავის კანონიერ ცოლთან ერთად, რომლის შვილებიც საოჯახო დოვლათის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ, უფლებრივად დაბალი ფენების წრიდან კაცს მოჰყავდა რამდენიმე ქალი, რომელთა შვილები მოკლებული იყვნენ მემკვიდრეობის უფლებას. ეს მეორეხარისხოვანი ანუ არაკანონიერი ცოლი, რომელსაც ნ ო მ ი ლ უ ს (სახელობითი//სახელდებითი ანუ პირობითი ცოლი) ეწოდებოდა, თავისი მდგომარეობით იყო ნამდვილი შინამოსამსახურე, რომელიც ცხოვრობდა რა ბოსელში, მისი შვილი იწოდებოდა ქ ა ვ დ ა ს ა რ დ ა დ, რაც ნიშნავს ბაგაში დაბადებულს[36]. ეს უკანასკნელი, როგორც არაკანონიერი დედის შვილი და ამდენად როგორც ე. წ. „შავი" ანუ უუფლებო ადამიანი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა გამხდარიყო მამისეული ქონების მემკვიდრე, როდესაც მის მამას კანონიერი ცოლისაგან ვაჟიშვილი არ

---

[34] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 110.

[35] ი ქ ვ ე, გვ. 111.

[36] Kævdæs—ბაგა, Kævdæsard—ბაგაში დაბადებული (В. А б а е в, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, стр. 591).

ჰყავდა. რაც შეეხება თვით მის დედას, ის ქმრის ოჯახში ცხოვრების უფლებას მოკლებული არ იყო არა მარტო ქმრის სიცოცხლეში, არაუფრო მისი გარდაცვალების შემდეგაც. ის ამ მხრივ ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, იმ ქალთან შედარებით, რომელიც კაცს შეეძლო მოეყვანა მოტაცებული ტყვის სახით და ოჯახში მონის უფლებებით ჰყოლოდა. ამ უკანასკნელის შვილებიც არაკანონიერად ითვლებოდნენ და ყოველგვარ უფლებებს მოკლებული იყვნენ[37].

განხილული ეთნოგრაფიული მასალისა და სათანადო ლიტერატურის გაცნობის შემდეგ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საოჯახო და საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში ქალის უფლებრივი მდგომარეობა განისაზღვრებოდა მისი სოციალური წარმოშობით. მაგრამ ის რომელი ფენის წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო, ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებით მაინც არ სარგებლობდა. ამიტომ საოჯახო დოვლათის განაწილების დროს არც შეიძლებოდა დასმულიყო საკითხი გასათხოვარი ქალებისა და რძლებისთვის წილის გამოყოფის შესახებ.

*

* *

როგორც ზემოთ დავინახეთ, ოჯახის გაყრის მომენტში ზოგიერთი მოწილე გარდაცვლილი იყო, რომლისთვისაც განკუთვნილი წილის მიღების უფლება ენიჭებოდათ მის მემკვიდრეებს ვაჟიშვილების სახით. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა შვილების ასაკს. ობლების დედას წილი სრული სახით ბარდებოდა და ეს ქონება მისი ვაჟების ხელშეუხებელ საკუთრებას წარმოადგენდა, რომლის თანაბრად განაწილება მათ შეეძლოთ ცალ-ცალკე დაბინავების დროს. მთხრობლებმა ისიც აღნიშნეს, რომ მოწილეები ან მოწილეებთან ამ საკითხზე შეთანხმებული შუაკაცები (შუაკაცი — ъ ь ъ ъ ნ ი ლ ъ ъ) ქვრივს ყველაზე დიდ წილსაც კი აკუთვნებდნენ, ვინაიდან მას კისერზე აწვებოდა ობლების აღზრდის მძიმე მოვალეობა.

სულ სხვანაირად დგებოდა საკითხი მაშინ, როდესაც მოწილის ქვრივს მხოლოდ ქალიშვილები ჰყავდა. 1836 წელს თავმოყრილი ადათობრივი ნორმების მიხედვით, უშვილო ან მხოლოდ ქალიშვილების პატრონ ქვრივს ქმრისთვის წლისთავის გადახდამდე შეეძლო თავის

---

[37] Ф. Леонтович, II, стр. 14—18, 25, 31, 37, 68, 69; Н. Дубровин, т. I, кн. I, стр. 333; М. Ковалевский, Современный обычай и древний закон..., I, стр. 232—240, 295—300; Ѳ е ъ ъ е ъ, Современный обычай..., II, стр. 147.

განკარგულებაში ჰქონოდა ქმრის კუთვნილი ქონება. ერთი წლის შემდეგ ეს ქონება გადადიოდა გარდაცვლილის ბიძაშვილების ხელში. რომლებთანაც ქვრივი საცხოვრებლად დარჩებოდა. თუ ქვრივი მათთან ცხოვრებას არ მოისურვებდა, მის გასათხოვარ ქალებს ბიძაშვილები თავისთან ამყოფებდნენ, ხოლო ცალკე ცხოვრების მსურველ ქვრივს სარჩოდ გამოუყოფდნენ უმნიშვნელო ქონებას[38]. 1844 წელს შეკრებილი ასეთივე ხასიათის მასალებშიც აღნიშნულია, რომ ქვრივსა და მის ქალიშვილებს ეძლეოდათ მხოლოდ საარსებო სარჩო[39], ისევე როგორც 1866 წლის ადათების კრებულის მიხედვითაც საოჯახო ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებით ქვრივი არ სარგებლობდა[40].

ოჯახიდან ქვრივის ცალკე გამოყოფის საკითხი მისივე ინიციატივით შეიძლებოდა დასმულიყო ოჯახის გაყრამდეც. ასეთ ვითარებაშიც მას ეძლეოდა სარჩო საქონლისა და ფულის სახით, ხოლო შედარებით იშვიათად მიწის ნაკვეთიც. მ. კოვალევსკის ცნობით, ქვრივის გარდაცვალების შემდეგ მის სახელზე არსებული ქონება კვლავ მოწილე მამაკაცების ხელში გადადიოდა[41]. ამავე ავტორის ცნობით, გაუყრელ ოჯახში დარჩენის შემთხვევაში ქვრივი ისეთსავე მდგომარეობას ინარჩუნებდა, როგორიც ჰქონდა მას ქმრის გარდაცვალებამდე. მაგალითად, დაქვრივებამდე რომ ის დიასახლისი ყოფილიყო, დაქვრივების შემდეგაც მის საპატიო მოვალეობად რჩებოდა ისევ დიასახლისობა[42].

საყურადღებოა აღინიშნოს ისიც, რომ ოსური ადათი უძველ ქვრივს უფლებას აძლევდა ეფიქრა თავის მომავალზე. გარდაცვლილი ქმრის ნათესავებთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ თუ ის სხვა კაცთან იყოლიებდა ვაჟს და მას ქმრის გვარს მიაკუთვნებდა, ქვრივი მოწილის უფლებას იძენდა, ისევე როგორც მემკვიდრედ შეიძლებოდა ჩაეთვალათ ქვრივის ქალიშვილის ის ვაჟი, რომელიც დაიბადებოდა ქვრივის ოჯახში, ოღონდ იმ პირობით, თუ ქვრივის ქალიშვილისთვის ქმრის მოყვანის უფლება საზოგადოებასთან შეთანხმებული იქნებოდა[43]. მაგრამ როგორც მ. კოვალევსკიმ თავის დროზე შენიშნა, მემკვიდრეობის ამ წესის გამოყენება იშვიათად ხდებოდა[44]. ეს სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება, ვინაიდან ძესიძეობა (მ ი დ ᲐᲒ მ ო Ა — შინაგანი ქმარი), რო-

---

38 ფ. ლ ე ო ნ ტ ო ვ ი ч, II, стр. 6.

39 ი ქ ვ ე, გვ. 24.

40 ი ქ ვ ე, გვ. 74.

41 М. К о в а л е в с к и й, Современный обычай и древний закон.... I. стр. 259, 320.

42 ი ქ ვ ე, გვ. 257—258.

43 ф. Л е о н т о в и ч, II, стр. 74—75.

44 М. К о в а л е в с к и й, დასახ. ნაშრომი, გვ. 320.

მელიც განსაზღვრავდა ქალიშვილის ვაჟის მემკვიდრეობის უფლებას, ოსეთში საყოველთაოდ მიღებულ ჩვეულებას არ წარმოადგენდა. ბ. კოსვენის გამოკვლევით, სიმამრთან ესახლებოდა ღარიბი ახალგაზრდა, რომელსაც არ გააჩნდა რა ურვადის გადახდის შესაძლებლობა, 10—15 წელს გატარებული შრომით ახერხებდა ის ქალის გამოსყიდვას[45]. ასევე ეკონომიური ფაქტორი აქვს მხედველობაში ბ. ტოტროვსაც, როდესაც ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ძესიძეობა სამხრეთ ოსეთში იშვიათად ხდებოდა და ასაბუთებს, რომ ყველა აღწერილი შემთხვევა ეხება პატარა ოჯახს, რომელიც ქალის ბშობლების მოხუცებულობის გამო საჭიროებდა შრომისუნარიან კაცს[46]. ამდენად, მემკვიდრეობის ზემოაღნიშნული წესიც უმთავრესად დამახასიათებელი ჩანს ინდივიდუალური ოჯახის ცხოვრების პირობებისათვის და ის ისეთივე იშვიათი შემთხვევა უნდა ყოფილიყო, როგორც იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა სიმამრის ოჯახში სიძის დროებითი ცხოვრება თუ სამუდამოდ დამკვიდრება.

ჩვენ მიერ შეკრებილი მასალებიც იმის სასარგებლოდ მეტყველებენ, რომ დიდ ოჯახში ძესიძედ მოსვლა არ ხდებოდა და ამ ძალზე იშვიათ შემთხვევას ადგილი ჰქონდა მხოლოდ უკაცო პატარა ოჯახში. დიდი ოჯახის დანაწილებისა და თავისი ქალიშვილებით ქვრივის ცალკე გამოყოფის შემთხვევაშიც კი სახლში სიძის მიყვანა თითქმის შეუძლებელი იყო. თუ ინდივიდუალური ოჯახის, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიური ერთეულის პატრონს შეეძლო სიძე სახლში მიეყვანა და მისთვის თავისი მამული და სახლ-კარი ეანდერძა, ეს არ შეეძლო დიდი ოჯახიდან გამოყოფილ ქვრივს, ვინაიდან დიდი ოჯახი — ეს ეკონომიური ერთეული — იყოფოდა იმდენ ახალ ეკონომიურ ერთეულად (ახალ ოჯახებად), რამდენი მოწილეც ოჯახში იყო. რაკი ქალიშვილების პატრონი ქვრივი ასეთ მოწილეს არ წარმოადგენდა და მისი ცალკე გამოყოფით ახალი ეკონომიური ერთეული არ იქმნებოდა ინდივიდუალური ოჯახის სახით, ამიტომ მასთან ძესიძედ დასახლების შესაძლებლობაც არ არსებობდა.

ქვრივისა და მისი ქალიშვილების ცალკე დასახლებით ეკონომიური ერთეული არ შეიძლებოდა შექმნილიყო თუნდაც იმის გამო, რომ მამულზე საკუთრების უფლება მათზე არ ვრცელდებოდა. მამულს მათ აძლევდნენ მხოლოდ დროებით სარგებლობაში. ქვრივის გარდაცვალებისა და მისი ქალიშვილების გათხოვების შემდეგ კი ამ მამულს კვლავ

---

[45] М. Косвен, Этнография и история Кавказа, стр. 48.
[46] Б. Тотров, დასახ. ნაშრომი, გვ. 208—210.

ეპატრონებოდნენ ქვრივის მაზლები და მაზლების შვილები. სამაგიეროდ მათ ხელშეუხებელი საკუთრების უფლება ენიჭებოდათ ოჯახის გაყრის დროს მიცემულ სახლის ნაწილზე, საოჯახო ინვენტარსა და პირუტყვზე. ქალების გათხოვების შემდეგ ქვრივს ამ ქონებაზე ვერაფერ ვერ შეედავებოდა, ხოლო ქვრივის გარდაცვალების შემდეგ მის გათხოვილ ქალიშვილებს შეეძლოთ დედისეულ ქონებას დაპატრონებოდნენ. მათ სრული უფლება ჰქონდათ როგორც ბინის, ისე საქონლის გაყიდვისა, ოღონდ იმ პირობით, რომ პირველ რიგში ეს ეცნობებინათ თავისი ბიძა-ბიძაშვილებისათვის. სახლის, ინვენტარისა და საქონლის სხვაზე გაყიდვა მათ შეეძლოთ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც შინაური მყიდველი არ გამოჩნდებოდა. თუ ბინის მყიდველი ბიძაშვილი არ აღმოჩნდებოდა და ეს ბინა განაყრების საცხოვრებელი კომპლექსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, გარეშე კაცი ქვრივის მაზლების ხათრით თუ შიშით მის ყიდვას ვერ ბედავდა და ქვრივის წილი ძალაუნებურად მის მაზლებს ან მაზლების შვილებს რჩებოდათ. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ პატრონიმიული უბანი დასახლებული იყო ერთი გვარის წარმომადგენლებით. ქვრივის ბინის სხვაზე გაყიდვის შემთხვევებს რომ ჰქონოდა ადგილი, ეს გამოიწვევდა პატრონიმიული უბნის პოლიგენურობას. ოსეთის მთიანეთში კი ძველი უბნები უმთავრესად მონოგენური იყო.

როგორც ვხედავთ, მოწილის ქვრივი, რომელსაც ვაჟები ჰყავდა, სრულუფლებიან მოწილედ ითვლებოდა, ხოლო ქალების პატრონი ქვრივი არსებითად სარჩოს უნდა დასჯერებოდა. თითქმის ამ უკანასკნელის მდგომარეობაში იმყოფებოდა სულ მთლად უშვილო ქვრივიც. ის თუ მამის სახლში დაბრუნებაზე ან გათხოვებაზე აღარ იფიქრებდა და ქმრის ოჯახიდან გამოყოფის შემდეგ მაზლების მეზობლად დარჩებოდა საცხოვრებლად, მაზლები მას აძლევდნენ ერთი სულისთვის კუთვნილ სახნავ ნაკვეთს, ბინას და საქონელს. გარდა ამისა, ყველა ქვრივის (შვილიანის თუ უშვილოს) პირად საკუთრებად ითვლებოდა მზითევი, ხოლო სამხრეთ ოსეთში, ამასთან ერთად, სათაენოდან თავნი და მისი ნამატის ნახევარი. უშვილო ქვრივის გარდაცვალების შემდეგ მის სახელზე საერთო საოჯახო ქონებიდან გამოყოფილი ბინა, მამული, საოჯახო ინვენტარი და პირუტყვი რჩებოდათ მის მაზლებსა და მაზლიშვილებს, ხოლო მზითევსა და სათაენოს უბრუნებდნენ ქვრივის მამის სახლს.

ასეთ პირობებში იმყოფებოდა გარდაცვლილი ქმრის გაუყოფელ ოჯახში საცხოვრებლად დარჩენილი ან ცალკე დაბინავებული ქვრივი, მაგრამ თუ ის ამგვარ ცხოვრებას არ ისურვებდა, შეეძლო ერთწლიანი გლოვის შემდეგ საცხოვრებლად მამის სახლში დაბრუნებულიყო ან იქიდან მეორედაც გათხოვილიყო.

როდესაც ქვრივი მამის სახლში წასვლას და შვილების იქ აღზრდას გადაწყვეტდა, მის ვაჟებს მამისეული წილი სრული სახით ეძლეოდათ. ქვრივს უფლება ჰქონდა ყოველწლიურად დაემუშავებინა ქმრის წილი მამული, ხოლო საქონელი თან გაერეკა. დავაჟკაცებული ვაჟები შემდეგ ისევ მამის სახლში ბრუნდებოდნენ და მამულსაც ისინი ამუშავებდნენ. თუ ამ დროს მათი დედა ცოცხალი იყო, შვილებთან ერთად ისიც ქმრის კერას უბრუნდებოდა. შვილები კიდეც რომ აღარ დაბრუნებულიყვნენ მამის სახლში, მამისეულ მამულში მათ ვერავინ ვერ შეიცილებოდა, ისევე, როგორც ვერავინ ვერ აუკრძალავდა წილით კუთვნილი სახლის, ინვენტარის თუ საქონლის გაყიდვა-გასაჩუქრებას, ოღონდ კვლავ იმ პირობის დაცვით, რომ პირველ რიგში გათვალისწინებული ყოფილიყო ბიძებისა და ბიძაშვილების სურვილი.

ვაჟების მემკვიდრეობის უფლება მტკიცედ იყო დაცული მათი დედის გათხოვების შემთხვევაშიც. თუ ქვრივი შვილებიან ქვრივზე გათხოვდებოდა, მას შვილების თან წაყვანის უფლება არ ჰქონდა. ბავშვების აღზრდა ხდებოდა ბიძების მზრუნველობით, რომლებიც ძმიშვილების დავაჟკაცებამდე სარგებლობდნენ მათი კუთვნილი მამისეული მამულითა და საქონლით, ხოლო როდესაც ისინი ცხოვრების სარბიელზე გამოსვლას შესძლებდნენ, მამისეული ქონებაც უკლებლივ მათ ხელში გადადიოდა.

ქვრივს შვილებს ატანდნენ მხოლოდ უშვილო კაცზე გათხოვების შემთხვევაში. შვილები ღებულობდნენ რა მამისეულ წილს, მათ დედას და მამინაცვალს სრული უფლება ჰქონდათ ამ მამულით დროებით სარგებლობისა და საქონლის თან გარეკვისა, ხოლო როდესაც დავაჟკაცებული შვილები მამის სახლს უბრუნდებოდნენ, მამისეულ წილსაც კვლავ ისინი ეპატრონებოდნენ. დედა რჩებოდა მათ მამინაცვალთან, რომელთან შეძენილი ვაჟიც ითვლებოდა ამ კაცის უშუალო მემკვიდრედ. მამინაცვლის ქონებაზე გერებს ხელი მიუწვდებოდათ მხოლოდ მისი უძეოდ დაბერების შემთხვევაში. ასეთ ვითარებაში ქვრიეის ვაჟებს რჩებოდათ როგორც მამის, ისე მამინაცვლის წილი.

ქმრის ოჯახიდან მამის სახლში გადასვლა და იქიდან გათხოვება გაცილებით იოლ საქმეს წარმოადგენდა უშვილო ქვრივისთვის. მდგომარეობას ამარტივებდა უშვილობა, რის გამო ქვრივის წასვლასთან დაკავშირებით წილის გამოყოფის საკითხი კი აღარ დგებოდა, არამედ მას უბრუნებდნენ მარტოოდენ მზითევსა და სათავნოს მისი ნამატის ნახევრით.

ყოველივე ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოსის ოჯახიდან ქვრივის წასვლა და სხვაზე გათხოვება ყოველთვის უმტკივნეულოდ არ ხდებოდა. ეს იმიტომ, რომ ოსეთში თვით XIX საუკუნეშიც

კი შემონახული იყო ქვრივზე მაზლის დაქორწინების ჩვეულება ანუ ლევირატი. ეს იმდენად მტკიცედ მოქმედ წესს წარმოადგენდა, რომ 1859 წელს რუსეთის ხელისუფლებას საგანგებო დადგენილება მიუღია, რათა შეცვლილიყო ქვრივზე მაზლის იძულებითი ქორწინების წესი და ანგარიში გასწეოდა ქვრივი რძლის სურვილსა დადგენილება ითვალისწინებდა ქვრივისთვის სხვაზე გათხოვების უფლების მინიჭებას, ხოლო ქრისტიანთა შორის ლევირატის აკრძალვას[47], მაგრამ როგორც შემდეგი დროის ლიტერატურიდანაც[48] და ჩვენ მიერ შეკრებილი მასალებიდანაც ნათლად ჩანს, ეს დადგენილება არ განხორციელებულა. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისში რძალ-მაზლის შეუღლება არც თუ ისე იშვიათად ხდებოდა, რისთვისაც მნიშვნელობა არ ჰქონია შვილიანობა-უშვილობას. ქვრივს რომ შვილი ან რამდენიმე შვილიც ჰყოლოდა, უცოლო მაზლი მის შერთვაზე ამის გამო უარს არ ამბობდა, თუ კი ქვრივი რძალი მისი და ოჯახის წევრების მოწონებას დაიმსახურებდა. ქორწინების ხელშემშლელ მიზეზს არც ის წარმოადგენდა, რომ მაზლიც შვილების პატრონი ქვრივი ყოფილიყო, ანდა მაზლს შვილები ჰყოლოდა, ხოლო საცოლედ მოწონებულ რძალს კი არა. დაბოლოს, ქვრივ რძალს მაზლი ცოლად ირთავდა ისეთ ვითარებაშიც, როდესაც ორივე მათგანი უშვილო იყო.

როგორც მასალებიდან ჩანს, რძალ-მაზლის შეუღლებას აპირობებდა რამდენიმე ძირითადი ფაქტორი. ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტად მთხრობლები თვლიან შვილებისთვის ნორმალური პირობების შექმნის საჭიროებას. ოსებს მიაჩნდათ, რომ შეუღლებული რძალ-მაზლის შვილები მათ ხელში ბევრად უკეთესად იქნებოდნენ, რამდენადაც ქალის შვილებს მამინაცვლობას გაუწევდა ბიძა, ხოლო კაცის შვილების დედინაცვლად დგებოდა ბიცოლა. მნიშვნელოვან გარემოებად თვლიან ოსები იმასაც, რომ ბავშვები ერთიმეორისა იყვნენ ბიძაშვილები, რაც მათი კარგი ურთიერთობის საწინდარს წარმოადგენდა არა მარტო დიდ ოჯახში, არამედ ამ ოჯახის გაყრისა და მათი მშობლების გამოცალკევების შემდეგაც.

---

[47] Ф. Леонтович, II, стр. 50.

[48] М. Ковалевский, Современный обычай и древний закон..., I. стр. 260—264, 270—271; Дзиоев, Современный обычай..., II, стр. 35, 148; Дзиоев, Некоторые архаические черты семейного и наследственного права осетин. ЮВ, 1885. № 6-7, стр. 322—323; Н. Дубровин, т. I, кн. I, стр. 340; К. Хетагуров, Быт горных осетин, стр. 28—29; З. Ванеев, Из истории родового быта в Юго-Осетии, стр. 13, 73; Н. Такоева. К вопросу о браке и свадебных обрядов у северных осетин в XIX-начале XX века, КСИЭ, XXXII, 1959, стр. 24; Б. Тотров, დასახ. ნაშრ., გვ. 205—206; Б. Калоев, Осетины, 1967, стр. 185.

რძალ-მაზლის შეუღლების ერთ-ერთ განმსაზღვრელ მომენტად მთხრობლები ასახელებენ აგრეთვე რძლის გარეგნობასა და დამსახურებას და ბოლოს ქვრივის შერთვით დაინტერესებას საფუძვლად ედო ეკონომიური ფაქტორი — ურვადის თავიდან აცილება[49]. არსებული წესის თანახმად, რძალ-მაზლის შეუღლების შემთხვევაში ქალის მამას ურვადი აღარ ეძლეოდა, ვინაიდან ამ ქალის პირველი ქორწინების დროს მისი მამის ოჯახის სასარგებლოდ ურვადი უკვე გადახდილი იყო. ასე წყდებოდა საკითხი მაშინ, როდესაც რძალზე ქორწინებას მაზლი მოასწრებდა მამის სახლში ქვრივის გადასახლებამდე. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ერთწლიანი გლოვის შემდეგ ქვრივი მამის სახლში წავიდოდა და მაზლი მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტდა მის შერთვას, ურვადის გადახდა სავალდებულოდ ითვლებოდა. ქვრივში კუთვნილი სასყიდელის აღება მის მამას ისევე შეეძლო ამ ქვრივის მაზლისაგან, როგორც სხვა ნებისმიერი სასიძოსაგან, ვინაიდან თავისი ქმრეულების წინაშე ქვრივი ეალმოხდილად ითვლებოდა, მის მიმართ ქმრის ოჯახის უფლებები აღარ ვრცელდებოდა, მშობლებთან დაბრუნების დღიდან ის კვლავ მამის ოჯახის წევრს წარმოადგენდა და მისი შომავალიც ამიერიდან მამის ოჯახში მიღებულ გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული.

როდესაც რძალ-მაზლი შეუღლდებოდნენ დიდი ოჯახის გაყრამდე, რასაკვირველია, ქვრივისთვის კუთვნილი ქონების შესახებაც საკითხის დასმა გამორიცხული იყო, ვინაიდან გაუყოფელი ოჯახის ქონებაც გაუყოფელი იყო. ისეთ ვითარებაში კი, როდესაც რძალ-მაზლის შეუღლებას მალე დიდი ოჯახის გაყრაც მოყვებოდა, ისინი ქონებას ღებულობდნენ უფლებრივი ნორმების შესაბამისად. თუ ამ ქალის პირველი ქმარი მოწილედ ითვლებოდა და მისგან ვაჟიც ჰყავდა, ამ ვაჟის სახელზე დედას ეძლეოდა ერთი სრული წილი. ასევე სრული წილს მიიღებდა მეორე ქმარიც, თუ ის მოწილე იყო. ასეთ შემთხვევაში შეუღლებული რძალ-მაზლნი ქონების ორ წილს ღებულობდნენ, მაგრამ თუ ამ ქალის არც პირველი და არც მეორე ქმარი მოწილეებად არ ითვლებოდნენ და ისინი იყვნენ მოწილეთა შვილები ან შვილიშვილები, ე. ი. მესამე ან მეოთხე თაობის წარმომადგენლები, მათ სხვა გზა არ ჰქონდათ თუ არა ის, რომ მამისეულ წილზე სხვა ძმებთან ერთად გასულიყვნენ და

---

[49] იმის შესახებ თუ ურვადის გადახდის წესი ოსეთში რამდენად უწყობდა ხელს ლევირატის არსებობას, ჯერ კიდევ ვახუშტის ჰქონდა შენიშნული: „ერამედ თუ მოკუდეს ძმა ერთი, შეირთაეს მეორე ძმა თკსს ძმის ცოლსა, ვინადგან მისცემენ სახლის პატივად ქალის სახლეულს ი, კ, ლ და მ (ე. ი. 10, 20, 30, და 40-ე. ი.) ძროხასა, ბისთკს არღარა განუტეეებენ სხვის შერთვად, არამედ ირთვენ თკთვეს" (ე ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 110).

შხოლოდ იმას დასჯერებოდნენ, რაც ერგებოდათ ერთი წილის ნახევრის, მესამედის თუ მეოთხედის სახით. ეს დამოკიდებული იყო ერთ წილზე გასული ძმების რაოდენობაზე; მამის წილზე რამდენი ძმაც იჯდა, შემდეგში ეს ქონება იმდენ თანაბარ ნაწილად იყოფოდა.

•

• •

როდესაც ვეხებოდით მოწილეებს შორის ქონების განაწილების პრინციპს, ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით შესაძლებლად მივიჩნიეთ გვეთქვა, რომ დიდი ამაგის მქონე მოწილისთვის საუფროსოს მიკუთვნების წესი უნდა გაჩენილიყო საოჯახო თემის არსებობის იმ საფეხურზე, როდესაც მის შიგნით გზას იკაფავდა შრომითი კოოპერაციის ნორმები. დიდი ოჯახის არსებობის გვიანდელ საფეხურზე შრომითი კოოპერაციის ელემენტების დანერგვა-განვითარების კიდევ უფრო ნათელ გამოსახულებას ვხედავთ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ზედმეტი ქონება ეძლეოდა არა მარტო დიდი ამაგის მქონე ხანდაზმულ მოწილეს, არამედ როდესაც საოჯახო დოვლათი ნაწილდებოდა მის შემქმნელთა წვლილის შესაბამისად. საკითხისადმი ასეთი მიდგომის შედეგად მეტი უნდა მიეღო იმ მოწილეს, რომელსაც გაყრის დროისათვის სხვა მოწილეზე რიცხობრივად მეტი და თანაც ამაგიანი შვილები ჰყავდა. ამგვარი პრინციპი დასდებია საფუძვლად, მაგალითად, ტიგიევების გაყრას სოფ. ჭაშაში (ქსნის ხეობა). თავდაპირველად ამ ოჯახში იყო რა ორი მოწილე (ქუცა და ხიხი), მათი გარდაცვალების შემდეგ, მოწილეებზე ქონების თანასწორად გაყოფის პრინციპის შესაბამისად, ქუცას შვილს დათიკოს იმდენივე ქონება მიუღია, რამდენიც ხიხის ორ შვილს — კონსტანტინესა და შაქროს. სამაგიეროდ მოწილეებზე ქონების გაყოფის პრინციპი დარღვეულა კონსტანტინესა და შაქროს შვილების გაყრისას. კონსტანტინეს ხუთ შვილსა და შაქროს ერთ შვილს მამების გარდაცვალების შემდეგ ქონება ექვს თანაბარ ნაწილად გაუყვიათ, მაშინ, როდესაც ძველი წესის მიხედვით შაქროს ერთ შვილს იმდენი უნდა შეხვედროდა, რამდენიც კონსტანტინეს ხუთივე შვილს ერთად, ვინაიდან მოწილეები იყვნენ კონსტანტინე და შაქრო.

შრომითი დამსახურების მოტივი დაედო საფუძვლად ჯიქაევებს შორის ქონების განაწილებასაც, როდესაც უფროს მოწილეს ანდის ორი სახლიდან ერთი სახლი თავისი დახურული კალოთურთ საუფროსოს სახით მიაკუთვნეს, ხოლო ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონება სამ წილად ჩაუგდიათ, რომელთაგან ორი წილი მიუციათ ანდისა და მისი ექვსი შვილისთვის და მხოლოდ ერთ წილზე გაუყვანიათ ნიკო მისი ხუთი ვაჟით.

როგორც თვით ანდის შვილმა ცაბილამ გვითხრა, მათ მიერ ორშაგწილის გამოტანის საფუძველი იყო გაბილასა და მისი ძმების დიდი ამაგი თავიანთ უმცროს ბიძაშვილებთან შედარებით, მაგრამ იმავე მთხრობლის განმარტებით, ქონების ამ პრინციპით გაყოფა ძველად არ ხდებოდა, რამდენადაც, მამაპაპური ტრადიციის მიხედვით, გათვალისწინებული იყო მხოლოდ მოწილე, როგორც იურიდიული პირი და არა მისი დამსახურება, ასაკი, შვილების რაოდენობა თუ შვილების წლოვანება და ამაგი.

ტიგიევებისა და ჯიქაევების ოჯახების მიერ ქონების განაწილების ფაქტები გვაცნობენ გვიანდელ ვითარებას, როდესაც დიდი ოჯახისთვის ნიშანდობლივი რიგი ელემენტების მოშლასთან ერთად ცვლილებებს განიცდიდა ქონების გაყოფის ადრინდელი წესიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციული ნორმებიდან ასეთი მკვეთრი გადახვევა დიდი ოჯახის არსებობის ბოლო პერიოდშიც კი იშვიათად ხდებოდა. ძველი თაობის წარმომადგენლები მამაპაპურ ჩვეულებებს ისე იოლად არ ელეოდნენ და თუ ამაგიანი მოწილისთვის საუფროსოს გამოყოფის ან შრომით დამსახურებული სხვა წევრებისთვის (არა მოწილეებისთვის) დოვლათის მიკუთვნების საკითხი დადგებოდა, საამისოდ გათვალისწინებული ყოფილა მხოლოდ პირუტყვი ან რაიმე ნივთი. რაც შეეხება მამულს, ის უნდა გაეყოთ მხოლოდ მოწილეებზე. ტიგიევებმა და ჯიქაევებმა კი მამულის გაყოფის ეს წესიც უგულებელყვეს, რაც, მთხრობლების განმარტებით, ითვლებოდა ტრადიციული ნორმების უხეშ დარღვევად ისეთ ვითარებაშიც კი, როდესაც ამაგიანი მშრომელისთვის (თვით არამოწილისთვისაც კი) საქონლის მიკუთვნებით შრომის დაფასების წესი საოჯახო ყოფაში უკვე ახალი ელემენტის სახით ინერგებოდა[50]. ამგვარი ტენდენცია განსაკუთრებით მკვეთრად შეიმჩნეოდა ჯიქაევების ტიპის ოჯახში, რომლისთვისაც შემოსავლის ძირითად წყაროს აღებ-მიცემობა წარმოადგენდა და ქონებასაც ის მიიღებდა მეტს, რომელიც ამ საქმეში სხვებზე მეტად იყო გაწაფული.

მაშასადამე, საოჯახო ქონების დანაწილების სფეროში ასეთი

---

[50] ქონების განაწილების მომენტში რომ ოჯახის წევრის ამაგს ყურადღება ეჰცეოდა, ეს ჯერ კიდევ მ. კოვალევსკის ჰქონდა შენიშნული. მისი ცნობით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც ძმისწული იმდენსაც ღებულობდა, რამდენსაც მისი ბიძა. ამის მიზეზად მკვლევარს მიაჩნდა მაჰმადიან ოსთა ყოთახი შარიათის გავლენა, ხოლო ქრისტიან ოსებში რუსული კანონმდებლობის ზემოქმედება (М. Ковалевский, Современный обычай и древний закон..., I, стр. 321).

მ. კოვალევსკის ამ განმარტებიდანაც აშკარად ჩანს, რომ შრომითი წელილის მიხედვით საოჯახო ქონების განაწილების წესი ოსეთში ისევე ახალი მოვლენაა, როგორც შარიათის მოძღვრების გავრცელება თუ რუსული წესრიგის შემოტანა.

მკვეთრი ცვლილებები უკავშირდება კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას, რომლის ლოგიკური შედეგი იყო იმ პირთა პრიორიტეტის გაზრდა, რომლებიც სხვებზე მეტს შოულობდნენ და ქონების განაწილების მომენტშიც ხმას ამ მოტივით იმაღლებდნენ. საზოვადოებრივი ურთიერთობის განვითარების ამგვარმა ტენდენციამ საოჯახო თემს თანდათანობით გამოაცალა ტრადიციული საფუძვლები, მასში დანერგა შრომითი კოოპერაციის აშკარად გამოხატული ნორმები და ამით დააჩქარა მისი მოსპობაც. როგორც კავკასიის სხვა ხალხების, ოსების ყოფაშიც XIX საუკუნის ბოლომდე გადმონაშთური ფორმით შემონახული საოჯახო თემმა მესაფლავის როლში კაპიტალიზმი მოგვეელინა.

სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად, როგორც ამის შესახებ სამართლიანად მიუთითებენ ოსეთის ეთნოგრაფიის საბჭოთა მკვლევრები, საოჯახო თემის შიგნით პირადი საკუთრებისადმი ინტერესს ზრდიდა და ინდივიდუალურ ოჯახებად დასახლებას ხელს უწყობდა აგრეთვე საშოვარზე გასვლა (სამუშაოდ სხვაგან წასვლა), რაც განსაკუთრებით ფართოვდება XIX საუკუნის მეორე ნახევარში და რაც, პირველ რიგში, დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა სამრეწველო პუნქტებთან ახლო მცხოვრები მთიელებისა და ბარელების ყოფისათვის[51].

სამხრეთ ოსეთის მასალებზე დაყრდნობით გ. ჩურსინს უფრო ადრე ჰქონდა შენიშნული, რომ საშოვარზე გასვლა მეტ-ნაკლებ შემოსავალზე მყოფ ოჯახის წევრებს შორის წინააღმდეგობას ბადებდა და ეს უწყობდა ხელს განკერძოებისაკენ სწრაფვას. ყოველივე ამის საფუძვლად გ. ჩურსინს მიაჩნდა მიწების ნაკლებობა, რომელიც მთიელს აიძულებდა შემოსავლის სხვა წყარო მოეძებნა[52].

რასაკვირველია, საშოვარზე გასვლამ და პირადი საკუთრების შეძენით დაინტერესებამ ხელი შეუწყო ინდივიდუალიზაციის პროცესს, მაგრამ დასაბუთებულად არ გვეჩვენება იმის მტკიცება, თითქოს ყოველივე ამის მიზეზი იყო მიწების ნაკლებობა. უადგილმამულობა თავისთავად აიძულებდა კაცს, რომ მას დამატებითი საარსებო წყაროების გამონახვაზე ეფიქრა, მაგრამ უმამულობა ოჯახის დანაწევრების წინაპირობას როდი წარმოადგენდა. ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ამ მხრივ საწინააღმდეგო სურათი იხატება.

---

[51] З. Ванеев, О некоторых процессах изменений в семье и семейном быту Юго-Осетинской колхозной деревни, ИЮОНИИ АН ГССР, VII, стр. 189; Б. Тотров, დასახ. ავტორეფერატი, გვ. 14; Б. Калоев, Осетины. 1967, стр. 183.

[52] Г. Чурсин, Осетины, стр. 37—38.

როგორც მთხრობლებმა გადმოგვცეს, მცირემიწიანობა იყო ოჯახის გაუყრელობის ერთ-ერთი მიზეზი, რამდენადაც გაყრის შედეგად ისედაც მცირე ნაკვეთების დაქუცმაცების შემთხვევაში იბადებოდა განაყრების უმიწოდ დარჩენის საშიშროება. და თუ მიწების ნაკლებლობა ოჯახის გაყრას იწვევდა, ეს პროცესი რატომ არ იყო ასეთივე მასშტაბით წარმოდგენილი იმავე მცირემიწიანობის პირობებში თუნდაც ა. იანოვსკისა და მ. კოვალევსკის მიერ აღწერილ პერიოდში, ე. ი. XIX საუკუნის 30-იან ან 80-იან წლებში? ან კიდევ რატომ არა გვაქვს ანალოგიური ვითარება ქართველ მთიელთა ყოფაში, რომლებიც ამ მხრივ არანაკლებ გაჭირვებაში იმყოფებოდნენ?

ამაზე პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ დიდი ოჯახის მოსპობის მიზეზი მცირემიწიანობა კი არ ყოფილა, არამედ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება, რამაც თავის ორომტრიალში ჩაითრია როგორც უადგილმამულო, ისე და ზოგჯერ კიდევ უფრო მეტად შეძლებული ოჯახებიც. მცირემიწიანობა რომ ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტორი ყოფილიყო, მისი ასეთი როლი კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამდეც უნდა გამოჩენილიყო.

როგორც ცნობილია, ქართული საოჯახო თემი შესწავლილია სხვადასხვა სამეურნეო პირობების მქონე კუთხეების მიხედვით[33]. მათ შორის ისეთი კუთხეების მაგალითზე, რომლებიც განიცდიდნენ მიწების ნაკლებობას, მაგრამ საოჯახო თემის ძირითადი ნიშნები ასეთ რაიონებში უფრო რელიეფურად იყო გამოკვეთილი, ვიდრე სახნავ-სათესი ადგილებით მდიდარ ზოლში. მთიელთა საოჯახო მეურნეობაში ოუ ამ მხრივ მძიმე პირობები იყო, სამაგიეროდ მესაქონლეობის სახით არსებობდა მეურნეობის მეორე დარგი, რომელსაც საოჯახო ეკონომიკაში მთავარი როლი ეკუთვნოდა და გაუყრელი ოჯახის არსებობის მყარ საფუძველს წარმოადგენდა. ამიტომ საოჯახო თემის დაშლის მთავარ წინაპირობად მცირემიწიანობის აღიარება ოსეთისთვისაც უადგილოდ გვეჩვენება.

ამავე პერიოდისათვის საოჯახო ურთიერთობაში ღრმავდება ძალმომრეობის ტენდენცია. რასაკვირველია, მისი გამოვლინება ხდებოდა ყოველ ეპოქაში, მაგრამ როდესაც ოჯახის წევრთა სადავო საქმეს თემის კაცები აწესრიგებდნენ და ტრადიციას ჯერ კიდევ ძალა ჰქონდა, უსამართლობასაც რამდენადმე ფრთები ეკვეცებოდა. იმის შემდეგ კი, როდესაც კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ ტრადიციის როლი შეასუსტა და დიდ ოჯახს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, მოწილეებს შორის თანასწორუფლებიანობის დაცვაც

[33] Р. Харадзе, Грузинская семейная община, т. I, 1960, т. II, 1961.

მხოლოდ მათ პირად ურთიერთობაზეღა იყო დამოკიდებული. XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში სოფლის ბჭეების იმედზე ყოფნა საქმეს ყოველთვის ვერ შველიდა. ამ პერიოდში ზოგჯერ ადგილი ჰქონია საოჯახო ნორმების მოშლას, რაც პირველ ყოვლისა გამოხატულებას პოულობდა ქონების უთანასწოროდ განაწილებაში. სანიმუშოდ დავასახელებთ ხანიკიევების ოჯახს, რომლის გაყრის მომენტშიც (1920 წ.) მოწილედ ითვლებოდა ხუთი ძმა: ალიკ, გის, ხადო, გაბიე და ბიმბოლ.

ხადო დაკავშირებია მეკობრე ქისტებს და მთავარ საქმიანობად გაუხდია ხარების პარვა. ძმებს ის ვერ შეჰგუებია, მათთან ერთად შრომის ფერხულში არ ჩაბმულა და გადაუწყვეტია ცალკე გამოყოფა. მას თითქმის მთლიანად მიუთვისებია ხარები და დაუჭერია მამულის საუკეთესო 1/5 ნაწილი. ძმებმა შიშით ვერ გაუბედეს წინააღმდეგობა. ამის შემდეგ მათ ერთხანს კვლავ ერთად ყოფნა გაგრძელეს და როდესაც გაყრა მოისურვეს, ამ დროისათვის ხადო უკვე გაციმბირებული იყო. ისინი გაყრილან ორ ოჯახად: ალიკი ცალკე გამოსულა, ხოლო დანარჩენები ერთ ჭერქვეშ დარჩენილან. ძველი ადათის მიხედვით, ოთხი წილიდან ერთი უნდა შეხვედროდა ალიკს, ხოლო სამი წილი ერთად მყოფ სამ ძმას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც დაურღვევიათ თანასწორუფლებიანობის პრინციპი. ერთადერთი ის, რით სარგებლობაც ალიკს სხვების თანაბარი უფლებით შეეძლო, ყოფილა წისქვილი, რომელიც საზიაროდ დაუტოვებიათ. სხვა ყველაფერი თავისი უფროსი ძმისთვის გაცილებით ნაკლები მიუციათ: სახლი და კალო სამ ძმას დაუჭერიათ და ალიკისთვის იქ წილი არ გამოუყვიათ. 18 დღიური მამულიდან ალიკისთვის გაუმეტებიათ მხოლოდ სამი დღიური. პირუტყვიდან კი ალიკისთვის მიუციათ ერთი ხარი და ერთი ძროხა, მაშინ როდესაც მის ძმებს დაუსაკუთრებიათ 10 ხარი, 15 ძროხა და 30 ცხვარი. ბოლოს, როდესაც სამი ძმაც გაიყარა, მათ გაუყვიათ გაციმბირებული ძმის წილი მამულიც, საიდანაც ერთი დღიური ალიკისთვისაც ურგენიათ.

ასე აშკარად გამოხატულ ძალმომრეობასთან ერთად ზოგიერთი მოწილე იდილობდა ზედმეტის მითვისებას თანამოწილეების მოტყუების გზით, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ ბოლოთაევების ოჯახში, როდესაც სხვებზე უფრო მოხერხებულმა ტატემ რამდენიმე სული პირუტყვი მიიტაცა იმ მოტივით, თითქოს მას ხელი მიუწვდებოდა ცოლის სათავნოს ნამატზე. თვითნებობის ასეთსავე გზას დასდგომია მალხაზ ძებისოვი სოფ. ჩიგოიანში (ქსნის ხეობა), რომელსაც თავის ორ უმცროს ძმასთან გაყრისას მიუთვისებია რვა ხარიდან ოთხი ხარი, ხოლო შვიდი ძროხიდან სამი ძროხა. ასეთი უსამართლო-

ბის გამართლებას ის ცდილა ჯერ ერთი იმ საბუთით, თითქოს ძმებს შორის ხნით უფროსობის გამო მას საუფროსოზე ხელი მიუწვდებოდა, ხოლო მეორე ძირითად არგუმენტად წამოუყენებია ცოლის სათავნოზე საკუთრების უფლება. სინამდვილეში ასეთი პრეტენზიები უსაფუძვლო იყო, ვინაიდან სათავნო საოჯახო ქონების განაწილებამდეე გადადიოდა მისი მესაკუთრე რძლის ხელში და წილების გაყოფისას მასზე საკითხი აღარ უნდა დასმულიყო, ხოლო საუფროსოს მიღებაც უნდა მომხდარიყო მოწილეების თანხმობით და არა ძალმომრეობით.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საოჯახო თემის არსებობის გვიანდელ საფეხურზე ჩნდება და ვითარდება რიგი ისეთი მოვლენები, რომლებიც არ იყო დამახასიათებელი ამგვარი ტიპის ოჯახის განვითარების ადრინდელი ეტაპებისათვის. თუ უფროსი მოწილის სახელზე საუფროსოს გამოყოფის, ანდა შრომით მოპოვებული დამსახურების მიხედვით ქონების განაწილების ზემოთ აღწერილი წესი უცხო იყო საოჯახო თემის ტრადიციებისათვის და ჩნდება მისი რღვევის საფეხურზე, მით უფრო ეს შეიძლება ითქვას ჩვეულებაზე, რომლის მიხედვით დასაშვებად ითვლებოდა ოჯახის გაყრა მშობლების სიცოცხლეში.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, დიდი ოჯახის გაყრა მიზანშეწონილი იყო მხოლოდ პირველი თაობის წარმომადგენელთა გარდაცვალების შემდეგ. იღებენ რა ამ გარემოებას მხედველობაში, მთხრობლები აღნიშნავენ, რომ მშობლების სიცოცხლეში ოჯახის გაყრის წესი გვიანდელი მოვლენაა, რაშიაც ეჭვის შეტანა არ შეიძლება. რაკი ეს წესი საოჯახო თემის არსებობის გვიანდელ საფეხურზე ჩნდება და საოჯახო ურთიერთობის სფეროში ამის შედეგად სათანადო ცვლილებები ხდება, საჭიროდ მიგვაჩნია ქვემოთ მოკლედ გავეცნოთ როგორც მშობლების გარდაცვალებამდე ოჯახის გაყრის წესს, ისე შესაბამისი ეკონომიური ურთიერთობის ნორმებს.

მშობლების გარდაცვალებამდე ოჯახის გაყრის შემთხვევაში მოწილეების როლში გვევლინებოდნენ კვლავ მათი შვილები, ე. ი. მეორე თაობის წარმომადგენლები. მშობლიბს წილი არ ეძლეოდათ, რამდენადაც მოწილეობის უფლებით ისინი არ სარგებლობდნენ. ოსთა საოჯახო ყოფაში კვლავ გრძელდებოდა ადრინდელი ტრადიცია, რომლის მიხედვით მშობლებისთვის წილის მიცემის საკითხი არ დგებოდა, რამდენადაც ოსური ადათით მშობლების სიცოცხლეში ოჯახის გაყრა არ ხდებოდა. მაგრამ გამონაკლის შემთხვევაში რაკი ძველადაც ჰქონია ადგილი ადათობრივი ნორმების დარღვევას და ამგვარმა შემთხვევებმა მით უფრო იმატა საოჯახო თემის არსებობის

გვიანდელ საფეხურზე, ხალხსაც ძალაუნებურად უნდა ეფიქრა სათანადო წესების შექმნაზე. ოსთა საოჯახო ყოფაში ერთ-ერთ ასეთ წესად მიგვაჩნია მშობლებისთვის რამდენიმე სული ცხვარ-ძროხის მიკუთვნება.

ოჯახის გაყრის შემდეგ მშობლებს შეეძლოთ როგორც დამოუკიდებლად დასახლება, ისე რომელიმე შვილთან დარჩენა. ეს დამოკიდებული ყოფილა მათ არჩევანზე, მაგრამ კონკრეტული მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ მშობლები საცხოვრებლად რჩებოდნენ უმთავრესად უმცროს შვილთან, რამაც სათანადო ასახვა პოვა ოსურ ადათებშიც. 1844 წ. ვლადიკავკაზის ოკრუგში ნორდენსტრენგის მიერ შედგენილი კრებულის ერთ-ერთ მუხლში აღნიშნულია, რომ დედა თავისი გასათხოვარი ქალებით რჩებოდა სულ უმცროს შვილთან[54]. 1866 წ. დიგორის ადათობრივი ნორმებიდანაც ჩანს, რომ დედის შენახვა ევალებოდა უმცროს შვილს[55], ხოლო იმავე წლის თაგაურ-ქურთათის ადათებში ვკითხულობთ: დედა რჩებოდა უმცროს შვილთან, მაგრამ თუ მასთან არ ისურვებდა, შეეძლო სხვა რომელიმე შვილთან ყოფილიყო. ქალები დედასთან ერთად იმყოფებოდნენ, ხოლო მედიატორების გადაწყვეტილებით დედას ეძლეოდა ქონების გარკვეული ნაწილი[56]. 1866 წ. ადათებში ასევე აღნიშნულია: დიგორში რომ ოჯახის გაყრა მამის სიცოცხლეში მომხდარიყო, მამა იღებდა სამარხო წილს[57]; მთიელი კუსაგონების წესის მიხედვით მამას ეძლეოდა მიწის ნაკვეთი, ხარი, ძროხა, ხუთი-ექვსი ცხვარი, თითო ტომარა ქერი და ხორბალი და ის საცხოვრებლად რჩებოდა უმცროს შვილთან[58]; ნარ-მამისონის ადათების მიხედვითაც, მამა ღებულობდა მიწის ნაკვეთს, ხარსა და ძროხას[59].

ნარელთა ყოფის შესწავლის შედეგად კ. ხეთაგუროვიც იმ გარემოებაზე მიუთითებდა, რომ დედას დასამარხი ქონება ეძლეოდა და ის იმ შვილთან მიჰქონდა, რომელთანაც ცხოვრებას არჩევდა[60], ხოლო სამხრეთ ოსეთის სათანადო მონაცემების საფუძველზე მ. კოსვენმა აღნიშნა: მშობლები საცხოვრებლად რჩებოდნენ ერთ-ერთ შვილთან ან ერთად მცხოვრებ რამდენიმე შვილთან. ძველ დროს რჩებოდნენ უმცროს ვაჟთან. მეორე ცნობის მიხედვით კი, მამა

---

[54] ფ. ლეონტოვიჩ, II, стр. 24.
[55] ი ბ ე ი, გვ. 74.
[56] ი ბ ე ი, გვ. 77.
[57] ი ბ ე ი, გვ. 73.
[58] ი ბ ე ი, გვ. 76.
[59] ი ბ ე ი, გვ. 77.
[60] К. Хетагуров, Быт горных осетин, стр. 29.

რჩებოდა უფროს შვილთან, ხოლო დედა უმცროსთან. მამას მიწის ნაკვეთისა და დედას საქონლის სახით ეძლეოდა სამარხად საჭირო ქონება[61].

მშობლების სახელზე საერთო ქონებიდან გამოყოფილი დოვლათი, რომელსაც ოსურად ეწოდება ხისთარი ხაᲐ (საუფროსო წილი ანუ სამარხო), განკუთვნილი იყო მშობლების სარჩოდ, ხოლო გარდაცვალების დროს საქელეხოდ[62]. აღნიშნულ დოვლათს სამარხო ეწოდებოდა ერთი მხრივ ისეთ ვითარებაში, როდესაც ოჯახის გაყრა მოხდებოდა მშობლების ღრმა მოხუცებულობის ჟამს, ხოლო მეორე მხრივ, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ოჯახის გაყრის მომენტში მშობლებს ჯერ კიდევ სიბერე არ აწუხებდათ. როდესაც ოჯახის გაყრა ხდებოდა მშობლების გადაბერების დროს, მათთვის გამოყოფილი დოვლათისადმი სამარხოს წოდება გამართლებული ჩანს, რამდენადაც მათი აღსასრულის დღე მოახლოებული იყო და ეს დოვლათიც უფრო მათსავე ქელეხში შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული, ვიდრე მათ სარჩოდ. რაც შეეხება მეორე მომენტს, როდესაც ოჯახი იყრებოდა მშობლების დაბერებამდე, მათთვის კუთვნილი დოვლათისადმი სამარხოს წოდება შეუსაბამოდ გვეჩვენება, ვინაიდან ამ დოვლათს ისინი სიკვდილამდე ბევრად ადრე სარჩოდ იყენებდნენ.

როგორც ვხედავთ, მშობლების სახელზე გამოყოფილი დოვლათი სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვა დანიშნულებისა იყო, მაგრამ ორივე შემთხვევაში ერთი სახელწოდებით აღინიშნებოდა.

ტერმინ სამარხოს ამ ორმხრივი მნიშვნელობით ხმარების მიზეზი რომ გავარკვიოთ, უნდა გავითვალისწინოთ საოჯახო ურთიერთობის განვითარების საფეხურები. მხედველობაში გვაქვს საოჯახო თემის არსებობის გვიანდელი ეტაპი, როდესაც ოჯახის დაყოფა მამის სიცოცხლეში ოსებმაც წესად შემოიღეს. ამ წესში თავის მხრივ, შეინიშნება ორი საფეხური. თავდაპირველად ოჯახის გაყრა დასაშვები უნდა ყოფილიყო მხოლოდ მშობლების ღრმა მოხუცებულობის ჟამს.

---

[61] М. Косвен, Этнография и история Кавказа, стр. 14.

[62] ქართული სამარხო-ს პირდაპირი თარგმანია ოსური мархойаг (იხ. პ. სანაკოევი, ქართულ-ოსური ლექსიკონი, სტალინირი, 1955, გვ. 321), მაგრამ ვინაიდან ოსურად უფროსს (უხუცესს) ეწოდება хыздæр (იგივე ლექსიკონი, გვ. 367), ხოლო აღნიშნული ქონების გამოყოფა გათვალისწინებული იყო უფროსებისთვის (მშობლებისათვის), ამიტომ ქართული სამარხოს შესატყვისად ოსურში იხმარება საუფროსოს აღმნიშვნელი ხისთარი ხაᲐ (საუფროსო წილი). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქელეხს ოსურად ეწოდება хист (იგივე ლექსიკონი, გვ. 381). ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ოსური ხისთარი ხაᲐ-ს მნიშვნელობით ვიხმაროთ ქართული სამარხო (ანუ საქელეხო).

მოგვიანებით კი, როდესაც კიდევ უფრო გაღრმავდა დიდი ოჯახების დაშლის პროცესი, აღარც მშობლების ასაკს ექცეოდა ყურადღება და თუ მათი შვილები ცალ-ცალკე ცხოვრებას გადაწყვეტდნენ, მშობლების დაბერებამდე ოჯახის გაყრას წინ აღარაფერი უდგებოდა.

მშობლებისთვის განკუთვნილი ქონების სახელწოდებად სამარხო შემოღებული უნდა იყოს საოჯახო ურთიერთობის იმ საფეხურზე, როდესაც ოჯახის სეგმენტაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ მშობლების ღრმა სიბერეში ყოფნის დროს, ვინაიდან ცნება სამარხო ასეთ ვითარებაში, მართლაც, ამ სახელწოდების ქვეშ ნაგულისხმევი ქონების დანიშნულების გამომხატველი იყო. ამ სახელწოდების სესხებასა და მექანიკურ გადმოტანასთან უნდა გვქონდეს საქმე მოგვიანო პერიოდშიც, როდესაც ოჯახი ზოგჯერ იყრებოდა მშობლების დაბერებამდე და მათთვის გამოყოფილ ქონებასაც, რომელიც არსებითად მათ სარჩოს წარმოადგენდა, კვლავ სამარხო ეწოდებოდა. როგორც ვხედავთ, ოჯახის განვითარების შედარებით ადრინდელ საფეხურზე გაჩენილი და მომაკვდავი მშობლებისთვის საქელეხოდ განკუთვნილი ქონების აღმნიშვნელი ცნება შემდგომში შეუსაბამოდ ჩანს გამოყენებული შედარებით ახალგაზრდა მშობლებისთვის გამოყოფილი სარჩოს აღსანიშნავად.

ძირითადად ასეთი სურათი გვეხატება იმ მასალის მიხედვით, რომელიც შეეხება ოჯახის გაყრის წესსა და ქონების განაწილების პრინციპს საოჯახო ურთიერთობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახის გაყრის დროს სულების რაოდენობის შესაბამისად ხდებოდა მხოლოდ იმ წლის სარჩოს (პურეულისა და პროდუქტების) განაწილება. ზოგიერთი სახეობის ქონების (წისქვილის, ქალოს, ღუმლის, საარაყე ან სალუდე ქვაბის და სხვ.) გაყოფა კი ზოგჯერ ვერ ხერხდებოდა და განაყრებს შორის საზიაროდ მოიხმარებოდა[63]. ისტორიულ წარსულში ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ყოფილა კოშკი, რომელიც თითქმის ყველა შემთხვევაში ეკუთვნოდა პატრონიმიას, ე. ი. ერთი კერიდან განაყარი ოჯახებით დასახლებულ უბანს. ასეთ უბანში იდგა როგორც კოშკი, ისე მამაპაპური სახლი და განაყართა მიერ ამ სახლის ირგვლივ მიშენებული საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსები. დიდი ოჯახების სეგმენტაციის საფუძველზე

---

[63] დიგორელთა 1866 წლის ადათობრივი ნორმების მიხედვით, ოჯახის გაყრის შემდეგ ქალო და წისქვილი რჩებოდა განაყრების საერთო სარგებლობაში, ხოლო სალუდე ქვაბები ძმებს შორის თანაბრად იყოფოდა (Ф. Леонтович, II, стр. 73).

წარმოშობილი ამგვარი უბნები უმთავრესად გვხვდება ნანგრევების სახით, რომელთა შესწავლას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება.

დასასრულ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთი დიდი ოჯახიდან გამოყოფილი და პატრონიმიულ უბანში დასახლებული ინდივიდუალური ოჯახები ზოგიერთ შემთხვევაში ხელახლა ერთიანდებოდნენ და კვლავ საერთო სამეურნეო ფერხულში ებმებოდნენ. ოჯახების შეყრილობა გამოწვეული ყოფილა ორი ძირითადი მიზეზით. თანახმად მთხრობლების ჩვენებისა, განაყრები ხელახლა გაერთიანება შეიძლებოდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც დიდი ოჯახის ნაადრევ გაყრას (ე. ი. გაყრას მშობლების გარდაცვალებამდე) ხალხი დაგმობდა. როგორც ჩანს, ამგვარი ვითარება ძირითადად დამახასიათებელი იყო საოჯახო თემის არსებობის ბოლო პერიოდისათვის, როდესაც ტრადიციის დამცველი ძველი თაობის წარმომადგენლები ამგვარი ოჯახების დაშლის პროცესის შეჩერებას ცდილობდნენ ასეთ ღონისძიებათა წინააღმდეგ პროტესტით. მათ პროტესტს, რასაკვირველია, აღარ შეეძლო ამ პროცესის შეჩერება, მაგრამ ზოგჯერ ასეთ ღონისძიებასაც თავისი შედეგი გამოუღია და გაყრილი ოჯახები კვლავ გაერთიანებულან.

უმთავრეს შემთხვევაში ოჯახების შეყრას საფუძვლად ედებოდა მხარეთა ეკონომიური ინტერესები. როდესაც განაყრებს გაუჭირდებოდათ დამოუკიდებლად ცხოვრება და სუსტი ეკონომიური ბაზის თუ მუშახელის ნაკლებობის გამო ვეღარ ახერხებდნენ რომელიმე შრომატევადი მეურნეობის გაძღოლას, ისინი კვლავ ერთიანდებოდნენ, ერთობლივი შრომით ქმნიდნენ დოვლათს და გაყრის მომენტში ყველაფერს თანაბრად ინაწილებდნენ, მიუხედავად იმისა თუ შეყრის დროს ვინ რამდენი ქონება გააერთიანა.

როგორც შეყრილობის პირობებიდან ჩანს, ამ ღონისძიებაში გამოყენებული იყო საოჯახო თემის კომპონენტები (კოლექტიური შრომა, კოლექტიური მოხმარება და საერთო ძალებით შექმნილი დოვლათის თანაბრად განაწილება), მაგრამ, ამის მიუხედავად, ხელახლა შეყრილ ოჯახთა გაერთიანებაში ყოვლად შეუძლებელია დავინახოთ საოჯახო თემი ან ამ ინსტიტუტის აღდგენის ცდა. შეყრილობა გვესახება დროებით ღონისძიებად, რაც ემყარებოდა მხარეთა ნებაყოფლობით შეთანხმებას. შეყრილობას არ შეეძლო შეეჩერებინა დიდი ოჯახების სეგმენტაციის პროცესი, რომლის ლოგიკური შედეგი იყო მისი საბოლოო მოსპობა და ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრების წესის გაბატონება.

СЕМЕЙНЫЙ БЫТ ГОРЦЕВ ЦЕНТРАЛЬНОГО КАВКАЗА

(семейный быт нахов и осетин)

Резюме

Научное изучение семейных взаимоотношений, вместе с другими основными вопросами общественного быта, начинается со второй половины XIX в., когда этнография оформилась в качестве самостоятельной научной дисциплины. С этого же времени внимание исследователей привлекает и семейный быт кавказских народов. Большой интерес исследователей к изучению форм семьи был обусловлен длительно сохранившимся тут богатым фактическим материалом, который лег в основу многочисленных описаний и исследований. Этот материал превратился в достояние общей этнографии.

Вопреки т. н. «патриархальной теории», согласно которой человечество на протяжении своего существования знало, якобы, лишь моногамную семью и патриархальный строй, Ф. Энгельс в своем труде «Происхождение семьи, частной собственности и государства» обосновал, что до моногамной семьи существовала семейная община. Заслуживает внимания то обстоятельство, что при этом Ф. Энгельс обратил внимание на Кавказ и использовал в качестве одного из своих источников труды М. Ковалевского, написанные последним именно на материале, касающегося семейного быта народов Кавказа. Данный факт свидетельствует о том, что кавказский этнографический материал сыграл важнейшую роль в исследований проблемы форм семьи в свете общей этнографии.

Семейные взаимоотношения кавказских народов изучены с большой или меньшей полнотой. Если, например, проблеме семейного быта грузинского народа посвящены капитальные монографии, о соседней Ингушетии по данному вопросу не существует даже труда последовательно описательного характера. Однако, несмотря на наличие столь резкой неравномерности в разработке упомянутого вопроса, специалисты придерживаются одного, определенного мнения. Почти все исследователи, изучавшие вопросы семейных взаимоотношений на конкретном кавказском этнографическом материале, без колеба-

ний признают существование семейной общины в древнейшем прошлом кавказских народов. Это положение вошло как в пособие по общей этнографии, так и в обобщающие работы по истории отдельных народов Кавказа. Вместе с тем, среди компетентных советских этнографов не вызывает споров и то обстоятельство, что у народов Кавказа с развитием классового общества господствующей формой семьи стала индивидуальная семья, но рядом с ней спорадически продолжала существовать и сохранившаяся в виде пережитка семейная община.

Вместе с тем, кавказоведческая литература выявляет богатое разнообразие пережиточных форм семейных взаимоотношений, обусловленное локальными особенностями и различным уровнем общественно-экономического развития народов Кавказа. В этих условиях введение нового материала в научный обиход дает возможность наметить некоторые общие закономерности и отдельные этапы в процессе развития форм семьи. Для осуществления этой задачи требовалось, в первую очередь, выявление неизвестного до сегодняшнего дня этнографического материала. Собранные нами полевые материалы в нагорной части Восточной Грузии, в Чечено-Ингушетии и в Осетии, а также письменные источники и литературные данные, легли в основу данной монографии. В этой части труда изучены формы семьи ингушей, чеченцев, панкисских кистин и осетин; вторая книга, подготовленная к изданию, касается семейного быта грузин-горцев.

Итоги исследования показали, что в быту грузин-горцев, вместе с индивидуальной семьей, занимавшей в равнинной Грузии господствующее положение, спорадически сосуществовала и пережиточная форма семейной общины, отдельные образцы которой бытовали преимущественно в горных районах.

Подобные формы семьи существовали и у горцев Северного Кавказа, в частности у осетин, чеченцев, и ингушей.

Одной из характерных черт семейной общины нахов и осетин было проживание нескольких семейных пар и нескольких поколений вместе. Указанное положение описано на основе непосредственных наблюдений не одним исследователем XVIII—XIX вв. То же самое подтверждается традициями, дошедшими до наших дней. Генеалогии, составленные на основе сведений сказителей, показывают, что представителями перво-

го поколения в семье иногда была одна брачная пара, а иногда — несколько братьев и двоюродных братьев со своими женами. В такой обстановке родственная линия в последующих поколениях постепенно расширялась, в результате чего на протяжении четырех-пяти поколений создавалось многоколенное родство, в состав которого входили деды и бабушки, отцы и матери, дяди и тети, невестки и золовки, братья и двоюродные братья и сестры, дети, внуки, правнуки и т. д.

Особенно обильные и выразительные материалы о семьях с таким составом засвидетельствованы в Осетии. Из Чечено-Ингушетии особенно интересной в этом отношении, оказалась Горная Ингушетия. Традиция жизни неразделенной семьи так же, как и пережитки общинного строя вообще, здесь продержались дольше, чем среди чеченцев, у которых более ранее появление шариата потрясло основу местных традиций. Существование больших семейств среди кистин Панкисского ущелья, которые начали здесь поселяться с 30-х годов XIX в., не подтвердилось. Поселение здесь кистин происходило тогда, когда семейные общины, сохранившиеся в пережиточной форме, разлагались как в Чечено-Ингушетии, откуда шли кистины, так и у подножья гор Восточной Грузии, где они оседали на постоянное местожительство. В Панкисском ущелье мы описали не одну многочисленную семью, но ни одно из них не объединяло много поколений. Таким образом, там существовали, в одном случае малочисленные индивидуальные семьи, а в другом — многочисленные индивидуальные семьи, которые не имели вышеуказанных черт, характерных для семейной общины.

Порядок проживания под одной кровлей многочисленного круга близких родственников—представителей многих поколений был одним из основных признаков, характерных вообще для семейной общины, как родственной единицы, сохранившейся в пережиточной форме в быту нахов и осетин.

Вторым значительным моментом при изучении семейного быта является экономическая основа семьи. В монографии это вопрос освещен на основании конкретных данных. В одном случае объектом наших исследований была отдельно взятая семья, в другом — село и ущелье, а в третьем — исследуемый край в целом. Изучение вопроса, с этой точки зрения, показало, что различные друг от друга экономические условия имелись как у

народов Центрального Кавказа, так и у населения отдельных ущелий и селений. Эти различия были обусловлены как хозяйственно-географической средой, так и социальной организацией жителей. Вместе с тем, каждый народ, население каждого ущелья характеризовалось различным сочетанием основных отраслей хозяйства и различным уровнем развития каждой из них. Однако, общим признаком почти во всех горных районах Центрального Кавказа является то обстоятельство, что основными отраслями хозяйства были горное земледелие и скотоводство. Общим для всех ущелий этого района Кавказа было и то, что земледелие являлось древнейшей и высококультурной отраслью, но по удельному весу оно уступало скотоводству, для развития которого в горной полосе Центрального Кавказа были более благоприятные хозяйственные условия, чем для земледелия. В этом отношении в нагорьях Чечено-Ингушетии и Осетии отмечено положение, аналогичное с горной Грузией.

Наряду с земледелием и скотоводством в экономике горцев Центрального Кавказа большое место отводится кустарной промышленности и торговле, но все эти занятия носят вспомогательный характер.

По масштабом развития они столь же непостоянны, как и экономическое положение семьи. Отсталость той или иной отрасли и развитие другой меняло экономическое положение семьи, но пережиточная форма семейной общины горцев Центрального Кавказа бытовала как в условиях крупно-рогатого скотоводства и земледелия, так и в условиях развитого овцеводства. Экономической основой существования этой формы семьи в одной и той же эпохе могла быть любая из вышеназванных отраслей хозяйства. В частности, в Осетии и Чечено-Ингушетии существование семейных общин также не было обусловлено какой-либо отраслью хозяйства.

Третьим основным моментом в сфере семейных взаимоотношений нахов и осетин является система управления семьей и существующая в ней организация труда. Общим для нахов и осетин явлением в сфере управления семьей был половозрастной принцип, носивший так же, как и в быту других народов Кавказа, традиционный характер. По возрасту и полу в семье выделялись дела, раздельно выполняемые, с одной стороны мужчинами и женщинами, а с другой — старшими и младшими.

Указанное обстоятельство было особенно характерным для пережиточной формы семейной общины, поскольку управление многочисленной социальной единицей, объединяющей три-пять поколений, было невозможным вне веками выработанных традиционных норм. Нарушение этого принципа управления семьей, так же, как и нарушение ее экономических основ и развитие частнособственнических тенденций внутри семьи, подрывало ее единство.

Как в семейной общине, так и в индивидуальной семье, самыми большими правами пользовался старейший мужчина, которому было вверено общее управление семьей. Характерным для большой семьи было существование в ней приоритета старейшего мужчины и норм взаимоотношений между членами семьи, соответствующих возрасту, что было обусловлено проживанием вместе нескольких поколений. Правовая дифференциация по возрасту была менее заметна в индивидуальной семье, включающей, по существу два поколения в лице родителей и детей. В такой семье главенство было неприкосновенным правом отца. Этот последний момент был ясно выявлен в Панкисском ущелье, в результате изучения системы управления индивидуальной многочисленной семьи. Распределение функций между его членами не было и не могло быть таким, каким оно было внутри большой семьи. Но в том же ущелье, населенном кистинами, существовали и многочисленные индивидуальные семьи, в которых нормы обязанностей членов семьи были более резко размежеваны по поло-возрастному признаку, чем в малочисленных индивидуальных семьях. Поскольку поло-возрастная диференциация была характерной для семейной общины, можно полагать, что эта традиция в индивидуальной семье кистин была завещана семейной общиной.

В управлении семьей большое значение имел возраст, а также способности и авторитет старшего. Игнорирование возрастом происходило в том случае, если глава семьи не заслуживал уважения. Вместе с тем, мы замечаем характерный для семейного быта осетин и нахов порядок, который предусматривал согласованность действия старшего с мнением совершеннолетних членов семьи. В противном случае могло последовать отстранение главы семьи. Все это свидетельствует о том, что глава семьи не был единоличным и самовольным деспотом, как

это было в деспотичных семействах у восточных народов. В семьях нахов и осетин управление семьей опиралось на принципы солидарности. Лишь в позднее время в семьях нахов появились элементы деспотизма в результате господства здесь ислама. Поэтому мы не считаем верным утверждение некоторых исследователей о том, будто даже для осетинской семейной общины деспотизм был характерным явлением. В семьях, в которых действия старшего соответствовали желаниям всего коллектива и окончательное решение выносилось с согласия всех членов семьи, можно было заметить солидарную систему управления. С этой стороны нахская и осетинская семейная общины, по своей природе, близко стояли к грузинской семейной общине, которая на протяжении своего существования сохраняла основы солидарного управления.

Более убедительным признаком существования у горцев Центрального Кавказа семейной общины в пережиточной форме является характер собственности, о чем ясное представление дает принцип наследования имущества членами разделившейся семьи.

В быту нахов и осетин общесемейное имущество делилось между дольщиками поровну. Дольщиками большей частью являлись только мужчины, представители второго поколения, которые оказывались во главе филиаций, образованных в результате сегментации больших семейств. Разделение имущества между дольщиками происходило поровну, независимо от их положения: многодетный дольщик получал столько же имущества, сколько и бездетный дольщик. По душам делили годовой запас хлеба и продуктов, наличный в момент разделения семьи. Имущество умершего дольщика передавали его жене и детям в том случае, если дольщик имел сыновей. В противном случае, в собственность вдовы и дочерей передавали лишь часть дома, минимальное содержание в виде скота для пропитания и землю во временное пользование. После смерти вдовы и замужества дочерей земля опять переходила в руки дольщиков — мужчин.

Личной собственностью женщин нахов и осетин считалось лишь приданное незначительной стоимости в виде постели и личных вещей, полученных в отцовском доме. Вместе с тем, кое-где подтвердился порядок передачи невесте скота в качестве

приданного. В Ингушетии женщинам давали корову, однако, она оставалась собственностью женщины или нет после ее перехода в семью мужа, выяснить не удалось. В быту панкисских кистин, в соответствии с существующим порядком, корова или пять овец считались неприкосновенностью женщин, а их приплод входил в обще-семейное имущество. И в Южной Осетии женщине при замужестве отдавали с отцовского дома корову или несколько овец; этот обычай был неизвестен в Северной Осетии.

Женщина это приданное присоединяла к общему имуществу семьи мужа. Приплод и продукты здесь были в общем употреблении. При разделе семьи приплод делился поровну между дольщиками, а тавни (скот, который жена привела в семью) возвращался женщине. Этот порядок представляется общекавказским явлением, напоминающим грузинское сатавно. Под этим же названием он известен в Южной Осетии, что объясняется грузинским влиянием. Это общекавказское явление у различных народов Кавказа представлено в различной форме, что является, в свою очередь, признаком разной ступени развития семьи. Там, где сатавно (тавни и приплод) составляли только личную собственность женщины, в семьях была углублена частнособственническая тенденция (Картли, Кахети). Там, где сатавно со дня замужества женщины переходило в общесемейную собственность и теряло характер личной собственности, семья сравнительно прочно сохраняла традицию общей собственности на имущество (Хеви). Там, где тавни оставался в личной собственности женщины, а приплод переходил в общесемейное потребление, видимо отражалась борьба между интересами личной и общей собственности. Отражение этой борьбы мы видим в Южной Осетии на ступени разложения пережитков семейной общины, а в Панкисском ущелье — внутри многочисленной индивидуальной семьи, где эта борьба подходила к концу и склонялась в пользу частной собственности.

Важным моментом при разделе общего имущества является также вопрос о саупросо (надбавка к братской доле за старшинство) и саумцросо (надбавка к братской доле за младшинство), о чем в специальной литературе высказаны различные соображения. Большей частью вопрос касается то-

то, можно ли увидеть в правилах выделения саупросо майорат, а в саумцросо — минорат. Конкретный материал приводит нас к отрицательному ответу. Ни среди нахов, ни среди осетин выделение старшему дольщику излишнего имущества не представляется обязательным порядком. Выделение сравнительно большого имущества в собственность старшего дольщика зависело от общего решения дольщиков. Поэтому, часто случалось так,что старший получал равную с остальными дольщиками часть, особенно тогда, когда он не заслуживал получения излишков. Что же касается саумцросо, то он давался только холостым дольщикам для покрытия брачных расходов, подобных тем, которые несли на своей свадьбе женатые дольщики до раздела семьи с общего имущества. Не существовало право требования ни саупросо, ни саумцросо. Поэтому, отождествление майората и минората с саупросо и саумцросо невозможно.

Эти, основные и характерные для семейных взаимоотношений, черты в быту горцев Центрального Кавказа складывались в течение веков. Характерным для развития общественных отношений нахов и осетин, также, как и грузин-горцев, было разложение общинного строя и развитие феодальных отношений. В нагорье Центрального Кавказа феодализм не принял высокоразвитую форму. Поэтому, в отличие от развитого феодализма он называется горским. Эта ступень общественных отношений характеризуется наличием пережитков общинного быта. К пережиткам такого характера относится и семейная община. Развитие общественных отношений накладывало и на семью свое клеймо. В условиях феодального общества семейная община постепенно теряла свое первоначальное лицо, что выразилось, в первую очередь, в характере собственности. С развитием капиталистических отношений в пережиточно сохранившихся больших семьях углублялись частнособственнические тенденции, которые выполняли роль могильщика семейной общины.

В результате разложения большой семьи создавались с одной стороны индивидуальные семьи, с другой — патронимия, которая объединяла несколько семейств, происходивших в результате сегментации большой семьи и обоснования ее в одном квартале.

შემოკლებათა განმარტება

თ ს უ შ—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
კ ე კ—კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული
მ ს ე—მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
მ ს კ ი—მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის
АН — Архитектурное наследство
АКАК — Акты собранные кавказской археографической комиссией
ВЕ — Вестник Европы
ВДИ — Вестник древней истории
ЗКОИРГО — Записки кавказского отдела императорского русского географического общества
ИКОИРГО — Известия кавказского отдела императорского русского географического общества
ИИНИИК — Известия ингушского научно-исследовательского института краеведения
ИЧИНИИ — Известия чечено-ингушского научно-исследовательского института
ИЧИРКМ — Известия чечено-ингушского республиканского краеведческого музея
ИСОНИИ — Известия северо-осетинского научно-исследовательского института
ИЮОНИИ — Известия юго-осетинского научно-исследовательского института
ИЮОНИИК — Известия юго-осетинского научно-исследовательского института краеведения
ИЮОНИИ АН ГССР — Известия юго-осетинского научно-исследовательского института Академии наук Грузинской ССР
КСИЭ — Краткие сообщения Института этнографии
КЭС — Кавказский этнографический сборник (Тбилиси)
МАК—Материалы по археологии Кавказа
МИЭБГКЗК—Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края
РС — Русская старина
РМ — Русская мысль
РИ — Русский инвалид
СЭ — Советская этнография

СМЭ — Сборник материалов по этнографии, изд. при Дашковском этнографическом музее

СМОМПК — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа

СИИТА — Сообщения Института истории и теории архитектуры

ССК — Сборник сведений о Кавказе

ССКГ — Сборник сведений о кавказских горцах

ССТО — Сборник сведений о Терской области

ТС — Терский сборник

ТВ—Терские ведомости

УЗИЭНКНВ — Ученые записки Института этнических и национальных культур народов Востока

ЭО — Этнографическое обозрение

ЮВ — Юридический вестник

შინაარსი

	გვ.
შესავალი . . .	3
ნაწილი პირველი	
საოჯახო ყოფა ჩაჩნეთ-ინგუშეთში	13
პირველი თავი. ოჯახის შემადგენლობა	13
მეორე თავი. ოჯახის ეკონომიური საფუძვლები	36
მესამე თავი. ოჯახის მმართველობის სისტემა და მასში არსებული შრომის ორგანიზაცია	61
მეოთხე თავი. ოჯახის წევრთა ქცევისა და ურთიერთდამოკიდებულების ნორმები	78
მეხუთე თავი. ოჯახის გაყრის წესი და ქონების განაწილების პრინციპი	100
სქემები	136
ნაწილი მეორე	
პანკისელი ქისტების საოჯახო ყოფა	137
ნაწილი მესამე	
ოსების საოჯახო ყოფა	195
პირველი თავი. ოჯახის შემადგენლობა	195
მეორე თავი. ოჯახის ეკონომიური საფუძვლები	212
მესამე თავი. ოჯახის მმართველობის სისტემა და მასში არსებული შრომის ორგანიზაცია	245
მეოთხე თავი. ოჯახის გაყრის წესი და ქონების განაწილების პრინციპი	271
Резюме	309
შემოკლებათა განმარტება	317

Валериан Джамбулович Итонишвили

СЕМЕЙНЫЙ БЫТ ГОРЦЕВ ЦЕНТРАЛЬНОГО КАВКАЗА

I

СЕМЕЙНЫЙ БЫТ НАХОВ И ОСЕТИН

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ალ. რობაქიძე
გამომცემლობის რედაქტორი ელ. ქაჯაია
მხატვარი ვ. ხმალაძე
ტექრედაქტორი ლ. ჯეგენავა
კორექტორი ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 28.2.1969; ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.12.1969;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 20.12; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 19.09; უე 01409; ტირაჟი 1500; შეკვეთა 749; ფასი 1 მან. 72 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Академии наук ГССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15